



ბჰაგავადგიტა

თარგმნა და განმარტებები დაურთო ლევან რამიშვილმა

ვუძღვნი მამის, ლიტერატორ დანიელ რამიშვილის ხსოვნას...

श्रीमद्भगवद्गीता

BHAGAVADGITA

Translated and with commentaries by Levan Ramishvili

Publishing house Nakeri. Tbilisi. 2005

სასარგებლო რჩევებისა და დახმარებისთვის მადლობას ვუხდი ინდოლოგ ნიკოლოზ კენჭოშვილს, ასევე ჩემს მეუღლეს, ხათუნა მუჯირს და მეგობრებს – რატი ქართველიშვილს, გია მირიანაშვილს, ლაშა გაბუნიასა, გიორგი ბაგრატიონს და მალხაზ რუსაძეს, რომლის გულისხმიერება რომ არა, ეს თარგმანი არ შედგებოდა.

მადლობელი ვარ ემზარ ელქანიშვილის, „ბჰაგავადგიტას“ პოეტურად თარგმნის იდეისთვის და თარგმანის დიდი ნაწილის დაფინანსებისთვის.

დაკაბადონება: ლუკა რამიშვილი

ყდის დიზაინი: მალხაზ რუსაძე

© ლევან რამიშვილი, 2005

ISBN 99940-0-878-1

ვამომცემლობა „ნეკერი“, 2005

ს ა რ ჩ ე ვ ი

| | |
|---|-----------------------------------|
| მთარგმნელისაგან | 5 |
| ბ ჰ ა გ ა ვ ა დ გ ი ტ ა | |
| თავი პირველი | არჯუნას სასოწარკვეთილება 11 |
| თავი მეორე | გამორჩევის გზა 15 |
| თავი მესამე | მოქმედების გზა 22 |
| თავი მეოთხე | ცოდნის გზა 26 |
| თავი მეხუთე | საქმისგან განდგომის გზა 30 |
| თავი მეექვსე | თავის დაოკების გზა 33 |
| თავი მეშვიდე | ცოდნა და გასხვიოსნება 37 |
| თავი მერვე | უფალი წარუვალი 40 |
| თავი მეცხრე | უღიადესი საიდუმლო 43 |
| თავი მეათე | ღვთიური შვენება 46 |
| თავი მეთერთმეტე | ყოვლისმომცველი სახის ხილვა 50 |
| თავი მეთორმეტე | ერთგულების გზა 57 |
| თავი მეცამეტე | ველისა და მისი მცოდნის გარჩევა 59 |
| თავი მეთოთხმეტე | ბუნების სამსახოვნება 62 |
| თავი მეთხუთმეტე | უზეშთაესი სული 65 |
| თავი მეთექვსმეტე | ღვთაებრივი და ეშმაური 67 |
| თავი მეჩვიდმეტე | სამგვარი რწმენა 70 |
| თავი მეთვრამეტე | განდგომით განთავისუფლება 73 |
| წინაისტორია – ბჰაგავადგიტა და მაჰაბჰარატა..... | |
| ბჰაგავადგიტა და მაჰაბჰარატა..... | 80 |
| ბჰაგავადგიტა და მაჰატმა განდი..... | 95 |
| ბჰაგავადგიტას კოსმოლოგია..... | 97 |
| ბჰაგავადგიტა და ომი..... | 102 |
| ოლდოს ჰაქსლი – მარადი ფილოსოფია..... | 106 |
| სვამი ვივეკანანდა – ლექციები გიტას შესახებ..... | |
| ლექცია პირველი..... | 115 |
| ლექცია მეორე..... | 125 |
| ლექცია მესამე..... | 131 |
| კრიშნა..... | 141 |
| ფიქრები გიტაზე..... | 148 |
| შრი აურობინდო – სწავლების არსი..... | |
| განმარტებანი..... | 156 |
| | 166 |

„ბჰაგავადგიტა“ კაცობრიობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წიგნია. მსოფლიოს გამოჩენილი მოაზროვნეები მას „კაცობრიობის წმინდა წერილს“ და „ადამიანის ბიბლიას“ უწოდებენ. ინდოეთში გავრცელებული აზრით, მასში თავს იყრის და მთელი სისავსით ვლინდება ძველი ინდური ფილოსოფიის ყველა მიმართულება. ევროპა მას 1785 წელს გაეცნო. დღეს ევროპულ ენებზე „გიტას“ ასეულობით თარგმანი არსებობს. მან ბევრ დიდ შემოქმედზე მოახდინა უდიდესი გავლენა. „გიტას“ სიღრმითა და მშვენიერებით აღტაცებულნი იყვნენ განდი, თაგორი, გოეთე, ჰეგელი, შოპენჰაუერი, აინშტაინი, შელი, უორდსუორთი, რაღფ ემერსონი, რომენ როლანი, ოლდოს ჰაქსლი, ჰერმან ჰესე, ალბერტ შვეიცერი, უოლტ უიტმენი, ტომას ელიოტი, ივან ბუნინი, ლევ ტოლსტოი... განმარტებანი, რომელიც თარგმანს ერთვის, ზოგად წარმოდგენას შეგიქმნით არა მხოლოდ „ბჰაგავადგიტას“, არამედ ჰინდუიზმის – ამ მეტად საინტერესო და რთული საზოგადოებრივ-რელიგიური სტრუქტურის საფუძვლების შესახებაც.

მთარგმნელისაგან

ინდოეთი არა მხოლოდ ქვეყნის სახელწოდებაა, არამედ დედამიწის ერთ-ერთი უძველესი და მრავალფეროვანი ცივილიზაციის სახელი.

თანამედროვე ინდოეთში თოთხმეტამდე მართო ლიტერატურული ენა და ამდენივე თვითმყოფადი, მრავალფეროვანი და უხვმწვერვალიანი ლიტერატურაა. აქ უძველესი დროიდან არსებობს ექვსი მხოლოდ ორთოდოქსული რელიგიურ-ფილოსოფიური სისტემა; და მაინც გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ „ბჰაგავადგიტა“ ინდური პოეზიის, ფილოსოფიისა და რელიგიური აზრის (ეს ცნებები კი ინდოეთში არასოდეს ყოფილა ერთმანეთისგან გამიჯნული) ერთ-ერთი უდიდესი ძეგლია; და სწორედ იმიტომ, რომ მასში ჰარმონიულადაა შერწყმული რელიგიური თეორია და პრაქტიკა, ფილოსოფია და პოეზია, „გიტას“ პოეტური თარგმანის გაკეთება თარგმანის ხელოვნებაში მიუღწეველ ამოცანადაა მიჩნეული. ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული სანსკრიტოლოგი და „გიტას“ მთარგმნელი, აკადემიკოსი ბორის სმირნოვი აღნიშნავს, რომ „პრაქტიკამ უარყო „გიტას“ მეტრული საზომით თარგმნის ცდა,“ რადგან „მეტრულ საზომში მოქცეულმა „გიტას“ ტექსტმა არ შეიძლება შინაარსობრივ სახეცვლილება არ განიცადოს, რაც დაუშვებელია ისეთი ხასიათის ნაწარმოებისთვის, რომლის თითოეული სიტყვა მნიშვნელოვანი აზრის მატარებელია და მისი უმცირესი ნიუანსის გადმოსაცემად არის დამუშავებული.“ პოეტური თარგმანის უარყოფით მხარედ სმირნოვი ზეაღმატებულ, პათეტიკურ ტონსაც მიიჩნევს, რაც „გიტასთვის“ სრულიად შეუფერებელია და რასაც, მისი აზრით, შეუძლებელია მთარგმნელი გაექცეს, თუმცა იქვე მიუთითებს, რომ „გიტას“ უკვე არსებული თარგმანების ნაკლი ის არის, რომ „მათი უმეტესობა მეცნიერულ-ფილოლოგიური ხასიათისაა“. ჯავაჰარლალ ნერუ¹ შენიშნავს, რომ „ამ თარგმანებს ორიგინალის პოეტური და ენობრივი ბრწყინვალეობა აკლიათ და ამიტომ სანსკრიტული² ტექსტის ღირსებას და ძალმოსილებას სრულად ვერ გადმოსცემენ.“ რადჰაკრიშნანის³ აზრით, „თარგმანს ის

¹ *ჯავაჰარლალ ნერუ* – ინდოეთის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, მაჰატმა განდის თანამებრძოლი, ინდოეთის პრემიერ მინისტრი, მრავალი წიგნის ავტორი (აქ და ქვემოთ ყველა შენიშვნა მთარგმნელისაა, ლ. რ.).

² *სანსკრიტი* – (სამსკრტა – დამუშავებული, სრულქმნილი) ძველი ინდური ენა. საღაპარაჟო ენებისგან, პრაკრიტებისგან განსხვავებით სანსკრიტი სწავლულთა ენა იყო და „წმინდა ენად“ ითვლებოდა. მასზე შეიქმნა ინდური რელიგიური ლიტერატურა, ეპიკური პოემები, კლასიკური დრამები, პოლიტიკური, სამხდრო და მრავალი ხაზის სამეცნიერო ტრაქტატები. სანსკრიტის ალფაბეტს დევანაგარი („ლეთაბრავი“) ეწოდება. სანსკრიტზე აისახა არიელთა და მანამ-დელი ინდური ფილოსოფიური, მეცნიერული და რელიგიური აზრის განვითარება. *პინდუებმა* ამ ენაზე რთული და დიდგერებრივი ტერმინოლოგია შექმნეს: ნატევი ფიზიოლოგიის, აგრეთვე ფსიქიკური და სულიერი პროცესებისა და ცნობიერების ძველმარჯობათა უზუსტესად დამუშავებულ სახელწოდებებს (მეგ... კარმა, ჩაკრა, მანდალა, იოგა, სამადჰა...) არც ერთ ევროპულ ენაზე ანალოგი არ მოეძებნება.

³ *სარვეპალ რადჰაკრიშნანი* – ინდოელი ფილოსოფოსი, მრავალი ლიტერატურული და ფილოსოფიური შრომის ავტორი და მსოფლიოს მრავალი უნივერსიტეტის დოცენტი; 1962-67 წლებში ინდოეთის პრეზიდენტი.

გარემოება აძნელებს, რომ „გიტას“ ისევე, როგორც „უპანიშადები“,“⁴ სას-ელვანთქმულ ლიტერატურულ ძეგლსაც წარმოადგენს და დიდი ფილოსო-ფიური სისტემის გამოხატვის საშუალებასაც“. სმირნოვი ძალზე ზუსტად ხსნის „გიტას“ თარგმნის სირთულეს: „როგორც შეუძლებელია პლატონის დიალოგების ბჭკარედის ერთ თარგმნა, იმის მაგივრად, რომ ამ ნაწარმოე-ბის მხატვრული ფორმა შესაბამისად გადმოიცეს; როგორც შეუძლებელია ბერძნული ტრაგედიების პოეტური ფორმის გადმოცემისას დავიწყებული იქნეს მათი ღრმა ფილოსოფიური შინაარსი, ასევე „გიტას“ თარგმნისას შეუძლებელია მისი არსის რომელიმე მხარეს მიეცეს უპირატესობა. რადგან „გიტას“ მხატვრული მხარე ისეთივე არსებითია, როგორც ფილოსოფიური. მისი მთარგმნელის ამოცანა შეიძლება „ღვთაებრივი კომედიის“ მთარგმ-ნელის ამოცანას შევადაროთ. ორივე შემთხვევაში მთარგმნელს მკაცრად მოეთხოვება დედანში გამოვლენილ ფილოსოფიურ და მხატვრულ შინაარსს შორის წონასწორობის შენარჩუნება.“ ისევე სმირნოვს რომ დავესესხოთ, გიტას მთარგმნელს თანაბრად მოეთხოვება როგორც მეცნიერულობა, ისე მხატვრული თარგმანი.

ამ სირთულის დაძლევა სმირნოვმა, ისევე, როგორც „გიტას“ ბევრმა სხვა მთარგმნელმა,⁵ მისი თავისუფალი ლექსით თარგმნით სცადა, რასაც, რა თქმა უნდა, თავისი გამართლება მოეძებნება,⁶ მაგრამ თავისუფალი ლექსი, მიუხე-დავად იმისა, რომ პროზაულ თარგმანზე უფრო პოეტურად ჟღერს, მეტრული საზომის ლექსს მაინც ვერ ცვლის, რადგან მოკლებულია მის მუსიკალურო-ბას, რის გამოც მკითხველზე ზემოქმედების ძალას კარგავს. შემთხვევითი

⁴ „უპანიშადები“ – ვეფორი აქოქის ფილოსოფიურ-მისტერი ტრაქტატები. იხ. „ვეფები“; განმ. 2.45.

⁵ ასევე თავისუფალ ლექსს მიმართავს ქართულ ენაზე „გიტას“ პირველი მთარგმნელი, თამაზ ჩხეტიკლი: „ქრისტოფერ აიშერუელისა და სვაში პრაბკავანენდას თარგმანში თავისუფალ ლექსს პროზაული თარგმანი ენაცვლება, ინგლისურ ენაზე „გიტას“ ერთ-ერთი ყველაზე პოეტური თარგმნის ავტორი, სერ ედვინ არნოლდი კი ვართიმული და თავისუფალი ლექსის ნაზავს გვთავაზობს, თუმცა მისი თარგმანი სიზუსტით არ გამოირჩევა.

⁶ „გიტას“ სტროფი, ანუ შლოკა ორი თექვსმეტმარცვლიანი სტროქონისგან შედგება, რომ-ლებიც, თავის მხრივ ორ რეპარტულაიან ნახევარსტროქონადაა დაყოფილი. ყოველი სტროქონი დასრულებულ აზრს იტევს, მხოლო სტროქონი კი პირველში განვითარებულ აზრს ავრძლებს. შლოკაში მარცვალითა ფიქსირებული რაოდენობაა, თუმცა არაა ფიქსირებული მსვლი. რიტმი აქ მარცვალითა ფიქსირების ნაწილობრივობაზე და რაოდენობაზეა დამოკიდებული, რის ხარ-ჯზეც იქნება მუსიკალური ტაქტი. პინდურ რელიგიურ ტრადიციაში მიღებულია შლოკების დამოუკიდებლ წარმოთქმა, რაც გარკვეულ მუსიკალურ დროში უნდა ეტეოდეს. იმის საილუს-ტრაციოდ, თუ რაძღვად განსხვავდება სანსკრიტული ენა და აქედან გამოიძინებო მისი ეო-ეტია ყველა სხვა ენისგან, საქართისა აღუნიშნოთ, რომ სანსკრიტული სიტყვებში ევროპელის ფორი მსვლის იქ აღიქვამს, სადაც ის სინაძვლილში არ არის, რადგან მისი აღქმა სიტყვის სივრცეს მსვლითა განლაგებასთან აკავშირებს. აქედან გამოიძინებო, სანსკრიტული ლექსის ნებისმიერ ენაზე თარგმნა მსოლიდ პირობითადაა შესაძლებელი. სწორედ სანსკრიტული ენ-სა და პოეტის თვისებურებებმა მიიყვანა სმირნოვი თავისუფალ ლექსად, როგორც მასთან ყველაზე უფრო ახლოს ძველ ფორმად, მაგრამ ჩემი აზრით ყველაზე მნიშვნელოვანი აქ ლექსის კლასიკური ფორმის შენარჩუნებაა, რადგან „გიტა“ სანსკრიტული ლექსის სწორედ ყველაზე სრულყოფილი, კლასიკური (და არა რომელიმე სხვა) ფორმითაა დაწერილი.

არ არის, რომ „ბჰაგავადგიტა“ სწორედ კლასიკური და არა თავისუფალი ლექსის ფორმითაა დაწერილი, ყოველი ლიტერატურული თარგმანი კი, რაც არ უნდა ვთქვათ, ორიგინლის მხატვრულ სიმაღლეს უნდა უახლოვდებოდეს. როგორც რუსი მთარგმნელი, ფილოლოგი მახვილგონივრულად შენიშნავს, „პროზად ნათარგმნი ლექსი ოპერის ან პიესის სცენაზე დეკორაციისა და თეატრალური კოსტუმების გარეშე დადგმას ჰგავს“. „რომც დავეუშვათ, რომ სიტყვების მნიშვნელობას და მათი სქოლასტიკური ძალის ხარისხს ზუსტად გადმოსცემს,“ სავსებით სამართლიანად აღნიშნავს ის, „პროზაული თარგმანი მაინც გარდაუვალად არღვევს ლექსისთვის ჩვეულ აზრობრივ პროპორციებს, ისე, რომ სიტყვების შინაარსი რომც შენარჩუნდეს, მათი მნიშვნელობა და როლი მაინც იცვლება. რიტმული თარგმანის მომხრეები იმასაც მიუთითებენ, რომ ლექსი პროზისგან არა მხოლოდ რიტმული ფორმით განსხვავდება, არამედ თავისებური აზრობრივი ტონით, პოეტური სახიერების ხერხებით, მეტაფორის გამოყენებით და თავისებური ენობრივი ხასიათითაც.

სწორედ ამიტომ გადავწყვიტე „ბჰაგავადგიტას“ პოეტურად თარგმნა მეცადა. ამასთან ერთად ჩემი მიზანი იყო მაქსიმალურად ზუსტად გადმომეცა ორიგინალის ყველა აზრობრივი ნიუანსი. ამ მიზნით თარგმანი ბილინგვურ ვერსიებზე დაყრდნობით, სანსკრიტული ტექსტის თითოეული სიტყვის ეტიმოლოგიურ-სემანტიკური და ფილოსოფიური კვლევის საფუძველზე შევასრულე.

„გიტას“ მთარგმნელი მრავალი სირთულის წინაშე დგება. აქმასში არა მხოლოდ თითოეულ სიტყვას, მათ შორის განლაგებასაც კი დიდი დატვირთვა აქვს. ამას გარდა სანსკრიტისთვის, ამ საგანგებოდ რელიგიურ-მეტაფორული მიზნებისთვის დამუშავებული ენისთვის დამახასიათებელი და ორგანული აზრის გამოსატვის მანერა, წინადადების წყობა და ფილოსოფიური ნიუანსების წარმოჩენის ხერხები სრულიად უცხო და არაბუნებრივია ქართული ენისთვის. ამიტომ სადაც იძულებილი ვიყავი, სიტყვა-სიტყვითი თარგმანიდან ოდნავ მაინც (რა თქმა უნდა, აზრის დაურღვევლად) გადამეხვია, ზუსტი ტექსტი ყველგან მივუთითე სქოლიოში. იქვე არის განმარტებული ყველა სიტყვა, ტერმინი და პასაჟი, რომელმაც შეიძლება რაიმე დაბნეულობა გამოიწვიოს.

ორიგინალში უხვადაა ქართული ენისთვის უცხო უღერადობის სახელები და ეპითეტები, რომლებიც ყველაზე პროზაულ თარგმანებსაც კი ამძიმებს. თუმცა ინდოელები ამბობენ, რომ „გიტაში“ არაფერია შემთხვევითი, მათ შორის არც ეპითეტები. მაგალითად, კრიშნა სწორედ მაშინ უწოდებს არჯუნას „ბჰარატას შთამომავალთაგან უძლიერესს,“ როცა მას „სრულყოფილების და სიბრძნის მტრის“ – მისივე მიწიერი სურვილების წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებს. ამით ის ცდილობს არჯუნაში კმატრიას (მეომრის) პატივმოყვარეობა და გვაროვნული სიამაყე გააღვიძოს და მისივე სულიერი წინსვლის სამსახურში ჩააყენოს. ამიტომ ყველა საკუთარი სახელი თუ ეპითეტი, რომელიც პოეტური ქსოვილის შენარჩუნების მიზნით თარგმანში გამოტოვებულია, მოხსენიებულია სქოლიოში.

„მტკიცე ღებრა „ბავყავადვითას“ ძირითადი პრინციპის, ყოველივეს კვდილობ მასხოველს და მოქმედებისას მის მიხედვით ვიხლომძეუანგლო, აგრეთვე ვესაუბრო მასზე იმით, ვინც მის შესახებ აზრს მკაითხება და ჩემს თხზულებებზეც აესახო.“

„კრიშნა რომ არ ყოფილიყო, ღმერთის შესახებ ჩვენი წარმოდგენაც არ იარსებებდა.“

„კრიშნას მთელი მოძღვრება და მთელი მისი ცხოვრება მხოლოდ სიყვარულია. კრიშნა არაფერს იღებს, გარდა სიყვარულისა და მხოლოდ სიყვარულით მოქმედებს, მხოლოდ მისით სუნთქავს და მისით საუბრობს.“

„კრიშნას მეტაფიზიკური იდეა ყველა კრემსარიტი ფილოსოფიური სისტემისა და ყველა რელიგიის მარადისი და უნივერსალური საფუძველია.“

ლევ ტოლსტოი

„ბავყავადვითა წივხთა წივხთა... ის წივხთა შორის უპირველესია; ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქმის მთელი იმპერია ვკლასაარაკბოდეს; მასში არაფერია წერტილმანი, უმნიშვნელო, ყოველივე დიდი, თანმიმდევრული და მშვეიდა; ესაა ხმა ძველთუძველესი გონებისა, რომელიც მსჯელობს სხვა ეპოქასა და კლიმატში, მაგრამ იგივე კითხვებზე, ჩვენ რომ ვკაწუხებთ.“

რალფ უოლდო ემერსონი

„ყოველ დღით ვიხივას განვიძან „ბავყავადვითას“ განსაკვირებელ, კონშილოვიურ ფილოსოფიაში, რომელთან შერაბებით ჩვენი თანამედროვე მსოფლიო და მისი ლიტერატურა უსუსურად და უმნიშვნელოდ გამოიყურება.“

ჰენრი ტორი

„ბავყავადვითა უმშვენიერესი და შესაძლია ჩვენთვის ცნობილი ენებზე დაწერილი ერთადერთი კრემსარიტად ფილოსოფიური ნაწარმოებია.“

ვილჰელმ ფინ ჰუმბოლტი

„ბავყავადვითა იმებომ არის საოცრება, რომ მასში მართლაც საოცრადაა გატახადებული სიციცხლის სიბრძნე“

ჰერმან ჰესე

„ბავყავადვითას“ კითხვისას ჩემს თავს ვეკითხება, როგორ შეეძნა ღმერთმა სამყარო? ყველა სხვა კითხვა ზედმეტად მუყუნება.“

ალბერტ აინშტაინი

„ბავყავად ვიტა“ და „უბანიმადლი“ სიბრძნის ისეთ ღვთაებრივ სისაცეს შეიცავს, რომ ასე მცონია, მათი ავტორები მშეიდად შესტკეროდნენ ათას ცხოვრებას წარსულისას, საესეს მკვინარეუ ძრბოდებით მოჩვენებათათვის და მოჩვენებებთან და ამტომაც წერდნენ ასე თავდაჯერებულნი იმზე, რასაც სული არ ვჭვობს.“

ჯორჯ რასელი

„ბავყავადვითა“ ყოველგვარი სულიერი მსოფლომძეულობის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი და სრული განზოგადებაა. ამტომც მარადიულ ფასეულობას წარმოადგენს მთელი კაცობრიობისთვის.“

ოღლოს ჰესელი

„ძლიან მოძეწონა „მეცნიკური და არამეცნიკური მეცნიერების“ შესაძე თავი. განსაკუთრებით გამტყა „ბავყავადვითას“ იდეებმა. მიეხედი, რომ „ბავყავადვითას“ ფილოსოფიის ძირითადი იდეები „ყოფიერების“ შესახებ პრაქტიკულად ემთხვევა რეალურობის იმ გავებას, რომელთანაც კანტური მეცნიკის შესწავლამ მიძეყანა.“

იუჯინ კავენური, ნობელის პრემიის ლაურეატი ფიზიკაში



ბჰაგავადგოტა



შრიმდბგავდგოტა



თავი პირველი

არჯუნას სასოწარკვეთილება

ღირითარამტრამ თქვა:

- 1.1. წმინდა ალაგას, კურუთა ველზე, სად შემართული ბრძოლად ჯარია, მითხარ, რას იქმან ჩემი შვილები, ან პანდაველნი, გთხოვ, სანჯაია!
- სანჯაიამ თქვა:
 - 1.2. რა ნახა მეფე ღურიოდჰანამ, პანდაველების ლაშქართა წყობა, მაშინვე მოძღვარს ეახლა თვისას და ყოველივე წვრილად აცნობა.
 - 1.3. უთხრა, გახედე მასწავლებლო, პანდაველების მხედრობას ძლიერს, მოხერხებულად გაწყობილს ომად, შენგან ნაწრთობი მოწაფის მიერ.
 - 1.4. ნახე, აქ არის კურუთა ჯარი, ურიცხვი გმირი და მოისარი, ბევრი ბჰიშმა და არჯუნას სწორი და უძლეველი დრუპადას დარი.
 - 1.5. გვერდს უძშენებენ მათ ჩეკიტანა და პურუჯიტი, მძლე, ვითა ხარი. კაშთა ხელმწიფე, კუნტის მთავარი და შაიაბა – ღვევმირთა გვარი.
 - 1.6. აგერ მძლეთამძლე უდჰამანიუ, უტამანუჯა, ძალგულოვანი, ძენი სუბჰადრას და დრაუპადის – ეტლით მებრძოლი, ნაცადი სჰანი.
 - 1.7. ნახე, თუმცა-ლა ჩვენშიც ბევრია კაცი ნაქები, ჭკუით, მარჯვენით, ვინც განალაგებს ჯარს გონივრულად და წარუძღვება წინ გამარჯვებით.
 - 1.8. ჯერ შენ რად ღირხარ, ან ლომი ბჰიშმა და სხვა გმირები, ბევრგზის ვნებულნი, აშვათჰამა და სომადატას ძე, ბრძოლაში მულამ გამარჯვებულნი?!
 - 1.9. კიდევ ბევრი გვყავს გმირი ერთგული, ჩემთვის სიკვდილის ჩამგდები არად, ომში ნაცადი და შეჭურვილი სახელოვანი მეომრის დარად!
 - 1.10. ბაბუა ბჰიშმა წინ უძღვის ლაშქარს, ძალაა მისი განუზომელი, თავს დაჰკანკალებს თუმც ბჰიშმა პანდავთ, წინ დაგვიდგება მათგან რომელი?!
 - 1.11. თავის ადგილზე დადგეს ყოველი! დაე, ვერ გვძლიოს პანდავთა შიმშა, არ გავაკაროთ ავისმდომელი, ყველამ ერთგულად დავიცვათ ბჰიშმა!

- 1.12. ამ დროს ჩაჰბერა ნიჟარას ბჰიშმამ და ამოუშვა ღრიალი ლომის. მან გაამხნევა ღურიოდჰანა, ამცნო დაწყება ღიაღი ომის.
- 1.13. დასცეს ყიჟინა ყურისწამღები, აახმაურეს ბუკი, საყვირი, ჰკრეს დაფდაფებს და ჰბერეს ნიჟარებს, ცას მისწვდა მათი გაღანაყვირი.
- 1.14. მაშინ არჯუნამ და თავად კრიშნამ, თეთრჰუნებშებმულ ეტლში მჯღომარემ, ღვითურს ჩაჰბერეს ნიჟარებს მყის და ხმამ ზეციურმა გააპო არე.
- 1.15. ბჰიმამ „ღერწმისა“ აახმიანა, გმირმა არჯუნამ – „უფლის წყალობა,“ ხოლო კრიშნამ კი, გულთა მჰყრობელმა „ხუთღეროვანი“ ააგალობა.
- 1.16. იუღჰითჰირამ, ღიღმა ხელმწიფემ, აახმაურა “ყოღლის მკვეთელი,” საჰადევამ და შემღევ ნაკულამ – “თვლითმოღჰვილი” და “ხმაკეთილი.”
- 1.17. საყვირს ჩაჰბერა კაშთა ხელმწიფემ, ღიღმა მებრძოლმა და მოისარმა, ხმა შეუერთა მას ვიღარამაც და საღიაკამ, ღვეისა გვარმა.
- 1.18. შემღევ, დრუჰაღას და სხვა ღვეგმირთა მღლე ნიჟარებმა დაიღრიაღა. საყვირს ჩაჰბერა ყვეღამ მიწყობით და ხმით საზარით ააღრიაღა.
- 1.19. ცა ჩამომხო მათმა გნისმა, ძირს მიწა შესძრა, შეაზანზარა, ღირითარაშტრას შვიღთა სმენასაც სწვდა და დაატყდა თავს შიშის ზარად.
- 1.20.-21. მაშინ მოზიღა არჯუნამ მშვიღღი, მაგრამ წამითვე დაუშვა დაბღა, ღირითარაშტრას დაღანღა შვიღნი და უფალ კრიშნას მიმართა მღაბღად:
- არჯუნამ თჰვა:
- 1.22. გთხოვ, გამაჰანე ორ ღაშჰარს შორის, მაჩვენე მტერი, არას მთმობელი, მიღდა ვიხიღო, ვისთან მომიწვეს ბრძოღა უწყაღო და უღმობელი.
- 1.23. გთხოვ, დამანახე ის, ვინც მოსულა და ეღის ბრძოღას, ავი სიამით, სურს იომოს და ღურიოთჰანას ბოროღტი გული მოიგოს ამით!
- სანჯაიამ თჰვა:
- 1.24. დაჰყვა უფალი უღალ არჯუნას, შემცბარს მოსახღენ უბეღურებით და ორ ჯარს შორის შემოაგეღვა ეტღი თეთრონი ბეღაურებით.

- მიუახლოვდა დრონას და ბჰიშმას, ქვეყნის სარდალთა წინ შეანელა. 1.25.
უთხრა არჯუნას: მამიდაშვილო! შეხედე, კურუ აქ არის ყველა!
- იდგა არჯუნა და შეჰყურებდა ნაცნობ სახეებს ორივე მხარეს: 1.26.
ბაბუებს, მამებს, საყვარელ გამზრდელს, ერთგულ მეგობარს, ძმას თუ მოყვარეს.
- მის წინ გაწყობილ მოძმეთა ცქერას ველარ გაუძლო არჯუნას გულმა 1.27.-28.
აღვსილმა დარდით და სიბრაულვით, სიტყვა ძლივს დასძრა გულდადავლმა:
არჯუნამ თქვა:
- ყველა ვინც მიყვარს, იქ არის მგონი, ყველას ომი სურს, ჩვენზეა მწყვრალი; 1.29.
ლამის წამერთვას ძალი და ღონე, სულს ველარ ვითქვამ, სასა გამშრალი.
- თითქოს სხეულზე ცეცხლი მეღება, ვცახცახებ, თვალზე გადმეკრა ბინდი. 1.30.
გვრძნობ, სადაცაა გამივარდება ჩემი განდივა, ერთგული მშვილდი.
- ვხედავ, ვერ ვიკრებ გონებას სრულად და უძლეულების ვერ ვარ მომრევი, 1.31.
რადგან ყველაფერ ამის სასრულად უბედურების მიჩანს მორევი.
- თვისტომთა ჟლეტით ვით დავთესთ კეთილს, ან ვით მოვიძვით მით ძლიერებას, 1.32.
ან გამარჯვებას ასეთს რად ველტვით, სამეფოს ანდა ბედნიერებას?!
- რად გვინდა შვება, ან ხელმწიფება, ან თვით სიცოცხლე, მითხარ, გოვინდა, 1.33.
თუ წუთისოფლის მზე დავუბნელებთ, ეს ყოველივე ვისთვისაც გვინდა?!
- ყველა აქ არის, თვისტომი ჩემი, ვინც სიცოცხლეზე უფრო მეტია, 1.34.
ყველა მოსულა და ბრძოლის ველზე თავის დადება გადუწყვეტია.
- მამაზე, შვილზე და შვილიშვილზე როგორ ავწიო, მითხარი, ხელი? 1.35.
რომც დავილუპო, დემონის მკვლელო, მაინც არა ვარ მე ამის მქმნელი!
- ნეტა რას გვარგებს, რით გავგახარებს მითხარ, ჩადენა ამ საქმის ძნელის?! 1.36.
არც მეფობა მსურს ამის სანაცვლოდ, არც მეუფება სამივე სკნელის!
- თუმც აღუმართავთ მათ ჩვენზე ხელი, მათი კვლით ცოდვას ვიძკით, იცოდე! 1.37.
როგორ იქნები, თქვი, ბედნიერი, თუ შინაურიც არ შეიცოდდე?!
- კურუთა შვილებს, შურით აღვსილებს, დაბნელებიათ გრძნობა და გული 1.38.
და მათ მამასაც, ხარბსა და ცბიერს, არაფრად უჩანს სიწმინდე, სჯული!

- 1.39. მაგრამ, ჩვენ მიიხსნება კარგად ვუწყით, თუ რა მოელის დამღუპველს გვარის! რა გვემართება, რატომ არ ვუფრთხით, რად არ გვაქვს შიში ცოდვის ამგვარის?!
- 1.40. გვარის მოსპობით, ოჯახის მოშლით, ხომ დაემხო ადამიანი წმინდა?! უღმერთობა და ისაღვურებს და უწესობა მაშინ, გოვინდა!
- 1.41. თუ უმეცრება გაიბატონებს და თუ ზნეობა გადაგვარდება, ოჯახის ქალი დაეცემა და ქვეყნად აღრევა ჩამოვარდება!
- 1.42. შთამომავლობას – ჭირთა მრავლობა, გვარის დამქცევს კი წაწყვედა ელის! წინაპრებს საკურთხს არვინ მიაგებს, ხსოვნაც გაქრება მათი სახელის.
- 1.43. უკუღმა წავა ამ ბოროტებით, რაც რამ ყოფილა ნაწადმართალი გავვრანდება ოჯახის წესი, პატიოსნება და სამართალი.
- 1.44. გამიგონია, რომ ვინც დააქცევს თვისტომთა წმინდა ადამიანს და წესებს, ზენა განგება სამარადჟამოდ თვით ჯოჯოხეთში მას გაამწყვებს.
- 1.45. საკვირველია, ეს ცოდვა მძიმე რატომ გვეგონია ჩვენივე ნება?! გაუღელა გვინებას საკუთარ მოღვმის, რომ არ მოგვაკლდეს ღმერთი და შება!
- 1.46. არა! არ მინდა მე მათთან შება! არ მსურს ხმალდახმალ ძმებთან ვიბრძოლო! სჯობს, კბილებამდე შეჭურვილებმა უიარაღოს მომიღონ ბოლო.“
- სანჯაიამ თქვა:
- 1.47. გულდამღვრულმა ეს თქვა და მყისვე ეტლში ჩაეშვა ღონემიხდილი, მშვილდი „განდივა“ დაუშვა ისევ, გადაეფარა ღრუბლების ჩრდილი.



თავი მეორე

ცოდნის გზა

სანჯაიამ თქვა:

რა დაინახა თვალცრემლიანი, ნალველნარევი და გულშეძრული, 2.1.
არ დაიშურა მადჭუს მძლეველმა არჯუნასათვის სიტყვები ბრძნული.

შრი ბჰაგავანმა მიუგო:

ნეტავ საიდან ეს სულმდაბლობა? ჭირს მწუხარებით ვერვინ უშველის! 2.2.
ვინც გასაჭირში სულთ ეცემა, ზეცა კი არა, სირცხვილი ელის.

ქედს ნუ მოუხრი მაგ სიძაბუნეს, ნუ გეგონება შენი საფერი, 2.3.
ნუ დანებდები გულს დაკნინებულს, ფეხზე წამოდექ, შემუსრე მტერი!

არჯუნამ თქვა:

თქვი, ვით ვესროლო ისარი ბჰიშმას, ან დრონას, მითხარ, დემონის მკვლელი, 2.4.
ვინც მოკრძალების მიცვნია ღირსად, ვით გავიმეტო, მტრის შემმუსვრელი?

რა ვქნა, ღირსეულ მოძღვართა კვლა არ შემიძლია, 2.5.
სჯობს, ხელგაწვდილმა მათხოვრობით რომ ვჭამო პური.
რა ვუყოთ, თუ მათ ავმა ზრახვამ, სიხარბემ სძლია,
მათ მკვლელს განცხრომა უნდა მერგოს სისხლმონაპკური.

ჩვენ ხომ არც ვუწყით, გული ჩვენი რისი მნდომია – 2.6.
ჩვენ იმათ ვძლიოთ თუ ისინი აღმოჩნდნენ მძლენი?
თუმცა-ლა ბრძოლა გარდუვალი კარს მოგვდგომია,
რალა გვაცოცხლებს, თუ დავხოცეთ ჩვენი მოძმენი?

ო, ცოდვა მათი მე ძალ-ღონეს მაცლის, მაწვალებს, 2.7.
ვერ ვხვდები, რაა ჩემი ვალი, ან რას მთხოვს სჯული
და მხოლოდ შენგან ველი პასუხს, მითხარ, მასწავლე,
შენი მოწაფე, დანდობილი მსურს ვიყო სული!

2.8. რას შეუძლია გაანელოს მწარე ნაღველი?
ვერ განვიქარვებ დარდს დამდაგველს, თუნდაც დავიპყრო
და ხელის გულზე მატარებდეს ქვეყანა მთელი,
ან თვითონ ღმერთთა სამყოფელის ხელმწიფე ვიყო.

სანჯაიამ თქვა:

2.9. ასე ამბობდა მტერთა მმუსვრელი, გუნდად ეხვია ფიქრები შავი,
არ ვიომებო, დასძინა ბოლოს, თქვა და დადუმდა, დახარა თავი.

2.10. ორ ლაშქარს შუა, ჩემო ხელმწიფევე, იდგა არჯუნა, ასე მღუმარე;
ასე მჭმუნვარეს მას მიუგებდა გულთა მპყრობელი პირმოძლიმარე:

შრი ბჰაგავანმა თქვა:

2.11. ბრძენის ნათქვამს ჰგავს სიტყვები შენი, იმათ კი დარდობ, ვინც დარდად არ ღირს –
არცა ცოცხლებზე და არცა მკვდრებზე არა სწუნს ბრძენი და ცრემლსაც არ ღვრის.

2.12. ვერ არ მომხდარა, გავმქრალიყავით მე და შენ, ან ეს მეფეთა გროვა;
ღრო არ ყოფილა, არ გვეარსება, და არასოდეს ეს ღრო არ მოვა.

2.13. როგორც აქ ძალუმს სულს იყოს ბავშვი, ახალგაზრდა და კაცი ხნიანი,
ასევე იცვლის ის სხეულებსაც, თუმც არ ტყუვდება ამით ჭკვიანი.

2.14. ნივთთა შეხებას სითბო-სიგრილის, სიტკბო-სიმწარის მოაქვს შეგრძნება,
წამია მათი მოსვლაც და წასვლაც, მათი მოთმენის გქონდეს შეძლება!

2.15. ქვეყნად სიმწარეს და სიტკბობას ვინც ერთნაირად, გულმტკიცედ ხვდება,
ვისაც ვერცერთი ვეღარას აკლებს, ცად უკვდავების ღირსი ის ხდება.

2.16. ვერ იდღეგრძელებს რამ უნამდვილო და ვერ მოკვდება იგი, რაც არი;
ვინც შეიმეცნა ჭეშმარიტება, ყოფნა-არყოფნის მან იცნო ზღვარი.

2.17. მან, რაც აღავსებს ყოველს, არ იცის, რა არის კვლომა, დაძაბუნება,
მოკვლაც არ ძალუმს მისი არავის – უკვდავებაა მისი ბუნება.

2.18. ხორცი მკვდარია, სული – უკვდავი და მას ზიანი ვერ მიაღვება,
ვერ მოაკვდინებ მას, განუზომელს, აიღე ხმალი, ბრძოლის ღრო ღვება!

- უმეცარია, სული მოკვდება ან სხვას მოკლავსო, ვინც ასე ფიქრობს, 2.19.
რაც ცოცხალია, ის ვერვის მოკლავს და ვერც მოკვდება – თავს ვერ გაიქრობს.
- არ იბადება ის არასდროს, არასდროს კვდება; 2.20.
არ გაჩენილა, არა ჩნდება და არც გაჩნდება,
უჩნეულია, ძველთაძველი, მყოფი მარადის,
გვამი მიწითგან აღიგვება, ის კი დარჩება.
- ის, ვინც შეიცნო იგი – უძლევი, უბადებელი, მარად უცვლელი, 2.21.
კაცს კაცის მოკვლას ვით აიძულებს, ან თვითონ როგორ გახდება მკვლელი?!
- ტანთ იხდის კაცი, იცვლის სამოსს ნაცვამს, ნატარებს, 2.22.
ახლით ირთვება, აგდება ნახმარს, ძველს და დახეულს,
სულიც ასეა, დროს ამქვეყნად ასე ატარებს,
ძველს ისიც იხდის და იმოსავს კვლავ ახალ სხეულს.
- სულს მარადიულს ვერა ჭრის ხმალი და ცეცხლის ალი მას არ ედება, 2.23.
არ ეკარება მას არც ისარი, ქარი არ ახმობს და არც სველდება.
- უვნებელია, ცეცხლში უწველი, სამარადისო საუფლოს მკვიდრი, 2.24.
ყველგანმყოფელი, დაუძნობელი, მარად უცვლელი, ურყევი, მკვიდრი.
- მასზე იტყვიან, რომ უცვლელია, თვალთუხილველი, ფიქრმიუვალი, 2.25.
თუკი მას იცნობ, არა ხამს წუხნე, გენამებოდეს ცრემლებით თვალი.
- და რომც ფიქრობდე, რომ ისიც კვდება და ჩნდება, მსგავსად ხორცისა შენის, 2.26.
მანც არა ღირს მასზე გოდება და გმირთაგმირო, შენ ეს არ გშენის!
- ვინც იბადება, იგი მოკვდება, და ვინც მოკვდება – გაჩნდება ისევ. 2.27.
ვერ აიცილებ მას, რაც მოხდება და ამისათვის გულს დარდს ნუ ისევ!
- უხილავია ჯერ ღვთის ქმნილება, შუაგზად ხდება მხოლოდ ხილული, 2.28.
უხილავია დასასრულს ისევ, შენ რად გაჩნია მაგ გულზე წყლული?
- გონების თვალთ ერთნი ჭკვეტენ მას, ვით სასწაულს 2.29.
სხვანი აღწერენ, გამოთქმა სურთ რა სასწაულის;
ზოგნი ისმენენ, თუმც გაგება მისი არ ძალუძთ,
რადგან არავინ მას არ იცნობს, არ ესმის სულის!

- 2.30. მას, ხორციით მოსილს, ყოველ არსში მყოფს, ვერ შეეხება სიკვდილის გრდემლი და ამიტომაც არც ერთ სულდგმულზე არ ღირს გლოვობდე, გდიოდეს ცრემლი.
- 2.31. თუ ვალზე ზრუნავ, მით უფრო გამართებს თავი არ მისცე ეჭვების წყვედადს, – ვერას ინატრებს ქვეყნად მებრძოლი წმინდა საქმისთვის ბრძოლაზე დიადს.
- 2.32. ნეტარი არის ყველა მებრძოლი, წმინდა ბრძოლაში დანაბარები, თავს უძებნელად რომ დაატყდება, ვით გარდახსნილი ზეცის კარები.
- 2.33. მაგრამ თუ დაგმობ ამ წმინდა ბრძოლას და ქვეყნად მაგ ხმლით არ იმსახურებ, ვალს ვერ მოიხდი, ცოდვას მოიწევ და კაცთა რისხვას დაიმსახურებ.
- 2.34. ხალხი შეგარცხვენს სამარადჟამოდ, გადაეფარება შენს სახელს ჩრდილი; სახელს გაიტეხ, სახელოვანს კი უსახელობას უჯობს სიკვდილი.
- 2.35. გმირნი იტყვიან, ბრძოლის ველიდან ვნახეთო შიშით გამოქცეული და ვინც გაქებდა, მალე იქნება შენს მამაგებლად ისიც ქცეული.
- 2.36. არ დაცხრებიან ავი ენები, მოქმელნი სიტყვების ბილწის, მწარესი, შეგიგინებენ ნიჭსა და უნარს, რა უნდა მოხდეს სხვა უარესი?!
- 2.37. თუ დამარცხდები, ზეცას ეწევი, თუ გაიმარჯვებ, ქვეყნით დატკბები; რაღას აყოვნებ, ო, კუნტის შვილო, ხმალი აიღე, ნულარ დადრკები!
- 2.38. ხვეჭა, ზარალი, ძლევა და მარცხი, სიტგბო-სიმწარე მიგაჩნდეს არად! წაღი, ბრძოლისთვის იბრძოლე მხოლოდ, ეს დაგიღებთა ცოდვის წინ ფარად.
- 2.39. რაც ვითხარ, იყო წვდომა გონებით, აწ კი იოვას სიბრძნესაც გაძლევ; ამგვარი ცოდნით შთანაგონები საქმის ბორკილებს ეხსნები, დაძლევ.
- 2.40. არ ჩაგვერება აქ ღვაწლი წყალში, არც მოგადგება მისით ზიანი, ერთ ნაბიჯსაც კი ამ გზაზე ძალუძს საფრთხისგან იხსნას ადამიანი.
- 2.41. მთლიანი არის გონება მისი, შეუდრეკელი ვისაც აქვს ნება, გაფანტულია უგზო-უკვალოდ მერყევი კაცის ჭკუა-გონება.
- 2.42. ენა მჭევრია მცირედ მცოდნეთა, ვის უმეცრებით აბმია თვალნი, სხვა რა არისო, ამბობენ, ქვეყნად, წმინდა წერილთა კითხვით დამთვრალნი.

- ცის მოსურნენი, სურვილთა ტყვენი, საქმის წილ შობას, ბედს გპირდებიან, 2.43.
უცხოდ მორთული წირვებით ტკობას, ძალაუფლებას ეწაფებიან.
- გონდაბინდული ამგვარი ფიქრით ვინც მბრძანებლობას, ნცხრომას ვერ სწყდება, 2.44.
გონს ვერ მოიკრებს და სამადპიში უშიში, უფალს ვერ შეერწყმება.
- გუნებს განმარტავს წმინდა წერილი, შენ კი მათ მიღმა იყავი მჭკვერტი, 2.45.
განთავისუფლდი გაორებისგან – მისგან, რაც იცნო, ვით მეტისმეტი.
- ნუ მონინდომებ შეძენას ქვეყნად და შენახვისაც დათმე სურვილი,
ღამაოკები იყავი თავის, მუღამ სიწმინდით შემობურვილი.
- რა სარგებელის მომტანიც არის წყაღდილობის დროს წყაღმცირე წყარო, 2.46.
ის სარგებელი აქვს წერილისგან მას, ვინც შეიცნო უფლის სამყარო.
- შენ საქმეები გეკუთვნის მხოლოდ, ნუ ხარ ნაყოფთა შენად მგონები, 2.47.
ნურც ნაყოფისთვის დაშვრები ქვეყნად, ნურც უსაქმობას დაემონები!
- ამ იოგაში მღგარი დასაქმდი, მიჯაჭვეულობას განრიდებული; 2.48.
ერთნაირობა ბედსა და მარცხში იოგადაა სახელდებული.
- სურვილთა გამო საქმის კეთებას სჯობს, გონებით ჰქმნა საქმე ყოველი; 2.49.
შენც შეეფარე გონებას, რადგან ძუნწი ხარ, თუ სთეს და ნაყოფს ელი!
- ჩამოგმორდება აქვე ამ სიბრძნით ბედკეთილობა და წერაც ავი, 2.50.
იოგა საქმის ანაბანაა, მას შეაფარო სჯობს შენაც თავი.
- რადგან თუ იკრებს გონებას სრულად და საქმის ნაყოფს ეხსნება ბრძენი, 2.51.
კვლავ ქვეყნად შობას სცდება, ეხსნება, ჯერ ჭირუნახავ ქვეყნისა ბჭენი.
- და როს სიბრძნის უღრანი ტყიდან გონების ძალით შენც გზას გაიგნებ, 2.52.
წადილს დაკარგავ ყველაფრის მიმართ, რაც გაგიგია, ანდა გაიგებ.
- და მაშინ, როცა განაგონ აზრთა უთანხმოებით არ შეფერხდები 2.53.
და სამადპიში გონს განიმტკიცებ, თვით უზენაესს შეუერთდები.
- ვინც განიმტკიცა თავი სიბრძნეში, ჰპოვა სამადპის ვინც ნეტარება, 2.54.
როგორ სჩვევია მას საუბარი, ჯღომა რას უგავს, ან ნეტა, რება?

შირი ბჰაგავანმა თქვა:

- 2.55. არჯუნა, მისსავ ცკუის მონაგონს, უარი უთხრა ვინც ყველა სურვილს, ვინც სულში ჰპოვა სულითვე შეება, მას უწოდებენ სიბრძნით აღჭურვილს.
- 2.56. ვის გონს ვერ აკრთობს ტანჯვა-წვალება, ვინც სიამესაც თავი ანება ბრძენია, ვისაც არ ეკარება სურვილი, შიში და მრისხანება.
- 2.57. ვისაც ვერ ითრევს, ვეღარ ატყვევებს, ავი და კარგი ამქვეყნიური, ვისაც არა სურს და არც სძულს რამე, მისი სიბრძნეა მტკიცე, ღვთიური.
- 2.58. ბრძენი მაშინ ხარ, როცა კუსავით, რომ შეუძალავს შიგნით ფეხები, ალაგმავ გრძნობას და გრძნობის საგანს ჩამოაშორებ, არ შეეხები.
- 2.59. თუკი მარხულობ, ტკობის საგანი ქრება, თუმც გემო არ გავიწყდება, მხოლოდ-ღა ხილვით უზენაესის, ის საბოლოოდ ქარდება, წყდება.
- 2.60. თუმც იმისთვისაც, ვინც მართავს გრძნობებს და ცოდნით სავსე, ბრძენი კაცია, აბოპქრებულ გრძნობათა მორევს ცკუა-გონება წარუტაცია.
- 2.61. გრძნობა მოთოკე, დაჯექ და ჩემი – უზენაესის იყავ მხმობელი, ვინც გრძნობებს მართავს მისი სიბრძნეა მხოლოდ საფუძველდაუძნობელი.
- 2.62. გრძნობის საგნებზე ფიქრი და ჭვრეტა თვით ამ საგანთა ბორკილებს გადებს; მიჯაჭვეულობას სურვილი მოაქვს, მრისხანებას კი წადილი ბადებს.
- 2.63. მრისხანება შობს სიბრძნეებს სულის, ხსოვნას აკნინებს ეს უგნურება, ხსოვნის დაკარგვას გონისა მოსდევს, გონის დაკარგვას – განადგურება.
- 2.64. ვის ძალუმს ეპყრას თავიც და გრძნობაც და საგნებს შორის ასე ეტაროს, ვის ძალუმს ესნასა ზიზლსა და ნდომას, ჰპოვებს სიმშვიდეს ის სანეტაროს.
- 2.65. ამ სიმშვიდეში ყველა ტკივილი განიავდება და განქარდება და გონიც კაცის, ფიქრუშფოთველის, მალე აღდგება და გამყარდება.
- 2.66. ვინც თავს ვერ იდრეკს, არ ძალუმს წვდომა, უცხოა მისთვის გონიერება, უწვდომელად კი ვინ თქვა სიმშვიდე, ან უამისოდ ბედნიერება?!
- 2.67. დაიდგრის გრძნობა, დახეტიალობს, ფიქრიც მას მისდევს, ვერ კი აკავებს და როგორც წყალზე ნავს ქარიშხალი, გართმევს გონებას და მიაქანებს.

- სწორედ ამიტომ, მკლავმოუდრეგო, ვინც დაიოკა გრძნობიერება და ლტოლვის მიზეზს ჩამოაშორა, მტკიცეა მისი ცნობიერება. 2.68.
- სადაც ღამეა სხვა ყველასათვის, იქ თავის მფლობეი ფხიზლობას ბედავს, ხოლო სხვები კი იქა ფხიზლობენ, სადაც ღამეა მისთვის, ვინც ხედავს. 2.69.
- მუდამ სავსეა ოკეანე და მაინც მშვიდი, ედინებიან მდინარენი, მასში ქრებიან. არ აქვს სიმშვიდე სურვილთ მსურველს, მას ჰპოვებს იგი, ვისაც ერთვიან სურვილები და ინთქმებიან. 2.70.
- ვინც უარი თქვა ყველა სურვილზე და ვინც ხორციელ ვნებასაც სძლია, ვინაც არ იცის არც “მე”, არც “ჩემი”, სიმშვიდის პოვნა მას შეუძლია. 2.71.
- ამგვარ ღვთაებრივ ყოფას სულისას, თუკი მიაღწევ, აღარ შეცდები, ბოლო წამს მაინც თუ დაჰყოფ მასში, ღვთის სასუფეველს შეუერთდები. 2.72.



თავი მესამე

მოქმედების გზა

არჯუნამ თქვა:

- 3.1. თუ ამქვეყნიურ ამარ ფუსფუსს გზა შემეცნების შენ ამჯობინე, მაშ, საშინელი ეს საქმე რად გსურს, რომ ჩავიდინო, გამაგებინე!
- 3.2. თავ-გზა ამებნა ორაზროვნებით! რად გსურს ამ გულში ეჭვები თესო? შეგთხოვ, ერთი გზა მიჩვენე მხოლოდ, თქვი, რა გზა არის საუკეთესო!

შრი ბჰაგავანმა მიუგო:
- 3.3. ო, უცოდველო! ადრეც მითქვია, რომ ორგვარია თვით კაცთა წყობა, – ცოდნის მძებნელთა გზა ცოდნა არის, გზა საქმიანთა – საქმიანობა.
- 3.4. ვერ მიადწიოს უმოქმედობას, ვისაც აქვს საქმე უარყოფილი, ვერც ამ სოფლისგან განდგომით მხოლოდ ვერ შეიქნები შენ სრულყოფილი.
- 3.5. ვერვინ დარჩება ქვეყნად უსაქმოდ, წამითაც თავს მას ვერ მიანებებს, ყველა იქმს, რადგან სდევს უნებურად ზნეს ბუნებისა და მის ბრძანებებს.
- 3.6. ვინც სხეულს მართავს, ტკობის საგანს კი ფიქრებში ზურგი ვერ შეაქცია, მასზე იტყვიან, რომ ცოდნის გზაზე მხარაქვეული და თვალთმაქცია.
- 3.7. სჯობს კაცმა გრძნობა ჭკუით მოთოკო, გრძნობით მოქმედი ნაწილნი მართო და მოქმედების იოვას უძღვნა, მიუჯაჭველმა იგი წარმართო.
- 3.8. და რადგან შრომა ჯობს უსაქმობას, აკეთე ის, რაც შენი ვალია, უსაქმოდ თავსაც ვერ გადაირჩენ, ასე დალუპვაც გარდუვალია.
- 3.9. მსვერპლად უფლისთვის თუ არ დებ საქმეს, შეიბორკები ამ წუთისოფლით; მისთვის იღწვოდე უანგარიშოდ, თავგამოხსნილი შენივე ოფლით.
- 3.10. მსხვერპლთან ერთად ქმნა გამჩენმა კაცნი, უთხრა: „ეს იყოს თქვენი მზღებელი, მისით ხარობდეთ, დაე, ეს იყოს თქვენთვის ნატვრათა ამსრულებელი!“

- გიწყალობებენ მალლით ღმერთები, თუ არ მოიშლით თქვენც მათ წყალობას, ასე ერთუთრზე ზრუნვით მიწვდებით ზესთ ნეტარების წარუყალობას. 3.11.
- არ მოგაკლებენ ქვეყნად სიკეთეს გახარებულნი თქვენით ღმერთები, მაგრამ ქურდი ხარ, თუ არას გასცემ, ბოძებულნი კი ხარობ და ტკებები! 3.12.
- ის, ვინც ჯერ უფალს სთავაზობს ტრაპეზს, განიძარცვება ცოდვით ყოველით, ის, ვინც თავისთვის ამზადებს საჭმელს, ცოდვას მიირთმევს მისივე ხელით. 3.13.
- მარცვალი არის სულდგმულთა საზრდო, ამქვეყნად წვიმის გამო შობილი, წვიმას წირვა შობს, გაღება მსხვერპლის, თვითონ კარმისგან წარმოშობილი. 3.14.
- კარმა ბრაჰმამ შვა, ხოლო ბრაჰმა კი თავად უქმნია მას, წარუხოცველს; მსხვერპლში დაუდევს ამიტომ ბინა უფალს, ყველგან მყოფს, ყოველის მომცველს. 3.15.
- ვინც ასე მზრუნავს განუდგა ბორბალს და ხელთ უპყრია ცოდვის სასმისი, დასჯერებია ვინც გრძნობით ტკებობას, ამაო არის ცხოვრება მისი. 3.16.
- ვინც თავის თავში ჰპოვებს სისავსეს, თავის თავშივე შვების მპოველი, აღარ აქვს საქმე იმას ამქვეყნად, – ვინც თავის თავში ჰპოვა ყოველი. 3.17.
- ამ ქვეყანაზე მას არ აქვს მიზნად უსაქმობა ან საქმის მცდლელობა, არც არავისგან სურს ამისათვის მას პატრონობა და მფარველობა. 3.18.
- ნუ დაებმები ამიტომ საქმით, უანგარიშოდ ვალი ასრულე! უფალს იხილავ, ყოველი საქმე მიუჯაჭველმა თუ გაასრულე. 3.19.
- სწორედ მით იქმნა ჯანაკა სრული, რომ მოიხადა მან სოფლის ვალი, შენც სიმრთელისთვის იღწვოდე სოფლის, მასზე გეჭიროს სულმუდამ თვალი. 3.20.
- რადგან გახსოვდეს, ხალხი იმას იქმს, რასაც აკეთებს მისი რჩეული, მას იმეორებს, რაც რჩეულისგან აქვს მაგალითად გამორჩეული. 3.21.
- სამ სამყაროში მე არ მაქვს ვალი, არ მაქვს საღვაწი და საშრომელი, მაინც ვიქმ, თუმც კი არაფერი მაქვს მისაწვდომი ან მიუწვდომელი. 3.22.
- დაუცხრომელად საქმის კეთება მე წამით მაინც რომ დამეხანა, ო, პართჰას შვილო, უთუოდ ჩემ გზას დაადგებოდა მთელი ქვეყანა. 3.23.

- 3.24. რომ არ მეკისრა მე ვალი ჩემი, მთელი სამყარო დაინთქმებოდა, სულდგმულთ ჩემს გამო თავს აღრევა და აღსასრულის დღე დაატყდებოდა.
- 3.25. ბჰარატას მოდგმავ, საქმეს აკეთებს და ეჯაჭვება უცოდინარი, მიუჯაჭველად დე დაშერეს მცოდნე, სოფლის სიმრთელის მსახურად მდგარი.
- 3.26. დაე უმეცართ, მიჯაჭვულთ საქმეს, ნულარ აუბნევს იგი გონებას, დე, დაასაქმოს ისინი საქმით, ნურც თვით დააკლებს მას მონდომებას.
- 3.27. თვითონ სრულდება ყოველი საქმე, ბუნების ძალით, მისივე ნებით, მე ვაკეთებო, ასე ჰგონია კაცს, გონდაბინდულს თავმომწონებით.
- 3.28. მაგრამ მცოდნე კი, ვისაც უცვნია გუნებისა და საქმის ბუნება არ ეჯაჭვება – უწყის, რომ საქმე გუნის გუნაში არის ბრუნება.
- 3.29. ბუნების ძალით თვალახვეულს კი ბორკავს საქმენი ამქვეყნიური, გონს ნუ აუღვრევს დე, ცოდნანაკულს, ვისაც აქვს სიბრძნე სრული, ღვთიური.
- 3.30. მაშ სულს მიენდე, შენი „მე“ დასთმე და მე მომიძღვენ საქმე ყოველი, ურვა განაგდე, იყავ მებრძოლი, უანგარო და არასმთხოველი.
- 3.31. ჩემი მარადი სიტყვით ცხოვრებას დღემუდამ რწმენით თუ მოუნდები, თუკი გაჰყვები მას უდრტვინველად, ჩამოგცილდება საქმის ხუნდები.
- 3.32. ხოლო იმათ კი, ჩემს სიტყვაში რომ ხინჯს დაეძებენ, არ მიჰყვებიან, მხარი ექცევათ ყოველ ცოდნაში და უმეცარნი იღუპებიან.
- 3.33. ყოვლადბრძენიც კი, ყოვლის შემტყობი, თავის ბუნების ჭკუაზე დადის, ბუნების ძალით იძვრის ყოველი, მისი ჩახშობა კარგს რას გიქადის?!
- 3.34. თვითონ გრნობაში აქვს დასაბამი გრძნობის საგანთა ზიზლსა და წადილს, ნუ ემონები, ორთავ მტრად სცანი, ცნობდე შენს გზაზე მტერს და მის ქადილს.
- 3.35. სჯობს შენი საქმე აკეთო ცუდად, ვიდრე კარგად ვლო სხვისი სავალი; საკუთარ ბედში სიკვდილი გიჯობს, სახიფათოა სხვა კაცთა ვალი.
- არჯუნამ თქვა:
- 3.36. მაშ რა უბიძგებს კაცს ცოდვისაკენ, რომ არ სურს, მაგრამ მის უნებურად, ძალას ატანდეს თითქოსდა ვინმე, სცოდავს და სცოდავს კვლავინდებურად?!

შრი ბჰაგავანმა მიუგო:

- კაცს სურვილი და რისხვა აცდუნებს, რაჯასი არის მათი მშობელი, 3.37.
 ისაა კაცის მტერი უძღები, მისგან აქვს ტანჯვა დაუშრობელი.
- და როგორც სარკე იფარება მტერთი, ხოლო კვამლით კი ცეცხლი, ალება, 3.38.
 როგორც ნაყოფი დედის შუცელით, ცოდნა სურვილით მიიჩქმალება.
- დაფარულია მისითვე სიბრძნე, ბრძენთა მტერია დაუცხრომელი, 3.39.
 უძღები არის ვნება-წადილი, ცეცხლივით ხარბი და უძღომელი.
- გრძნობები, ჭკუა და თვით გონება, მისი სახლი და კარია ყველა 3.40.
 და კაცს ატყუებს, ცოდნას უმაღლავს, რადგან იმათი აქვს მუდამ შველა.
- გრძნობები მართე პირველ ყოვლისა, მოძმეთა შორის შენ ხარ ძლიერი, 3.41.
 და მოაკვდინე იგი – ბოროტი, სრულყოფილების და სიბრძნის მტერი!
- ხორცს გრძნობა მეტობს, გრძნობას კი ჭკუა, გონი ჭკუაზე მაღლა მდგომია 3.42.
 ხოლო იგი კი – წარუხოცელი, გონებისთვისაც მიუწვდომია.
- მას, გონზეც მაღალს, იცნობდე, გქონდეს, ზღუდე სულისა მკვიდრად ნაშენი 3.43.
 და სძლიე მტერი, ძნელდასაძლევი, მტერი, სახელად სურვილი შენი.



თავი მეოთხე

საქმისგან ცოდნით განდგომის გზა

შრი ბჰაგავანმა თქვა:

- 4.1. ვივასვანს ვამცნე სიტყვა უკვდავი, ჟამს ოდეს თავად სამყარო იშვა, მანუს გაანდო ის ვივასვანმა, მანუმ თავის შვილს უამბო, იშვაკს.
- 4.2. ყველა სწავლობდა მას ბრძენი მეფე, რომ მემკვიდრისთვის კვლავ გადაეცა, თუმც გაცამტვერდა ცოდნა დიადი, დროთა ტრიალში იგი დაეცა.
- 4.3. ეს უდიდესი იოგა ძველი, მე დღეს უკლებლივ შენ გაგიმხილე, მეგობარი ხარ ერთგული ჩემი, ეს საიდუმლოც მისთვის იხილე.

არჯუნამ თქვა:

- 4.4. შენ ახლა გაჩნდი, ვივასვანი კი წინაპარია კაცთა პირველი, როგორ ვირწმუნო, რომ შენ იმისი ხარ დამმოდღვრავი თავდაპირველი?

შრი ბჰაგავანმა მიუგო:

- 4.5. მტერთა მძლეველო, ქვეყნად გაჩენა ჩვენი მე და შენ ბევრჯერ გვინახავს, მე ყველა მახსოვს ისინი, შენ კი, ხსოვნაში ერთიც არ შევინახავს.
- 4.6. თუმც უფალი ვარ, არსთა მეუფე, მარად უცვლელი, დაუბადები, ჩემს თავს ჩემივე მაიას ძალით ვმართავ და ვჩნდები, ხალხს ვეცხადები.
- 4.7. როცა ეცემა ქვეყნად სიწმინდე, უკეთურობით ქვედამზობილი, მე ვველინები ქვეყნიერებას, ჩემივე ნებით გამოხმობილი.
- 4.8. ბოროტეულთა მღეწველად, მკვლელად, მართალთა შემწედ, და მათდა მხსნელად, ჟამიდან ჟამად მე ვიბადები სჯულიერების დამდგენად, მცველად.
- 4.9. ვინც დაბადება ჩემი ღვთიური და საქმეები უცდომლად იცის, მოვა ჩემამდე ის უცილობლად, არ უწერია კვლავ ხილვა მიწის.
- 4.10. ბევრმა, მძლემ შიშის, სურვილის, რისხვის, ჩემით აღვსილმა და მონდობილმა ბინა დაიდო ჩემს საუფლოში, სიბრძნით ნაწრთობმა და განწმენდილმა.

- როგორც მოვლენ, ისე მივიღებ, ისევე ვწყალობ, როგორც მხედებიან, 4.11.
საითაც უნდა წავიდნენ კაცნი, მაინც ჩემი გზით იარებიან.
- ცად ღმერთებს უძღვნის მოკვდავი საწირს, საქმე თავისი ბედს რომ აწიოს, 4.12.
მაღე მიაღწევს საწადელს კაცი, ქვეყნად რომ შრომის ჭაპანი სწიოს.
- მე შევქმენ კაცთა ოთხი წოდება, ყველა მისსავ ზნის კვალად მოქმედი, 4.13.
თუმც უცვლელი ვარ და უმოქმედო, იცოდე, მაინც ვარ შემოქმედი.
- ვერ შემბლაღვენ მე საქმეები და არც ნაყოფნი მათი მწადიან, 4.14.
ვინც ეს შეიცნო, საქმენი მისნი ტყვეობას არც მას არ უქადიან.
- ამგვარი ცოდნით უძღოდნენ საქმეს თავისუფლების მძებნელნი ძველად, 4.15.
შენც გაისარჯე, ვით წინაპარნი იღწვოდნენ შენნი მუხლჩაუხრელად.
- რა არის საქმე, ან უსაქმობა, ამას ბრძენნიც კი დაუბნევი, 4.16.
განერიღები ბედის სიმწარეს, თუ სიტყვა ჩემი გულს გაბნევი.
- უნდა იცოდე, რა არის საქმე, თუმც უსაქმობაც საცოდნელია, 4.17.
სადრახი საქმის გარჩევაც გქონდეს, მათი გზა-კვალის ცნობა ძნელია.
- ვის უქმობაში უცვნია საქმე, ქმნა კი უქმობად მიუჩნევი, 4.18.
გონიერია ის სხვაზე უფრო და გულისყურით შრომა სჩვევი.
- ბრძენად გიხმობენ, თუ საქმეს იწყებ, მაგრამ სანაცვლოდ არას მოელი, 4.19.
თუ ცოდნის ცეცხლში გადაისროლე საქმიანობის კვალი ყოველი.
- ვინც ეხსნა ნაყოფს და მუდამ მშვიდი, თავისი თავის არის უფალი, 4.20.
თუმც შრომობს მუდამ, უქმეა მაინც და საქმისაგან თავისუფალი.
- ვინც იმორჩილებს თავსა და ფიქრებს, არას მოელის, არც რის სურს ფლობა, 4.21.
იგი, ვინც სხეულს ასაქმებს მხოლოდ, საქმით ცოდვაში არ ჩაეფლობა.
- შურს, გაორებას ვინც გადაძლევს და რას ბედი მისცემს, მას დასჯერდება, 4.22.
სწორად შეხვდება ვინც მარცხს და ილბაღს, საქმით ბორკილი არ დაეღება.
- თავდახსნილმა და მიუჯაჭვევმა, აზრით სიბრძნეში ურყევად მდგარმა, 4.23.
საქმე სამსხვერპლოდ ვინც მიიტანა, ქარად იქცევა იმისი კარმა.

- 4.24. ღმერთია მსხვერპლიც და მისი წირვაც, ცეცხლიც, სამსხვერპლოდ რომ უნდა ენთოს, ღმერთს ღმერთი სწირავს, რომ ჩაძირული უფლის საქმეში უფალს შეერთოს.
- 4.25. ღმერთებს შესწირავს ზოგი იოგი, თაყვანი მხოლოდ მათთვის უცია, ზოგს კი შეწირვით თვით მსხვერპლშეწირვა უფლის ცეცხლისთვის გადაუცია.
- 4.26. ვის სმენა მიაქვს, ან სხვა რამ გრძნობა, მსხვერპლად დათმენის საკუთხეველთან, ვის ბგერის დარი გრძნობის საგანი დაუღევს გრძნობის სამსხვერპლო ცეცხლთან.
- 4.27. ზოგი თვით სუნთქვის მოქმედებას და მთელი თავისი გრძნობების კრებულს, სწირავს დათმენის სამსხვერპლოს წმინდას, ცოდნის ნათელით გაცისკროვნებულს.
- 4.28. ვინ სიმდიდრეს თმობს, ვინაც თავს იწრთობს, ვინ მსხვერპლად ტანჯვას, დათმენას სწირავს, ვინ განმდგარა და აღთქმის ერთგული ცოდნის მსხვერპლს იღებს – წიგნი უჭირავს.
- 4.29. ვინ ჩასუნთქვას თმობს ამოსუნთქვისთვის, ამოსუნთქვას კი ჩასუნთქვას ართავს, ასე აკაგებს სუნთქვის დინებას და სასიცოცხლო ნაკადებს მართავს;
- 4.30. ვინ ჩასუნთქვასვე სწირავს ჩასუნთქვას, ასე სურს მარხვა, სუნთქვის სწორება მსხვერპლის მცოდნეა ამათვან ყველა და მსხვერპლით ცოდვას განეშორება.
- 4.31. ის, ვინც სვამს წირვის ნარჩენთა ნექტარს, ღვთის სასუფეველის შეაღებს კარებს, აქაც ვერ ხარობ თუკი უმსხვერპლოდ, სხვა ქვეყნად მითხარ, რა გაგახარებს?
- 4.32. მსხვერპლი სხვადასხვა უფლის წინაშე გადაშლილია და გარდახსნილი საქმით შობილა, იცოდე, ყველა და შენც იქნები ცოდნით დახსნილი.
- 4.33. სჯობს ცოდნა სწირო, ვიდრე გაილო ნივთიერი რამ, მოჩვენებითი, ცოდნისკენ მიდის მაინც ამქვეყნად ყოველი საქმის გზა ბუნებითი.
- 4.34. ნახე მოძღვარი და ემსახურე, ჰკითხე, თაყვანი მდაბლად უძღვენი და გაზიარებს შენც დიად სიბრძნეს ჭეშმარიტების შემცნობი, ბრძენი.
- 4.35. აღარ შეცდები, შენც სინამდვილის გულში წვდომა რომ შეგაძლებინა, ნახავ, რომ შენში, ასევე ჩემში დაუღევს ყველა სულიერს ბინა.
- 4.36. ცოდვებით სავსეც რომ იყოს კაცი, მასზე ცოდვილი სხვა რომ არ იყოს, ისიც კი შეძლებს ცოდნის ხომალდით სული ცოდვათა ზღვიდან გარიყოს.

- არჯუნა, როგორც ცეცხლი ნთქავს შეშას და აღარ რჩება ხისაგან კვალი, 4.37.
ასე საქმეთა ყოველ ნაკვალევს შლის, აცამტვერებს, სპობს ცოდნის ალი.
- და რადგან ქვეყნად განმსპეტაკები სიბრძნეზე დიდი არ არსებულა, 4.38.
თვითონ იჰოვის მას თავის თავში ის, ვინც იოგას სრულქმნით ქებულა.
- თუ მორწმუნე ხარ, უფლის ერთგული და თუ გრძნობებიც შენ გადაძალე, 4.39.
ეწევი სიბრძნეს, მასთან ერთად კი ღვთიურ სიმშვიდეს იჰოვი მალე.
- დაილუპება კაცი ურწმუნო, უმეცარი და მიუნდობელი, 4.40.
ვერ მოუტანენ ეჭვიანს შვებას ვერც ეს ქვეყანა, ვერც სხვა სოფელი.
- ვინც იოგას გზით განუდგა საქმეს და ჩასცა ეჭვებს ცოდნის მახვილი, 4.41.
არ იბორკება ის საქმეებით – თავის მომღრეკი, გადამლახველი.
- მაშ, შენც გაჰკვეთე ცოდნის მახვილით ეჭვი სიბეცით გულში შობილი, 4.42.
იოგას გზაზე დადექი მტკიცედ, ადექი, ბრძოლად ხარ მოხმობილი!



თავი მეხუთე

საქმისგან განდგომის გზა

არჯუნამ თქვა:

- 5.1. განდევილობა შეამკე ხოტბით, მაგრამ შრომაც ხომ ქებით მიხსენე? გარკვევით მითხარ, რა გზას ღვადაღე, რა გზა ჯობს ჩემთვის, გთხოვ, ამიხსენი!

შრი ბჰაგავანმა მიუგო:

- 5.2. მოქმედებაც და განდევილობაც ერთავ ხსნიხათვის დანაწესია, თუმცა შრომაზე ხელის აღებას საქმე აკეთო, უმჯობესია.
- 5.3. განდევილია, ვისაც ამქვეყნად არც ზიზღი იპყრობს, აღარც წადილი, გაორებისგან თავის მხსნელისთვის ტყვეობისაგან ხსნაა აღვილი.
- 5.4. გზებს ცოდნისა და მოქმედებისა ბრძენი კი არა, ბავშვიც არ გაჰყოფს, ვინც ერთ გზას მანც აღვას გზიანად, ორივე გზისას მოიწევს ნაყოფს.
- 5.5. რასაც კი წველები ფიქრით და ბჭობით, საქმის წილადაც იგივე გხვდება, ერთია ბრძნობა და საქმოსნობა, მართლად მხედია, ვინც ამას ხვდება.
- 5.6. ძნელად ეწიოს განდევილობას კაცი, უსაქმოდ დაყუდებული უფალთან მივა დაუხანებლად ბერი, იოვას წრთობით ქებული.
- 5.7. ვინც განსპეტაკდა იოვას ღვაწლით, თავს მოერია, მოდრიკა ვნება, ვინაც შეერთო ყოველ სულთა სულს, საქმის კეთებით არ შეირყვნება.
- 5.8. მე თვით არას ვიქმ, როს ვხედავ, ვისმენ, როს მძინავს, ვსუნთქავ, დავიარები, — ასე სჯის კაცი გონმოკრებილი, ჭეშმარიტებას ნაზიარები.
- 5.9. როცა ვსაუბრობ, მივიღებ, გავცემ, და მაშინაც კი, როს ვახელ თვალებს, ეს გრძნობა ჩემი იღვიძებს მხოლოდ და გრძნობის საგანს თავს დასტრიალებს.
- 5.10. ვინც უზენაესს შესწირავს საქმეს და უანგაროდ მუდამ ასრულებს, ვერ შეეხება იმას ცოდვები, ისე, ვით წყალი ლოტოსის ფურცლებს.
- 5.11. ოდენ სხეულით იქმან იოვნი, ჭკუით, გონებით და გრძნობით ოდენ, რადგან იციან, მიუჯაჭველნი ხამს განწმენდისთვის ოდენ იქმოდენ.

- ვინც არ სდევს საქმის ნაყოფს და ბოლოს, ციურ სიმშვიდის შეაღებს კარებს, ვინც მონაგართ ტკობისთვის შრომობს, შეიბორკება, ვერ გაიხარებს. 5.12.
- სული ხორცსმული, ყოველი საქმის ჭკუით დამთმობი, თავის მთოკველი, აღარც თვით იქმს და არც სხვას ასაქმებს, ცხრაბჭიან ქალაქს ზის უმფოთველი. 5.13.
- უფალი არ შობს კეთების სურვილს, არც საქმეს აჩენს განგების ნება, საქმეს ნაყოფთან არ აკავშირებს, ამას ყველაფერს ბუნება შეება. 5.14.
- ზეცა არ იცნობს მოკვდავთა ცოდვებს, არც მაღლთანა აქვს საქმე განგებას, თუმც უმეცრება ფარავს ცოდნას და ვერვინ ახერხებს ამის გაგებას. 5.15.
- მაგრამ როდესაც ამ უმეცრებას გაფანტავს სულის ცოდნა დიადი, საჩინოს გახდის ის უზენაესს, ქვეყანას აჩენს ვით განთიადი. 5.16.
- ვინც მასში დანთქავს გონებას, სულსაც და ნავსაყუდელს მასში აიჩენს, განიწმინდება ცოლნით ცოდვისგან და საშუალოდ თავს გადაიჩენს. 5.17.
- ბრძენს სწორად უჩანს ძროხა და მღვდელი, ცოლნით, ზრდილობით ნაქები, ქველი, სულერთი არის იმისთვის სპილო, ძაღლი ან თუნდაც ძაღლისმჭამელი. 5.18.
- აქვე დასძლია წუთისოფელი, ვინც ერთობას ჭვრეტს, აღუშფოთველი, უფალში სუფევს, რადგან უფალიც არგანმრჩევი და უცოდველი. 5.19.
- სოფლის სიახე მას არ ახარებს, არც სატანჯველით სჭირს დაღონება, უფალთანაა უფლის მცნობელი, რადგან მტკიცეა მისი გონება. 5.20.
- თავისთავშივე იპოვის ღებნას, ვინც არ ტყვევდება გარეგან გრძნობით, უღევ სიხარულს დაეწაფება, ვინც უზენაესს მიაღწევს წრთობით. 5.21.
- ტანჯვის წყაროა სიამოვნება თუ შეხებაა მისი მშობელი, დასწყისი აქვს და დასასრული, არ მიენდობა კაცი მბჭობელი. 5.22.
- ვის ძალა შესწევს დასძლიოს ჟინი, წადილისა და რისხვისმიერი დასძლიოს აქვე, ხორცთან გაყრამდე, თავის მფლობია და ბედნიერი. 5.23.
- ბედნიერებას, სიხარულს, ნათელს ვინც თავისთავში არის წეული, უერთსულდება ღმერთს ის იოგი, მასში შესული და შეღწეული. 5.24.

- 5.25. ნახავს ღმერთს ბრძენი, ცოდვის დამძლვევი და გაორება განქარვებული, ვინც თავს მეუფებს და სხვა სულდგმულთა სიკეთითაა გახარებული.
- 5.26. ვინც ეხსნა სურვილს და განრისხებას, დაიმორჩილა ვინც ფიქრთა ზვაევი, მისთვის იხსნება ბჭენი ზეცისა, – იმისთვის ვინაც შეიცნო თავი.
- 5.27.-28. გრძნობას გარეგანს ვინც ჩამოსცილდა და წარბთა შორის მიაპყრო თვალი, სუნთქვის ნაკადიც მოიწესრიგა ვინც აღმავალი და დაღმავალი;
- ვინც დაეუფლა გონს, გრძნობებს, ფიქრებს და განდეგილი ხსნას მიზნად სახავს, ვინც სძლია სურვილს, შიშსა და რისხვას, თავისუფლებას მარადისს ნახავს.
- 5.29. მე ვარ მეუფე ცისა და მიწის, მესაიდუმლე ყოველ სულდგმულის, მე ვიწვევ მსხვერპლის, თმენის ჭირნახულს, ვინც მიცნობს, ჰპოვებს მშვიდობას სულის.



თავი მეექვსე

თავის დაოკების გზა

შრი ბჰაგავანმა თქვა:

- ვინც არ გაურბის მის საკეთებელს და არც სარგებელს ეპოტინება, იოგიცაა და განდევნილიც ის, ვინც შრომაც და წირვაც ინება. 6.1.
- ო, პანდაველო, იოგა არის, ის რაც განდგომა ხალხსა ჰკონია, რადგან იოგი ის ვერ გახდება, ვინც გულისწადილს არ განდგომია. 6.2.
- საქმეს მოიხმარს განმდგარი ხერხად, თუ იოგას გზის გახდა მხლებელი, მაგრამ თუ შედგა ფეხი მწვერვალზე, უქმეა მისი საკეთებელი. 6.3.
- მწვერვალს ის მისწვდა, ვინც გრძნობის საგანს და საქმეებსაც უთხრა უარი, ვინც აღარ ზრუნავს ჟინის მოკვლისთვის, რადგან განავლო ეს სატყუარი. 6.4.
- არ დაიკნინოს, დე კაცმა თავი, დე თვისით იქმნას ამაღლებული, მეგობარია კაცი თავისა და მტერი, მახვილამოღებულ. 6.5.
- მეგობარია კაცი თავისა, თუ მომრეგია მისი, მთოკავი, მაგრამ თუ ვერ სძლევეს, ლაგამს ვერ მოსდებს, მტრად გაუხდება თავისი თავი. 6.6.
- ზენარ სულშია განმტკიცებული, ის ვინც თავს სძლია, ნახა მშვიდობა, თავს ლაფი ასხან, გინდ პატივი სცენ, დარი ზვდეს, გინდაც უამინდობა. 6.7.
- ზესულს შეერთო, ის, ვინც მტკიცეა, ვინც დასცა გრძნობა და დაამიწა, ვინც ბრძენია და სიბრძნით მოქმედი, ვისთვის ერთია ოქრო და მიწა. 6.8.
- ვისთვის ერთია ნაცნობ-უცნობი, მოძმე, მოძულე, მტერი, მოყვარე, ვინც არ განარჩევს წმინდანს და ცოდვილს, ის არის ქველი და კაცთმოყვარე. 6.9.
- ხამს განმარტოვდეს იოგი მიწვივ და ყურადღება მოკრიბოს სრული, იყოს მომდრეკი გრძნობის და ფიქრის, არასმქონები, სურვილმოსრული. 6.10.
- სუფთა, უკაცურ ალაგას ნახოს მიწა მაგარი, სწორად ნაგები, ტყავი გამალოს წმინდა ბალახზე და ზედ ქსოვილის დალოს საგები. 6.11.

- 6.12. დაჯდეს, მოთოკოს გრძნობა და ფიქრი, გაფანტულობა ფიქრის აღკვეთის, იოგას მიჰყვეს და ყოველივე განწმენდისათვის ოდენ აკეთოს.
- 6.13. გამართოს ტანი, კისერი, თავი, იყოს უძრავი და უცვალები, მშვიდად მიაპყროს მზერა ცხვირის წვერს და არ გაექცეს სხვაგან თვალები.
- 6.14. დე, იჯდეს მშვიდი და უშიშარი, უბიწოების აღთქმის ერთგული, მიზნად დამსახოს გონმოკრებილმა და ჩემზე ფიქრში დაიცხროს გული.
- 6.15. ასე დღემუდამ სულში დანთქმული, იოგი, ფიქრებადაამებული, ნახავს მშვიდობას და ნეტარებას, ჩემს საუფლოში დავანებული.
- 6.16. ვერ სდევს იოგას კაცი უჭმელი და ვერც უზომოდ მუცლის მძღობელი, მას ვერ ეწევა ვერც უძილო და ვერც მეტისმეტი ძილის მცხობელი.
- 6.17. ვინც ზომიერად ჭამს და ისვენებს, მზეს დროზე ხედება, დროზე აცილებს, ვინც ზომიერად ებმება საქმეს, იოგა ტანჯვას მას მოაცილებს.
- 6.18. როდესაც ფიქრი მოთოკილია, წადილისაგან თავისუფალი, მენივთულია როცა ის სულთან, ითქმის რომ ნახა კაცმა უფალი.
- 6.19. უქარო ალაგს თუ დგას ლამპარი, სიო არ არხევს, არ იძვრის ალი, თავის სულშივე დანთქმულის ფიქრიც უმფოთველია და შეუმკრთალი.
- 6.20. როს მიწყნარდება, ჩადგება ფიქრი, იოგას წრთობას მონებებული, თვით სული იცნობს სულს უზენაესს, მისითვე სავსე, მოსვენებული.
- 6.21. ეს ნეტარება გონით საწვდომი გრძნობისთვისაა მიუწვდენელი, არ არის ძალა მისი შემცნობის ჭეშმარიტ გზიდან გადამცდენელი.
- 6.22. აღარას ეძებს მისი მპოვნელი, იცის, არ-რა არს ამაზე მეტი, ვერ შეარყიოს ის სატანჯველმა, რაგინდ დაესხას სიმწრისგან რეტი.
- 6.23. იოგა ტანჯვის ხუნდთა წყვეტაა, სხვა ნურაფერი ნუ გეკონება, ხამს მტკიცე იყოს და უსურვილო ამ გზით მავალი კაცის გონება.
- 6.24. დე, მიატოვოს დაუნანებლად ვნება გულისთქმის ჩაწვეთებული, ჭკუით მოთოკოს, გზა აღარ მისცეს, მოსრას გრძნობათა მთელი კრებული.
- 6.25. ასე თანდათან, მტკიცე გონებით დაე, სიმშვიდეს ის მიეახლოს, სულში დანთქმულმა მთელი არსებით არ გაიკაროს სხვა ფიქრი ახლოს.

- საითაც უნდა გაექცეს ფიქრი, მუდამ მერყევი, მოუსვენარი, 6.26.
დაე, მოდრიკოს დაუღალავად და სულის ნებით დაუდოს ზღვარი.
- თუკი გულს იცხრობს, იოკებს ვნებას და მოუშობელს ცოდვას არ ტოვებს, 6.27.
უერთსულდება იოგი უფალს და ზესთა ლხენას, მარადისს, ჰპოვებს.
- ასე დღემუდამ სულში დანთქმული, განრიდებული ცოდვის ტარებას, 6.28.
მაღე ეწევა ის ღმერთთან შეყრის მარად სიხარულს და ნეტარებას.
- იგი, ვინც სულს სჭვრეტს ყოველ სულდგმულში, თავად სულში კი ყოველ არსებას, 6.29.
ის, ვინც სულს წრთობით გაუერთსულდა, ყოველივეში ჰპოვებს მსგავსებას.
- ის, ვინც მე მხედავს ყველგან, ყოველში და ყოველივეს ჩემშივე სახავს, 6.30.
არ განმშორდება არასოდეს და მეც მისგან წასულს ვერასდროს მნახავს.
- ვინც დაიმკვიდრა ყოვლის ერთობა და მე ვუყვარვარ – არსთ ბინადარი, 6.31.
სადაც არ იყოს და იარსებოს, ჩემშია მაინც, ჩემს ბინად არი.
- ვინც არ განარჩევს ბელს, უბედობას, ის იოგია ქვეყნად ქებული, 6.32.
ის, ვინც იხილა ყოვლის ერთობა, სცნო ყველა ერთ სულს მიმსგავსებული.
- არჯუნამ თქვა:
- შენ მე ერთობის იოგას მამცნობ, ფიქრი კი ზღვაა, მოუსვენარი, 6.33.
საფიქრელია, რომ საძირკველი ამ იოგასი არ არის მყარი.
- როგორ ვიფიქრო მოთოკვა მისი, დაუდგრომელის და ბობოქარის, 6.34.
ძნელი იქნება ჩემთვის ეს საქმე, როგორც დაჭერა მინდორში ქარის!
- შრი ბჰაგავანმა მიუგო:
- მძლეთამძლე გმირო, ურჩია ფიქრი, ძნელია მისი დაშოშმინება, 6.35.
თუმც შესაძლოა, თუ თავის წრთობა და უნდომლობა გულმა ინება.
- ძნელად ეწევა კაცი იოგას თუ ვერ ერევა ფიქრებს უმართავს, 6.36.
მას ის მიაღწევს, ვისაც უცდია და სწორი გზებით ჭკუა უმართავს.
- არჯუნამ თქვა:
- რა ბედი ელის, მას ვინც ვერ განდგა, თუმც გულით სწამდა, გულით ეწადა, 6.37.
მას, ვინც ვერ შესძლო, ფიქრი დაეპყრო და სრულქმნილება გამოეცადა?

- 6.38. ნუთუ ამცდარი ორივე ბილიკს, ორივე გზაზე მხარაქცეული, არ იღუპება საყრდენმოცლილი, როგორც ღრუბელი, ქარად ქცეული?
- 6.39. ო, ეს ეჭვია მე რომ მაწვალებს და უსათუოდ მსურს განმმარტო, მსურს გამიფანტო, ქარს მისცე სრულად, რადგან ეს ქვეყნად შენ ძალგამს მარტო!
- შრი ბჰაგავანმა მიუგო:
- 6.40. არც იმ ქვეყნად და არც აქ, მიწაზე იმას დაღუპვა არ უწერია, ავს არ მოიწევს, ვის სიკეთის ქმნა გულის ფიცარზე დაუწერია.
- 6.41. ცად მაღლისმქმნელთა ალაგს იმკვიდრებს, ვისაც კი ფეხი გზად უბრუნდება, შემდეგ ბედსვიან, ზნიან ოჯახში ამ წუთისოფელს კვლავ უბრუნდება.
- 6.42. ანდა ეწვევა იოგთა ოჯახს, სახლს ბრძენისა და ყოვლის მიმხვედრის, თუმც წუთისოფლის სტუმართა შორის ცოტა თუ ხდება ღირსი ამ ხვედრის.
- 6.43. და რადგან ყველა სულდგმულს ამქვეყნად წინა სიცოცხლის მოსდევს შეგნება, დასახლებული ახალ სხეულში ის კვლავ სრულყოფის გზაზე შედგება.
- 6.44. მისსავ ნაღვაწით მის უნებურად ის შეიქნება ისევ ძლეული, მხოლოდ მსურველსაც იოგას წრთობის, წერილთა სიტყვა აქვს მოლეული.
- 6.45. ვისაც კი განწმენდს ცოდვებისაგან იოგას გზაზე გულმოდგინება, მრავალჯერ მოსვლით ვინც ჰპოვებს სრულქმნას, ზესთა სამყოფელს დაედგინება.
- 6.46. მცოდნეს, საქმის კაცს და ტანჯვის მთმენსაც აღემატება ამ გზით მავალი, იოგას სდიე შენც, მას მიუძღვენ ძალ-ღონე შენი და მომავალი.
- 6.47. იოგთა შორის იმას ვუწოდებ მე ღმერთთან შეყრილს, გზადასრულებულს, ვისაც მე ვწამვარ და მე ვუყვარვარ, თვით სულით ჩემთან გაერთსულებულს.



თავი მეშვიდე

ცოდნა და გასხვივოსნება

შირი ბჰაგავანმა თქვა:

- 7.1. ისმინე, პართჰავ, თუ ვით შემიცნობ ჩემი კალთის ქვეშ ბინის მნახველი, იოგი, ჩემსკენ გულმობჰყობილი, ეჭვთა მორევის გადამლახველი.
- 7.2. მე ცოდნისა და გასხვივოსნების შენთვის ვიქნები სრულად მცნობელი, არა რჩება რა მთელს ცისქვეშეთში ამის შემცნობელს შეუცნობელი.
- 7.3. მრავალ ათასში ერთი თუ მისდევს სრულქმნილების გზას გულმოდგინებით თუმც იმათგანაც, ვინც ჰპოვა სრულქმნა, ერთი თუ მიცნობს დანამდვილებით.
- 7.4. მიწა და წყალი, ცეცხლი, ჰაერი, ეთერი, გონი, მის წინ გუნება, შემდეგ მეობა, – აი, ეს არის რვად დაყოფილი ჩემი ბუნება.
- 7.5. ეს უმდაბლესი არსია ჩემი, აწ კი სხვა იცან – სული ცხოველი, მასზე დგას მთელი ცისქვეშეთი და მისით სულდგმულობს არსი ყოველი.
- 7.6. ამ ორ საშოდან იშვის ყოველი, იშვის სიცოცხლე სოფლის მდგომარეობის, მე ვარ სამყაროს შემოქმედი და მიზეზი მისი განადგურების.
- 7.7. არაფერია, განძთა მხვეჭელო, თვით ჩემზე უფრო მაღლად დასხმული, ჩემს გარშემოა სხვა ყველაფერი, ვით მარგალიტი, ძაფზე ასხმული.
- 7.8. წყალთა გემო ვარ, მზის ელვარება, ღამით კი მთვარის სხივთ მოვანება, წმინდა სიტყვა ვარ, ბგერა ჰაერში, კაცში კი გულის სიმთ ხმოვანება.
- 7.9. ვარ მაღლიანი მიწის სურნელი, ბრწყინვა-ციალი ვარ ცეცხლის აღის, ვარ განდევნილთა თობის სურვილი, მე ვარ სიცოცხლე ყველა ცოცხალის.
- 7.10. მარადიული მე ვარ მარცვალი, ჩემგან აღიძვრის ყველა ქმნილება, გონიერება ვარ გონიერთა და ღვაწლმოსილთა ღვაწლმოსილება.
- 7.11. ძლიერთა შორის ძალა ვარ მათი, სურვილებს, ვნებებს მორიდებული, ძეხორციელთა სურვილიც მე ვარ, ბუნებრივ წესთან მორიგებული.

- 7.12. უგუნურება და სათნოება, თუგინდ ქმედებად აღმძვრელი ვნება, ჩემშია ყველა, მე არ ვარ მათში, – თვით ჩემგან ყველა მოედინება.
- 7.13. ამ სამთა ნაქსოვ ყოფით დამთვრალი დაბრმავებულა ქვეყანა მთელი და ვერ ვუცნივარ უზენაესი, მე – მიღმიერი, მარად უცვლელი.
- 7.14. ძნელსაძლევია სამგზის ნაქარგი ეს ღვთაებრივი ჩემი ზმანება, ვინც მომენდობა, მას გადალახავს და ჩემს სავანეს დაეკანება.
- 7.15. უმდაბლესნი კი – ბოროტის მქმნელნი, ზმანების ძალით ცოდნალეულნი, არ მეძებენ და ბოროტ ავსულებს ემსგავსებიან, გზაბნეულნი.
- 7.16. ბჰარატას შვილო, სულ ოთხნაირი მე მყავს მსახური – ოთხივე ქველი, ტანჯული, ბრძენი, ცოდნის მოსურნე და მოწყალების ღვთისგან მსურველი.
- 7.17. ბრძენია მათში გამორჩეული, განუშორები, ერთის ერთგული, ფასი არ მადევს მე იმის თვალში, მეძვირფასება მეც მისი გული.
- 7.18. ღირსეულია თუმც მათგან ყველა, მხოლოდ ბრძენია ჩემი სადარი, მხოლოდ მან უწყის, გონმოკრებილმა, ჩემი საუფლო ზენა სად არი.
- 7.19. მრავალ სიცოცხლე გამონაცადი ჩემს საუფლოში ბოლოს ის მიდის, ფიქრობს: „ღმერთია, ყველა, რაც არის.“ – ძნელია ნახვა ამგვარ სულდიდის.
- 7.20. ვინც განუძარცვავს სიბრძნისგან ვნებას, მის გულს სხვა ღმერთი ესაღბუნება, ემსახურება, მის წესებს მისდევს, რადგან თვისივე ზღუდავს ბუნება.
- 7.21. რა ხატებასაც უნდა აქედღეს რწმენით აღსავსე ერთგულის ენა, იმ ხატებისა და იმ სახების ჩემგან ეძლევა მას მტკიცე რწმენა.
- 7.22. თაყვანს მიაგებს ღვთაებას თვისას, რწმენის ნათელი მადლით ცხებული, წყალობას იღებს, თუმცა წყალობაც მას ჩემგანა აქვს მიმადლებული.
- 7.23. მაგრამ წარმავალს მოიწვევს ნაყოფს, ვინც უჭკუა, მცირედმჭობელი, ღმერთებთან მივა მლოცველი მათზე, ჩემთან კი – ჩემი შემამკობელი.
- 7.24. რომ უჩინარი გავხდი საჩინო, ბრიყვი თუ ფიქრობს, ჭკუაუწვრთნელი, ზენა ბუნება ვინც ვერ სცნო ჩემი, წარუხოცელი და სწორუქმნელი.

- არ ვარ საჩინო მე ყველასათვის, ვერ მცნობს ქვეყანა, კვალდაკარგული, 7.25.
რადგან უცვლელს და დაუბადებელს, ზედ ზმანება მაქვს შემოქარგული.
- მე ვუწყი, თუ ვინ მოსულა ქვეყნად, ანდა ვინ არის აწ მომავალი, 7.26.
მე ყველას ვიცნობ, მაგრამ მე თვითონ არავინ მიცნობს ცის ქვეშ მავალი.
- ნდომით და ზიზღით გაორებული, მოტყუებული, ზღვარდადებული, 7.27.
დაბრმავებული დადის სუყველა სულდგმული, ქვეყნად დაბადებული.
- მაგრამ ვინც ბოლო მოუღო ცოდვას და ნებამტკიცე სიკეთეს თესავს, 7.28.
დახსნილი ბრძობას და გაორებას, ის განმადიდებს, ვწამვარ და ესავს.
- ვინც თავს მაფარებს, რადგან დაეძებს სიბერისა და კვდომისგან შველას, 7.29.
შეიცნობს უფალს, სულს უზენაესს და კარმისასაც შეიტყობს ყველას.
- ვინც მიცნობს, ვითარ მსხვერპლს უზენაესს, არსთა არსს, უფალს, ცათა შინ მყოფელს, 7.30.
არ ვავიწყდები ცნობააუმღვრევს, თუნდ შორდებოდეს ამ წუთისოფელს.



თავი მერვე

უფალი წარუვალი

არჯუნამ თქვა:

- 8.1. სულს დიადო, რა არის კარმა, რაა ღმერთი ან ღვთაება ზენა?
რა არის სული უზენაესი, ან არსთა არსი, ნეტა მაჩვენა!
 - 8.2. რა არის მსხვერპლი უღიადესი, ან ამ სხეულში ვით უღვევს ბინა?
ან სიკვდილის ჟამს თავის მომთოკნი ვით გცნობენ, ნეტა გამაგებინა!
- შირი ბჰაგავანმა მიუგო:
- 8.3. თვითარსი არის სული ზენარი, უზენაესი წარუვალია,
კარმა სულდგმულთა ყოფად აღმძვრელი და გამფანტველი რამე ძალია.
 - 8.4. არსთა ბუნება წარმავალია, ზესთა ღვთაება ზენაა სული,
უღიადესი მსხვერპლი თვით მე ვარ, ძეხორციელის გულში შთასული.
 - 8.5. ვინც მომიგონებს სიცოცხლის ბოლოს, ვისაც ექნება ჩემი ზსენება,
ეზიარება ის ჩემს სიცოცხლეს, როს ზორცს დახსნილი, განესვენება.
 - 8.6. როგორი არსიც ახსოვს მომაკვდავს, როს სულისაგან ზორცი იცლება
დღემუდამ მასში მყოფი, იცოდე, იმავე არსში გარდაიცვლება.
 - 8.7. ამიტომ მუდამ მე განსოვდე და მახვილს იქნევდე მტერთან ცილობად,
მომაპყარ გული, გონების თვალი და მონვალ ჩემთან შენ უცილობლად.
 - 8.8. გონებას იკრებს ვინც მიწყევ წრთობით და არაფერი იტაცებს მეტი,
ზესთ-უზენაეს სულთან მიიყვანს მას დაფიქრება ღმერთზე უწყვეტი.
 - 8.9. ის – უასაკო, ყოვლის გამგე, ყოვლის გამგები,
მცირედზე მცირე, მიუწვდომი ვისია სახე,
მზეებრ ნათელი, ყოვლის შემწედ თავის დამგები,
ბნელისთვის უცხო – დღენიადგ ფიქრად ისახე!

- ვინც სიკვდილის ჟამს მას მიაპყრო ურყევად ჭკუა,
ვინც ერთგულია და იოგას წრთობით ძლიერი,
სიცოცხლის ძალთა მომკრებია ვინც წარბთა შუა,
მას შეეყრება სული ზენა, ზესთ-ზეციერი. 8.10.
- იგი, რაც არის მცოდნეთათვის წმინდა სახელი,
სად შეაბიჯებს განდეგილი, წადილს დახსნილი,
რისთვის სწადიათ ყოფნა წმინდა, შეულახველი, –
აწ იცან ყოფა, შენთვის მოკლე სიტყვით ახსნილი. 8.11.
- ვინც გადარაზა ბჭენი ყოველნი და ფიქრებს გული დაუდო ზღვარად,
გულისყურს უხმობს და შუბლში იკრებს ვინც ცხოველ ჰაერს, მოდენილს ღვარად; 8.12.-13.
- ხორცთან გაყრის ჟამს ვინც წმინდა სიტყვით მოუხმობს ღმერთს და მე გამიხსენებს,
ეზიარება ზესთა საუფლოს, როს დასთმობს სხეულს და განისვენებს.
- თუკი ნიადაგ მე ვახსოვარ და თუ ფიქრებს მისას არ ვეშორები,
აღვილად მოვა იოგი ჩემთან, დღემუდამ წრთობას განუშორები. 8.14.
- აღარ სტუმრობენ კვლავ არ წარმაველ ჭირთა საუფლოს დიადი სულნი,
რადგან უმაღლეს და უდიადეს სრულქმნას კპოვებენ ჩემთან მოსულნი. 8.15.
- წესია ბრაჰმას სასუფვეელშიც სიკვდილ-სიცოცხლის წრეში ბრუნება,
მხოლოდ ჩემამდე მოსულს არ ელის კვლავ დაბადება და დაბრუნება. 8.16.
- ათას იუგას იტევს ბრაჰმას დღე, ღამეც ამდენსვე მოითვლის მისი,
ვინც ეს შეიცნო და შეიმეცნა, დღისა და ღამის უწყის საზრისი. 8.17.
- დღისით აღიძვრის ხილული ყველა, უხილავიდან გადმოინდება,
კვლავ უხილავში გადაისვრის და კვლავ გადამაღლავს მათ შებინდება. 8.18.
- ჩნდება და ქრება დაუსრულებლად მის უნებურად არსი მრავალი,
კვლავ გადამაღლავს მათ ღამე ბნელი და გამოაჩენს დღე მომავალი. 8.19.
- თუმც ხილულსა და უხილავს მიღმა სხვაა მარადი ის, უჩინარი,
მიწა მიიღებს ყველა გაჩენილს, არ კვდება იგი, გაუჩინარი. 8.20.
- უველნი ჰქვია მას, წარუდინელს, მიზანს უმაღლესს, თვალთ უხილავს,
არ დაბრუნდება, ის უნათლესი ჩემი საუფლო ვისაც უხილავს. 8.21.

- 8.22. გზა სულისაკენ მისი უცვლელი სამსახურია ოდენ კრძალული, თავად მასშია არსება ყველა, მისით აღვსილი და გამსჭვალული.
- 8.23. როდის ბრუნდება იოგი უკან, ანდა დახსნილი მომაკვდავ სხეულს, როდის-ღა რჩება ცად საუკუნოდ, შენ გაგიცხადებ – ბჰარატია რჩეულს:
- 8.24. ცეცხლს თუ ეახლა, დღეს ან სრულ მთვარეს, მზის მიქცევის თუ იმპო დინება ნათელს თუ გაჰყვა მცოდნე უფლისა, მის საუფლოში დაედგინება.
- 8.25. ღამეს ან ნისლებს თუ ემეგზურა, მზის შემოქცევას ან მიმქრალ მთვარეს, მთვარის შარავანდს მიეწევა და დაუბრუნდება კვლავ მოკვდავ მხარეს.
- 8.26. ეს ორი გზაა მარად უცვლელი: გზა სხივფენილი და შარა ბნელი, ერთით ცას წვდება, მეორეთი კი უკან ბრუნდება უფლის მძებნელი.
- 8.27. არ აებნევა იოგს გზა-კვალი, გარჩევა იცის ამ გზების ოდეს, იოგას მიჰყევ ამიტომ მტკიცედ, ნუ მიატოვებ მას ნურასოდეს.
- 8.28. რაგინდ ისწავლო, სწირო, ევნო, გასცე მრავალი, და ვით წერილ არს, კეთილ ნაყოფს მისწვდე ამითი, მეტს წვდეს იოგი, ამ ორი გზის ცოდნით მავალი და ზესთა ზეცა დაიმკვიდროს, დასაბამითი.



თავი მეცხრე

უღიადესი საიდუმლო

შირი ბჰაგავანმა თქვა:

- ამ უღიადეს ჩემს საიდუმლოს შენ გაგიცხადებ – სათნოს, უწყინარს, 9.1.
რომ ცოდნითა და გამოცდილებით დაეხსნა ყოფას ჟამს, გაუცინარს.
- გვირგვინი ცოდნის და დაფარულის, სულს ასპეტაკებს, წარუდინელი, 9.2.
სჯულისმიერი და გასაგები არც საკეთებლად არ არის ძნელი.
- ჩემს საუფლომდე ვერ აღწევს, ვისაც სჯული ასეთი ვერ უწამია 9.3.
და უბრუნდება კვლავ მოკვდავ სოფელს, სადაც სიცოცხლე მხოლოდ წამია.
- და თუმც გამსჭვალავს მთელს ამ სამყაროს უკვლენ-უჩენი ჩემი სხეული, 9.4.
მე არ ვარ მათში, თუმც ყველა სულდგმულს ადგილი ჩემში აქვს მიჩნეული.
- არც ქმნილებანი არიან ჩემში, ნახე შეძლება გასაკვირველი: 9.5.
გასულდგმულბ და არ ვარ სულდგმულში, მე – ყოვლის წყარო, თავდაპირველი.
- თუმცა სულ დაქრის, მოუსვენარი, ვერ გადასცდება ცისკიდურს ქარი, 9.6.
ასევე არი, იცოდე ჩემში, ამ წუთისოფლის ყველა სტუმარი.
- რა დღე სრულდება, ჩემს თავდაპირველ არსს უბრუნდება ყველა ქმნილება, 9.7.
ჩემითვე ხდება კვლავ ალიონზე მათი გაჩენა, გამოვლინება.
- ვთქვი შემოქმედად ბუნება ჩემი, მას ვანდე ყოვლის აღმოცენება, 9.8.
რომ თვით ემრავლა არსთა სიმრავლე, მათ უნებურად, როგორც ენება.
- მე ვერ შემბოჭავს, განძთა მხვეჭელო, ვერ დაამიონებს ვერა ქმედება, 9.9.
მე, განზე მდგომსა და თავისუფალს, საქმე ბორკილად ვერ დამედება.
- უძრავი იყოს, გინდა მოძრავი, ყოვლის შექმნაზე მიჭირავს თვალი, 9.10.
ამიტომ არის, რომ არ ჩერდება, ბრუნავს სამყარო, ვით ურმის თვალი.
- არად მაგდებენ, მჭირდავენ ბრმანი, კაცად მოსული თუ დამინახეს, 9.11.
ზენარ ბუნებას ვერ ჭვრეტენ ჩემსას, არსთა გამრიგის ვერ ცნობენ სახეს.

- 9.12. ამო მიზნით, ამო ცოდნით, ამო საქმით თვალდავსებულნი, თავს აფარებენ ამოებას, უღვთო ავსულებს დამსგავსებულნი.
- 9.13. მაგრამ მდმერთებს ყველა სულდიდი, თაყვანს მომაგებს ფიქრმოუწყვეტი, შეფარება ღვთიურ არსს ჩემსას, გუცნივარ წყარო ყოვლის, უწყვეტი.
- 9.14. მოისწრაფიან ერთგულნი ჩემსკენ, აღთქმის სიმტკიცეს ხიდად იღებენ, ჩემთან მყოფნი და ჩემს ფერხთ განრთხმულნი, მიწყვი მაქებენ და მადიდებენ.
- 9.15. მას კი, ვინც მწირავს ცოდნის შეწირვით, ჩემს მოთაყვანეს, ჩემზედეე მლოცველს, ვუჩან ვით მთელი, განზე მდგომელი, მცნობს მრავალსახეს, ყოველის მომცველს.
- 9.16. მე ვარ საკურთხიც, ღვთისმსახურებაც და სამკურნალო ბალახის ძირიც, წირვა-ლოცვაც და ნელსაცხებელიც, სამსხვერპლო ცეცხლიც და შესაწირიც;
- 9.17. მე ვარ სამყაროს მამაც და ბურჯიც, წინაპარიც და დედაც მშობელი, წმინდა სიტყვა და წმინდა წერილი – განმწმენდელი და შესაცნობელი.
- 9.18. მე ვარ გზა, მე ვარ მაცოცხლებელი, მეუფე, მოწმე, მოძმე და მცველი, მე ვარ საუნჯე – თესლი უღევი, სახლი და ფუძე, შემქმნელი, მკვლეელი.
- 9.19. მე ვათობ მიწას და ჩემგანვეა ცა, ლევა ღრუბლით გადავსებული, უკვდავება ვარ და თან სიკვდილი, არსებული და არარსებული.
- 9.20. წერილთა სწავლით ვის უხსნია ცოდვისგან სული, შემოუწირავს, რომ წეოდა ზეცათა კარებს, ზეცას ეწევა ის თვით ინდრას ცამდე ასული და ღმერთთა დარი ნეტარებით იქ ინეტარებს.
- 9.21. მაგრამ ეცემა კვლავ მიწაზე, ზეციით დამტკბარი, ღვაწლი ელევა, იხურება მისთვის ცა ვრცელი და მოკვდავ სოფელს ჰპოვებს მხოლოდ, ცის გზას გამდგარი, წერილთა წესის მიმდევარი, ტკობის მსურველი.
- 9.22. მას, ვინც თაყვანს მცემს მუდამ ერთგული, სხვა ფიქრს ახლოსაც გულს არ აკარებს, მე დავიფარავ იოგას გზაზე, უშფოთველობის გავუღებ კარებს.
- 9.23. სხვა ღმერთებს სწირავს ვინც, სავე რწმენით, თუმც ერთგულია, მლოცველთა დარად, მე შემომწირავს ისიც, არჯუნა, მხოლოდ მე მწირავს, თუმცა კი მცდარად.

- და რადგან მე ვარ გემოსმხილველი, მეუფე მსხვერპლის ქვეყნად ყოველის, ჩემი ნამდვილი არსის უმეტარს, მას კვლავ ამქვეყნად მოსვლა მოეღის. 9.24.
- ღმერთებს იხილავს ღმერთთა მგვარები, წინაპრებს – ვინც მათ რაცხდა პირველად, სულებთან მივა მლოცველი მათზე, ჩემთან – ვინც ჩემად იდგა მწირველად. 9.25.
- ყვავილი, წყალი ან ხის ნაყოფი, თუნდაც ფოთოლი თუ შემომწირეს, დიდად მივიღებ მე გულმართალთა გულით მორთმეულ საჩუქარს მცირეს. 9.26.
- და სულერთია, ჭამ თუ მარხულობ, გაცემე თუ მიგაქვს სამსხვერპლოდ ძღვენი, ყოველი საქმე, რასაც აკეთებ, ჩემთვის აკეთე, მე მომიძღვენი. 9.27.
- ასე ეწვევი განდევილობას, ჩამოგეხსნება საქმის ხუნდები, და მის ნაყოფსაც, ტკბილსა თუ მწარეს, ეხსნები და მე დამიბრუნდები. 9.28.
- ერთია ყველა, – ძვირფასი ჩემთვის, ან საქულველი არავინაა, თუმცა ჩემშია ჩემი ერთგული და მისი გულიც ჩემი ბინაა. 9.29.
- ძლიერ ცოდვილიც რომ იყოს კაცი, თუ მე მსახურებს, არ განმდგომია, ისიც ჩათვალე მართალთა შორის, რადგან სიმართლის გზაზე მდგომია. 9.30.
- მალე ეწიოს ის გულმართლობას, მარად სიმშვიდის გახედეს მნახველი, კარგად გახსოვდეს, რომ ჩემს ერთგულთან მარცხს და დაღუპვას არა აქვს ხელი. 9.31.
- თუნდ უხეიროდ იყოს ნაშობი, თუ მომენდობა, თავს შემაფარებს, ქალიც, ვაჭარიც, მოსამსახურეც, ზესთ სამყოფელის შეალებს კარებს. 9.32.
- მით უფრო მისწვდეს მას ღვთისმსახური, ანდა ხელმწიფე, სიბრძნეს წუელი, მე შემომიდექ შენც ამ დღემოკლე, ტანჯვის სოფელში გამომწყვდეული. 9.33.
- ქელს მიხრიდე და შემომწირავდე, ერთგული, ჩემზე ფიქრად ქცეული და მოხვალ ჩემთან, ჩემკენ მავალი, თვით სულით ჩემში გადმოქცეული. 9.34.



თავი მეათე

ღვთიური შეგნება

შრი ბჰაგავანმა თქვა:

- 10.1. კვლავაც ისმინე, ძალგულოვანო, სიტყვა მაღალი, სულის მრგებელი, გულმა გირჩია და ამიტომაც ვარ შემწე შენი, დამრიგებელი.
- 10.2. არა ესმის რა ჩემი გაჩენის არცა ღმერთთა და არც ბრძენთა კრებულს, ანდა რა უნდა გაეგებოდეს თვითონვე ჩემგან აღმოცენებულს?
- 10.3. ვინც უწყის, რომ ვარ ცათა მეუფე, დაუსაბამო და არშობილი, მას, შეუცდომელს მოკვდავთა შორის, ჩამოეხსნება მიწა ცოდვილი.
- 10.4. მე შევქმენ გონი, სიბრძნე, სიმართლე, მოთმინება და გულმოწყალება, უშიშრობა და შიში, სიმშვიდე, გაჩენა, კვლევა, შეგება-წვალება.
- 10.5. უვნებელობა, ზომიერება, სიუხვე, ლხენა, თუ ხორცთა ხშობა, ყველა ღირსება, თუ უღირსობა, – ყველა ზნე კაცის ჩემგან იშობა.
- 10.6. ძველთუძველესი შვიდის ბრძენის და ოთხთა მანუთა მე ვარ გამჩენი, ჩემი ფიქრისგან იშენენ ისინი, ხოლო იმათგან – სხვა დანარჩენი.
- 10.7. ვინც მართლა იცნო ეს სიდიადე, გასაოცარი ეს ჩემი ძალი, იოგას გზაზე ღვას შეუდრეკად, აი სიმართლე ეჭვმიუვალი.
- 10.8. მე ვარ ამქვეყნად ყოვლის სათავე, ყოველნი ჩემგან მოედინებით, მისთვის ვუყვარვარ გამოღვიძებულთ და მადიდებენ გულმოდგინებით.
- 10.9. სულსაც მიძღვნიან ჩემზე მფიქრალნი, ერთურთს სიფხიზლეს აზიარებენ, დროს ატარებენ ჩემზე საუბრით, მიწყივ იშვებენ და იხარებენ.
- 10.10. და მეც მათ, მუღამ მტკიცეთ და ერთგულთ, მხოლოდ ჩემი რომ რჯით სიყვარული, ვაძლევ გონებას, რადგან ამ გზაზე ჩემთან მოიყვანს მათ სიარული.
- 10.11. მათსავ გულებში მე ვიდებ ბინას, თანაღმობისთვის მათი მწლებელი და უმეცრების მივაპობ წყვილადს, ცოდნის ლამაზარით მანათებელი.

არჯუნამ თქვა:

- შენა ხარ ღმერთი უზენაესი, განმსპეტაკები, ზესთ სამყოფელი, თავდაპირველი და მარადისი, არშობილი და ყველგანმყოფელი. 10.12.
- ასე გიხმობენ ბრძენნი ყოველნი, ღვთისტოლ ნარადას გადიდებს ენაც, გესავეს ასიტა, ღვეალ, ვიასა, დღეს კი იგივე გამანდე შენაც. 10.13.
- ვრაცხ ჭეშმარიტად ყოველ შენს სიტყვას, უფალო, ჩემთვის გაზიარებულს, არა ესმის რა შენი გაჩენის არც ავსულთა და არც ღმერთთა კრებულს. 10.14.
- უზენაესო, შენს თავს შენითვე, თავად შეიცნობ შენ – ერთადერთი, არსთა გამრიგე და დასაბამი, ქვეყნის მეუფე და ღმერთთა ღმერთი. 10.15.
- გთხოვ. გამიცხადე ღიდება შენი, ეგ ღვთაებრივი ძალი ძლიერი – ძალა, რომლითაც ძალგიძს განმსჭვალო ყოველი სკნელის დასალიერი. 10.16.
- როგორ შევიცნო, დილო იოგო, ფიქრისას თვალწინ თუ დაგისახე, თქვი, რა ბუნება მახსოვდეს შენი, ან კი რომელი განვჭრიტო სახე? 10.17.
- წვრილად მიამბე, როგორი არის შეძლება შენი და ძლიერება, სიტყვებით შენით, ვითარ ნექტარით მე ვერ შევიძელ გულის ჯერება! 10.18.
- შრი ბჰაგავანმა მიუგო:
- კარგი, ვიამბობ, თუმც იმას მხოლოდ, უდიდესია რაც და მთავარი რადგან იცოდე, ამ ჩემს ღვთაებრივ გამოვლინებას არა აქვს ზღვარი. 10.19.
- მყოფი ყოველი ცოცხალის გულში, მე ვარ ატმანი – სული ციერი, მე ვარ საწყისი არსებათა და მათი სიცოცხლის დასალიერი; 10.20.
- ზეციურ ღმერთთა დასში ვარ ვიშნუ, ვარსკვლავთა შორის მზე ვარ, ელვარე, მარუტებს შორის მე ვარ მარიჩი, მნათობთა შორის – პირბადრი მთვარე; 10.21.
- წვრილთა შორის სამავედა ვარ, ღმერთებში ინდრას ვარ ძლიერება, გრძნობათა შორის გული ვარ თვითონ, სულდგმულთა შორის – ცნობიერება; 10.22.
- რუდრებში შივა, რაკმასთ შორის კი მე ვარ კუბერა, განმთა მფლობელი, ღვთაებათ შორის მე თვით ცეცხლი ვარ, მთებში კი მერუ, დაუფლობელი; 10.23.

- 10.24. ქურუმთა შორის ბრიჰასპატი ვარ, მოძღვართ-მოძღვარი შუეცდენელი, სარდლებში სკანდა, წყალთა შორის კი ოკანე ვარ, თვალუწვდენელი;
- 10.25. ბრძენთა შორის ვარ დიადი ბრჰიგუ, ბგერებში „ომ-ი“ ვარ ერთხმოვანი, წირვებში – ლოცვა, უძრავთ შორის კი ჰიმაღალი ვარ – მთა ახოვანი;
- 10.26. მცენარეთაგან ბანიანი ვარ, ბრძენთაგან ნარად – ციურ შუქმფენი, ციურ მოძღვრალთ შორის ჩიტრარატჰა, სრულქმნილთა შორის – კაპილა ბრძენი;
- 10.27. ბედაურთაგან მე ვარ ნექტრის ზღვით გარდმოვლენილი რაში ფრთოსანი, სპილოთა შორის აირავატა, კაცთაგან – მეფე გვირგვინოსანი;
- 10.28. საჭურველთაგან ვარ მენთატენა, ძროხებში – ნატვრის ამსრულებელი, გამჩენთა შორის სიყვარული ვარ, გველთაგან ვასუკ – ღმერთთა მხლებელი;
- 10.29. ნავათა შორის მე ვარ ანანტა, ვარუნა – წყალთა ბინადართაგან, მბრძანებელთაგან მე ვარ სიკვდილი და არიამა წინაპართაგან;
- 10.30. დაიტებში მე ვარ პრაჰლადა, მკვლელთაგან დრო ვარ, წამისმიერი, ფრინველთა შორის თვით გარუდა ვარ, ცხოველთა შორის – ლომი ძლიერი;
- 10.31. მცურავთა შორის მე ზვიგენი ვარ, განმწმენდელთაგან ვარ ქარტეხილი, მდინარეებში – დიადი განგა, მხედრებში რამა, ვერგატეხილი;
- 10.32. მე ვარ, არჯუნა, არსთა საწყისი, სიცოცხლე მათი და დასასრული, ცოდნათა შორის სულის ცოდნა ვარ, დავა-კამათში – სიცხადე სრული;
- 10.33. ასობგერათა შორის ვარ „ანი“, სიტყვებში – ორმაგ გამომსახველი, მარადიული დროც მე ვარ თვითონ, მხედი ყოვლისა და ჩამსახველი;
- 10.34. მე ვარ სიკვდილი, წარხოცვა ყოვლის და მომავალთა კვლავ მოვლინება, ქალში შვენება, სილბო, სიმტკიცე, გამჭრიახობა და მოთმინება;
- 10.35. ლექსთაწყობაში ვარ გაიატრი, საგალობლებში – ბრიჰას კრებული, თვეთაგან მარგაშ, დროთა შორის კი გაზაფხული ვარ, ამწვანებელი;
- 10.36. მაცდურთა შორის კამათელი ვარ, ვარ დიდებულთა დიდებულება, მძლეთა მძლეობა, ქველთა სიქველე და გაბედულთა გაბედულება;

- ვრიშნის შვილთაგან ვასუდევა ვარ, ბრძენთაგან ვიასა ვარ სხივოსანი, 10.37.
პანდაველებში მე ვარ არჯუნა, მგოსნებში უშან – დიდი მგოსანი;
- მეფეთ კვერთხი ვარ და ჭკუა მისი, ვის გამარჯვება ეუნარება, 10.38.
ქვეყნად ყოველთა ბრძენთა სიბრძნე და საიდუმლოთა ვარ მდუმარება;
- მე ვარ სიცოცხლის მომცემი თესლი, მე წარმოვზავნი ქვეყნად არსებებს, 10.39.
უძრავი იყოს, გინდა მოძრავი, უჩემოდ ვერვინ ვერ იარსებებს.
- ო, მტერთა რისხვავ, ამ ჩემს ღვთაებრივ გამოვლინებას არა აქვს ზღვარი, 10.40.
ის, რაც გითხარი, მხოლოდ წვეთია, რაც მართლა არის, მასთან ზღვა არი.
- რაგინდ უზადო იყოს ქმნილება, ახლდეს შევენება, ძალა, დიდება, 10.41.
იცოდე, ისიც ჩემი შევენების ნაპერწკლისაგან წარმოდინდება.
- მაგრამ რად გინდა, მითხარ არჯუნა, ცოდნა ამდენი მხრებით ატარო, 10.42.
ჩემი არსების ნატამალითაც როცა სავსეა მთელი სამყარო?



თავი მეთერთმეტე

ყოვლისმომცველი სახის ხილვა

არჯუნამ თქვა:

- 11.1. უღიადესი ეს საიდუმლო, ზესთა სული რომ ჰქვია სახელად, მანდე მოწყალედ და ეს კმაროდა ჩემს დაბრმავებულ თვალთ ასახელად.
- 11.2. შენგან შევიტყვე, უფლის ქმნილება ვით ჩნდება, ან ვით გარდაიცვლება, შენვე გამანდე, რომ არ ილევა დიდება შენი და არც იცვლება.
- 11.3. ყოვლის მეუფევე უზენაესო, ისე, ვით სიტყვით შენ დამანახე, ახლა თვალითაც მინდა ვინილო მეუფებრივი მე შენი სახე.
- 11.4. და თუ არ ფიქრობ, რომ ხილვა შენი შემძლებას ჩემსას აღმატება, მაშინ მაჩვენე, ყველაფრის შემძლევე, სამარადისო შენი ხატება.

უზენაესმა მიუგო:

- 11.5. აჰა, იხილე, პართჰას ნაგრამო, ათასნაირი ჩემი იერი, ეს მრავალფერი სახება ჩემი, მრავალფერადი და ზეციერი.
- 11.6. შენ ჩემში ნახავ რუდრებს, აშვინებს, – უკლებლივ ყველა ბინადარს ცისას, სხვასაც უამრავ სასწაულს ისეთს, რომ არ უნახავს ჯერ თვალს კაცისას.
- 11.7. მთელს ამ სამყაროს, მყარსა და მოძრავს, იტევს ეს ერთი ჩემი სხეული, ისიც, გულს შენსას რისიც სურს ხილვა, არის უკლებლივ აქ დატეული.
- 11.8. თუმცა-ღა ხილვა ჩემი არსების არ შეუძლია მაგ თვალს ქვეყნიურს, რომ დაგანახო შეძლება ჩემი, მე მოგანიჭებ შენ თვალებს ღვთიურს.

სანჯაიამ თქვა:

- 11.9. ასე თქვა, მეფევე, მან, ვინც იოგას დიად მეუფედ ფიქრს ესახება და არჯუნას თვალს გადაუშალა უღიადესი უფლის სახება.

- გაჩნდა საკვირველ სახეთმრავლობა და ბაგე-თვალნი მათზე დართული, 11.10.
 ცის მოსართავი დაულეველი და საჭურველი ზეაღმართული.
- ციურ ყვაველთა ესხა წნულები, ზეცის სურნელი ზედ ეკმეოდა, 11.11.
 ყოვლადსაკვირველს, ღვთიურს, უსაზმნოს, სახე ყოვლისკენ მიექცეოდა.
- ათასი მზე რომ სულ ერთიანად ამ ცის კაბადონს გადანთებოდა, 11.12.
 ციაგი მათი ნათელს უფლისა იქნებ როგორმე დამსგავსებოდა.
- მაშინ იხილა არჯუნამ იგი, რაც დაშლილია, დაშორებული, 11.13.
 მთელი სამყარო იქ, ერთ ადგილას, უფლის სხეულში შეერთებული.
- ყალყზე დაუდგა თმა განცვიფრებულს, მლოცველის დარად იწყო ხელები 11.14.
 და თვდახრილი უფლის წინაშე ასე ამბობდა, განახელები:
- არჯუნამ თქვა:
- უფალო, ღმერთთა საუფლოა ეგ ტანი შენი, 11.15.
 ყოველ სულდგმულით, შენში მყოფით ხარ შემორტყმული,
 შენშია გველნი ციურნი და ბრძენნი, ცის მშვენინი,
 მეუფე ბრაჰმა – ის, ლოტოსის ტახტზე მორთხმული.
- მრავალი მკლავი შენ გამშვენებს, ბაგე და თვალი, 11.16.
 უზღვროდ გაშლილი ყოველმხარეს თვალწინ მესახე,
 არც დასაწყისი არ მოგიჩანს, არც დასავალი,
 ვხედავ, სამყაროს მეუფე ხარ შენ, ყოველსახე!
- ყოველგან შენი სინათლეა თვალისმომჭრელი, 11.17.
 გამეობს გვირგვინი, დიადემა, კვერთხი მრავალი,
 გმოსავს უსაზღვრო ბრწყინვალეობა, მზესავით მწველი,
 ყველგან შენა ხარ, გონებისთვის ძნელმისავალი.
- წარუვალი ხარ, ზენაარი, ღირსსაცნობელი, 11.18.
 შენ შეგეფარვის საბოლოოდ მიწა და ცანი,
 მარადი დჰარმის საცავი ხარ, დაუმხობელი,
 დაუსაბამო შენ ხარ სული, ასე გიცანი.
- გჭვრეტ უსაწყისოს, უსასრულოს, უსაზღვროდ ძლიერს, 11.19.
 ულევემკლავიანს თვალეზად გაქვს შენ მზე და მთვარე,
 ვხედავ, როგორ წვაეს, როგორ აღნობს ცის დასალიერს,
 შენს ბაგეთაგან მობრიალე ცეცხლის მდინარე.

- 11.20. სულს დიადო, შენითაა სულ განმსჭვალული,
ეს ცა და მიწა და მათ შორის რაც ისახება,
უთრთის, უღელავს სამ სამყაროს შიშისგან გული,
აფრთხობს საზარი, მშვენიერი შენი სახება.
- 11.21. კარგად ჩანს, როგორ შეგერთვიან ღმერთთა დასები,
შიშით თაყვანსაც მოგიძღვნიან ხელაბყრობილნი,
გაქებენ დიდი წმინდანები, ასჯერ ასები,
„დიდება შენდა!“ – გიგალობენ ხმაშეწყობილნი.
- 11.22. მზის ღვთაებანი, მეხთამტეხნი, მპყრობნი ქარების,
ზესთ-ზეციური მომღერალნი შენ გიმღერიან,
ისმის გალობა სრულყოფილთა, ღმერთთა ჯარების,
მათთან ავსუნნიც განცვიფრებით შემოგცქერიან.
- 11.23. და რა შეჰყურებს ამ სახებას შენსას დიდებულს,
უამრავ ხელ-ფეხს, დაულეველ ბაგებს, თვალებს,
უთვალავ ეშვ-კბილს, პირში ავად გადმოკიდებულს,
მთელი სამყარო ჩემთან ერთად თრთის და წრიალებს.
- 11.24. გიყურებ და ხარ მრავალფერი, ცად აზიდული,
ვეება ხახა დაფენილი, თვალებცეცხლება,
შენს შემხედვარეს სული მითრთის, მიშფოთავს გული,
ველარ ვისვენებ, თითქოს ფეხქვეშ მიწა მეცლება.
- 11.25. მჭვრეტი ეშვ-კბილის, საშინელის, ენით უთქმელის,
ვერ ვცნობ ქვეყანას, ღმერთო, თავი სად შევაფარო?!
მიშველე რამე! მსგავსო ცეცხლის, ყოვლის დამნთქმელის,
გთხოვ, ღმერთთა ღმერთო, სამყაროთა თავშესაფარო!
- 11.26. ვხედავ ამქვეყნის ყველა მპყრობელს – მეფეებს, მთავრებს,
შენსკენ მოდიან და ნაბიჯი მათი ჩქარია,
ღირითარაშტრას შევილებს ვარჩევ... ჩვენს მხედართმთავრებს,
აქვე არიან ბჰიშმა, კარმა, ღრონაჩარია.
- 11.27. მოიჩქარიან, თითქოს ითრევს მათ ხახა ავი,
გადმოფენილი, შემზარავი, პირბასრეშვება
ზოგს კბილებს შუა ეჩხირება ნაჩეჩქვი თავი,
სანამ ბელშავი შენს ყელში არ გადაეშვება.

- როგორც უამრავ მდინარეთა მდინარე წყალი, 11.28.
 ადრე თუ გვიან მაინც ზღვაში ჩაედინება,
 უკლებლივ ყველა ამაქვეყნის გმირი საწყალი,
 შენსკენ მოდის და მაგ ცეცხლოვან ხანაში დნება.
- როგორც პეპელა, ღამით ცეცხლს რომ თავს დასტრიალებს 11.29.
 და დასალუპად მისკენ მიქრის, მიექანება,
 ხალხიც მიელტვის მობრიალე შენს ცეცხლთა ალებს
 და ხალხსაც თავის დასალუპად მიეჩქარება.
- შენ კი მათ ხვდები მოგიზგიზე ცეცხლის ალებით, 11.30.
 ტუნს ილოკავ და ყველა სულდგმულს ნთქავ ერთიანად,
 სპობ ყოველივეს, დიდო ვიშნუ, ამ მხურვალეებით,
 ამ მცხუნვარებით სამყაროებს ფარავ მთლიანად.
- ვინ ხარ, ვისია ამ საზარელ სახეთა წყება? 11.31.
 მითხარი, ღმერთო, გვედრები, წყალობა ჰქმენი!
 ღმერთთა ღმერთი ხარ, ყველაფერი შენით იწყება,
 მსურს გიცნობდე და ვერ მიცვნია შენი საქმენი.
- შრი ბჰაგავანმა მიუგო:
- მე ვარ დრო-ჟამი, ძველთაძველი სამყაროს მკვლეელი, 11.32.
 ადამიანთა მოსასპობად მიწყევ მშრომელი,
 რომც იუარო და საქმეზე აილო ხელი,
 ვერ გადარჩება მტერი შენი, ავისმდომელი.
- ამიტომ ადექ, მტერს მახვილი აძგერე ძლიერ, 11.33.
 რომ სვებედნიერ ქვეყნის იყო შენ მბრძანებელი,
 იცოდე, ყველა მოკლულია უკვე ჩემს მიერ,
 შენ მხოლოდ ჩემი ნების იყავ აღმსრულებელი.
- გაჰკვეთე დრონა, მოჰკალ ბჰიშმა, სხვაც დიდი სპანი 11.34.
 უჩვენე ჯიდრას, რის შემძლეა ეგ მაჯა მარჯვე,
 უკვე მოკვალი მე ისინი, არ ღირს ჭოჭმანი,
 შენ მხოლოდ ხმალი გაიქნე და გაიმარჯვე!
- სანჯაიამ თქვა:
- ესმა არჯუნას რას ურჩევდა კრიშნა, რას არა, 11.35.
 მის ფერხთით მუხლი მოიყარა, ხელაპყრობილმა,
 ათრთოლებულმა მოკრძალებით თავი დახარა
 და ძლივსლა დასძრა სიტყვა შიშით გულშეპყრობილმა.

არჯუნამ თქვა:

- 11.36. გულთამპყრობელო, სამყარონი ზოტბას გიძღენიან,
აღტაცებულნი ხარობენ და ნალარას ცემენ,
გულგახეთქილი ავსულები შორიშორ რბიან,
სრულყოფილნი კი ქედს გიხრიან და თაყვანს გცემენ.
- 11.37. ან რად არ გაქონ, წარუვალო, დიადო სულო,
შენგან არს ბრაჰმაც! რას არ სჭარბობს შენი დიდება?!
ხარ სამყაროთა საყუდარი შენ უსასრულო,
ყოფნა, არყოფნა და რაც იმათ ზღვარსაც სცილდება.
- 11.38. შენა ხარ ღმერთი უწინდელი, წინაზეც წინა
და სამყაროთა საბოლოო ნავსაყუდელი,
მცოდნეც ხარ, ცოდნაც, ზეციური შენა ხარ ბინა,
სახეულეველს აგივსია სამყარო მთელი.
- 11.39. ემორჩილება შენს ხელს მთვარე, ცეცხლი და ქარი,
წყალს და თვით სიკვდილს მხოლოდ შენი განაგებს ნება,
შენა ხარ არსთა შემოქმედი და წინაპარი,
თაყვანი შენი არასოდეს მომეწყინება!
- 11.40. ყოველი მხრიდან შენს წინაშე მიხრია თავი,
ვერ კი მიცია მე თაყვანი შენი საფერი,
რა უსასრულოდ ძლიერი ხარ, დაუღალავი,
ყველაფერში ხარ, ამიტომაც ხარ ყველაფერი.
- 11.41. მეგობრად გთვლიდი, უბოდიშოდ ზოგჯერ გკადრებდი:
„ეი, შენ, კრიშნა, ჰე, ძმობილო, იადაველო!“
თუმც ამ დიდებას, მითხარ, როგორ გავიაზრებდი!
მეგობრობით მთვრალს სხვა რამ ფიქრად ვერც კი გამეველო.
- 11.42. ზოგჯერ ხუმრობით ადგებულად მე გექცეოდი,
სადილი იყო თუ ლაღობა, ლხინი, ყბედობა,
მარტოკა იყავ თუ ტოლებთან ერთად მწვეოდი,
ო, უნაბიროვ, გთხოვ შემიწლო ეს თავხედობა!
- 11.43. მამა ხარ მთელი ცისქვეშეთის – უძრავის, მყარის,
მოძღვართმოდღვარო, ხარ საფიცი, სათაყვანები,
შენზე დიადი ან სადარი სხვა არსად არის,
ვერ ჰპოვო, გინდაც მოიარო სამთავ ყანები.

ამიტომაც ვარ შენს წინაშე მუხლებზე მდგარი,
შეგთხოვ, უფალო, ვიყო შენგან შეწყნარებული
და მპატიებდე, ვით შვილს მამა, ტოლს მეგობარი,
ანდა ვით სატრფოს აპატიებს შეყვარებული.

11.44.

ჯერ არნახული, მიხარია, რომ დამანახე,
თუმც გული შიშით შეაშფოთე და გააწვალე,
ღმერთთა მეუფევე, დაიბრუნე ნაცნობი სახე,
ო, საყუდარო სამყაროთა, იყავ მოწყალე!

11.45.

მხოლოდ გვირგვინით, ოთხი ხელით, დისკოთი, კვერთხით,
მინდა გიხილო, რომ გულიდან შიში გაკყარო,
ათასმკლავებავ, მუხლმოყრილი ისევ შენს ფერხთით,
შენ გევედრები, ვის სახელ გაქვს მთელი სამყარო.

11.46.

შრი ბჰაგავანმა თქვა:

ჩემს ღვთიურ ძალას უმაღლოდე, შევძელ ამითი,
უზეშთაესი რომ გაჩვენე ჩემი იერი,
ნათელი, სრული, უსასრული, დასაბამითი,
მისი მნახველი არ ყოფილა ჯერ სულიერი!

11.47.

მას ვერ იხილავ ცოდნით, თმენით ან მსხვერპლის წირვით,
შენ გეუბნები, ვისი ძალაც სხვაზე მეტია,
მას ვერ მისწვდები ქველი საქმით, ვერც ლოცვა-წირვით,
შენს გარდა მისთვის ჯერ არავის არ უჭვრეტია.

11.48.

მამ ნულარ ღელავ, ნუ დაკარგე სულმთლად გონება,
თუმც რასაც ხედავ საზარია და საკვირველი,
დაიცხრე გული, ნულარ გინდა შიშის მონება,
აჰა, იხილე ჩემი სახე თავდაპირველი.

11.49.

სანჯაიამ თქვა:

ასე უთხრა და დაიბრუნა ძველი იერი,
ღიადმა სულმა კაცის სახე თავს დაუბრუნა,
ისევ ერგენა საამური, პირმშვენიერი,
შიშნაჭამს გული გაუკეთა და მოუბრუნა.

11.50.

არჯუნამ თქვა:

11.51. ამ უწყინარი სახის მნახველი, იმ პირისა ხის, მე რომ მეცნობა, ვწყნარდები ისევ, გრძნობას მოვდივარ და მიბრუნდება თანდათან ცნობა.

შრი ბჰაგავანმა თქვა:

- 11.52. იცოდე, სახე, შენ რომ დღეს ნახე, ძლიერ საძნელო სახილველია, ღმერთებისთვისაც, ზეცის მკვიდრთათვის, იგი მარადის სანატრელია.
- 11.53. მისი ხილვის ნიჭს ვერ მოგანიჭებს მსხვერპლის წირვა და კითხვა „ვედების“, მას ვერც დათმენა ვერ დაგანახვებს და ვერც სიმრავლე ქველმოქმედების.
- 11.54. ვინც არასა იქმს ერთგულების მეტს, მას ძალუძს ასე მე დამინახოს, მხოლოდ მას ძალუძს მცნოს ჭეშმარიტად, ჩემში დამკვიდრდეს და ბინა ნახოს.
- 11.55. ვინც ჩემთვის შრომობს და ერთგულია, ჩემსკენ ისწრაფვის ხუნდებს დახსნილი, ვინც არას ერჩის არც ერთ სულიერს, მოვა ჩემამდე, გზა აქვს გახსნილი.



თავი მეთორმეტე

ერთგულების გზა

არჯუნამ თქვა:

ვის მეტი ესმის – მას, ვინც მიელტვის თვალთ უხილავს და არწარმავალს, 12.1.
თუ იმას, ვინც შენ მოგაგებს თავიანს, ერთგულს, შენთან მყოფს, შენი გზით მავალს?

შრი ბჰაგავანმა მიუგო:

ის, ვინც თავიანს მცემს გონმოკრებილი, ნიადაგ ჩემთვის გულანთებული, 12.2.
ვინც გულსავსეა ზეციურ რწმენით, ის არის ჩემთან შეერთებული.

თუმც ისიც, ვინაც ელტვის წარუვალს, გამოუთქმელს და უვლენ-უსახველს, 12.3.-4.
თავიანს სცემს ურყევს, ურღვეველს, უცვლელს, ყოველში მსუფვეს, წარმოუსახველს;

ვისთვის ერთია ქვეყნად ყოველი, ვინც გრძნობებს იდრეკს და მათ თავს აღწევს,
ვინც მოკეთეა ყოველ სულდგმულის, ისიც უთუოდ ჩემამდე აღწევს.

მეტი ზედეს ტანჯვა, მას ვინც ინდომოს, განჭვრიტოს ის, რაც უვლენელია, 12.5.
უვლენელამდე სვლა და მიღწევა ზორციელისთვის ძნელზე ძნელია.

მას კი, ვინც მიცნო უმაღლეს მიზნად, ვინც საქმეს თავი ჩემთვის ანება, 12.6.-7.
ვინც უღალატოდ მისდევს იოგას და ფიქრით, ჭვრეტით მეთავიანება,

მაღე დავიხსნი ამა სოფლისგან – ამ სამყოფლისგან ტანჯვა-წვალების,
ვინც მე მომაპყრო ფიქრი, მას ვიხსნი ზღვიდან გაჩენა-გარდაცვალების.

თუ მე მომაპყრობ გულს, გონებასაც და თუ ეს მუდამ გემასსოვრება, 12.8.
უთუოდ შენად გადაიქცევა ეს საუკუნო ჩემი ცხოვრება.

და თუ არ ძალგიძს მტკიცედ, ურყევად შენ ჩემზე ფიქრი, ჭვრეტა და განცდა, 12.9.
მაშინ მუდმივი წრთობით მიხილე და მომიპოვე, მხვეჭელო განძთა!

თუ წვრთნაც არ ძალგიძს, მაშინ ეცადე შრომის უღელი შენ ჩემთვის სწიო, 12.10.
რადგან მარტოდენ ჩემთვის შრომითაც შესაძლო არის სრულქმნას ეწიო.

- 12.11. მაგრამ ამ გზასაც თუ ვერ მისდიე, შენთვის ესეც კი ძნელი თუ არი, მე შეგეფარე, მოთოკე თავი და საქმის ნაყოფს უთხარ უარი.
- 12.12. წრობას ცოდნა სჯობს, ხოლო ცოდნას კი ჯობია ჭვრეტას არ მოიშლიდე, ჭვრეტას ნაყოფზე უარის თქმა სჯობს, უარს კი მყისვე მოაქვს სიმშვიდე.
- 12.13.-14. ის, ვინც მეგობრობს, არ მტრობს სულიერს, ვინც შენმდობია, თანამგრძობელი, ის, ვინც ერთია ჭირში და ლხინში, „მე“-სა და „ჩემის“ მარად მთმობელი; ვინც იოგია, თავის მფლობი და გულმშვიდი, აზრზე ურყევად მდგარი გონმოპყრობილი, ერთგული ჩემი, ჩემთვის ძვირფასი ქვეყნად ის არი.
- 12.15. ვინც არ აწუხებს ამ წუთისოფელს, არც წუთისოფლით აღარ წუხდება, ვინც ეხსნა წადილს, შიშს, შურს და შფოთვას, ჩემთვის ძვირფასი იგი თუ ხდება.
- 12.16. ვინც უნდომია, უმწიკვლო, მარჯვე, ვინც უზრუნველი, უდარდელია, ვინც აღარ მისდევს აღარცერთ საქმეს, ჩემთვის ის უფრო სანატრელია.
- 12.17. ვისაც არა სძულს, არც კარგავს ჭკუას, არ ნანობს და არც მიუწევს გული, ტანჯვა-ლხენაზე ვინც ამბობს უარს, მეძვირფასება მე ის ერთგული.
- 12.18.-19. ვინც არად ავდებს პატივს და სირცხვილს, არ განასხვავებს მტერს და მოყვარეს, ვინც არ განარჩევს ბორკილს დახსნილი დარსა და ავდარს, სიტკბო-სიმწარეს; ვისთვის – უსახლოს და უტეხისთვის ქება-ძაგებას ერთი აქვს ფასი, ვინც მღუპარეა, ნეტარი ყოვლით, ის ერთგულია ჩემთვის ძვირფასი.
- 12.20. ჩემი ერთგულნი, სავსენი რწმენით, ვით მეუფეს რომ შემომხარიან, ამ უკვდავ ღჰარმას ზიარებულნი, უძვირფასესნი ჩემთვის არიან.



თავი მეცამეტე

ველისა და მისი მცოდნის გარჩევა

არჯუნამ თქვა:

რაა ბუნება, რა არის სული, რას ნიშნავს ველი ან მისი მცნობი? 13.1.
მინდა ვიცოდე რა არის ცოდნა, ვიცოდე, რა აქვს კაცს შესაცნობი.

შრი ბჰაგავანმა მიუგო:

დაიმახსოვრე, ო, კუნტის შვილო, ველად ითქმება თვით ეს სხეული, 13.2.
ველის მცოდნედ კი სხეულის მცოდნეს მიიჩნევს ყველა ბრძენი რჩეული.

შეიცან, მე ვარ მცოდნე ველისა, ყოველსა ველში ღამის მთეველი, 13.3.
ცოდნა ისაა, ორივე იცნო – მცოდნე ველისა და თავად ველი.

აწ გეტყვი მოკლედ, რა არის იგი, ვინ არის, ან ვით ძალუქს იცვალოს, 13.4.
საიდანაა ან რა ძალა აქვს, ან მის ბუნებად რა ჩაითვალოს.

ბევრი რამ უთქვამთ ამაზე ბრძენებს, ბევრი უძღვნიათ საგალობელი, 13.5.
წმინდა წერილიც მასვე ახსენებს, დასაბუთებით ყოვლის მთხრობელი.

ბუნების ძალნი, მეობის გრძნობა, გონი და ის, რაც უვლენელია, 13.6.
თერთმეტი გრძნობა, სამძოვრი მათი – ეს ყოველივე ოდენ ველია.

ტკივილი, შვება, სურვილი, ზიზღი, შეგრძნება, ფიქრი, სულის მხნეობა, 13.7.
ამით შედგება ველი ყოველი, სახე ყოველი და სახეობა.

თვინიერება, უეშმაკობა, გულღიაობა, მიმტყვევლობა, 13.8-12.
თავის მოთოკვა, მოძღვრის თაყვანი, სიწმინდე, ნება და უვნებლობა;

გრძნობის საგანთა უნდომელობა და თავისაგან დაღწევა თავის, 13.9.
შობა-კვდომასა, ტანჯვა-სნებაში და სიბერეში დანახვა ავის;

სახლის, ცოლ-შვილის და ყველა სხვათა ტყვეობისაგან თავისუფლება, 13.10.
როს არც საამოს, არც უამურის მიმართ სურვილი არ გეუფლება;

განუყრელობის იოგას ძალით ჩემთვის სიმტკიცე და ერთგულება, 13.11.
როს ხალხში ყოფნა ნუგეშს არ გცემს და განმარტოვება მწედ გვეულება;

ჭეშმარიტების წვდომის წყურვილი, თვითშემეცნებით მუდამ ნაფერი, ცოდნად მიიღე ეს ყოველივე, უმეცრებაა სხვა ყველაფერი.

- 13.13. ახლა კი გამცნობ, რისიც ხამს ცოდნა, რით უკვდავების იღება კარი: დაუსაბამო, ზენარ უფალზე არ ითქმის „არი“ და არც „არ არი.“
- 13.14. ყოველგანაა თვალები მისი, თავები, პირი, ტანი, კიდური, მისით – მხედველით და მსმენით ყოვლის საესეა მიწა და ცისკიდური.
- 13.15. თვისებისა და გრძნობის არმქონე, თვით არის მათი მანათობელი, – თავისუფალი ყოველისაგან, თუმც შემწე ყოვლის და შემტკობელი.
- 13.16. უძრავისა თუ მოძრავი არსის შინ და გარეთ აქვს მას სამოსახლო შეუცნობელი სიმცირის გამო ძლიერ შორსაა და ძლიერ ახლო.
- 13.17. თითქოს დაყოფილს ურიცხვ ქნილებად, ხამს, მას იცნობდე, ვით განუყოფელს, ვით გამჩენსა და მომაკვდინებელს, მაცოცხლებელსა და ცხოველმყოფელს.
- 13.18. ბნელთა მიღმაა უწყოდე, იგი – ნათელი, ნათელთ მანათობელი, ყოველთა გულში მყოფი ცოდნაა, ცოდნის მიზანი, შესაცნობელი.
- 13.19. ესაა ასნა არსიტყვაუხვი შესაცნობელის, ცოდნის და ველის, კაცს, ამის შემცნობს და ერთგულს ჩემსას ჩემი მარადი სიცოცხლე ელის.
- 13.20. იცოდე, არც სულს და არც ბუნებას არა საწყისი არ გააჩნია ბუნებისგან არს ყველა თვისება და ცლვილებანი, რაც მას აჩნია.
- 13.21. ასეა, ყოვლის მიზეზს და შედეგს თვითონ ბუნების განაგებს ნება, ხოლო ტანჯვის და ღზენის წყარო კი სული იყო და სული იქნება.
- 13.22. ბუნებაშია სული სულდგმულის, ბუნების ნაქსოვ გუნებით ტკება, მათ ვეღარ წყდება და ამიტომაც ავად თუ კარგად კვლავ ქვეყნად ჩნდება.
- 13.23. ზესთა სული კი – მეუფე ზენა, სხეულში მყოფი, მისი მხლებელი, მოწმეა ყოვლის, ნებას მიმშვები, გემოს მხილველი, მაცოცხლებელი.
- 13.24. ზესთ არსების და ბუნების გზების ცოდნა ამგვარი ვინაც კი ჰპოვა, არ დაბრუნდება, რაც გინდა მოხდეს, ისევე ამქვეყნად ის აღარ მოვა.
- 13.25. ზოგი სულს სულის მეოხებითვე ჳვრეტს, თავისთავში როს იხედება, ვისთვის ფიქრია გზა სულისაკენ, ხოლო ვისთვის კი – მხოლოდ ქმედება.

- ამის უვიცნიც, თუ სხვას უსმენენ და გაცხადებულს გულს იმარხავენ, მადიდებნი და თაყვანისმცემნი, სიკვდილს ისინიც გადალახავენ. 13.26.
- უძრავი იყოს, გინდა მოძრავი, რასაც კი ქვეყნად გაჩენა ერგო, ყველა ველისა და მისი მცოდნის კავშირით იშვა, ბჰარატას ნერგო! 13.27.
- ვინც უზენაეს მეუფეს ხედავს, მსუფევს ყოველსა სულდგმულში სწორად, ვინც წარმატალში ხედავს წარუვალს, მხოლოდ ის ხედავს, იცოდე, სწორად. 13.28.
- ზოლო ვინც ყველგან თანაბრად მყოფი ზესთა მეუფის მხედველი ხდება, აღარასა ვნებს იგი თავის თავს და უზენაეს საუფლოს სწვდება. 13.29.
- ვინაც ხედავს, რომ თვითონ ბუნება ყოველი საქმის შემოქმედი, ვინაც ხედავს, რომ უქმია სული, ის ჭეშმარიტად ყოველისმხედი. 13.30.
- რაწამს იხილავს ყოფას დაყოფილის, ათასგვარ არსთა ათასგვარ იერს, ვითარ ერთში მყოფს და ერთს – განვრცობილს, შეუერთდება კაცი ზეციერს. 13.31.
- დაუსაბამო და მიღმიერი, მარადჟამს სული, ზენა, ერთია არაფერს იქმს და არც იბღალეება, თუმცა კი ხორცთან შენაერთია. 13.32.
- ვით ყოველის გამჭოლ ეთერს ვერ შესვრის სიმცირის გამო ვერა ლირწება, ასევე სულიც, მოკვდავის ტანში ყველგან ჩამდგარი, არ იბილწება. 13.33.
- მთელს ამ ცისქვეშეთს, ბჰარატას შეილო, ერთი ანათებს მზე, დიდებული, ველიც ასეა ზეგარდმო სრულად სულის ნათელით გაბრწყინებული. 13.34.
- ვის ცოდნის თვალთ ხელეწიფება ველის მცოდნისგან გარჩევა ველის, ვინც უწყის, როგორ ეხსნას ბუნებას, უზენაესის ხილვა მას ელის. 13.35.



თავი მეთოთხმეტე

ბუნების სამსახოვნება

შირი ბჰაგავანმა თქვა:

- 14.1. კვლავ მსურს გაგანდო, გადმოგცე ცოდნა, ყოველ ცოდნაზე მაღალი, სრული; ცოდნა, რომლითაც ყველა განმდგარი აქვე, მიწაზე შეიქმნა სრული.
- 14.2. შეაფარებენ რა თავს ამ სიბრძნეს, ჩემი მსგავსნი და ცალნი ხდებიან, აღარ ჩნდებიან გაჩენის დღეს და აღარც ბოლო ჟამს იღუპებიან.
- 14.3. დიდი ბრაჰმა წიალი იგი, სად თესლი ჩემი აღმოცენდება, ამის გამოა, რომ ცისქვეშეთში სულდგმულს სიცოცხლის დღე უთენდება.
- 14.4. ვისი ნაშობიც იყოს სულდგმული, ვისი ნაშენი და ნათესავი, ბრაჰმა მისი დედა მშობელი, მე კი მამა ვარ, თესლის მთესავი.
- 14.5. სატვა, რაჯასი და ტამასია სამი თვისება – ბუნების ძალი, მათი ბრალია, რომ ხორცს ვერ წყდება სული ხორცსმული და წარუვალს.
- 14.6. ხოლო ამათგან წმინდაა სატვა – საღი, უმწიკვლო, ნათლისმიერი, სიხარულის და ცოდნის ბორკილით შეუბორკია მას სულიერი.
- 14.7. ვნებიანია ზნე რაჯასისა, მას წყურვილი და ტყვეობა ბადებს, სულს, ხორცში მცხოვრებს, ო, კუნტის შვილო, ის მოქმედების ბორკილებს ადებს.
- 14.8. ხოლო ტამასს კი უმეცრება შობს, ის ყველა სულდგმულს მცდარი გზით არებს, იმით ატყვევებს ძეხორციელს, რომ თვალს უხვევს, ბანგავს და ამცონარებს.
- 14.9. რაჯასით საქმის, ხოლო სატვათი სიხარულის ტყვე ხდება არსება, უმეცრების ტყვედ გაქცევს ტამასი, რადგანაც ცოდნას ის ეგარსება.
- 14.10. თუ სატვა ჭარბობს, მაშინ რაჯასის და ტამასისაც მცირდება წვლილი, თუ რაჯასი ან ტამასი მძლავრობს, სხვა ორი იკლებს, ძალგამოცლილი.
- 14.11. როცა სხეულის ყველა კარიბჭე ცოდნის სხივებით აელვარდება, მაშინ იზრდება სატვა, იცოდე და ძალა მისი მაშინ მრავლდება.

- ყინი, სიხარბე, მოუსვენრობა, საქმის გაძლოლის, შრომის სურვილი 14.12.
 თუ მოგეძალა, მაშინ იცოდე, რომ რაჯასით ხარ შემობურვილი.
- მაგრამ უმეტარს, უგულისყუროს, ბნელში გზა-კვალი თუ აგრევია, 14.13.
 თუ მცონარებას დამონებულხარ, მაშინ ტამასი შენ მოგრევია.
- სატვათი საესე კაცის სული რომ სიკვდილის ხელმა სხეულს გაჰყაროს, 14.14.
 მიადწევს იგი და დაიპკვიდრებს ზენარის მცნობთა წმინდა სამყაროს.
- კვლავ ქვეყნად ჩნდება რაჯასში მკვდარი, ისევ საქმის ტყვედ, განა იცვლება, 14.15.
 ტამასის ხელში სულამომხდარი უგონო არსში გარდაიცვლება.
- წმინდაა მართალ საქმის ნაყოფი, სატვიური და შეუბღალავი, 14.16.
 რაჯასს ტანჯვა და ტკივილი მოაქვს, ტამასს – სიბრმავე გაუკვალავი.
- სატვა ცოდნას შობს, ხოლო სიხარბე გეგულებოდეს რაჯასის ბოლოდ, 14.17.
 ტამასს სიბრმავეს, დაუდევრობას და უმეტრებას დასტყუებ მხოლოდ.
- ცად მაღღებთან სატვას წეულნი, რაჯასეულნი იქვე რჩებიან, 14.18.
 ხოლო უმდაბლეს ბუნებისანი დაცემას ვერსით გადურჩებიან.
- ქვეყნად ეს სამი მოქმედებს მხოლოდ, თუ მხედი ამას ხედავს და ხვდება, 14.19.
 ამით მიღმა კი ჭვრეტს უზენაესს, ის ჩემს სიცოცხლეს, ზენაარს სწვდება.
- ვინც გადალახავს ამ სამ თვისებას, მოკვდავს სხეულად რომ ეხლართება, 14.20.
 ეხსნება ტანჯვას, სიბერეს, სიკვდილს და უკვლავ მხარეს გაემართება.
- არჯუნამ თქვა:
- როგორ ვცნო, ღმერთო, ის, ვინც ეღირსა, ბუნებისაგან შველა ენახა, 14.21.
 ქცევა რას უგავს, ან როგორ შესძლო სამივე გუნა გადაელახა?
- შირი ბჰაგავანმა თქვა:
- არც უმეტრება, არც საქმეები და არც სინათლის ამობრწყინება, 14.22.
 არ მოიძულა ვინც კარს მომდგარი და არც დაკარგულს ეპოტინება;
- ვის – განს განმდგარსა და ჩაურეველს, ვეღარ არყვევნ ძალნი გუნების 14.23.-25.
 არ კრთება, რადგან უწყის, რომ ყველა მოძრაობაა თავად გუნების.

ვისთვის ერთია საამო, მწარე, ერთია ოქრო და მიწაყრილი,
მტკიცეა, ერთი ჭირსა და ლხინში, ნადიდები და პატივყარილი;

მან სძლია გუნებს, ვისთვის ერთია მასხრად გდება და ქება დიდება,
ვინც აღარ არჩევს მტერს და მოყვარეს და ყველა საქმეს ვინც ერიდება.

- 14.26. ვინც მე მსახურებს და ამ ბილიკზე მტკიცედ, ერთგულად, მხნედ იარება,
ის გადლახავს ბუნების ძალებს და ბრაჰმას ყოფას ეზიერება.
- 14.27. საძირკველი კი ბრაჰმასი მე ვარ – მარად უცვლელი, დაურღვეველი,
ჩემშია ღჰარმა სამარადისო და სიხარული, დაუღვეველი.



თავი მეთხუთმეტე

უზემთაესი სული

შირი ბჰაგავანმა თქვა:

- 15.1. ტოტდახრილი და ფესვცადაყრილი ხე აშვათჰასი დგას, მარადისი, გალობანია მისი ტოტები, წერილთ მცოდნეა შემცნობი მისი.
- 15.2. ტოტებს ამ ხისას მიწაშიც და ცაშიც აქვთ წილი, გუნა მათ კვებავს, გრძნობის საგნებს კვირტებად ართავს, სოლო ფესვები – ჩამოშლილი, ჩამოწეწილი, ადამიანთა სამყაროში კაცს საქმით ზღართავს.
- 15.3. რადგან შეცნობა მისი ქვეყნად არ ძალუძს სულდგმულს, თავი და ბოლო ვერ სცნო მისი, ძირი თუ კიდე, უმჯობესია ამ ხეს, მაგარს, ღრმადაც ფესვგადგმულს, განჯაჯვულობის პირბასრი ზმლით კვეთდე, იჭრიდე.
- 15.4. შემდეგ ეძებდე იმ საგანეს, სადაც წასული, უკან ამქვეყნად აღარავინ გამოქცეულა, და ჰჰოვო იგი – პირვანდელი სამყაროს სული, ვისგან ოდესღაც ყოველივე გადმოქცეულა.
- 15.5. რადგან ვინც მოშთო სიამაყე, ნდომის სიავე, სულ მუდამ სულთან ზიარებით განდევნა ვნება, ვინც მოსრა ბრძობა, გაორება, ტანჯვა-სიამე, ის – შეუძცდარი, უკვდავ ალაგს დაევენება.
- 15.6. სხივს ვერ შემატებს იმ სასუფეველს ვერც ცეცხლის ალი, ვერც მზე, ვერც მივარე, აღარ ბრუნდება, ვისაც უნახავს უზემთაესი ის ჩემი მხარე.
- 15.7. ამ სამყაროში სულად ქცეული ჩემი წილია მხოლოდ უკვდავი, ბუნების შექმნილ ზუთი გრძნობისთვის მას მოუყრია სულდგმულში თავი.
- 15.8. ბატონი არის – ხორცს შეისხამს და კვლავ მიატოვებს, როცა დრო არი, თან წარიატაცებს ფიქრსა და გრძნობებს, ვით მინდვრის სურნელს გადარეკს ქარი.

- 15.9. მას მსახურებენ თვალი და ყური, შეხება, ყნოსვა, გემოს შეგრძნება, ცნობა და გულიც მას უპყრია და გრძნობის საგანთა შეხებით ტკეპება.
- 15.10. თუმც გინდ აქ იყოს, გუნებით მივრალი, გინდ მიატოვოს მან ეს სხეული, ცოდნის თვალი ჭვრეტს მას ქვეყნად მხოლოდ, ვერ ამჩნევს კაცი თვალახვეული.
- 15.11. თავისთავშივე ჭვრეტს მას იოგი, ვის სრულქმნისათვის გაღუდევს თავი, მაგრამ ვერ ხედავს, რაგინდ ეცადოს კაცი გონნაკლი, დაუხვეწავი.
- 15.12. მზის ნათელიც და მთვარის ციაგიც, ქვეყნიერებას რომ ეფინება, კაშკაშა შუქიც, ცეცხლი რომ აფრქვევს, იცოდე, ჩემგან მოედინება.
- 15.13. მიწაშიც მე ვარ და ყველა სულდგმულს ამით აქვს ძალა, მაცოცხლებელი, მე ვარ, ნამს რომ ჰყენს და ასაზრდოებს მცენარეს მთვარე – მიწის მხლებელი.
- 15.14. მე ვარ ის ცეცხლი და ის ღაღარი, კაცის სხეულში რომ უდევს ბინა, ის, რაც სუნთქვასთან შეერთებულა, რომ შეჭამანდი ენელებინა.
- 15.15. ყველას გულში ვარ – კაცი იყოს, თუ გინდა მწერი, მე თვითონა ვარ აზროვნება, ცოდნა და ხსოვნა, წმინდა წერილთა მცოდნეც მე ვარ, მათი დამწერი, თვით მე ვარ ისიც, მათი კითხვით რისიც ხამს პოვნა.
- 15.16. ორგვარი არის არსება მხოლოდ – წარუვალი და წამისმიერი, წარმავალია ქმნილება ყველა, უკვდავი – არსი, არსთმიდმიერი.
- 15.17. მაგრამ სულ სხვაა სული ზენარი, მაღალ ატმანად თქმული, უღვევი, ზესთა მეუფე, ვისით სამივე სკნელია ნამსჭვალ-ნასულდგმულევი.
- 15.18. და რადგან მე ვარ წამისმიერზეც და მარადისზეც ბევრად ასული, ვარ ნადიდები წმინდა წერილთა და კაცის პირით ვით ზესთა სული.
- 15.19. ვისაც ვუცნივარ, ვით სული ზენა და აღარ დადის აბნეულ გზებით, ყოვლის მცოდნეა იგი, იცოდე და თავყანს მიძღვნის მთელი არსებით.
- 15.20. წვრილად გაგანდე ცოდნა ფარული, მიუწვდომია რისიც გზა-კვალა, გონმოსილია მის გულში მწვდომი და წუთისოფლის აღარ აქვს ვალი.

თავი მეთექვსმეტე

ღვთაებრივი და ეშმაური

შირი ბჰაგავანმა თქვა:

ღვთაებრივია წმინდად ცხოვრება, სიბრძნის მიყოლის მიწვივ მცდელობა, 16.1-3.
ღვთაებრივია გულუშიშობა, ხელგაშლილობა და გულწრფელობა;

ღვთაებრივია თავის ფლობა და წერილთა სწავლა, ტანჯვათა თმენა,
ღვთაებრივია უგნებელობა, განდევილობა, მსხვერპლის აღვლენა;

ღვთაებრივია პატიოსნება, სიხარბის ძლევა, უშფოთველობა,
ყოველ ცოცხალთა თანაღმობა და მიმტევებლობა, ურისხველობა;

ღვთაებრივია უღალატობა, თავმდაბლობა და ლმობიერება,
პირნათელობა, რიდი, სიღინჯე, ნების სიმტკიცე და ძლიერება;

ღვთაებრივია, როცა არ იცი ამპარტავენება, ბოღმა და შური,
თუკი კაცს მოსდგამს ეს ყველაფერი, მისი გაჩენა არის ღვთიური.

პირფერობა და კადნიერება, უკადრისობა და უხეშობა, 16.4.
უმეცრება და რისხვა იმას ჭირს, ვინც ეშმაურ ზნით მშობელს ეშობა.

ხსნა ელის შობილს ღვთაებრივ ხვედრში, ეშმაურსაში შობილს – მონება, 16.5.
ღვთიურ ბედში ხარ შენ გაჩენილი, მოეშვი, ნუ გჭირს ეგ დაღონება!

ამ ორი ზნიდან ერთი სჭირს ყველას – ზნე ღვთაებრივი ან დემონური, 16.6.
ერთზე გაიძბე, მეორეზე კი ახლა მოგიოხრობ, დამიგდე ყური.

არც საქმე ესმის, არც უსაქმობა მას, ვისაც ზნე ჭირს ეშმასეული, 16.7.
არც სიწმინდე აქვს და არც სიმაართლე, არც საქციელი მას ღირსეული.

ამბობს: „ქვეყანა არაფერზე დგას, სულ ტყუილია სიმაართლე, ღმერთი, 16.8.
რასაც დათესავ, იმას არ იმკი, მაცოცხლებელი ვნებაა ერთი.“

თავსაც იღუპავს ამ აზრზე მდგარი, უმეცარი და ჭკუანაკლები, 16.9.
და ქვეყანასაც მტრად ეკიდება, უკეთურობით მისი ამკლები.

- 16.10. მინებებია სურვილებს უძღვებს, ათრობს ლაქუცი, რიზი, დიდება, მისდევს, მიჰყვება უწმინდურ მიზნებს და სიბნელეში ბნელს ეჭიდება.
- 16.11. ფიქრობს: „ამქვეყნად სხვას არ აქვს ფასი, მხოლოდ ვნებაა, მხოლოდ განცხრომა!“ და თავზე იტენს იმდენ სადარდელს, სიკვდილს თუ ძალუძს მათი დაცხრომა.
- 16.12. ათას იმედის მახეში გაბმულს მართავს რისხვა და ჟინი თავნება სურს სულმდალობით გამდიდრდეს ქვეყნად, მხოლოდ მისთვის, რომ დაიცხროს ვნება.
- 16.13. ბჭობს: დღეს ზომ დავტკბი, ხვალაც დავტკბები, რა მიშლის, თუ ჩემი ნებაო, ეს მე მეკუთვნის, ჩემია ისიც და სხვაც სულ მალე მე მექნებაო;
- 16.14. ეს ზომ მოკვალე, სხვა მტერსაც მოკვლავ, მბრძანებელი ვარ მე ძლიერიო, მე ვარ ამ ქვეყნის სიტკბოს შემტკბობი, უძღვევლი და ბედნიერიო;
- 16.15. სიმდიდრე მაქვს და გვარიშვილობა, სხვა ვინ არისო ჩემი სადარი, ვწირავ, გავცემ და გავიხარებო, სჯის უმეცრებით ჭკუას ამცდარი.
- 16.16. გზაბნეული ათასი ფიქრით, ვნებით განცხრომას ვეღარ ეშვება და სიმცდარეთა ქსელში გაბმული უწმინდურ ქვესკნელს გადაეშვება
- 16.17. სიმდიდრითა და პატივით მთვრალი, თვითკმაყოფილი, ურჩი, თვითრჯული, სახელისათვის სწირავს ცბიერად, რასაც წერილში კრძალავს თვით რჯული.
- 16.18. თავკერძს, მთვრალს ვნებით, ძალაუფლებით, წესად აქვს რისხვა, კადნიერება და მღევნის, მებრძვის მისსავ გულში მყოფს, სხვებშიაც ვპულვარ და მემტერება.
- 16.19. ასეთ ხალხს – მდაბალს, სასტიკს, მოძულეს, ბოროტითაა ვინაც ძლეული, სამსარას ვახლი გაუთავებლად, რომ ერგოს ხვედრი ეშმაკეული.
- 16.20. უფრო ებნევთ თავ-გზა კვლავ შობილთ, რადგან ეშმაურ ხვედრში ხვდებიან, ვეღარ აღწევენ ჩემს საუფლომდე და კიდევ უფრო ძირს ეშვებიან.
- 16.21. სამი კარი აქვს ქვეყნად ჯოჯოხეთს: ვნება, სიხარბე და მრისხანება, დასთმე სამივე, რადგან ამათგან გელის დალუპვა, გავერანება.
- 16.22. ის კი, ვინც მათგან თავისუფლდება, წყვდიადის კარებს შორდება, წყდება, მეტ სიკეთეს იქმნის სათავისოდ და ზესთ-უზენაეს საუფლოს წვდება.

მაგრამ ვინც წერილს არად აგდებს და სურვილთა გამო საქმეს ეწევა, 16.23.
ვერც სრულქმნილებას და ვერც სისარულს, ვერც სასუფეველს ის ვერ ეწევა.

ამიტომ რა ქნა, რას კი ერიდო მუდამ წერილთა საზომით ზომე, 16.24.
ჯერ შეიმეცნე მცნებანი მათი, საქმიანობა მერე ინდომე.



თავი მეჩვიდმეტე

სამგვარი რწმენა

არჯუნამ თქვა:

17.1. ვინც წერილთა წესს არ სდევს, თუმც სწირავს, რადგან რწმენა აქვს გულში ძლიერი, ტამასისაა იმისი რწმენა, რაჯასისა თუ სატვასმიერი?

შირი ბჰაგავანმა მიუგო:

17.2. კაცს სულ სამგვარი – ტამასისებრი, რაჯასეული და სატვიური, აქვს რწმენა, მისსავ ბუნების დარი, სამივეს გეტყვი, კვლავ მიგდე ყური.

17.3. ყველა მოკვდავის რწმენა, იცოდე, თვითონ მისივე ბუნებისაა, კაცს რწმენა აქცევს იმად, რაც არი და რაც რწმენაა, კაციც ისაა.

17.4. დმერთებს სწირავენ სატვასმიერნი, რაჯასეულნი – ბოროტ ავსულებს, ტამასეულნი – ბუნების ძალებს და გარდაცვლილთა, წასულთა სულებს.

17.5.-6. ის, ვინც წერილში დაუწესებელ ტანჯვით თავს იგვემს, ძლიერ ევნება, თუმც თაღლითსა და თავკერძობით მთვრალს სურს მბრძანებლობა, ატყვევებს ვნება;

ვინაც სხეულის ნაწილებს იგვემს, რადგან სიბეცემ გზა აურია და მეც მაწვალებს მის სხეულში მყოფს, განზრახვა მისი ეშმაურია.

17.7. სამნაირია ქვეყნად საკვებიც, რომ გაამებს და გსურს სხვას არჩიო, სამნაირია თმენაც, სიკეთეც, ყური დამიგდე, რომ გაარჩიო.

17.8. რას სიმრთელე და დღე გრძელი მოაქვს, ღხენა, სიწმინდე და მოსვენება, რაც საამოა, მსუბუქი, სარგო, სატვიურს ტკბილად ის ეჩვენება.

17.9. საჭმელი მწარე, მჟავე და მლაშე, ცხელი და ცხარე, მშრალი და მწველი, ვნებიანს უყვარს მომტანი ვნების, დამადონები და დამტანჯველი.

17.10. უგუნურს მოსწონს კერძი ნარჩენი, შელანძლული და გემოვასული, ბინძური, მყრალი და უვარგისი თავს ურჩენია და მისდის სული.

- სატვიურია მსხვერპლის აღვლენა, ვით ითხოვს წერილთ წესი და რიგი, როცა იცი, რომ ვალია შენი და არ გადარდებს, რას მოგცემს იგი. 17.11.
- მაგრამ თუ წირვა პირფერობაა, სანახაობა, გუნდრუკის კმევა, თუ საზღაურის ახლავს სურვილი, რაჯასეულად ის მიიჩნევა. 17.12.
- ულოცველი და უშესაწირო, წესს გადასული, სასოლელელი, არ გამცემი და არ გამკითხავი, მსხვერპლშეწირვაა ტამასეული. 17.13.
- ორჯერშობილთა და ღვთის თაყვანი, უვნებელობა და გულწრფელობა, მოძღვარისა და ბრძენთა პატივი და სიწმინდეა ხორცის მწვრთნელობა. 17.14.
- სიტყვა მართალი, სარგო, საამო, არავისათვის მომტანი წყენის, თან კი წერილთა მუდამ კითხვაა წრთენა მეტყველების, სრულყოფა ენის. 17.15.
- აუმღვრეველობა, კეთილგანწყობა, მღუმარება და მოთოკვა თავის, გასპეტაკება მთელი არსების საქმეა კაცის, ფიქრის მმართავის. 17.16.
- სატვიურია ეს წრთენა სამგვარი, თუკი ურყევად, რწმენით სრულდება, სატვიურია, თუ კაცს თავისი საქმის ნაყოფი არ მოუნდება. 17.17.
- თუ დაფასებას, პატივს დაემებს, სურს დაუყენოს ქვეყანას თვალი, რაჯასულია წრთენა ფარისევლის, მიუნდობელი და წარმატალი. 17.18.
- ხოლო თუ ვინმე ბრიყველ განზრახვით ვნებას აყენებს, იწვალებს სხეულს, ან გულში სხვისი დაღუპვა უდევს, წრთენას მისდევს იგი ტამასისეულს. 17.19.
- ვინც საჭირო დროს, საჭირო ალაგს გასცემს და არ სურს რამ მაგიერი, ღირსეულს წყალობს, რადგან თვლის ვალად, მისი ძღვენია სატვასმიერი. 17.20.
- თუკი სიკეთით სიკეთე ვსურდა, კვლავ გამორჩენით იყავ ძლეული, თუ უხალისოდ უწყალობებდი, ძღვენი გიძღვნია რაჯასეული. 17.21.
- თუ უდროო დროს და უადგილოდ, უღირსისათვის გიძღვნია ძღვენი, თუ აგდებულად, ზიზღით გიძღვნია, ტამასისაა ევ ძღვენი შენი. 17.22.
- „ომ, ტატ, სატ“ – აი სიტყვა სამკეცი, რითიც უფალი მიისწავლება, მისგან არს ქვეყნად ყველა მოძღვარი, მსხვერპლის წირვა და წმინდა სწავლება. 17.23.
- და ამიტომაც ქველმოქმედებენ, იწრთობიან თუ წირვად დგებიან, ჯერ „ომ“-ს იტყვიან უფლის მცოდნენი, საქმეს კი მერე შეუდგებიან. 17.24.

- 17.25. კვლავ ამითაა, სიკეთეს სჩადის, წრთობას იწყებს თუ დგება მწირველად, უანგარო და ხსნის მოწადინე, „ტატ“-ს იტყვის კაცი თავდაპირველად.
- 17.26. „სატ“ ეწოდება სიკეთესა და თვით სინამდვილეს – ჭეშმარიტებას; „სატ“ საქმეცაა, საქმე რომელიც დაიმსახურებს ქება-დიდებას.
- 17.27. „სატ“ სიმტკიცეა მსხვერპლის შეწირვის, თავის წრთობის და ქველმოქმედების; „სატ“ ქმედებაა, უფლისთვის შრომა თუა მიზანი შენი ქმედების.
- 17.28. მაგრამ ურწმენოდ, გინდ წირვა იყოს, გინდ მოწყალეა ან თავის წრთობა, ამსოფლადაც და იმქვეყანაზეც ტყუილი არის და უაზრობა.



თავი მეთვრამეტე

განდგომით განთავისუფლება

არჯუნამ თქვა:

ნეტა რა არის განდევილობა, გულთა მპყრობელო, დემონის მკვლელი, 18.1.
ანდა განდგომა რას ეწოდება, ესეც მითხარი, შეუშუსვრელო!

შრი ბჰაგავანმა მიუგო:

განდევილი ხარ, სურვილებისთვის შრომა თუკი გაქვს უარნაყოფი, 18.2.
განდგომას იმას უწოდებს ბრძენი, როცა აღარ გსურს საქმის ნაყოფი.

ზოგნი ამბობენ დათმეო საქმე, ვით რამ სიავე, ვნების მომტანი, 18.3.
წირვა, გაცემა და თავის წრთობა არ მიაგლოთო, იტყვიან სხვანი.

ბჰარატათაგან გამორჩეულო, ჩემი ისმინე აწ შეგონება, 18.4.
განდევილობა ზორციელის ყურს მხოლოდ სამგვარი გაეგონება.

არა ხამს კაცი წირვას, გაცემას და თავის წრთობას იყოს დახსნილი, 18.5.
რადგან ამ სამით განიწმინდება, თუ განმსჯელია და გონგახსნილი.

თუმც ნუ გექნება ამ საქმეებშიც ფიქრი ნაყოფზე ხელის წავლების, 18.6.
არ მიეჯაჭვო! – აი საზრისი, თავი და ბოლო ჩემი სწავლების.

არც ისე ვარგა, კაცი განდგეს და დაკისრებული მიაგდოს ვალი, 18.7.
უგნურებაა უარი მისი, ვის უმეცრებით აბმია თვალი.

ვინც განდგა, რადგან ტკივილი აკრთობს, არ სურს წვალება, ჭაბანის წევა, 18.8.
რაჯასულია განდგომა მისი და ნაყოფს მისას ის ვერ ეწევა.

ვალის მოხდისთვის, მიუჯაჭველად, შენთვის დანაწეს შრომაში დგომა, 18.9.
თავისუფლება სარგებლისაგან სატვასმიერი არის განდგომა.

განდევლის, წყნარსა და გონებიანს, ვინც შესძლო ეჭვის ჩამოცილება, 18.10.
არც საამური საქმე იტაცებს, არც უამური ეთაკილება.

- 18.11. და რადგან მოკვდავს არავის ძალუმს მოქმედებისგან სრული განდგომა, განდგეილია, ვინც მოიცილა, მოიშთო საქმის ნაყოფთა ნდომა.
- 18.12. არას მოიძკის კაცი განმდგარი, როს განისვენებს იმიერ მხარეს, ვერ-განმდგარი კი მოიწვეს ნაყოფს – ამოს, უამურს ანდა ტკბილ-მწარეს.
- 18.13. ჩემგან ისმინე, ძალგულოვანო, ის, რაც სანქჰიას სიბრძნეა ძველი, ხუთი რამ არის ქვეყნად ყოველი საქმის მიზეზი და საფუძველი:
- 18.14. გარემობა, თავად მოქმედი, ზრახვანი, გული რომ ეუბნება, სხეულის ასო სხვადასხვაგვარი, ხოლო მენუთე – განგების ნება;
- 18.15. და რასაც სჩადის ქვეყნად მოკვდავი, კეთილი იყოს საქმე, გინდ ავი, სხეულით სჩადის, სიტყვით თუ ფიქრით, სულ ეს ხუთია თავი და თავი.
- 18.16. ვისაც ეს სიბრძნე ვერ უცენია და თავი ჰგონია საქმეთა მქმნელი, ვერაფერს ხედავს იგი ამქვეყნად, რადგან ბრიყვია, გონმოუქნელი.
- 18.17. ვინც დაცლილია თავკერძობისგან და აქვს გონება შეუმწიკველი, არ ემონება იგი საქმეებს და გინდაც კლავდეს, არაა მკველი.
- 18.18. სამი რამ იწვევს ქვეყნად ქმედებას – ცოდნა, მცოდნე და ცოდნის საგანი, სამიც აერთებს – საქმე, მოქმედი და რამ სხეულის ასოთაგანი.
- 18.19. ცოდნაც, მოქმედიც და მოქმედებაც სამგვარი არის, მსგავსად გუნების და სამგვარადვე იხსენიება, შესაბამისად მათსავ ბუნების.
- 18.20. ყოველ არსში რომ ერთ არსებას ჭვრეტს, მარად უცვლელს და მარადის მყოფელს, ისაა ცოდნა სატვასმიერი – გაყოფილში რომ ჭვრეტს განუყოფელს.
- 18.21. ცოდნა, ამქვეყნის ათასგვარ არსთა თავისთვადად, ცალკედ მგონები, ცოდნა, სულდგმულთა განმასხვავები, არის რაჯასის ჩანაგონები.
- 18.22. ხოლო ის ცოდნა, ერთი სულდგმული ყოვლისმომცველად რომ ეჩვენება, შეზღუდულად და უჭეშმარიტოდ, ტამასეულად მოიხსენება.
- 18.23. თუ შრომას არ სდევს ნაყოფთა ნდომა, ზიზღი ან ჟინით ცეცხლის მოდება, თუ სწორად შრომა არ ბორკავს მშრომელს, სატვიურ შრომად ის იწოდება.
- 18.24. ნატვრის ახდენა თუკი სურს მშრომელს, ან თავის თავით თუ სურს ტკებოდეს, თუ თავს არ ზოგავს, ხამს შრომა მისი რაჯასეულად იწოდებოდეს.

- მაგრამ თუ კაცი საქმეს მისდევს და შედეგისკენ კი არ იყურება, არ უეკირდება, თავის თავს ღუპავს თუ სხვისთვის მოაქვს უბედურება, 18.25.
- თუ სიბეცე რჯვის და არ დაეძებს საქმის სამყოფი თუ შესწევს ძალა, მაშინ იცოდე, რომ საქმე იგი ტამასისაგან მას მოეძალა.
- გულმოდგინე და მიუჯაჭველი, „მე“-ს განდიდებას თავდაღწეული, ბელსა და მარცხში უცვლელი, მტკიცე – აი მშრომელი, სატვას წეული. 18.26.
- ხოლო მშრომელი, მყოფი რაჯასში, სარგებლისაა მუდამ მოსურნე, ბელი ხიბლავს და მარცხი ადარდებს, უწმინდურია, ხარბი, მოშურნე. 18.27.
- ჯიუტია და ხეპრე მუშაკი, ტამასეულად საქმის მღევარი, ცრუ და ვერაგი, ზანტი, ზარმაცი, უილაჯო და დაუღვეარი. 18.28.
- სამნაირია გუნათა დარად კაცის სიმტკიცე, მისი გონება, სრულად აგიწერ მათ სათითაოდ, მამ გქონდეს სმენა და გაგონება! 18.29.
- სატვიურია გონი, თუ იცის საქმე და უქმე, სწორი და მრუდე, რას ხსნა მოაქვს და რას კი ტყვეობა, საღ სიმტკიცეა, საღ – შიშის ბუდე. 18.30.
- თუ ვერ მიმხვდარა, რა ქნას, რა არა, თუ ცოდნა მისი არასრულია, თუკი ვერ არჩევს მრუდეს და მართალს, გონება კაცის რაჯასულია. 18.31.
- ხოლო თუ მრუდეს მიიჩნევს სწორად, თუ ბნელი აწევს განუჭვრეტელი, ტამასულია გონება მაშინ, თუ უკუღმა ყოვლის მჭვრეტელი. 18.32.
- თუ იოვას გზით სუნთქვის მართვა და ჭკუის და გრძნობის ძალუქს ბრძანება, თუკი არ ტყდება, სატვიურია, სიმტკიცე კაცის და მისი ნება. 18.33.
- რაჯასულია სიმტკიცე, თუ კაცს სიამოვნება სურს და ქონება, და ვალსაც იხდის, თუმც ამაშიაც სარგებელს ეძებს და ემონება. 18.34.
- თუ ვერ თმობს ძილქუშს, შიშსა და წუხილს და უიმედოს არა აქვს შვება, ტამასულია სიმტკიცე ბრყევის, ამოებას თუ ვერ ეშვება. 18.35.
- დაიმახსოვრე, სამი სახე აქვს ბედნიერებას და გახარებას, სატვიურია, რაც წაფვით მოდის და ბოლოს უღებს რაც მწუხარებას. 18.36.
- სატვიურია, რაც ჯერ მწარეა, მაგრამ ბოლოს კი ნექტარებრ ტკბილი, ბედნიერება, შენსავ გონების უშფოთველობით შენში შობილი. 18.37.

- 18.38. ბედნიერება, გრძნობის საგანთან გრძნობის შეხებით წარმოშობილი, ჯერ ნექტარსა ჰგავს, ბოლოს კი ბაღდაძს და რაჯასულად არის ცნობილი.
- 18.39. ტამასულია ღზენა სიმთვრალით, სიზარმაცით და ძილით რომ ყვავის, ის, რაც თავშია და ბოლოშია მოტყუება მარტოდენ თავის.
- 18.40. არც მიწაზე და არც ცაით შინა, თვით ღმერთთაგანიც რომ იყოს ღმერთი, ბუნებით ნაშობ სამი გუნასგან ხსნილი არ არის არსი არც ერთი.
- 18.41. უფლისმსახურთა და მეომართა, გლეხკაცობის და მსახურთა ყოფა და საქმე მათი გუნების ნაშობ მათსავ ბუნების კვალად იყოფა.
- 18.42. სიმშვიდე, წრთობა, მიმტყვებლობა, რწმენა, სიწმინდე, გული ალალი ცოდნა და სიბრძნე – აი, მოძღვართა მათსავ ბუნებით ნაშობი ვალი.
- 18.43. გაუკაცობა და დიდსულოვნება, ომში სიმარჯვე, თავის დადება და სიუხვეა მეომრის ვალი, მისსავ ზნისაგან რომ იბადება.
- 18.44. გლეხის საქმეა ადებ-მიცემა, საქონლის მოვლა და მოსავალი, მათსავ ბუნების მიერ ნაშობი, მსახურება მსახურთა ვალი.
- 18.45. სრულყოფილებას ჰპოვებენ კაცნი, დაჯერებულნი თავიანთ ხვედრებს, თუ ვით წვდებიან ამგვარად სრულქმნას, აწ ჩემი სიტყვა შენ მიგახვედრებს.
- 18.46. იპოვის კაცი სრულყოფილებას, თავისი საქმით მისი მქებელი, ვინც ყველგანაა, ყოველ სულდგმულში, ქვეყნად სიცოცხლის მომნიჭებელი.
- 18.47. სხვის საკეთელის კარგად კეთებას შენი ჭაპანის სჯობს ცუდად წევა, თავის ბუნების თანახმად შრომით მშრომელი ცოდვას არ მოეწევა.
- 18.48. თანდაყოლილი არ დათმო საქმე, თუმცა უნაკლო იგი არ გახლავს, როგორც ცეცხლს ახლავს მისივე კვამლი, ყოველ საქმესაც ნაკლი თან ახლავს.
- 18.49. ის, ვინც ყოვლისგან დახსნილი გონით წადილს დატოვებს, თავს გადალახავს, უმოქმედობის უმაღლეს სრულქმნას განდევილობით მისწვდება, ნახავს.
- 18.50. ყური დამიგდე და შეიმეცნე, მოკლედ მოვითხრობ, თუ როგორ ხდება, რომ კაცი, სრულქმნას ნაზიარები, ცოდნათა მწვერვალს – თვით უფალს სწვდება:

- ვინც მომკრებია, განმწმენდი გონის, ბგერის დარ გრძნობის საგანთა მძობი, 18.51.-53.
შეუპოვრობით თავის მომთოკი, წადილისა და ზიზღის მომშობი,
- ვინც მარტო სახლობს, მცირედმჭამელი, დღედაღამ ფიქრის, ჳვრეტის მდომელი,
უნდომელობის ხიზანი, სიტყვის, ჳკუის და ხორცის დამაცხრომელი,
- ვინც მიატოვა ხვეჭა, „მე,“ „ჩემი,“ და ვნებისგან ხსნის ძალ-ღონეც ჳყოფნის
მშვიდი, მძლე რისხვის და ძალადობის, ღირსია ბრატჳმას ყოფაში ყოფნის.
- მასთან ერთსულს და გულნათელს კი არაფერი სურს, არც დარდი აწევს 18.54.
და ყველასადმი სწორი, გულმშვიდი ჩემს უზენაეს სიყვარულს აღწევს.
- სიყვარულით კი მე შევიცნობი, ასე თუ მიცნობს უზღვროს, უღეველს 18.55.
და რა შემიცნობს მე ჳეშმარიტად, ჳენარს იხილავს ის სასუფეველს.
- მუდამ ჩემს კალთას შეფარებული თუ კაცი ყველა საქმეს ასრულებს, 18.56.
სამარადისო, უკვდავ მხარეში ჩემი წყალობით გზას დაასრულებს.
- მე დამანებე ყოველი საქმე, მიზნად დამსახე, მომიძღვენ თავი, 18.57.
გონიერების იოგას მიჳყევ და ფიქრით მუდამ ჩემთან იყავი.
- ჩემზე ფიქრით კი შენ გადალახავ ყველა სიძნელეს ჩემივე ნებით, 18.58.
მაგრამ უთუოდ დაილუჳები, თუ არ მომისმენ ამჳარტავნებით.
- არ ვიბრძოლებო, თუ ამჳარტავნებ, ტყუილუბრალოდ ბედს ეურჩები, 18.59.
ბუნება შენი თვით დავასაქმებს და მას ვერსაით გადაურჩები.
- შენსავ ბუნებით შობილ საქმეს კი, თუმც გაქვს სიბრძავით მოძულებული, 18.60.
მაინც გაჳყვები და გააკეთებ, მაინც გახდები იძულებული.
- არჯუნა, ღმერთი ყველა სულდგმულის გულისგულშია დავანებული, 18.61.
უფლის ხელითვე მათ ატრიალებს ჳმანების ეტლი გაქანებული.
- უფალს მიენდე მთელი არსებით, ამჳვეყნად მხოლოდ ის მიინდობა 18.62.
და მოგეცემა მისი წყალობით უკვდავება და ჳენა მშვიდობა.
- ეს საიდუმლო საიდუმლოთა, ეს სიბრძნე ჩემი გაგიზიარე, 18.63.
აწონ-დაწონე ყოველი კარგად და როგორც გინდა, ისე იარე!

- 18.64. კვლავაც ისმინე ეს სიტყვა ჩემი, უღიადესი და დაფარული, შენს სასიკეთოდ გამცნობ მას ისევ, რადგან შენი მრჯვის მე სიყვარული.
- 18.65. იფიქრე ჩემზე, იყავ ერთგული, შემწირავი და განმადიდები და მოხვალ ჩემთან შენ უცილობლად, ძვირფასი რომ ხარ, მისთვის გაბრდები.
- 18.66. დატოვე ვალი და შემეფარე, მომენდე, ჩემი კალთის ქვეშ მოდი და მე დაგიხსნი ყველა ცოდვისგან, ნუ სწუხ, მოიხსენ გულიდან ლოდი!
- 18.67. და ნუ გაუმხელ, რასაც მე განდობ, ვინც არც წრთვანა იცის, არც ერთგულება, ვისაც არა აქვს გაგონება და არც მას, ვინც მმტრობს და მედიდგულება.
- 18.68. ხოლო უმაღლეს ამ საიდუმლოს ვინც ჩემს ერთგულებს გაუზიარებს, ის მიერთგულებს და ჭეშმარიტად, შეაღებს ჩემი საუფლოს კარებს.
- 18.69. ვერავინ იზამს კაცთაგან საქმეს, მეტი რომ ჰქონდეს ჩემს თვალში ფასი და ვერც ვერავინ იქნება ქვეყნად ჩემთვის ამ კაცზე უფრო ძვირფასი.
- 18.70. ვინც შეისწავლის ამ ჩვენს საუბარს, ამ სიტყვა-პასუხს წმინდას, სჯულიერს, სიბრძნის ზვარაკის შემომწირველად მოვიხსენიებ მე იმ სულიერს.
- 18.71. ისიც, ვინც მისმენს გულსავსე რწმენით და სიტყვას ჩემსას არ ემტერება, თავს გამოიხსნის და მართლისმქმნელთა ზეცის შეხვდება ბედნიერება.
- 18.72. თქვი, თუ მისმინე და ჩემი სიტყვის თუ იყავ გულზე დამაბნეველი, თქვი, თუ განქარდა ეგ უმეცრება, თვალის ამბმელი, დამაბნეველი?
არჯუნამ თქვა:
- 18.73. გაქრა სიბრძნე, აღმიდგა ხსოვნა, წყალობა შენი მხვდა უსასრულო და ვდგავარ მტკიცედ, ეჭვებს დახსნილი, რომ სიტყვა შენი მე ავასრულო!
სანჯაიამ თქვა:
- 18.74. ასე იღუმალ მოისაუბრეს კრიშნამ და პართკამ, დიადმა სულმა, ვისმინე ბჭობა მე საკვირველი თმაცალყზემდგარმა და გასუსულმა.
- 18.75. უზენაესი ეს საიდუმლო ვიასას ძალით მესმა მყისიერ, დიდი იოგა, გადმოცემული თვით იოგათა მეუფის მიერ.

- ეს საუბარი წმიდათაწმიდა, ეს საარაკო გაბაასება,
არ მაეიწყდება, ხელმწიფევე ჩემო და სინარული მეათასება! 18.76.
- სულ თვალწინ მიდგას, სულ უფრო ცხადლივ უფლის სახება გასაკვირველი,
და რაც დრო გადის იზრდება ელდა და სინარული თავდაპირველი! 18.77.
- სადაც კრიშნაა, იოგას მეფე, და პართკა, მშველდი რომ ემარჯვება,
იქ სიმართლეა და ძლიერება, ბედნიერება და გამარჯვება! 18.78.



ბჰაგავადგიტა და მაჰაბჰარატა¹

ვიტა მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი და ყველაზე გრძელი პოემის, *მაჰაბჰარატას* მეექვსე, ბოლო ნაწილია, *მაჰაბჰარატა* და *რამაიანა* კი – ინდოეთის ორი უდიდესი ეპოსი. *მაჰაბჰარატას*, მასში თავმოყრილი სიბრძნის საგანძურის გამო ზოგჯერ *მესოთე ვედასაც* უწოდებენ. *ვედური* ტექსტების შემდგენელად მიჩნეულ ვედა-ვიასას ეს კოლოსალური ნაშრომი დაახლოებით ასი ათასი სტროფისგან შედგება. ინდოეთში ამბობენ, რაც *მაჰაბჰარატაში* არ არის ახსნილი, იმის ცოდნაც არ ღირს... მასში მოთავსებულია იმ დროს გავრცელებული მაღალი ზნეობრივი ღირსების მქონე მოთხრობები, ლექსები, მითები, ფილოსოფიური განსჯანი და ისტორიული ამბები; მაგრამ ეს ყველაფერი ისეა შედგენილი, რომ *ბჰარატას* სამეფო გვარის ორ განატოტს შორის ძმათაშვილები ომის ამბის სიუჟეტურ ქარგას არ არღვევს.

ქრისტეს შობამდე ბევრად ადრე,² ჩრდილოეთ ინდოეთში, *ბჰარატას* მძლავრი სამეფო ჰყვოდა. იმ დროისთვის, როცა ეს ამბები მოხდა, სამეფოს ორი ძმიდან უმცროსი, პანდუ მართავდა, რადგან ღირითარაშტრა, უფროსი უფლისწული, ბრმადშობილი გახლდათ, არიელთა *სანატანა დჰარმას* („მარადი კანონის“) მიხედვით კი ბრმა უფლისწულს არ შეეძლო, სამეფო ემართა.

მეფე პანდუს ორი ცოლი ჰყავდა, კუნტი და მადრი. მადრისგან მას სამი ვაჟი შეეძინა – იუდჰიშთჰირა, ბჰიმა და არჯუნა, კუნტისგან კი ტყუპები – ნაკულა და საჰადევა. მის ძმას, ღირითარაშტრას, ცოლმა, განდჰარამ ასი ვაჟი გაუჩინა. განდჰარი ძლიერ ერთგული მეუღლე გახლდათ. შეიტყო თუ არა, რომ მის მეუღლეს თვალის ჩინი წართმეული ჰქონდა, მაშინვე თვალები აიხვია და ქვეყნიერების ყურების სიხარულზე უარი თქვა.

პანდუს, ქვეყნის ხელმწიფეს, ბრაჰმანი (უმაღლესი კასტის წარმომადგენელი – ღვთისმსახური და სწავლული) შემოაკვდა. ამ ცოდვის გამოსასყიდად მან *ტაპასას* (ასკეზის) შესრულება გადაწყვიტა და ტყეს მისცა თავი, შვილები კი აღსაზრდელად თავის უჩინო ძმას, ღირითარაშტრას დაუტოვა. სამეფო მისმა და ღირითარაშტრას ბიძამ, ბჰიშმამ ჩაიბარა. ორივე სამეფო შტოს შთამომავლები მას სიყვარულით დიდ ბაბუას ეძახდნენ. ბჰიშმა უფლისწულთა განათლებასა და განვითარებაზე ზრუნავდა. დრონა აჩარია,³ დაბადებით ბრაჰმანი, მაგრამ მშვილდ-ისრისა და სამხედრო ხელოვნების უბადლო მცოდნე, ყმაწილთა აღმზრდელად დაინიშნა.

ბჰიშმა *მაჰაბჰარატას* ერთ-ერთი უკეთილშობილესი პერსონაჟია. მან უარი თქვა ტახტზე, რათა მამისთვის იმ ქალწულზე დაქორწინების საშუალება მიეცა, რომელზედაც მზე და მთვარე ამოსდიოდა და რომლის მშობლებმაც ქორწინების წინ პირობა წამოაყენეს, ჩვენი ქალიშვილის მომავალი პირმშო

¹ მასალა ძირითადად „ვიტას“ სვამი ჩინმაიანანდასეულ კომენტარზე დაყრდნობით არის მომზადებული.

² ბევრი ინდოელის რწმენით ეს ამბები ჩვენამდე X ათასწლეულში ხდებოდა. მეცნიერებს უკნით ინდოეთის ისტორიაში მეტ-ნაკლებად ზუსტი თარიღების დადგენა. მათი ვარაუდები V-სა II ათასწლეულებს შორის მდებარეობს. თავად ვიტას შექმნის თარიღიდან ხან ჩვენამდე III ათასწლეულს მიიხევენ, ხანაც II საუკუნეს.

³ აჩარია – მასწავლებელი, მაგრამ არა სულიერი მოძღვარი.

ტახტის მემკვიდრე უნდა გახდესო. თავგანწირვის და შვილის მოვალეობის აღსრულების სურვილით გულანთებულმა ბპიშმამ დაიფიცა, რომ მომავალში მისი შვილები მამამისის მემკვიდრეს ტახტს რომ არ შეცილებოდნენ, ცოლს არასოდეს მოიყვანდა. სინარულის ექსტანზში მამამ ასე დალოცა ბპიშმა: „...მანამდე არ წახვიდე ამ სოფლიდან, სანამ თვითონ არ ისურვებ!“

დრონა აჩარამ პანდუსა და ღირითარაშტრას ყველა ვაჟს სამხედრო მეცნიერება შეასწავლა. ისინი ყველანი ერთნაირი მზრუნველობით, ერთ ჭერქვეშ, ძმებივით იზრდებოდნენ. საერთო გადაწყვეტილების მიხედვით ტახტზე პანდუს უფროსი ვაჟი, იუღპიშთპირა უნდა ასულიყო.

დროთა განმავლობაში ყველას თავისი ხასიათი და პიროვნული თვისებები ჩამოუყალიბდა. იუღპიშთპირა *ღაშრმას* (რელიგიური კანონის) ხორცშესხმად იქცა – კეთილშობილს და პირდაპირს ჭეშმარიტება უყვარდა. ბპიშმა დაუფუქრებლობით, გამბედაობითა და უზარმაზარი ძალით გამოირჩეოდა. არჯუნა რაინდობისა და გმირობის განსახიერება გახლდათ. მას ყველა ის თვისება ჰქონდა მომადლებული, რომელთა გამოც ნებისმიერ ცივილიზებულ ეპოქაში ხალხს თავისი რჩეული უყვარს.

ხუთი კეთილშობილი პანდაველი ყველას უყვარდა; რაც უფრო დიდ სიძნელეს აწყდებოდნენ ძმები ცხოვრებაში, მით უფრო მეტად იფრქვეოდა მათგან სიმშვიდის, მოთმინების, რწმენის, სიყვარულის, შემწყნარებლობისა და კეთილშობილების მშვენიერი სურნელი.

სრულიად საპირისპიროს წარმოადგენდა ასი კაურავის (კურუს შთამომავლის) გუნდი. მათგან უფროსი, დურიოდჰანა, ეშმაკი და გულბოროტი გახლდათ. თავი ავი ზრახვებით ჰქონდა სავსე, ინტრიგებს ხლართავდა და სულ იმის ცდაში იყო, თავისი სულმდაბალი საწადელის ასასრულებლად რაიმე უკუღმართობა გამოეგო. ბავშვობიდანვე კარგად უწყოდა, რომ ტახტისკენ მიმავალ გზაზე ყველაზე დიდ დაბრკოლებად იუღპიშთპირა გაუხდებოდა. ამავე დროს ისიც ესმოდა, რომ ბპიშმასა და არჯუნას ვერაფერში შეედრებოდა. ერთხელ, ჯერ კიდევ ბავშვობაში, ბოღმითა და ეჭვებით შეყრობილმა, ბპიშმას მოწამვლა სცადა, მაგრამ პანდაველი მისმა უზარმაზარმა სასიცოცხლო ძალამ იხსნა.

როგორც იქნა, *ბაშრატას* სამეფოს ტახტის მემკვიდრედ იუღპიშთპირას კურთხევის დრო დადგა. როგორც უფროსმა უფლისწულმა, მან სამეფო ჩაიბარა და აუცილებელი კანონებიც გამოსცა (რა თქმა უნდა, მისი ბაბუის, ბპიშმა პიტამაჰანასა და მასწავლებლის, დრონა აჩარიას უშუალო ხელმძღვანელობით და მათ რჩევებზე დაყრდნობით). მან თავისი ბრწყინვალე თვისებებით, გონებით და გულით ყველა მოხიბლა.

ბიძაშვილის ღირსეული ხვედრის შემყურე დურიოდჰანას გულში შურის ცეცხლი აენთო. მოხუცი, უსინათლო ღირითარაშტრა საკუთარ შვილებს და ძმიშვილებს ერთნაირად ექცეოდა, რადგან ყველა თანაბრად უყვარდა, მაგრამ თავის უფროს ვაჟზე, დურიოდჰანაზე მაინც გამორჩეულად ამოსდიოდა მზე და მთვარე; ჰოდა ერთხელაც მისი გულის რჩეულის ხვეწნა-მუდარამ

მოხუცი გატეხა და უსინათლო მეფემ, მართალია ყოყმანით და უხალისოდ, მაგრამ მინც ნება დართო ღურიოდჰანას, პანდაველთა თავიდან მოსაშორებლად ხრიკებისთვის მიემართა.

ერთხელ ღურიოდჰანამ, მოხუცი მამის ნებართვით, პანდაველები და მათი დედა საგანგებოდ აგებულ, ლაქით შეღებილ შენობაში დაპატიჟა. განზრახული ჰქონდა ღამით, დედა და ხუთი ვაჟიშვილი რომ დაიძინებდნენ, სახლი ცეცხლისთვის მიეცა და ყველა ერთად ამოებუგა.

ღურიოდჰანას ყველაფერი გათვლილი ჰქონდა. მართლაც, ღამით შენობა ბოლომდე დაიფერფლა, მაგრამ პანდაველები უკვე შიგნით აღარ იყვნენ... ისინი ერთგულ მსახურს გაეფრთხილებინა და საიდუმლო ბილიკით ტყეში გაეყვანა, სადაც, მათ თავს შემართულ ღურიოდჰანას მსახვრალ ხელს რომ გაქცეოდნენ, ისინი ღარიბი ბრაჰმანების სამოსით შეიმოსნენ.

ამ დროს, ჩრდილოეთ ინდოეთში, პანჩალა დეშას სამეფოს მეფე დრუპადა მართავდა. მისი ქალიშვილის სილამაზე მთელს ქვეყანაზე იყო განთქმული. პანდაველებმა ტყეში გაიგეს, რომ მეფე მის გათხოვებას აპირებდა.

ჩრდილოელი ქალწულის ხელის სათხოვნელად მრავალი მსურველი შეიყარა. მათ შორის ღურიოდჰანაც იყო. მეფემ სიძის ასარჩევად შეჯიბრი გამართა. მეფის ასულის ხელის მოხოვნელებს ისარი ჰაერში დაკიდული თევზის წინ მბრუნავ ბორბალში უნდა გაემკვინათ და თევზისთვის შიგთვალში მოერტყათ, თანაც ღამიზნება გუბეში ანარეკლის ცქერით უნდა მოეხერხებინათ!

ყველა მოხონელი სათითაოდ წარსდგა წინ, ბედი სცადა და იმედი გაუცრუვდა. ბოლოს ხალხს ერთი ბრაჰმანი გამოეყო და სროლის ნებართვა ითხოვა. კადნიერი ახალგაზრდის სურვილზე ყველას გაეცინა. ისარი თევზის თვალს ჩაესო. დრუპადის (დრუპადის ქალიშვილის) მოსაპოვებლად გამართულ შეჯიბრში გამარჯვებული თავისი დროის საუკეთესო მსროლელი – თვით არჯუნა გახლდათ. მაგრამ იქ შეკრებილი დიდებულები ღარიბი ბრაჰმანის ხელით დამარცხების სირცხვილთან შეგუებას არ აპირებდნენ. საქმეში კრიშნა რომ არ ჩარეულიყო და ისინი არ დაერწმუნებინა, რომ მეფის ასულის ხელის თხოვნის უფლება არჯუნასაც ჰქონდა, შეტაკება გარდაუვალი იყო.

ქალიშვილი არჯუნას შერთეს და ხუთი ძმა რძალს სამალავისკენ წარუძღვა, სადაც მათ დედა, კუნტი ელოდათ. ქოხს რომ მიუახლოვდნენ, ბიჭებმა დედას მხიარულად შესძახეს: „გამოდი, დე! ნახე დღეს რით გაგახაროთ!“ „რაც არ უნდა იყოს, თანაბრად გაიყავით!“ ქოხიდანვე გამოსძახა დედამ. საბრალოს ეგონა, ბიჭებს ნანადირევი მოაქვთო. პატარძლის დანახვაზე, ეს რა ვთქვიო, თავში ხელი შემოიკრა, მაგრამ უკვე გვიანი იყო... დრუპადი ხუთივე ძმის ცოლი გახდა.

დრუპადას სასახლეში ქორწილს კრიშნა და მისი ძმა, ბალა-რამაც ესწრებოდნენ.

ახლა თხრობა დროებით შევწყვიტოთ და ცოტა რამ კრიშნაზეც ვთქვათ:

კრიშნა ვიშნუს ავატარად⁴ ითვლება. ის ვრიშნის თემში, ვასუდევასა და დევაკის ოჯახში დაიბადა. დედამისი, დევაკი, მათჰურას ბოროტი მმართველის, კამსას და იყო. კამსა დესპოტი გახლდათ და ყველას დესპოტურად ეპყრობოდა, მათ შორის საკუთარ მამას, უგრასენასაც, რომელიც ციხეში გამოამწყვდია და რომლის ტახტსაც დაეპატრონა. ის ყველა ტირანზე საშინელი ტირანი გახლდათ და ყოველგვარ წინააღმდეგობას დაუნდობლად უსწორდებოდა. თვითმპყრობელს მხოლოდ მისი და, დევაკი უყვარდა, რომელსაც არნახული ქორწილი გადაუხადა. ქორწილის შემდეგ მეეტლის როლი თვითონვე იკისრა და დევაკი და მისი მეუღლე ახალ სახლში წაიყვანა. გზაში იღუმალმა ხმამ გააფრთხილა: „ამ წყვილის მერვე პირშმო მოგაკვდინებს შენ“. კამსა ერთბაშად განრისხდა, მახვილი იძრო და დევაკისა და ვასუდევას, ასე მზრუნველად რომ მიაცილებდა, თავების მოკვეთა დაუპირა. დევაკიმ ძმას შებრალეა სთხოვა და აღუთქვა, რომ ყველა თავის ახალშობილს მიჰკვრიდა. კამსას ეს აზრი მოეწონა და ვასუდევა და დევაკი სიკვდილს გადარჩნენ, თუმცა კამსამ ისინი დაატუსაღა და მკაცრი მეთვალყურეობა მიუჩინა. შვიდი შვილი გაჩენისთანავე წაჰკვარეს შშობლებს და გულდრძო კამსას ბრძანებით სიცოცხლეს გამოასალმეს. დევაკი კი მერვეს ელოდა...

ამჯერად მეთვალყურეობა გააძლიერეს, ბორკილები გააორმაგეს და მეციხოვნეებსაც სიფხიზლე უბრძანეს. და აი, ეს დღეც დადგა. ქვეყნად კრიშნა იშვა...

ბნელი ღამე იყო. მთელი ღამე კოკისპირულად წვიმდა. ყველა მცველს ჩაეძინა.

მშობიარობამ ადვილად ჩაიარა.

ვასუდევა გოცებისგან გახვედა! . . . ღვთაება?! თავად უფალი?! . . . რა?

⁴ ავატარა — ღვთაების ინკარნაცია, ანუ დედამიწაზე ხორციელი სახით მოვლინება. ველური ლეგენდების მიხედვით, ღმერთი ქვეყნად ტახის, კუს და თევზის სახითაც კი გამოცხადებულა. პინდლიზმის ავატარათა სია ასე გამოიყურება: პურუშა (მამაკაცი, ვაშჩენი); ტახი ვარაჰა; ბრძენები ნარადა, ნარა, ნარაიანა, კაპილა და დატატრეია; აიჯნა (მსხვერპლი); ბაპარატას მამა, სამარლოიანი მუდე რიშაბჰა; მუდე პრითჰუ; თევზი მსტა, რომელმაც წარღვინისა ვოველივე ცოცხალის თხლით მფლობელი მანუს გემი გადაარჩინა; კუ კურმა; დევანატარი (ღმერთების ექმი); ლომი ნარაშნაჰა; ქილდისიკაცი ვამანა; პარაშუ-რამა, რომელიც მუორე ტრეტა ეუგამში კმპტრითათა ბატონობისგან ბრაჰმანების ვადასარჩებად ვანდა; ვედების შემდეგნელი, პოეტი ვედა-ვიასა; „რამაიანას“ მთავარი ვმირი რამა-ჩანდრა; კრიშნას უფროსი ძმა პალა-რამა; თავად კრიშნა და ბუდა, რომლის სიდადეგსაც პინდლიზმი წინ ვერ აღუდგა და ერთ-ერთ ავატარად გამოაცხადა. ბრაჰმანთა ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, ვიშნუ ქვეყანას ბუდას სახით იმტომ მოველინა, რომ ღმერთებისთვის და ბორიტი ადამიანებისთვის ვედები შეთქულებინა, კასტების გაუქმებაზე დაეყოლიებინა, დაეწმუნებინა, რომ ღმერთები არ არსებობენ და ავტარად ბრაჰმანთა კასტა მოეხსო. უკანასკნელი ავატარა კალკი, ანუ კალკინი, ვიშნუს ინკარნაცია, რომელიც უკანასკნელი ეპოქის, კალი იუგას დასასრულს თეიორ ცხენზე ამხედრებული, ბრწყინვალე ბავლით ხელში უნდა მოველინოს ქვეყნიერებას, რათა საბოლოოდ მოსპოს ბოროტება და ქვეყნად სიწმინდე აღადგინოს.

ლაპარაკობს? . . . „გოკულში, ნანდას სახლში წამიყვანეთ; იქ ეს წუთია გოგო დაიბადა. მე იქ დამტოვეთ, გოგო კი აქ მოიყვანეთ.“ . . . არა. ეს ალბათ ჰალუცინაციაა, წარმოსახვის ნაყოფი!...

მაგრამ ვასუდევა ბავშვს არ შეწინააღმდეგებია. ხელში აიყვანა და გზას გაუდგა. რა უცნაურია! ბორკილები თავისით მოეშვა და კარიც თავისით გაიღო! აღიღებულმა მდინარე იამუნამაც გზა დაუთმო... ნანდას სახლში ყველას მკვლარით ეძინა. ვასუდევამ ბავშვები გაცვალა და ციხეში დაბრუნდა.

წვიმა არ წყდებოდა. ვასუდევას უკან კარმა გაიჭრიალა და ხუნდებმაც თავისი ადგილი მონახეს. პატარა გოგომ ტირილი მორთო და მცველები გააღვიძა. ყველამ შეიტყო ახალი ამბავი...

კამსა მოვარდა, ბავშვს ფეხებში ხელი სტაცა და წათრია, მერე ჰაერში დააბზრიალა და ის იყო, ქვაზე უნდა დაენარცხებინა, რომ... ჩვილი ხელიდან გაუსხლტა და მალლა, ცაში აიჭრა. „ასეთი ბოროტებისთვის მე თვითონ უნდა მომეკალი...“ ჩამოსძახა მან კამსას, „მაგრამ გაპატიებ, რადგან თუმცა ეს ჩემს მოსაკლავად გააკეთე, მაინც ჩემს ტერფებს შეეხე (ტერფებზე შეხება ინდოეთში პატივისცემის ნიშანია). დაიხსომე, შენი მკვლელი ბიჭი უკვე დაიბადა. ის გოკულშია. გაფრთხილდი...“ ამ სიტყვებით ის ცაში გაუჩინარდა.

გოკულში ყველა სიხარულს მისცემოდა. ყველა, მათ შორის ნანდა და იაშოლაც ფიქრობდნენ, გუშინ ალბათ მოგვეჩვენა, რომ ჩვენი პირმშო გოგო იყო...

კამსამ სატანური გეგმა ჩაიფიქრა: გადაწყვიტა კრიშნას ასაკის ყველა ბავშვი მოეკლა. ასეც მოიქცა, მაგრამ ამით კრიშნას ვერაფერი დააკლო. ყოველთვის, როცა კამსას რომელიმე გაიძვერა ჯამში ბავშვის კვალს ადგებოდა, მისი მოკვლის გეგმა თვითონ ავისმზრახველის საიქიოს გასტუმრებით მთავრდებოდა...

ღრო გადიოდა. იაშოლა და სხვები ბავშვის მიერ მოხდენილი ბევრი ღვთაებრივი სასწაულის მოწმენი გახდნენ, მაგრამ ყველა ფიქრობდა, უცნაურ ჩვენებას ვხედავო... და კრიშნა ისევ ჩვეულებრივ, საყვარელ ბიჭუნად მიანდებოდა.

ბავშვი წამოიზარდა. მენახირე ბიჭებთან ერთად ის საქონლის სამწყემსად გაუშვეს. კრიშნა ბავშვობიდანვე მოუსვენარი იყო, მუდამ მხიარული ანცობითა და ცელქობით იყო გართული. „მდიდარ“ მენახირეებს ხან რძეს და არაჟანს პარვდა, ხანაც კარაქს და ნადავლს „ღარიბ“ გოპებს (მწყემსებს) უნაწილებდა. საბრალო იაშოდას საყვედურებით ავსებდნენ. ის მომჩივნებს დაკარგულს უნაზღაურებდა, მაგრამ ღვთაებრივი ბიჭუნას დასჯა ყოველთვის ავიწყდებოდა.

ერთხელ იაშოდას ყველა მწყემსმა ერთად შესჩივლა და ბავშვის დაბმა

ურჩია. იაშოდამ მათ ნება დართო, რაც სურდათ, ის ექნათ, მაგრამ ნურას უკაცრავად! მისი, *ვიშვარუას* („ყველანაირი ფორმის მქონე“) დასაბმელად არც ერთი თოკი არ აღმოჩნდა საკმარისი! იმედგაცრუებულმა გოპებმა საშველად იაშოდას მიმართეს. ისიც დათანხმდა და ბავშვის დაბმა მოკლე თოკითაც შესძლო – უფალი იაშოდას სიყვარულს დაჰყვა, მწყემსების ქელ-მაღალ სურვილს კი – არა.

ერთხელ იაშოდას შესჩივლეს, ბავშვმა ტალახი შეჭამაო. მშობლის ბრძანებით კრიშნამ პირი გაალო. იაშოდამ ჩახედა და შიგ მთელი სამყარო დაინახა. თავი მიაბრუნა. იფიქრა, კიდევ რაღაც მომელანდაო...

კამსასდა სავალალოდ კრიშნა იზრდებოდა. ნანდა და მისი მეგობრები ბრინ-დავანამის ტყეში დასახლდნენ. იქ, მდინარე იამუნას ნაპირებზე ღვთაებრივი „ლურჯი ბუჭუნა“ დროს უდარდელად ატარებდა – უბოროტოდ ანცობდა და ონავრობდა. მისი ფლეიტა, უფრო ზუსტად კი მწყემსის სალამური, მისი უდარდელობის, მისი უბიწო, სინარულით სავსე ცხოვრებისა და არამიწიერი ნეტარების სიმბოლოა. კრიშნა შეიძლება ერთადერთი *კაჯარა* (ღვთის განსხეულება), რომლის ცრემლიც არავის ახსოვს – მარადმუჟამ მოცინარი, ერთთავად ძალითა და სიცოცხლის წყურვილით სავსე სიცოცხლეზე იყო შეყვარებული. ყველგან და ყოველთვის – იამუნას ნაპირებზე, პოლიტიკური სჯა-ბაასისას, სახლში, ომის წინა ხაზზე... ის თავად სიცოცხლე იყო – გულთბილი, სინათლის მფრქვეველი!.. დღე და ღამ კულში დასდევდა ალტკინებული, მხიარული მწყემსი ბიჭებისა და მუდამ მოკისკივე მწყემსი გოგოების ლაშქარი...

კრიშნას თორმეტი წელი შეუსრულდა. კამსას ყველა მცდელობა, მის თავზე დამოკლეს მახვილივით აღმართული ხიფათი აერიდებინა, ჩაფლავდა. ერთხელაც მან მათჰურაში დიდი დღესასწაულის გამართვა გადაწყვიტა. უამრავი დიდებული და თემის წინამძღოლი მოიწვია. სახელოვან სტუმართა შორის კრიშნა და ბალა-რამაც იყვნენ. სტუმრებს უამრავი გასართობი ელოდა. *თამას* (წარმოდგენა, შეჯიბრი) მეჯოგეთა ლაშქარიც მიაწყდა...

კრიშნა და ბალა-რამა დღესასწაულზე მივიდნენ და ის იყო, კეთილშობილ სტუმართა შორის თავისი ადგილი უნდა დაეკავებინათ, რომ ვიღაც მოჭიდავე წინ წარსდგა და კრიშნა სახუმარო ჭიდაობაში გამოიწვია. ეს კრიშნას მოკვლის კიდევ ერთი მზაკვრული გეგმა გახლდათ, მაგრამ გულთამხილველმა წინასწარ გამოიცნო ყველაფერი, გამოწვევა მიიღო და მოჭიდავე პირველივე შეტაკებისას სიცოცხლეს გამოასალმა, ქარის უსწრაფესად სამეფო აივანზე აიჭრა და თავზარდაცემული და ენაჩავარდნილი, საკუთარი გვემის ჩაშლის მაცქერალი ბიძამისი თვალის დახამხამებაში მაღლიდან ძირს დაანარცხა. კამსამ სული განუტევა. სამეფო კამსას მამას, შვილის მიერ გაწირულ, ციხეში გამომწყვდეულ უგრასენას დაუბრუნდა.

ამ წუთიდან კრიშნას ცხოვრებაში ახალი ეპოქა იწყება. ყოველნაირ ბავშ-

ვურ ანცობას, სასიყვარულო თამაშებს, ცეკვას და მუსიკას ერთი ხელის მოსმით ელება ბოლო. კრიშნა ბრინდავანამში აღარ დაბრუნებულა. მათჰურადან დვარაკას გაემართა, იქ ქალაქი აღმართა და სამეფო გაერთიანა. ამიერიდან ის ბევრ კამათში ჩაერევა, ბევრ სამეფოს შემოიერთებს, ბევრ სამეფოშიც დავას ხან ერთი ხელმწიფის სასარგებლოდ გადაწყვეტს, ხან მეორის, მაგრამ მუდამ აღმშენებელი იქნება და არასოდეს – სხვისი მიწა-წყლის დაპყრობის მოსურნე.

დიპლომატიის, სახელწიფოს მართვის, სამხედრო და სხვა საკითხებში სხვებს რჩევებს მისცემს, მაგრამ თვითონ არც ერთ ტახტზე არ ავა, თავისი უზარმაზარი გავლენით არ ისარგებლებს და არც ძალაუფლების მოპოვებასა და შენარჩუნებაზე იზრუნებს...

სინამდვილაში მას დვარაკაც არ უმართავს. დღედაღამ უკუღმართობის ალაგმევითა და წაღმართობისთვის გზის მიცემით იყო გართული... კვლავ სიცოცხლითა და ხალისით სავსე, ყველა გასაჭირში მყოფს მხარში ედგა და ცხოვრებას დაუალავად სხვისი სადარდებლის მოგვარებაში, სხვის დახმარებაში ატარებდა. დღედაღამ ცხოვრების ორომტრიალში იდგა და ამავე დროს ყველაფრისგან შორს იყო! მიზიდულობის ცენტრი იყო და თავისი დროის მთავარ პოლიტიკურ მოვლენებში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდა! ურჩევდა, მაგრამ არასოდეს ახვევდა თავს საკუთარ ნებას. ადამიანებთან ერთ ჳერქვეშ ცხოვრობდა და მაინც ცხოვრებას შორიდან უცქერდა თითქოს... მთელი თავისი ცხოვრებით თვითონვე შეასხა ხორცი ყველაფერს, რაც მოგვიანებით *გოტამში* იქადაგა – მიუჯაჭველად, სიყვარულით მსახურებას, შრომას, მაგრამ შრომის ნაყოფზე უარის თქმას; ყველაფერში გათქეფილი, მაინც ყოველთვის განზე იდგა. სრულყოფილი *აოვი* ქმედებით სავსე ცხოვრებით ცხოვრობდა, ყოველთვის და ყველას ემსახურებოდა, მაგრამ ყველა საქმეში მხოლოდ დამკვირვებლად რჩებოდა. აქ, დღეამიწაზე მან უფრო სტუმარივით იცხოვრა, ვიდრე მისი ბატონ-პატრონივით...

მაგრამ მოდით თანმიმდევრულ თხრობას დავუბრუნდეთ. ახლადდაქორწინებული დრაჰუპადი რომ დაელოცა, კრიშნა კუნტის ქოსს ეწვია. კრიშნას მეგობრობით გამხნეებულმა პანდაველებმა სიმამაცე მოიკრიბეს და არენაზე დაბრუნდნან. ეს დირითარამტრამაც შეიტყო. ბჰიშმამ უსინათლო მეფე აიძულა, ძმებისთვის ნახევარი სამეფო დაეთმო და საკუთარი შვილების გამგებლობაშიც მხოლოდ ნახევარი ნაეტოვებინა.

იუღჰიშოჰირამ უდიდესი სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა გამოიჩინა, როცა თავისი ახალი, დიდებული დედაქალაქი ახლანდელი მეტროპოლისის, დელის მახლობლად, ინდრაპრასტჰაში ააშენა. დრო-ჟამის მსვლელობისა და ცხოვრების უკუღმართობის მიუხედავად მის მიერ აგებული უძველესი ციხესიმაგრის ნანგრევები ჯერ კიდევ დგას, როგორც ინდური არქიტექტურის

სრულქმნილების ნიმუში.

შედარებით მომცრო სამეფო, რომელსაც შორსმჭვრეტელი ეკონომისტი და მმართველი, იუღპითჰირა მართავდა, მალე არავიზე დამოკიდებულ, აყვავებულ მხარედ იქცა. ხალხს უხვად ჰყავდა საქონელი, კარგ მოსავალს იღებდა და წლიდან წლამდე სულ უფრო უკეთ ცხოვრობდა. კრიშნა სამეფო ოჯახის უახლოეს მეგობრად იქცა. იუღპითჰირას ის ყველა სფეროში აძლევდა რჩევებს. მალე არჯუნა კრიშნას უძვირფასესი და განუყრელი მეგობარი გახდა.

ინდრაპრასთჰას ხელმწიფედ იუღპითჰირას კურთხევის დღეს ძვირფას სტუმართა შორის ღურიოდჰანა და მისი ძმებიც იყვნენ. იუღპითჰირას დიდებამ ღურიოდჰანას მკერდში კვლავ შურისა და ბოღმის ცეცხლი გააჩაღა. მან გადაწყვიტა, რაღაც არ უნდა დაჯდომოდა, ლაფში ამოესვარა ბიძაშვილის სახელი.

ამ სატანური გეგმის განსახორციელებლად ღურიოდჰანა „სანდო კაცს“ – ცნობილ თაღლითსა და მენარდეს, ბიძამის საკუნის შეეკრა. ამ კაცისთვისაც უცხო იყო სინდისის ქენჯნა. ასეთ რამეზე გაეცინებოდა კიდეც... მისთვის პატიოსანი თამაში ანათემას უდრიდა.

დიდსულოვნებასთან ერთად იუღპითჰირას ერთი სისუსტეც ჰქონდა – ნარდის სიყვარული. დაიწყებდა თუ არა თამაშს, რაინდული ბუნება მაშინვე რაიმე ქარაფშუტულ სანაძლეოს დაადებინებდა ხოლმე. ღურიოდჰანამ ეს იცოდა და გადაწყვიტა, ბიძაშვილი ნარდის სათამაშოდ მოეწვია. მალე დირითარაშტრაც დაითანხმა და ინდრაპრასათჰას მმართველი ძმები სასახლეში დაპატიჟეს. პანდაველები ჩამოვიდნენ და თამაშიც დაიწყო. საკუნი იუღპითჰირას საგანგებოდ ტყვიით ამოვსებული კამათლით ეთამაშებოდა...

თამაში თამაშს მოსდევდა. სტუმართა გუნდმა, რა თქმა უნდა, წააგო. ყოველი მარცხი იუღპითჰირას მოგების ჟინს ჰმატებდა და ისიც ყოველ ჯერზე სულ უფრო და უფრო თავქარიან სანაძლეოს ღებდა. ყველაფერს ჩამოვიდა – სამეფოს, ძმებს, ცოლს... და ყველაფერი უგულო გაიძვერას ხელში ათამაშებულმა ტყვიით გატენილმა კამათელმა მოიგო!

ღურიოდჰანას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ერთ-ერთ უმცროს ძმას, დუსასანას უბრძანა, დრაუპადი სასახლის ეზოში გაეყვანათ და სახალხოდ შეურაცხეყეთ. ქალი უკვე მისი საკუთრება გახლდათ, რადგან პანდაველებს მისი თავი კამათელში ჰქონდათ წაგებული. უპატიოსნო გამარჯვებით მთვრალი უსირცხვილო პირუტყვი არც დაფქრებულა, ისე ბრძანა, დრაუპადი ხალხის თვალწინ გაეშვებინათ. დუსასანა მისი სარის შემოდარცვას შეუდგა, მაგრამ რაღაც სასწაულის ძალით სარი უსასრულო გამოდგა. ეზოში ნაჭრის მთა დახვავდა. დუსასანა ოფელში იწურებოდა. დრაუპადის ლოცვა შესმენილ იქნა და ღვთის წყალობით ის კვლავ ჩაცმულ-დახურული იდგა.

საქმის ასე შემობრუნებამ უხუცესები დააფრთხო. ყველამ იგრძნო, რომ ღურიოდჰანას ქედმაღლობა ზღვარს გადასცდა, მაგრამ როცა გამარჯვებული ძალაუფლებით თვრება, მასში მხეცს ვერა რჩევა ვერ შეაჩერებს. ღირითარაშტრა – მოხუცი, უსინათლო მამა შიშისგან ცაცხავდა. გულის სიღრმეში მან იცოდა, რომ განრისხებული ქალის წყევლას სამეფო ოჯახის ერთ წამში დალუპვა შეეძლო. მოხუცმა მეფემ დრუპადი იხმო და შვილების დანაშაულის გამოსასყიდად სამი თხოვნის შესრულებას შეჰპირდა.

ქალის პირველი თხოვნა იუღიშთჰირას განთავისუფლება იყო; მეორე – ხუთივე იარაღისხმული პანდაველის მშვიდობით გაშვება. ეს ორი თხოვნა შესმენილ-იქნა. ღირითარაშტრას კითხვაზე, „რა იქნება შენი მესამე სურვილი?“, დრუპადი შეყოვნდა, შემდეგ კი მიუგო: „განთავისუფლებული პანდაველები თავის თავს მიხედავენ – არავის დახმარება არ სჭირდებათ!“ ღურიოდჰანას ამჯერად კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, მაგრამ ნარდის სათამაშოდ იუღიშთჰირას კიდევ ერთხელ მოწვევაზე მამის დაყოლიება მაინც მოახერხა. მოხუც მამას არ შეეძლო უარი ეთქვა უფროსი ვაჟისთვის – ეს მისი სისუსტე და უბედურების წყარო იყო, საბოლოოდ კი მისი დალუპვის მიზეზიც გახდა.

იუღიშთჰირა კვლავ სათამაშოდ მიიწვიეს. ის დათანხმდა, რადგან ეს დპარმაპუტრას („დპარმას ძის“ (იუღიშთჰირას ეპითეტია)) ღირსების საკითხი იყო. ამჯერად ასეთი სანაძლეო დადეს: წაგებული სამეფოს დატოვება, ტყეში გაიხიზნებოდა და თორმეტი წელი განდევნილის ცხოვრებით იცხოვრებდა, მეცამეტე წელს კი რომელიმე ქალაქში ისე დაჰყოფდა, რომ ის და მისიანები ვერავის ეცნო. თუ იცნობდნენ, კვლავ თორმეტი წლით ტყისთვის უნდა მიეცა თავი. იუღიშთჰირამ პირობა მიიღო, ითამაშა და... წაავო!

ძმები პანდაველები სიმართლის მოყვარულნი იყვნენ. ისინი ტყეში წასასვლელად მოემზადნენ და უხუცესებს გამოემშვიდობნენ. ღირითარაშტრა მათ დაპირდა, რომ თუ ყველა პირობას შესრულებდნენ, ცამეტი წლის შემდეგ თავიანთ სამფლობელოს შეუფერხებლად დაიბრუნებდნენ, ღურიოდჰანა კი ინდრაპრასიტას სამეფოში მთელი ამ ხნის მანძილზე მხოლოდ ნდობით აღჭურვილი პირის უფლებებით ისარგებლებდა.

ძმებმა პანდაველებმა თორმეტი წელი ტყეში გაატარეს. მთელ დროს ასკეტურ წვრთნას და განდევნილებთან ყოფნას, ანუ „ღვთიურ ცხოვრებას“ უთმობდნენ. მთელი ამ წლების მანძილზე კრიშნამ და არჯუნამ მრავალი დღე და ღამე ერთად, რელიგიური და სულიერი საკითხების განხილვაში, ცხოვრებაზე, სამყაროზე, ღმერთზე და სულზე მსჯელობაში გაატარეს. პანდაველთა ცხოვრების ამ პერიოდის აღწერის კითხვისას *მაჰაბჰარატაში* ბევრი საინტერესო ფილოსოფიური პასაჟი გვხვდება.

მაგალითად, ერთხელ ტყეში ხეტიალისას ძმებს ძლიერ მოსწყურდათ. წყლის საპოვნელად მათ ყველაზე უმცროსი ძმა, ნაკულა გაგზავნეს. ნაკულამ

ბროლივით გამჭვირვალე ტბას მიაგნო, მაგრამ წყლის მოსმა რომ დააპირა, ხმა შემოესმა: „შეჩრდი! ჯერ ჩემს კითხვებს უპასუხე და წყალი მერე დალიე!“ მაგრამ ნაკულას ისე სწყუროდა, რომ ხმას ყური არ ათხოვა, წყალს დაეწაფა და წამსვე სული განუტევა. მის საძებნელად ძმებმა საჭადევა გაგზავნეს. მანაც მიაგნო ტბას. ხმას მანაც არ მოუსმინა და ისიც იქვე დაეცა უსულოდ. დანარჩენ ძმებსაც იგივე ბედი ეწიათ. ბოლოს იუდკიშთჰირას ჯერი დადგა. მან მკვდარი ძმები იპოვა და ატირდა. ხმამ უთხრა, თუ კითხვებზე მიპასუხებ, დარდსაც განგიქარვებ და წყურვილსაცო. იუდკიშთჰირა მოტრიალდა და ხელთ წეროდ ქცეული ღჰარმა, მოვალეობისა და სიმართლის ღმერთი შერჩა.

– რას მიჰყავს კაცი სამოთხემდე? – ჰკითხა წერომ.

– ალალმართლობას.

– რითი ჰპოვებს ბედნიერებას?

– სწორი ქცევით.

– რა უნდა დაიმორჩილოს, ტანჯვას რომ გაექცეს?

– თავისივე ჰკუა.

– როდის უყვართ ადამიანი?

– როცა პატივმოყვარე არ არის.

– რა არის ქვეყნად ყველაზე დიდი საოცრება?

– ის, რომ ყველა ხედავს, ირგვლივ ხალხი რომ კვდება, მაგრამ საკუთარი სიკვდილის მაინც არავის სჯერა.

– რითი მიიღწევა ნამდვილი რელიგიურობა?

– ამ საქმეში ვერც მსჯელობა გიმველის, ვერც რომელიმე მოძღვრება ან წმინდა წიგნი. რელიგიის გზა წმინდანებს აქვთ გაკვალული.

ღჰარმას მოეწონა პასუხი და იუდკიშთჰირას თავისი ნამდვილი სახით ეჩვენა, შემდეგ კი ოთხივე ძმას სიცოცხლე დაუბრუნა.

და აი, მეცამეტე წელიც დადგა. ხუთმა ძმამ და მეუღლემ ეს წელი ვირატას ხელმწიფის სასახლეში, მოახლედ მუშაობაში გაატარა.

როგორც იქნა, დათქმული დრო ამოიწურა. ღურიოდჰანა მთელი წელი გადასახლებულ ბიძაშვილებს დაემბდა, რომ კვლავ თორმეტწლიანი გადასახლებისთვის გაეწირა, მაგრამ ყველა მისი მცდელობა ამაო გამოდგა.

პანდაველები დაბრუნდნენ და თავისი სამეფო მოითხოვეს. მათი ერთადერთი იმედი გამომშვიდობებისას უსინათლო მეფის მიერ მიცემული ჰირობა იყო. მაგრამ ხარბი და უზნეო ღურიოდჰანა, ამდენ ხანს მარტოდმარტო რომ განაგებდა ამხელა იმპერიას, ერთი გოჯის დათმობასაც არ აპირებდა! მან ყველა მეზობელი ხელმწიფე მოკავშირედ გაიხადა. ხაზინა მის ხელში იყო და ჯარიც მას მორჩილებდა. დრონა და ბჰიშმა მას იუდკიშთჰირასთვის სამეფოს დაბრუნებას სთხოვდნენ. კრიშნა ბიძაშვილების შერიგებას იხვეწებოდა, მაგრამ ღურიოდჰანა არ გატყდა. მისი აზრით, სამეფო მას

დაპირისპირების კანონების დაურღვევლად ჰქონდა მოპოვებული და იუღიშობდა-
რას, რომელმაც საკუთარი მიწა-წყალი ნარდის თამაშში წააგო, არავითარი
უფლება არ ჰქონდა, სამეფო უკან მოეთხოვა. იუღიშობდნენ მას შეუთვალა,
რომ ძმებს თითო სოფელიც ეყოფოდათ, მაგრამ დურიოდჰანა არ დათანხმდა:
„არა და არა! ხუთ სახლსაც კი არ მივცემ! არც ხუთს და არც ერთს!
ნემსის წვერისოდენა მიწასაც არ ვაღირსებ!“ – იყო მისი პასუხი.

ამგვარად, ომი გარდაუვალი გახდა. მალე გაცხარებული მზადება
გაჩაღდა. პანდაველებმა თავიანთ მეგობრებსა და კეთილისმსურველებს დახ-
მარება სთხოვეს და ამ სამართლიან ომში ბევრი მხარდამჭერიც მოაგროვეს.
დურიოდჰანამაც და არჯუნამაც კრიშნას მიმართა. კრიშნამ თქვა: „რადგან
ჩემი დახმარება ორივეს გინდათ, ჩემს თავს ასე გავყოფ – ჩემი ლაშქარი და
საჭურველი ერთს შეხვდება, თვით მე კი – სრულიად უიარაღო – მეორეს
მხარეს ვიქნები, ოღონდ მე თვითონ არ ვიბრძოლებ.“ რას აირჩევო, ჰკითხა
მან დურიოდჰანას. მან, რა თქმა უნდა, სამხედრო ძალა აირჩია. არჯუნამ
თქვა, რომ იმითაც ბედნიერი იქნებოდა, თუკი კრიშნა მის მეტლედ დადგე-
ბოდა...

ომის წინ დირითარაშტრამ მერყევი და მხდელი სანჯაიას ხელით
არჯუნას ფილოსოფიური განსჯითა და ეშმაკური რჩევა დარიგებებით სავესე,
მისი სულის გატეხვაზე გათვლილი წერილი გაუგზავნა და მიზანს მიადწია
კიდევ... სწორედ მისი სიტყვები ამოტივტივდა *გოტამ* მეორე თავში, როცა
არჯუნამ ბრძოლაზე უარის თქმის გამართლება სცადა!

ომის დაწყების წინ, გაცხოველებული მზადებისას, იუღიშობდნენ
სინდისის ქენჯნამ საგონებელში ჩააგდო. კრიშნა წამსვე მასთან გაჩნდა და
დაწვრილებით მოუყვა, როგორ ეცადა თავიდან აეცილებინა ომი. აუხსნა,
რომ შეტაკება გარდაუვალი იყო და რომ ბედს ვერ გაეჭკვოდნენ. კრიშნამ
დაარწმუნა დჰარმპაპუტრა, ვერავინ დაგადანაშაულებს, რომ დამპყრობელი
ხარ, რადგან ეს მართალი ომიაო. ამის გამგონე იუღიშობდნენ გული გაი-
მაგრა და სულით მეტად აღარ დაცემულა.

ბჰიშმა – „დიდი ბაბუა“, დრონა – სამხედრო ხელოვნების ბრაჰ-
მანი მასწავლებელი და კარნა – არჯუნას ნახევარძმა, კურუთა ლაშქარში
ირიცხებოდნენ. „ერთხელ ნაჭამ მარილს არ უღალატო!“ აი, ქცევის ის
დიადი კანონი, სამეფო გვარის ჰინდუ რომ არასოდეს დაარღვევდა. კარ-
ნას არჯუნასადმი, მისი თანასწორი გმირისადმი რაინდული ქიშპობა არ
ასვენებდა. ეს ორი დიდი მშვილდოსნის პაექრობა გახლდათ! დედამიწა
მეტისმეტად პატარა იყო იმისათვის, ეს ორი მძლეუთამძლე და პატივმოყვარე
ვაჟკაცი რომ ერთად დაეტიან!

დათქმულ დღეს ორი ლაშქარი ერთმანეთის პირისპირ შეიყარა.
კურუთა ჯარს ბჰიშმა სარდლობდა, პანდაველებისას კი დროშითადიშნა –
მათი ცოლისძმა და პანჩალას სამეფოს ხელმწიფის, დრუპადას ვაჟი. რა

თქმა უნდა, ღურიოდჰანას არმია პანდაველებისას რიცხობრივადაც აღემატებოდა, შეიარაღებითაც და გამოცდილი მეომრების რაოდენობითაც, მაგრამ პანდაველებს აღმაფრენით შეეძლოთ ბრძოლა, კურუები კი სინდისის ქენჯნითა და დანაშაულის შეგრძნებით იყვნენ დამძიმებულნი.

არმიები რომ ერთმანეთის პირისპირ გამწკრივდნენ, არჯუნა ბრძოლის ჟინით აენტო და კრიშნას ორ ლაშქარს შუა ეტლით გავლა სთხოვა. სურდა ენახა, რომელი მეომრები იბრძოდნენ მათ წინააღმდეგ.

მან გაიარა, ნახა და... დაიბნა! ბიძები, ძმები, ნათესავები, მეგობრები, მასწავლებლები და თვით დიდი ბაბუა ბჰიშმა – ყველანი მოწინააღმდეგეთა რიგებში იდგნენ, მათი დახოცვა კი მისი მოვალეობა გამხდარიყო, თუ, რა თქმა უნდა, სამეფოს დაბრუნება სურდა... დიდება და ძალაუფლება, სიმდიდრის სიამენი... ეს ყველაფერი მისთვის ახლობელი და ძვირფასი, პატივცემული, სათაყვანებელი და საყვარელი ხალხის სისხლით უნდა მოსვრილიყო...

ასეთი არჩევანი არჯუნას ძალას აღემატებოდა და ისიც გატყდა. თვალები ცრემლით ავესო, აკანკალებულს მშვილდი განდივა ხელიდან გაუვარდა! აცანცახებული, გაფითრებული და გაწამებული კრიშნას მიაჩერდა – ეს სულთი გატეხილი, განადგურებული ადამიანის მზერა იყო! ძლივს დასძრა სიტყვა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ლულულულით... ომის საშინელებაზე ალაპარაკდა. ყველა პაციფისტური არგუმენტი ერთად მოიყვანა, *დჰარმა-შასტრა* დაიმოწმა, ბოლოს კი თქვა, ამ ხალხის დახოცვას მიჩვენია მათხოვრობით ვშოულობდე ლუკმაპურსო.

კრიშნა ხედავდა, როგორ დაბინდვოდა არჯუნას გონება. როგორც ნამდვილმა ფსიქოლოგმა, მან მის გულში გადახლართული ყველა წინააღმდეგობა ამოიკითხა, მათ მიზეზებს ჩასწვდა და პირდაპირ მიახალა, მოქმედებაა საჭიროო. ამ დროს ფსიქოლოგიური ქირურგია იყო საჭირო და კრიშნამაც არ დააყოვნა: „არ შეგფერის, არჯუნა, ამ განსაცდელის ჟამს ასეთ სიმბდალე და სიძაბუნე, ასეთი სიმდაბლე!“

კმატრიას (მეომრის) პატივმოყვარეობაზე გათვლილმა ასეთმა შოკურმა თერაპიამ შედეგი გამოიღო. არჯუნა აღშფოთდა. უფალმა სათქმელი აცალა, შემდეგ კი მისი შერყეული გონებრივი მდგომარეობის საფუძვლიან მკურნალობას, „ღვთაებრივი გალობის“ (უფრო ზუსტად კი „ღმერთის სიმღერის“), *შრიმაღ ბავშვადგიტას* გადმოცემას შეუდგა... შეუძლებელია ასეთ „სიცოცხლის ფილოსოფიას“ (რასაც წარმოადგენს ნამდვილი ჰინდუიზმი) ბრძოლის ველზე უკეთესი გარემო მოუძებნო.

უკაცურ ტყეში რელიგიურად ცხოვრება ადვილია. მონასტრულ სიმართოვეში ან ტაძარში ასეთი ცხოვრება ფუფუნებაც კია; მაგრამ ფილოსოფია, რომელიც ცხოვრების გამოცდას ვერ უძლებს, უხერხემლოა. აქ კი, *გიტამში*, ჰინდუიზმს მოქმედებაში ვხედავთ – ნათელმხილველთა სიბრძენეს აქ კონკრეტული ადამიანის ცხოვრებისეული გასაჭირი უწყობს გამოცდას!

ამხელა ქვეყნის მთელი ისტორია *მასობრივ სწავლაში* გადმოცემულ, ერთი სუ-
ლით დაცემული, გზააბნეული გმირის ფეხზე წამოყენების ამბავზე აიგო!
სულიერად დაშლილი, გაორებული არჯუნას მთლიან არსებად ქცევის ამ
ამბავმა შეიძლება აღადგინოს და გაამთლიანოს ყველა, ვინც მისნაირ მდ-
გომარეობაშია... საკმარისია მხოლოდ მისეხები რწმენითა და შეუპოვრობით
ჩაეხიოს *გატას...*

ის, რაც კრიშნამ არჯუნას ასწავლა – შეიძლება მხოლოდ ერთი მხერით
ან რამდენიმე სიტყვით – ვიასამ სანჯაიას პირით შეიდას სტროფში გად-
მოგვცა.

მან სანჯაია ჰისტანაპურამის სასახლიდან გაუსვლელად იმ ყველაფრის და-
ნახვისა და მოსმენის უნარით დააჯილდოვა, რაც კურუქმეტერაზე ხდებოდა,
რათა მას ყოველივე უსინათლო მეფისთვის ეამბნა.

თუ როგორ იმოქმედა არჯუნაზე *გატას*, ამაზე თვით მისი სიტყვები მე-
ტყველებს: „გაურკვევლობის ნისლი გაიფანტა, ახლა-ღა გავიხსენე ჩემი
ნამდვილი ბუნება...“ (18.73.). მძლეობა მძლე გმირი ფეხზე წამოიჭრა, მშ-
ვილდი აიღო და რიცხვმრავალ კაურავთა ლაშქარს რისხვად დაატყდა
თავს. თვრამეტი დღის უწყვეტი ბრძოლის შემდეგ დურიოდჰანა ბჰიშას
კეტმა განგმირა; დრონა დრიშთადიუმნას ხელით მოკვდა, ეს უკანასკნელი
კი დრონას ვაჟმა მოაკვდინა. მაგრამ კურუქმეტერა ორივე ბანაკისთვის
იქცა სიკვდილის ველად. ისრების ზუზუნი შეწყდა. ცეცხლის ალები ჩაქრა
და ჩაიფერფლა...

მომაკვდავ ცხოველებს, დაღწეულ ეტლებს, მოკვეთილ ხელებსა და თავს-
მოგლეჯილ ხორთუმებს შორის უსულოდ ეყარნენ ხელმწიფენი... მშვიერი
სვავები თავს დასტრიალებდნენ მინდორს – ალბათ აქამდე არასროს უგე-
მიათ ასეთი მეფური ხორციტა და სისხლით გაწყობილი ნადიმი! გადარ-
ჩენილნი – დედები და ცოლები, შვილები და მამები სისხლის გუბებზე
ადამიანის დაფლეთილ ხორცებს შორის საცოდავად დააბიჯებდნენ და თავი-
ანთ ქმრებს, შვილებს, მამებს, ძმებს დაეძებდნენ... ცას ხედა მათი მოთქმა.
ყველანი წყველა-კრულვას უთვლიდნენ იმ პატივმოყვარე სისხლისმსმელებს,
ასეთ ხოცვა-ჟლეტამდე რომ მიიყვანეს საქმე...

განდჰარი – კაურავთა დედა გამოვიდა, რომ თავის მკვდარ შვილებს მოხ-
ვეოდა. ამ დროს კრიშნას ფეხის ხმა გაიგონა, მოუტრიალდა და დედის
დამდურული გულით დასწყევლა: „შენ აქ იყავი, კრიშნა, და შენი თვალით
ნახე, როგორ დამელუპა მთელი ოჯახი! ყველაფერი შენმა გულგრილობამ
ქნა! შენც ასე ამოხოცე შენი ნათესაობა! შენი ქალებიც მარტო დარჩნენ და
ისე იტირონ, როგორც ეს ქალები ტირიან! შენც ასე სამარცხვინოდ დაილ-
უპე, მინდორში გაგდებულნი! ოცდათექვსმეტი წელიც არ გეცოცხლოს...“
კრიშნამ მიუგო: „ო, განდჰარი! შენს დალოცვად ქცეულიყოს ეგ შენი სი-

ტყეები, რადგან მათ მე გამოსავალი მაპოვებინებს! ვრიშნის სამეფო ისე მომძლავრდა, რომ ძმამაძველელ ომს ვერ ასცდებოდა... დროა მეც წავიდე... ჩემი დროებითი მისია ამოიწურა!“

იუდეაში მყოფი მეფე აკურთხეს. დირითარაშტრამ და განდჰარიმ ტყეს მიაშურეს, რომ განმარტობეულებს დარჩენილი სიცოცხლე ლოცვაში გაეტარებინათ. პანდაველთა უფროსმა ძმამ ოცდათექვსმეტი წელი ისე მართა სახელწიფო, როგორც ეს მის სახელს, *დაქარმაშტრას* შეეფერებოდა. არასოდეს ყოფილა ჩრდილოეთ ინდოეთი ასე აყვავებული და ბედნიერი. არასოდეს უმართავთ ის ასე სამართლიანად და არასოდეს მდგარან ასე ერთგულად მის სამსახურში. არასოდეს ყოფილა ეს ქვეყანა საკუთარი სულის ძახილთან ასე ახლოს!

და აი, განდჰარის წყევლის ახდენის დროც დადგა. დვარაკაში სამოქალაქო ომი ატყდა. ყველა ზრდასრული მამაკაცი დაიღუპა. კრიშნამ პანდაველებს შეუთვალა, მოსულიყვნენ და უპატრონოდ დარჩენილი ქალებისთვის ეპატრონათ. უკვე იცოდა, *მაის* ძალით გადაშლილი საკუთარი გამოვლინების უკანვე აკეცვის დრო რომ დამდგარიყო... ყველაფერს განუდგა, ხის ქვეშ განმარტოვდა, გონება მოიკრიბა და ყურადღება თავის *საჭკვა* (თავისთავად) ბუნებას – ყოვლის უსასრულო, მარადის არსს მიაპყრო.

უფლის წითელ ქუსლებს მონადირემ მოჰკრა თვალი. იფიქრა, დასასვენებლად დაწოლილი ირემიო და მიზანში ამოიღო... ახლოს რომ მივიდა, მხოლოდ მაშინ მიხვდა, რა შეცდომაც მოსვლოდა... ატირდა და სინანულით პატიება სთხოვა. პირზე ნეტარლიმილმოფენილმა დაამშვიდა იგი მეუფემ...

ამგვარად, უფალმა კრიშნამ ბრინდავანამიდან – გოპათა გულის რჩეულმა, მათჰურას გმირმა და კამსას იმქვეყნად გამსტუმრებელმა, ჯარასანდჰას მკვლელმა, დვარაკას არქიტექტორმა, არჯუნას მეგობარმა და *მაკბარაძეს* ომის მთავარმა გმირმა – მისეული თამაშის – ბოროტთა ძლევისა და კეთილთა ხსნის; ქვეყნად იმის გაცხადების, რომ მხოლოდ მისებრ ღვთაებრივ სიყვარულს ძალუძს სრულიად მიუჯაჭველი იყოს; სამეფოთა შექმნის და მათი გაჩუქების; ყველაფერში ყოფნის და მინც თავის არაფერთან გაიგივების მისეული თამაშის დამთავრების შემდეგ საკუთარი გამოვლინება გაფანტა და ადამიანებს სიცოცხლის ამ საფეხურიდან მიღმიერი მარადისობისკენ გასასვლელი გზა დაუტოვა!

არჯუნას დვარაკა სრულიად გაპარტახებული დახვდა. მან ყველა მართოდ დარჩენილი ქალი მოკრიბა და დედაქალაქისკენ გაემართა. გზაში ისინი არჯუნას უნდა დაეცვა, მაგრამ თავისი მშვილდის, განდივას ხმარების ძალა კი აღარ აღმოაჩნდა! მიხვდა, რომ კრიშნას წასვლასთან ერთად მისი ძალა და უნარიც უკვალოდ გამქრალიყო.

ხუთივე ძმამ ქვეყნისგან განდგომა გადაწყვიტა. ტახტზე არჯუნას შვილიშ-

ვილი, პარიკშიტი დასვეს. დაუბარეს, რომ სამეფოზე ეზრუნა და დრაუპა-დისთან ერთად ჰიმალაისკენ დაიძრნენ. გზაში იუდჰიშტირას გარდა ყველა დაიხოცა, რადგან მხოლოდ ის იყო ღირსი, ცოცხალი ასულიყო ზეცად... იუდჰიშტირა მარტო შეუყვია გზას მწვერვალისკენ. მხოლოდ ერთი მაწან-წალა ძალდი ახლდა, რომელიც მთელი გზა ერთგულად უწევდა მეგზურობას. უეცრად ზეციური ანგელოზები გამოეცხადნენ და ღვთიური ეტლი მიართვეს, რომ ცოცხალი აეტაცათ სამოთხეში.

მაგრამ ძალდი... ძაღლებს ზეციური ეტლით მეზავრობის უფლება არა აქვთ!.. მით უმეტეს სამოთხეში ცოცხალს ვინ შეუშვებს?.. ხორცშესხმულმა სამართლიანობამ, იუდჰიშტირამ, არც დაფიქრებულა, ისე მიუვო ანგელოზებს: „არ მინდა სამოთხის ნეტარება, თუ ამისთვის ერთგული მეგობარი, თუნდაც უტყვე ცხოველი გასაჭირში უნდა მივატოვო...“

ამ სიტყვების გამგონე ძაღლმა თავისი ნამდვილი სახე მიიღო – იგი სიკვდილის ღმერთი, თვით დჰარმა რაჯა⁵ აღმოჩნდა; თურმე სურდა, მისი *დჰარმა ნიშოჰ*⁶ გამოეცადა. იუდჰიშტირა ზეცად ამაღლდა, სადაც კიდევ ერთი გამოცდა ელოდა: ირგვლივ რომ მიმოიხედა, შენიშნა, რომ სამოთხე მისი დაუძინებელი მტრებით იყო სავსე. ჩემი ძმები და მეგობრები სად არიანო, იკითხა. პასუხად ინდრა მას ბნელი და საზარელი ადგილისკენ – შუაგულ ჯოჯოხეთისკენ წარუძღვა და ახლობლები აჩვენა. „აქ დავრჩები,“ თქვა იუდჰიშტირამ, „სადაც ესენი არიან, ჩემი სამოთხეც იქაა“. ამ სიტყვებზე წყვილად გაიფანტა. პანდაველნი ჯოჯოხეთსა და სამოთხეს გასცდნენ და ღმერთის ნამდვილ ბუნებას – მარადისობას შეუერთდნენ.



⁵ „სამართლიანობის მეფე“ – სიკვდილის ღმერთის, იამას ეპითეტა.

⁶ სამართლისადმი ერთგულება.

გიტა და მაჰატმა განდი¹

„ორად ორი წიგნი, რომელთაც ცოდნაც შემიძლია დაეიწიქო, „რაბიანა“ და „ბჰაგავადგიტა...“

მაჰატმა განდი

(ნაწევები ლუის ფიშერის წიგნიდან „განდი – მისი ცხოვრება და ეპისტოლე მსოფლიოს“)

„წინააღმდეგობას ნუ გაუწევთ ავს; არამედ თუ ვინმემ მარჯვენა ლოყაში გაგარტყას, მეორე ლოყაც მიუშვირე... ნეტარ არიან თვინიერნი... ნეტარ იყენეთ თქვენ, რაჟამს გყვედრიდნენ და გდევნიდნენ... მოურიგდი შენს მეტოქეს სასწრაფოდ... მიუტევეთ თუ რამე გაქვთ ვინმეს წინააღმდეგ... ნუ მოაგროვებთ საუნჯეებს დეღამიწაზე... ვინაიდან, სადაც შენი საუნჯეა, შენი გულიც იქვე იქნება...“ ქრისტეს ამ სიტყვებმა მაჰატმა განდის სიხარული მოჰგვარა და *ბჰაგავადგიტა* მოაგონა, – ჰინდუთა წმინდა წიგნი, რომელიც, როგორც თვითონ აღიარა, თავისდა სამარცხვინოდ მანამდე არ წაეკითხა, სანამ ლონდონში იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი არ გახდა. *გიტამ* განდიზე უზარმაზარი შთაბეჭდილება მოახდინა და მთელი მისი ცხოვრება განსაზღვრა. „როცა ეკვები მიპყრობს, როცა სასოწარკვეთილება სახეში შემომყურებს და ჰორიზონტზე იმედის ერთ სხივსაც ვეღარ ვხედავ,“ წერდა ის თავისი ყოველკვირეული ჟურნალის, „ახალგაზრდა ინდოეთის“ 1925 წლის 6 აგვისტოს ნომერში, *„ბჰაგავადგიტას* ვუბრუნდები და მანუგეშებელ სტროფს ვპოულობ; და რაც უნდა დიდი დარდი მაწვეს, სახეზე მაშინვე ღიმილი მეფინება.“ მაჰადევე დესაი, რომელიც მრავალი წლის მანძილზე მაჰატმას მდივანი იყო, მოწმობს, რომ „განდის ცხოვრების ყოველი წამი *გიტას* სწავლების ხორცშესხმის შეგნებული მცდელობაა.“ ის მას „სულიერ ცნობარს“ უწოდებდა. ორთოდოქს ჰინდუთა მიერ *გიტას* კასტობრივი მოვალეობებისა და მკვლევლობის მქადაგებელ წიგნად გაგება მისთვის აუტანელი იყო. პირველი წაეკითხვისთანავე განდიმ მასში ალეგორია დაინახა, რომლის მიხედვითაც ბრძოლის ველი სულია, სადაც არჯუნას, ადამიანის, უმაღლესი მისწრაფებანი მისსავე მდაბალ ზრახვებს შესჭიდებიან.

არიან იოგები, რომლებიც მედიტირებენ და იოგები, რომლებიც მოქმედებენ. მოქმედ იოგს კარმა-იოგი ჰქვია. მაჰატმა განდი კარმა-იოგი იყო. *გიტას* კომენტარში მან სრულყოფილი კარმა-იოგი დახატა: „ის ერთგული, რომელსაც

¹ ეს და ორი მოძღვენი მასლა, „*გიტას* კოსმოლოგია“ და „*გიტა* და ომი“ აღებულია „*გიტას*“ სვამი პრამაჰანანდასა და ქრისტოფერ აიშერუელის თარგმანის პოლიოქსიდან.

არავისი შურს და სიბრალულად იღვრება; ეგოიზმს თავდაღწეული, უანგარო, ერთნაირი სიცივისა და სიცხის, ბედნიერებისა და უბედურების მიმართ, მუდამ მპატიებელი და [საკუთარი ხვედრით] კმაყოფილი, მტკიცე ნების მქონე, ფიქრისა და სულის ღმერთისთვის მიმძღვნელი, არც არავის რომ აშინებს და არც არავის რომ ეშინია, თავისუფალი [ამქვეყნიური სიამით] ალტაცებისგან, წუხილისა და შიშისგან; ვინც გამრჯეა და მანც ვიზეც შრომა გავლენას ვერ ახდენს; ვინც წმინდაა და ყოველგვარ ნაყოფზე უარს ამბობს, ვისთვისაც სულერთია, ცუდია ნაყოფი თუ კარგი; ვინც ერთნაირად ეპყრობა მეგობარსაც და მტერსაც და არც პატივი ცვლის, არც უპატივისცემლობა; ვინც არც შექებისას იბღინძება და არც ძაგებისას ითრგუნება; ვინც სიჩუმესა და სიმარტოვეში ცხოვრობს და გონებას იწრთობს. ასეთი ერთგულება გამორიცხავს ძლიერ მიჯაჭვულობას...“

განდი ამ ყველაფერს ერთ სიტყვაში მოუყარა თავი: „უსურვილობა“.

ამბობენ, უსურვილობას, ანუ ჰინდურ განდეგილობას გულგრილობამდე, პასიურობამდე, საყოველთაო სილატაკამდე და ჩამორჩენილობამდე მიყვავართ. ამის საპირისპიროდ განდი ამტკიცებდა, რომ საქმის ნაყოფის სურვილისგან განდგომა წარმატების საუკეთესო გზაა. „მას, ვინც მუდამ შედეგზე ფიქრობს,“ წერდა ის, „ვალის მოხდისას ხშირად ნერვები აღარ ჰყოფნის, მოთმინებას კარგავს, მრისხანებას აძლევს გზას და უღირს საქმეებს ჩადის; ერთი საქმეს შუა გზაზე ტოვებს, მეორეზე გადადის და ბოლომდე ვერც ერთს ვერ უჩერდება. ის, ვინც შედეგზე ზრუნავს, გრძნობებს თავმიცემული ადამიანივით მუდამ უგულისყურია, სინდისი უჩლუნგდება, ყველაფერი სწორი ჰგონია და მიზნის მისაღწევად უპატიოსნო ხერხებსაც მიმართავს.“

განდგომას კი, თუ კაცს ამის ძალა შესწევს, ის შინაგანი სიმშვიდე და წონასწორობა მოაქვს, რომელიც აუცილებელია ნამდვილი და მყარი (თუნდაც მატერიალური) შედეგის მისაღწევად. შედეგის, რომელიც ბინძური ხერხებით არ არის შებილწული. თვითგანდგომით დასაქმებულის ჯილდო სიკვდილის შემდეგ ღმერთთან შეერთებაა. თავის ცხოვრებაში განდი რამოდენიმეჯერ გამოთქვა იმედი, რომ მეტჯერ აღარ დაიბადებოდა.

მაკატმა (დიადი სული) იშვიათია, უსურვილობა კი ის იდეალია, რომელსაც ინდოეთშიც და სხვაგანაც ცოტა ვინმე თუ ესწრაფვის და უფრო ცოტა თუ აღწევს. თუმცა ასხალგაზრდა ჰინდუ, სახლში ან ტაძარში *მაკავადეიტას* რომ ფურცლავს და მის მცნებებს ეცნობა, ცხოვრების კარიბჭესთან მდგარი შეიძლება არსებობის აზრზე დაფიქრდეს. ყოველ შემთხვევაში განდი ნამდვილად დაფიქრდა და ამან მთელი მისი ცხოვრება შეცვალა.



გიტას კოსმოლოგია

ისევე, როგორც ჰინდური რელიგიური ლიტერატურის ყველა სხვა ძეგლი, *გიტას* კოსმოლოგიის ნათლად განსაზღვრულ სისტემაზეა დაფუძნებული. ამ კოსმოლოგიის უმთავრეს ფაქტს *ბრაჰმანი*, ანუ სინამდვილე ეწოდება. *ბრაჰმანი* არის აბსოლუტური ღვთაებრიობა. მას ვერასოდეს განესაზღვრავთ და ვერც გამოვხატავთ. *უპანიშადებში* ნათქვამია, რომ *ბრაჰმანი* არის არსებობა, ცოდნა და ნეტარება; მაგრამ ეს ყველაფერი მისი თვისებები როდია. ვერ ვიტყვით, რომ *ბრაჰმანი* არსებობს, რადგან ის თავად არსებობს. ის არც ჭკვიანია და არც ბედნიერი, მაგრამ თვითონაა აბსოლუტური ცოდნაც და სინარულიც. მისი აღწერის ჩვენი, ადამიანური გონებისთვის უფრო მისაღები მეთოდი ასეთია: „*ბრაჰმანი* არ არის არც ეს, არც ის...“ მანამდე, სანამ მთელი ფენომენალური¹ სამყარო არ გაქრება და მხოლოდ *ბრაჰმანი* არ დარჩება.

აბსოლუტური ყოფიერების მქონე, *ბრაჰმანი* ყველა არსებასა და საგანშია. ღმერთი ადამიანშიცაა, თავვეშიც, ქვაშიც და ჭექა-ქუხილშიც. ამგვარად დანახულ *ბრაჰმანს* ეწოდება *ატმანი* – მოსახერხებელი ტერმინი, რომელიც სულ მცირე განსხვავებასაც კი არ გულისხმობს. *ატმანი* და *ბრაჰმანი* ერთი და იგივეა. მაშინ, როცა *ბრაჰმანი* სამყაროსთან ურთიერთობაში განიხილება, ის პიროვნულ ღმერთად, *იშვარად* მიიჩნევა. *იშვარა* არის ღმერთი, რომელსაც ატრიბუტები გააჩნია. ის ყველა ღვთაებრივ თვისებას ატარებს: სიყვარულს, მოწყალებას, სიწმინდეს, სამართლიანობას, ცოდნას და ჭეშმარიტებას.

ბრაჰმანი, რომელიც აბსოლუტურია, ყოველგვარი მოქმედების მიღმიერია. ამიტომ ვერ ვიტყვით, რომ *ბრაჰმანი* ქმნის ან ანადგურებს. ეს *იშვარა*, საკუთარ ძალასთან შეერთებული *ბრაჰმანი*, სამყაროს რომ ქმნის, იცავს და აქრობს. აუცილებელი არ არის ამაში დუალიზმი ვიგულისხმოთ. *ბრაჰმანის* და მისი ძალის დაცალკეება ისევე შეუძლებელია, როგორც ცეცხლის და მისგან მომავალი სითბოსი. მაგრამ ფილოსოფიური მსჯელობა ამ უზარმაზარ საიდუმლოზე უფრო შორს ვერ წავიყვანს. *იშვარას* ცნება იტევს ყველაფერ იმას, რაც ადამიანის ინტელექტს შეუძლია ღმერთის შესახებ იცოდეს. *ბრაჰმანის* შეცნობა მისი აბსოლუტური მნიშვნელობით გონებისთვის შეუძლებელია. ის შეიძლება მხოლოდ გამოვცადოთ იმ ზეცნობიერ მდგომარეობაში, რომელსაც წმინდანები აღწევენ და რომელსაც *სამჯაჰი*, ანუ ღმერთთან შეერთება ეწოდება. ასეთი მდგომარეობის მიღწევის მეთოდები *ბჰაგვადაღიტაში* დაწვრილებით არის აღწერილი. როცა გარეგან სამყაროსთან ყოველგვარი გრძნობითი კონტაქტი წყდება, ადამიანი ინტუიციის, სულიერი დისციპლინისა და მედიტაციის მეშვეობით გონების

¹ ფიზიკურად, ანუ გრძნობებით აღქმადი.

შეგნით, საკუთარ თავში მიმართვის და *ატმანის*, იმანენტური² ღვთაებრიობის შეცნობის უნარს იძენს. ეს არის ყველა მისტიკური პრაქტიკის ტექნიკა, რომელსაც ყოველი ჭეშმარიტი რელიგია გვასწავლის.

ამის შემდეგ ჰინდუიზმში *ბრაჰმს*, *ვიშნუს* და *შეას* სახით *იშვარას* სამი ფუნქციის, ანუ ასპექტის პერსონიფიკაციას ახდენს. *ბრაჰმ* სამყაროს ქმნალობის ღვთიურ ფუნქციას წარმოადგენს, *ვიშნუ* – დაცვის (შეწვევის), *შეა* კი მისი გაქრობის, დაშლის. *შეას* სშირად „გამანადგურებელს“³ უწოდებენ, თუმცა ამ სიტყვას შეცდომაში შეყვავართ, რადგან სამყარო არასოდეს ნადგურდება. *ბრაჰმს* მარადის ძალაზე დამოკიდებული, ის ორ – პოტენციურ და გამოხატულ მდგომარეობათა მონაცვლეობის დაუსაბამო და დაუსრულებელი პროცესის ნაწილია. როცა დროის ციკლის, ანუ *კალპას*⁴ დასასრულს სამყარო ქრება, ის პოტენციურობის ფაზაში, თესლის მდგომარეობაში გადადის და ასე ელოდება მომდევნო ქმნალობას. *გიტას* VIII თავში ეს პროცესია აღწერილი. გამოხატვის ფაზას შრი კრიშნა *ბრაჰმს* *დღეს* უწოდებს, პოტენციურობის ფაზას კი *ბრაჰმს* *ღამეს*. ამ ციკლებს დაქვემდებარებულ სამყაროთა ბინადარნი ყოველი მომდევნო კოსმიური დღისა და ღამის დადგომასთან ერთად გაშუღმებით ხელახლა იზადებიან და ქრებიან. თუმცა ამგვარი გაქრობა „ღმერთთან დაბრუნებად“ არ უნდა გავიგოთ. ამ დროს სულდგმული უბრალოდ *ბრაჰმანის* იმ ძალას უბრუნდება, რომელმაც ის წარმოგზავნა და იქ გამოუვლენელ მდგომარეობაში რჩება მანამდე, სანამ კვლავ გამოვლინების დრო არ მოაწევს.

ბრაჰმანის ძალა ყოველგვარი ცნობიერებისა და მატერიის საწყისია და *ბრაჰკრიტი*, ანუ *მაია* ეწოდება. ეს ორი ტერმინი ურთიერთჩანაცვლებადია. *გიტას* თანახმად ყოველთვის, როცა *იშვარა* ადამიანთა შორის გაჩენას გადაწყვეტს, ის თავის სხეულს *ბრაკრიტის*გან ქმნის. მიუხედავად ამისა, იმის გამო, რომ ღმერთია, თავის ადამიანურ ფორმაში მყოფიც კი ის *ბრაკრიტის* მბრძანებლად რჩება. ამით განსხვავდება ღვთაებრივი ინკარნაცია⁵ უბრალო მოკვდავისაგან. ადამიანიც *ბრაკრიტის*გან, ანუ *მაიასთან* შეერთებული *ატმანია*, მაგრამ ის *ბრაკრიტის* ძალაუფლების ქვეშაა, მისი ილუზიის ტყვეობაშია და ჰგონია, რომ *ატმანი* არ არის. *ატმანთან* გაერთიანება ამ ილუზიისგან განთავისუფლებას და დაბადებისა და გარდაცვალების წრებრუნვისგან თავის დაღწევას ნიშნავს. გათავისუფლებული ადამიანი თავიდან აღარ იზადება, რადგან *ბრაკრიტის* ძალა მას ვეღარ იჭერს. ღვთაებრივი ინკარნაცია ამ ძალას არც არასოდეს მორჩილებს: ის საკუთარი

² რაიბე მოვლენისთვის ან სავნისთვის შინაგანი, მისი ბუნებისძიერი.

³ ინგლ.: *destroyer* – დამანგრეველი, მკვლელი.

⁴ იხ. *იუგა, განმ.* 4.7.

⁵ იხ. *ავატარა, გვ.* 83.

სურვილით შედის სამყაროში და თავისი ნებითვე სტოვებს მას. ჰინდუიზმი მრავალ ღვთაებრივ ინკარნაციას აღიარებს. მათ შორის არიან კრიშნა, ბუდა და ქრისტე; და კიდევ მრავლის მოსვლას წინასწარმეტყველებს:

ბოროტეულთა მღეწველად, მკვლელად, მართალთა შემწედ და მათდა მსხნელად, ჟამიდან ჟამად მე ვიბადები სჯულიერების დამდგენად, მცველად. [4.8.]

პრაკრიტი გუნების სახელით ცნობილი სამი სახის ძალისგან შედგება. ესენია *სატვა*, *რაჯასი* და *ტამასი*. *ბრაჰმას* ღამის დროს პოტენციურობის ფაზაში ისინი უნაკლო წონასწორობას ინარჩუნებენ და *პრაკრიტიც* არადიფერენცირებულ მდგომარეობაში იმყოფება. სამყაროს შექმნა ამ წონასწორობის დარღვევაა. ამ დროს *გუნები* დიფერენცირებული ცნობიერებისა და მატერიის უსასრულოდ მრავალ კომბინაციას ქმნიან, რომელთა ხასიათიც ფსიქიკურ და ფიზიკურ სამყაროში გამოვლენილი მათი ნაყოფის მიხედვით გამოიცნობა.

ფიზიკურ სამყაროში *სატვა* ყველაფერ იმის ხორცშესხმაა, რაც წმინდა და მშვენიერია. *რაჯასი* აქტიური საწყისის განხორციელებაა, *ტამასი* კი სიმყარისა და პასიურობის.⁶ სამივე მათგანი ყველაფერში იმყოფება, მაგრამ ერთი რომელიმე გუნა ყოველთვის დომინირებს. მაგალითად მზის სხივში *სატვა* უფრო მეტია, ამოფრქვეულ ვულკანში – *რაჯასი*, გრანიტის ნატეხში კი – *ტამასი*.

გუნები ასახავენ ასევე ნებისმიერი კონკრეტული არსების განვითარების სხვადასხვა საფეხურს. *სატვა* იმის არსია, რაც უნდა გაცნობიერდეს; *ტამასი* ამ გაცნობიერების გზაზე აღმართული შინაგანი ზღუდეა; *რაჯასი* ის ძალაა, რომლის მეშვეობითაც ეს ზღუდე გადაილახება, რის შემდეგაც არსი თავის გამოხატულებას ჰპოვებს.


ადამიანის ცნობიერებაში *სატვა* ფსიქოლოგიურ გაწონასწორებულობას, სიწმინდეს და სიმშვიდეს გამოხატავს, *რაჯასი* – ვნებას, მოუსვენრობას, ენერგიულ საქმიანობას, *ტამასი* კი – გონების სიჩლუნგეს, სიზარმაცეს და ინერტულობას. ხან ერთი გუნა დომინირებს, ხან მეორე ხან კი – მესამე; ადამიანის განწყობა და ხასიათის თვისებებიც ამის მიხედვით იცვლება. მაგრამ ადამიანს უნარი შესწევს თავისი მოქმედებით, ფიქრით და ცხოვრების წესით რომელიმე მათგანი განავითაროს. როგორც გვასწავლიან, *ტამასის* დაძლევა *რაჯასის*, *რაჯასის* გადალახვა კი – *სატვას* განვითარებითაა შეს-

⁶ ინგლისური *resistance* უკეთ გამოხატავს *ტამასის* არსს, რომელიც აქტიური ენერჯის შემაკავებელი, ინერტულობისკენ მსწრაფი ძალაა.

აძლებელი. თუმცა საბოლოო იდეალი თვით *სატყაზე* ამალღება და *ატმანის* მიღწევაა, რომელიც *გუნებს* მიღმაა.

პრაკრიტისგან დიფერენცირებული მატერიის ევოლუციისთვის თვალის გადევნებას ინდიენდუალური ინტელექტის საფუძვლისგან, *მაჰატი*სგან ვიწყებთ. შემდეგ მოდის *ბუღჰი* – საგანთა გარჩევისა და კლასიფიცირების უნარი. მას *აჰამკარა*, ეგო-ცნობიერება მოსდევს. *აჰამკარა* სამ ფუნქციად იყოფა: 1. *მანასი*, რომელიც შეგრძნებათა შთაბეჭდილებებს იღებს და *ბუღჰის* გადასცემს; 2. ხუთი აღქმის ორგანო – მხედველობა, ყნოსვა, სმენა, გემოს შეგრძნება, შეხება; და ხუთიც მოქმედების ორგანო: ენა, ფეხები, ხელები, ასევე დაცლისა და გამრავლების ორგანოები; 3. ხუთი *ტანმატრა*⁷ – ბგერის, შეხების, გამოსახულების, გემოსა და სუნის საფუძველი. ამ ხუთი *ტანმატრას* სხვადასხვა კომბინაცია წარმოქმნის ხუთ დიდ ელემენტს – მიწას, წყალს, ცეცხლს. ჰაერს და ეთერს, რომლებსგანაც შედგება გარეგანი სამყარო.

მთელი ეს სისტემა სქემის სახით ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:



უნდა მოვერიდოთ სამყაროს ჰინდური სურათის ჩარჩოში თანამედროვე დასავლური მეცნიერების ჰიპოთეზების ნამაღალდეგად მოთავსებას. თუმცა მათ შორის ზოგ საკითხში თანხმობა მაინც არსებობს, რაც არ უნდა უგულებელვყოთ.

რა თქმა უნდა, თანამედროვე მეცნიერებას აბსოლუტური რეალობის კონცეფციასთან არაფერი აქვს საერთო. ის არც *ბრაჰმანის* შეცნობას ესწრაფვის და არც ზეცნობიერების არსებობის შესახებ მისტიკოსთა მტკიცებების დადასტურებას გვთავაზობს. ის მხოლოდ გვეუბნება: „ამგვარი ტიპის გა-

⁷ *ტან-მატრა* (სანსკრ.: „ასეთი სადიდის მქონე“) – *ატომი; მატერია, მისი ნაწილაკი.*

მოცდილების გამოსაძიებლად არავითარი ტექნიკა არ გაგაგვანია, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით. როცა *ბრაჰმნის* ცოდნაზე ლაპარაკობთ, თქვენ არამეცნიერულ ტერმინებს იყენებთ.“

მიუხედავად ამისა, თუკი *ბრაჰკრიტიას* და *გუნებს* განვიხილავთ, დავინახავთ, რომ *ვედანტა* და მეცნიერება ერთ ენაზე საუბრობენ. მეცნიერებაც მონის-ტურ⁸ სამყაროს აღიარებს. მთელი მატერია ქიმიურ ელემენტთა სხვა და სხვა კომბინაციისაგან შედგება, ელემენტები კი ერთი და იგივე ნაწილაკებისაგან. ადამიანი იგივე ელემენტებისგანაა შექმნილი, რისგანაც შედგება მთელი ეს სამყარო და მისი ყველაზე შორეული ვარსკვლავები.

მეცნიერება გონებასა და მატერიას შორის ვერავითარ თვისობრივ სხვაობას ვერ ხედავს. პოტენციური სახით გონება ყველგანაა და თუ მეცნიერი ქვაში მას ვერ პოულობს, მაინც სჯერა – ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამისთვის საჭირო მეთოდს არ ფლობს. ევოლუციის პროცესში ის ვერ პოულობს ისეთ მონაკვეთს, როცა შეიძლება ითქვას, რომ სამყაროში სიცოცხლე შემოვიდა – მისთვის უცნობია ის მომენტი, როცა ადამიანი ქვეყნიერებას პირველი ახალშობილის სახით მოევილინა. ევოლუცია, გვეუბნება მეცნიერება, უწყვეტი პროცესია და თავისი ძირითადი მიმართულება აქვს.

ადამიანის იდეალები და ფასეულობები ფარდობითია და მუდმივად ვითარდება. მიზანი უცნობია, მაგრამ მისკენ სავალი გზა მაინც მოჩანს და უცნობი დასავლეთისკენ მიმავალი კოლუმბივით მუდამ მისკენ სვლა ადამიანის ევოლუციური მისიაა. მეცნიერული თვალთახედვით ადამიანის მისია გარესამყაროსთან კავშირის შესახებ უფრო და უფრო მეტი ცოდნის მიღება და მისი მართვის დაუფლებაა იქამდე, სანამ ის რეალურად მისივე ნაწილი არ გახდება. ასე რომ მეცნიერი და არჯუნა ერთსა და იმავე კითხვას სვამენ: „რა ვარ მე?“



⁸ მონიზმი (ბერძ. მონოს – ერთი, ერთადერთი) – სამყაროს მოვლენათა მრავალგვარობის საერთო საფუძვლზე დამყარებულად, ერთი საწყისიდან მომდინარე წარმოდგენის მეთოდი. ფილოსოფია, რომელიც ყოფიერების მხოლოდ ერთი სუბსტანციის (მაგალითად ღმერთის (მონოთეიზმი)) არსებობას აღიარებს. მონიზმი უპირისპირდება დუალიზმს და პლურალიზმს, რომლებსაც შესაძლებლად მიაჩნიათ ორი ან მეტი სუბსტანციის, დამოუკიდებელი საწყისის არსებობა.

გიტა და ომი

„უბრალოდ დააფუძნეთ თქვენი ცხოვრება „გიტაზე“,“ გულწრფელად და გამუდმებით მისდით მას და თქვენ თვითონ ნახავთ, არის თუ არა მკვლელობა ან თუნდაც ტკივილის მიყენება მისი მოძღვრების შესაფერი...“
მაკატმა განლი.

კურუკშეტერას ბრძოლის დაწყებამდე არჯუნა მტრის რიგებში ნათესავებსა და მეგობრებს დალანდავს და გააცნობიერებს, რომ იმათი დახოცვა მოუწევს, ვინც საკუთარ თავზე მეტად უყვარს. „არ ვიბრძოლებ!“ – აღმოხდება სასოწარკვეთილს.

კრიშნას პასუხი მთელს დანარჩენ წიგნს შეადგენს. ის არა მხოლოდ არჯუნას პირად პრობლემას ეხება, არამედ მოქმედების ბუნებას საერთოდ, ცხოვრების აზრს და იმ მიზნებს, რომელთათვისაც ადამიანმა აქ, დედამიწაზე უნდა იბრძოლოს. საუბრის ბოლოს არჯუნა აზრს იცვლის. ის მზადაა საბრძოლველად და ბრძოლაც იწყება.

გიტა რომ გავივით, პირველ რიგში ის გარემო უნდა გავითვალისწინოთ, რომელშიც მისი მოქმედება ხდება. როდესაც ქრისტე მთაზე ქადაგებდა, მის წინ ერთგული მიმდევრები იდგნენ და გარემოც მშვიდი და უშფოთველი იყო. ამდენად მას საშუალება ჰქონდა მოწაფეებისთვის უმაღლესი და უმკაცრესი იდეალი – არაძალადობის იდეალი გადაეცა. *გიტაში* სრულიად განსხვავებული გარემოა. აქ კრიშნა და არჯუნა ბრძოლის ველზე დგანან. არჯუნა ერთგული მიმდევარი კი არა, ოჯახის თავი და მეომარია, მოწოდებითაც და პროფესიითაც. მისი სწავლებისას კრიშნა ორი სახის ფასეულობებს იყენებს – ფარდობითს და აბსოლუტურს. არჯუნას მოსალოდნელ მკვლელობაზე ფიქრიც კი გულს ურევს. კრიშნა მას მოაგონებს, რომ აბსოლუტური გაგებით მკვლელობა უბრალოდ არ არსებობს. *ატმანი*, ადამიანში მცხოვრები ღმერთი ერთადერთი რეალობაა, სხეული კი მხოლოდ მოჩვენება. მისი არსებობაც და სიკვდილიც ერთნაირად ილუზორულია.¹ ამის შემდეგ კრიშნა არჯუნას პირად პრობლემაზე გადადის. ეჭვგარეშეა,

¹ ამ სიღრმისეული, მარადი აზრის გარდა, რაც, რა თქმა უნდა უმნიშვნელოვანესია, აქ ერთი „მიწიერი“ ფაქტორიც გასათვალისწინებელია: კრიშნა არჯუნას არჩევნებს, რომ ეს ომი „სჯულიერი“, სამართლიანი ომია. მაგრამ რა ხდის მას ასეთად? დასაწყისში არჯუნა და კრიშნა ამაზე განსხვავებული აზრის არიან. არჯუნას აზრით სამართლიანი, „დაპრძიული“ ქმედება ამ შემთხვევაში ბრძოლა კი არა, უბრძოლველობაა, რადგან თუ ერთი დიდი სამეფო ოჯახის წევრები ერთმანეთს დახოცავენ, „მოიშლება ოჯახის წესი“, აქედან გამოიძინარე კი გაკატეჯერდება დაბრძვით, რაც ზნეობის დაცემას, ქოხისა და უსამართლობის გაბატონებას გამოიწვევს. კრიშნაც იგივე პროვინოზს აკეთებს, ოღონდ მისი აზრით ქვეყანას ასეთი მონაგალი იმ შემთხვევაში ელის, თუ ეს ომი არ შედგება, ანუ თუ არჯუნა კვლავ დაიძობის

რომ არჯუნსათვის, მეომართა კასტის წევრისთვის ეს ბრძოლა „სამართლიანია“. მისი საქმე მართალია. ამ საქმის მსახურება მისი ვალია. *გიტაში* კასტობრივი სისტემა ბუნებრივ წყობადაა წარმოდგენილი. ადამიანები ოთხ ჯგუფად იყოფიან, მათივე შესაძლებლობებისა და თვისებების შესაბამისად. ყოველ ჯგუფს თავისი მოვალეობები, ეთიკა და პასუხისმგებლობები აქვს და ადამიანმა ისინი უნდა მიიღოს. ეს სულიერი ზრდის გზაა. ყველა იმ ადგილიდან უნდა წავიდეს წინ, სადაც დგას. ვერავინ გადასტემა პირდაპირ აბსოლუტურზე. მისკენ მიმავალი თანდათან უნდა განვითარდეს. არ შეიძლება ადამიანმა თვითნებურად მიითვისოს სხვა ჯგუფის მოვალეობანი. „საკუთარი მოვალეობის შესრულებისას სიკვდილი გერჩიოს,“ გვასწავლის კრიშნა, „სხვათა მოვალეობის შესრულება უდიდეს სულიერ საფრთხეს გიქადის.“ სოციალურად კასტობრივი სისტემა დაყოფილია, მაგრამ სულიერად ამგვარი დაყოფა არ არსებობს. ყველას შეუძლია, ამბობს კრიშნა, თავისი კასტის მოვალეობის შესრულებით, მისთვის დადგენილ ბილიკზე სიარულით უმაღლეს სიწმინდეს მიწვევს. მართლაც, ევროპასა და აზიაში უამრავ ისეთ ადამიანს უცხოვრია, ვაჭრის, გლეხის, ექიმის, მღვდლის, მრეცხავის ან მეფის მოვალეობის შესრულებით უდიდესი სულიერებისთვის რომ მიუღწევია. მოქმედების წმინდად ფიზიკურ მხარეს თუ განვიხილავთ, რა თქმა უნდა, არჯუნა მოხალისედ არ წარმოგვიდგება. ომი მისი ვალია.

გზას დაადგება და ღურიოდპანა ძალაუფლებას შეინარჩუნებს. აქ ამ ამბის წინასიტორიის ცოდნის გარეშე ფელაფერი ვაუებტარი დარჩება. საქმე ისაა, რომ არც კრიშნა ის პირივნება, დღედაღამ ფელას შურისძიებისკენ რომ მოუწოდებდეს (პირიქით, მთელს „მაჰაპარატაში“ ის შემოიკეცლად და მშვიდობისმოყვარედ გვევლინება) და არც არჯუნა ის, ვისაც დათმობა და მიძღვევლობა ესწავლება. მან და მისმა ძმებმა არაერთხელ დაუთმეს მთელი სამეფო თავიანთ ბიძაშვილს, ღურიოდპანას და იმის ნაცვლად, რომ თავისი კუთხნილი სამეფო ემართათ და მეფური ცხოვრებით დაძტკარიყვნენ, ცამეტე წელი ტყეში, ასკეტურ ცხოვრებაში გაატარეს. მთელი ეს ისტორია თითქმის სავანეებოდა მიფიქრებული იმისთვის, რომ ერთის მხრივ ადამიანის სისასტიკის და ვაუბძობობის (ღურიოდპანა), შორეს მხრივ კი მისვე სიყვითისა და მოთმინების (არჯუნა და მისი ძმები) უსაზღვრობა დაეგანახოს. კურუქშეტრას ველზე კრიშნა არჯუნას სისზლისურისკენ მოუწოდებს, რადგან მისმა დაუღვრელობამ აზრი დაკარგა. მეტიც – ის სისასტიკე და უსამართლობა, რომლის მსხვერპლნიც აქამდე ძმები პანდავლები და ღურიოდპანას მიერ მართული სამეფოს მკვიდრნი იყვნენ, ახლა უკვე მთელს ქვეყანას ემუქრებოდა წალოცვით. სწორედ აქ იძლება კრიშნას გადაწყვეტილების ფარული და მთავარი აზრი: არჯუნას შეხედულებით, ქვეყნად ადპარმა, ანუ უღმერთობა, უსამართლობა და უწესობა ადათ-წესის მოშლით, დაღვრელი (და თუნდაც სამართლიანი) წესებისა და კანონების დარღვევით დგება, კრიშნას აზრით კი ასეთი რამ იმ ქვეყანას ელის, რომლის მმართველის გულშიც არ არის სამართალი, სიკეთე და სიყვარული. ასეთი იყო ღურიოდპანა, მაგრამ ეს ფელაფერი ცოცხლობდა პანდავლებში. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ თვლიდა კრიშნა ამ ომს „სამართლიან ომად“. ამკარა, რომ მისთვის ადპარმა, რომელიც კანონსაც ნიშნავს და სინდისსაც, სჯულსაც და სიკეთესაც, პირველ რიგში სინდისა და მხოლოდ შემდეგ კანონი და არა პირიქით; და რომ ადამიანის გულში მუქიქავი ცოცხალი სიყვითის, ვეშმართების გარეშე რელივიად და ტრადიციად მხოლოდ მკვდარ წესთა გროვაა, რომლის შენარჩუნებასაც ყოველგვარი აზრი ეკარგება.

ის მისი წარსული ქმედებებისგან აღმოცენდა. დროის ნებისმიერ მომენტში ჩვენ ის ვართ, რაც ვართ და საკუთარ თავად ყოფნის ყველა შედეგი უნდა მივიღოთ. მხოლოდ ამის შემდეგ შევძლებთ, უფრო განვვითარდეთ. ბრძოლის ველი უნდა ავარჩიოთ, რადგან ბრძოლას ვერ გავუქცევით.

არჯუნა იძულებულია იმოქმედოს, მაგრამ ორი სახის მოქმედებას შორის არჩევანი ჯერ კიდევ აქვს. საერთოდ კაცთა მოდგმა თითქმის ყოველთვის შიშითა და სურვილით, ანუ მიჯაჭვული მოქმედებს; გარკვეული შედეგის მიღების სურვილითა და იმის შიშით, რომ მიზანს ვერ მიაღწევს. მიჯაჭვული შრომა ილუზორულ სამყაროში გვაბამს და მუდმივად კიდევ და კიდევ უფრო მეტი სამუშაოთი გვბორკავს. მაგრამ სამუშაოს შესრულების სხვა ხერხიც არსებობს – მისი შიშისა და სურვილის გარეშე შესრულება. ქრისტიანები ამას „წმინდა გულგრილობას“ უწოდებენ, ჰინდუები კი – „მიუჯაჭველობას“. ორივე ეს სახელი ოდნავ შეცდომაში შემყვანია, რადგან სიცვიესა და ალტაცების არქონას გულისხმობს. ამიტომ არის, რომ ადამიანები ხშირად მიუჯაჭველობას ფატალისტიკით ურევენ, მაშინ როცა სინამდვილეში ეს საპირისპირო ცნებებია. ფატალისტიკისთვის უბრალოდ სულერთია – მაინც ის მოხდება, რაც უნდა მოხდეს. რატომ უნდა იწვალოს და აკეთოს რამე? მიუჯაჭველად მოქმედი კი კაცთა შორის ყველაზე კეთილსინდისიერია. შიშისა და სურვილისგან განთავისუფლებული, ყველაფერს მოვალეობისადმი ერთგულების ნიშნად სჩადის. მისთვის ყველა საქმე ერთნაირად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ხდება. ის მხოლოდ მოქმედების შედეგების – წარმატებისა და მარცხის, შექებისა და გაკიცხვის მიმართ რჩება გულგრილი. კრიშნა გვასწავლის, რომ როცა სამუშაო ასეთი სულისკვეთებით შესრულდება, ის იმის ცოდნამდე მიგვიყვანს, რაც მოქმედებისა და მთელი სიცოცხლის უკან დგას – საბოლოო რეალობამდე. ამ ცოდნის ზრდასთან ერთად თანდათან შემდგომი მოქმედების საჭიროებაც ჩამოგვცილდება და ჩვენს ნამდვილ ბუნებას – ღმერთს შევცნობთ.

აქედან გამომდინარე, ყოველი ქმედება, თუკი მიუჯაჭველობის სულისკვეთებით შესრულდება, კონკრეტულ გარემოებაში კონკრეტული ადამიანისთვის შეიძლება სულიერი ზრდის საფეხურად იქცეს. ინდივიდუალური ზრდის კუთხით ყველანაირი სიკეთე და ბოროტება ფარდობითია. ყოველი ინდივიდისთვის გარკვეული ქმედებანი აბსოლუტურად არასწორია. მართლაც, შეიძლება არსებობდეს ქმედებები, რომლებიც დღეს ქვეყნად მცხოვრები ყველა ინდივიდისთვის აბსოლუტურად არასწორია, მაგრამ უმაღლესი აზრით არც სიკეთე არსებობს და არც ბოროტება. იმის გამო, რომ კრიშნა როგორც ღმერთი, ისე საუბრობს, მას შეუძლია ასეთი პოზიცია დაეკავოს და არჯუნას ბრძოლა ურჩიოს. რა თქმა უნდა, აქ იმაზე არაა ლაპარაკი, რომ ბოროტის ქმნა სიკეთეს მოიტანს. *გიტა* ასეთ ოპორტუნიზმს არ ამართლებს. არჯუნამ ის უნდა გააკეთოს, რაც მისთვის საუკეთესო ქმედებაა, იმისთვის, რომ ამ საუკეთესოდან კიდევ უფრო უკეთესს გადაწვდეს. მოგვიანებით კურუქ-შეტერაზე ბრძოლა შეიძლება მას ბოროტებად მოეჩვენოს და მაშინ ეს

იქნება კიდევ ბოროტება². ბოროტების კეთება, როცა იცი, რომ ბოროტებას ჩადინარ, არასოდეს სიკეთეს არ მოიტანს. ასეთ საქციელს მხოლოდ მეტი ბოროტების, მიჯაჭვულობის და უმეცრების მოტანა შეუძლია.

ზოგჯერ *გიტას* ომის გამართლებაში სდებენ ბრალს და ამგვარად ქრისტეს, ბუდას და სხვა დიად სულიერ მოძღვართა სწავლების საპირისპიროდ მიიჩნევენ. სინამდვილეში *გიტა* არც ამართლებს ომს და არც გმობს მას. ვინაიდან არც ერთ საქციელს, არც ბოროტს და არც კეთილს, აბსოლუტური ფასეულობის მქონედ არ მიიჩნევს, მას არც ერთის გაკეთება არ შეუძლია. მას არც დაგმობა შეუძლია და არც გამართლება. ის მხოლოდ გვაფრთხილებს, რომ სხვების განკითხვა არ გავებდით. როგორ შეიძლება მეზობელს მისი მოვალეობა დაუწესოს, როცა საკუთარი მოვალეობის გაგებაც ასე ვეიჭირს? პაციფისტმა პატივი უნდა სცეს არჯუნას, არჯუნამ კი პაციფისტს. თუკი მართლა გულწრფელი არიან, ორივენი ერთი მიზნისკენ მიიწევენ. მათ შორის არსებობს სიღრმისეული ერთობა, რომლის გამოხატვაც შესაძლებელი გახდება, თუკი ორივე მათგანი უკომპრომისოდ გაჰყვება იმ ბილიკს, რომელსაც ადგას. რადგან ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია, რომ სხვებს მათი საკუთარი მოვალეობის შესრულებაში იმის კეთებით დავეხმაროთ, რაც ჩვენ თვითონ მიგვაჩნია სწორად. ეს არის ერთადერთი, ჭეშმარიტად სოციალური აქტი.

² ასეთი აზრს აშკარად არასაკმარისია, რადგან ბუნებრივად ჩნდება კითხვა: უკვე ხომ გაუჩნდა არჯუნას პრეტენზი ძალადობის მიმართ, რაღა საჭიროა მისი „დაბაო ცნობიერებაში“ დაბრუნება? მაგრამ საქმე ისაა, რომ არჯუნა არა ზოგადად მკვლელობის, არამედ მხოლოდ საკუთარი ხათვლების დახოცვის წინააღმდეგ აღაშურებს. მისთვის ჯერ უცხოა ის ღვთაებრივი ცნობიერება, რომელსაც მას შემდეგ არიზნა გაუზიარებს. არჯუნასთვის ჯერ კიდევ არსებობს მკვლელობა და ის ამას ცოდვად თვლის, თუმცა ამართლებს კიდევ, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ამის მას მისი კასტის კახონი, ემატრასი განაწესო ავალებს. მისთვის ჯერ კიდევ არსებობს „ახლობლები“ და „უცხობები“ და შესაბამისად ახლობელთა მოკვლა უცხოთა მოკვლაზე უფრო დიდ ცოდვად ეჩვენება. არიზნა, ერთი მხრივ მას საავიციებს, რომ არ არსებობს მკვლელობა, რადგან არ არსებობს სიკვდილი, მეორეს მხრივ კი ამ ვიწრო ადამიანური სივრცეში იმის, ამ სულიერობა დამახარისხებელი ილუზიისგან ათავისუფლებს და ყოველივე ცოცხლისა და არაცოცხლის ერთადერთ ჭეშმარიტ, საყოველთაო სიყვარულს ასწავლის, ამისთვის კი იმ ცოდნას აზიარებს, რომლის თანახმადაც ყველა სულიერი ერთნაირად ძვირფასია, რადგან ერთადერთი რეალობის – ღმერთის ნაწილია, რომ კვდება მხოლოდ ის, რითაც სულდგმულნი ერთმანეთისგან განსხვავდებიან და რაც ისედაც მკვდარია, ანუ ხორცი, ის კი რაც ყველაში ერთი და ერთნაირია – სული, მარად ცოცხლობს და მისი მოკვლა შეუძლებელია. ამასთან მოვალეობის შეზღუდული, კასტობრივი გვეხებოდა ათავისუფლებს და მოქმედების ერთადერთ სწორ მოტივად ჭეშმარიტებისთვის, სულიერობის საკეთისთვის ამსოლულურად უაზვარი მასწავლებს უსაჩუქრებს, ანუ ისეთ ცნობიერებას სთავაზობს, რომლითაც მცხოვრები ადამიანისთვის ყველაზე უცხოა მკვლელობა, მაგრამ ასევე უცხოა სიკვლის შიშზე; ასეთი ადამიანი არ კლაკის, მაგრამ თუ კლაკის, ეს მკვლელობა არაა:

„ვინც დაკლილია თაგერძობისგან და აქვს ვინება შეუწიკელი, არ ეძინება იგი საქმებს და ვინდაც კლაკის, არაა მკვლელი.“ [18.17]

თუკი სათანადო ჩაუღრმავდება შეუძლებელია ვინმე „ვიტას“ მოძიერება მკვლელობის გამართლებად გაავოს, რადგან იგი ადამიანისგან პირველ რიგში იმ ღვთაებრივი ცნობიერების განხორციელებას მოითხოვს, რომლითაც მცხოვრებისთვისაც მოკვლის სურვილი ყველა სხვა ყაღდის ადამიანზე უფრო უცხოა. „გიტაზე“ სწორი დასკვნის გამოტანა მისი კომპლექსური გააზრების ვარაუშე შეუძლებელია.

მარადი ფილოსოფია¹

ოცდახუთ საუკუნეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ადამიანმა პირველად ჩაწერა ის, რასაც *მარადი ფილოსოფია* ეწოდება. ამ საუკუნეთა მდინარებაში ხან ერთგან, ხან მეორეგან ის თავს იჩენდა ხოლმე – ხან ნაწილობრივ, ხან კი სრულად.

*ვედანტას*² თუ ებრაულ წინასწარმეტყველებებში, დაო დე ძინსა თუ პლატონურ დიალოგებში, იოანეს სახარებასა თუ მაჰაიანას თეოლოგიაში, პლოტინთან თუ არეოპაგელთან, სპარსელ სუფიებთან თუ შუა საუკუნეებისა და რენესანსის ქარისტიან მისტიკოსებთან – *მარადი ფილოსოფია* ევროპისა და აზიის თითქმის ყველა ენაზე მეტყველებდა და ყველა მაღალი რელიგიის ტერმინოლოგიითა და ტრადიციებით სარგებლობდა. ყველა ამ ენასა და მითს, ადგილობრივ ამბებსა და პარტიკულარისტულ დოქტრინებს უკან იდგა საერთო, უმაღლესი ფაქტორი – *მარადი ფილოსოფია* თავისი, ასე ვთქვათ, „სუფთა ქიმიური შემადგენლობით“. რა თქმა უნდა, უმაღლესი სიწმინდე ვერც ერთი, თუნდაც ყველაზე არადოგმატური, გააზრებული და მთლიანი ფილოსოფიის ვერავითარი სიტყვიერი ფორმულირებით ვერ გამოითქმება. თვით ის ფაქტი, რომ ასე ჩამოყალიბებული დოქტრინა ამა თუ იმ ავტორის მიერ ამა თუ იმ ენაზეა დაწერილი, ავტომატურად ნიშნავს, რომ მას გარკვეული სოციოლოგიური და პიროვნული დალი აზის. *მარადი ფილოსოფიის* წმინდა მდგომარეობა კი მხოლოდ იმ ჭვრეტის აქტისას შეიცნობა, რომელის დროსაც სიტყვები და თვით პიროვნებაც კი საზღვრებს სცდება. მათ მიერ დატოვებული ჩანაწერები, ვინც ამ გზით შეიცნო იგი, ნათელს ხდის, რომ მიუხედავად იმისა, თუ ვინ იყვნენ ისინი – ჰინდუები, ბუდისტები, იუდეველები, დაოსები, ქრისტიანები თუ მაჰმადიანები, ყველა მათგანი ერთი

¹ *ოცდღოს ჰაქსლის ეს ენზე „მაკვაჯადეიტას“ სვაში პრაპაკვანანდასა და ქრისტოფერ აიშერ-ვულისეულ თარგმანს ეროვით.*

² *ვედანტა – (სანსკრ.: ვედა ანტ – „ვედების“ დავიერებები“. იხ. „ვედები“, ვანმ. 2.45.) რელიგიურ-ფილოსოფიური მხარარის ტექსტებია, რომლებიც „ვედებს“ ერთვის („უპანიშადები“ და სხვადასხვა კომენტარები). ასევე ეწოდება ძველ ინდურ ფილოსოფიურ სისტემებს, ექვს ორთოდოქსულ სისტემათაგან ერთ-ერთს, რომელითა ძირითადი საფუძველი ზეძონასხეხები ტექსტებია. მასში განსაკუთრებული ყურადღება „ვედების“ ფილოსოფიურ მხარეზეა გამამაზვილებული. ვედანტას მოძღვრების მიხედვით, ჭეშმარიტი არსებობა მხოლოდ ბრაჰმანს, ანუ ღვთაებრივ სუბსტანციას, აბსოლუტს აქვს. საჭარო მისი დროებითი გამოვლინება – მათს (უხეშად – ილუზიის) თამაშსა და რეალური არსებობა არ გააჩნია. ვედანტას იდეები ბოდა-რაიანას „ბრაჰმა-სუტრაში“ მოცემული. არსებობს ვედანტიზმის რამოდენიმე სკოლა.*

და იგივე, არსებითად აღუწერელი ფაქტის აღწერას ცდილობდა.

უმეტეს რელიგიათა თავდაპირველი წმინდა წერილები პოეტური და არასისტემატიზირებულია. თეოლოგია, რომელიც როგორც წესი, ამ წერილებში შესულ იგავთა და აფორიზმთა დასაბუთებული კომენტარების სახეს იღებს, ცდილობს რელიგიის ისტორიის უფრო ფართო ასპარეზზე გამოვიდეს. *ბჰაგავადგიტა* წმინდა წერილსა და თეოლოგიას შორის შუალედურ პოზიციაზე დგას, რადგან პირველის პოეტურ ღირსებებს მეორის მკაცრ მეთოდურობას უთავსებს. ანანდა კეი კუმარასვამი თავის შესანიშნავ წიგნში, *ჰინდუიზმი და ბუდიზმი*, წერს, რომ ეს წიგნი შეიძლება დავახასიოთოთ, „როგორც მთელი იმ ვედური დოქტრინის სახელმძღვანელო, რომელიც ადრეულ *გედებში*, *ბრაჰმანებს*³ და *უპანიშადებში* გვხვდება; და რადგან ის მთელი შემდგომი განვითარების საფუძვლადაც გვევლინება, შეგვიძლია მთელი ჰინდური რელიგიის გულის გულად მივიჩნიოთ“. მაგრამ „მთელი ჰინდური რელიგიის გულის გული“ ამავე დროს *მარადი ფილოსოფიის* ყველაზე ნათელი და ამომწურავი სახელმძღვანელოც გახლავთ, რაც კი ოდესმე დაწერილა. ამის გამოა ის მარადეჟამ ფასეული, არა მხოლოდ ინდოელთათვის, არამედ მთელი კაცობრიობისათვის. *მარად ფილოსოფიას* საფუძვლად ოთხი ფუნდამენტური პრინციპი უდევს:

პირველი: მატერიისა და ინდივიდუალიზირებული ცნობიერების ფენომენალური⁴ სამყარო – საგნების, ცხოველების, ადამიანთა და თვით ღმერთთა სამყაროც კი – გამოვლინებაა ღვთიური ფუძის, რომელშიც ჰპოვებს არსებობას ყველა ნაწილობრივი რეალობა და რომლის გარეშეც ვერაფერი იარსებებდა.

მეორე: ადამიანებს არა მხოლოდ აზროვნების საშუალებით შეუძლიათ შეიცნონ ღვთიური ფუძე; მათ იმის უნარიც აქვთ, რომ მისი არსებობა ლოგიკურ მსჯელობაზე მაღლა მდგომი პირდაპირი ინტუიციის მეშვეობით გააცნობიერონ. ეს უშუალო ცოდნა შემცნობს იმასთან აერთიანებს, რასაც ის შეიცნობს.

მესამე: ადამიანს ორმაგი ბუნება აქვს – ფენომენალური ეგო და მარადიული „მე“,⁵ რომელიც არის შინაგანი ადამიანი, სული, ღვთაებრიობის ნაპერწკალი სულში. ადამიანს, თუკი ისურვებს, შეუძლია თავი გააიგივოს

³ „ბრაჰმანები“ – ტრაქტატები, რომლებიც ერთიან „გედებს“ იხ. კანმ. 2.4.5.

⁴ ფიზიკური შეგრძნებით აღქმადი.

⁵ ოლეოს ჰაქსლი აქ ინგლისურ სიტყვა *the Self*-ს მიმართავს. ამ სიტყვით, როგორც წესი, ინგლისურად სანსკრიტულ ტერმინ „ატმანს“ თარგმნიან. სანსკრიტულ ტერმინს სულს, ანუ ინდივიდუალურ „მე“, ადამიანის უზენაეს, იმ ჭეშმარიტ „მე“-საც ნიშნავს, რომელიც ბრაჰმანის, ანუ უზენაესი და უპიროვნო აბსოლუტის იგივეობრივია და უბრალოდ „საკუთარ თავსაც“ (რუს.: *Сам, Себя*; ინგლ.: *self*). კონტრესტადან გამოიძინარე, ჩვენ მას ვთარგმნით, როგორც „სულს“, „მე-ს“, ან „საკუთარ თავს“.

სულთან და აქედან გამომდინარე ღვთიურ ფუძესთანაც, რომელიც სულის მსგავსი, ან სულაც იგივე ბუნებისაა.

მეოთხე: ადამიანის მიწაზე ცხოვრებას მხოლოდ ერთი მიზანი და დასასრული აქვს: თავის საკუთარ სულთან გაიგივება და ამ გზით ღვთიურ ფუძესთან გამაერთიანებელ ცოდნამდე მისვლა.

ჰინდუიზმში ამ ოთხი პრინციპიდან პირველი ყველაზე კატეგორიულად არის ჩამოყალიბებული. ღვთიური ფუძე არის *ბრაჰმანი*,⁶ რომლის შემოქმედებითი, დამცავი და გარდამსახავი ასპექტები ჰინდურ „სამებაში“⁷ გაცხადებული. მისი გამოვლინებათა იერარქია უსულო მატერიას, ადამიანს, ღმერთებს, უზენაეს ღმერთებს და არადიფერენცირებულ, მიღმიერ ღვთაებრიობას მოიცავს.

მაჰაიანას ბუდიზმში ღვთიურ ფუძეს გონი, ანუ სიცარიელის წმინდა ნათელი ეწოდება, უზენაესი ღმერთების ადგილს კი *დაჰიანი-ბუდეები* იკავებენ.

მსგავსი კონცეფციები სრულიად მიესადაგება ქრისტიანობას. სინამდვილეში, შეფარვით თუ გაცხადებულად, ზერაციონალური, ინტუიტიური გზით გაცნობიერებული ფაქტების ფილოსოფიისთვის მისადაგების მცდელობისას მათ ბევრი კათოლიკე და პროტესტანტი მისტიკოსი აღიარებდა. ამგვარად, ეკჰარტიზა და რუისბრუკისთვის არსებობს ღვთაებრიობის წიაღი, რომელიც სამების საფუძველია, სწორედ ისე, როგორც *ბრაჰმანი* *ბრაჰმას*, *ვიშნუს* და *შევას* საფუძველი. სუსომ⁸ ღვთაებრიობის, სამსახოვანი ღმერთის და სულიერთა თანაარსებობის სქემატური სურათიც კი დატოვა. ამ მეტად უჩვეულო და საინტერესო ნახატზე ღვთიური ფუძის ილუმინაციული სიმბოლო გამოვლინებათა ჯაჭვით სამების სამ პიროვნებას უკავშირდება, სამება კი თავის მხრივ დაღმავალი კიბით ანგელოზებთან და ადამიანებთანაა დაკავშირებული. ამ უკანასკნელთ, როგორც ამას თვალნათლივ გვიჩვენებს ნახატი, ორიდან ერთი არჩევანი აქვთ. მათ შეუძლიათ ან გარეგნული ცხოვრებით, სეპარატული ეგოიზმით იცხოვრონ (ამ შემთხვევაში ისინი ილუპებიან, რადგან „თეოლოგია ჯერმანიკას“ მიხედვით სხვა არაფერი იწვის ჯოჯოხეთში, გარდა ეგოსი), ან თავი შინაგან ადამიანთან გააიგივონ; ასეთ შემთხვევაში, როგორც სუსო გვიჩვენებს, გამაერთიანებელი ცოდნის მეშვეობით, მათთვის კვლავ სამებამდე და მის მიღმაც კი – ღვთიურ ფუძესთან საბოლოო გამოთლიანებამდე ამაღლება ხდება შესაძლებელი.

მუსულმანურ ტრადიციაში მყისიერი მისტიური განცდის ასეთი

⁶ *ბრაჰმანი* – აბსოლუტი. იხ. *განმ. 2.46.*

⁷ *ბრაჰმა, ვიშნუ და შევა.*

⁸ *ჰენრი სუსო (1295-1366) – გერმანელი კათოლიკე მისტიკოსი.*

გაცნობიერება სახიფათოდ არაორთოდოქსული იქნებოდა. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი სუფიური ტექსტის კითხვისას შთაბეჭდილება რჩება, რომ მათი ავტორები *ალ ჰაქს* („რეალურს“), ღვთიურ ფუძედ, ანუ ალაჰის ერთობად და ღვთაებრიობის აქტიური და პიროვნული საწყისების საფუძვლად მიიჩნევენ.

მარადი ფილოსოფიის მეორე პრინციპი – ის, რომ ღვთიური ფუძის შეცნობა ლოგიკურ განსჯაზე მაღლა მდგომი პირდაპირი ინტუიციით შეიძლება – მსოფლიოს ყველა დიდ რელიგიაში გვხვდება. ფილოსოფოსს, რომელიც საბოლოო რეალობის მხოლოდ თეორიული და ყურმოკრული ცოდნით კმაყოფილდება, ბუდა სხვისი ძროხების მწყემსს ადარებს. მუჰამედი კიდევ უფრო უხემ და დამცინავ შედარებას მიმართავს. მისთვის ის ფილოსოფოსი, მეტაფიზიკური დასკვნებისთვის ხორცი რომ არ შეუსხამს, მხოლოდ და მხოლოდ სხვისი წიგნების გროვის მზიდავი სახედარია. ქრისტიანი, ჰინდუ და დაოსი მასწავლებლები არანაკლები დაჟინებით უსვამენ ხაზს მხოლოდ სწავლისა და ანალიტიკური აზროვნების პრეტენზიების აბსურდულობას. ანგლიკანთა ლოცვის წიგნს რომ დავესესხოთ, ჩვენი საუკუნო ცხოვრება, აქ და იქვეყნად, „უფლის ცოდნაშია“; და ეს ცოდნა გონებაჭვრეტითი კი არა, „გულის“ ცოდნაა – ზერაციონალური, ინტუიციისმიერი, პირდაპირი, მთლიანი და მარადისი.

მარადი ფილოსოფიის მესამე დებულება, რომელიც ადამიანის ორმაგ ბუნებას გულისხმობს, ყველა მაღალი რელიგიის ფუნდამენტური პრინციპია. ღვთიური ფუძის გამაერთიანებელი ცოდნის უცილობელი პირობა თვითგანდგომა⁹ და თანაგრძნობაა. მხოლოდ თვითგანდგომისა და თანაგრძნობის მეშვეობით შეიძლება განვიწმინდოთ იმ ბოროტებისგან, უგუნურებისგან და უმეცრებისგან, რაც შეადგენს იმას, რასაც ჩვენ ჩვენს ინდივიდუალურობას ვუწოდებთ და რაც შინაგანი ადამიანის გამასხივოსნებელი ღვთაებრიობის ნაპერწკლის აღქმაში გვიშლის ხელს. მაგრამ შინაგანი ნაპერწკალი ღვთიური ფუძის მსგავსია. საკუთარი თავის პირველთან გაიგივებით ჩვენ მეორის გამაერთიანებელ ცოდნამდე მივდივართ. სულიერი ცხოვრების ეს ემპირიული ფაქტები სხვადასხვა რელიგიათა თეოლოგიების ფარლებში სხვადასხვაგვარადაა ახსნილი. ჰინდუები კატეგორიულად ამტკიცებენ, რომ „შენ ხარ იგი“ – რომ ადამიანში მსუფვეი *ატმანი*¹⁰ იგივე *ბრაჰმანი*ა. ორთოდოქსი ქრისტიანისთვის კი ღმერთი და მისი ნაპერწკალი იგივე არ არის. მართალია, ადგილი აქვს ადამიანის სულის ღმერთთან ერთობას, თანაც ისეთ ერთობას, რომ მის გამოსახატად სიტყვა „განღმერთობასაც“ კი მიმართავენ, მაგრამ ეს ერთნაირ სუბსტანციათა ერთობა არ გახლავთ. ქრისტიანული

⁹ რუს.: *самоотречение*; ინგლ.: *self-abnegation*.

¹⁰ ინდივიდუალური „მე“, სული. იხ. ვანშ. 2.55; ბრაჰმანი – აბსოლუტი, იხ. ვანშ. 2.46.

თეოლოგიის თანახმად, წმინდანი „განღმრთობილი“ სდება არა იმიტომ, რომ ატმანი არის *ბრაჰმანი*, არამედ იმიტომ, რომ ღმერთი ადამიანის განწმენდილ სულს ღვთაებრივ არსში მოწყალების აქტით იღებს. მაჰმადიანური თეოლოგია იგივენაირ გამიჯნვას ახდენს. სუფია მანსური სიკვდილით იმისთვის დასაჯეს, რომ სიტყვა „გაერთიანებას“ და „განღმრთობას“ ის პირდაპირი მნიშვნელობა მიანიჭა, რომელიც მათ ჰინდუთა ტრადიციაში აქვთ. ჩვენთვის მაინც მნიშვნელოვანია, რომ ამ სიტყვებს ქრისტიანები და მუსულმანები ფაქტიურად პირდაპირი, ზერაციონალური გზით მეტაფიზიკური რეალიზაციის ემპირიული ფაქტის აღსაწერად იყენებენ.

რაც შეეხება ადამიანის გზის დასასრულს, აქ ყველა მაღალი რელიგია ერთმანეთთან სრულ თანხმობაშია. ადამიანის ცხოვრების მიზანი ჭეშმარიტების შეცნობა – ღვთაებრიობის მასთანვე გამაერთიანებელი ცოდნაა. რა ხარისხითაც მიღწევს ადამიანი ამ ცოდნას აქ, დეადმიწაზე, იმ ხარისხით ისარგებლებს მისით სიკვდილის შემდგომ ცხოვრებაში. ჭეშმარიტების ჭვრეტა მოქმედებაცაა, მისი საშუალებაც და საბოლოო მიზანიც. ინდოეთში, ჩინეთში, ძველ საბერძნეთსა და ქრისტიანულ ევროპაში ეს ორთოდოქსიის ყველაზე აშკარა და აქსიომატურ ნაწილად იყო მიჩნეული. ორთქლის ძრავის გამოგონებამ არა მხოლოდ ტექნიკურ ინდუსტრიაში მოახდინა რევოლუცია, არამედ (რაც ბევრად უფრო მნიშვნელოვანია) ფილოსოფიაშიც. იმის გამო, რომ შესაძლებელი გახდა მანქანები სულ უფრო და უფრო ეფექტური გამზდარიყო, დასავლელმა კაცმა ირწმუნა, რომ შესაბამისად ადამიანი და საზოგადოებებიც ავტომატურად მორალურად და სულიერადაც გაუმჯობესდებოდა. ამიტომ მთელი თავისი ყურადღება და ერეულება მარადისობის ნაცვლად მან უტოპიურ მომავალს მიუძღვნა. გარეგანმა გარემოებებმა უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა, ვიდრე გარეგან გარემოებებზე გონების პასუხმა. ადამიანის საბოლოო მიზნად მოქმედება გამოცხადდა, ფიქრი კი მისი მიღწევის საშუალებად. ამ მცდარ, ისტორიულად გზააბნეულ და ერეტიკულ დოქტრინებს ჩვენს სკოლებში ახლა სისტემატურად ასწავლიან. მათ ყოველდღე გვიმეორებენ სარეკლამო განცხადებების ანონიმური მწერლები, ყველა სხვა მასწავლებელზე უფრო უხვად რომ ამარაგებენ ევროპელ და ამერიკელ სრულწლოვნებს თავიანთი პოპულარული ცხოვრების ფილოსოფიით. ეს პროპაგანდა ისეთი ეფექტური გამოდგა, რომ ქრისტიანობის აღმსარებლებიც კი ამ ერესს ულაპარაკოდ იღებენ და წარმოდგენაც კი არა აქვთ, რომ ის ძირშივე ეწინააღმდეგება მათ საკუთარ და ნებისმიერ სხვა რელიგიას.

მინიმალური და ძირითადი სახით ეს ოთხი პრინციპი შეადგენს მარად ფილოსოფიას. ადამიანს, რომელიც იმით არის დაკავებული, რასაც ინდოელები *ჯანან-ოვას* (რეალურისა და მოჩვენებითის გარჩევის მეტაფიზიკურ დისციპლინას) უწოდებენ, სხვა არაფერი აინტერესებს. ეს მარტივი საშუაო ჰიპოთეზა მისი მიზნებისთვის საკმარისია. მაგრამ ასეთი

მიდგომის პრაქტიკულად განხორციელება უკიდურესად ძნელია, ყოველ შემთხვევაში სულიერი ცხოვრების მოსამზადებელ ეტაპებზე, თუ რა თქმა უნდა ადამიანი გონების განსაკუთრებული წყობით არ არის დაჯილდოვებული. ამიტომ არის, რომ *მარადი ფილოსოფიის* უმეტეს ფორმულირებებს თან ახლავს იმის დამადასტურებელი სწავლება, რომ არსებობს ღვთიური ფუძის ერთი ან უფრო მეტი ინკარნაცია ადამიანის სახით, ვისი შუამავლობით და წყალობითაც მორწმუნე დახმარებას იღებს იმ ცოდნის მიღებაში, რომელიც მას გაერთიანებს ღვთაებრიობასთან, რაც ადამიანის საუკუნო სიცოცხლე და ნეტარებაა. *ძველგადავტა* ერთ-ერთი ასეთი ფორმულირებაა. აქ კრიშნა ღვთიური ფუძის ინკარნაციაა ადამიანის სახით. ამგვარადვე, ქრისტიანულ და ბუდისტურ თეოლოგიებში იესო და გაუტამა ღვთაებრიობის ინკარნაციებად გვევლინებიან. თუმცა თუ ჰინდუიზმსა და ბუდიზმში ღვთაებრიობის ერთზე მეტი ინკარნაციაა შესაძლებელი (და მიჩნეულია, რომ სინამდვილეში ასეც იყო), ქრისტიანებისთვის კი ერთზე მეტი ინკარნაცია არ არსებობს და არც შეიძლება, არსებობდეს.

ღვთაებრიობის ინკარნაცია, უფრო მცირე ხარისხით კი ნებისმიერი თეოცენტრისტი წმინდანი, ბრძენი თუ წინასწარმეტყველი არის ადამიანი, რომელმაც იცის, ვინ არის და აქედან გამომდინარე ძალუძს ადამიანებს შეასწავლოს, რისი დაგვიწყების უფლებაც მათ თავიანთ თავს მისცეს: კერძოდ ის, რომ თუკი ისინი გადაწყვეტენ გახდნენ ის, რაც პოტენციურად უკვე არიან, ისინიც შეძლებენ სამარადჟამოდ გაუერთოსულდნენ ღვთიურ ფუძეს.

ინკარნაციის თავყანისცემა და მისი თვისებების ჭვრეტა მორწმუნეთა უმეტესი ნაწილისთვის ღვთაებრიობის გამაერთიანებელი ცოდნისთვის მომზადების საუკეთესო გზაა. სხვა საკითხია, შესაძლებელია თუ არა ამ საშუალებით ნამდვილი ცოდნის მიღწევა. ბევრი კათოლიკე მისტიკოსი ირწმუნება, რომ ჭვრეტითი ლოცვის გარკვეულ საფეხურზე, რომელშიც, ყველაზე ავტორიტეტულ თეოლოგთა თანახმად, ქრისტიანობის უმაღლესი სრულყოფილება ხორციელდება, აუცილებელია გვერდზე გადავლოთ ყოველგვარი ფიქრი ინკარნაციაზე, როგორც ხელის შემშლელი უფრო მაღალი ცოდნის მიღწევაში იმის შესახებ, რაც არის ინკარნირებული. ამ ფაქტიდან უამრავი გაუგებრობა და მთელი რიგი ინტელექტუალური სიძნელებები წარმოიშვა. აი, მაგალითად, რას წერს აბატი ჯონ ჩეპმენი მის საყვარელ *სულიერ წერილებში*: „მისტიციზმისა და ქრისტიანობის შერიგების (და არა უბრალოდ გაერთიანების) პრობლემა უფრო ძნელი გადასაწყვეტია. აბატი (აბატი მარმიონი) ამბობს, რომ ჯვრის წმინდა იოანე¹¹ ქრისტიანობით

¹¹ *ჯვრის წმ. იოანე (Juan de la Cruz, 1542-1591) – ესპანელი მისტიკოსი, კათოლიციზმის რეფორმაციის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა და კათოლიკური ეკლესიის ოცდაცამეტ დოქტორითავე (ყველაზე ავტორიტეტულ წმინდანთაგან) ერთ-ერთი. მისი პოეტური და პროზაული თხზულებები სულის ზრდის შესახებ (არსებობს განუაჯგულობისა და ღმერთზე მიჯაჯგულობის ქრისტიანული გაგებით) ესპანური მისტიკური ლიტერატურის მწვერვალად ითვლება.*

გაჟღერებული ღრუბელს ჰგავს – თუკი კარგად გაწურავთ, მასში მხოლოდ ნამდვილი მისტიკური თეორია დარჩება. ამის გამო თხუთმეტი წლის მანძილზე მე მას ბუდისტს ვუწოდებდი და მძულდა. სამაგიეროდ წმინდა ტერეზა მიყვარდა და მის ნაწერებს დაუსრულებლად ვკითხულობდი, რადგან ის ჯერ ქრისტიანია და მხოლოდ შემდეგ – მისტიკოსი. შემდეგ კი მივხვდი, რომ თხუთმეტი წელი ამაო ლოცვაში გამიფლანგავს.“ და მაინც, ასკენის იგი, მიუხედავად „ბუდისტური“ ხასიათისა, მისტიციზმის (ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, *მარადი ფილოსოფიის* რეალიზაციის) პრაქტიკა ადამიანს კარგ ქრისტიანად აქცევს. მას შეეძლო დაემატებინა, რომ ის კარგ პინდუსს, კარგ ბუდისტს, კარგ დაოსს, კარგ მაჰმადიანს და კარგ იუდეველსაც აყალიბებს.

აბატ ჩეპმენის პრობლემის გადაწყვეტა ფილოსოფიის კი არა, ფსიქოლოგიის სფეროში უნდა ვეძიოთ. ადამიანები ერთნაირები არ იბადებიან. ამქვეყნად ადამიანის უამრავნაირი ხასიათი და წყობა არსებობს; და თითოეულ ფსიქო-ფიზიკურ კლასში შეიძლება სულიერი განვითარების სხვადასვა საფეხურზე მდგომ ხალხს წავაწყდეთ. თაყვანისცემისა და სულიერი დისციპლინის ის ფორმები, რომლებიც ერთი ინდივიდისთვის შეიძლება სასარგებლო იყოს, სხვა კლასისა და თვით ამ კლასში განვითარების მალაღან დაბალ საფეხურზე მდგომი ადამიანისთვის სრულიად უსარგებლო, ან სულაც პირდაპირ საზიანო შეიძლება აღმოჩნდეს. ეს ყველაფერი კარგადაა ახსნილი *ვატამა*, რომელშიც ფსიქოლოგიური ფაქტები და საერთო კოსმოლოგია ერთმანეთთან ცნება *კუნამ*¹² მეშვეობით არის დაკავშირებული. კრიშნა, რომელიც აქ პინდუიზმის ყველა გამოვლინებაში მქადაგებლად გვეკლენება, ძალზე ბუნებრივად მიიჩნევს იმას, რომ განსხვავებულ ადამიანებს განსხვავებული მეთოდები და თაყვანისცემის სხვადასხვა ობიექტებიც კი უნდა ჰქონდეთ. ყველა გზა რომისკენ მიდის – რა თქმა უნდა იმის გათვალისწინებით, რომ ეს მართლაც რომია და არა რაიმე სხვა ქალაქი, რომლის მონახულებაც სინამდვილეში სურს მოგზაურს. მაჰმადიანისგან მსგავსი შემწეარებლური შეუზღუდველობის, ცოტა არ იყოს მოულოდნელ დამოკიდებულებას ჯალალედინ რუმის მიერ მანსავის მეორე წიგნში გადმოცემულ მოსესა და მწყემსის იგავში ვხვდებით. კიდევ უფრო შეუზღუდულ ქრისტიანულ ტრადიციაში ხასიათის და განვითარების დონის ეს პრობლემები საფუძვლიანადაა განხილული მართასა და მარიამისადმი მიმართებაში; განსაკუთრებით ადამიანის მოწოდებისა და ინდივიდუალური თაყვანისცემის საკითხები.

ახლა *მარადი ფილოსოფიის* ეთიკური მხარე განვიხილოთ. „ჭეშმარიტება,“ ამბობს წმინდა თომა აქვინელი, „მთელი სამყაროს საბოლოო მიზანია, ჭეშმარიტების ჭვრეტა კი – სიბრძნის მთავარი დანიშნულება.“ სხვაგან ის აღნიშნავს, რომ ჭვრეტა მორალურ თვისებებს გულისხმობს,

¹² *კუნა* – იხ. კანმ. 2.45.

ოლონდ ეს მისი არსი კი არაა, არამედ აუცილებელი წინაპირობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სათნოება მიზანი კი არ არის, არამედ ღვთაებრივი რეალობის შეცნობის აუცილებელი პირობა. შანკარა, *კოტას* უდიდესი ინდოელი კომენტატორი, იგივე თეორიას ანვითარებს. სწორი ქცევა ცოდნისკენ მიმავალი გზაა, რადგან გონებას წმინდს, ღვთიური ფუძის ინტუიტიური წვდომა კი მხოლოდ ეგოიზმისგან გაწმენდილ გონებას ძალუძს. თვითგანდგომის მიღწევა, *კოტას* თანახმად, ორი ყოვლისმომცველი თვისების – სიყვარულისა და მიუჯაჭველობის პრაქტიკითაა შესაძლებელი. ეს უკანასკნელი იგივეა, რაც „წმინდა გულგრილობა“, რომლის ქადაგებითაც არასოდეს იღლება წმინდა ფრანსუა დე სალი. „ის, ვინც ყოველ ქმედებას ღმერთისკენ მიმართავს,“ წერს კამუსი თავისი მასწავლებლის მოძღვრების შეჯამებისას, „და სხვა მიზანი არა აქვს, გარდა მისი ღიღებისა, ყველგან, ყველაზე ძლიერი განსაცდელის ფაშსაც კი სიმშვიდეს ჰპოვებს.“ იმ შემთხვევაში, თუ მოქმედების ნაყოფთა მიმართ ამგვარ წმინდა გულგრილობას განვახორციელებთ, „ვერავითარი წესიერი საქმე ღმერთს ვერ დაგვაშორებს; მეტიც, ეს შეიძლება უფრო მჭიდრო კავშირის დამყარების საშუალებაც გახდეს.“ აქ სიტყვა „წესიერი“ აუცილებელ დაზუსტებას წარმოადგენს მოძღვრებაში, რომელიც უამისოდ არასრული და პოტენციურად საშიშიც კი იქნებოდა. ზოგიერთი ქმედება თავისთავად ბოროტი ან მიზანშეუწონელია და ვერავითარი კეთილი განზრახვა ან მისი ღმერთისთვის მიძღვნა, ვერც მის ნაყოფზე უარის თქმა მის შინაგან ბუნებას ვერ შეცვლის. წმინდა გულგრილობის სწავლებას თან არა მხოლოდ დანაშაულის ამკრძალავი გარკვეული მცნებები უნდა ახლდეს, არამედ იმის კარგი გააზრებაც, რასაც ბუდას „რვასაფეხურიან გზაში“ „საარსებო წყაროს სწორად მოპოვება“ ეწოდება. შესაბამისად, ბუდისტისთვის საარსებო წყაროს სწორად მოპოვება მკვლელობის იარაღებისა და გამაბრუებელი საშუალებების დამზადებას ვერ ეთავსებოდა, ხოლო შუა საუკუნეების ქრისტიანისთვის ის ათასგვარი მონოპოლისტური საქმიანობა იყო მიუღებელი, რომელიც მოგვიანებით კარგ და კანონიერ ბიზნესად იქნა მიჩნეული.

ჯონ ვულმანი, ამერიკელი კვაკერი, ყველაზე კარგ მაგალითს გვაძლევს იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვროს კაცმა ამ ქვეყანაზე, როგორ უნდა იმოქმედოს სრულიად მიუჯაჭველად და „საარსებო წყაროს სწორად მოპოვების“ პრინციპის ერთგული დარჩეს. მაშინაც კი, როცა ეს მისთვის მომგებიანი და სრულიად კანონიერი იყო, ვულმანმა უესტ-ინდური შაქრის და რომის თავის მაღაზიაში გაყიდვაზე მხოლოდ იმიტომ თქვა უარი, რომ ეს პროდუქტები მონური შრომის ნაყოფი გახლდათ. ასევე, ინგლისში ყოფნისას მისთვის ეტლით მგზავრობა მოსახერხებელიც იქნებოდა და კანონიერიც, მაგრამ მან მაინც ფეხით სიარული არჩია. რატომ? იმიტომ, რომ სწრაფი გადაადგილების კომფორტით სარგებლობა მხოლოდ ცხენების მიმართ უდიდესი სისასტიკის და ფორეიტორი ბიჭების საშინელი საძუძო

პირობების ფასად იყო შესაძლებელი. კულმანის აზრით, ტრანსპორტირების ასეთი სისტემა არსებითად არასასურველი იყო და მიუჯავჭველობის ვერავითარი ხარისხი მას სასურველად ვერ აქცევდა. მანაც ზურგჩანთა მხრებზე მოიგდო და გზას გაუდგა...

აქამდე ვცდილობდი, მეჩვენებინა, რომ *მარადი ფილოსოფია* და მისი ეთიკური მხარე შეადგენს იმ უმაღლეს საერთო ფაქტორს, რომელიც მსოფლიოს ყველა დიდ რელიგიაშია წარმოდგენილი. ამ ჭეშმარიტების დამოწმება არასოდეს ყოფილა ისე ჰაერივით საჭირო, როგორც დღეს. სანამ ადამიანები ნაციონალიზმის უგუნურ კულტზე და მექანიზირებული ახალი იერუსალიმისკენ მიმავალი პროგრესის აპოკალიფტური რწმენის რეკლამირებაზე არ იტყვიან უარს და კოსმიურ და ფსიქოლოგიურ ფაქტებთან უფრო მეტად მისადაგებულ სიცოცხლის ფილოსოფიამდე არ მივლენ, ხანგრძლივი მშვიდობა არასოდეს დადგება. ასეთი ფილოსოფიის ყველა ელემენტი, როგორც ვნახეთ, ტრადიციულ რელიგიებში მოიპოვება. მაგრამ რეალურად იმის ოდნავი შანსიც კი არ არსებობს, რომ რომელიმე მათგანი საყოველთაო გახდეს. ევროპელები და ამერიკელები არაფრის გულისთვის არ მოექცევიან, ვთქვათ, ჰინდუიზმზე ან ბუდიზმზე. ისიც ძნელი დასაჯერებელია, რომ აზიის ხალხები საკუთარ ტრადიციებზე უარს იტყვიან და ქრისტიანობას მიიღებენ – იმ რელიგიას, მათ დამპყრობლებს (ზოგჯერ გულწრფელად) რომ სწამთ; იმ იმპერიალისტების რწმენას, ოთხას წელზე მეტ ხანს სისტემატურად თავს რომ ესხმოდნენ, ექსპლუატირებას უწევდნენ და ჩაგრავენენ, ახლა კი მათი მოსპობის საქმეს მათივე „განათლებით“ ავვირგვინებენ. მაგრამ საბედნიეროდ არსებობს ყველა რელიგიისთვის საერთო, უმაღლესი ფაქტორი – *მარადი ფილოსოფია*, რომელიც ყველგან და ყოველთვის წინასწარმეტყველთა, წმინდანთა და ბრძენთა მეტაფიზიკური სისტემა იყო. სრულიად შესაძლებელია, ადამიანები კარგ ქრისტიანებად, ჰინდუებად, ბუდისტებად ან მაჰმადიანებად დარჩნენ და თან *მარადი ფილოსოფიის* პრინციპთა საფუძველზე სრულ თანხმობას და ერთობას მიაღწიონ.

ბჰავაჯაღიკა ალბათ *მარადი ფილოსოფიის* ყველაზე სისტემატიზირებული წერილობითი განაცხადია. ომის მდგომარეობაში მყოფ მსოფლიოს – იმ მსოფლიოს, რომელსაც მშვიდობისთვის არავითარი ინტელექტუალური და სულიერი წინაპირობა არ გააჩნია და ამის გამო მხოლოდ რაღაც შემთხვევითი, საეჭვო და დროებითი ზავის იმედად შეუძლია იყოს, *კიშა* საკუთარი ნებით თავსდატეხილი თვითგანადგურების აუცილებლობისგან თავის დაღწევის ერთადერთი გზისკენ გარკვევით და უშეცდომოდ მიუთითებს.



სვამი ვივეკანანდა

ლექციები გიტას შესახებ

ვივეკანანდა თანამედროვე ინდოეთის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოაზროვნეა. მოღვაწეობდა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს. მას ასობით მილიონი ინდოელი ბავშვობიდან იცნობს, როგორც „ერის მამას“. ვივეკანანდას ნააზრევმა უდიდესი გავლენა მოახდინა არა მხოლოდ ინდოეთის ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ხასიათზე, არამედ ინდური ფილოსოფიის განვითარებაზე საერთოდ.

1893 წელს ჩიკაგოში, „რელიგიათა პარლამენტის“ წინაშე ვივეკანანდამ წარმოთქვა სიტყვა, რომელმაც მას მსოფლიო აღიარება მოუტანა. მან ლექციებით ამერიკა შეძიარა და მთელი შემოსული თანხა გაჭირვებულ თანამემამულეებს გაუფ ზავნა. ამერიკელები მას უწოდებდნენ „ორატორს ღმერთის უფლებებით“. მისი ნაშრომები დღემდე პოპულარულია როგორც ინდოეთში, ისე დასავლეთში.

„თუ ვსურთ გაივოთ, რა არის ინდოეთი, იკითხეთ ვივეკანანდა“ – წერდა რაბინდრანათ თაკორი.

ლექცია პირველი

წაკითხული სან ფრანცისკოში 1900 წლის 26 მაისს

ბჰავაჯადგიტას გაგებისთვის მისი ისტორიული ფონის ცოდნაა საჭირო. გიტა უპანიშადების კომენტარია, უპანიშადები – ინდოეთის ბიბლია. აქ მას იგივე ადგილი უკავია, რაც ქრისტიანულ სამყაროში ახალ აღთქმას. უპანიშადები ასზე მეტი წიგნისაგან შედგება. ზოგიერთი მათგანი ძალზე მცირე ზომისაა, ზოგი კი დიდი. თითოეული წიგნი დამოუკიდებელი ტრაქტატია. უპანიშადები რომელიმე მასწავლებლის ცხოვრების შესახებ კი არ მოგვითხრობს, არამედ პირდაპირ საფუძვლებს გადმოგვცემს. იგი სწავლულთა მიერ (უმეტესად მეფეთა კარზე) გამართული შეკრებების სტენოგრაფიულ ჩანაწერებს წარმოადგენს. სიტყვა უპანიშად „ჯდომას“ ანუ „მასწავლებლის სიხლოვეს ჯდომას“ ნიშნავს. თუ ვინმეს თქვენს შორის რომელიმე უპანიშადი შეუსწავლია, დაინახავდა, თუ როგორი დაწურული, სტენოგრაფიული ფორმითაა იგი დაწერილი. ხანგრძლივი სჯა-ბაასის გამართვის შემდეგ მის შინაარს იწერდნენ, შესაძლოა მხოლოდ იმას, რაც

გაასწავლებდა. მათ მიხედვით ბევრი რამის დადგენა ძნელდება, რადგან აქ მხოლოდ ბრწყინვალე შინაარსის მაგალითებია წარმოდგენილი. ძველი სანსკრიტის წარმოშობა ჩვ.წ.აღ-მდე 5000 წლით თარიღდება. *უპანიშადები* ამას სულ მცირე ორი ათასი წლით უსწრებს წინ. არავინ იცის, ზუსტად რამდენი წლისა იგი. *გიტა* მისგან აზრებს სესხულობს, ზოგჯერ კი სიტყვა-სიტყვით იმეორებს. *უპანიშადები* მთელი თავისი შინაარსის კომპაქტური, დაწურული და მოწესრიგებული ფორმით გადმოცემის იდეითაა შეკრული. ჰინდუთა პირვანდელ წერილებს *ვედები* ეწოდება. ისინი იმდენად მრავალრიცხოვანი გახლდათ, რომ მხოლოდ ტექსტებიც რომ აქ მოგეტანათ, ეს ოთახი ვერ დაიტევდა. ბევრი მათგანი დაკარგულია. ისინი ნაწილებად დაიყო. ღვთისმსახურებმა თითოეული ნაწილი დაიმასხვრეს და ამ გზით მათ სიცოცხლე შეუნარჩუნეს. ასეთი ადამიანები ჯერ კიდევ არსებობენ. ისინი *ვედების* წიგნებს ერთმანეთის მიყოლებით ისე მოგიყვებიან, რომ გამოთქმა ერთხელაც არ შეეშლებათ. *ვედების* უმეტესი ნაწილი გამქრალია. ის მცირედი კი, რაც დარჩა, თავისთავად მთელ ბიბლიოთეკას წარმოადგენს. მათ შორის უძველესი *რიგვედას* ჰიმნებია. თანამედროვე სწავლულის მიზანი ვედურ თხზულებათა თანმიმდევრობის აღდგენაა. აქ ძველი, ორთოდოქსული შეხედულება საკმაოდ განსხვავებულია, ისევე, როგორც ბიბლიის შესახებ თქვენი ორთოდოქსული ხედვა განსხვავდება თანამედროვე მეცნიერთა შეხედულებისაგან. *ვედები* ორ ნაწილად იყოფა: ერთი *უპანიშადებია*, მისი ფილოსოფიური ნაწილი, მეორე კი პრაქტიკული ნაწილია. შევეცდები მცირე წარმოდგენა შეგიქმნათ პრაქტიკული ნაწილის შესახებ. იგი რიტუალებისა და ჰიმნებისგან შედგება. სხვადასხვა ჰიმნებისგან, რომლებიც სხვადასხვა ღმერთებს ეძღვნება. რიტუალური ნაწილი წეს-ჩვეულებათა აღწერაა, რომელთაგან ზოგიერთი ძალზე ზედმიწევნითია. მათ შესასრულებლად უამრავი ქურუმია საჭირო. ცერემონიათა დახვეწის გამო მათი საქმიანობა თავისთავად მეცნიერებად იქცა. თანდათანობით ამ ჰიმნებისა და რიტუალების თავიანთი ცემის ყველასთვის გასაგები იდეა საყოველთაო გახდა. ღმერთები გაქრნენ, ხოლო მათი ადგილი რიტუალებმა დაიკავა. ამაშია ინდოეთის განვითარების კურობულობა. ორთოდოქს ჰინდუ *მიმამსაკას* არ სწამს ღმერთების, არაორთოდოქსებს კი სწამთ. თუკი ორთოდოქს ჰინდუს ჰკითხავთ, რატომაა *ვედებში* ნახსენები ღმერთები, იგი ვერ შეძლებს რაიმე ღამაკმაყოფილებელი პასუხი გაგცეთ. ქურუმები გალობენ ამ ჰიმნებს და მათთვის ცეცხლში მსხვერპლსაც სწირავენ. როდესაც ორთოდოქს ჰინდუს ეკითხებით, თუ რას ნიშნავს ეს, იგი გაპასუხობთ, რომ სიტყვებს გარკვეული ზეგავლენის მოხდენის უნარი აქვთ. ესაა და ეს. მათშია მთელი ბუნებრივი და ზებუნებრივი ძალა, რაც კი ოდესმე არ-

¹ მიმანსას ფილოსოფიური სკოლის მიმდევარი. იხ. სანქხა, განმ. თავი მეორე.

სებულა. „ვედები“ უბრალოდ ის სიტყვებია, რომელთაც მისტიური ძალით გავლენის მოხდენა შეუძლიათ, თუკი მათ სწორი ინტონაციით წარმოთქვამენ. ერთი ბგერაც რომ წარმოითქვას შეცდომით, მათ ძალა დაეკარგებათ. ყოველი ბგერა სრულყოფილი უნდა იყოს. ამგვარად ის, რასაც სხვა რელიგიებში ლოცვა ეწოდება, გაქრა და *ჯგლები* თავად იქცნენ ღმერთებად. როგორც ხედავთ, *ჯგლათა* სიტყვებმა განუზომელი მნიშვნელობა შეიძინა. ეს ის მარადიული სიტყვებია, რომელთაგან მთელი სამყარო წარმოიშვა. სიტყვის გარეშე ვერცერთი აზრი ვერ იარსებებს. შესაბამისად ყველაფერი, რაც სამყაროში არსებობს, ფიქრის გამოვლინებაა, ფიქრი კი შეიძლება მხოლოდ სიტყვის საშუალებით გადმოიცეს. სიტყვების ერთობა, რომლის მეშვეობითაც გამოუკლენელი ფიქრი ვლინდება – აი, რა იგულისხმება სიტყვით „ვედები“. აქედან გამომდინარე ამქვეყნად ყველაფრის გარეგნული არსებობა *ჯგლებზე* დამოკიდებული, რადგან ფიქრი სიტყვის გარეშე არ არსებობს. სიტყვა „ცხენი“ რომ არ არსებობდეს, ვერავინ იფიქრებდა ცხენზე. ასე რომ, უნდა არსებობდეს რაღაც შინაგანი კავშირი ფიქრს, სიტყვასა და გარეგან ობიექტს შორის. რა არის სინამდვილეში ეს სიტყვები? – *ჯგლები*. მის ენას სანსკრიტულ ენადაც კი არ მიიჩნევენ. იგი *ჯგურ ენა*, ღვთაებრივ ენად ითვლება. სანსკრიტი მხოლოდ მისი დაკნინებული ფორმაა. იგივე ითქმის ყველა სხვა ენაზე. არ არსებობს ვედურზე უფრო ძველი ენა. შეიძლება იკითხოთ, „ვინ დაწერა *ჯგლები*?“ ისინი არ დაწერილა. სიტყვები *ჯგლებია*. სიტყვა *ჯგლა*, თუკი მე მას სწორად წარმოვთქვამ. თუ ეს შევძელი, ისინი პირდაპირ გავლენას მოახდენენ.

ჯგლების ეს სიმრავლე მარადიულად არსებობს და მთელი სამყარო ამ სიტყვათა სიმრავლის გამოვლინებაა. შემდეგ, როცა ციკლი სრულდება, მთელი ეს ენერჯის გამოვლინება უფრო და უფრო ნატიფი ხდება, ჯერ სიტყვებად იქცევა, მერე კი ფიქრად. მომავალ ციკლში ჯერ ფიქრი იქცევა სიტყვებად, ამ სიტყვებიდან კი მთელი ეს სამყარო წარმოიქმნება. თუკი აქ არის რაიმე ისეთი, რაც *ჯგლებში* არაა, ის თქვენ გელანდებათ და სინამდვილეში არ არსებობს.

მხოლოდ ამ საკითხში *ჯგლებს* უამრავი წიგნი იცავს. მათ ავტორებს რომ უთხრათ, *ჯგლები* პირველად ადამიანებს უნდა წარმოეთქვათო, გაეცინებათ. ჯერ არავის სმენია ისეთ ვინმეზე, ვინც ისინი პირველად წარმოთქვა. ბუდას სიტყვები აიღეთ. ტრადიციულად ითვლება, რომ ადრე მან უამრავჯერ იცხოვრა და იქადაგა. თუკი ქრისტიანი ადგება და იტყვის, „ჩემი რელიგია ისტორიული რელიგიაა და ამიტომ თქვენი რწმენა ყალბია, ჩემი კი ჭეშმარიტია“, *მამამსაკ* მიუგებს, „თუკი ის ისტორიულია, გამოდის რომ თქვენ იმისი გვერათ, რაც ცხრამეტი საუკუნის წინ მოიგონეს, ის კი, რაც ჭეშმარიტია, უსასრულო და მარადიული უნდა იყოს. ჭეშმარიტებას ერთადერთი საზომი აქვს – ის არასდროს კნინდება და მუდამ იგივეა. თქვენ

ალიარებთ, რომ თქვენი რელიგია ამა და ამ კაცმა მოიგონა. *ველები* არ მოუგონიათ. არც წინასწარმეტყველებს და არც სხვა ვინმეს. ისინი მხოლოდ უსასრულო სიტყვებია, უსასრულო თავისი ბუნებით, რომლიდანაც იშვის და რომელშიც უჩინარდება სამყარო.“ აბსტრაქტულად ეს აბსოლუტურად მართალია. სამყარო ბევრით უნდა იწყებოდეს. უნდა არსებობდეს მიკრობის ხმა, რომელიც მისი პლანეტის მსგავსად ჟღერს. სიტყვების გარეშე ვერავითარი აზრი ვერ აიარსებებს. . . . სადაც შეგრძნებები, აზრები ან ემოციებია, იქ სიტყვებიც უნდა იყოს. საქმე მაშინ რთულდება, როცა ამბობენ, რომ *ველები* მხოლოდ ეს ოთხი წიგნია და სხვა არაფერი. შეიძლება ბუდისტი ადგეს და თქვას, „ჩვენი წმინდა წერილებია *ველები*, ისინი ჩვენთვის მოგვიანებით გამოვლავლდაო,“ მაგრამ ეს შეუძლებელია. ბუნებაში ასე არ ხდება. ბუნება თავის კანონებს ნაწილ-ნაწილ არ ავლენს – ცოტაოდენი გრავიტაცია დღეს, ცოტაც ხვალ... არა, ყოველი კანონი დასრულებულია. კანონები ევოლუციას არ განიცდის. ის მოცემულია ერთხელ და სამუდამოდ. სისულელეა ყოველგვარი „ახალი რელიგია და უკეთესი იდეა“. უაზრობაა. შეიძლება ასე ათასი კანონი არსებობდეს, მაგრამ ადამიანმა დღეს მხოლოდ რამოდენიმე მათგანი იცოდეს. ჩვენ მხოლოდ მათი აღმოჩენა შეგვიძლია. ძველმა ქურუმებმა მარადიული სიტყვების თეორიაზე დაფუძნებული თავიანთი უზარმაზარი პრეტენზიებით ღმერთები ტახტიდან ჩამოყარეს და მათ ადგილზე მოკალათდნენ. ისინი ხალხს ეუბნებოდნენ: „თქვენ არ გესმით სიტყვების ძალა, ჩვენ კი ვიცით მათი გამოყენება. ჩვენ ამა ქვეყნის ცოცხალი ღმერთები ვართ. გადაგვიხადეთ და სიტყვების ძალით მიიღებთ ყველაფერს, რაც გინდათ. შეგიძლიათ თქვენ თვითონ მათი წარმოთქმა? არ შეგიძლიათ. თანაც გაფრთხილებთ, ერთი შეცდომაც კი საპრინციპო შედეგს მოგიტანთ. გინდათ, იყოთ მდიდრები, ლამაზები, დღეგრძელები? გინდათ, კარგი მეუღლე შეგხვდეთ?“ თქვენ მხოლოდ ქურუმებს გადაუხადეთ და შეგიძლიათ მშვიდად იყოთ!

თუმცა არსებობს *ველების* მეორე ნაწილიც. მისი პირველი ნაწილის იდეალი სრულიად განსხვავდება მეორე ნაწილის, *უპანშადების* იდეალისაგან. პირველი ნაწილის იდეალი მსოფლიოს ყველა რელიგიის იდეალს ემთხვევა, გარდა *ველანტისა*. ეს იდეალი ამ ცხოვრებაშიც და იმ ქვეყნადაც სიამოვნების მიღებაა: კაცი და ცოლი, მეუღლე და შვილები. გადაიხადეთ დოლარები და ქურუმი მოგცემთ სერთიფიკატს, რომ იმქვეყნად სამოთხეში ბედნიერ დროს გაატარებთ. თქვენ იქ ყველა თქვენს ახლობელს ნახავთ და ამ თქვენს სიამტკბილობას დასასრული არ ექნება. არც დარდი, არც ცრემლი, – მხოლოდ სიცილი. შეჭამთ, მაგრამ მუცელი არ ატკივდებათ. იქიფებთ, მაგრამ თავის ტკივილი არ შეგაწუხებთ. ეს იყო, ქურუმი აზრით, ადამიანის უმაღლესი მიზანი.

ამ ფილოსოფიაში მოიძეება კიდევ ერთი აზრი, რომელიც თანხმობაშია

თქვენს თანამედროვე შეხედულებებთან. ადამიანი ბუნების ტყვეა და სამარადჟამოდ ტყვედ დარჩება. ჩვენ ამას *კარმას*² ვუწოდებთ. *კარმა* კანონია და იგი ყველგან მოქმედებს. ყველაფერი *კარმითაა* ზღვარდებული. „არ არსებობს გამოსავალი?“ „არა! დარჩით მონებად წლიდან წლამდე. იყავით კარგი მონები. სიტყვებზე ზემოქმედებით ჩვენ მოგიხერხებთ, რომ თქვენზე ყველაფერმა კარგად იმოქმედოს და არა ცუდად... თუ, რა თქმა უნდა კარგად გადაგვიხდით.“ ასეთი იყო *მიმამსაკას* იდეალი. საუკუნეებია, რაც ეს იდეალები პოპულარობას ინარჩუნებს. ადამიანთა ფართო მასები მოაზროვნე არასოდეს ყოფილა. მაშინაც კი, როცა ცდილობენ იაზროვნონ, მასები უამრავ ცრურწმენათა საშინელი ზეგავლენის ქვეშ ექცევიან. დასუსტდებიან თუ არა, დარტყმაც არ აყოვნებს და მათი სიმტკიცე ათას ნაწილად იმსხრევა. მათი ამოქმედება მხოლოდ ტკობის სურვილს და საცდურს ძალუძს. საკუთარ თავთან თანხმობით მოქმედებამათ არასოდეს ძალუძთ. სულ მუდამ შეშინებულები, დაშინებულები და თავზარდაცემულნი უნდა იყვნენ და სამუდამოდ თქვენი მონები იქნებიან. მათ სხვა არაფერი დარჩენიათ, გარდა გადახდის და მორჩილებაში ყოფნისა. სხვა ყველაფერს ქურუმი გააკეთებს. რამდენად უფრო ადვილი ხდება რელიგია! როგორც ხედავთ, არაფერი გაქვთ გასაკეთებელი. მხოლოდ სახლში უნდა წახვიდეთ და მშვიდად იჯდეთ. თქვენს ნაცვლად ყველაფერს ვიღაც სხვა აკეთებს. საწყალი, საწყალი ცხოველები!

თუმცა ამის პარალელურად სხვა სისტემაც არსებობდა. *უპანიშადები* დიამეტრალურად საწინააღმდეგო დასკვნებამდე მიდის. პირველ რიგში, მას წამს ღმერთის, სამყაროს შემოქმედის, მისი მბრძანებლის. მოგვიანებით კეთილი განგების იდეაც ჩნდება. ეს სრულიად საპირისპირო კონცეფციაა. ახლა უკვე, მიუხედავად იმისა, რომ ქურუმის ხმა ჯერ კიდევ ჩაგვესმის, ხელთ ბევრად უფრო დახვეწილი იდეალიც გვაქვს. მრავალი ღმერთის ნაცვლად ერთი ღმერთი ჩნდება.

უპანიშადები ეთანხმება მეორე აზრს იმის შესახებ, რომ ჩვენ ყველანი *კარმის კანონით* ვართ შებოჭილნი, თუმცა გამოსავალზეც მიგვითითებს. ადამიანის მიზანი კანონს მიღმა გაღწევაა. სიამოვნება კი ვერასოდეს იქნება მიზანი, რადგან ის მხოლოდ ბუნებაში შეიძლება იყოს.

ამას გარდა, *უპანიშადები* ყოველგვარ მსხვერპლშეწირვას ამხელს და აცხადებს, რომ ეს მხოლოდ მასკარადია. მან შეიძლება ყველაფერი აგისრულოთ, რასაც კი მოინდომებთ, მაგრამ ეს სულაც არ არის სასურველი, რადგან რაც უფრო მეტს იღებთ, მით უფრო მეტი გინდებათ და ასე ტრიალეზით წრეში უსასრულოდ – ვერასოდეს აღწევთ თავს სიამოვნებასა და ტანჯვას. შეუძლებელია სადმე არსებობდეს ისეთი რამ, რასაც მარადიული ბედნიერება ქვია. ეს მხოლოდ ბავშვური ოცნებაა. ერთი და იგივე ენერგია

² *კარმა, იხ. ვანშ. 4.13.*

სიამოვნებისა და ტანჯვის სახეს იღებს.

დღეს მე ოდნავ შევიცვალე მსოფლმხედველობა, რადგან ერთი მეტად საინტერესო რამ აღმოვაჩინე. დავუშვათ, რაიმეს ფიქრობთ, მაგრამ არ გინდათ, რომ ფიქრობდეთ. ცდილობთ, სხვა რამეზე იფიქროთ და ამგვარად ამ თქვენს აზრს მთლიანად ახშობთ. რა არის ეს აზრი? მე ვნახე, რომ მან თხუთმეტ წუთში მან კვლავ იჩინა თავი. იგი დაბრუნდა და შემარცია. ის ძლიერი იყო და ისე მძლავრად და საშინლად ამოხეთქა, რომ ვიფიქრე, აქ ვილაც შემოილია-მეთქი. ყველაფერი რომ დამთავრდა, მივხვდი – მოხდა მხოლოდ ის, რომ წინა შთაბეჭდილება იქნა ჩაახშობილი. ჩემი საკუთარი უარყოფითი შთაბეჭდილებაა ის, რაც უნდა ამოწურულიყო. „ბუნება თავის გზას იპოვის. რას შეიძლება მიადწიო ჩაახშობით?“ – აი *გიტას* უდიადესი აღმოჩენა. ბოლოს მაინც იმ დასკვნამდე მიხვალ, რომ წინააღმდეგობის გაწევა ამაო იყო. შეიძლება თქვენში ერთდროულად ასი ათასი სურვილი ეცილებოდეს ერთმანეთს. თქვენ შეიძლება ისინი ჩაახშოთ, მაგრამ ჩახერგილი წყარო გზას მაინც იპოვის და დაინახავთ, რომ ყველაფერი ისევ თქვენშია.

მაგრამ იმედი არის. თუ საკმაოდ ძლიერი ხართ, შეგიძლიათ თქვენი ცნობიერება ერთდროულად ოც ნაწილად დაჰყოთ. როდესაც ფსიქიკას იცვლით, გონი იზრდება. ასე ამბობენ იოგები. ერთი ვნებიდან მეორე ამოიზრდება, პირველი კი კვდება. გაბრაზებას სიხარული ცვლის ხოლმე, ბრაზი კი წაშვე ქრება. ეს იმას ნიშნავს, რომ ბრაზისგან თქვენ სხვა მდგომარეობა წარმოქმნით. ეს მდგომარეობები სულ მუდამ ერთმანეთს ენაცვლება. სამუდამო ბედნიერება ან უბედურება ბავშვური ოცნებაა. *უპანიშადები* მიგვითითებს, რომ ადამიანის მიზანი არც უბედურებაა და არც ბედნიერება, არამედ იმის მართვა, რისგანაც ისინი წარმოიქმნება. ჩვენ, ასე ვთქვათ, საფუძველშივე უნდა ვმართოთ სიტუაცია.

კიდევ ერთი უთანხმოება იმაში მდგომარეობს, რომ *უპანიშადები* გმობს რიტუალს, განსკუთრებით იმას, ცხოველების კვლას რომ მოითხოვს. ყველაფერ ამას ის უაზრობად აცხადებს. ძველ ფილოსოფოსთა ერთი სკოლა ამბობს, რომ თუკი ამას შედეგი მოჰყვება, გარკვეულ დროს ცხოველის მოკვლა დასაშვებია. შეგიძლიათ მათ შეედავით და უთხრათ, „კი მაგრამ ცხოველისთვის სიცოცხლის წართმევა ხომ ცოდვაა. თქვენ ამისთვის ტანჯვა მოგელით,“ მაგრამ ამაზე ვიპასუხებენ, რომ ეს სისულელეა. რა იცით თქვენ, რა არის კარგი ან ცუდი? რა, გონება გკარნახობთ? რა სისულელეებს რომავთ! თქვენ თქვენს გონებას წმინდა წერილის (ანუ *ვედების, ძიარვმ*) წინააღმდეგ ამხედრებთ. თუკი გონება ერთ რამეს გეუბნებათ, *ვედებში* კი სხვა რამე წერია, შეაჩერეთ გონება და დაუჯერეთ ვედებს. თუკი წერილ არს, რომ კაცის კვლა სწორია, ესე იგი ასეცაა. თუკი ამბობთ: „არა, ჩემი ცნობიერება სხვა რამეს მეუბნება,“ არაფერი გამოვა. რა წამსაც იჯერებთ, რომ რომელიმე წიგნი მარადისი სიტყვაა და წმინდაა, იმ

წამსვე კარგავთ კითხვის დასმის უფლებას. ჩემთვის გაუგებარია, როგორ შეიძლება გვეროდეთ ბიბლიის და ამბობდით: „რა მშვენიერი სიტყვებია, რა მართალი და კარგი!“ რადგან თუკი გწამთ ბიბლიის, როგორც ღვთის სიტყვის, მაშინ საერთოდ არ გაქვთ მსჯელობის უფლება. იწყებთ თუ არა მსჯელობას, თქვენ ფიქრობთ, რომ ბიბლიაზე მალა დგახართ. ასეთ შემთხვევაში კი რაში გჭირდებათ ბიბლია? ქურუმები ამბობენ: „ჩვენ უარს ვამბობთ, შედარება მოვახდინოთ თქვენს, ან ვინმე სხვის ბიბლიასთან. შედარებას აზრი არა აქვს, რადგან ავტორიტეტი მხოლოდ *გვლებია*. მორჩა და გათავდა. თუკი ფიქრობთ, რომ რაიმე ცუდია, წადით და მოიძიეთ *გვლებში* ის, რაც კარგია.“

უპანიშადებს ამის სჯერა, მაგრამ უფრო მაღალი საზომიც აქვს. ერთის მხრივ მას არ სურს შეეღოს *გვლებს*, მეორეს მხრივ კი მისთვის ნათელია, რომ ცხოველთა მსხვერპლშეწირვა და ქურუმები ყველას მარცვავენ. *უპანიშადებისა* და *გვლების* ფსიქოლოგია ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდება. მათ შორის მთელი სხვაობა სულის ბუნების ფილოსოფიაშია. აქვს თუ არა მას სხეული და გონება? ანდა რა არის გონება, მხოლოდ და მხოლოდ ნერვების გროვა, მოტორული და სენსორული ნერვები და მეტი არაფერი? არავის ეჭვიც არ ეპარება, რომ ფსიქოლოგია სრულყოფილი მეცნიერებაა. აქ შეუძლებელია რაიმე სხვაობას ჰქონდეს ადგილი. მთელი უთანხმოება ფილოსოფიური ხასიათისაა – როგორია სულის, ან ღმერთის ბუნება და ა.შ.

ქურუმებსა და *უპანიშადებს* შორის კიდევ ერთი სხვაობაა: განუდექი, მოგვიწოდებს *უპანიშადები*. ამით გამოიცდება ყოველივე. განუდექი ყოველს. ყოველგვარ ჩვენს დაბნეულობას შემოქმედებითი უნარი იწვევს. გონის ბუნება სიმშვიდეა. რა წამს შეძლებთ მის დამშვიდებას, მყისვე ეზიარებით ჭეშმარიტებას. რა არ ასვენებს გონს? – ფანტაზია, შემოქმედების უნარი. შეაჩერეთ შემოქმედება და შეიტყობთ ჭეშმარიტებას. მას მაშინ იხილავთ, როცა შემოქმედების უნარს მთლიანად შეაჩერებთ.

მეორეს მხრივ, ქურუმები მთლიანად შემოქმედებას ემხრობიან. წარმოდგინეთ სიცოცხლის რაიმე ისეთი სახეობა, შემოქმედებით უნარს სრულიად მოკლებული რომ იყოს. ასეთი რამ წარმოუდგენელია. ხალხს სტაბილური საზოგადოების შექმნის რაიმე გეგმა სჭირდებოდა და მანაც მკაცრი შერჩევის წესი აირჩია. მაგალითად ბრძებსა და ხეობებს აკრძალული აქვთ დაოჯახება. ამის შედეგად ინდოეთში ბევრად ნაკლებ დეფექტიან ადამიანს შეხვდებით, ვიდრე მსოფლიოს სხვა რომელიმე ქვეყანაში. აქ ძალიან იშვიათია ეპილეფსია და სიგიჟე. ეს პირდაპირი შერჩევის შედეგია. „დაე ასეთები განდევნილები გახდნენ,“ ამბობენ ქურუმები, მაგრამ მეორეს მხრივ აი, რას ქადაგებს *უპანიშადები*: „არავითარ შემთხვევაში! საკურთხეველზე მიწის საუკეთესო, ყველაზე ხალასი და მშვენიერი ყვავილები უნდა დაიდოს.

ჭეშმარიტებისთვის ძლიერებმა და ახალგაზრდებმა, საღი გონებისა და სხეულის მქონე ადამიანებმა უნდა იბრძოლონ.“

როგორც ვითხარით, მთელი ამ აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად ქურუმებმა უკვე მოახერხეს ცალკე კასტად ჩამოყალიბება. რიგით მეორე კასტა ხელმწიფეთა კასტაა. . . . მთელი უპანიშადების ფილოსოფია ქურუმების კი არა, მეფეების გონების ნაყოფია. ყოველ რელიგიურ დაპირისპირებაში ეკონომიური ბრძოლა იმალება. თუმცა ადამიანად წოდებულ ცხოველს მცირე რელიგიური გავლენებიც ახასიათებს, მის ცხოვრებას ეკონომიკა წარმართავს. ინდივიდებს შეიძლება სხვა რამეც ამოძრავებდეს, მაგრამ ხალხის მასებს ეკონომიური მოსაზრების გარეშე ნაბიჯიც არასოდეს გადაუდგამს. შეიძლება იქადაგო რელიგია, რომელიც სულაც არ არის ყოველმხრივ სრულყოფილი, მაგრამ თუ იგი ეკონომიურად გამართლებული იქნება და საკმაოდ გულმხურვალე მომხრეებიც ეყოლება, მთელი ქვეყანა იწამებს...

ნებისმიერ რელიგიას, რომელიც იმარჯვებს, ეკონომიკური მნიშვნელობაც აქვს. შეიძლება ერთმანეთის მსგავსი ათასობით სექტა იბრძოდეს ძალაუფლებისთვის, მაგრამ მას მხოლოდ ის მოიპოვებს, ვინც რეალურ ეკონომიკურ პრობლემებს გადაწყვეტს. ადამიანს მუცელი მართავს. როცა ის მიდის, მუცელი წინ მიუძღვის, თავი კი უკან მიჩანჩალებს. ნუთუ არ შეგვიძინევიათ? დიდი დრო გაივლის, სანამ თავი წინ სიარულს ისწავლის. როცა ადამიანი სამოცი წლის ასაკს უახლოვდება, მას სიკვდილი უხმობს. მთელი სიცოცხლე ზმანებაა და მას მხოლოდ მაშინ აღწევ თავს, როცა ყველაფერს ისე ხედავ, როგორც არის. სანამ მთლიანად მუცელი გამართავს, არაფერი გიჭირს. როცა ბავშვური ოცნებები იფანტება და საგანთა ნამდვილი ბუნების გარჩევას იწყებ, საქმეში თავიც ერთვება. მხოლოდ მაშინ, როცა წინ თავი მიგიძღვის, გადიხარ მიღმა.

უპანიშადების რელიგიის გავრცელება ძნელი ამოცანა გახლდათ. ეკონომიური მოტივი მასში ძალზე უმნიშვნელო იყო, მაგრამ დიდი იყო ალტრუიზმის ძალა...

უპანიშადების სამფლობელო ძალიან პატარა გახლდათ, მაგრამ ის შეამჩნიეს მეფეებმა, რომელთა ხელშიც იყო მთელი სამეფო ძალაუფლება. ამან ბრძოლა . . . კიდევ უფრო გაამძაფრა. კულმინაციას მან ორი ათასი წლის შემდეგ მიღწია და ბუდიზმის სახით გამოიხატა. ბუდიზმის თესლი აქ, მეფეებსა და ქურუმებს შორის მარტივ ბრძოლაში მარხია. ამ ბრძოლაში მთელი რელიგია დაკნინდა. ერთ მხარეს რელიგიის გაღება სურდა მსხვერპლად, მეორეს კი — მსხვერპლშეწირვის, ველური ღმერთების და ა.შ. შენარჩუნება. ბუდიზმმა . . . დაამსხვრია მასების ბორკილები. ერთ წუთში ყველა კასტა თუ აღმსარებლობა თანასწორი გახდა. ასე რომ, ინდოეთში არსებობს დიადი რელიგიური იდეები, თუმცა ისინი ჯერ კიდევ საქადაგებ-

ლია – სხვანაირად ვის რაში არგია...

კონსერვატორი ყველა ქვეყანაში ქურუშია. ამას ორი მიზეზი აქვს: ერთი ის, რომ ეს მისი ლუკმაპურია, მეორე კი ის, რომ ხალხის გარეშე მას გზა არა აქვს. ყველა ქურუმი ძლიერი არ არის. თუ ხალხი მოითხოვს, „ორი ათას ღმერთზე გვიქადაგეო,“ ის ასეც მოიქცევა. ქურუმები იმ მრევლის მსახურები არიან, რომელიც მათ ფულს უხდის. ღმერთი მათ არაფერს უხდის. ასე რომ, სანამ ქურუმებს დასდებდეთ ბრალს, ყველაფერი თქვენს თავს დააბრალეთ. თქვენ მხოლოდ იმ მთავრობას, რელიგიას და ქურუმებს იმსახურებთ, რომელიც გყავთ და არა უკეთესს.

როგორც ხედავთ, ინდოეთში გრანდიოზული ბრძოლა გაჩაღდა, რომლის ერთ-ერთი კულმინაციაც *გიტაში* გამოიხატა. როდესაც ინდოეთის გახლჩვიის და ორ ჯგუფს შორის განაწილების საშიშროება გაჩნდა, მაშინ გამოჩნდა ეს კაცი, კრიშნა. *გიტაში* ის ქურუმი ცერემონიებისა და ფილოსოფიის ხალხთან შერიგებას ცდილობს. კრიშნა, ისევე როგორც თქვენი ქრისტე, ერთდროულად უყვართ და აღმერთებენ კიდევ. განსხვავება მხოლოდ ეპოქებშია. ჰინდუები ისევე აღნიშნავენ კრიშნას დაბადების დღეს, როგორც თქვენ ქრისტესას აღნიშნავენ. კრიშნა ხუთი ათასი წლის წინ ცხოვრობდა და მისი ცხოვრება სავსეა სასწაულებით, რომელთაგან ზოგიერთი ძალიან წააგავს ქრისტეს სასწაულებს. ბავშვი ციხეში დაიბადა. მამამ იგი გააპარა და მწყემსებთან დამალა. ბრძანების მიხედვით იმ წელს დაბადებული ყველა ბავშვი მოკლეს. განგების ნებით მისი სიცოცხლე მკვლელობით დასრულდა.

კრიშნა დაოჯახებული კაცი იყო. მის შესახებ ათასობით წიგნია დაწერილი. მე ეს წიგნები დიდად არ მაინტერესებს. როგორ ვითხრათ... ჰინდუებს ზღაპრების შეთხზვა კარგად ეხერხებათ. თუ ქრისტეიანი მისიონერი მათ ბიბლიიდან ერთ ზღაპარს მოუყვება, ისინი მას ოც ზღაპარს მოუყვებიან. თუ მათ ეტყვიან, რომ ვეშაპა გადაყლაპა იონა, ისინი ვეტყვიან, რომ ვიდაცამ სპილო გადაყლაპა. . . . ბავშვობიდანვე ჩამესმოდა კრიშნას ცხოვრების ამბები. ეჭვი არაა, რომ ნამდვილად არსებობდა კაცი, სახელად კრიშნა და *გიტაც* მოწმობს, რომ მან შესანიშნავი წიგნი დაგვიტოვა. როგორც უკვე ვითხარით, პიროვნების ხასიათის შეტყობა მის შესახებ შექმნილი თქმულებების მიხედვით შეიძლება. თქმულებები მორთულობის ბუნებისაა. მათში ყველაფერი ისეა დამუშავებული და შელამაზებული, რომ პერსონაჟის ხასიათს მიესადაგოს. მაგალიად, ბუდა ავიღოთ. მისი ცენტრალური იდეა მსხვერპლის გაღებაა. მასზე ათასობით ხალხური თქმულება არსებობს, მაგრამ მსხვერპლის იდეა ყველა მათგანში გვხვდება. ლინკოლნის შესახებ ათასობით ისტორია არსებობს, რომლებიც ამ დიდი ადამიანის გარკვეულ თვისებებზე მიგვანაშნებს. ყველა თქმულების საფუძველზე შეგვიძლია საერთო იდეას მივაკვლიოთ და გავიგოთ, რა იყო ამა თუ იმ პიროვნების-

ვის მთავარი. კრიშნას შემთხვევაში მთავარი *მიუჯავებლობის* იდეაა. მას არაფერი სჭირდება და არც არაფერი სურს. იგი შრომისთვის შრომობს. „შრომისთვის იშრომეთ და თაყვანისცემითვის ეცით თაყვანი. აკეთეთ სიკეთე, რადგან სიკეთის კეთება კარგია და ნურაფერს იკითხავთ.“ სწორედ ეს უნდა იყოს ამ პიროვნებაში მთავარი. სხვაგვარად ყველა ეს იგავი მის შესახებ *მიუჯავებლობის* იდეის შემცველი არ იქნებოდა. *ვიტას* ხომ მისი ერთადერთი ქადაგება არ არის...

კრიშნა ყველაზე მთლიანი პიროვნებაა, ვინც კი მსმენია – საოცრად განვითარებული ტვინით, გულით და ხელით. მისი ცხოვრების ყოველი წამი ქმედებითაა აღსავსე. ის იყო რაინდი, სწავლული, პოეტი. *ვიტას* და სხვა წიგნებში მის შესახებ სწორედ ეს ჩინებული, ყოვლისმომცველი საქმიანობა და გულისა და გონების თანხმიერება გვხვდება. მის ჯერარნახულ, გასაოცარ გულს და ნატიფ მეტყველებას ქვეყნად ვერაფერი შეედრება. შუძლებელია არ განგაცვიფროს მისი ღვაწლის მასშტაბმა. მისი ცხოვრებიდან ხუთი ათასი წელია გასული, ის კი კვლავ შთააგონებს მილიონობით ადამიანს. უბრალოდ წარმოიდგინეთ, რამხელა გავლენა აქვს მას მთელს მსოფლიოზე, იმისდა მიუხედავად, იცით თუ არა ეს თქვენ. მე მას მისი აბსოლუტურად საღი აზროვნებისთვის ვცემ პატივს. ამ გონებისთვის უცხოა გაუგებრობა და ყოველგვარი ცრურწმენა. მან ყველაფრის დანიშნულება იცის და როცა ყოველივესთვის თავისი ადგილის მიჩენის დრო დგება, არ ყოყმანობს. იმ ხალხმა, სულ რომ დადის, ლაპარაკობს, *ვედების* საიდუმლოს შესახებ კითხვებს სვამს და ა.შ. არ იცის ჭეშმარიტება. ასეთები თაღლითებს არაფრით ჯობიან. *ვედებში* ცრურწმენისა და უმეცრებისთვისაც კი მოიძებნება ადგილი. მთელი საიდუმლო იმაშია, რომ ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინო.

მარტო ეს გული რად ღირს! ის პირველი ადამიანია, რომელმაც ბუდამდე ბევრად ადრე რელიგიის კარი საზოგადოების ყველა ფენას გაუღო. მერე ეს გენიალური გონება! ეს წარმოუდგენლად ქმედითი ცხოვრება! ბუდა მხოლოდ ერთ სფეროში მოღვაწეობდა – სწავლების სფეროში. მას არ შეეძლო ერთდროულად ცოლ-შვილიც შეენახა და სულიერი მასწავლებელიც გამხდარიყო. კრიშნა კი შუაგულ ბრძოლის ველზე ასწავლიდა. “ის, ვინც ინტენსიურ საქმეში სიმშვიდეს ჰპოვებს, უდიდეს სიმშვიდეში კი ინტენსიურ საქმიანობას, უდიდესი იოგია და ბრძენთაბრძენი.“ ასეთი ადამიანის თავზე ყუმბარებიც რომ ცვიოდეს, მისთვის სულიერთი იქნება. მაინც მშვიდად და აუღელვებლად გააგრძელებს სიცოცხლისა და სიკვდილის საკითხებზე საუბარს. ყოველი მოძღვარის ცხოვრება მისივე სწავლების საუკეთესო კომენტარია. თუ გსურთ იცოდეთ, რა არის ნაგულისხმები ახალ აღთქმაში, ჰკითხეთ, ვისაც გსურთ, თუმცა უმჯობესი იქნება კიდევ და კიდევ გადაიკითხოთ ოთხთავი და მის არსს მეუფის მიერ განვლილი ცხოვრების

შექზე ჩაწვდეთ. დიდი ადამიანებიც და ჩვენც ვფიქრობთ, მაგრამ ჩვენს შორის ერთი განსხვავებაა — ჩვენ ვფიქრობთ, მაგრამ ჩვენი სხეული ჩვენ არ მოგვეყვება. ჩვენი მოქმედება ჩვენსავე ფიქრთან ჰარმონიაში არ მოდის. ჩვენს სიტყვებს არა აქვს იმ სიტყვათა ძალა, რომლებიც *ვედებად* იქცა. . . დიდ ადამიანთა სხეული კი ასრულებს ყველაფერს, რაც მათი აზრით საჭიროა. როცა ისინი ამბობენ: „ვაკეთებ“, სხეული აკეთებს. სხეული იდეალურ მორჩილებაშია, მორჩა და გათავდა. თქვენ შეგიძლიათ ერთ წამში გაიფიქროთ, რომ ღმერთი ხართ, მაგრამ ღმერთი ვერ გახდებით. აი, რაშია სიძნელე. ისინი ხდებიან ის, რაც სურთ, ჩვენ კი ამას მხოლოდ ნაბიჯ-ნაბიჯ ვაღწევთ. დღევანდელი საუბარი კრიშნასა და მის ეპოქას შეეხებოდა. მომდევნო ლექციაში უფრო მეტს შევიტყობთ მისი წიგნის შესახებ.

გიტა

ლექცია მეორე

წაკითხული სან ფრანცისკოში, 1900 წლის 28 მაისს

გიტა მცირეოდენ შესავალს მოითხოვს. მოქმედება კურუკშეტრას ველზე ხდება. ერთი და იგივე რასის ორი განშტოება ხუთი ათასი წლის წინ ერთმანეთს ინდოეთის იმპერიას ეცილებოდა. პანდაველებს ჰქონდათ უფლება, მაგრამ კაურავეებს ჰქონდათ ძალა. პანდაველები ხუთი ძმანი იყვნენ და ტყეში ცხოვრობდნენ. კრიშნა პანდაველთა მეგობარი გახლდათ. კაურავეები მათთვის ნემსის წვერის ოდენა მიწის მიცემასაც კი არ აპირებდნენ.

პირველი სცენა ბრძოლის ველზე იშლება. ორივე მხარე მის წინ თავის ნათესავებსა და მეგობრებს ხედავს — ერთ მხარეს ერთი ძმა დამდგარა, მეორე მხარეს — მეორე. ერთ მხარეს ბაბუა დგას, მეორე მხარეს — შვილიშვილი.

. . . როდესაც არჯუნა³ მტრის ბანაკში საკუთარ მეგობრებსა და ნათესავებს გაარჩევს და გააცნობიერებს, რომ შეიძლება მათი დახოცვა მოუხდეს, გული რეჩხს უყოფს და ბრძოლაზე უარს ამბობს. ასე იწყება *კაშა*.

ყოველი ჩვენგანისთვის ამსოფლიური სიცოცხლე გამუდმებული ბრძოლაა.

. . . ბევრჯერ ხდება, რომ საკუთარი სისუსტე და სილაჩრე მიმტყვევებლობად და განდევნილობად გვინდა მოვნათლოთ. მათხოვრის განდევნილობის ფასი კაპიკია. ფასი იმას აქვს, როცა თავს ის იკაბებს, ვისაც დარტყმა შეუძლია;

³ იხ. ვანშ. თავი პირველი.

როცა ის ამბობს უარს, ვისაც აქვს. ყველამ ვიცით, რა ხშირად გვითქვამს ბრძოლაზე უარი სიზარმაცისა და შიშის გამო და ვცდილვართ, საკუთარი თავისთვის შთაგვეგონებინა, რომ ვაუკაცურად მოვიქვეცით.

ვიტას ამ მეტად მნიშვნელოვანი სტროფით იწყება: „ფეხზე წამოდექ, უფლისწულო! მოიშორე ეგ სულმდაბლობა, ეგ სისუსტე! წამოდექი და იბრძოლე!“ შემდეგ არჯუნა კრიშნასთან შეკამათებას ცდილობს და მაღალ-მორალურ აზრებს ახვავებს – რომ წინააღმდეგობის გაუწველობა სჯობს გაწევას და ა.შ. ცდილობს თავი გაიმართლოს, მაგრამ კრიშნას გაცურება შეუძლებელია. ის უზუნაეი პიროვნება, ანუ ღმერთია და ყველაფერს ხედავს. ამ შემთხვევაში მიზეზი სისუსტეა. არჯუნა თავის ნათესავებს ხედავს და მათზე ხელის აწევა არ ძალუძს. . . .

არჯუნას გულში მეტიმეტი გრძნობიარობა და მოვალეობა ერთმანეთს ებრძვის. რაც უფრო ვგავართ ცხოველებს, მით უფრო მეტად ვართ ჩაფლული ემოციურობის ჭაობში. ჩვენ ამას სიყვარულს ვუწოდებთ? მაგრამ ეს მხოლოდ თავის მოვადლოებაა. ცხოველებით ემოციების ტყვეობაში ვიმყოფებით. ძროხას შეუძლია თავი გაწიროს თავისი პირმშოსთვის. ეს ყველა ცხოველს ძალუძს, მაგრამ ამით რა? პატარა ჩიტის ბრმა ემოციებს სრულყოფილებსკენ არ მივყავართ. . . . ადამიანის მიზანი მარადიული ცნობიერების მიღწევაა! იქ ემოციებს, სენტიმენტალურობას და სხვა ისეთ რამეს, რაც გრძნობების⁴ საკუთრებაა, არაფერი ესაქმება. იქ მხოლოდ პირველმიზეზის წმინდა გონის ნათელია. იქ ადამიანი სულად გარდაიქმნება.

ახლა კი არჯუნა ზედმეტი ემოციურობის ტყვეობაშია. იგი არ არის ის, რაც უნდა იყოს – განგების მარადი ნათლით მოქმედი, საკუთარი თავის მფლობე, გასხვივოსნებული ბრძენი. ცხოველის ან ბავშვის მსგავსად ის გულს აჰყოლია, თავს ასულელებინებს მას, გონებას კარგავს და ცდილობს თავისი სისუსტე „სიყვარულით“ და სხვა ლამაზი სიტყვებით შენიღბოს. კრიშნა ყველაფერს ხედავს. არჯუნა ასე თუ ისე ნასწავლი კაცივით ლაპარაკობს და უამრავ არგუმენტს იშველიებს, თუმცა ამავე დროს სისულელეს რომავს.

„ბრძენი არ წუხს არც ცოცხლებზე და არც მკვდრებზე,“ მოუჭრის მას კრიშნა: „ვერც შენ და ვერც მე ვერ მოკვდებით. არ ყოფილა ისეთი დრო, როცა ჩვენ არ ვარსებობდით. ასეთი დრო არც არასოდეს დადგება. როგორც ამ ცხოვრებაში გაივლის ადამიანი ჯერ ბავშვობას, შემდეგ კი ახალგაზრდობას და სიბერეს, ისე სიკვდილის შემდეგ ის უბრალოდ სხვაგვარ სხეულში გადადის. რისთვის უნდა წუხდეს ბრძენი? რამ შვა ის ემოციურობა, ასე რომ დაუმონებიზარ? მხოლოდ გრძნობებმა. „სიცოცხლის ყველა თვისება გრძნობების შეხებით ჩნდება. სითბო და სიცივე, სიამოვნება

⁴ ფიზიკური აღქმის ხუთი საშუალება: მხედველობა, სმენა, შეხება, ყნოსვა და გემოს შეგრძნება.

და ტკივილი ჩნდება და ისევ ქრება ხოლმე.“ ახლა რომ უბედურია ადამიანი, ცოტა ხანში თავს ბედნიერად გრძნობს. ფაქტიურად მას არ ძალუძს სულის ბუნება განიცადოს. . . .

„არსებობა ვერასდროს იქნება არარსებობა და ვერც არარსებული იარსებებს ოდესმე. . . . ამიტომ იცოდე, რომ იმას, რაც მთელ სამყაროს ავსებს, არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული. იგი უცვლელია. არ არსებობს არაფერი, რასაც ძალუძს შეცვალოს შეუცვლელი და თუმცა სხეული იბადება და კვდება, მას, ვინც მასში ცხოვრობს, არც დასაწყისი აქვს, არც დასასრული.“

თუკი ეს იცი, წამოდექი და იბრძოლე! არც ერთი ნაბიჯი უკან! აი, რა არის დედააზრი. . . . რაც არ უნდა შეგემთხვეს, იბრძოლე. ქვეყანაც რომ დაიქცეს, მთელი მსოფლიოც რომ ჩვენს წინააღმდეგ ამხედრდეს, მაინც იბრძოლე! სიკვდილი მხოლოდ სამოსის გამოცვლას ნიშნავს. რას კარგავ? ამიტომ იბრძოლე! ლაჩრობით ვის რა მოუგია. . . . უკან დახევით უბედურებას ვერ აიცილებ. ყველა ღმერთს ერთად რომ მოუხმო, უბედურება მაინც არ აგცდება. ინდოეთის მასები სამოც მილიონ ღმერთს ევედრებიან, მაგრამ მაინც იხოცებიან. სად არიან ის ღმერთები? . . . ღმერთები მაშინ მოდიან საშველად, როცა მიზანს აღწევ. მაშ რა აზრი აქვს სიკვდილთან დამალობანას თამაშს? . . . ეს ქედის მოხრა ცრურწმენების წინაშე, საკუთარი სურვილებისთვის თავის მიყიდვა შენ არ შეგშენის სულო ჩემო. შენ დაბადების და სიკვდილის მიღმა ხარ, მარადისი. და რადგან უკვდავი სული ხარ, არ შეგშენის მონობა. . . . აღსდექ! გაიღვიძე! წამოდექი და იბრძოლე! მოკვდი, თუ საჭიროა. ვერავინ გიშველის. თვითონ ხარ მთელი სამყარო და ვინ უნდა გიშველოს?

„მიუწვევდომელია არსება ადამიანის გრძნობებისთვის დაბადებამდე და სიკვდილის შემდეგ. მხოლოდ ამათ შორის არის იგი ხილული. მითხარ, რაა სადარდებელი?“

„გონების თვალთ ერთნი ჭვრეტენ მას, ვით სასწაულს
სხვანი აღწერენ, გამოთქმა სურთ რა სასწაულის;
ზოგნი ისმენენ, თუმც გაგება მისი არ ძალუძთ,
რადგან არავინ მას არ იცნობს, არ ესმის სულის!“ [2.29]

ხოლო თუ ფიქრობ, რომ ამ კაცის კვლა ცოდვია, შენი საკუთარი კასტის პოზიციიდან შეხედე ამ ყველაფერს.

„ხვეჭა, ზარალი, ძლევა და მარცხი, სიტკბო-სიმწარე მიგაჩნდეს არად!
წადი, ბრძოლისთვის იბრძოლე მხოლოდ, ეს დაგიდგება ცოდვის წინ ფარად.“
[2.38.]

ასე იწყება *ვიტას* კიდევ ერთი უჩვეულო კონცეფცია — *მიუგავჯელობის* დოქტრინა. ჩვენ უნდა ავიტანოთ ჩვენივე მოქმედების შედეგები, რადგან მათ მივეჯავჯეთ. . . . „მხოლოდ იმას, რაც კეთდება, როგორც მოვალეობა, და რაც კეთდება მხოლოდ მოვალეობის გამო, . . . შეუძლია აგვესწას *კარმის* ბორკილები.“ „შეუძლებელია ასეთი საქმის კეთება ზედმეტი მოგივიდეს.“ . . . „სულ მცირე ასეთ ღვაწლსაც კი ძალუძს ადამიანი დაბადებისა და გარდაცვალების საშინელი წრებრუნვისგან იხსნას.“

„იცოდე, არჯუნა, რომ მხოლოდ ყურადღებამოკრებილ გონებას შეუძლია მიზნის მიღწევა. ათასი რამით გატაცებული გონება ენერგიას ფანტავს. ზოგი მჭერმეტყველებითაა გართული და ჰგონია, რომ ვედების იქით აღარაფერი არსებობს. ასეთებს სამოთხეში მოხვედრა სურთ. მათ უნდათ, *ჯგუბის* ძალით ყოველივე კარგი მოიპოვონ და ამისათვის მსხვერპლს სწირავენ.“ სანამ მატერიალისტურ ზრახვებს არ მიატოვებენ, ისინი ვერასოდეს გაიმარჯვებენ სულიერ გზაზე.

ეს კიდევ ერთი დიდი გაკვეთილია. ვერასოდეს მოვიპოვებთ სულიერებას, სანამ ყოველგვარ მატერიალისტურ ზრახვას არ უარვყოფთ. . . . რა ყრია გრძნობებში? გრძნობები გვატყუებს. ხალხს სურს ისინი სიკვდილის შემდეგაც კი შეინარჩუნოს სამოთხეში — წყვილი თვალი, ცხვირი... ზოგს წარმოუდგენია, რომ იქ უფრო მეტი ორგანო ექნება, ვიდრე აქ აქვს. მათ სურთ, ტახზე ფეხმორთხმულ ღმერთს უცქირონ დაუსრულებლად — ღმერთის მატერიალურ სხეულს. . . . ასეთ ადამიანები საჭმელ-სასმელსა და ხორციელ ტკობაზე ოცნებობენ. მათი ოცნება მატერიალური არსებობის გაგარძელებაა. ადამიანს არ შეუძლია ამ ცხოვრების მიღმა გაიხედოს. სხეულისთვის ეს ცხოვრება ყველაფერია. „ასეთ კაცს არ ძალუძს გონების მოკრება, რასაც განთავისუფლებამდე მივყავართ.“

„*ჯგუბები* მხოლოდ იმას გვასწავლის, რაც სამ *გუნაბ*⁵ — *სატვას*, *რაჯას*ს და *ტამას*ს ეკუთვნის.“ მხოლოდ იმას, რაც ბუნებაშია. ხალხს არ შეუძლია ისეთ რამეზე იფიქროს, რასაც მიწაზე ვერ ხედავს. სამოთხეზე თუ ლაპარაკობენ, ტახტზე წამომჯდარ მეფეზე ფიქრობენ, რომლის ირგვლივ ხალხი საკმევლს აკმევს. ეს მხოლოდ ბუნებაა და არაფერი ბუნების გარდა. „გასცდი ბუნებას, არსებობის ორმაგობას, გასცდი შენს საკუთარ ცნობიერებას. ნურაფერზე იდარდებ, ნურც სიკეთეზე და ნურც ბოროტებაზე.“

ჩვენ ჩვენი თავი სხეულთან გავაიგივეთ და ახლა მხოლოდ სხეული ვართ, უფრო სწორად სხეულს ვეკუთვებით. თუ მიჩქმეტ, ვიყვირებ. მაგრამ ეს სისულელეა, რადგან მე სული ვარ. ტანჯვის, წარმოსახვის, ცხოველების, ღმერთების თუ დემონების მთელი ეს ბორკილი — მთელი სამყარო საკუთარი თავის სხეულთან გაიგივებიდან მოდის. მე სული ვარ.

⁵ იხ. ვანშ. 2.45.

რატომ უნდა ვიყვირო, თუ მიბწკენენ? . . . ნახეთ, როგორი მონობაა. არ შეგრცხვათ? ჩვენ ხომ რელიგიური ადამიანები ვართ! ფილოსოფოსები! ბრძენები! ღმერთმა დაგვლოცოს!.. რანი ვართ სინამდვილეში? ჭკუას გადამცდარი მოსიარულე ჯოჯოხეთები – აი რა ვართ.

არ ძალგვიძს ხორცზე ფიქრს მოვეშვათ. მიწას ვართ მიჯაჭვული. . . . ჩვენი აზრები ჩვენი საფლავებია. სხეულს რომ ვტოვებთ, ეს აზრები უზარმაზარი ძალით გვიჭერს.

ვის შეუძლია იშრომოს სრულიად მიუჯაჭველად? აი ნამდვილი კითხვა. ასეთი კაცი წარმატებაშიც და მარცხშიც ერთნაირია და მთელი მისი ცხოვრების საქმეც რომ ერთ წამში გაცამტვერდეს, გული ერთხელაც არ შეუტოკდება. „ასეთია ბრძენი, რომელიც მუდამ შრომისთვის შრომობს და შედეგზე არ ზრუნავს. ამ გზით აღწევს ის თავს დაბადებისა და სიკვდილის ტკივილს და თავისუფლდება.“ შემდეგ ის ხედავს, რომ მიჯაჭვეულობა მხოლოდ მოლანდებაა, რომ სული ვერასოდეს იქნება მიჯაჭვეული და წერილებს⁶ და მოძღვრებებს მიღმა გადის. რას უნდა ელოდეს წიგნებსა და ფოლიანტებში ჩაფლული, თავგზაბნეული გონება? ერთი წიგნი ერთს ამბობს, მეორე კი სულ სხვას... რომელ წიგნს აირჩევ? დარჩი მარტო! დაინახე საკუთარი სულის მშვენიერება და ის, რომ უნდა იშრომო. ასე შეიძენ მტკიცე ნებისყოფას.

არჯუნას ანტიერესებს, „ვინ არის მტკიცე ნების მქონე ადამიანი.“ კრიშნა მიუგებს: „ის, ვინც მიატოვა ყოველგვარი სურვილი, ვისაც არ სურს არაფერი, არც თვით ეს ცხოვრება, არც თავისუფლება, არც ღმერთები, არც შრომა ან რაიმე სხვა. ის, ვინც სრულიად კმაყოფილია და სურვილები აღარ აწუხებს.“ ასეთმა კაცმა ნახა სულის მშვენიერება და მიხვდა, რომ მთელი სამყარო – ღმერთებიც და სამოთხეც . . . თვით მასშია. ამის შემდეგ ღმერთები ქრებიან. ქრება სიკვდილიც და სიცოცხლაც. ყველაფერი იცვლება. „გასხივოსნებულს მას უწოდებენ, ვისი ნებაც მტკიცეა, ვის გონებასაც ვერ ამღვრევს ტანჯვა, ვისაც არ სურს ბედნიერება და ვინც თავისუფალია ყოველგვარი მიჯაჭვეულობისგან, შიშისგან და რისხვისაგან...

როგორც კუ შეიკეცავს ხოლმე ფეხებს და რაც არ უნდა დააძალოთ, არ გამოყოფს, ისე მალავს ბრძენიც გრძნობის ორგანოებს და ვერაფერი აიძულებს, გამოაჩინოს. ვერაფერი შეარყევს მას, ვერც ცდუნება და ვერც რაიმე სხვა. მთელი სამყაროც რომ თავზე დაემხოს, გონება ოდნავადაც არ აემღვრევა.

ამას მოსდევს ძალზე მნიშვნელოვანი კითხვა. ზოგჯერ ადამიანები დიდ

⁶ ბინდურ ლიტერატურაში „წერილებით“, როგორც წესი „ველები“ იგულისხმება, თუმცა ვივეკანანდა არა მხოლოდ ინდოელ საზოგადოებას მიმართავს, ამიტომ ვამოაიციხული არაა, აქ ამ სიტყვას ზოგადად „რელიგიური განაწესის“ მნიშვნელობით იყენებდეს. („ველები“; იხ. განმ. 2.45.)

ხანს მარხულობენ. . . . ყველაზე დიდმა ნაძირალამაც რომ ოცი დღე იმარხულოს, უფრო კეთილშობილი გახდება. კრიშნას აზრით ყველაფერი ეს სისულელეა. მისი თქმით გრძნობები მხოლოდ დროებით დაიხვევენ უკან, მაგრამ შემდეგ მაინც იჩინენ თავს და ოცმაგი ძალით დააცხრებიან მას, ვინც თავს იგვემს. . . . მაშ რა უნდა ვქნათ? – ბუნებრივად უნდა მოვიქცეთ, არავითარი ასკეტიზმი. შრომა უნდა განვაგრძოთ, ოღონდ უნდა გვანსოვდეს, რომ მიჯაჭვულნი არა ვართ. ვისაც არასოდეს უსწავლია და განუხორციელებია მიუჯაჭველობის საიდუმლო, იმ ადამიანის ნება ვერასოდეს იქნება მტკიცე.

თვალს რომ ვახელ, თუკი რამეა ჩემს გარშემო, უნდა დავინახო. ვერაფერს ვიზამ, გონება გრძნობებს მისდევს. ახლა გრძნობებმა უნდა შეწყვიტონ ბუნებაზე რეაგირება.

„სადაც გრძნობებს მიჯაჭვული ქვეყნიერებისთვის ღამეა, სწორედ იქ ფზიზლობს თავის მფლობი ადამიანი. სწორედ ისაა მისთვის დღე. . . . ხოლო სადაც ქვეყნიერებას ღვიძავს, იქ სძინავს ბრძენს.“ სად ღვიძავს ქვეყნიერებას? – გრძნობებში. ადამიანებს სურთ ჭამონ, სვან და შვილები გააჩინონ, მაგრამ შემდეგ ძალღური სიკვდილით კვლებიან. . . . გრძნობებისთვის მათ ყოველთვის ღვიძავთ. მათი რელიგიაც კი ამას ემსახურება. ისინი იმ ღმერთს იგონებენ, რომელიც უფრო მეტი ქალის და ფულის შოვნაში, მეტი შვილის ყოლაში დაეხმარება და არა იმ ღმერთს, რომელიც მათ უფრო ღვთის მსგავსს გახდის! „სადაც ქვეყნიერებას ღვიძავს, იქ სძინავს ბრძენს. მაგრამ სადაც უმეცრები იძინებენ, იქ ბრძენი ფზიზლობს“ – ნათლის საუფლოში, სადაც ადამიანი თავს ჩიტად, ცხოველად ან სხეულად კი არ მიიჩნევს, არამედ უსასრულო და უკვდავ, მარადიულ სულად.

სწორედ აქ, სადაც უმეცრებს სძინავთ, სადაც მათ არც დრო ჰყოფნით და არც გაგების უნარი შესწევთ, ღვიძავს ბრძენს. აქ არის მისთვის დღის სინათლე.

„ამქვეყნად ყველა მდინარე მუდამყამს ოკეანეში ჩაედინება, მაგრამ ის, დიდი და დიდებული, მუდამ უცვლელი რჩება. ასევე მოაქვთ ბრძენთან აღქმის ორგანოებს შეგრძნებები; და მაინც მისმა გულმა, მსგავსად ოკეანისა, არ იცის, რაა შიში და შფოთვა.“ დაე უბედურება მილიონობით მდინარედ მოედინებოდეს, ბედნიერება კი მხოლოდ ასობით შენაკადად! მე არც უბედურების მონა ვარ და არც ბედნიერების!



გიტა

ლექცია მესამე

წაკითხული სან ფრანცისკოში 1900 წლის 29 მაისს

არჯუნა კითხულობს: „ეს წუთია მოქმედება მირჩიე, თან კი ბრაჰმას, უზენაესი ფორმის ცოდნას ქადაგებ. კრიშნა, თუკი ფიქრობ, რომ ცოდნა ჯობს მოქმედებას, რად მირჩევ, ვიმოქმედო?“

შრი კრიშნა მიუგებს: „ძველი დროიდან ჩვენამდე ამ ორმა სისტემამ მოაღწია. *სანქჰაას* ფილოსოფოსები ცოდნის თეორიას სწევენ წინ, იოგები კი – შრომისას. მაგრამ საქმის მიტოვებით ვერავინ მოიპოვებს სიმშვიდეს. ამქვეყნად წამითაც კი ვერავინ შეწყვეტს მოქმედებას, ბუნების თვისებები (*გუნები*) მაინც აიძულებს, იმოქმედოს. ის, ვინც საქმეებს თავს ანებებს, მაგრამ მაინც მათზე ფიქრობს, ვერაფერს მიაღწევს, გარდა პირმოთნეობისა. ასეთ კაცს ბევრად ჯობს ის, ვინც გრძნობის ორგანოებს გონების ძალით თანდათანობით იმორჩილებს და შრომაში აბამს. ამიტომ იშრომე.“ . . .

„რომც ჩაწვდე იმ საიდუმლოს, რომ ქვეყნად არავითარი მოვალეობა არ გაქვს და რომ თავისუფალი ხარ, მაინც უნდა იმოქმედო სხვების საკეთილდღეოდ. რადგან რასაც დიდებული ჩადის, ჩვეულებრივი ხალხიც იმას იმეორებს. თუკი დიდი ადამიანი, სულის სიმშვიდე და თავისუფლება რომ მოუპოვებია, შრომას თავს დაანებებს, მისი წაბაძვით ცოდნისა და თავისუფლების უქონელი ადამიანებიც იგივეს იზამენ და ქვეყნად ქაოსი გამეფდება.“

„ნახე, არჯუნა, არაფერია ქვეყნად ისეთი, მე რომ არ მქონდეს, ან ისეთი, შეძენა რომ მსურდეს და მაინც ვშრომობ. ერთი წამითაც რომ შემეწყვიტა მუშაობა, მთელი სამყარო დაიღუპებოდა.“

„დაე მცოდნემაკ აკეთოს ის, რასაც უმეცარი ნაყოფის, სარგებლის სურვილით აკეთებს, ოღონდ აკეთოს მიუჯაჭველმა, სარგებლის სურვილისგან თავისუფალმა.“

მცოდნეც რომ იყოს, ნუ მოუშლით უმეცარს ბავშვურ რწმენას, არამედ დაეშვით მის ღონემდე და თანდათანობით აამაღლეთ იგი. ეს მეტად საყურადღებო აზრია. ინდოეთში მან სრულყოფილებას მიაღწია. ამიტომაც, ხშირად ტაძრებში ხატების წინაშე დამხობილ დიდ ფილოსოფოსებს რომ ვხვდებით. ეს პირფერობა არ არის.

შემდეგ კრიშნა ამბობს: „ისინიც კი, ვინც სხვა ღვთაებას ეთაყვანება, სინამდვილეში მე მომაგებს თაყვანს.“ როგორ ფიქრობთ, გაბრაზდება ღმერთი, სხვა სახელი რომ უწოდოთ? ასე რომ იყოს, ის ღმერთიც არ იქნებოდა! რატომ არ გესმით, რომ ღმერთი ის არის, რაც ადამიანის გულშია – თუნდაც ქვას სცემდეს თაყვანს! რა არის გაუგებარი?!

ყველაფერს უფრო ნათლად მაშინ დავინახავთ, როცა იმ აზრისგან გავთავისუფლდებით, რომ რელიგიის აზრი დოქტრინებშია. რელიგიის ერთ-ერთი გაგება იმას ეფუძნება, რომ მთელი სამყარო იმიტომ გაჩნდა, რომ ადამმა ვაშლი შეჭამა და რომ გამოსავალი არ არსებობს, თუ იესო ქრისტეს, ერთი კონკრეტული კაცის სიკვდილს არ ვირწმუნებთ! მაგრამ ინდოეთში რელიგიის სულ სხვა გაგებაა. იქ რელიგია განხორციელებას⁷ ნიშნავს და სხვა არაფერს. მნიშვნელობა არ აქვს, ვინ რითი მიუახლოვდება მიზანს, ოთხ-ცხენიანი ეტლით, ელექტრო მანქანით თუ მიწაზე ხოხვით. მიზანი იგივე რჩება. ქრისტიანები იმაზე ფიქრობენ, როგორ გაექცენ საშინელი ღმერთის რისხვას, ჰინდუთა საფიქრალი კი ისაა, როგორ გახდნენ ისინი, რაც სინამდვილეში არიან, როგორ დაიბრუნონ დაკარგული თავისთავადობა. გაცნობიერებული გაქვთ, რომ სული ხართ? როდესაც ამბობთ, „ვაცნობიერებ“, რას გულისხმობთ, ამ ხორცის ნაჭერს, სხეული რომ ეწოდება თუ სულს – უსასრულოს, მარად კურთხეულს, უკვდავს და ნათელს? შეიძლება უდიდესი ფილოსოფოსი იყოთ, მაგრამ თუკი ფიქრობთ, რომ სხეული ხართ, მაშინ თქვენ არაფრით ვობიხართ იმ ჭიას, თქვენს ფერხთით რომ დახოხავს. გამართლება არ გაქვთ! მით უარესი თქვენთვის, თუ ყველანაირ ფილოსოფიას იცნობთ და მაინც ფიქრობთ, რომ სხეული ხართ! მუცელღმერთები, აი, რა ხართ სინამდვილეში! და ამას უწოდებთ რელიგიას? რელიგია სულის სულად გაცნობიერებაა. რას ვაკეთებთ ახლა ჩვენ? სრულადად საბირისპიროს – სულს ვაცნობიერებთ, როგორც მატერიას. უკვდავი ღმერთისგან ჩვენ სიკვდილი და მატერია გამოვჩორკნეთ, უსიცოცხლო, ჩლუნგი მატერიისგან კი – სული. . . .

თუ ბრაჰმანს თავდაყირა ან ცალ ფეხზე დგომით, ან სულაც ხუთი ათასი ღმერთის თავგანისცემით შეიცნობთ, ღმერთმა შევარგოთ! . . . როგორც გნებავთ, ისე შეიცანით! არავის აქვს უფლება, დაგძრახოთ. ამიტომ, ამბობს კრიშნა, თქვენი მეთოდი უკეთესიც რომ იყოს, მაინც არ გაქვთ იმის თქმის უფლება, რომ ვინმეს გზა ცუდია. მნიშვნელობა არ აქვს, რაოდენ საშინელია იგი.

ისევ და ისევ, უნდა გავიგოთ, რომ რელიგია ზრდაა და არა სულელური სიტყვების რახარუხი. ორი ათასი წლის წინ ადამიანმა ღმერთი იხილა. მოსემ იხილა ღმერთი ცეცხლმოკიდებულ ბუჩქში. პირადად თქვენ გიშველათ მოსეს საქციელმა? ვინც არ უნდა იხილოს ღმერთი, ეს თქვენ ვერაფრით გიშველით, გარდა იმისა, რომ შეიძლება შთაგავნოთ და იგივე საქციელისკენ გიბიძგოთ. ესაა ძველთაძველი მაგალითების მთელი ღირსება, სხვა არაფერი. ეს მხოლოდ გზის მაჩვენებელი ნიშნებია. ერთი ადამიანის ჭამა მეორეს ვერ დაანაყრებს. ერთმა რომ ღმერთი იხილოს, მეორეს ეს

⁷ ანგლ. realization.

ვერ უშველის. თქვენ თვითონ უნდა ნახოთ ღმერთი. რა აზრი აქვს ხალხის კამათს ღმერთის ბუნების შესახებ – „სამი თავი აქვს ერთ ტანზე თუ ექვსი თავი სამ ტანზე“... გინახავთ ღმერთი? – არა. . . . მათ არც კი სჯერათ, რომ ოდესმე ნახავენ მას. რა სულელები ვართ მოკვდავნი! ნამდვილი შეშლილები!

ინდოეთში ტრადიციად ჩამოყალიბდა შეხედულება, რომ თუ ღმერთი არსებობს, ის შენი ან ჩემი ღმერთი უნდა იყოს. ვის ეკუთვნის მზე? თქვენ ამბობთ, რომ ბიძია სემი ყველას ბიძიაა. თუ ღმერთი არსებობს, მისი ნახვაც უნდა შეგეძლოთ. თუ არა და არ არსებულა.

ყველას ჰგონია, რომ მისი მეთოდი საუკეთესოა. ძალიან კარგი! ოღონდ გახსოვდეთ, რომ თქვენი მეთოდი თქვენთვისაა საუკეთესო. საჭმელი, რომელსაც ერთი ადამიანი ვერ ინელებს, სხვისთვის შეიძლება სულ ადვილი მოსანელებელი იყოს. იმის გამო, რომ თქვენი მეთოდი თქვენთვის კარგია, ნუ გეგონებათ, რომ ის ყველას გამოადგება. რომ ჯეკის პალტო ჯონსაც და მერისაც მოერგება. ყველა გაუნათლებელი, უკულტურო და აზროვნებას მიუჩვეველი კაცი და ქალი ამ ერთ სწორ პალტოში გამოაწყვეს! თქვენ თვითონ იაზროვნეთ! გახდით ათეისტები, მატერიალისტები! ასე უფრო აჯობებს. გაავარჯიშეთ გონება! . . . რა უფლება გაქვთ თქვით, რომ ვინმეს მეთოდი არასწორია? ის შეიძლება თქვენთვის იყოს არასწორი. ანუ თუ სხვის მეთოდს გადაიღებთ, დაიღუპებით. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის სხვაც დაიღუპება. ამიტომ, ამბობს კრიშნა, თუ ცოდნა გაქვთ და სხვის არასრულფასოვნებას ამჩნევთ, ნუ გაკიცხავთ. თუ შეგიძლიათ, დაეშვით მის დონემდე და დაეხმარეთ. ის უნდა განვითარდეს. მე შემიძლია ხუთ საათში ხუთი გოდორი ცოდნა ჩაუდო მას თავში, მაგრამ ამით რა გამოვა? – ცოტა უფრო უარესი გახდება, ვიდრე იყო.

საიდან ჩნდება საქმის ტყვეობა? იქიდან, რომ ჩვენ ჩვენი საქმით სულს ვბოჭავთ. ჰინდური სისტემის მიხედვით ორი სინამდვილე არსებობს: ბუნება და სული, ანუ *ატმანი*.⁸ სიტყვა *ბუნება* მხოლოდ ამ გარეგან სამყაროს კი არ გულისხმობს, არამედ ჩვენს სხეულს, გონებას, ნებას და იმასაც კი, რასაც ჩვენ „მე“-ს ვუწოდებთ. ყოველივე ამის მიღმა უსასრულო სიცოცხლე და სულის ნათელი – სული, *ატმანი*. . . . ამ ფილოსოფიის მიხედვით სული ბუნებისგან სრულიად განცალკევებულია. ის ყოველთვის იყო და ყოველთვის იქნება. . . . ის გონებასთანაც კი არასოდეს არასოდეს გაუიგივებათ. . . .

თავისთავად ცხადია, რომ გონებას მუდმივად კვებავს საჭმელი, რომელსაც ვჭამთ. ეს მატერიაა. სული საჭმელთან ყოველგვარ კავშირზე მაღლა დგას. მისთვის სულ ერთია, ჭამთ თუ არა, ფიქრობთ თუ არა, . . . ესეც სულერთია. ის უსასრულო ნათელია. მისი სინათლე მუდამ ერთი და

⁸ ინდივიდუალური სული. იხ. განმ. 2.55.

იგივეა. სინათლეს რომ ლურჯი ან მწვანე მინა აფაროთ, ამით მას არაფერი მოუვა. მისი ფერი უცვლელი დარჩება. ეს ჩვენი გონება ცვლის და სხვადასხვაფერად აფერადებს სინამდვილეს. რა წამსაც სული სხეულს ტოვებს, ყველაფერი ნამსხვრევებად იქცევა.

ბუნებაში ერთადერთი რეალობა სულია. თავად რეალობა – სულის ნათელი – სხეულის და გონების მეშვეობით დადის, ლაპარაკობს და მოქმედებს. ენერგია, სული და სულის ნათელია ის, რაც სხვადასხვა გზით მატერიალურ ხორციელდება. . . . სულია ყველაფრის – ყოველი ჩვენი ფიქრისა და ფიზიკური მოქმედების მიზეზი; და თუმცა თვითონ სიკეთისა თუ ბოროტების, სიამოვნებისა თუ ტკივილის, სიციხისა თუ სიცივის – ბუნების ყველგვარი ორმაგობის მიღმაა, ყველაფერს ის ჰფენს ნათელს.

„ამიტომ, არჯუნა, ყოველი ქმედება ბუნებისმიერია; ბუნება . . . ჩვენს სხეულსა და გონებაში თავისი კანონების მიხედვით მოქმედებს. ჩვენ კი თავს ბუნებასთან ვაიგივებთ და ვამბობთ: „მე ვაკეთებ ამას.“ ასე გვხლართავს ილუზია თავის ბადეში.“

ყოველთვის რაღაც გვაიძულებს, ვიმოქმედოთ. შიმშილი რომ მიპყრობს, ჭამას ვიწყებ. ტანჯვა კიდევ უფრო უარესია – ნამდვილი მონობაა. ნამდვილი „მე“ მარად თავისუფალია. რას შეუძლია ის აიძულოს, იმოქმედოს? ის, რაც იტანჯება, ბუნებისმიერია. მხოლოდ მაშინ ვამბობთ, „მე ვიტანჯები, მე მისტერ ესა და ეს ვარ“ და მსგავს სისულელეებს, როცა თავს ბუნებასთან ვაიგივებთ. მაგრამ ის, ვინც იცის ჭეშმარიტება, ყოველთვის განზე დგას და არ ადარდებს, რას აკეთებს მისი სხეული. მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ კაცთა მოდემის უმეტესი ნაწილი ილუზიის ტყვეობაში იმყოფება და როცა რაიმე სიკეთეს ჩადის, ჰგონია, თვითონ გააკეთა რაღაც. ადამიანებს ვერ არ ძალუბთ უფრო მაღალ ფილოსოფიას ჩაწვდნენ. ნუ შურყევთ მათ რწმენას! ისინი ბოროტებას გაურბიან და სიკეთეს აკეთებენ! დიდებული აზრია! ღმერთმა შეარგოთ! . . . ისინი სიკეთის მუშაკები არიან. ადრე თ უ გვიან იმ დასკვნამდე მივლენ, რომ ქვეყნად სიკეთის კეთებაზე უფრო დიდი გამარჯვებაც არსებობს და საკუთარი საქმეების უბრალო მოწმეები გახდებიან. . . . თანდათან ყველაფერს მიხვდებიან. როცა ყველა ბოროტებას გაექცევიან და ყველა სიკეთეს გააკეთებენ, მერე დაიწყებენ იმის გაცნობიერებას, რომ ბუნების მიღმა არიან. რომ თვითონ არაფერს აკეთებენ, რომ განზე დგანან და მხოლოდ . . . მოწმის როლი აქვთ. უბრალოდ დგანან და თვალს ადევნებენ, როგორ წარმოქმნის ბუნება მთელ სამყაროს. . . . შემდეგ კი ზურგს აქცევენ მას. „თავიდან არსებობა არსებობდა მხოლოდ, სხვა არაფერი. მისგან შეიქმნა სხვა ყველაფერი.“

ისიც კი, ვინც იცის გზა, თავის ბუნებას ემორჩილება. ყველა საკუთარი ბუნების მიხედვით მოქმედებს. არავის ძალუბს მის ზღვარს გადააბიჯოს.“ ატომი ვერ დაარღვევს კანონს. სულერთია, ფიზიკურია ატომი თუ ფსიქი-

კური, ის კანონს უნდა დაემორჩილოს. „რა აზრი აქვს გარეგან შეზღუდვას?“

რა ხდის ფასეულს ყოველივეს ამქვეყნად? არა სიამოვნება. არა საკუთრება. გაიაზრეთ ყოველივე და მიხედვით, რომ გამოცდილების გარდა არაფერს აქვს იმხელა ძალა, რომ რაიმე გვასწავლოს. უმეტეს შემთხვევაში კი გაჭირვება უკეთეს გამოცდილებას გვაძლევს, ვიდრე სიამოვნება. ზოგჯერ ბუნება ცემით უფრო მეტს გვასწავლის, ვიდრე მოფერებით. . . . შიმშილსაც კი თავისი ადგილი და მნიშვნელობა აქვს. . . .

კრიშნას აზრით ჩვენ ამქვეყნად პირველად მოვლენილი ახალი არსებები არ ვართ. ჩვენი გონება ახალი გონება არ გახლავთ. . . . თანამედროვე სამყაროში უკვე ყველამ იცის, რომ თითოეულ ბავშვში მთელი წარსულია კოდირებული, თანაც არა მხოლოდ ადამიანური, არამედ მცენარეული სიცოცხლისაც კი. მასშია რაც ყოფილა, რაც არის და ისიც, რაც მომავალში იქნება. თითოეულ ადამიანს თავისი ბილიკი აქვს მისთვის შედგენილ რუკაზე; და მთელი ამ იდეალების მიუხედავად შეუძლებელია, რაიმე უმიზეზოდ არსებობდეს. ყველა შემთხვევას და გარემობას თავისი მიზეზი აქვს. . . .

ჩვენ მხოლოდ ჩვენი უმეტესების გამო ვერ ვამჩნევთ, როგორაა განფენილი ბუნების წარსულში მიზეზ-შედეგობრიობის უსასრულო ჯაჭვი. . . . მთელი სამყარო ასეთი ჯაჭვითაა შეკრული. თქვენ ამ ყოვლისმომცველი ჯაჭვის ერთ ნაწილს, ერთ ძაფს ხართ გამობმული, მე კი მეორეს; . . . და სწორედ ეს ნაწილია ჩვენი საკუთარი ბუნება.

„სხვის ბილიკზე გადასვლას სჯობს, შენს ბილიკზე მიმავალი მოკვდე,“ განაგრძობს კრიშნა. მე აქ ვარ და ეს ჩემი ბილიკია. თუ თქვენ ჩემზე ბევრად წინ ხართ, მე წამდაუწუმ ჩემი ბილიკის მიტოვების, თქვენს ბილიკზე გადმოსვლის და თქვენთან ერთად სიარულის სურვილი წამძლევს. თუკი ასე მოვიქცევი, აღარც თქვენთან ვიქნები და აღარც აქ. ეს არასოდეს არ უნდა დაგვაიწყდეს. მთავარი განვითარებაა. მოითმინეთ, განვითარდით და ყველაფერს მიაღწევთ. სხვანაირად უდიდესი სულიერი საფრთხე გელით. ესაა რელიგიური სწავლების ყველაზე მთავარი საიდუმლო.

რას გულისხმობთ ადამიანთა „გადარჩენით“ და იმით, რომ ყველას ერთი დოქტრინის გვწამთ? ეს ხომ შეუძლებელია. არსებობს ზოგადი იდეები, რომელიც შეიძლება კაცობრიობას უქადავოთ, ნამდვილ მასწავლებელს კი თქვენს ნაცვლად თქვენივე ბუნების ამოცნობა უნდა შეეძლოს. შეიძლება თქვენ თვითონ არ იცნობდეთ საკუთარ ბუნებას. ისიც შესაძლებელია, რომ თქვენი ბუნება სულაც არ იყოს ისეთი, როგორც თქვენ გგონიათ. შეიძლება ის თქვენ ჯერ არ გქონდეთ გაცნობიერებული. მასწავლებელი ის ადამიანია, ვინც ვალდებულია, იცოდეს. . . . ერთი გამოხედვით უნდა მიხედეს, ვინ ხართ და თქვენს გზაზე უნდა დაგაყენოთ. ჩვენ ხელის ცეცებით დავდივართ, ხან რას მოვისინჯავთ, ხან რას. ათას რამეს ვაკეთებთ, მაგრამ წინსვლა

არა და არ ჩანს, სანამ დრო არ დადგება და ჩვენთვის ბუნებრივ ნაკადში არ მოვხვდებით და მას არ გავყვებით. ნიშანი იმისა, რომ ჩვენს დინებაში მოვხვდით, ის არის, რომ იქ აღმოჩნდებით თუ არა, ტივტივს ვიწყებთ. ძიება მთავრდება. ჯერ საკუთარი ბილიკი უნდა ვიპოვოთ, შემდეგ კი აღარ დავთმობთ იგი და სხვა ბილიკზე გადასვლას საკუთარ გზაზე სიკვდილი ვარჩიოთ.

ამის ნაცვლად ჩვენ რელიგიას ვირჩევთ, დოგმებით ვიხუნძლებით, ადამიანის მიზანს ვლალატობთ და ისე ვექცევით ადამიანებს, თითქოს ყველას ერთი ბუნება ჰქონდეს. არ არსებობს ორი ადამიანი, ერთნაირი გონება ან სხეული რომ ჰქონდეს. . . . ორ ადამიანს ერთი რელიგია ვერ ექნება. . . .

თუ გინდათ, რელიგიურები იყოთ, ნუ შეაბიჯებთ ნურც ერთი ორგანიზებული რელიგიის კარიბჭეში. ისინი ასჯერ მეტ ბოროტებას ჩადიან, ვიდრე სიკეთეს, რადგან თითოეული ადამიანის ინდივიდუალურ განვითარებას უღობავენ გზას. შეისწავლეთ ყველაფერი, მაგრამ მყარად იდეებით საკუთარ ფეხზე. თუკი ჩემს რჩევას ენდობით, ნუ გაებმებით მახეში. რაწამსაც თავზე ყულფის ჩამოცმევას დაგიპირებენ, იმ წამსვე გამოყავით თავი და სადმე სხვაგან წადით, რადგან ფუტკარი სხვადასხვა ყვაილებიდან აგროვებს თაფლს და არც ერთ ყვაილს არ ევაჭვება. ნუ მიეჯაჭვებით. . . . ნუ შეაღებთ ნურცერთი ორგანიზებული რელიგიის კარს. რელიგია თქვენსა და თქვენს ღმერთს შორისაა და მასში მესამე პირი არ უნდა ჩაერიოს. დაფიქრდით, რა აქვთ ჩადენილი ორგანიზებულ რელიგიებს! რომელი ნაპოლეონი შეედრება რელიგიურ დევნათა სისასტიკეს? . . . მე და თქვენ თუ გავერთიანდით, სხვა ყველას მოვიძულებთ. თუკი სიყვარული მხოლოდ სხვების სიძულვილს ნიშნავს, სჯობს, საერთოდ არ გიყვარდეს. ეს სიყვარული კი არა, ჯოჯოხეთია! თუკი შეინანების სიყვარული ყველა დანარჩენის სიძულვილს ნიშნავს, მაშინ ის ეგოიზმისა და სიმხეცის ნაზავია და ადრე თუ გვიან მხეცებად გაქცევთ. ამიტომ, სჯობს თქვენთვის ბუნებრივი რელიგიის შემუშავებას შეეწიროთ, ვიდრე სხვისთვის ბუნებრივ რელიგიას გაჰყვით, რაც არ უნდა დიდებულად მოგეჩვენოთ იგი.

„გაფრთხილდი, არჯუნა, ყველაზე დიდი მტერი სურვილი და მრისხანებაა. მათი მართვია საჭირო. მათ ძალუძთ ბრძენთაც კი წართვან ცოდნა. გაუმადლარია სურვილთა ცეცხლი. მას გრძნობის ორგანოებსა და გონებაში უღვევს ბინა. სულს არაფერი სურს.“

„ეს იოგა ვივასვანს ვასწავლე უძველეს დროში. ვივასვანმა იგი მანუს გაანდო. . . . ასე გადაეცა იგი ერთი მეფისგან მეორეს. მაგრამ დროთა განმავლობაში ეს ღიადი იოგა განადგურდა. ამიტომ გიმხელ მე მას შენ დღეს ხელმეორედ.“

„რატომ ამბობ ასე?“ ეკითხება მას არჯუნა. „შენ სულ ახლახანს გაჩნდი ქვეყნად, ვივასვანი კი შენამდე დიდი ხნით ადრე ცხოვრობდა. რას გულისხმობ, როცა ამბობ, რომ შენ ასწავლე ვივასვანს?“

ამაზე კრიშნა მიუგებს: „ო, არჯუნა, მე და შენ უამრავი დაბადება და გარდაცვალება გაგვივლია, მაგრამ შენ ისინი არ გასსოვს. მე დაუსაბამო, დაუბადებელი, ყოვლისმომცველი მეუფე ვარ სამყაროსი და ჩემი საკუთარი ბუნების მეოხებით ვიღებ ფორმას. როდესაც სიწმინდე მცირდება და ცოდვა მძლავრობს, მე კაცობრიობას მშველელად ვეკვლინები. მართალთა მსხენლად, ბოროტეულთა გასანადგურებლად და სულიერების აღსადგენად მოვდივარ დრო და დრო ქვეყნად. ვისაც რა გზით სურს ჩემამდე მოსვლა, მეც იმ გზით მივდივარ მასთან. მაგრამ იცოდე, არჯუნა, რომ ვერავინ ვერასდროს გადაუხვევს ჩემი გზიდან.“ არც არავის გადაუხვევია. ან როგორ უნდა გადაეხვია? ვერავინ გადაუხვევს მის გზას.

. . . ყველა საზოგადოება მანკიერ წესს ეფუძნება. მაგრამ კანონი მხოლოდ სრულყოფილ წესს უნდა ეფუძნებოდეს. რას გვასწავლის ძველი ანდაზა? – ყველა კანონს თავისი გამონაკლისი აქვსო? . . . ნამდვილი კანონი ვერ დაირღვევა. არავის ძალუძს მისი დარღვევა. ოდესმე დაურღვევია ვაშლს მიზიდულობის კანონი? კანონი თუ დაირღვა, სამყაროც აღარ იარსებებს. ოდესმე კანონი რომ დაარღვიოთ, წამსვე გაცამტვერდება თქვენი ცნობიერება, გონება და სხეული.

ვთქვათ, ვიღაც ქურდობს. რატომ იპარავს? თქვენ მას სჯით. რატომ არ შეიძლება ადგილი გამოუყოთ და მისი ენერგია შრომაში ჩადოთ? . . .

„შენ ცოდვილი ხარ!“ ეუბნებით თქვენ მას და ბევრი დაგეთანხმებათ, რომ ის კანონს არღვევს. კაცობრიობას, როგორც ცხვრის ფარას, ერთფეროვნების ბორკილი ადევს და სწორედ ესაა ყველა ტანჯვის, ცოდვისა და უსუსურობის მიზეზი. . . . სამყარო არც ისე ცუდია, როგორც თქვენ გგონიათ. ეს ჩვენ, სულელებმა გავხადეთ იგი ბოროტი. საკუთარ ღმერთებს და ღმონებს ვიგონებთ, შემდეგ კი . . . თავიდან ველარ ვიშორებთ. თვალზე ხელს ვიფარებთ და გავყვირით: „მოგვანიჭეთ ვინმემ სინათლე!“ სულელები! მოიშორეთ ხელები თვალებიდან! სხვა არაფერია საჭირო. . . . ყველა ღმერთს უხმობს საშველად, თავის თავს კი არავინ ადანაშაულებს. ესაა ყველაზე სამწუხარო. რატომაა ამდენი ბოროტება საზოგადოებაში? რაო, რას ამბობენ? ხორციელი ბუნებაო, ეშმაკიო და ქალიო? რატომ უნდა შევთხზათ ასეთი რამეები? მათ გამოგონებას არავინ გვთხოვს.

„ვერავინ გადაუხვევს არჯუნა, ჩემს გზას.“ უტვინოები ვართ და უტვინო გზებით დავდივართ. გვინდა თუ არა, მთელი ეს მია⁹ უნდა გავიაროთ. ღმერთმა სამოთხე შექმნა, კაცმა კი თავისთვის ჯოჯოხეთი მოიგონა.

⁹ მათ პინდური რელიგიური აზროვნების ერთ-ერთი ფუნდამენტური ცნებაა. მას თარგმნიან როგორც ილუზიას, მირაჟს, ზმანებას, ტყუილს და ა.შ. მაგრამ ვერც ერთი ეს სიტყვა ზუსტად ვერ გადმოსცემს მის მხნარსს. მათა მატერიალური სამყაროს ილუზიორულობას ნიშნავს, მაგრამ როგორც ვიკეკახანა განმარტავს, თუ ილუზია ან მირაჟი სხამდეიდეში არ არსებობს, მათა დროებითი, მაგრამ სრულიად რეალური რამ გახლავთ, მაგრამ მხოლოდ იდეურად, რამდენადაც თვით მატერიალური სამყაროა დროებით რეალური.

„ვერცერთი საქმე მე ვერ შემეხება, რადგან საქმის ნაყოფი არ მსურს. ვინც ეს უწყის, მან იცის საიდუმლო და საქმეები მას ვერ შებორკავს. იცოდნენ ეს საიდუმლო ძველმა ბრძენებმა და ისე იქმოდნენ, რომ საქმეს არ ეჯაჭვებოდნენ. შენც ასე შეუდექი შრომას.“

„ჭეშმარიტად, ბრძენი ის არის, ვინც გაცხარებულ შრომაში უმოქმედობას ხედავს, უმოქმედობისას კი გაცხარებულ შრომაშია“ . . . აი, ეს არის საკითხავი: შეგიძლიათ შეინარჩუნოთ უდიდესი სიმშვიდე და არაფერმა აგაღელვოთ მაშინ, როცა აღქმის ყველა ორგანო გააქტიურებული და დაძაბულია? შეგიძლიათ მედიტირება, როცა მარკეტ-სთრითზე დგახართ, ტაქსს ელოდებით და საშინლად გეჩქარებათ, ირგვლივ კი მანქანები მიმოქრიან? შეგიძლიათ ამ დროს მშვიდი და აუღელვებელი იყოთ? ანდა შეგიძლიათ აქტიური იყოთ გამოქვაბულში მჯდომი, როცა ირგვლივ სიჩუმე სუფევს? თუკი შეგიძლიათ, თქვენ იოგი ხართ, თუ არა და არა.

„ბრძენს მას უწოდებენ, ვისი ყოველი ქმედება ყოველგვარი სურვილისა და სარგებლისგან, ყოველგვარი ეგოიზმისგან თავისუფალია.“ სანამ ეგოისტები ვართ, ჭეშმარიტებას ვერასოდეს ვიხილავთ, რადგან ყველაფერს, რასაც ვხედავთ, ჩვენი თავით ვაფერადებთ. ამ დროს კი ყველაფერი ისეთია, როგორიც არის. ჭეშმარიტება არ გვემალება, მას ჩვენ ვმაღავთ. ჭეშმარიტება ჩვენს ხელთაა. ის ჩვენთან მოდის, ჩვენ კი ის არ მოგვცოხს, ამიტომ ცოტას დავვარცხნით და მხოლოდ შემდეგ შევხედავთ ხოლმე. . . . არ გვინდა, ის ვიცოდეთ და ყველაფერს ჩვენი თავით ვაფერადებთ. ყველა ჩვენი საქციელის მამოძრავებელი ძალა ეგოიზმია. ყველაფერს ჩვენი საკუთარი თავი ეფარება. იმ ჭიას ვგავართ, საკუთარი სხეულიდან ძაფი რომ გამოაქვს, ბადეს შემოიქსოვს და შიგ ებმება – საკუთარი შრომით იტყვევებს თავს. ჩვენც ასე ვიქცევით. რა წამსაც ვამბობ: „მე,“ ბადეს ხვეული ემატება. ვამბობ: „ჩემი“ და აი, კიდევ ერთი ხვეული. და ასე უსასრულოდ. . . .

უმოქმედოდ ერთ წამსაც ვერ გავჩერდებით. იმოქმედეთ! მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა მეზობელი მოვა და დახმარებას ვთხოვთ. საკუთარ თავსაც იგივენაირად დაეხმარეთ. არც მეტი, არც ნაკლები. ნუ გგონიათ, რომ თქვენს სხეულს უფრო მეტი ფასი აქვს, ვიდრე ჯონისას. ნუ გააკეთებთ საკუთარი სხეულისთვის იმაზე მეტს, რამდენსაც ჯონისთვის აკეთებთ. ეს არის რელიგია.

„ვისი საქციელიც მოკლებულია ყოველგვარ სურვილსა და ეგოიზმს, იმან დაწვა ცოდნის ცეცხლში *კარმის* ბორკილები. ის არის ბრძენი.“ წიგნების კითხვით ამას ვერ შეძლებთ. შეიძლება მთელი ბიბლიოთეკა ავკიდოთ სახედარს, მაგრამ ეს მას ნასწავლს ვერ გახდის. რა აზრი აქვს ბევრი წიგნის წაკითხვას? „იშორებს რა შრომასთან ყოველგვარ მიჯაჭვულობას, მუდამ მშვიდია ბრძენი და სარგებელს არ ელის. იქმს და საქმის მიღმა დგას იგი.“

შიშველი გამოვედი ღედაჩემის საშოდან და უკანაც შიშველი დავბრუნდები. უსუსური მოვედი და უსუსური წავალ. ახლაც უსუსური ვარ. ისიც კი არ ვიცით, რა მიზანი გვაქვს. საშინელებაა ამაზე ფიქრი. ისეთი უცნაური აზრები გვიჩნდება! მედიუმთან¹⁰ მივედივართ და იმედი გვაქვს, რომ აჩრდილები გვიშველიან. ნახეთ, რა უსუსურობაა! აჩრდილები, ეშმაკები, ღმერთები... კარგით რა! ვის აღარ წააწყდები... ათასგვარ მღვდელსა და შარლატანს! ისინი მახეში მაშინ გვაბამენ, როცა სუსტები ვართ. სწორედ ამ დროს გვახვევენ თავს თავიანთ ღმერთებს.

ჩემს ქვეყანაში ბევრი ადამიანი მინახავს, ძლიერი, განათლებული, მოაზროვნე რომ ხდება და ამბობს, რომ სისულელეა მთელი ეს ლოცვები და წუწაობა. . . . შემდეგ მას ღედ-მამა უკვდება. ჰინდუსთვის ეს ყველაზე დიდი შოკია. ცოტა ხანში თქვენ მას ყველა ტაძარში გადაეყრებით. ყველა ბინძურ გუბეში იწუწავებს, ჭუჭყსაც ალოკავს. . . . უშველეთ ვინმემ! მაგრამ შველა არავის ძალუმს. ჩვენ ყველანი უსუსურები ვართ. ესაა სიმართლე. ქვეყნად უფრო მეტი ღმერთია, ვიდრე ადამიანი და მაინც ვერავინ გვშველის – ისევე გვკვდებით, როგორც ძაღლები კვდებიან. საშველი არ არის. ყველგან სისასტიკე, შიმშილი, ავადმყოფობა, უბედურება და ტანჯვა სუფევს! ყველა შველას ითხოვს, შველა კი არ ჩანს. და მაინც, ხავსს ვეჭიდებით და კვლავ შველას ვითხოვთ. ო, რა საცოდავ დღეში ვართ! რამხელა შიშია! ჩაიხედეთ თქვენს გულში! ეს შფოთვა ნახევრად ჩვენი მშობლების ბრალია. უსუსურებად გაჩენილებს კიდევ უფრო გვინერგავდნენ, რომ სუსტები ვართ. ამ აზრს ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა დავაღწიოთ თავი.

უზარმაზარი შეცდომაა იმის ფიქრი, რომ უსუსური ხარ. ნუ ეძებთ შველას ნურავისგან. თავს თვითონ უნდა ვუშველოთ. თუ ჩვენ ვერ ვუშველით ჩვენს თავს, ვერც ვერავინ გვიშველის. . . . „შენ თვითონ ხარ შენი თავის ერთადერთი მეგობარი და ერთადერთი მტერი.“ არავინაა ქვეყნად ჩემი მტერი, ჩემი თავის გარდა და ჩემი მეგობარიც მხოლოდ მე ვარ. ეს უკანასკნელი და ყველაზე დიდი გაკვეთილია. ო, რა დიდი დრო უნდა მის სწავლას! ზოგჯერ თითქოს მოვეჭიდებით მას, მაგრამ წამსვე ძველი ტაღლები მოვარდებიან და ხერხემალში გვტეხენ. კვლავ ვსუსტდებით, ცრურწმენებს ვეჭიდებით და შველას ვითხოვთ. გაფიქრებაც კი შეგზარავს, რამდენი ტანჯვაა ამქვეყნად, და სულ ამ ფუჭი იმედის გამო, რომ გვიშველიან.

მღვდელს მხოლოდ ის შეუძლია, რომ გაცვეთილი სიტყვები თქვას და რაღაცის იმედი ჰქონდეს. სამოცი ათასი ადამიანი ცაში იყურება, ლოცულობს და მღვდელს ფულს უხდის. თვიდან თვემდე ისინი დგანან, ცას შეჰყურებენ, ლოცულობენ და იხდიან. . . . უბრალოდ დაფიქრდით! ვანა ეს სიგიჟე არ არის? აბა სხვა რაა? ვინ არის პასუხისმგებელი? შეიძლება რელიგია

¹⁰ მედიუმობა ევროპული ფენომენია. მედიუმები ვითომდა სულს უკავშირდებიან და გარდაცვლილთა ახლოობებს მათთან დალაპარაკების საშუალებას აძლევენ.

იქადაგო, მაგრამ განუვითარებელ ბავშვებს რომ გონება გაუხნა, უნდა ეწამო. ჯერ გაიგეთ, ვინ ხართ გულის სიღრმეში, რადგან ყველა იმ დამაუძღურებელი აზრისთვის, სხვებს რომ უნერგავთ, ორმაგი პროცენტის გადახდა მოგიწევთ. კარმის კანონს ვერსად გაექცევი. . . .

ქვეყნად მხოლოდ ერთი ცოდვა არსებობს – სისუსტე. პატარა რომ ვიყავი, მიღობის „დაკარგული სამოთხე“ წავიკითხე. ერთადერთი კარგი კაცი, რომელმაც ჩემი პატივისცემა დაიმსახურა, სატანა იყო. ერთადერთი წმინდანი ის სულია, არასოდეს რომ უძღურდება, ყველაფერს უსწორებს თვალს და ბედის კამათელი თვითონ უპყრია ხელთ.

ფეხზე წამოდექით და თქვენ თვითონ გადაწვევით თქვენი ბედი! ერთ სიგიჟეს მეორეს ნუ მიუმატებთ. იმ უბედურებას, წინ რომ გელით, ზედ თქვენს უძღურებას ნუ დაუმატებთ. სულ ესაა ამქვეყნად ჩემი სათქმელი. ძლიერები იყავით! . . . თქვენ სულელებსა და ეშმაკებზე ლაპარაკობთ... ჩვენ თვითონ ვართ ცოცხალი ეშმაკები. სიცოცხლის ნიშანი ძალა და ზრდაა, სიკვდილის ნიშანი კი – სისუსტე. მოერიდეთ ყველაფერს, რაც გაუძღურებთ! სისუსტე სიკვდილია. ჩაებლაუჭეთ და თუგინდ ჯოჯოხეთის კარამდე ჩაჰყევით იმას, რაც ძალას გმატებთ! ხსნა მხოლოდ მამაცთათვის არსებობს. „მხოლოდ მამაცია მშვენიერის ღირსი.“ ხსნას მხოლოდ უმამაცესი იმსახურებს. ვისია ჯოჯოხეთი? ვისია ტანჯვა? ვისია ცოდვა? ვისია უძღურება? ვისია ავადმყოფობა? ვისია სიკვდილი?

თუ გწამთ, ნამდვილი ღმერთი იწამეთ. „შენ თვითონ ხარ კაციც, ქალიც, ძალ-ღონით საგსე ჭაბუკიც . . . და ყავარჯნით მოლასლასე მოხუციც.“ შენ ხარ უძღურება. შენ ხარ შიში. შენ ხარ სამოთხეც და ჯოჯოხეთიც. შენ ხარ ის გველი, რომელიც გაცდუნებს. მამ განიცადე შიში! განიცადე სიკვდილი! განიცადე ტანჯვა! . . . ყოველგვარი სისუსტე და მიჯაჭვულობა მხოლოდ წარმოსახვის ნაყოფია და ერთი სიტყვაც რომ უთხრათ, გაქრება. ნუ დაუძღურდებით! სხვა გზა არ არის. . . . წამოდექით და იყავით ძლიერი! განაგდეთ შიში და ცრურწმენა. შეხედეთ სიმართლეს თვალებში! თუ სიკვდილი მოდის – ამაზე უარესი კი ვერაფერი მოგივთ – დაე მოვიდეს! ჩვენ საკუთარი ბედის გადასაწყვეტად გავჩნდით. სხვა რელიგია მე არ ვიცი. მე ჯერ ვერ მივწვდი მას, მაგრამ ვცდილობ. მე შეიძლება ვერ შევძლო, მაგრამ თქვენ შეძლებთ! მამ ნუ გაჩერდებით!

ერთი აღამიანი მეორეს ხედავს, მისი ხმა ესმის. იქ კი, სადაც „ორი“ არსებობს, შიშიც იარსებებს – ყველა უბედურების დედა. მაგრამ სადაც ვერავინ ხედავს მეორეს და სადაც ყველაფერი ერთია, იქ ვერავინ იქნება უბედური და საცოდავი. ქვეყნად მხოლოდ ის ერთი არსებობს, სხვა არავინ. ამიტომ ნუ შიშობთ. გაიღვიძეთ, ადექით და ნუ გაჩერდებით, სანამ მიხნას არ მიაღწევთ!



კრიშნა

ლექცია, წაკითხული კალიფორნიაში, 1900 წლის პირველ აპრილს

კრიშნას აღმასვლა ინდოეთში თითქმის იგივე გარემოებებმა განაპირობა, რომლებმაც შემდეგ ბუდიზმის წარმოშობას შეუწყო ხელი. მეტსაც გეტყვიot – მსგავსი მოვლენები ჩვენს დროშიც გვხვდება.

იდეალი არსებობს, მაგრამ ამავე დროს ყოველთვის იარსებებს კაცობრიობის უმეტესი ნაწილი, რომელიც მას ვერ შესწვდება, თუნდაც მხოლოდ ინტელექტუალური ჩამორჩენილობის გამო. . . . იდეალს ძლიერნი ასხამენ ხორცს და ბევრ შემთხვევაში სუსტებთან არაფერი აქვთ საერთო. სუსტები ძლიერთა წინაშე მხოლოდ მათხოვრები არიან. ძლიერნი წინ მიიწევენ. . . რა თქმა უნდა თავისთავად ცხადია, რომ უმაღლესი პრინციპი უძლეურთა თანაგრძნობა და მათი დახმარებაა, თუმცა ბევრი მოაზროვნე თანაგრძნობის გზას გვიკეტავს ხოლმე. თუკი იმ თეორიას დავეყრდნობით, რომ მთელი ეს უსასრულო სიცოცხლე მხოლოდ აქ და ახლა, რამოდენიმე წლიანი არსებობით შემოიფარგლება, . . . მაშინ უიმედო მდგომარეობაში ჩავვარდებით, . . . და დროც არ დაგვრჩება იმისთვის, რომ სუსტებს დაველოდოთ და მივეშველოთ. მაგრამ თუკი ეს ასე არ არის და თუ სამყარო მხოლოდ ერთ-ერთი სკოლაა იმათგან, რომლებიც უნდა გავიაროთ; თუკი მარადიული სამყარო მარადიული კანონით იქმნება, მის მიხედვით იცვლება და მას მორჩილებს; თუკი მარადიული კანონი მარადიულ შანსს აძლევს ყველას, მაშინ საჩქაროც არაფერი გვქონია. ამ შემთხვევაში იმისთვისაც გვრჩება დრო, რომ ირგვლივ მიმოვიხედოთ, სუსტებს თანავუგრძნოთ, დახმარების ხელი გავუწოდოთ და აღვზარდოთ კიდევ.

ბუდუზმის აღსანიშნავად სანსკრიტში ორი სიტყვა არსებობს. ერთი მათგანი რელიგიას ნიშნავს, მეორე კი სექტას. მეტად საგულისხმოა, რომ კრიშნას მოციქულებს და შთამომავლებს თავიანთი რელიგიისთვის სახელი არ დაურქმევიათ, თუმცა უცხოელები მას ჰინდუიზმს ან ბრაჰმანიზმს უწოდებენ. რელიგია ერთია, სექტა – მრავალი. რაწამსაც სახელს არქმევთ რელიგიას, საზღვრებს უდგენთ და სხვებისგან აცალკევებთ, იმ წამსვე სექტად აქცევთ მას.

სექტა თავის საკუთარ ჭეშმარიტებას განადიდებს და აცხადებს, რომ ის სხვაგან არსადაა. რელიგიას კი სწამს, რომ ქვეყნად იყო და ჯერ კიდევ არის მხოლოდ ერთი რელიგია. ორ რელიგიას არასოდეს უარსებია. ერთი და იგივე რელიგია სხვა და სხვა ადგილას სხვა და სხვა მხრით გვაცნობს თავს. ამოცანა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ სწორად გავივით ადამიანის ბუნება და მისი მიზანი.

ამაშია კრიშნას ღვაწლის სიდიადე: მან აგვიხილა თვალი და ადამია-

ნის ერთდროულად ზემსწრაფი და ქვემსწრაფი ბუნების უფრო ფართო ხედვა მოგვანიჭა. პირველმა მისმა გულმა დაიჭია ჭეშმარიტება მთლიანად. პირველმა მისმა ბაგეებმა წარმოთქვეს ყოველი სულის მსხნელი სიტყვები.

კრიშნა ბუდას რამოდენიმე ათასი წლით უსწრებდა წინ. . . . ბევრს საერთოდ არ სჯერა, რომ იგი რეალური პიროვნება იყო. ბევრის წარმოდგენით, მისი თაყვანისცემა უძველესი მზის კულტისგან წარმოიშვა. ჩვენთვის რამოდენიმე კრიშნაა ცნობილი: ერთი მათგანი *უპანიშადებში* გვხვდება, მეორე მეფე გახლდათ, მესამე – მხედართმთავარი. მოგვიანებით სამივე ერთ პიროვნებად აღიქვეს. მაგრამ ამას არა აქვს დიდი მნიშვნელობა. ფაქტი ისაა, რომ ქვეყანას განსაკუთრებული სულიერების მატარებელი ინდივიდი მოეკვლინა, შემდეგ კი მის შესახებ ათასგვარი ლეგენდა გაჩნდა. მაგრამ ყველა იგავი და ბიბლია, რომელიც დიდ ადამიანს მიეწერება, მისი ხასიათის თარგზე უნდა გამოიჭრას. ახალ აღთქმაში აღწერილი ყველა ამბავი ქრისტეს პიროვნებისა და მისი ცხოვრების შესახებ მიღებულ შეხედულებას შეესაბამება. ყველა ინდური გადმოცემა ბუდას შესახებ მის ცხოვრებას ერთი იდეით – სხვებისთვის თავგანწირვის იდეით კრავს. . . .

კრიშნასთან ჩვენ ორ მთავარ იდეას ვხვდებით: პირველი განსხვავებულ აზრთა ჰარმონიულობის იდეაა, მეორე კი მიუჯაჭველობის. ადამიანმა უმაღლეს მიზანს, სრულყოფილებას, ხელმწიფის ტახტზე ჯდომის, ჯარების ხელმძღვანელობის და ერებისთვის გრანდიოზული გეგმების შემუშავების დროსაც კი შეიძლება მიაღწიოს. თავად კრიშნამ თავისი მოძღვრება ბრძოლის ველზე იქადაგა.

კრიშნას არაფერი ჰქონდა საერთო ძველ ქურუმთა თვალთმაქცობასთან, მათს წეს-ჩვეულებებთან და მასკარადებთან და მაინც, მათში რაღაც სიკეთეს ხედავდა.

კარგია, თუ ძლიერი პიროვნება ბრძანდებით, მაგრამ ნურასოდეს გააკიცხავთ იმას, ვინც თქვენსავით ძლიერი ვერ არის. . . . ყველა ამბობს: „ვაი თქვენ, ხალხო!“ მაგრამ არავის უთქვამს: „ვაი ჩემს თავს, რომ ვერ გშველით თქვენ!“ ხალხი ყველაფერს თავისი შესაძლებლობის, უნარის და ცოდნის შესაბამისად აკეთებს. ვაი ჩემს თავს, რომ არ შემიძლია ამოვიყვანო ის იქ, სადაც მე ვარ!

კრიშნა ამბობს, რომ არაფერია ცუდი რიტუალებში, ღმერთების თაყვანისცემასა და მითებში. . . . რატომ? იმიტომ, რომ მათაც იგივე მიზნისკენ მივყავართ. ცერემონიები, წიგნები, გამოსახულებები – ეს ყველფერი ერთი ჯაჭვის რგოლებია. ჩაეჭიდეთ მათ! ეს რელიგიის ერთი მხარეა. თუ გულწრფელი ხართ და მართლა ეჭიდებით ერთ-ერთ რგოლს, ნულარ გაუშვებთ მას ხელს. სხვა ყველაფერი თავისით მოვა. მაგრამ ხალხი მათ არ ეჭიდება. ისინი დროს ჩხუბსა და იმაზე კამათში ფლანგავენ, თუ რას

უნდა ჩაეჭიდონ, ჩაჭიდებით კი არაფერს ეჭიდებიან. . . . ჩვენ სულ ჭეშმარიტებას ვეძებთ, მისი პოვნა კი არასოდეს გვინდა. ჩვენ უბრალოდ წინ და უკან სიარული და კითხვების დასმა გვსიამოვნებს. ასე ვხარჯავთ მოზღვავებულ ენერგიას. ამიტომ, ამბობს კრიშნა: ჩაეჭიდეთ საერთო ჯაჭვის რომელიმე რგოლს. არც ერთი ნაბიჯი სხვა ნაბიჯს არ სჯობს. . .

. ნუ გაკიცხავთ ნურც ერთ რელიგიურ ხედვას, თუკი ის გულწრფელია. ჩაეჭიდეთ რომელიმე რგოლს და ის გაგიყვანთ ფონს. დანარჩენს თქვენივე გული გასწავლით. ყოველგვარ ფილოსოფიას და რელიგიას შინაგანი მასწავლებელი აკისნით. . . .

კრიშნა, ისევე როგორც ქრისტე საკუთარ თავს ღმერთს უწოდებს. ის თავის თავში ღვთაებას ხედავს. „წამითაც კი ვერავინ გადაუხვევს ჩემი გზიდან. ყველანი ჩემთან უნდა მოხვიდეთ. ვინც არ უნდა იყოს და რა ღვთაებასაც, რა ხატებასაც არ უნდა სცემდეს თავყანს, მე ვაძლევ მას იმ ღვთაების რწმენას და მე ვევლინები იმ ხატების სახით,“ ამბობს ის. . . . მისი გული ყველასთვის ძგერს.

კრიშნა თავისი დამოუკიდებლობით ყველასაგან გამოიჩევა. შიშისმომგვრელია მისი უშიშრობა. ჩვენ ყველაფერზე ვართ დამოკიდებული – ორიოდ თბილ სიტყვაზე, გარემოებებზე... ფილოსოფიის მწვერვალი და ყველაზე დიდი ვაჟკაცობა კი ისაა, როცა სულს არ სურს რაიმეზე იყოს დამოკიდებული, თვით სიცოცხლეზეც კი. თავყანისცემას იგივე მიზნადვე მივყავართ. კრიშნა თავყანისცემას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ადიდეთ უფალი!

ქვეყნად მრავალნაირი თავყანისცემა არსებობს. ავადმყოფი ადამიანი ძლიერ ღვთისმომშიში ხდება. . . . ბევრს ლოცულობს ისიც, ვისაც ქონება დაუკარგავს და ფულის დაბრუნება სურს. თავყანისცემის უმაღლესი ფორმა კი ისაა, როცა ღმერთი გიყვარს და მისგან არაფერი გსურს. შეიძლება იკითხოთ, „თუკი ღმერთი არსებობს, რატომაა ქვეყნად ამდენი ტანჯვა?“ ამაზე მორწმუნე მოვიგებთ: „ქვეყნად უბედურება მეფობს, მაგრამ მეც სწორედ ამიტომ მიყვარს უფალი. იმისთვის კი არა, რომ ტანჯვა ამაცილოს, არამედ იმისთვის, რომ ის თვითონ სიყვარულია.“ ყველა სხვა თავყანისცემა დაბალი ღონისაა. თუმცა კრიშნა არაფერს გმობს. უქმად ყოფნას სჯობს რაიმე აკეთო. ვინც ღმერთს სცემს თავყანს, თანდათან გაიზრდება და უანგაროდ შეიყვარებს მას. . . .

როგორ მივაღწიოთ ამქვეყნად სიწმინდეს? ყველამ ტყვეს უნდა მივაშუროთ და გამოქვაბულში ვიცხოვროთ? რას გვარგებს ეს? თუ საკუთარ ფიქრს ვერ იმორჩილებთ, გამოქვაბულში ცხოვრებას აზრი არა აქვს, რადგან იქაც იგივე ფიქრი არ მოგასვენებთ. ყველა ეშმაკი ერთად დაგხვდებათ გამოქვაბულში, რადგან ყველა ეშმაკი თვით ჩვენშია. თუკი ფიქრს ვიმორჩილებთ, სადაც ჩვენ ვიქნებით, ჩვენი გამოქვაბულიც იქ იქნება.

ჩვენივე შინაგანი დამოკიდებულება ხდის სამყაროს ისეთს, როგორიც არის

ის ჩვენთვის. ჩვენივე ფიქრი ამშვენებებს ან ამახინჯებს საგნებს. მთელი სამყარო ჩვენშია. ისწავლეთ ყველაფრის სწორად დანახვა. პირველ რიგში ამ ქვეყნის იწამეთ – ყველაფერში აზრი დევს. სამყაროში ყველაფერი კარგი, წმინდა და მშვენიერია. თუ რაიმეში ბოროტებას ხედავთ, ჩათვალეთ, რომ რაღაც არ გესმით სწორად. საკუთარ თავზე აიღეთ პასუხისმგებლობა! . . . ყოველთვის, როცა ცდუნება გვძლევს და ვამბობთ, რომ ქვეყნიერება ჯანდაბისკენ მიექანება, საკუთარი თავი უნდა გავაანალიზოთ და დავინახავთ, რომ საგანთა სწორად ხედვის უნარი დაგვიკარგავს.

დღე და ღამ იშრომეთ! „ყოველგვარი მოვალეობა ბორკილია. მე კი არავის ვალი არ მაქვს, რადგან სამყაროს მეუფე ვარ. და მაინც ვშრომობ. წამითაც რომ შემეწყვიტა შრომა, ქვეყნიერება ქაოსში დაინთქმებოდა. შენც ასე იშრომე და ნუ იფიქრებ მოვალეობაზე“. . . .

სამყარო თამაშია. თქვენ *ძისი* პარტნიორები ხართ. მამ იმოქმედეთ! ნურაფერზე წუხთ და ნურაფერს ნანობთ. ცხოვერების ფსკერზეც და მის მწვერვალზეც *ძისი* თამაში დაინახეთ. იშრომეთ, რათა წამოაყენოთ ადამიანები, მაგრამ დაცემულებად და სულმდაბლებად ნუ ჩათვლით მათ. კრიშნას ეს არ უთქვამს.

თუ გიფიქრიათ, რატომ კეთდება ქვეყნად ასე ცოტა კეთილი საქმე? ქალბატონი მიდის ლატაკთან, . . . რამოდენიმე ღუკატს აძლევს და ეუბნება: „საწყალო კაცო, აიღე ეს და იყავი ბედნიერი! . . . ანდა მშვენიერი ბანოვანი ქუჩაში სეირნობისას ღარიბ ბიჭუნას ხედავს და რამოდენიმე ცენტს აძლევს. ნახეთ, როგორი ღვთის გმობაა! ბედნიერები იმით უნდა ვიყოთ, რომ უფალმა ახალი აღთქმით თავისი სწავლება დაგვიტოვა. „ის, რაც გაუკეთეთ ერთ ჩემს უმცროს ძმათაგანს, მე გამიკეთეთ,“ გვეუბნება იესო. ღვთის გმობაა იმის ფიქრი, რომ შეიძლება ვიღაცას დავეხმაროთ. ჯერ ეს აზრი ამოივდეთ თავიდან და ღმერთს მერე ეცით თავყვანი.

ყველა ღვთის შვილი იესოს შვილია – ერთი მამის სხვადასხვა განსხეულება. თუ გსურთ ღმერთს ემსახუროთ, . . . ცოცხალ ღმერთს ემსახურეთ! ის თქვენთან უსინათლოს, დავრდომილის, ღარიბის, უძლურისა და ეშმაკეულის სახით მოდის. თავყვანისცემის რა დიდებული შესაძლებლობაა! მაგრამ გაივლებთ თუ არა ფიქრად, რომ „ეხმარებით,“ ყველაფერს გააფუჭებთ და დევრადირდებით. ამ ცოდნით იშრომეთ. „ამით რას მივიღებ?“ იკითხავთ თქვენ. იმას, რომ გული აღარ გაგიტყდებათ და აღარ დაიტანჯებით. . . . თქვენს მიერ გაწეული შრომაც მონობა აღარ იქნება. ის თამაშად, სიხარულად გადაიქცევა. . . . იშრომეთ და ნუ მიეჯაჭვებით! ამამია მთელი საიდუმლო. მიჯაჭვულობა საცოდავებს გაგხდით. . . .

ჩვენ საკუთარ თავს ვაივივებთ ყველაფერ იმასთან, რასაც ვაკეთებთ. როცა ვინმე შეურაცხყოფას მყენებს, ბრაზი მაწვება. რამოდენიმე წამი მე და სიბრაზე ერთი ვართ, რის შედეგადაც უბედური ვხდები. მხოლოდ უფალს

მიეჯაჭვეთ, სხვას არაფერს, რადგან სხვა ყველაფერი არარეალურია. არარეალურთან მიეჯაჭვულობა უბედურებას მოგიტანთ. მხოლოდ ერთი არსებობაა რეალური, მხოლოდ ერთი სიცოცხლე, რომელშიც არც ობიექტია და არც სუბიექტი. . . .

მაგრამ მიუჯაჭველი სიყვარული არაფერს დაგიშავებთ. რაც გნებავთ, ის აკეთეთ – დაქორწინდით, შვილები გააჩინეთ... . . . რაც არ უნდა ქნათ, ვერაფერი გავნებთ. ნურაფერს იზამთ იმ ფიქრით, რომ რაიმე „თქვენია“. მოვალეობა მოვალეობისთვის, შრომა შრომისთვის. რა გენაღვლებათ? თქვენ ყველაფრისგან განზე დგახართ.

როცა ამგვარ მიუჯაჭველობამდე მივალთ, სამყაროს უდიდეს საიდუმლოს ჩავწვდებით. დავინახავთ, რომ იგი ერთდროულად დაძაბული მოქმედება და ვიბრაციაცაა და უდიდესი სიმშვიდეც; ყოველწამიერი შრომაც და მოსვენებაც. ესაა სამყაროს საიდუმლო – ის ერთდროულად უპიროვნოცაა და პიროვნულიც, უსასრულოც და სასრულიც. ასე ჩავწვდებით საიდუმლოს. „იოგი ისაა, ვინც დაძაბულ შრომაში უდიდეს სიმშვიდეს ხედავს, სიმშვიდის დროს კი დაძაბულ შრომაშია.“ მხოლოდ ის არის ნამდვილი მშრომელი, სხვა არავინ. ჩვენ ჩვენი შრომით თავს ვინაღვურებთ. რატომ? – საკუთარ სამუშაოს ვეჯაჭვებით. თუ არ მივეჯაჭვებით, პარალელურად უსასრულოდ დავისვენებთ. . . .

რა ძნელია ასეთ მიუჯაჭველობამდე მისვლა! სწორედ ამიტომ კრიშნა მისი მიღწევის მდაბალ გზებსა და მეთოდებზეც მიგვითითებს. ნებისმიერი ადამიანისთვის ყველაზე ადვილი გზა საქმის კეთება, თან კი მის შედეგებზე უარის თქმაა. ჩვენივე სურვილია ის, რაც გვბოჭავს. თუ საქმის ცუდ ან კარგ ნაყოფზე უარს ვერ ვიტყვით, მისი ზურგით თრევა მოგვიწევს, ხოლო თუ ჩვენი თავისთვის კი არა, ღვთის სადიდებლად ვიშრომებთ, ნაყოფი თვითონ იზრუნებს თავის თავზე. „საქმის კეთების უფლება გაქვთ, მაგრამ ნაყოფთან არა გაქვთ ხელი. ჯარისკაცი შედეგისთვის არ იბრძვის. ის თავის მოვალეობას ასრულებს. დამარცხებაც და გამარჯვებაც მას კი არა, გენერალს ეკუთვნის. ჩვენც ჩვენს საქმეს სიყვარულისთვის ვაკეთებთ, გენერლის სიყვარულისთვის, ღმერთის სიყვარულისთვის. . . .

თუ ძლიერი ხარ, შეუდექი ვედანტას ფილოსოფიას და დამოუკიდებელი იყავი. თუკი ეს გიმძიმს, ადიდე ღმერთი; თუ ესეც არ შეგიძლია, რაიმე გამოსახულებას ეცი თავყანი. თუ ამის ძალაც კი არ შეგწევს, რაიმე კარგი საქმე გააკეთე და სარგებელზე არ იფიქრო. ყველაფერი, რაც გაგაჩნია, ღმერთის მსახურებას შესწირე. ნუ დაიხვე უკან!

„ყვავილი, წყალი ან ხის ნაყოფი, თუნდაც ფოთოლი თუ შემომწირეს, დიდად მივიღებ მე გულმართალთა გულით მორთმეულ საჩუქარს მცირეს.“ [9.26.]

თუ ერთი კეთილი საქმის გაკეთების ძალაც არ გაქვთ, მაშინ ღმერთს შეაფარეთ თავი.

„არჯუნა, ღმერთი ყველა სულდგმულის გულისგულშია დავანებული, უფლის ხელითვე მათ ატრიალებს ზმანების ეტლი, გაქანებული.“ [18.61.]

„უფალს მიენდე მთელი არსებით, ამქვეყნად მხოლოდ ის მიინდობა და მოგეცემა მისი წყალობით უკვდავება და ზენა მშვიდობა.“ [18.62.]

ასეთია ძირითადი აზრი იმ სიყვარულის მოძღვრებისა, რომელსაც კრიშნა *გიტაში* გვიზიარებს. ამქვეყნად სიყვარულის მოძღვრების შემცველი სხვა დიდი წიგნებიც არსებობს – მაგალითად ბუდასა და ქრისტეს შესახებ. . . .

ახლა ორიოდ სიტყვით კრიშნას ცხოვრებაზე უნდა მოვითხროთ. კრიშნასა და ქრისტეს ცხოვრება ძლიერ ჰგავს ერთმანეთს. იმაზეც კი კამათობენ, თუ ვინ ვის დაესესხა.

ორივეს გაჩენის დროისთვის ტირანი მეფობდა. ორივე ბაგაში დაიბადა. ორივეს გაჩენისას მშობლები გზაში იყვნენ. ორივე ანგელოზმა იხსნა. ორივე შემთხვევაში იმ წელს დაბადებული ყველა ბიჭი დახოცეს. ბავშვობა მათ ერთნაირი ჰქონდათ. . . . და კიდევ – ორივეს სიცოცხლე მკვლელობით დასრულდა. კრიშნა უნებლიედ შემოაკვდათ. თავისი მკვლეელი მან ცად აღამაღლა. ქრისტეც მოკლეს და მან დალოცა ავაზაკი და სამოთხეში შეუშვა იგი.

ახალი აღთქმისა და *გიტას* მოძღვრებებიც ძლიერ ჰგავს ერთმანეთს. ადამიანის ფიქრი ერთნაირად მიიკვლევს გზას. . . . ამის პასუხს თვით კრიშნას სიტყვებში ვიპოვით: „როცა სიწმინდე მცირდება და უღმერთობა¹¹ მძლავრობს, მე მოვდივარ ქვეყნად – მართალთა შემწედ ვბრუნდები მიწაზე ისევ და ისევ. ამიტომ როცა კაცთა მოდგმის ასამაღლებლად მოღვაწე დიად სულს შეხვდები, იცოდე, რომ მე მოვედი და თავყვანი ეცი.“ . . .

„როცა ეცემა ქვეყნად სიწმინდე, უკეთურობით ქვედამხობილი, მე ვევლინები ქვეყნიერებას, ჩემივე ნებით გამოხმობილი. [4.7.]

ბოროტეულთა მღეწველად, მკვლელად, მართალთა შემწედ, და მათდა მხსნელად, ჟამიდან ჟამად მე ვიბადები სჯულიერების დამდგენად, მცველად.“ [4.8.]

¹¹ „უღმერთობა“ ამ შემთხვევაში სანსკრიტული სიტყვის, დჰარმას (რელიგიური კანონი) თავისუფალი თარგმანია. იხ. განმ. 1.39.

„რაგინდ უზადო იყოს ქმნილება, ახლდეს შვენება, ძალა, დიდება, იცოდე, ისიც ჩემი შვენების ნაპერწკლისაგან წარმოდინდება.“ [10.41.]

მაგრამ საკითხავია, თუკი ქრისტეს ან ბუდას სახით თვით ღმერთი გვეცხადება, მაშინ რატომაა ქვეყნად ამდენი განხეთქილება? სწავლებას შესრულება სჭირდება! ღვთის ერთგული ჰინდუ გეტყვით, რომ თვით ღმერთია ქრისტეც, კრიშნაც, ბუდაც და ყველა სხვა დიდი მასწავლებელიც. ჰინდუ ფილოსოფოსი აგინით, რომ ესენი ყველანი დიადი სულები არიან. ისინი უკვე განთავისუფლდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, უარი თქვენს საკუთარ თავისუფლებას მანამდე, სანამ მთელი სამყარო იტანჯება. კვლავ და კვლავ ბრუნდებიან ისინი, ადამიანის სახეს იღებენ და კაცობრიობას ეშველებიან. მათ ბავშვობიდან იციან, ვინ არიან და რისთვის მოვიდნენ . . . და ჩვენსავით მიჯაჭვულობის გამო არ შობიან. . . . თავისივე თავისუფალი ნებით მოდიან და უნებურად უზარმაზარ სულიერ ძალას ასხივებენ. ამას წინ ვერაფერი დაუდგება. კაცთა მოდგმის უმეტესი ნაწილი სულიერების მორევში ეშვება და ამ მოძრაობას მხოლოდ იმიტომ არ უჩანს ბოლო, რომ ერთ-ერთმა დიადმა სულმა მისცა ბიძგი. ეს ყველაფერი მანამდე გაგრძელდება, სანამ მთელი კაცობრიობა არ გათავისუფლდება და ამ პლანეტაზე დადგმული წარმოდგენაც არ დასრულდება.

დიდება იმ დიად სულებს, რომელთა ცხოვრებასაც ჩვენ ვსწავლობთ! ისინი ამ სამყაროს ცოცხალი ღმერთები არიან და თავყანიც მათ უნდა ვცეთ. ჩვენ მას მხოლოდ მაშინ ვცნობთ, როცა ადამიანის სახით გვეცხადება. სინამდვილეში კი ის ყველგანაა, მაგრამ ჩვენ ვერ ვხედავთ. მხოლოდ მაშინ ვამჩნევთ, როცა ადამიანის ფორმით იზღუდება. . . . თუკი ადამიანები და . . . ცხოველები ღვთის გამოვლინებანი არიან, მაშინ ეს მასწავლებლები მათ წინამძღოლებად, გურუებად¹² უნდა მივიჩნიოთ. დიდება თქვენ, ვის ფეხის ტერფებსაც ანგელოზნი ეთაყვანებიან! დიდება თქვენ, კაცობრიობის წინამძღოლნი! დიდება თქვენ, დილო მოძღვარნი! მარად და მარად გადიდებთ თქვენ!



¹² ძველინდური ტრაქტატების, „შასტრების“ მასწავლებელი; ზოგადად მოძღვარი.

ფიქრები გიტაზე

1987 წელს, კალკუტაში ყოფნის დროს, სვამი ვივეკანანდა დროის უძეტეს ნაწილს იმ დროს აღაპმა ზარში განლაგებულ რამაკრიშნას¹³ მისიის ოფისში ატარებდა.

ამ პერიოდში რამდენიმე ახალგაზრდა, რომელსაც მანამდე ვარკვეული მომზადება ჰქონდა გავლილი, მის ვარშეში შეიკრიბა და ბრაჰმჩარიასა¹⁴ და სანიასის¹⁵ ფიცი დადო. სვამი მომავალი მოღვაწეობისთვის მათ მომზადებას შეუდგა. ის მათ „გიტას“ და ვედანტას შესახებ ლექციებს უკითხავდა და მედიტაციის პრაქტიკას აზიარებდა. ერთ-ერთ ასეთ ლექციაზე ის მათ უზადლო ბენგალურით „გიტას“ შესახებ ესაუბრა. წინამძღებარე ტექსტი მისიის დღიურში შეტანილი ამ ლექციის ჩანაწერის თარგმანს წარმოადგენს:

გიტას სახელით ცნობილი წიგნი *მაჰაბჰარატას*¹⁶ ნაწილია. გიტა რომ კარგად გავიგოთ, ზოგიერთ რამეში უნდა გავერკვეთ. პირველ ყოვლისა, მართლა წარმოადგენს თუ არა ის *მაჰაბჰარატას* ნაწილს, ანუ მისი ავტორობა მთლიანად ვედა-ვიასას მიეწერება თუ დიად ეპოსში ის მხოლოდ მოგვიანებით შეიტანეს; მართლა არსებობდა თუ არა პიროვნება, სახელიად კრიშნა და მართლა მოხდა თუ არა კურუქშეტერას ბრძოლა. და კიდევ: რეალური ისტორიული პიროვნებები არიან თუ არა არჯუნა და სხვები.

პირველ რიგში ვნახოთ, რა საფუძველი გვაქვს ასეთი კვლევისათვის. ჩვენ ვიცით, რომ ვედა-ვიასას სახელით ბევრი ავტორია ცნობილი; რომელი იყო მათ შორის *გიტას* შემქმნელი – ბადარაიანა ვიასა თუ

¹³ რამაკრიშნა - ვივეკანანდას სულიერი მამა და მასწავლებელი. მიხეულობა ერთ-ერთ ავატარად, ანუ დმერთის ერთ-ერთ გამოცხადებად, ზორცშესხმად დღამიწაზე. ჰყავდა მოწაფეები, რომელთა შორის იყო ვივეკანანდა. ინდოეთში დღესაც არსებობს მისი საზოგადოება. მისმა მოწაფეებმა აღწერეს მისი ცხოვრება. მისი იგავების წიგნს ეწოდება „რამაკრიშნას სახარება“.

¹⁴ ბრაჰმანის ცხოვრების პირველი სტადია, რომელიც მოწაფეობასა და უბიწოების აღთქმის დადებას გულისხმობს. (იხ. ვარნა, განმ. 4.13.)

¹⁵ პინდუ მიხეტაილე განდევლია.

¹⁶ ეპიკური პოემა, რომლის ავტორობაც ვიასას მიეწერება და რომელიც პანდაველებსა და კაურავებს შორის დაპირისპირებაზე მოვითხრობს. შედგება დაახლოებით ასი ასთის შლოკისაგან. ტრადიციულად „გიტა“ მხოვლიონ უდიდესი ეპოსის, „მაჰაბჰარატას“ მეექვსე, დასკვნით ნაწილად ითვლება.

დვაიპიანა ვიასა?

“ვიასა” მხოლოდ წოდებაა. ასე იწოდებოდა ნებისმიერი, ვინც ახალ პურანას შექმნიდა. ეს ისეთივე საზოგადო სახელია, როგორც ვიკრამადიტია.¹⁷

არსებობს აზრი, რომ ხალხის დიდი ნაწილისთვის გიტას მანამდე ვერ გახდა ცნობილი, სანამ შანკარაჩარიამ¹⁸ თავისი ცნობილი გიტას კომენტარი არ დაწერა.

ბევრი ფიქრობს, რომ მანამდე დიდი ხნით ადრე ბოდჰიანას კომენტარი დაიწერა. ამის დამტკიცება რომ შეიძლებოდა, მაშინ რა თქმა უნდა, გიტას სიძველე და ვიასას ავტორობაც დადასტურდებოდა, მაგრამ ვედანტა-სუტრას ბოდჰიანა ბჰასია, რომლისგანაც რამანუჯამ¹⁹ შანკარაჩარიას მიერ თავის კომენტარში ნახსენები და აქა-იქ ციტირებული თავისი შრი-ბჰასია შეადგინა – ეს ბოდჰიანა ბჰასია მე მთელს ინდოეთში ვერსად აღმოვაჩინე. ამბობენ, რამაჯუნამაც კი თავისი ბჰასია შემთხვევით ნაპოვნ, მატლის ნაჭამ მანუსკრიპტზე დაყრდნობით შექმნაო. მაშინ, როცა ვედანტა-სუტრას ეს დიდებული ბოდჰიანა სუტრაც კი გაურკვევლობის ბურუსითაა მოცული, გიტას ბოდჰიანა ბჰასიას არსებობის მტკიცება სრული უაზრობაა. ზოგის აზრით, გიტას ავტორი შინკარაჩარიაა და მაჰაბჰარატაშიც მან ჩართო იგი.

ეჭვი შეაქვთ კრიშნას პიროვნების რეალურობაშიც. ჩაჰანდოვია უპანიშად-ში²⁰ ერთგან ნახსენებია კრიშნა, დევაეის ძე, რომელმაც სულიერი დარიცება

¹⁷ მეფე, უჯაინის მმართველი, სწავლულთა და პოეტების მფარველი.

¹⁸ შანკარაჩარია – („მასწავლებელი შანკარა“) ანუ შანკარა. უდიდესი ფილოსოფოსი. ცხოვრობდა დაახლოებით ჩვენს წელთაღრიცხვში საუკუნეებში. ადვაიტა-ვედანტას კლასიკოსი და უმთავრესი წარმომადგენელი. ბერობა (სანაისა) აღიარებდა ასაკში მიიღო. მოიარა მთელი ინდოეთი. სიტყვით გამოდიოდა უაზრად დისპუტში. იყო შეუღარებელი პოლიემისტი. ვედანტისტად აქცია მიმხნას უდიდესი ფილოსოფოსი, მანდანა მიშრა. დააარსა ოთხი მონასტერი (მათა) და სანაისითა ათი ორდენი, რომელთაგან ზოთი დღესაც არსებობს. ბრალს სდებდნენ „ფარულ ბუდიზმში“. მისი მოყვარი თხზულებებია კომენტარები „ბრაჰმა-სუტრაზე“, XI „უპანიშადზე“ და „ვიტაზე“; აგრეთვე შესანიშნავი რელიგიურ-ფილოსოფიური პოემები ვივეკანტა-სუტრას („შოაძების მარჯალოტი“), ატმბოდჰა („თავისთავადობის შეცნობა“), აპაროკმანუ-გჰოტი („დაუსწრებელი შეცნობა“), ანანდალაპარა („ნეტარების ტაღლა“);

¹⁹ უდიდესი ვიშნუიტი ფილოსოფოსი, ვიშნუტა-ადვაიტას ფილოსოფიისა და ბჰაქტის ოთხი ტრადიციიდან ერთ-ერთის, შრიანამზადის ფუძემდებელი. ახალგაზრდობაში შანკარას სკოლას ეკუთვნოდა, შემდეგ კი ვიშნუიტი გახდა და ვედანტას მონოთეისტური ვარიანტი შექმნა, რომელიც ადვაიტას მონიზმს დაუპირისპირა. წარმოშობით ტამილელი ბრაჰმანი იყო. დაარსა მონასტერი შრიანანტამში, სადაც გაატარა სიცოცხლის უმეტესი ნაწილი. მისი მოყვარი ნამ-რობებია „ბრაჰმა-სუტრასა“ და „ვიტას“ კომენტარები.

²⁰ „უპანიშადების“ ერთ-ერთი წიგნი. იხ. „ვედები“, განმ. 2.45.

იოგ გპორასგან მიიღო. *მაპაბჰარატაში* კრიშნა დვარაკას მეფეა; *ვიშნუ პურანაში*²¹ გოპებთან²² მოთამაშე კრიშნას ვხვდებით. *ბჰავაგუტამში* მისი რასალილა²³ დეტალურადაა აღწერილი. ძალიან ძველად ჩვენს ქვეყანაში მოდაში იყო უტსავა,²⁴ სახელად მადანოტსავა (კუპიდონის საპატივცემულო დღესასწაული). სწორედ ეს უტსავა გადაიქცა დოლად²⁵ (ანუ სიხარული მწუხარებით შეიცვალა, *მთარგმ*), რომელიც კრიშნას მიეწერა.

ვინ იქნება ისეთი გაბედული, რომ ამტკიცოს, რომ „რასალილა“ და სხვა ათასი რამ სწორედ ასე არ მიეწერა კრიშნას? ძველ დროში ჩვენს ქვეყანაში ისტორიული კვლევით სიმართლის დადგენას დიდი ყურადღება არ ექცეოდა, ასე რომ, ნებისმიერს შეეძლო ეთქვა, რაც თვითონ მიაჩნდა სწორად და თავისი ნათქვამი არავითარი ფაქტებით არ გაემყარებინა.

მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ძველ დროში ადამიანებს სახელისა და დიდებისაკენ ასეთი დიდი ლტოლვა არ ახასიათებდათ. ამიტომ ხშირად ხდებოდა, რომ ვინმე წიგნს შეადგენდა და ავტორობას თავის გურუს ან სხვა ვინმეს მიაწერდა. ამის გამო მკვლევარისთვის ისტორიული სიმართლის დადგენა მეტისმეტად რთულდება. ძველად არც გეოგრაფია იცოდნენ. ფანტაზიას ფრთა ჰქონდა გაშლილი. ამიტომ ვხვდებით წარმოსახვის ისეთ ფანტასტიურ ქმნილებებს, როგორებიცაა “ტბილი ოკეანე”, “რძის ოკეანე”, “წმინდა კარაქის ოკეანე”, “საჭოს ოკეანე” და ა.შ. *პურანებში* ვკითხულობთ, რომ ვიღაცამ ათი ათასი წელი იცოცხლა, ვიღაცამ კი ასი ათასი წელი! თუმცა *ვედებში* წერია, რომ „ადამიანი ას წელს ცოცხლობს.“ ვის უნდა დავუჯეროთ? კრიშნას შემთხვევაში სწორ დასკვნამდე მისვლა თითქმის შეუძლებელია.

ადამიანებს რეალურად არსებული დიდი პიროვნებისათვის ათასგვარი, გამოგონილი და ზებუნებრივი თვისებების მიწერა ახასიათებთ.

ალბათ კრიშნას შემთხვევაშიც მსგავსი რაღაც მოხდა, მაგრამ მაინც სრუ-

²¹ ერთ-ერთი „პურანას“ სახელწოდება. „პურანები“ მითებისა და ლეგენდების კრებულია, რომლის ავტორობაც ვიასას მიეწერება. სულ თვრამეტი ძირითადი „პურანა“ არსებობს. მათ ჩე.წ. აღ-მდე პირველი ათასწლეულით ათარიღებენ.

²² მწვემში გოგო.

²³ რასლილა, ანუ კრიშნალილა ჩრდილოეთ ინდური მისტერიული ხალხური დრამაა და დაკავშირებულია კრიშნას კულთან. მის წარმოშობას იმ მითს უკავშირებენ, რომლის მიხედვითაც მწვემში გოგონება, ვოპები წრეში ცეკვავენ და კრიშნას ვძირობებს ვანასახეურებენ. ხელავს რა მისდაძი მათ ერთგულებას, თამაშში თვითონ კრიშნა ერთვება. როგორც თეატრალური წარმოდგენა, დასრულებული სახით რასალილა მთიეცხმეტე საუკუნიდან, კრიშნაილი ბაკატების მოძრაობის განვითარების პერიოდიდან გეზვდება.

²⁴ დღესასწაული.

²⁵ დოლა – ვასენება, დაკრძალვის რიტუალი.

ლიად შესაძლებელია, რომ ის მეფე ყოფილიყო. სრულიად შესაძლებელია-მეთქი, ვამბობ, რადგან ძველად ჩვენს ქვეყანაში *ბრაჰმ-ჯნანას*²⁶ ქადაგებით უმეტესად მეფეები იყვნენ დაკავებული. აუცილებელია იმის ცოდნაც, რომ ვინც არ უნდა ყოფილიყო *გიტას* ავტორი, მისი სწავლება აბსოლუტურად ემთხვევა მთელს *მაჰაბჰარატას* მსოფლმხედველობას. აქედან თავისუფლად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ *მაჰაბჰარატას* ეპოქაში გამოჩნდნენ დიდი ადამიანები, რომლებიც *ბრაჰმ-ჯნანას* მაშინდელი საზოგადოებისთვის ახალი ფორმით ქადაგებდნენ. აგრეთვე თვალშისაცემია ის ფაქტიც, რომ ძველ დროში ერთი-მეორის მიყოლებით ჩნდებოდა ახალ-ახალი სექტები, თავ-თავისი ახალი „წმინდა წერილით“. ზოგჯერ დროთა განმავლობაში სექტაც და მისი წმინდა წერილიც დავიწყებას ეძლეოდა, მაგრამ ისეც ხდებოდა, რომ სექტა არსებობას წყვეტდა, მაგრამ მისი წმინდა წერილი რჩებოდა. სრულიად შესაძლებელია, *გიტაც* ერთ-ერთი იმ სექტის წმინდა წერილი ყოფილიყო, რომელმაც ყველა თავისი მაღალი და კეთილშობილური იდეა ამ წიგნში ჩააქსოვა.

რაც შეეხება კურუქშეტერას ბრძოლას, შეუძლებელია რაიმე საბუთის მოშველიება იმის სასარგებლოდ, რომ ის მართლაც მოხდა. ეჭვი არაა, რომ კაურავები და პანჩალები მართლა ებრძოდნენ ერთმანეთს. საკითხავია, როგორ უნდა ემსჯელოთ ამდენი *ჯნანას*, *ბჰაქტის*²⁷ და *იოგას*²⁸ შესახებ ბრძოლის ველზე, სადაც ერთმანეთის პირისპირ გამწკრივებული ორი არმია ომის დაწყებას ელოდა? ან იყო კი იქ ვინმე სტენოგრაფისტი, რომ კრიშნასა და არჯუნას მიერ შუაგულ ბრძოლის ველზე ნათქვამი ყოველი სიტყვა ჩაეწერა?

ზოგის აზრით, კურუქშეტერას ბრძოლა მხოლოდ ალეგორიაა. როცა მის ეზოთერულ მნიშვნელობას ვაფასებთ, ვხვდებით, რომ ეს ადამიანში კეთილ და ბოროტ მიდრეკილებებს შორის მუდმივ ბრძოლას აღნიშნავს. ასეთი გაგებაც არ უნდა იყოს აზრს მოკლებული.

დიდი საფუძველი გვაქვს ეჭვი შევიტანოთ არჯუნასა და სხვა პიროვნებათა ისტორიულობაშიც. *შატაპათა ბრაჰმინა*²⁹ ძალიან ძველი წიგნია. მასში თითქმის ყველა სახელია შეტანილი, ვისაც კი *აშვამედჰა იაჯნა*³⁰ შეუსრულებია, მაგრამ არა თუ ნახსენები არაა, გადაკვრიოთაც არაფერია

²⁶ *კუმშარიტი, წმინდა ცოდნა, ანუ ცოდნა სამყაროსა და ბრაჰმის ივევიების შესახებ.*

²⁷ *ჯნანა (ცოდნა) და ბჰაქტი (ერთვულება, სიყვარული) პინდუთა რელიგიური პრაქტიკის საბუთებია. არსებობს ჯნანა-იოგა (შეტყუების ვნა) და ბჰაქტი-იოგა (ერთვულების ვნა).*

²⁸ *პინდური ფილოსოფიის ექვსი ორიოდიოქსული სისტემადან ერთ-ერთი. (იხ. კანმ. თავი მეორე.)*

²⁹ *„კულების“ ერთ-ერთი წიგნი. (იხ. კანმ. 2.4.5.)*

³⁰ *ცხენის მსხვერპლად შეწირვის უძველესი რიტუალი, რომელსაც ხელმოწვეები ასრულებდნენ.*

ნათქვამი არჯუუნასა და სხვათა შესახებ, თუმცა ნახსენებია ჯანამეჯაია, პარიკმიტის ძე, რომელიც არჯუუნას შვილიშვილი გახლდათ. მიუხედავად ამისა, *მაჰაბჰარატას* და სხვა წიგნებში ნათქვამია, რომ იუდპითჰირა,³¹ არჯუუნა და სხვები *აშვათედჰას* წირვას ასრულებდნენ.

განსაკუთრებით კარგად უნდა დავინსოძოთ ერთი რამ: ის, რომ, სინამდვილეში არავითარი კავშირი არ არსებობს ამ ისტორიულ კვლევასა და ჩვენს ნამდვილ მიზანს, ანუ იმ ცოდნას შორის, რომელიც *დჰარმას* გვაზიარებს. დღეს თუნდაც დამტკიცდეს, რომ ყველაფერი ეს მთლიანად მოგონილია, ჩვენ ამით არაფერს დავკარგავთ. მაშინ რა აზრი აქვს ამდენ ისტორიულ კვლევა-ძიებასო, იკითხავთ თქვენ. ეს მთლად უსარგებლო საქმე არ გახლავთ, რადგან ჩვენ სიმართლე უნდა დავადგინოთ და უცოდინრობის გამო გაჩენილ არასწორ აზრთა ტყვეობაში დარჩენა არაფერს გვარგებს.

ამ ქვეყანაში ასეთი კვლევის მნიშვნელობაზე არ ფიქრობენ. ბევრ სექტას სჯერა, რომ ისეთი ტყუილი, რომელიც ადამიანებისთვის სიკეთის მომტანი, კეთილშობილური იდეის ქადაგებაში გვეხმარება, უფლებელი რამაა. ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიზანი ამართლებს საშუალებას. სწორედ ამიტომ იწყება ბევრი ჩვენი *ტანტრა*³² სიტყვებით “მაჰადევაჰ”³³ უთხრა პარვატის”³⁴ მაგრამ ჩვენი ვალი სიმართლის დადგენა და მხოლოდ სიმართლის დაჯერება უნდა იყოს. ცრურწმენებისა და ძველი ტრადიციების რწმენის ძალა იმდენად ძლიერია, რომ იესო ქრისტეს, მუჰამედსა და სხვა დიდ ადამიანებსაც კი სჯეროდათ და ვერ თავისუფლდებოდნენ მათგან. ყოველთვის სიმართლეს უნდა ეძებდეთ და ყოველგვარი ცრურწმენისგან უნდა განთავისუფლდეთ.

ახლა კი ვნახოთ, რას წარმოადგენს თავად *გიტა*. თუკი *უპანიშადებს* შევისწავლით, დავინახავთ, რომ მათი კითხვისას ათასი უადგილო თემის გროვაში უცებ ჭეშმარიტების განხილვას ვაწყდებით ხოლმე. სწორედ ისე, როგორც მოგზაური აწყდება ტყეში აქა-იქ სულ მთლად ეკალბარდში გახლართულ მშვენიერ ვარდს.

მასთან შედარებით *გიტა* აწყობილ, მიჯრით მიწყობილ და თავთავის ადგილ მიჩენილ ჭეშმარიტებათა ასხმას ჰგავს – მშვენიერ გირლანდას ან ნარჩევ ყვავილთა თაიგულს. *უპანიშადებში* საგულდაგულოდაა დამუშავებული *შრადღჰა*,³⁵ მაგრამ თითქმის არაა ნახსენები *ბჰაქტი*. მეორეს

³¹ „მაჰაბჰარატას“ ერთ-ერთი ვმირი, იამსს ძე, უფროსი პანდავლი.

³² რელიგიური და მეიური შინაარსის ნაწარმოებები. იხ. განმ. ნ.1.

³³ მაჰადევა, ანუ „უღიადესი, უმთავრესი ღმერთი,“ შივას ეპითეტია.

³⁴ ჯღღმერთი, შივას მუღღლე.

³⁵ მორწმუნე.

მხრივ, *გიტაში* ის არა მხოლოდ მრავალჯერაა ნახსენები, არამედ *ბჰაქტის* სიღრმისეული სული მასში თავის კულმინაციას აღწევს.

ასეა *გიტას* რამდენიმე მთავარი დებულება განვიხილოთ. რა არის *გიტას* ორიგინალურობის საიდუმლო? რა გამოარჩევს მას ყველა მაშინდელი წმინდა წერილისგან? აი, რა: მიუხედავად იმისა, რომ მის გამორჩენამდე *იოვას, ჯანანას, ბჰაქტისა* და ა.შ. თავისი ერთგული მიმდევრები ჰყავდა, ყველა ისინი ერთმანეთთან დაობდნენ და მათ მიერ არჩეული გზის უპირატესობის დამტკიცებას ცდილობდნენ. არავის უცდია ოდესმე, ეს განსხვავებული გზები ერთმანეთთან შეერივებინა. მათი ჰარმონიული შეთანხმება პირველად სწორედ *გიტას* ავტორმა სცადა. მან ყველა უკვე არსებული სექტისგან ყოველივე საუკეთესო აიღო და *გიტაში* ჩააქსოვა, მაგრამ ურთიერთმოქიშპე სექტებს შორის თანხმობის (*სანმკაიას*) მიღწევა კრიშნამაც კი ვერ მოახერხა. ამ მიზანს ბოლომდე მხოლოდ რამაკრიშნა პარამაჰამსამ³⁶ მიაღწია მეცხრამეტე საუკუნეში.

გიტას შემდეგი მიღწევა *ნიშკამ კარმას*, ანუ მიჯაჭვულობის გარეშე შრომა. დღეს ადამიანებს ამის მნიშვნელობა სხვადასხვანაირად ესმით. ზოგიერთის თქმით, ამით ის იგულისხმება, რომ ადამიანი უმიზნო უნდა გახდეს. ეს რომ ამის ნამდვილი აზრი იყოს, უგულო მხეცები და კედლები *ნიშკამ კარმას* უბადლო მოღვაწეები იქნებოდნენ. ბევრს ჯანაკას³⁷ მაგალითი მოჰყავს და სურს, ისეთივე აღიარებას მიაღწიოს, როგორც *ნიშკამ-კარმას* ძველმა ოსტატებმა მოიპოვეს!

ჯანაკას (სიტყვა-სიტყვით მამა) ასეთი სახელი ბევრი შვილების გაჩენით არ დაუმსახურებია, მაგრამ ზოგს ჯანაკობის მოპოვება სწორედ მხოლოდ რაც შეიძლება ბევრი შვილის გაჩენით სურს. არა! ჭეშმარიტი *ნიშკამ კარმა* (სურვილის გარეშე მშრომელი) არც მხეცია და არც უსიცოცხლო ან უგულო რამ. ის *ტამასეული* კი არ არის, არამედ პირწმინდად *სატვასმეორი*. ის იმდენად სავსეა სიყვარულითა და თანაგრძნობით, რომ შეუძლია მთელი მსოფლიო სიყვარულით ჩაიკრას გულში. როგორც წესი, მსოფლიოს არ შეუძლია მის ყოვლისმომცველ სიყვარულსა და თანაგრძნობას ჩასწვდეს.

დაკარმას სხვადასხვა გზათა შერიგება და სურვილისა და მიჯაჭვულობის გარეშე შრომა *გიტას* ორი ძირითადი განმასხვავებელი ნიშანია.

ასეა რამდენიმე სტროფი წავეიკითხოთ მეორე თავიდან:

„რა დაინახა თვალცრემლიანი, ნალველნარევი და გულშემძრული,
არ დაიშურა მადჰუს³⁸ მძლეველმა არჯუნასათვის სიტყვები ბრძნული.“[2.1.]

³⁶ სულის უმაღლესი მდგომარეობის, სრულყოფილი ატმანის აღმნიშვნელი ტერმინი. გამოიყენება უდიდესი სულიერი ავტორიტეტების მიხედვით.

³⁷ ვიდეას სამეფოს ერთ-ერთი მეფე.

³⁸ მითიური დემონი, რომელიც კრიშნამ დაამარცხა.

შირი ბჰაგავანმა თქვა:

ნეტავ საიდან ეს სულმდაბლობა? ჭირს მწუხარებით ვერვინ უშველის!
ვინც გასაჭირში სულით ეცემა, ზეცა კი არა, სირცხვილი ელის. [2.2.]

ქელს ნუ მოუხრი მაგ სიდაბუნეს, ნუ გეგონება შენი საფერი,
ნუ დანებდები გულს დაკნინებულს, ფეხზე წამოდექ, შემუხრე მტერი!“ [2.3.]

რა მშვენივრად, რა პოეტურადაა დახატული არჯუნას ნამდვილი პოზიცია ამ შლოკებში³⁹! „რა დაინახა თვალცრემლიანი...“. შირი კრიშნა რჩევას აძლევს არჯუნას. რატომ უნდა იბრძოლოს არჯუნამ? იმიტომ, რომ მას ბრძოლაზე უარი *წმინდა სატყა-გუნას* სიჭარბის გამო არ უთქვამს; მას ეს გადაწყვეტილება *ტამასმ* მიაღებინა. *სატყა-გუნაში* მყოფი ადამიანის ბუნებას ყოველგვარ ცხოვრებისეულ მდგომარეობაში, სიმდიდრე იქნება ეს თუ გაჭირვება, ერთნაირი სიმშვიდე ახასიათებს.

მაგრამ არჯუნა შიშმა შეიპყრო. ის სიბრალულმა მოიცვა. ის, რომ მეომრის ინსტიქტი და ბრძოლის სურვილი მას არ აკლდა, იმ უბრალო ფაქტიდანაც კარგად ჩანს, რომ ბრძოლის ველზე მხოლოდ ამ სურვილით მოვიდა. მსგავსი რამის მოწმე ცხოვრებაშიც ხშირად ვხვდებით. ბევრს ჰგონია, რომ *სატყიური* ბუნებისაა, სინამდვილეში კი თხემით ტერფამდე *ტამსეულია*. ბევრ ისეთ ადამიანს, უწმინდურად რომ ცხოვრობს, თავი *პარამაჰმსა* ჰგონია! რატომ? იმიტომ, რომ *შსსტრებში*⁴⁰ წერია, რომ *პარამაჰმები* მცონარა, ჭკუაშერყეული ან სულაც უწმინდური სულის ადამიანებივით ცხოვრობენ. ისინი ბავშვებს არიან შედარებულნი, მაგრამ კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ეს შედარება ცალმხრივია. *პარამაჰმსა* და ბავშვი ერთი და იგივე არ არის. მათ შორის სხვაობაა. ისინი მხოლოდ ჰგვანან ერთმანეთს და ასე ვთქვათ, ორ საპირისპირო პოლუსს წარმოადგენენ. ერთმა *ჯნანს* მიღმიერ მდგომარეობას მიაღწია, მეორეს კი ჯერ არც კი გაუგია, *ჯნან* რა არის. სინათლის ორივენაირი – ყველაზე სწრაფი და ყველაზე ფაქიზი ვიბრაცია ჩვეულებრივი თვალისთვის შეუძნეველია. მაგრამ ერთს უკიდურესი მხურვალება ახასიათებს, როცა მეორე, შეიძლება ითქვას, სითბოს სრულიად მოკლებულია. იგივე ითქმის *სატყასა* და *ტამასის* ურთიერთსაპირისპირო თვისებებზეც. ეჭვი არაა, რომ რაღაც კუთხით ისინი ერთნაირები ჩანან, მაგრამ სინამდვილეში მათ შორის უზარმაზარი სხვაობაა.

ტამაგუნას ძალიან უყვარს *სატყას* ტანისამოსში გამოწყობა. არ-

³⁹ *ლექსის ზომს. შედგება ორი თექვსმეტმარცვლიანი ტაჰისივან, რომლებით ცეზურით ორ ნაწილად, ...აღებდა“ იყოფა.*

⁴⁰ *სხვადასხვა თემაზე შექმნილი ძველინდური ტრაქტატები.*

ჯუნას, მძლეთამძლე მეომრის არსებაში იგი სიბრაულის (დაიას) ნიღბით შეიპარა.

რას ამბობს ბჰაგავან შრი კრიშნა იმ ილუზიის გასაფანტად, არ-ჯუნას რომ დაუფლება? მე მუდამ ვქადაგებ, რომ ადამიანი კი არ უნდა დაგმო და კი არ უნდა უკიჟინო, ცოდვილი ხარო, არამედ მისი ყურადღება მისსავე ყოვლისშემძლე ბუნებისაკენ უნდა მიაპყრო. სწორედ ასე იქცევა არჯუნასთან საუბრისას კრიშნა: „ეს შენ არ შეგშენის!“ „შენ წარუდინელი ატმანი ხარ, ყოველივე ბოროტის მიღმა მყოფი. შენივე ჭეშმარიტი ბუნების დამეიწყებმა და მიწიერი ტკივილითა და ნაღველით დამძიმებულმა, თავი ცოდვილად მიიჩნიე და შენ თვითონ აქციე ასეთად. შენ ეს არ შეგშენის!“ ეუბნება ის და დასძენს: „ნუ დანებდები სიმხდალეს, პართჰას შეილო! არ არსებობს არც ცოდვა და არც უბედურება, არც ავადმყოფობა და არც მწუხარება; თუკი ქვეყნად არის რაიმე ისეთი, რასაც შეიძლება „ცოდვა“ ვუწოდოთ, ეს შიშია; იცოდე, რომ წმინდაა (კუნთა) ნებისმიერი საქმე, რომელიც შენში დამალული ძალის გამოვლენაში გეხმარება, ის საქმე კი, რომელიც გონებასა და სხეულს გისუსტებს, ცოდვაა ჭეშმარიტად; მოიშორე ეს სილაჩრე და სიძაბუნე! შენ გმირი (ვირა) ხარ და სისუსტე არ შეგფერის!“

ჩემო შეილებო, მთელს მსოფლიოს რომ გააგებინოთ ეს აზრი: „ქედს ნუ მოუხრი მაგ სიძაბუნეს, ნუ გეგონება შენი საფერი!“ ყველა ავადმყოფობა, მწუხარება, ცოდვა და უბედურება სამ დღეში აღიგვება პირისაგან მიწისა. აღარავინ წარმოიდგენს თავს უძლურად. ახლა კი უძლურება — ეს შიშის მიერ წარმოქმნილი ტალღების ნაკადი ყველგან ბატონობს. დასძარით ადგილიდან მისი საპირისპირო ნაკადი და ნახავთ, როგორი ჯადოსნური გარდასახვის მოწმენი გახდებით! ყოვლისშემძლენი ხართ — წადით, ხანაში ჩაუვარდით ქვემეხს, ნუ გეშინიათ.

ნუ შეიძულებთ ყველაზე დაცემულ ცოდვილსაც კი — ნუ იმსჯელებთ ზედაპირის მიხედვით. სიღრმისკენ მიაპყართ მზერა — იქ, სადაც *პარამატმანი*⁴¹ სუფევს. მთელი ხმით შესძახეთ ქვეყნიერებას: „არ არის ცოდვა შენში! არ არის ტანჯვა შენში! ყოვლისშემძლე ძალის წყარო ხარ! ადექი, გაიღვიძე და გააცოცხლე შენი ღვთაებრიობა!“

„ქედს ნუ მოუხრი მაგ სიძაბუნეს, ნუ გეგონება შენი საფერი,
ნუ დანებდები გულს დაკნინებულს, ფეხზე წამოდექ, შემუსრე მტერი!“

ვინც ამ ერთადერთ შლოკას ჩასწვდება, ის მთელ გიტას გაიგებს, რადგან ამ ერთადერთ შლოკაშია ჩაქსოვილი *ბჰაგავადგიტას* მთელი სიბრძნე.

⁴¹ უზუნაესი ატმანი; სამყაროს სული.

სწავლების არსი

შრი აურობინდო ვაჰოში (1872-1950) – ინდოელი ფილოსოფოსი, პოეტი, რევოლუციონერი, ინდოეთის ეროვნულ-ვანმთავისუფლებელი მოძრაობის ორგანიზატორი, იოგი, ვურუ და ინტეგრალური იოგას ფუძემდებელი. რაბინდრანათ თაკორთან, რამაკრიშნასთან, ვივეკანანდასთან და მაჰატმას განდისთან ერთად ისეთ პიროვნებათა რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც, შოთა რუსთაველის ან ვაჟა-ფშაველას მსგავსად, ერის სიმბოლოდ იქცევიან ხოლმე, რადგან მის უმაღლეს იდეალებს გამოხატავენ.

ჩვენს წინაშეა ღვთაებრივი მასწავლებელი და მისი მოწაფე – ადამიანი; ისღა დაგვრჩენია, ნათლად ჩამოვყალიბოთ მისი დოქტრინის კონცეფცია. ნათელი კონცეფცია, რომელიც სწავლების არსს, მის გულის გულს გამოხატავს, აქ განსაკუთრებით საჭიროა, რადგან *გიტა*, თავისი მრავალმხრივი აზრით, სულიერი ცხოვრების განსხვავებულ ასპექტთა კომპლექსური ხედვით და მსჯელობის ქაოსური მსვლელობით სხვა წმინდა წიგნებზე მეტად ქმნის მიკერძოებული ინტელექტუალურობით წარმოშობილი ცალმხრივი, მცდარი ინტერპრეტირების საშიშროებას. ვინმეს მოსაწონი, წინასწარ აკვიატებული მოსაზრების, დოქტრინის ან პრინციპის გასამართლებლად ფაქტის ან სიტყვის გაუცნობიერებლად ან ნახევრად გაცნობიერებულად დამახინჯებას ინდოელი ლოგიკოსები გაუგებრობის ყველაზე წყალუხვ წყაროდ მიიჩნევენ; აქ კი ისეთ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე, რომელიც შეიძლება ყველაზე კეთისინდისიერმა მოაზროვნემაც კი ვერ აირიდოს, რადგან ადამიანის გონებას სულმუდამ დეტექტივის როლში ყოფნა არ ძალუძს; მის ხასიათშია ჩაებლაუჭოს რომელიმე ცალმხრივ დასკვნას, იდეას ან პრინციპს, მისი მხარდამჭერი გახდეს და ის მთელი ჭეშმარიტების ახსნად აქციოს, თანაც საკუთარი თავის გვერდის ავლის ამოუწურავ შესაძლებლობასაც ფლობს, ისე რომ საკუთარ მუშაობაში ამ აუცილებელი და საგულდაგულოდ გადამალული სისუსტის აღმოჩენის თავიდან აცილებაც შეუძლია. *გიტა* ადვილად იძლევა ასეთი შეცდომის დაშვების შესაძლებლობას, რადგან ადვილია ყურადღება განსაკუთრებულად გაამახვილო მის მრავალ ასპექტთაგან ერთ-ერთზე ან თუნდაც რომელიმე თვალშისაცემ, შთაბეჭდავ ადვილზე, მთელი დანარჩენი თვრამეტი თავი კი უკანა პლანზე გადასწიო, დაქვემდებარებული ან დამხმარე ტექსტის ფუნ-

ქცია მიანიჭო და ამით *გაქტა* საკუთარი დოქტრინის ან დოგმის მომხრედ აქციო.

ამის გამოა, რომ ზოგი საერთოდ უარყოფს, *გაქტა* შრომას რომ ქადაგებს და მას მხოლოდ ცხოვრებისგან და შრომისგან განდგომისთვის მოსამზადებელ დისციპლინად წარმოგვიდგენს; დაწესებულ ქმედებათა, ან რაც ხელთ მოგხვდება, იმ საქმის გულგრილი შესრულება ამ შემთხვევაში საშუალებად, დისციპლინად გვევლინება; ერთადერთი ნამდვილი მიზანი ცხოვრებისგან და შრომისგან საბოლოო განდგომაა. ძალიან ადვილია ეს შეხედულება თავად წიგნიდან ციტატების მოტანით და მსჯელობისას მახვილთა გარკვეული განლაგებით გაამართლო, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი იმ სპეციფიურ მნიშვნელობაზე დახუჭავ თვალს, რომლითაც სიტყვა *სანაისა*, ანუ განდგომა ნახმარი; მაგრამ სრულიად შეუძლებელია მიუკერძოებლად კითხვისას ბოლომდე ვუერთგულოთ ამ შეხედულებას, რადგან წიგნის ბოლომდე გაძულებით ჩაგვესმის შეგონება, რომ მოქმედება უნდა ვამჯობინოთ უმოქმედობას და უპირატესობა *განურჩევლობას*¹ და შრომის უზენაესი *პურუშსთივს*² მინებების გზით სურვილისგან ჭეშმარიტ, შინაგან განდგომას მივანიჭოთ.

ისეთებიც არიან, ისე რომ საუბრობენ *გაქტაზე*, თითქოს მთელი მისი სწავლება ერთგულების დოქტრინით ამოიწურებოდეს და ამის დასტურად მისი მონისტური ელემენტები და აგრეთვე ის მოაქვთ, რომ ყოვლის ერთში მყოფობის კვიეტისტურ³ იდეას წიგნი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. რა თქმა უნდა, ერთგულებაზე ყურადღების გამახვილება, ღვთაებრიობის უფლის, *პურუშს* სახით წარმოჩენა, *პურუშოტამას*⁴, ანუ უზენაესი არსების დოქტრინა — არსების, რომელიც ორივე — ცვალებად და უცვლელ არსებებზე ძალა მდგომია და რომელიც არის ის, რასაც მის სამყაროსთან ურთიერთობაში ჩვენ ღმერთს ვუწოდებთ — ეს ყველაფერი *გაქტას* ყველაზე არსებით ელემენტთან ყველაზე დიდებული რამ არის; და მაინც ეს ის ღმერთიცაა, რომელშიც თავის მწვერვალს აღწევს ყოველნაირი ცოდნა, ისიც, რომელიც არის მსხვერპლმწიფრის მეუფე და რომლისკენაც მივყავართ ყოველგვარ შრომას და სიყვარულის ღმერთიც, რომლის არსებაშიც ერთგულების სული სუფევს. *გაქტა* ამით შორის უნაკლო წონასწორობას ინარჩუნებს და ხან ცოდნაზე ამახვილებს ყურადღებას, ხან შრომაზე და ხან ერთგულებაზე, მაგრამ ფიქრის მდინარეა ერთბაშად ერთი მიმართულებით რომ არ წა-

¹ ეს „გაქტას“ ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა და მატერიალური სამყაროს ყველა მოვლენისადმი ერთნაირ, განურჩევლად დამოკიდებულებას ნიშნავს. ზუსტი შესატყვისი არ მოიქმნება.

² *პურუშა* — სული, იხ. „ზენა ღვთაება...“ განმ. 8.4

³ კვიეტისმი ცხოვრების მოვლენათა მიმართ პასიურ დამოკიდებულებას გულისხმობს.

⁴ *პურუშოტამა* — „უმაღლესი პურუშა“, იხ. განმ. 15.18.

ვიდეს, სხვებთან შედარებით გამოკვეთილ, განსაკუთრებულ უპირატესობას არც ერთ მათგანს არ ანიჭებს. ის ადგილი, სადაც სამივე თავს იყრის და ერთიანდება, არის უზენაესი არსება, *პურუშოტამა*.

მაგრამ დღევანდელ დღეს, მას შემდეგ, რაც თანამედროვე გონებამ აღიარა და საქმე დაიჭირა *კიშასთან*, თავი იჩინა *კიშაში* მოქმედებისკენ გამუდმებული მოწოდების, ცოდნისა და ერთგულების ელემენტების მისთვის დაქვემდებარების და მასში *კარმა-იოგას* მოძღვრების, შრომის სახარების იმ სინათლის აღმოჩენის ტენდენციამ, რომელიც მოქმედების გზაზე მიგვიძღვის წინ. ეჭვი არ არის, რომ *კიშა* შრომის სახარებაა, მაგრამ იმ შრომის, თავის კულმინაციას ცოდნაში რომ აღწევს; იმ შრომის, რომელიც სულიერ რეალიზაციასა და სიმშვიდეში გამოიხატება; რომელიც ერთგულებითაა მოტივირებული, რაც ადამიანის მთელი არსების ჯერ უზენაესის ხელეში, შემდეგ კი მის არსებაში გაცნობიერებული თავდავიწყებაა და არა ისეთი შრომა, როგორც ეს თანამედროვე გონებას ესმის – არა ეგოისტური, ალტრუისტული, პიროვნული, სოციალური ან ჰუმანიტარული მოტივებით, პრინციპებით თუ იდეალებით ნაკარნახები მოქმედება. მიუხედავად ამისა, თანამედროვე ინტერპრეტატორები ცდილობენ *კიშა* სწორედ ასეთად წარმოგვიდგინონ. უამრავი ავტორიტეტული ხმა გამუდმებით ჩაგვიჩინებს, რომ *კიშა* სრულიად გარკვევით ასხამს ხობას ადამიანის მოქმედების, საზოგადოებრივი ვალის უანგაროდ მოხდის იდეალს და ამით ინდური აზრისა და სულიერებისთვის ჩვეულ ასკეტურ და კვიეტისტურ ტენდენციებს უპირისპირდება. უფრო მეტიც, ის საზოგადოების მსახურების სრულიად თანამედროვე იდეალის მატარებლად ეჩვენება ხოლმე. ამ ყველაფერზე მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ ზედაპირული თვალის გადავლებითაც აშკარად ჩანს, რომ *კიშაში* მსგავსი არაფერია და რომ ეს მხოლოდ თანამედროვე მცდარი წაკითხვაა, თანამედროვე გონების მიერ უძველესი წიგნის წაკითხვა – ძველთუძველესი და თხემით ტერფამდე აღმოსავლური, ინდური სწავლების ევროპული ან ევროპეზირებული ინტელექტის მიერ აღქმა. ის, რასაც *კიშა* გვასწავლის, ადამიანური კი არა, ღვთიური ქმედებაა; სოციალურ ვალდებულებათა აღსრულება კი არა, მოვალეობისა თუ ქცევის ყველა სხვა სტანდარტის იმ ღვთაებრივი ნების უანგაროდ აღსასრულებლად მიტოვება, ჩვენზე ბუნების მეშვეობით რომ მოქმედებს; არა საზოგადოებრივი სამსახური, არამედ საუკეთესო, განდმრთობილი, თავის მფლობე ადამიანების შრომა, შესრულებული უპიროვნოდ, სამყაროსათვის, როგორც მსხვერპლი, ავლენილი მისთვის, ვინც კაცისა და ბუნების მიღმა დგას.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, *კიშა* პრაქტიკული ეთიკის კი არა, სულიერი ცხოვრების წიგნია. თანამედროვე გონება ევროპული გონებაა, ისეთი, როგორადაც ის არა მხოლოდ იმ ბერძნულ-რომაული უმაღლესი კულტურის იდეალიზმის მიტოვების შემდეგ იქცა, რომლიდანაც დაიწყო, არამედ შუა საუკუნეების ქრისტიანული ღვთისმოსაობის მივიწყების შემდეგაც. მან ეს

ყველაფერი შეცვალა და პრაქტიკულ იდეალიზმსა და სოციალურ, პატრიოტულ და ფილანთროპიულ ერთგულებაში გადადნო. მან ღმერთი თავიდან მოიშორა ან მხოლოდ საკვირაო მოხმარებისათვის დაიტოვა და მის ადგილას ღვთაებად ადამიანი აღმართა, ხილულ კერპად კი – საზოგადოება. უკეთეს შემთხვევაში ის პრაქტიკული, ეთიკური, სოციალური, პრაგმატული, ალტრუისტული და ჰუმანიტარულია. ახლა ყველაფერი ეს კარგია, დღევანდელ დღეს განსაკუთრებით საჭიროა და ღვთაებრივი ნების ნაწილს წარმოადგენს. ასე რომ არ იყოს, კაცობრიობისთვის ასეთი მნიშვნელოვანი არ გახდებოდა. არც იმის მიზეზი არსებობს, რომ განღმერთობილმა კაცმა – მიან, ვინც *ბრაჰმელი* ცნობიერებით ცხოვრობს, მოქმედებისას ყველა ეს თვისება არ განახორციელოს. რა თქმა უნდა, ის ასეც მოიქცევა, თუ ეს ყველაფერი, ეპოქის საუკეთესო იდეალი და *იუჯადჰარმა*,⁵ თუ ჯერჯერობით უფრო მაღალი იდეალი არ გაგვაჩნია და არც რაიმე რადიკალური ცვლილების მოხდენას ვაპირებთ. რადგან ასეთი კაცი, როგორც მოძღვარი ეუბნება თავის მოწაფეს, ადამიანთა შორის საუკეთესოა და სხვებს მაგალითი უნდა მისცეს; სინამდვილეში არჯუნას სწორედ ამისკენ მოუწოდებენ – იმისკენ, რომ თავისი დროის და გაბატონებული კულტურის უმაღლესი იდეალების შესაბამისად იცხოვროს, მაგრამ იცხოვროს გაცნობიერებულად, იმ ცოდნით, რომელიც ყველაფერ ამის უკან დგას და არა როგორც ჩვეულებრივმა ადამიანმა, მხოლოდ და მხოლოდ გარეგან წესებს და კანონებს რომ მისდევს. მაგრამ საქმე ისაა, რომ თანამედროვე ადამიანმა პრაქტიკულ ცხოვრებაში ბიძგის მოძებნი მობიერებიდან ორი რამ განდევნა: ღმერთი, ანუ მარადიული და სულიერება, ანუ ღვთიური მდგომარეობა, რაც *გიტას* ძირითადი კონცეფციებია. დღევანდელი ადამიანი კაცობრიობაში ცხოვრობს, *გიტა* კი ღმერთში ცხოვრებისკენ მოგვიწოდებს – მსოფლიოსთვის, მაგრამ ღმერთში; *გიტა* მხოლოდ *მის* სიცოცხლეში, *მის* გულსა და ინტელექტში – სულში ცხოვრებისკენ გვიწვევს; იმ ცვალებად არსებაში, „ყველა სულიერი“ რომ ეწოდება და ამავე დროს უცვლელი და უზენაესი რომ არის; *გიტა* გვასწავლის, როგორ ვიცხოვროთ დროის წარმავალ დინებაშიც და მარადიულშიც. და თუ ეს უმაღლესი კატეგორიები დღეს ბუნდოვანი ჩანს, მხოლოდ იმიტომ, რომ მათი ადამიანისა და საზოგადოებისთვის დაქვემდებარება სურთ; მაგრამ ღმერთი და სულიერება თავისთავად არსებობს და არა როგორც რაღაცის დამატება; და ჩვენში ყველაზე მდებარე უმაღლესისთვის არსებობა პრაქტიკულად უნდა ისწავლოს; იმისთვის, რომ უმაღლესმაც ჩვენში გაცნობიერებულად იარსებოს უმაღლესისთვის, რათა ის თავის სიმაღლეებს მიაახლოვოს.

ამიტომ შეცდომაა *გიტა* დღევანდელი გონების თვალსაწიერიდან ავხსნათ და დავაძალოთ მას გვიქადაგოს მოვალეობის შესრულება, როგორც უმაღლესი და ყველაფერში გამოსადეგი კანონი. იმ სიტუაციის სულ მცირე

⁵ „ეპოქის რწმენა, საყრდენი, ვალი, წესი...“ იხ. *იუჯა, ვანშ. 4.7. და დჰარმა, ვანშ. 1.40.*

ანალიზიც, რომელსაც *გოტა* გეთავაზობს, დაგვარწმუნებს, რომ შეუძლებელია ეს იყოს მისი მნიშვნელობა, რადგან სწავლების მთელი შინაარსი, რომლისგანაც ის წარმოსდგება და რომელიც აიძულებს მოწაფეს მასწავლებელი ეძიოს, მოვალეობის შესახებ ერთმანეთში გადახლართული კონცეფციების ის შეჯახებაა, ადამიანის გონების მიერ აღმართული მთელი ამ სასარგებლო ინტელექტუალური და მორალური შენობის ნგრევით რომ მთავრდება. ადამიანის გონებაში საკმაოდ ხშირად იბადება ამა თუ იმ სახის კონფლიქტი. მაგალითად კონფლიქტი საშინაო მოვალეობებსა და ქვეყნის ან რაიმე სასარგებლო საქმის ძახილს შორის; ან ქვეყნის მოთხოვნასა და საკაცობრიო იდეას, ან რაიმე უფრო ფართო რელიგიურ ან მორალურ პრინციპს შორის. შინაგანი კონფლიქტი შეიძლება ბუდასაც კი გაუჩნდეს, რომელმაც, მისი შინაგანი, ღვთაებრივი ხმის ძახილს რომ გაჰყვეს, ყველანაირ მოვალეობაზე უნდა თქვას უარი, ყველაფერი უნდა მიატოვოს და უგულბებლკყო. ჩემთვის ფიქრიც კი წარმოუდგენელია იმაზე, რომ *გოტა* ასეთ შინაგან კონფლიქტს ბუდას უკან, სახლში – ცოლთან და მამასთან, საკიას სახელმწიფოს მთავრობაში გაგზავნით გადაწყვეტს; ან რამაკრიშნას ეროვნულ სკოლაში პანდიტად (სწავლული, *მთარგმ*) გაამწესებს და დაავალებს, ბავშვებს უანგაროდ გააკეთილებს ასწავლოს; ან ვივეკანანდას აიძულებს, ოჯახის რჩენის მიზნით სამართალს, მედიცინას ან ჟურნალისტიკას გაჰყვეს გულდამშვიდებული. *გოტა* მოვალეობის უანგაროდ მოხდას კი არ გვასწავლის, არამედ ღვთაებრივი ცხოვრების გაყოლას, *სარგადპარმანის* – ყოველნაირი *დჰარმის* (აქ: მოვალეობა, *მთარგმ*) მიტოვებას და თავის მხოლოდ უზენაესის ქვეშ შეფარებას. ამიტომ ბუდას, რამაკრიშნას და ვივეკანანდას ღვთაებრივი მოღვაწეობა მის მოძღვრებასთან სრულ თანხმობაშია. მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ *გოტა* უმოქმედობას მოქმედებას ამჯობინებს, ის შრომისგან განდგომას კი არ გამოირიცხავს, არამედ ღვთაებრივისკენ ერთ-ერთ გზად აღიარებს. თუ ამის მიღწევა მხოლოდ შრომისგან და ცხოვრებისგან განდგომით შევიძლება და ჩვენი შინაგანი ხმის ძახილიც ძლიერია, მაშინ ვერაფერს ვიზამთ, ყველაფერი ცეცხლში უნდა მოვისროლოთ და მას უნდა გავყვეთ. ღმერთის ძახილი ყველაფერზე მალლა ღვას და მას ვერავითარი სხვა მიზეზი ვერ გადაწონის.

მაგრამ არჯუნა სხვა სიძნელის წინაშეც დგას – მას სინდისი უფლებას არ აძლევს გააკეთოს დავალებული საქმე. თქვენ ამბობთ, რომ ბრძოლა მისი მოვალეობაა? მაგრამ ეს მოვალეობა ხომ მისი აზრით საშინელი ცოდვაა! რას უშველის მას, ან როგორ გადაწყვეტს მის პრობლემას იმის თქმა, რომ მოვალეობა უანგაროდ და აუღელვებლად უნდა შეასრულოს? ის იკითხავს, რა ევალება მას და როგორ შეიძლება საკუთარი ნათესავების, საკუთარი მოდგმის, თანამემამულეების ხოცვა-ჟლეტა მისი ვალი იყოს. მას ეუბნებიან, რომ სიმართლე მის მხარესაა, მაგრამ ეს მას ვერ აკმაყოფილებს და არც შეიძლება, აკმაყოფილებდეს, რადგან ფიქრობს, რომ თავისი კანონიერი

მოთხოვნის სამართლიანობა უფლებას არ აძლევს, მის დასაკმაყოფილებლად დაუნდობელი სისხლისღვრა მოაწყოს და საკუთარ ერს მომავალი მოუსპოს. როგორ უნდა მოიქცეს, უანგაროდ იშრომოს იმისდა მიუხედავად, ცოდვაა თუ არა ეს და იფიქროს, რომ სულ ერთია, რა მოჰყვება მის საქციელს, რადგან ის თავის ჯარისკაცულ ვალს იხდის? ასეთი რამ შეიძლება სახელმწიფოებმა, პოლიტიკოსებმა, იურისტებმა ან ეთიკის კაზუისტიებმა იქადაგონ, მაგრამ შეუძლებელია ეს დიადი რელიგიური და ფილოსოფიური წმინდა წიგნის მოძღვრება იყოს; იმ წმინდა წიგნის, რომელიც ცხოვრებისა და მოქმედების ძირეულ საკითხებს წყვეტს. და თუ სულ ეს არის, რაც ყველაზე მწვავე მორალური და ეთიკური საკითხების შესახებ *გაიტას* შეუძლია გვითხრას, ჩვენ ის მსოფლიოს წმინდა წიგნთა სიდიდან უნდა ამოვიღოთ და სადმე პოლიტიკური მეცნიერების ან ეთიკური კაზუისტიკის ბიბლიოთეკაში უნდა მივუჩინოთ ადგილი.

ეჭვი არ არის, რომ *გაიტა*, ისევე როგორც *უპანიშადები*, იმ განურჩევლობას გვასწავლის, რომელიც ცოდვასა და სათნობაზე⁶ მალა დგას, სიკეთისა და ბოროტების მიღმა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ის *ბრაჰმული* ცნობიერების ნაწილია და ამ გზაზე მდგარი, უზენაესი წესის აღსასრულებლად მზად მყოფი ადამიანისთვისაა განკუთვნილი. ის ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში სიკეთისა და ბოროტებისადმი გულგრილობას კი არ ქადაგებს, რაც ყველაზე უფრო დამღუპველ შედეგს მოიტანდა, არამედ პირიქით — ადასტურებს, რომ ავის ჩამდენი ღმერთს ვერ მიაღწევენ. ამიტომ თუ არ ვუნდა უბრალოდ ადამიანის ცხოვრების ჩვეულებრივი წესის საუკეთესოდ აღსრულებას, იმ საქმის უანგაროდ გაკეთებას ესწრაფვის, რაც ჯოჯოხეთურ ცოდვად მიაჩნია, ეს მას არ უშეელის, მიუხედავად იმისა, რომ ეს მისი, როგორც ჯარისკაცის ვალია. ათასი მოვალეობა რომ ნამსხვრევებად იქცეს, მან მაინც თავი უნდა შეიკავოს იმისგან, რაც მის სინდისს სძაგს.

უნდა გვახსოვდეს, რომ მოვალეობა ის იდეაა, რომელიც სინამდვილეში სოციალურ წარმოდგენებს ეფუძნება. ჩვენ შეგვიძლია ეს სიტყვა თავის ქვეტექსტს დავაშოროთ და ჩვენი თავის მიმართ ჩვენს მოვალეობაზე ვისაუბროთ, ან თუ გვინდა, ისიც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველაფრის მიტოვება ბუდას ტრანსცენდენტული ვალი იყო ან რომ ასკეტის ვალი გამოქვაბულში გაუნძრევლად ჯდომაა! მაგრამ აშკარაა, რომ ეს სიტყვებით თამაში იქნება. მოვალეობა შედარებით ტერმინია და ჩვენს სხვებთან ურთიერთობას გულისხმობს. მამის ვალია აღზარდოს და განათლება მისცეს შვილებს; ადვოკატის მოვალეობაა ყველაფერი გააკეთოს კლიენტისთვის, იმ შემთხვევაშიც კი, როცა იცის, რომ ის დამნაშავეა და მისი დაცვა ტყუილზეა აგებული; ჯარისკაცის ვალია იბრძოდოს და ბრძანებისთანავე გაისროლოს, მაშინაც კი, როცა თავის ნათესავებს და თანამემამულეებს ზოცავს; მოსამართლე

⁶ ინგლ.: *Virtue*; რუს.: *добродетель*.

ვალდებულია დამნაშავეს პატიმრობა მიუსაჯოს, მკვლეელი კი სიკვდილით დასაჯოს. თუ ამ შეხედულებას მივიღებთ, ჩვენთვის თავისთავად ცხადი და გასაგები იქნება, რა არის მოვალეობა, მაშინაც კი, როცა ის ჩვენს სიყვარულს ან ღირსებას უპირისპირდება და ფეხ ქვეშ თელავს რელიგიისა და მორალის წმინდა კანონს. მაგრამ რა მოხდება, თუ შინაგანი ხედვა შეიცვალა? თუკი ადვოკატს თვალი აეხილა და დაინახა, რომ სიცრუე ცოდვაა? თუ მოსამართლე დარწმუნდა, რომ სასჯელის უმაღლესი ზომა კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულია? თუ ბრძოლის ველზე მოხმობილმა ჯარისკაცმა, თანამედროვე პაციფისტივით, ან ტოლსტივით იგრძნო, რომ ადამიანის სიცოცხლის ხელყოფას ისევე არა აქვს გამართლება, როგორც ადამიანის ხორცის ჭამას? აშკარაა, რომ ასეთ დროს იმ მორალურმა კანონმა უნდა გაიმარჯვოს, რომელიც ყოველნაირ შედარებით მოვალეობაზე მაღლა დგას; და ეს კანონი საზოგადოებრივ ურთიერთობებს ან მოვალეობის კონცეფციებს კი არ ეფუძნება, არამედ ადამიანის, მორალური არსების გამოღვიძებულ შინაგან აღქმას.

სინამდვილეში ამქვეყნად ქცევის მხოლოდ ორი განსხვავებული წესი არსებობს – ძირითადად გარეგნულ სტატუსზე დამოკიდებული და ყოველგვარი სტატუსისგან თავისუფალი, მთლიანად ფიქრსა და სინდისზე დამყარებული წესი. *ვაიშა* მაღალის მდაბალისთვის დაქვემდებარებას არ გვასწავლის; არ გვთხოვს, გამოღვიძებული ზნობრივი ცნობიერება მოვალეობის სამსხვერპლოზე დაგვკლათ და სოციალური სტატუსის კანონს შევწირთ მსხვერპლად. ის უმდაბლესისკენ კი არა, უმაღლესისკენ მოგვიწოდებს. ამ ორი სიბრტყის კონფლიქტში ის წმინდა ეთიკურსა და პრაქტიკულზე მაღლა დადგომასა და უმაღლესი წონასწორობის – *ბრაჰმული* ცნობიერების მიღწევისკენ გვაქეზებს. სოციალურ მოვალეობას ის ღვთაებრივი ვალით ცვლის. გარეგანი წესის მორჩილება აქ შრომის ჩახლართული კანონებისგან განთავისუფლებული სულის შინაგან მისწრაფებას უთმობს ადგილს. სწორედ ეს – *ბრაჰმული* ცნობიერება, ანუ სულის შრომისგან თავისუფლება და ბუნებაში შესასრულებელი სამუშაოს ჩვენში და ჩვენს მაღლა მყოფი უფლის მიერ დადგენა წარმოადგენს (როგორც ქვემოთ დავინახავთ) მოქმედებასთან მიმართებაში *ვაიშას* სწავლების არსს. *ვაიშას*, ისევე როგორც ყველა მისი მსგავსი დიადი ნაშრომის გაგება მხოლოდ მისი, როგორც მთლიანობის და როგორც განვითარებაში მყოფი დისკუსიის შესწავლითაა შესაძლებელი. მაგრამ თანამედროვე ინტერპრეტატორებმა, დაწყებული ბანკიმ ჩანდრა ჩატერჯით, რომელმაც პორველმა მიანიჭა *ვაიშას* „მოვალეობის სახარების“ ეს ახალი მნიშვნელობა, ყურადღება თითქმის მხოლოდ პირველ სამ თუ ოთხ თავზე და ამ თავების იმ სტროფებზე გაამახვილეს, რომლებშიც განურჩევლობის იდეა და გამოთქმა *კარტავიამ კარმ* (ანუ სამუშაო, რომელიც უნდა შესრულდეს) არის ნახსენები. ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ამ გამოთქმას, რომელსაც „მოვალეობად“ თარგმნიან და

ფრანზს „შენ მხოლოდ მოქმედების უფლება გაქვს და არა მისი ნაყოფით სარგებლობის,“ რომელიც დღეს ძალზე პოპულარულია, როგორც *გიტას* დიადი სიტყვა – მაჰავაკია. თვრამეტი თავიდან დანარჩენებს, გარდა დიადი ხილვისა მეთერთმეტე თავში, მთელი თავისი ძალადი ფილოსოფიით, ისინი მეორად მნიშვნელობას ანიჭებენ. თანამედროვე გონებისთვის, მეტაფიზიკური წვრილმანებისა და შორს მიმავალი სულიერი ძიებების მიმართ მოუთმენლობით რომ გამოირჩევა, სრულიად ბუნებრივია პირდაპირ საქმეს შეუდგეს და თვით არჯუნასავით უმთავრესად *დჰარმაზე* – შრომის შესრულებად კანონზე იზრუნოს, მაგრამ წმინდა წიგნისადმი ასეთი დამოკიდებულება არასწორია.

განურჩევლობა, რომელსაც *გიტა* ქადაგებს, არ არის გულგრილობა – დიადი ბრძანება, რომელიც არჯუნამ მოძღვრების საძირკვლის ჩაყრისა და ძირითადი სტრუქტურის აგების *შედეგ* მიიღო: „წამოდექი, დახოცე მტრები და დაუფულე აყვავებულ სამეფოს,“ უკომპრომისო ალტრუიზმით ან ცარიელი, გულცივი განდგომით როდი შემოიფარგლება; ეს შინაგანი წონასწორობისა და გონგახსნილობის ის მდგომარეობაა, რომელიც სულიერი თავისუფლების საფუძველს წარმოადგენს. ასეთი წონასწორობით, ამგვარი თავისუფლებით უნდა გავაკეთოთ საქმე, რომელიც „გასაკეთებელია“ – ეს ის გამოთქმაა, რომელიც *გიტაში* ყველაზე ფართო მნიშვნელობით გვხვდება, რომელიც ყველანაირ შრომას (*სარვაკარმანი*) გულისხმობს და რომელიც შეიძლება სოციალურ და ეთიკურ მოვალეობებსაც მოიცავს, მაგრამ ბევრად აღემატება მათ. რომელია „გასაკეთებელი“ საქმე, ინდივიდუალური არჩევანით არ წყდება; საქმის უფლება და მისი ნაყოფის სურვილზე უარის თქმაც *გიტას* უდიადესი სიტყვა კი არა, *იოვას* მწვერვალისკენ გზას ახლადშემდგარი მოწაფისათვის პირველ ეტაპზე გეზის მიმცემი, მოსამზადებელი დარიგებაა მხოლოდ. შემდგომ ეტაპზე ის პრაქტიკულად უქმდება, რადგან *გიტა* დაუინებით განაგრძობს იმის მტკიცებას, რომ საქმეს ადამიანი არ აკეთებს; ეს *პრაკრიტია*, ანუ ბუნება, მოქმედების სამ მოდუსიანი⁷ დიადი ძალა, მისი მეშვეობით რომ მოქმედებს და ადამიანმა უნდა ისწავლოს იმის დანახვა, რომ თვითონ არ არის მოქმედი. ამიტომ „შრომის უფლება“ ისეთი იდეაა, რომელსაც მხოლოდ მანამდე აქვს აზრი, სანამ იმ ილუზიის ტყვეობაში ვიმყოფებით, რომ ჩვენ ვაკეთებთ საქმეს; იმ წუთასვე, რა წუთსაც ჩვენი ცნობიერება შეწყვეტს საკუთარი თავის მოქმედების ავტორად მიჩნევას, ეს იდეა აუცილებლად უნდა გაქრეს ჩვენი გონებიდან, ისევე, როგორც ნაყოფის სურვილი. ასეთ დროს ყოველნაირი პრაგმატული ეგოიზმის დასასრული დგება, ნაყოფის სურვილი იქნება ეს თუ შრომის უფლება.

მაგრამ *პრაკრიტის* დეტერმინიზმი *გიტას* უკანასკნელი სიტყვა არ გახლავთ. ნების განურჩევლობა და ნაყოფზე უარის თქმა მხოლოდ და მხოლოდ გულით, გონებით და შემეცნებით ღვთაებრივ ცნობიერებაში შეღწ-

⁷ იხ. *გუნა, განმ. 2.45*;

ევის და მასში ცხოვრების საშუალებაა; და *გოტა* გარკვევით ამბობს, რომ მოწაფემ ეს მხოლოდ საშუალებად უნდა გამოიყენოს, თუკი არათუ ამ მაღალ მდგომარეობაში ცხოვრებას, პრაქტიკით მის თანდათანობით მიღწევასაც კი ვერ ახერხებს; და რა არის ის ღვთაებრივი, რადაც კრიშნა თავის თავს აცხადებს? ეს *პურუშოტამა* – სულის,⁸ რომელიც არ მოქმედებს და *პრაკრიტი*,⁹ რომელიც მოქმედებს, მიღმა მყოფი; ერთის საფუძველი და მეორის ბატონი – უფალი, რომლისთვისაც ყოველივე მხოლოდ *გამოვლინება*,¹⁰ რომელიც ჩვენს *მაიასადმი*¹¹ ახლანდელ დაქვემდებარებულობაშიც კი მის ქმნილებათა გულში ზის და *პრაკრიტის* სამუშაოს წარმართავს; ის, ვის მიერაც კურუქშეტერას ველზე უკვე დახოცილია ჯვარები (თუმცა ისინი ჯერ კიდევ დგანან) და ვინც არჯუნას მხოლოდ ამ ხოცვა-ჟლეტის უშუალო შემსრულებლად, ინსტრუმენტად იყენებს. *პრაკრიტი* მხოლოდ მისი აღმასრულებელი ძალაა. მოწაფე უნდა ამაღლდეს ამ ძალაზე და მის სამ მოდუსზე – *გუნებზე*. ის უნდა იქცეს *ტრიგუნატატად* (სამი გუნას მპყრობელი, *ძთარვძ*) – იმას კი არ უნდა მიანდოს თავისი საქმეები, რაზეც არავითარი პრეტენზია ან „უფლება“ აღარ გააჩნია, არამედ უზენაესს. გონების, გულისა და ნების მისთვის მინდობით, საკუთარი თავის ცოდნით, ღმერთის ცოდნით, სამყაროს ცოდნით, უზადო განურჩევლობით, სრული ერთგულებით და აბსოლუტური თავდადებით საქმეები ისე უნდა აკეთოს, როგორც ყოველი თვით-წარმართვისა¹² და მსხვერპლის მეუფისთვის მიტანილი მსხვერპლი. საკუთარ ნებასთან თავის გაიგივებით და იმ ცნობიერების გაცნობიერებით უნდა იმოქმედოს, რომელიც აირჩევს და წამოიწყებს საქმეს. აი ასეთ გადაწყვეტას სთავაზობს ღვთაებრივი მოძღვარი თავის მოწაფეს. ჩვენ არ გვიწევს იმის ძიება, რაც *გოტას* უდიდესი, უდიადესი სიტყვა, მისი *მაჰავაკია*, რადგან *გოტა*, თავისი ფინალური, უძლიერესი აკორდის დამაგვირგვინებელ ბგერებში თავად გვიცხადებს მას: „დაე შენს გულში დაივანოს უფალმა. ასე შეაფარე მას თავი და მისი წყალობით უმაღლეს, მარადის სიმშვიდეს მიაღწევ. ცოდნა, რომელიც ეს წუთია გაგიმუღავნე, ყოველგვარ საიდუმლოზე უფრო დიდი საიდუმლოა. ახლა კი ამაზე უფრო დიდი საიდუმლო, ჩემი უდიადესი სიტყვა შეისმინე: ჩემსკენ გონმოპყრობილი, ჩემი ერთგული გახდი, მე შემომწირე შესაწირი, მე მეცი თავყანი და უეჭველად მოხვალ ჩემთან, რადგან ძვირფასი ხარ ჩემთვის; მოქცევის ყველა წესი მიატოვე, მხოლოდ ჩემში ეძებე თავშესაფარი და ნუ იღარდებ – მე გიხსნი

⁸ სული: ატმანი, ინდივიდუალური სული (ინგლ.: the Self);

⁹ მატერია.

¹⁰ ინგლ.: manifestation. გამოვლენა, „ხორცშესხმა“.

¹¹ მაია, იხ. ვანშ 4.6.

¹² ინგლ.: Self-energizing, რუს.: самовозбуждение.

ყოველგვარი ცოდვისგან.“

კიბაში მოცემული დისკუსია სამ ღიდ საფეხურად იყოფა, რომელთა მეშვეობით მოქმედება ადამიანურიდან ღვთაებრივ სიბრტყეზე ადის და უმღ-აბლესი კანონის ბორკილებისგან თავისუფლებას უმაღლესი კანონის მე-ოხებით გვანიჭებს. თავდაპირველად სამუშაო ადამიანის, როგორც მოქმედის მიერ სურვილზე უარის თქმის და სრული განურჩევლობის მეშვეობით სრულდება როგორც მსხვერპლი, ავლენილი იმ ღვთაების მიმართ, რომელიც მისი უზენაესი და ერთადერთი „მე“-ა,¹³ თუმცა მის მიერ საკუთარ თავში ჯერ კიდევ არ არის შეცნობილი. ეს პირველი საფეხურია. ამის შემდეგ ადამიანმა არა მხოლოდ ნაყოფის სურვილი უნდა მიატოვოს, არამედ თვით იმ აზრს, რომ თვითონ ასრულებს სამუშაოს, სულის უცვლელი, უმოქმედო და მარადისი ბუნების გაცნობიერებით უნდა განუდგეს და შეიმეცნოს, რომ ყოველგვარი სამუშაო სხვა არაფერია, თუ არა უნივერსალური ძალის, სულჩადგმული ბუნების¹⁴, *პრაკრიტის* – წარმავალი, აქტიური და ცვალებადი ენერჯის მოქმედება. ბოლოს კი საკუთარ უზენაეს სულში უნდა დაინახოს *პრაკრიტის* წარმმართველი უზენაესი *პურუშა* (უზენაესი არსება, სული *მაარგა*), რომლის მხოლოდ ნაწილობრივი გამოვლინებაცაა ბუნებაში მყოფი სული და ვინც, სრულყოფილ ტრანსცენდენტიაში მსუფვევი, ბუნების მეშვეობით ყოველგვარ შრომას წარმართავს. მას უნდა შესთავაზოს სიყვარული, თავყანისცემა და შრომის მსხვერპლი; მთელი არსება მას უნდა დაანებოს, მთელი თავისი ცნობიერებით ამაღლდეს და ამ ღვთაებრივ ცნობიერებაში გაცოცხლდეს ისე, რომ მისი სული უფლის ბუნებისა და მისი მოქმედების ღვთაებრივი ტრანსცენდენტის თანაზიარი გახდეს და უზადო სულიერი თავისუფლებით იმოქმედოს.

პირველი საფეხური *კარმა-იოგა* – შრომის უანგარო შეწირვა. აქ *კიბა* დაჟინებით ითხოვს მოქმედებას. მეორე საფეხური *ჯანან-იოგა* – თვითრეალიზაცია და სულისა და სამყაროს ნამდვილი ბუნების შეცნობა; აქ აქცენტები ცოდნაზე გადადის, თუმცა შრომის მსხვერპლშეწირვა გრძელდება და შრომის ბილიკი ცოდნის ბილიკს უერთდება, ოღონდ მასში არ ქრება. უკანასკნელი საფეხური *ბჰაქტი-იოგა* – სულის, როგორც ღვთიური არსების თავყანისცემა და ძიება. აქ ყველაზე მეტად ერთგულება მოგვეთხოვება; მაგრამ ცოდნა დაქვემდებარებული კი არ ხდება, არამედ მალდება, ცოცხლდება და ხორციელდება, შრომის მსხვერპლშეწირვა კი ჯერ კიდევ გრძელდება. ორმაგი ბილიკი ცოდნის, შრომისა და ერთგულების სამმაგ გზად იქცევა და მაძიებელი მსხვერპლშეწირვის ნაყოფს – მის წინ დარჩენილ ერთადერთ ნაყოფს – ღვთიურ არსებასთან შეერთებას და უზენაეს ღვთაებრივ ბუნებასთან ერთობას¹⁵ წვდება.

¹³ ინგლ.: *The Self. ინდივიდუალური „მე“*, “ სული, ატმანი.

¹⁴ ინგლ.: *nature-soul. აზვარად სულისა და მატერიის განუყოფლობა ხაზგასმული.*

¹⁵ ინგლ.: *oneness.*

განმარტებანი

თავი პირველი – „არჯუნა-ვიშადა-იოგა“

არჯუნას სასოწარკვეთილების იოგა

არჯუნა („ნათელი,“ განთიადის სახელოწოდება) – „მაჰაბჰარატას“ ვმირი, ერთერთი პანდაველი. პანდაველი უფლისწულთაგან მესამე. კრიშნას მეგობარი. მამაცი მებრძოლი და გონიერი, ხელგაშლილი, ლამაზი ვაჟაკაი; აღსანიშნავია, რომ თუკი კრიშნა „შავია“ (ანუ გამოუვლენელი), არჯუნა „თეთრია“ – გამოვლენილი. სანქჰაას მოძღვრების მიხედვით კრიშნა ერთიანი არსის მამაკაცური საწყისია, სამყაროს გამოვლინების პროცესში პასიური (სული), არჯუნა კი აქტიური – ქალური საწყისი – „შექტი,“ (იხ. 3.5) მატურია. არჯუნა შრი კრიშნას ეტლის შეჩერებას სთხოვს. მიუხედავად იმისა, რომ კრიშნა პანდაველთა მხარესაა, ბრძოლაში ის აქტიურად არ მონაწილეობს. მეეტლე სულიერი მოძღვარის, გურუს სიმბოლოა. ვარდა იმისა, რომ უახლოვდება და იღვრება ფიციანდება კრიშნასთან, არჯუნას მასთან ნათესაური კავშირიც აქვს: დედაძისა კრიშნას მამის დაა, ამასთან არჯუნა კრიშნას უძვროს და ზე, სუბჰადრაზე ქორწინდება. არჯუნა მეფე პანდუს ვაჟიშვილია კუნტისაგან, „ზეციური“ გენეალოგიის თანახმად კი ის ღმერთ ინდრას ძეა. პანდაველებსა და კაურავების სამხედრო საქმის მასწავლებლის, დრონას საყვარელი მოწაფე, არჯუნა ბრძოლის ხელოვნებას პარაშურამასგანაც („საჯახოსანი რამა“) სწავლობდა, რომელიც მოგვიანებით ვიშნუს ავატარათა (იხ. გვ. 83) კანონიკურ სააში შევიდა. კანდავას ტყეების გადაწვაში დახმარებისთვის არჯუნა ღმერთ აენისგან თავის სახელგანთქმულ მშვილდს, განდივას იღებს საჩუქრად, ღმერთ კოლაპალებისგან – ზეციურ იარაღს, ინდრასგან კი, რომელსაც დემონების, დაიტიების და დანავების (იხ. 10.14.) დამარცხებაში შევლის – დიადემას, რის გამოც იძენს მეტსახელ კირატინს, ანუ „ღიაღვრით შემკულს“.

1.1. დირითარაშორა (დირითარაშორა) – „ის, ვისი სამეფოც მყარია“. კაშის („მზე,“ ახლანდელი ბენარესი) ბრამდშობილი ხელწიფე, პანდუს ძმა, განდჰარის მეუღლე და 100 ვაჟის მამა, რომელთაგან უფროსი დურიოდჰანა გახლდათ. დირითარაშტრას მამამ და მოძღვარმა, ბრძენმა კრიშნა-დვაპაიანამ დირითარაშტრას მეეტლეს, სანჯაიას ნათელხილვის უნარი მიანიჭა. ამის წყალობით მას შეუძლია დაუსწრებლად ადევნოს თვალი ბრძოლის ველს და ნანახი და გაგონილი მოხუც ხელმწიფეს უამბოს.

კურუქშეტრა – ანუ „კურუს ველი,“ მინდორი ქალაქ დელისთან ახლოს, სადაც, „მაჰაბჰარატას“ მიხედვით, ორ ურთიერთდაპირისპირებულ გვარს – კაურავებსა (კურუებს) და დაპანდაველთა შორის დიდი შეტაკება მოხდა. ასე ეწოდება იმიტომ, რომ აქ კაურავთა შტოს წინაპარი, კურუ ასკეზას მიმართავდა და მსხვერპლშეწირვას აღავლენდა.

დჰარმაკშეტრა – „დჰარმას ველი,“ იგივე კურუქშეტრა (დჰარმა – იხ. 1.40.); კურუქშეტრა ინდოეთის ერთ-ერთი ყველაზე წმინდა ადგილია. „პურანები“ მოგვითხრო-

ბენ, რომ უხსოვარ დროს ამ ადგილას რიშები (იხ. 10.6.) მსხვერპლს სწირავდნენ სარასვატის, ამიტომ ამ ადგილს „ბრაჰმაკუშტრაც“ ჰქვია. „შატაპატა ბრაჰმანაში“ ნათქვამია, რომ ამ მსხვერპლშეწირვას აგნი, ინდრა, სომა და სხვა ღმერთებიც ესწრებოდნენ, ამიტომ ამბობენ, რომ „კურუკუშტრა ის ადგილია, სადაც ღმერთები მსხვერპლს აღავლენენ.“ ორმაგი სახელწოდება აქ პოემის ორმაგი, ისტორიული (ეპიკური) და რელიგიურ-ფილოსოფიური შინაარსის სიმბოლოა. სიტყვა „ველსაც“ აქ ორმაგი – ყოფითი და ფილოსოფიური დატვირთვა აქვს. ჰინდურ ფილოსოფიურ სიმბოლიკაში ამ ტერმინით ძირითადად „ობიექტი“, ანუ ბუნება, მატერია აღინიშნება. „გიტაში“ ამ ცნებას მთელი თავი (XIII) აქვს მიძღვნილი. ძნელი საფიქრებელია, რომ ფილოსოფიური პოემა შემთხვევით იწყება ასეთი მნიშვნელოვანი, ინდური ფილოსოფიური აზრის მიმართულების განმსაზღვრელი ტერმინებით. უფრო სარწმუნოა, რომ ეს სიტყვები პოემის თავისებურ „გასაღებს“ წარმოადგენს, მით უფრო, რომ ასეთი ხერხი უძველეს რელიგიურ-ფილოსოფიურ თხზულებებში ძალზე გავრცელებულია. კურუს ველი, სადაც ბჰარატათა ორი განშტოება ერთმანეთს ძალაუფლებას ეცილება, „დჰარმას ველიც“ ხდება, რადგან აქ კრიშნა, ვიშნუ-პურუშოტამა-ნარაიანას (იხ. 10.21; 8.1; 14.4.) ავატარა (იხ. გვ. 83), „უმაღლესი სიბრძნის“ შესახებ თავის სწავლებას გადასცემს მოწაფეს, რომელიც ამავე დროს მისი საკუთარი ობიექტივაციაა ანუ „კუშტრა“ („შაქტი“, იხ. 3.5.) – მისივე არსის მდებარეობით საწყისი, ანუ თვით იგია. ასე ესმოდა „გიტა“ ინდოელ ვიშნუიტთა მრავალ თაობას, რომელთათვისაც ეს ნაწარმოები ცხოვრების ურდვევ კოდექსს წარმოადგენდა.

ჩემი შვილები ან პანდაველინი... – პანდაველები და კაურავები. იხ. ბჰაგავადგიტა და მაჰაბჰარატა. გვ 128. სანჯაია – „გამარჯვების მომტანი“ – ღირითარაშთრას ნათელხილვის ნიჭით დაჯილდოვებული მეეტლე.

1.2. დურიოდჰანა – „ძნელად საძლევია“ – ღირითარაშთრას უფროსი შვილი.

კურუკუშტეტრას ბრძოლაში კაურავთა ლიდერი. იხ. ბჰაგავადგიტა და მაჰაბჰარატა. მოძღვარი – აჩარია (მასწავლებელი) და არა გურუ (სულიერი მოძღვარი). იგულისხმება დრონა, კაურავთა მხედართმთავარი და იარაღის მცოდნე; მან ასწავლა სამხედრო საქმე კაურავებს და პანდაველებს.

1.3. შენგან ნაწრთობი მოწაფის მიერ... – იგულისხმება დრიშთადიუშნა, დრუპადის ძე და დრონას მოწაფე, თუმცა სმირნოვის აზრით „დრუპადის შვილებში“ მისი სიძეები, იუდჰიშთაპირა და არჯუნა იგულისხმებიან.

1.4. ბჰიმა – „საშინელი“, ხუთ პანდაველ უფლისწულთაგან მეორე, ტანად ახოვანი და უზარმაზარი ძალის პატრონი, მამაცი, მტრისადმი შეუბრალებელი მეომარი, მრისხანე და უხეში ბუნების. გაუმადრობის გამო ვრკოღარა, ანუ „მგლისმუცლიანი“ უწოდეს. იუიუდჰანა – „ბრძოლის მოსურნე“, სატიაკას ერთ-ერთი ვაჟი. იხ. 1.17. ვირატა – მატსიას ქვეყნის მთავარი. ეს მის სასახლეში იმალებოდნენ გადაცემული დრუპადი და პანდაველები. მათ ვირატას მტრებთან ბრძოლაში ღიდი სამსახური გაუწიეს. სანაცვლოდ ვირატა კურუკუშტეტრაზე მათ მხარეს იბრძოდა და დრონას მიერ იქნა მოკლული.

დრუპადა – პანჩალას სამეფოს მეფე და დრონას მეგობარი. პანდაველთა მოკავშირე. ბრძოლის მეთოთხმეტე დღეს დრონამ მას თავი მოჰკვეთა.

1.5. დრიშთაკეტუ (დრიშთადიუშნას ძე), ჩეკიტანა (დრიშთაკეტუს ძე), პურუჯიტი, კუნტიბჰოჯა (კუნტის სამეფოს ხელმწიფე) და შაიაბა (შიბის სამეფოს ხელმწიფე)

პანდაველთა მოკავშირეები არიან.

1.6. რაინდი იუღჰამანიუ და უტამანუჯა („ძლიერი“) – პანდაველთა მომხრეები. სუბჰადრას ძე – აბჰიმანიუ სუბჰადრას და არჯუნას შვილია.

1.7. დვიჯოტამა – „საუკეთესოვ ორჯერ შობილთა შორის“. ორჯერშობილი (დვიჯა) სამი უმაღლესი კასტის წარმომადგენელთა, განსაკუთრებით კი ბრაჰმანების პატივსაცემი ეპითეტია.

1.8. ბჰიშმა (საშინელი), კარნა, კრი პა (დრონას ცოლისძმა), დრონაჩარიას ძე აშვათჰამანი (დრონას ვაჟი), ვიკარნა (კარნას ძე), სომადატა (ანუ სომადატას ძე) – კაურავთა წინამძღოლნი.

1.14. მადჰავა – კრიშნას ეპითეტია. ლეგენდის მიხედვით კრიშნამ დემონი მადჰუ დაამარცხა. „პანდაველი“ (14,20; 4.35; 6.2; 10.37; 11.13, 55; 14.22; 16.5;) – არჯუნა.

1.15. პანჩაჯანია („ხუთდღეროვანი“) – კრიშნას ნიჟარა; დევადატა („ღვთის ბოძებული“) – არჯუნას ნიჟარა; ჰაუნდრა (შაქრის ლერწმის ჯიშია) – ბჰიმას ნიჟარა. „გულთა მჰყრობელი“ – პრიშიკეშა: (1.21,24; 2.9,10; 11.36; 18.1;) – „გრძნობათა მეუფე“; კრიშნა. „ბჰაგავატა პურანა“ ასე უწოდებს მანასს (ჭკუა, გული. იხ. 2.60), რადგან სანქჰიას მოძღვრების თანახმად მანასი „გრძნობათა მბრძანებელია“. ღჰანანჯაია – (2.48,49; 4.41; 7.7; 9.9; 10.37; 11.14; 12.9; 18.29,72;) – „სიმდიდრის მომპოვებელი,“ არჯუნა. ბჰიმაკარმა – „საშინელ საქმეთა ჩამდენი“ (ბჰიმა). ვრკოდარა – იხ. 1.4.

1.16. ანანტავიჯაია – „მუდამ გამარჯვებული,“ იუღჰიშოჰირას ნიჟარის მეტსახელია. იუღჰიშოჰირა (კუნტის ძე), ნაკულა, საჰადევა – არჯუნას ძმები. იხ. ბჰაგავადგიტა და მაჰაბჰარატა.

სუგჰოშა – „კეთილხმოვანი,“ ნაკულას ნიჟარის სახელია.

მანი პუშპაკა – „თვლით მოღვწილი,“ საჰადევას ნიჟარა.

1.17. სიკჰანდი – დრუპადის ძე. დრიშთადიუშნა – დრუპადის ძე და დრაუპადის ძმა. პანდაველთა არმიის მთავარსარდალი. მან ბრძოლაში მამამისის მკვლეელი, დრონა მოკლა, თვით კი დრონას ძის, აშვათჰამანის მიერ იქნა მოკლული.

ვიორატა – იხ. 1.4. სატიაკა – „მართალი“, კრიშნას ნათესავი და პანდაველთა მომხრე.

1.18. დრუპადა – იხ. 1.4; აბჰიმანიუ – იხ. 1.6; მაჰა-ბაჰუ (2.26,68; 3.28,43; 5.3,6; 6.35,38; 7.5; 10.1; 11.23; 14.5; 18.1,13;) – „მკლავმაგარი,“ „მკლავგრობელი“. აქ სუბჰადრა, სხვაგან კრიშნა და არჯუნა.

1.20.-21. კაპიდჰვაჯა – „მაიძუნის დროშინი“. ჰანუმანი, რომელსაც ყოველთვის მაიძუნის სახით გამოსახავენ და რომელიც ვიშნუს ავატარას (იხ. ვვ. 83), რამას ეთაყვანებოდა, „პირველი ბჰაქტა“ (ერთგული, იხ. 4.11.) გახლდათ. სწორედ ამიტომ არჯუნამ, თავადაც „ბჰაქტამ“ თავის ემბლემად მაიძუნი აირჩია; პრიშიკეშა, 1.15.

1.22. აჩიუტა – „მუდმივი,“ „წარუვალი,“ კრიშნას ეპითეტია.

1.24. გულაკეშა – (2.9; 10.20; 11.7;) „ძილის მეუფე“ ან „ხუჭუჭა,“ არჯუნა; პრიშიკეშა, იხ. 1.15; ბჰარატა – „მეფე ბჰარატას შთამომავალი“; აქ ამ ეპითეტით სანჯაია მიმართავს დირითარაშტრას.

1.25. პართჰა – პრიტჰას, ანუ კუნტის შვილი (კაუნტეა: 1.27; 2.14,37,60; 3.9,39; 5.22; 6.35; 7.8; 8.6,16; 13.1,31; 14.4,7; 16.20,22; 18.48,50,60;). ასე მიმართავდნენ

სამ უფროს ძმა პანდაველს, რადგან ეს სახელები მათ დედას ერქვა. „გიტაში“ არ-
ჯუნა (1.26; 2.3,21,32,29,42,55,72; 3.16,22,23; 4.11,33,6.40; 7.1,10; 8.14,19,22,27;
9. 13,32; 10.24; 11.5,9; 12.7; 16.4,6; 17.26,28; 18.6,30,32,33,34,35,72,78.).

1.28. კრიშნა – ვიშნუს უკანასკნელი ქვეყნად მოსული ავატარა (იხ. გვ. 83). მისი
სახელი „შავს“ და „ლამაზს“ ნიშნავს, სწორედ ისე, როგორც რუსული სიტყვა КР-
АСИВЫЙ აღნიშნავს „წითელს“ და „ლამაზს“. კრიშნას პიროვნების ისტორიულობის
დადგენას ის გარემოება ართულებს, რომ ისტორიაში რამდენიმე კრიშნაა ცნობილი:
კრიშნის გვარის წარმომადგენელი რაჯა, „მაჰაბჰარატას“ გმირი და „უპანიშადებში“
მოსხენიებული ფილოსოფოსი. მის სახელთანაა დაკავშირებული აგრეთვე მრავალი
იგავი, მითი და ლეგენდა. იხ. ბჰაგავადგიტა და მაჰაბჰარატა. 1.29. განდივა –
„განდის“ ხისგან დამზადებული არჯუნას საყვარელი მშვილდი. მასზე ბევრი
თქმულება არსებობს. ითვლება, რომ ის სომამ მისცა ვარუნას, ვარუნამ აგნის, აგნიმ
კი არჯუნას.

1.31. კეშვა – (კეშა – თმა) „ის, ვისაც ბევრი (ან კარგი) თმა აქვს“. ვიშნუკრიშნას,
მზის ეპითეტი (მდრ. აპოლონის ეპითეტს – „ოქროსკულულა“).

1.32 გოვინდა – (გო – ძროხა; ვინდა – მიძღები); კრიშნა, რომელმაც ლეგენდის
მიხედვით ინდრას ძროხები მოჰპარა.

1.35. ტრათილოკა – (ან ტრილოკა) სამი სამყარო; ლოკა – სკნელი, სამყაროს
ერთ-ერთი ნაწილი; ტრი-ლოკა, ანუ სამი სკნელი ზოგადად სამოთხეს, დედამიწას და
ჯოჯოხეთს აღნიშნავს, თუმცა ჰინდურ მითოლოგიაში არსებობს სხვა კლასიფიკა-
ციაც, რომელიც შვიდ „ლოკას“ მოითვლის. მათში არ შედის ქვესკნელის სფეროები,
რომლებიც აგრეთვე შვიდია. „ხესკნელის“ სფეროებია:

1. ბჰურ-ლოკა, დედამიწა;
2. ბჰუვარ-ლოკა, სივრცე დედამიწასა და მზეს შორის, მუნებისა და სიდჰათა სა-
მყოფელი;
3. სვარ-ლოკა, ინდრას ზეცა, რომელიც მზესა და პოლარულ ვარსკვლავს შორის
მდებარეობს;
4. მაჰარ-ლოკა, ადგილსამყოფელი ბჰრიგუსა და სხვა წმინდანთა, რომლებსაც ბრაჰ-
მას თანაარსობა მიეწერებათ (ამ ქვედა სფეროების ცეცხლში დანთქმისას წმინდ-
ანები ზედა სფეროში ინაცვლებენ);
5. ჯანა-ლოკა, რომელიც ბრაჰმას ძეთა, სანაკას, სანანდას და სანატ-კუმარას სა-
ბრძანებლად ითვლება;
6. ტაპარ-ლოკა, სადაც ვაირაგებად წოდებული ღვთაებანი სახლობენ;
7. სატია-ლოკა, ანუ ბრაჰმა-ლოკა, ბრაჰმას საუფლო; ამ სფეროში გადანაცვლე-
ბული სულიერი შემდგომი დაბადებებისგან თავისუფლდება. ქვედა სამი სკნელი
თითოეული კალპას, ანუ ბრაჰმას დღის დასასრულს ნადგურდება (იხ. იუგა, 4.7.),
ზედა სამი კი ბრაჰმას სიცოცხლის ბოლოს, ანუ მისი სიცოცხლის ბოლო ასი
წლის მანძილზე. მეოთხე ლოკა ზედა სკნელებთან ერთად არსებობას „დღის ბო-
ლომდე“ ინარჩუნებს, თუმცა ქვედა სამი ლოკას წვისას გამოყოფილი მხურვალები
გამო დაუსახლებელია. სხვა ჩამონათვალში შვიდი სამყარო მიწად, ცად, ზეცად, შუა
სფეროდ, დაბადების ადგილად, ნეტარების სახლად და ჭეშმარიტების საუფლოდ
იწოდება. მის მიხედვით, ბრაჰმას ძენი მეექვსე სფეროში ცხოვრობენ, ხოლო მეხუთე,
ჯანა-ლოკა იმ ადგილადაა მიჩნეული, სადაც ქვედა სფეროთა ცეცხლში დანთქმის

შემდეგ დაღუპული ცხოველები თავიდან იბადებიან. სანქჰიასა და ვედანტას სკოლები მატერიალური არსებობის რვა სფეროს, ანუ ლოკას აღიარებენ:

1. ბრაჰმა-ლოკა, უზენაეს ღვთაებათა საბრძანისი;
2. პიტრი-ლოკა, პიტრათა, რიშების და პრაჯაპატების საცხოვრებელი;
3. სომა-ლოკა, მთვარისა და პლანეტების სფერო;
4. ინდრა-ლოკა, უმცროს ღვთაებათა საუფლო;
5. განდჰარვა-ლოკა, ზეციურ სულთა სამყარო;
6. იაკშასა-ლოკა, იაკშასთა, კეთილ ნახევარღმერთთა სამყოფელი;
7. რაკშასა-ლოკა, რაკშასთა, მავნე სულთა ადგილი;
8. პისანა-ლოკა, სადაც პისანები – ღემონები და ეშმაკები არიან.

მადჰუსუდანა – „მადჰუს მკვლელი“, კრიშნას ებითეღია.

1.36. „სამივე სენელი“ – სამი სამყარო, იხ. 1.35; ჯანარდანა – მკვლელი ასურასი (ღმერთთა სახეობაა), სახელად ჯანა.

1.39. ჯანარდანა – იხ. 1.36.

1.40. „უღმერთობაც“ და „უწესობაც“ აქ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ჰინდური ცნების, „დჰარმას“ ინტერპრეტაციაა. დჰარმა, ისევე როგორც და სხვა ჰინდური რელიგიურ-ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ-კოსმოლოგიური ტერმინები (კარმა, გუნა და ა. შ.), რთულ და მრავალსახოვან შინაარსს ატარებს, ამიტომ თარგმანისას მისი ზუსტად გადმოტანა შეუძლებელია. თუ მის სემანტიკას დავაკვირდებით, ამ მრავალფეროვნებაში მთლიანობას დავინახავთ: „დჰარ“ შეწვევა, გამყარება, შენარჩუნებაა. დჰარმა პირველ რიგში „სავანთა არსი“, მათი „ბუნებაა“; ადამიანის ბუნება კი „სიკეთე“, „სამართლიანობა“ და „ზნეობაა“, რაც სინამდვილეში მისი ყველაზე ბუნებრივი „სულიერი მდგომარეობაა“ და რაც გამოიხატება სიტყვით „სინდისი“, რომლის მსახურებაც ადამიანის „მოვალეობაა“, რათა ქვეყნად იყოს „წესრიგი“, რისთვისაც აუცილებელია „კანონი“, ოღონდ არა გარეგანი აკრძალვა, არამედ შინაგანი, „რელიგიური კანონი“, რომელსაც „ადათ-წესი“ და „სჯული“ ინახავს და რომელიც არის ადამიანის და სამყაროს „საყრდენი“. სიტყვა ადჰარმა კი შესაბამისად ყოველივე ამის არქონას, ყველაფერ ამის საპირისპიროს ნიშნავს. „გიტას“ ერთ-ერთი პირველი ევროპელი სპეციალისტის, უილიამ ჯაჯის აზრით, „დჰარმას და კარმას მსგავსი ჰინდური ტერმინების აზრი ევროპული გონებისთვის სრულიად გაუგებარია. მაგალითად დჰარმა, რომელსაც იგებენ, როგორც „კანონს“, „მოვალეობას“, ანუ მხოლოდ რაღაც წესებს, რომელსაც ადამიანის მოქმედება ეფუძნება, სინამდვილეში ადამიანის, ან ნებისმიერი სხვა საგნის თანდაყოლილ უნართა მთლიანობას ნიშნავს. ასე ცეცხლზეც შეიძლება ითქვას, რომ წვა მისი „დჰარმაა...“. ამ სტროფში არჯუნა სიტყვა „დჰარმას“ მრავლობით რიცხვში ხმარობს, რადგან მასში მხოლოდ გვარის ადათ-წესების ვიწრო მნიშვნელობას დებს და არა მის ფართო, ზნეობრივ აზრს. ასევე ვიწრო მნიშვნელობითაა ნახმარი აქ „ადჰარმაც“. ტრადიციულად, ის, რაც ერთი კასტისთვის „სჯულიერი“, ანუ კანონით ნებადართული იყო, სხვა კასტის წარმომადგენელს შეიძლებოდა ცოდავად ჩათვლიდა და ამისთვის სიკვდილითაც დასჯილიყო. მაგალითად წმინდა წიგნთა კითხვა და ასკეზა ბრაჰმანთა უმაღლესი კასტისთვის სავალდებულო იყო, სხვა კასტებისათვის კი იკრძალებოდა. „რამაიანა“ გვიამბობს, რომ რამამ ერთი შუღრა სიცოცხლეს იმისთვის გამოასალმა, რომ ის ასკეზით იყო დაკავებული. სმირნოვის აზრით ასეთივე ვიწრო მნიშვნელობით უნდა

გავიგოთ „ღპრმა“ 3.35. და 18.47. შლოკებში, სადაც კრიშნა სხვისი ღპრმის სა-
შიშროებაზე საუბრობს, თუმცა ასეთი გაგება ამ სტროფებს უფრო მაღალ ფილოსო-
ფიურ აზრს აცლის. ვარშნეია – „კრიშნის ხალხის შვილი.“ კრიშნას სახელია.
1.42 „წინაპრებს საკურთხის არვინ მიაგებს“ – „შრადჰას“ რიტუალი დროს წინა-
პრებს პინდას (თაფლის ბურთულებს) და დაკას (წყალს) სწირავენ. ნიკჰალანანდა
განმარტავს, რომ ამ რიტუალის შესრულება მხოლოდ კანონიერ, ანუ კასტების
აღურეველად განენილ უფროს ვაჟს შეუძლია, ხოლო რადგან კასტების აღრევის შემ-
თხვევაში კანონიერი შვილები აღარ იქნებიან, „შრადჰასაც“ ვერავინ შესარულებს.
1.43. ჯიტა-ღპრმა – „ოჯახის წესი“ (იხ. ღპრმა, 1.40.). კულა-ღპრმა – „თემის
კანონი“ (იხ. ღპრმა, 1.40.). „ამ ბოროტებით“ – სანსკრ.: „კასტათა აღრევა“. ძველი
ინდოეთში ამგვარი რამ მკაცრად ისჯებოდა. მაღალი კასტის მამაკაცს კიდევ შეე-
ძლო დაბალი კასტის ქალზე დაქორწინება, თუმცა ამგვარი ქორწინების შედეგად
განენილი ბავშვები მამის კასტის ყველა უფლებით ვერ სარგებლობდნენ. მაგალი-
თად ვირუდა, შუდრასაგან განენილი დრიითარაშტრას უმცროსი ვაჟი, ნამძვილ კშა-
ტრიად კი არ ითვლებოდა, არამედ მხოლოდ „კშატად“ და კასტობრივი უფლებებიც
შეზღუდული ჰქონდა. მაღალი კასტების ქალებს დაბალი კასტების წარმომადგენელ
მამაკაცებთან ქორწინება მკაცრად ეკრძალებოდათ. ასეთი კავშირის შვილები კას-
ტიდან იდენებოდნენ და პარიები, ანუ „ხელშეუხებელი“ (უწმინდური) სდებოდნენ.
განსაკუთრებულ სიძულვილს ბარჰმანი ქალისა და შუდრას შვილები იმსახურებდნენ.
სწორედ ამიტომაც საუბარი 41-ე შლოკში „ქალის დაცემაზე“. კასტათა აღრევა
ერთ-ერთ უმძიმეს ცოდვად ითვლებოდა. მის ჩამდენს ზოგჯერ სიკვდილითაც კი
სჯიდნენ. 1.44. „გამიგონია“ – სანსკრ.: „როგორც ისმის“. ამ გამოთქმით წმინდა
წიგნებს იმოწმებდნენ.
1.47. სანსკრ.: „ეს თქვა არჯუნამ და და ჩაფიქრებული ეტლში ჩაეშვა. მშვილდი
განდივა (იხ. 1.29.) ხელიდან გაუვარდა დარდით (შოკა: უბედურება, ტანჯვა, მწუხ-
არება, დარდი) გულშეძრულს.“ სიტყვა „სანქჰია“ ბრძოლასაც ნიშნავს და განსჯა-
საც. ამიტომ „ჩაფიქრებულის“ ნაცვლად ასეც იგებენ: „ბრძოლის ველზე ეტლში
ჩაეშვა“.

თავი მეორე – „სანქჰია-იოგა“

გამორჩევის იოგა

*„სანქჰია“ – თვლა, აწონ-დაწონვა, მსჯელობა. სვამი ჩინმაიანანდას განმარტებით
სანქჰია „ლოგიკური მსჯელობაა, რომლითაც აბსოლუტური რეალობის ჭეშმარიტი
ბუნება შეიმჩნება.“ აქ ამ სიტყვით „ლოგიკური ფილოსოფიური მსჯელობა“
ივლისხმება. ასე ეწოდება აგრეთვე ჩე.წ.ალ-მდე დაახლოებით 500 წელს ბრძენ
კაბილას მიერ დაარსებულ ძველი ინდური ფილოსოფიის ერთ-ერთ ძირითად
სისტემას. ეს სკოლა ორ ნაწილად იყოფა. ერთი მათგანი (უშუალოდ კაბილას
სწავლება) უზენაესი არსების (იშვარას) კონცეფციას არ იზიარებს და „ნირ-
იშვარა სანქჰია“ ეწოდება, ხოლო მეორე (პატანჯალის სკოლა) მის არსებობას*

აღიარებს და შესაბამისად „სა-იშვარს სანქცია“ ქვია. ძველ ინდურ ფილოსოფიაში სულ ექვსი ორიოდეოქსული სკოლაა. მათ დარშნები (დარშანა – სწავლება, სისტემა) ეწოდება. ყველა ეს მოძღვრება აღწერილია „დარშანა-შასტრანში“. ექვსზე მთვანს ერთი საწყობი იდეა აქვს: „ეს ნაბილო ნაბილო ვილ“ („არარაისვან არ ექვების არარაიცა“) და ერთი საბოლოო მიზანი აერთიანებს – მომავალი დაბადებისგან სულის განთავისუფლება და მისი სამყაროს უზენაეს სულითან შეერთება. ეს სკოლებია:

1. ნაია, დაარსებული ძრძენ ვოლამს ძიერ. სიჭყვა ნაია ლოვიკურ დასაბუთებას, ლოვიკას ნიშნავს. თვითონ სკოლაც „ლოვიკურის“ სახელითაა ცნობილი. ნაიას „ინდური ფილოსოფიის გრძობიერ ნაწილსაც“ უწოდებენ, რადგან მასში ხუთ გრძობას (ინდრიანი) უფრო მეტი ყურადღება ეთმობა, ვიდრე სხვა სკოლებში, რომელთაგან განსხვავებით ის ვარგვან სამყაროს ღიად აღიარებს რეალობად.
2. ვაიშეშკა, დაარსებული ძრძენ კანადას ძიერ, რომელიც დააზლოებით ვოლამს დროს ცხოვრობდა. მისი სწავლება ნაიას დამატებაა. ვაიშეშკას „აქტომური სკოლა“ ეწოდება, რადგან მისი მოძღვრების მიხედვით, წარმავალი სამყარო მარადიული აქტომების შეერთების შედეგად არსებობს. მას ფიზიკის სკოლასაც უწოდებენ, თუმცა მსგავსი რამ კაბილას სანქციაშიც მთი პოვება. ნაიაც და ვაიშეშკაც უზენაეს არსებას აღიარებს.
3. სანქცია – სანქციას და იოვას ერთად ინსენიებენ ხოლმე, რადგან მათ ბევრი რამ აქვთ საერთო. ამ მოძღვრების სახელმძღვანელოა სანქცია-კარიკა.
4. იოვა – ამ სკოლას მისი დამარსებლის სახელის მიხედვით „პატანჯალასაც“ უწოდებენ. ის სანქციას მეთოდს მისდევს და ბევრ მის დოგმას აღიარებს, მაგრამ არა მხოლოდ ინდივიდუალური სულის არსებობას ამტკიცებს, არამედ ყოველისშიც ცველი სულისაც, რომელიც თავისუფალია იმ ვავლენებისგან, სხვა სახის სულობ რომ შეიძლება განიცადოს.

5. პურვა-მიმანსა;

6. უტარა-მიმანსა – მიმანსას აღრეული და გვიანდელი სკოლებია. ორივე მიმართულება „ვედანტაში“ თავსდება, მაგრამ როგორც წესი, პურვა მიმანსას მიმანსსად მთისენიებენ, უტარა-მიმანსას კი ვედანტას, „ვედების“ საბოლოო მიზანს“ უწოდებენ. პურვა-მიმანსა ჯაიძინიმ დააარსა, უტარა-მიმანსას ავტორობა კი „ვედების“ შექმრებს ვიასას მიეწერება. ორივე ამ სკოლის მიზანი „ვედების“ (თანაც არა მხოლოდ მისი ფილოსოფიური ნაწილის, არამედ პრაქტიკულიც) ვავების მიზნით აზროვნების ხელოვნების სწავლებაა, თუმცა მათი შინაარსი მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. ვედანტას (უტარას) ძირითადი პრინციპებია: „ღმერთი არსებობის ყოველისმკიდრე და ყოველისშეძლები მიზეზია. სამყაროს შექმნა მისი ნების აქტის შედეგია. დასასრულის ჟამს ყოველივე მასში გაქრება. ის არის „ერთადერთი არსებული და უნივერსალური სული“; მის ვარდა სხვა ყოფიერება არ არსებობს. ის არის „ადვაიტა“ („მეორეს ვარეშე“). ამ სკოლის წარმოშობის თარიღი ვერ დვინდება, თუმცა ყველა სხვა სკოლა მასზე უფრო ძველად ითვლება. საუბრობენ ინდური და ბერძნული ფილოსოფიების შესაძლო ურთიერთავლენაზეც. ამ საკითხში უდაღენი ავტორიტეტის, კოლბრუკის აზრით, „ამ შემთხვევაში ინდოელები მასწავლებლებად გვევლინიებან და არა მოსწავლეებად.“ იოვა – (ცხენების) შებმა, ეტლი (რუსულში იოვა ИЮ-დ გვევლინება,

ძველ ინგლისურში *Yoke*-დ, ქართულში კი „უჯლია“), მოკრება, დაკავშირება, კავშირი, ერთობა; ვარჯიშში, ძალისხმევა, გულმოდგინება; გამოყენება; ხერხი, საშუალება; საქმე, წამოწყება, პრაქტიკა; მუშაობა, გულმოდგინება; დავროვნება; კავშირი, ურთიერთგანაპირობებულობა; შეხება, შეერთება; ფიქრების კონცენტრირება, ღრმად განსჯა, ჭვრეტა. როგორც რელიგიური დისციპლინა, იოვა ფსიქიკური და ფიზიკური უნარების გამოყენების ვხით ადამიანის მატერიალური სამყაროსგან გათავისუფლებას და ტრანსცენდენტულ სამყაროსთან დაკავშირებას ნიშნავს. იგი ამვე დროს ასეთი კავშირის დამყარების პრაქტიკული ვხის აღმნიშვნელობა და სულიერი მოქმედების კონცენტრირებას, ცნობიერების ერთ წერტილზე მტკიცედ მიმართვას, ასევე ამ მიზნით მღვდტირებისა და ვარჯიშების სისტემას გულისხმობს. იოვა ეწოდება იოვური მოღვაწეობის ერთჯერად აქტსაც. როგორც ფილოსოფიური სისტემა, იოვა ასეთი საქმიანობის თეორიულ საფუძვლს წარმოადგენს. მისი პირველი სახელმძღვანელო, „იოვა-სუტრა“, ზე-წაღ-ის II საუკუნის ავტორს, პატანჯალის ეკუთვნის. ტრადიციულად იოვა ოთხ „გზად“ იყოფა: ბჰაქტი-იოვა (ღვთისადმი ერთგულების, სიყვარულის ვხა); კარმა-იოვა (უხანგაროდ, საქმის ნაყოფზე მიუჯაჭველად მოქმედების ვხა); ვჯანა-იოვა (ციღნის, ანუ ინტელექტუალური ინტუიციის მეშვეობით სამყაროს შეცნობის ვხა) და რაჯა-იოვა (ღვთაებრივი რეალობის მიღწევის პრაქტიკული მეთოდი). რაჯა-იოვა პატანჯალის „იოვა-სუტრაში“ იოვური პრაქტიკის რვა საფეხურია აღწერილი: იამა (დისციპლინა და თვითკონტროლი), ნი-იამა (მითითებებისა და წესების შესრულება), ასანა (სხეულის პოზები), პრანაიამა (სუნთქვითი სავარჯიშოები), პრაჰთაჰარა (არასასურველ მოქმედებათა არიდება), დჰარანა (ყურადღების კონცენტრირება), დჰიანა (მღვდტიკა) და სამადაბი (მღვდტიკი, ღვთაებრივი სამყაროს უშუალო ჭვრეტა, მასში დანთქმა). ამ უკანასკნელი საფეხურის მიღწევა რაჯა-იოვაში განსაკუთრებით მნიშვნელოვნად ითვლება.

- 2.1. მადჰუსუდანა – იხ. 1.35.
- 2.2. სიტყვა-სიტყვით: „საიდან ამ განსაცდელის ჟამს ასეთი სასოწარკვეთილება, ასეთი ზეცისთვის შეუფერებელი, სამარცხვინო უღირსობა, არჯუნა?“ შრი ბჰაგავან – შრი: მშენიერი, ბრწყინვალე, მეფური ღირსებით შემკული (ღმერთების, მეფეთა, რაინდთა, ასევე დიდ ადამიანთა და წიგნთა ეპითეტია); ბჰაგავან: მაღლიანი, კურთხეული; ნეტარი, ბედნიერი, პატივცემული (ვიშნუსა და კრიშნას ეპითეტია).
- 2.3. პარანტაპა – (2.9; 4.2,5,33; 7.27; 9.3; 10.40; 11.54; 18.41); „მტერთა ცეცხლში დამწველი,“ არჯუნა.
- 2.4. მადჰუსუდანა – იხ. 1.35; არისუდანა – „მტერთა მძუსერელი,“ კრიშნას ეპითეტია.
- 2.5. გურუ – („პატივცემული“, „ღირსეული,“ მომდინარეობს სიტყვა „მძიმედან“) აღმზრდელი, განსაკუთრებით სულიერი მოძღვარი, რომელიც, როგორც წესი, ბრაჰმანი ან ხანშიშესული კაცი უნდა იყოს, თუმცა დასაშვებია გამონაკლისიც, მაგალითად რაჯა-რიშები. მრავლობით რიცხვში ეს ეპითეტო მშობლების მიმართ გამოიყენება; „აემა ზრანვამ, სიხარბეო სძლია“ – ზოგი მთარგმნელი აქ „ჩვენს კეთილისმსურველებს“ იგებს, თუმცა სმირნოვი განმარტავს, რომ აქ სწორედ „ანგარებიანნი“ და „სიმღიდრის მოსურნენი“ იგულისხმება. მართალია ღრონა და ბჰიშმა, ისევე, როგორც

კაურავთა სხვა უხუცესნი, დურიოდჰანას მოქმედებების და პანდაველებთან ბრძოლის წინააღმდეგნი იყენენ, მაგრამ მაინც მასთან ერთად ერთ მიზანს ემსახურებოდნენ. აქ სწორედ ეს აზრია განვითარებული; 5-8 სტროფები შლოკას ნაცვლად ანუშტუბჰითაა შესრულებული. ანუშტუბჰი ოთხი თერთმეტმარცვლიანი სტრიქონისგან შედგება. ზომის შეცვლა სტროფობის დიდ მნიშვნელობაზე, არჯუნას ფსიქოლოგიური მდგომარეობის სიმძაფრეზე მიანიშნებს, რაც იმით არის გამოწვეული, რომ ერთის მხრივ ის დარწმუნებულია საკუთარ სიმართლეში, მეორეს მხრივ კი მასწავლებლის ავტორიტეტს ყოველგვარ შეხედულებაზე მაღლა აყენებს. ანუშტუბჰი სხვა, განსაკუთრებით მნიშვნელოვან ადგილებშიცაა გამოყენებული, კერძოდ თითქმის მთელი მეთერთმეტე თავი ამ ფორმითაა დაწერილი.

2.7. „ო, ცოდვა მათი მე ძალ-ღონეს მაცლის, მაწვალებს...“ – დოშა: ნაკლი, ცოდვა, დანაშაული, ზიანი, შეცდომა, ავადყოფობა; კარპანია: სავალალო მდგომარეობა, გასაჭირი, თანაგრძობა; სმირნოვი ასე თარგმნის: „მთელი ჩემი არსება (სვაბჰავა, იხ. 5.14.) თანაგრძობის სენითაა განემირული“; რანგანათჰანანდას თარგმანი ასეთია: „ჩემი თანდაყოლილი ბუნება გაუბედაობის (სულმდაბლობის) შხამითაა მოწამლული“; გოიანდკა: „მთელი ჩემი არსება უსუსურობის ნაკლითაა დაკნინებული“; „ჩემი გული თანაგრძობითაა შეძრული“; სმირნოვი განმარტავს, რომ „აქ „გულის“ თარგმნა მართებული არაა, რადგან სვაბჰავა „საკუთარი არსია (ან ბუნება, ყოფა)“, რაზეც „გიტაში“ 18.43. და შემდგომ შლოკებშია საუბარი... აქ კრიშნა არჯუნას უპატიებელი სისუსტის, სულმდაბლობის გამო საყვედურობს და არა თანაგრძობისთვის, რომელსაც ჰინდური ფილოსოფია, კერძოდ კი „გიტა“ ძალზე აფასებს და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს... „გიტას“ ერთ-ერთი ძირითადი აზრი ისაა, რომ ყოველი ადამიანი საკუთარი დჰარმას, ანუ შინაგანი ბუნების შესაბამისად უნდა მოქმედებდეს, რომელიც შინაარსით ყველასთვის ერთია, ფორმით კი განსხვავებული. კრიშნას საყვედურზე არჯუნა პასუხებს, რომ მისი, კმატრიას ბუნება ცოდვის შიშითაა განემირული, რის გამოც ვერ ავლენს მისი კასტისთვის დამახასიათებელ თვისებებს, დაკარგული აქვს ორიენტაცია, კასტის დჰარმას რწმენა („არ მესმის, რაა ჩემი ვალი ან რას მთხოვს სჯული“) და მასწავლებლის დარიგებას ელის.“

2.11. სანსკრ.: „იმითაა დარდობ, ვიზეც არ უნდა დარდობდე, ბრძნულ სიტყვებს კი ამბობ...“ პანდიტი – (აქ: ბრძენი, იხ. 2.69.) სწავლული. დღეს უფრო გარეგანი, ინფორმაციული ცოდნის მფლობელს აღნიშნავს, ვიდრე სიბრძნისას, თუმცა რანგანათჰანანდა განმარტავს, რომ ეს ტერმინი სიტყვა „პანდადან“ მოდის, რაც „ატმანისკენ მი ჰყრობილ ცნობიერებას (ბუდჰი)“ ნიშნავს. ამ ტერმინის განმარტებას „გიტაც“ იძლევა: „ისინი, ყველაფერში ერთსა და იგივეს რომ ხედავენ, პანდიტებად იწოდებიან“ (5.18.).

2.13. სანსკრ.: „როგორც ამ სხეულში გადის ზორცმესხმული [სული] ბავშვობას, სიყმაწვილეს, მოწიფულობის ასაკს და სიბერეს, ისე იღებს ის ახალ სხეულს (გადადის ახალ სხეულში), ჭკვიანს (დჰირა: მტკიცე, მშვიდი, ჭკვიანი, ნიჭიერი) ეს არ აბნევს“ (მუჰ: თავგზის აბნევა, დაბრმავება, იხ. მოჰა, 2.52.).

2.14. „ნივითა შეხება“ – რანგანათჰანანდა „მატრას“ (ზომა, საზომი; მა – აზომვა) „აღქმად (შეგრძნებად) საგნებად“ თარგმნის და განმარტავს, რომ „როცა აღქმად სანებს ვეხებით, ჩვენი ფიზიკური აღქმის სისტემა „ზომვას“ იწყებს. ყველაფერი, რაც მატერიალურია, გაზომვას ექვემდებარება, ამიტომაც აღინიშნება ამ შესანიშნავი სი-

ტყვი“ . რამანუჯა აქ „მატერიასთან შეხებას“ თარგმნის, შანკარა კი „გრძნობებთან შეხებას“; „მათი მოთმენის...“ – ტიტეკმა: მოთმენა, ატანა. ტომსონი შენიშნავს, რომ ეს შლოკა იოგური პრაქტიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მომენტს, მატერიალური სამყაროს გაკვლენათა ცვალებადობის ატანის სწავლას შეეხება. თუცა, სმირნოვის აზრით, ზნა „ტივ“ -ის პირველი მნიშვნელობა (ლესვა) ამ სიტყვას ძლიერი მისწრაფების მნიშვნელობას სძენს, ამიტომ იოგა აქაც აქტიურ წინააღმდეგობას გულისხმობს და არა პასიურ „ატანას“.

2.15. პურუშარშაბჰა – „ადამანთა შორის ხარი“. ასე პატივისცემის ნიშნად მიმართავდნენ ერთმანეთს; აქ კრიშნა მიმართავს არჯუნას.

2.16. „უნამდვილო...“ – ტერმინები „სატ“ (არსებული, რეალური, ნამდვილი, კარგი, ყოფიერება, რეალური სამყარო, სიმართლე, სიწმინდე) და „ასატ“ (ყოველივე ამის საპირისპირო) „გიტაში“ ხშირად გვხვდება, განსაკუთრებით მეთორმეტე თავში, სადაც, სმირნოვის აზრით, „ტერმინ „სატს“ ელინური ფილოსოფიის „მეონის“ იდენტური მნიშვნელობა აქვს მინიჭებული, ანუ არსებობის („იუკონის“) აბსოლუტურად საპირისპიროს კი არ ნიშნავს, არამედ ყოფიერების ფარდობითობას, მედინობას... ამიტომ ეს ადგილი ასე უნდა გავიგოთ: სატ – ჭეშმარიტი არსებობა, სული, „მხედველი“, წარმატალი ყოფიერების თვისებებს ვერ შეიძენს, ანუ ვერ მოკვდება. მეორეს მხრივ კი მეონი, მაია (იხ. 4.6.), ანუ ასატ, აბსოლუტური რეალობის არმქონე, ფარდობითი ყოფიერებაა, ხოლო რადგან ყველაფერი წარმატალი ფარდობითია, სიკვდილსაც, როგორც ფარდობითი სამყაროს ფენომენს, სრული რეალურობა არ გააჩნია და მხოლოდ ფარდობითი შეიძლება იყოს. „ჭეშმარიტება“ – ტატვა: ჭეშმარიტება, საგანთა ჭეშმარიტი ბუნება, სიმართლე, სინამდვილე; ვედანტაში ეს სიტყვა ხელოვნურად იყოფა ორად: ტა ტვამ – „ეს შენ ხარ“, რითაც გამოიხატება იკვევობრიობა სამყაროსი, რომელიც მხოლოდ ილუზორულად ჩანს მრავალგვარი; 2.17. სანსკრ.:

„რადგან, [შეიცან, რომ] ვერ განადგურდება იგი, ვისითაც აღვსილია ყოველივე ეს; ვერავინ განადგურებს წარუვალს.“ „სარვას“ (ყველაფერი), როგორც არსებით სახელს, სამყაროს მნიშვნელობა აქვს, „ტან“ კი გავრცელებას, გადაჭიმვას ნიშნავს. ამ სიტყვით ქმნადობის, როგორც ემანაციის პროცესის ფილოსოფიური იდეა გამოიხატება. ამ იდეას ყველაზე უკეთ „უპანიშადების“ საყვარელი მეტაფორა, ობობა ასახავს: „როგორც ობობა ქსელის სახით გამოდის საკუთარი თავიდან, როგორც ცეცხლიდან იფრქვევა მოციმციმე ნაპერწკლები, ზუსტად ისე ატმანიდან წარმოიქმნება სიცოცხლის ყველა სული, ყველა სამყარო, ყველა ღმერთი, ყველა არსება...“

2.18. სანსკრ.: წარმატალია ეს სხეულები განსხეულებულის (შარინ: „ხორცშესხმული“, ანუ სული) – მარადისად წოდებულის, წარუვალის (ანამინ: „დაუღუპველი“, მოუსპობელი), კვალმიუვალის (აბრამეია: განუზომელი, შუცნობელი, შუღწეველი). ამიტომ იბრძოლე, ბჰარატაკა!“

2.19. „თავს ვერ გაიქრობს“ მხოლოდ თავისუფალი ინტერპრეტაციაა. სიტყვა-სიტყვით ასეა: „ის არც კლავს და არც კვდება“.

2.22. „სული“ – ღვპინ: „ის, ვისაც სხეული აქვს“ (იხ. 2.28.), ხორცშემოსილი, ანუ სული, რომელსაც „ეკუთვანის ეს მოკვდავი სხეული“ (შანკარა). ჰაუერმა, რომელიც ჰინდუიზმის სამი ძირითადი მიმართულების, ვიშნუიზმის, შივაიზმის და „პოლითეისტური ბრაჰმანიზმის“ მიერ ატმანის (იხ. 2.55.), პურუშასა (იხ. 8.4.) და ღვპინის გაგების ტრადიციას იკვლევდა, აღმოაჩინა, რომ ჰინდუიზმის სამივე ეს განშტოება

ამ სამ ტერმინს სინონიმებად აღიქვამს.

2.28. „ღვთის ქმნილება...“ – ბჭუტა, „გიტაში“ სიტყვა „ადამიანი“ მხოლოდ მაშინაა ნახსენები, როცა საქმე ადამიანთა საზოგადოების ოთხ ფენად დაყოფას ეხება. ყველა დანარჩენ შემთხვევაში სიტყვა ბჭუტა („ცოცხალი არსება“, „სულიერი“), ზოგან კი ღვიძი („ხორცშემოსილი“) გვხვდება („ხორცშემოსილი“ ანუ „ხორცშესხმული“ ამ შემთხვევაში სულს ნიშნავს, ანუ იმას, „ვინც ხორციტ შემოსილა“). ხშირია სარვაბჭუტანიც („ყოველი სულდგმული“). ეს არც არის გასაკვირი – ამ ნაწარმოების ერთ-ერთი ცენტრალური იდეა ყოველი ცოცხალი არსების ერთობაა – ყოველივე ცოცხალი და არაცოცხალი ერთადერთი და აბსოლუტური რეალობის – ღმერთის სხვადასხვა განსხეულება, მხოლოდ მისი გამოვლინება და ხორცშესხმაა.

2.29. სანსკრ.: „ერთი ხედავს მას, ვით სასწაულს, მეორე საუბრობს მასზე, როგორც სასწაულზე, მესამე როგორც სასწაულის შესახებ, ისე ისმენს მასზე, მაგრამ მოსმენის შემდეგაც არავინ იცნობს მას (ან არავინ იცის მის შესახებ).“ საერთო შეხედულებით ამ სტროფში სულზეა ლაპარაკი, თუმცა ზოგი აქ „ჭეშმარიტებას“ თარგმნის. ორიენინალში მხოლოდ ნაცვალსახელია: „ენამ“ – „ეს“. სიმრნოვი ვარაუდობს, რომ აქ შესაძლოა შრი კრიშნას მიერ აქამდე განვითარებული აზრი, ანუ ის იგულისხმებოდეს, რომ საოცარი და შეუცნობელია სულის გამოვლინება, მისი ხორცშესხმა და მატერიასთან კავშირი. მისი განმარტებით, „ამ შემთხვევაში ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, რომ ტრადიციულ ინდურ ფილოსოფიაში ამოუხსნელი გამოცანად სული კი არა, მატერია გვევლინება. განსაკუთრებით ეს შანკარას სკოლას ეხება. ანანდაბჰოჯა, შანკარას ტიპის ვედანტიზტი ამბობს, რომ მატერია „ავიდიად“ (ვედანტიზტთა ენაზე ეს ტერმინი მაიას სინონიმია) („უმეცრება“) იმიტომ იწოდება, რომ ეს გნოსეოლოგიური კატეგორია შეუცნობელია, რადგან ის ერთდროულად „არის“ კიდეც და „არც არის“. სწორედ ასეთ წინააღმდეგობრიობას ეწოდება „ავიდი“ (უცოდინრობა). შანკარას სკოლის თანახმად, სამყაროს მატერიალური მიზეზი არსებობს კიდეც და არც არსებობს, იმიტომ ბრაჰმას მატერიასთან კავშირს ეს სკოლა უარყოფს, როგორც ილუზიას. ტრადიციული ინდური ფილოსოფიის ეს პოზიცია მხედველობიდან რჩებათ იმ მთარგმნელებს, რომლებიც „გიტას“ ტექსტს აღიქვამენ ევროპული რელიგიურ-ფილოსოფიური თვალთახედვიდან, რომლის მიხედვითაც პრობლემატური სულის არსებობაა, მაშინ როცა მატერია თავისთავად არსებულად იგულისხმება... „უპანიშადებში“ ნათქვამია, რომ „ის ვისაც [მიღმიერი სამყაროს შესახებ] სმენია, ვერ იგებს [რა არის იგი]. სასწაულია, თუ ამას ვინმე ისწავლის, ბრძენი კი ის არის, ვინც შეიცნობს; სასწაულია თუ ვინმემ ბრძენისგან ისწავლა [მის შესახებ] და იცის.“ ჰილი „უპანიშადების“ ხსენებულ ადგილსა და „გიტას“ ამ სტროფს შორის აშკარა კავშირს ხედავს, ტომსონის აზრით კი ეს შლოკა სულის შეცნობის მოწადინეთა სამ კატეგორიაზე მიგვანიშნებს. ესენია: 1. იოგები, რომლებიც წრთენის მეშვეობით სულიერი ჰვრეტის უნარს იძენენ; 2. ფილოსოფოსები, რომლებიც სულს განსჯით შეიმეცნებენ და 3. ფილოსოფოსთა მოწაფეები.“ 2.31. სვადჰარმა – „საკუთარი კანონი“, ანუ ადამიანის პირადი მოვალეობა (იხ. დჰარმა, 1.40.). კმატრია – მეომარი, ერთ-ერთი ვარნის წარმომადგენელი. იხ. ვარნა, 4.13.

2.32. „თავს უძებნელად რომ დაატყდება...“ – სიტყვა-სიტყვით: „თავისით რომ მოდის...“

2.33. სვადჰარმა – (იხ. 1.31.); პაპა – ცოდვა, დანაშაული, უბედურება, შეცდომა.

- 2.38. სანსკრ.: „დაე ერთი იყოს შენთვის სიამოვნება და ტკივილი...“
- 2.39. სანსკრ.: „ეს, რაც განვიცხადე, სანქჰიაა, ისმინე გონების (ბუდჰი) იოგას შესახებ“; სმირნოვი თარგმნის: „ეს სწავლება (ბუდჰი) გადმოგეცე განსჯის (სანქჰიას) შესაბამისად, ისმინე იგივე იოგას მიხედვით“; ასეც ესმით: „ის, რაც გასწავლე, სანქჰიას სიბრძნეა, ახლა კი იოგას სიბრძნის შესახებაც ისმინე“; ბუდჰი: გონება, ინტელექტი, აზრი, შეხედულება, წარმოდგენა, უნარი, სული, სიბრძნე, აღქმა, ვარაუდი, განსჯა, ფიქრი, განზრახვა; სანქჰია, იოგა – იხ. თავი მეორე; ამ სტროფში ტერმინები „სანქჰია“ და „იოგა“ სხვადასხვანაირად ესმით. მკვლევართა ერთი ნაწილი თვლის, რომ აქ ერთის მხრივ მუნის, კაპილასა და იშვარა-კრიშნას მიერ დაარსებული სანქჰიას, მეორეს მხრივ კი პატანჯალის სკოლები იგულისხმება, თუმცა ამ შემთხვევაში გაუგებარი რჩება, რომელ სანქჰიაზეა საუბარი – კაპილას ადრეული, ანუ ეპიკური სანქჰიას თუ იშვარა-კრიშნას კლასიკური შესახებ. მკვლევართა მეორე ნაწილის მტკიცებით აქ „სანქჰია“ უფრო ფართო, ფილოსოფიური განსჯის გზით „მაიას უმცირების გაფანტვის, სამსარის ხუნდებისგან განთავისუფლების და აბსოლუტური ჭეშმარიტების შეცნობის“ (შანკარა).
- 2.40. „ერთ ნაბიჯსაც კი ამ გზაზე ძალუმს საფრთხისგან იხსნას ადამიანი“ – სანსკრ.: „ამ დჰარმის (იხ. 1.40.) სულ მცირე ნაწილსაც კი...“ შანკარა განმარტავს, რომ „განთავისუფლებისკენ (მოკშა, იხ. 5.28.) გადადგმული არც ერთი ნაბიჯი ამოდ არ იკარგება“; ბჰაიას აქ „საფრთხედაც“ თარგმნიან და „[მაიათი, უმეცრებით გამოწვეულ] შიშადაც“.
- 2.41. „...გონება მისი, შეუდრეკელი ვისაც აქვს ნება“ – ვიავასიაატმკა ბუდჰი: შეუპოვარი (რუს.: РЕШИМОСТЬ), ერთი მიზნისკენ მიმართული გონება; „ბუდჰის“ აქ „თვალსაზრისიდან“ თარგმნიან. ტომსონი განმარტავს, რომ იოგას ერთადერთი მიზანი სულის მატერიალსგან განთავისუფლებაა, მაშინ, როცა ამსოფლიოურ საქმეებში ჩვენი მიზნები ჩვენივე სურვილებით მრავალფეროვანია; კურუნანანდა – „კურუთა სიხარულო!“ ასე მიმართავს კრიშნა არჯუნას.
- 2.42. „საქმის წილ შობას, ბედს გაბრძობიან...“ ანუ რეინკარნაციის გზით ახალ, სვებდნიერ დაბადებას აღვითქვამენ.
- 2.43. „ცის მოსურნენი“ – სვარგა-პარა: „ზეცის უმაღლეს მიზნად დამსახვანი“. ჰინდუიზმის მიხედვით, საქმეების წილ მიღებული სასჯელი და ჯილდო მარადიული არ არის და განთავისუფლებისკენ მიმავალი ამას მიზნად არ უნდა იხსახედეს; „სურვილთა ტყვენი“ – ასეც თარგმნიან: „სურვილებით აღსავსენი“. სმირნოვი თარგმნის: „მათი არსი წადილია“. კამა: სურვილი, გულისთქმა, ჟინი, ვნება, ავხორცობა, სიყვარული; „საქმის წილ... ბედს გაბრძობიან“ – კარმა-ფაქალას აქ „საქმის ნაყოფადაც“ იგებენ და „კარმის ნაყოფადაც“.
- 2.44. სამადჰი – დაკავშირება, შეერთება, მოწესრიგება, დაკვირვებულობა, ჩაღრმავება, ჩაძირვა, დანთქმა; კონკრეტული რელიგიური მნიშვნელობით: ღრმა ჭკვრეტა, ყურადღების უზუნაეისკენ მიჰყრობა, ღვთაებრიობის უშუალო აღქმა და მასთან შერწყმა. მდგომარეობა, რომელიც რაჯა-იოგას საბოლოო მიზანს წარმოადგენს და როგორც წესი, ხანგრძლივი ფსიქოფიზიკური წრთვით მიიღწევა. თუმცა ითვლება, რომ ზოგმა ღირსეულმა ადამიანმა შეიძლება ის სრულიად მოულოდნელად, ყოველგვარი მოშხადების გარეშე განიცადოს. ამას გარდა, უმაღლესი განვითარების იოგებს შეუძლიათ სამადჰი ამისთვის მოუშხადებელ ადამიანებსაც განაცდევინონ. იოგები სამად-

პის რამოდენიმე საფეხურს არჩევენ: ცნობიერებაშენარჩუნებელი სამადპი, ცნობიერება შეუნარჩუნებელი სამადპი და ა. შ. „ამგვარი ფიქრით“ – სანსკრ.: „ამით“ (ანუ იმით, რაც წინა შლოკებშია აღწერილი); „უშიში“ – ვიავასაია: გაბედული, მტკიცე, რუს.: **полный решимости**; ინგლ.: **Resolute**.

2.45. „გუნებს მოიცავს წმინდა წერილი“ – სანსკრ.: „ვედები“ სამი გუნას სფეროს განეკუთვნება“. „გუნა“ ჰინდუიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცნება და სანქჰიას ფილოსოფიის ერთ-ერთი მთავარი კონცეფციაა. გუნა „თვისებაა, რომლითაც შეიცნობა საგანი“. გუნები ზილული სამყაროს – კოსმოსისა და ყოფიერების სამი ძირითადი კომპონენტია: ის, რისგანაც შედგება სამყარო, მაგრამ მის უცვლელსა და მარადიულ არსს კი არ წარმოადგენს, არამედ ცვალებად, წარმავალ და ამდენად მოჩვენებით ბუნებას. მათგან იბადება სულიერთა ყველა ვნება თუ ემოცია. გუნას თარგმანი როგორც მოღუსს, თვისებას, სულიერ მდგომარეობას. გუნას ერთ-ერთი მნიშვნელობაა ბოჰკო, წნული, კონა. გუნების შესახებ მოძღვრების მიხედვით პირველმატერია ქსოვილის მიზეზად წარმოგვიდგება, გუნები კი – ქსოვილის სხვადასხვა მოხატულობით გამაფორმებელ მისაქსელად. საბოლოოდ, დიალექტიკურად გუნები მოძრაობის ფორმად წარმოგვიდგება. რაც უფრო მეტად ვითარდებოდა მატერიის შეცნობის თეორია, მით უფრო ცხადი ხდებოდა, რომ „ლინგა“ სხვა არაფერი შეიძლება იყოს, თუ არა მოძრაობა, კარმა. აქედან გამომდინარე გუნებსაც მოძრაობის ტერმინებში განიხილავდნენ. ყოველი სულიერი და მთლიანად სამყარო სამი გუნასაგან შედგება:

1. სატვა (სიმშვიდე, ჰარმონია, სიწმინდე, სათნობა);
2. რაჯასი (ვნება, როგორც სიცოცხლის მამოძრავებელი ძალა, აქტიური საწყისი, ენერჯია);
3. ტამასი (ინერცია, უძრობა, სიცოცხლის შემაკავებელი ძალა, სიზარმაცე, უგუნურება); სვაში ჩინმაიანანდა მათ ასე განასხვავებს: უმოქმედობა (სატვა), მოქმედება (რაჯასი) და მცონარება (ტამასი); აქ საინტერესო ისაა, რომ სანქჰიას ფილოსოფია ინერტულ მატერიასა და ფსიქიკას შორის პრინციპულ სხვაობას ვერ ხედავდა. მთელი სამყაროს, ყოველივე ცოცხალისა და არაცოცხალის არსებობის ყოველი წამი ერთდროულად

სამივე გუნათია საკვსე. ისინი ერთმანეთს აწონასწორებენ. თუ ძეხორციელში ერთი

რომელიმე გუნაა მოჭარბებული, დანარჩენი ორი სუსტდება და მცირდება. გუნები მატერიის თვისებებია, ამიტომ მატერიალურ სამყაროში მათგან ბოლომდე ვერავინ განთავისუფლდება. სატვა მიღმიერ სამყაროსთან ყველაზე ახლოსაა, მაგრამ აბსოლუტთან სრულ შერწყმას რომ მიადწიოს, ადამიანი მისგანაც კი უნდა განთავისუფლდეს. თივლება, რომ კოსმიური ციკლის დასაწყისში სამივე გუნა აბსოლუტურად გაწონასწორებულ მდგომარეობაში იმყოფება, ანუ მთელს პრაკრიტიში (მატერია, ბუნება; იხ. 3.5.) თანაბრად არის განაწილებული. შემდეგ სამყაროს გონი ამ წონასწორობას არღვევს და იწყება განვითარება. სამყარო სამი გუნას სხვადასხვა კომბინაციის გზით წარმოიქმნება და ყოველ მის წერტილში ერთი რომელიმე გუნა იწყებს დომინირებას. კოსმიური ციკლის დასასრულს გუნები კვლავ წონასწორობისკენ მიისწრაფიან. სვაში რანგანათჰანანდა აღნიშნავს, რომ ეს სტროფი „გიტას“ ყველაზე რეკოლუციური განაცხადია,“ რადგან გუნებისგან გათავისუფლება ინდოეთში ყველაზე ხელშეუხებელი ავტორიტეტისგან, „ვედებისგან“ გათავისუფლე-

ბასაც ნიშნავს, სვამი ჩაინმაიანანდას აზრით კი, იმის გამო, რომ „კუნები სხვადასხვა პროპორციით ყოველი სულიერის შინაგან კონსტიტუციად რჩება მუდამ,“ მათგან განთავისუფლება მატერიისგან, ბუნებისგან განთავისუფლებასაც ნიშნავს; ხოლო რადგან გონება, ინტელექტი მატერიის ნაწილია, „ბუნების სამ ტემპერამენტს მიღმა გას ლა არც მეტი, არც ნაკლები, ინტელექტს მიღმა გასვლასაც გულისხმობს“.

„ვედები“ – (სანსკრ.: ვედა – ცოდნა, წმინდა ცოდნა); არიელთა უძველესი წმინდა წიგნები, დაწერილი ძველ სანსკრიტზე. „ვედები“ ჰიმნებისგან, ლოცვებისგან, ლევენებისგან, რიტუალური ტრაქტატებისგან, მაგიური, კოსმოლოგიური და სამედიცინო ტექსტებისგან შედგება. მათი (ისევე, როგორც სხვა ძველინდური წერილობითი ძეგლების) დათარიღება არ ხერხდება. ითვლება, რომ „ვედები“ დაახლოებით ჩვ.წ.აღ.-მდე II ათასწლეულში ჩაიწერა, თუმცა ზეპირი ფორმით მანამდეც არსებობდა. მეცნიერთა ნაწილის აზრით მისი ყველაზე ძველი ჰიმნები ჩაწერამდე ათასწლეულებით ადრეა შექმნილი. არსებობს რწმენა, რომ „ვედები“ სამყაროს სულის, ბრაჰმას ამოსუნთქვის შედეგად იშვა. ყველაზე გავრცელებულია შეხედულება, რომ ის იმ რიშებისთვის (ბრძენი, იხ. 3.20.) იქნა გამჟღავნებული, რომელთა სახელებსაც „ვედები“ წიგნები ატარებენ. ამიტომ მათი სახელწოდებაა „შრუტი“ ანუ „ის, რაც მოსმენილ იქნა“. გადმოცემის მიხედვით ბრძენმა ვიასამ ისინი ოთხ ნაწილად – „რიგვედად“, „იაჯურვედად“, „სამავედად“ და „ათჰარვავედად“ დაჰყო. მათგან ყველაზე ძველი „რიგვედაა“. იგი ინდოარიული მოსახლეობის მსხვერპლშეწირვებისა და საზოგადოებრივი და საშინაო ცერემონიების წესების, აგრეთვე რელიგიურ-კოსმოლოგიურ წარმოდგენათა აღწერას წარმოადგენს. „რიგვედაში“ დიდი ადგილი აქვს დათმობილი სომას მომზადებისა და გამოყენების წესებს. „სამავედა“ გალობათა კრებულია, რომელთაც სომას მომზადებისას და მსხვერპლშეწირვის დასაწყისში ადავლენენ. „იაჯურვედა“ ქურუმთათვის განკუთვნილი მსხვერპლშეწირვების ჩატარების სახელმძღვანელოა. იყოფა „თეთრ“ და „შავ“ იაჯურდ. „ათჰარვავედა“ მეოთხე და ყველაზე გვიანდელი „ვედაა“. მას დიდხანს არ მიიჩნეოდნენ ვედურ ლოკუმენტად. იგი რიგვედადან გადმოსული ჰიმნებისა და იმ ნაწარმოებებისგან შედგება, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზის გამო „ვედებში“ არ შევიდა. მის ბედს ბიბლიიდან ამოღებული ტექსტების – აპოკრიფების ბედს ადარებენ. „ათჰარვავედაში“ უმთავრესად მედიცინაზე, განკურნების სხვადასხვა მეთოდზე, მათ შესაბამის რიტუალებზე და მაგიურ შელოცვებზეა საუბარი. ყოველი „ვედა“ ორ ნაწილად – „მანტრა“ და „ბრაჰმანად“ იყოფა. „მანტრა“, ანუ „აზრის გადმოცემის საშუალება“, მეტრული საზომის ჰიმნების სახით შესრულებულ ლოცვასა და დიდებას წარმოადგენს. „ბრაჰმანა“ პროზაული ფორმით დაწერილი ტრაქტატების, განმარტებების და ლეგენდების კრებითი სახელია. „ბრაჰმანებში“ რწმენის საკითხებია განხილული, აგრეთვე აღწერილია რიტუალები და მსხვერპლშეწირვის ცერემონიები. მიჩნეულია, რომ ის „მანტრებზე“ უფრო გვიანაა შექმნილი. „ბრაჰმანების“ დამატებას წარმოადგენს „არანიაკები“ და „უჰანიშადები“ – ვედური ლიტერატურის ფილოსოფიური ნაწილი, ანუ პროზაული, პოეტური და მისტიკური ტრაქტატები, რომლებშიც ბუნების, სულისა და ღმერთის რაობაა განხილული და რომელიც „ვედების“ ფარულ აზრს ხსნის. არსებობს 150-ზე მეტი ასეთი ნაშრომი. „უჰანიშად“ სიტყვა-სიტყვით „მასწავლებლის ფერხთით ჯდომას“ ნიშნავს. „უჰანიშადები“ აზრის უდიდესი თავისუფლების დემონსტრირებად და ძველი ინდური ფილოსოფიის დასაწყისად ითვლება. მთელი ვედური ლიტერატურამ კარმა-კჰანდად („მოქმედების

განყოფილება“ ანუ ცერემონიები), და ჯნანა-კჰანდად („ცოდნის განყოფილება“ – „ბრაჰმანები“, „უჰანიშადები“) იყოფა, თუმცა ორივე „შრუტიდ“ („მოსმენილად“ ანუ გამოცხადებულ) არის მიჩნეული. ვედური ჰიმნების ავტორები ბუნების ძალთა პერსონიფიცირებულ ღვთაებებს, უმთავრესად აენის, ინდრასა და სურიას მიმართავენ. სხვა ღმერთებთან ერთად ეთაყვანებოდნენ აგრეთვე სომას – ამავე სახელწოდების მცენარის (ასკლეპიას აცილა) წვენივსგან მომზადებული სითხის პერსონიფიკაციას. ამ ღმერთს მეცნიერები „ინდოელ დიონისეს“, „ინდოელ ბახუსს“ უწოდებენ. თვით სომა – ეს „მაცოცხლებელი“, „ყოველ სნეულებათაგან განმკურნებელი“ სასმელი ღმერთებისთვისაც და მათი თაყვანისმცემლებისთვისაც ერთნაირად სასურველი იყო. მას სასწაულებრივ თვისებებს მიაწერენ. ითვლება, რომ სომას სულიერი ძალების ამოქმედება და ადამიანის ისეთ მდგომარეობაში გადაყვანა შეუძლია, რომელშიც ის არაამქვეყნიურ ძალასა და უნარებს იძენს. მცენარე, რომლის წვენივსგანაც ის მზადდება, „მცენარეთა მეფედ“ ითვლება. სომას მომზადების პროცესი მსხვერპლშეწირვის წმინდა რიტუალია. ამ სასმელს ინდოელი ბრაჰმანები დღესაც ამზადებენ. ინდოელებს სწამთ, რომ „ვედები“ ყოველთვის არსებობდა. ამის შესახებ სვამი ჩინმაიანანდა ამბობს: „თუ სიტყვა „ვედას“ გავიგებთ, როგორც „ვედების წიგნებს“, რა თქმა უნდა ვერ უარვყოფთ, რომ ის სასრული და წარმავალია. მაგრამ ამ ტერმინის ფუძე არის ვიდ (ცოდნა). ვედა ადამიანში დამატებული ღვთაებრიობის და მისი სრული გამოვლენის ტექნიკის ცოდნას ნიშნავს. სწორედ ეს არის „ვედების“ წიგნების შინაარსი, რომლის ჭეშმარიტებაც მარადისია“. „განთავისუფლდი გარებისგან – მისგან, რაც იცნო, ვით მეტისმეტი...“ – ნირდვანვო – „ორმაგობისგან, საპირისპიროთა წყვილისგან თავისუფალი“. „გიტას“ კომენტატორებს ეს ტერმინი ესმით, როგორც „ურთიერთსაპირისპირო მოვლენებისგან (ბედნიერება და უბედურება, ცივი და ცხელი, სიამოვნება და ტკივილი და ა. შ.) თავისუფლება. „ნირდვანდვას“ სამყაროს საპირისპირო მოვლენათა სინთეზირების შემქმნელად იგებენ. შანკარა და რამანუჯა („გიტას“ ყველაზე ავტორიტეტული კომენტატორები) ამ ტერმინში რაჯასის (მოძრაობა) და ტამასის (უძრაობა) სატკავში (ჰარმონია) სინთეზირებისკენ მოწოდებას ხედავენ, რაც, სმირნოვის აზრით, სრულიად ეთანხმება „გიტას“ სწავლებას (14.10.17; 18.33.). „ანუ მოინდომებ შექენას...“ – იოგაკრმა: „შექენა და შენასვა“. ტომსონი შენიშნავს, რომ თავდაპირველად ეს ტერმინი აღნიშნავდა ორ მხარეს შორის შეთანხმებას, რომლის თანახმადაც ერთი მხარე ვალდებული იყო მეორის სიცოცხლე და ქონება დაეცვა. მოგვიანებით ტერმინმა საკუთრების და საერთოდ ამქვეყნიური საზრუნავის გამო შფოთვის მნიშვნელობა შეიძინა. „დამოაკები იყავი თავის“ – „ატმავანს“ გარმარტავენ, როგორც „თავის მფლობეს“, „ატმანში დამკვიდრებულს“ და „ატმანის [შესახებ] ცოდნის მფლობელს“. ტრადიციულ ჰინდურ ფილოსოფიაში საყოველთაოდ აღიარებული აზრის მიხედვით სულიერი განვითარების რა სიმაღლესაც არ უნდა მიაღწიოს ადამიანმა, სამი გუნასაგან ბოლომდე მაინც ვერ განთავისუფლდება, მაგრამ „უმაღლესისგან“ დახსნილი, ის სულ უფრო „სატკიური“ ხდება და ამგვარად აღწევს „ცოცხლად განთავისუფლებულის“ (ჯივანმუქტა) მდგომარეობას, ბოლომდე კი სხეულის დატოვების შემდეგ თავისუფლდება. „...მუდამ სიწმინდით შემობურვალ“ – სანსკრ.: „მუდამ სატკავში მყოფი“.

2.46. „წერილი“ – „ვედა“, იხ. 2.45; ბელონის განმარტებით, „გიტა“ ორთოდოქსული ნაწარმოებია, რომელიც „ვედების“ ავტორიტეტს კი არ უარყოფს, არამედ

ძველ და ახალ ცოდნას აერთიანებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „იტი“ არ უარყოფს „წყალმცირე წყაროს“ საჭიროებას იმათთვის, ვისაც უმაღლესი ჭეშმარიტება ჯერ არ შეუცვნია. „უფლის სამყარო“ – ბრაჰმანი: უპიროვნო აბსოლუტი, სამყაროს უზენაესი სული, თვითარსი და მარადისი; ის, რისგანაც ყოველივე წარმოიქმნა და რაშიც დაბრუნდება ყველაფერი. ეს ღვთაებრივი არსი უსხეულოა, არამატერიალური, უხილავი, დაუბადებელი, შეუქმნელი, საწყისისა და სასრულის არმქონე, უსაზღვრო, გრძობითა და გონებით აღუქმელი, შეუმეცნებელი მანამდე, სანამ მოკვდავის სიბრძავე არ განქარდება. ბრაჰმანი ყოველში მყოფი და უსასრულოა ყველა გამოვლინებაში, უმაღლესი რანგის ღმერთი იქნება ეს თუ უმარტივესი ქმნილება. ეს უზენაესი სული თაყვანისცემას არ იღებს, მაგრამ ჰინდუ ბრძენები მასში დანთქმის მიზნით მასზე მედიტირებენ. სიტყვა „ბრაჰმანი“ პოემაში იმდენად ხშირად გვხვდება, რომ მისი პირდაპირ გადმოტანა აუცილებლად დაარღვევდა მის პოეტურ და ქართულ ჟღერადობას. ცნება ბრაჰმანი ზუსტად შეესაბამება სიტყვა „ღმერთის“ ყველაზე მკაცრ თეოლოგიურ გაგებას, ამიტომ ბრაჰმანი, ანუ აბსოლუტი ყველგან ნათარგმნია, როგორც „ღმერთი“, „უზენაესი“ ან „უფალი“. კომენტატორებისა და მთარგმნელთა უმეტესობა თვლის, რომ 11.15. 11.37. 14.3. და 14.4. შლოკებში პიროვნული ღმერთი, ბრაჰმა იგულისხმება. ჩვენც თვით ამ სტროფების შინაარსმა გვიბოძლა, თარგმანშიც ბრაჰმა დავეტოვეთ. ბრაჰმა ჰინდური სამების (ბრაჰმა, ვიშნუ, შივა) პირველი წევრია – უზენაესი სული, გამოვლენილი, როგორც სამყაროს აქტიური შემოქმედი. ის უზენაესი პირველმიზეზის მიერ დადებული კვერცხისგან იშვა. თუმცა არსებობს ბრაჰმასა და სამყაროს შექმნის სხვა ვერსიებიც. მაგალითად „მატაპატა ბრაჰმანასა“ და მანუს თანახმად უზენაესმა ჯერ წყალი შექმნა და მასში თესლი ჩადო. თესლი ოქროს კვერცხად იქცა, საიდანაც თვით ბრაჰმანი ბრაჰმას სახით დაიბადა. წყალში (ნარა) გაჩენილ ბრაჰმას ნარაიანა უწოდეს. მას სხვა უამრავი სახელი და ეპითეტიც აქვს. მათ შორისაა „ლოტოსი“, „ლოტოსისგან შობილი“ და ა.შ. ბრაჰმა წითელი ფერისაა და ოთხი თავი აქვს. იგია პრაჯაპატი – ყოველი სულიერის მეთუფე და მამა. ვედურ ლიტერატურაში მას ხშირად ახენენებენ, როგორც „ყველა ღმერთის შემქმნელს“. მისი შვილები არიან რიშები და პრაჯაპატები. ბრაჰმას შექმნილი სამყაროს არსებობა ერთ „ბრაჰმას დღეს“, 2 160 000 000 წელს გრძელდება. შემდეგ ყველაფერი ცეცხლში ინთქმება, თუმცა ბრძენები და ღმერთები გადარჩებიან. ერთი „ბრაჰმას დამის“ შემდეგ ბრაჰმა იღვიძებს და სამყაროს ადადგენს. ეს ციკლი მანამდე გრძელდება, სანამ ბრაჰმა ას „ბრაჰმას წელს“ არ მიაღწევს (ეს დრო თხუთმეტნიშნა რიცხვით გამოიხატება). ასე ბრაჰმას წლის შემდეგ ღმერთები, წმინდანები და თვით ბრაჰმაც ქრებიან და მთელი სამყარო მის შემადგენელ ელემენტებად იშლება. 2.48. „ერთნაირობა“ – სამატვა: თანაბრობა, ერთნაირობა, წონასწორობა, გაწონასწორებულობა (გულგრილობისა და განურჩევლობის მნიშვნელობაც აქვს); იოგა – სმირნოვის მოსაზრებით „გიტას“ იოგას მიზანი მატერიისგან განცალკევება კი არ არის, არამედ სრული შერწყმა სამყაროსთან, რომელიც არსებითად თვითონ ბჰაგავანია. ეს „ბრაჰმო-ნირვანა“ (იხ. 2.72.) უმოძირობა კი არ არის, არამედ ოკეანის „მოძირობი სიმშვიდე“, თავის თავში ყველა მდინარეს რომ იღებს (იხ. თავი მეორე. 2.70.) 2.49. სანსკრ.: „საქმეს ბუდჰი-იოგა (იხ. 18.49.) სჯობს...“ თუმცა ყველა კომენტატორი ერთხმად აღიარებს, რომ „საქმეში“ აქ მხოლოდ და მხოლოდ „ეგოსტური

მოტივით მოქმედება, „სურვილების ასასრულებლად შრომა“ იგულისხმება და არა ზოგადად შრომა, „ბუღდპი-იოგას“ კი „ერთნაირობის, წონასწორობის იოგად,“ ან უბრალოდ „გონიერებად“ თარგმნიან. კომენტატორები აღნიშნავენ, რომ ჰინდურ „ბუღდპის“ არაფერი აქვს საერთო ევროპულ რაციონალურ გონებასთან და უფრო კანტის „პრაქტიკულ გონებას“ უახლოვდება. მორალური ობერტონები ამ ცნებას უფრო „სინდისის“ მნიშვნელობას ანიჭებს. იოგა – იხ. თავი მეორე.

2.50. „აქვე“ – „ამქვეყნადვე“; „ბედკეთილობაც და წერაც ავი“ – სუკრტა: სათნოება, ზნეობრიობა, დამსახურება; და ლუკრტა: დანაშაული, ცოდვა. აქ „სიკეთედ და ბოროტებადაც“ თარგმნიან და „კეთილ და ბოროტ საქმეებადაც.“ სმირნოვი განმარტავს: „აქ ამორალურობის ქადაგება კი არ უნდა გავიგოთ, არამედ მხოლოდ იმ ზნეობის, ჯილდოს რომ იღებს და იმ ცოდვის, სასჯელს რომ იწვევს, „მოხსნა“. შრი კრიშნას აბსოლუტური ეთიკა მოქმედისგან მოქმედების „სარგებლიანობის“ და „უსარგებლობის“ მიტოვებას მოითხოვს, ანუ მოქმედის „პირადი ინტერესის“ გაუქმებას და თავის მილიანად ბრაჰმანისთვის მიძღვნას. მიუხედავად იმისა, რომ ამორალურობის ქადაგება „გიტასთვის“ სრულიად უცხოა, შრი კრიშნა დაჟინებით ავითარებს ეთიკის ფარდობითობის იდეას და ამტკიცებს, რომ მორალური ფასეულობა აქვს არ ფაქტს, არამედ აქტს. ფორმალური რელიგიური მორალისთვის ამგვარი იდეა ყოველთვის მიუღებელი იყო და მას უპირისპირდებოდა „ცოდვის“ გაგება როგორც ფაქტის, რომელსაც მოქმედის ზრახვებთან საერთო არაფერი აქვს. „განზრახ“ და „უნებურ“ ცოდვას ბერძნული რელიგიაც კი არ ანსხვავებდა და აფასებდა ფაქტს და არა განზრახვას. ამის მკაფიო მაგალითი ოიდიპოსის და ორესტეს ამბავია. მორალის ფორმალიზაცია ბრაჰმანიზმსაც ძლიერ დაეტყო. ამის მაგალითია ლეგენდა ნალზე, რომელიც მხოლოდ იმისთვის დაისჯავს სასტიკად, რომ ლოცვისას წყლის პკურება დაავიწყდა. ასეთი ფორმალიზმის წინააღმდეგ ილაშქრებს შრი კრიშნა, თუმცა მისი მოძღვრება შორსაა ამორალურობისგან“; „ანანანა“ – კაუნჩალამ: კეთილდღეობა, უნარიანობა, გამოცდილება; მთარგმნელთა უძრავე-სობა პირველ მნიშვნელობას ემხრობა, თუმცა ასეთი ვარიანტებიც არსებობს: „იოგა საქმის ცოდნა“; „იოგა საქმეში გამოცდილება“; „იოგა საქმის ხელოვნება“. იოგა – იხ. თავი მეორე.

2.51. „ჯერ ჭირუნხავ ქვეყნის...“ – ანამაია: უმტკივნეულო, უდარდო; ტომსონის აზრით ეს სიტყვა ნეტარებაზე უკეთ გამოხატავს ინდივიდუალური სულის სამყაროს სულთან შეერთებას, რადგან „ნეტარნი“ შეიძლება ღმერთებიც იყვნენ, თუმცა გარანტირებულნი არ არიან, რომ არ დაეცემიან (ჯოჯოხეთამდეც კი) და აღარ დაიტანჯებიან. ღმერთები გუნებისგან თავისუფალნი არ არიან და კალპას (იხ. 4.7.) ბოლოს კვდებიან, გუნებისგან განთავისუფლებული ბრძენი კი იქ მიდის, „საიდანაც აღარ ბრუნდებიან“; ჰადა ადგილსაც ნიშნავს და მდგომარეობასაც.

2.52. „სიბრმავე“ – მოჰა: სულიერი სიბრმავე, სიმცდარე, უმეცრება, ილუზიის (მაიას) ტყვეობაში ყოფნა, მის მიერ სინამდვილის, ჭეშმარიტების დაჩრდილვა. ჰინდუიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტერმინია. რუს.: зablуждение; ინგლ: delusion; „რაც გაგივია...“ – სმირნოვი განმარტავს, რომ „აქ საუბარია როგორც წარსულის, ისე მომავლის რელიგიური განაწილზე („შროტა“ პირველ რიგში „ვედებს“ ნიშნავს). ეს ადგილი გამოვლებელია თავისუფლებაზე ადამიანის შინაგანი უფლების მტკიცების სიმძაფრით. ცნობს რა კანონს, როგორც საშუალებას, შრი კრიშნა სულიერი

განვითარების იმ საფეხურზე მიუთითებს, როცა ადამიანისთვის გარეგნული ფორმები მეტისმეტად ვიწრო ხდება და ღვება ღრო, „ედიოს გზა, რომელზე შემდგარნიც უკან არ ბრუნდებიან“.

2.53. სამადჰი — იხ. 2.44; სანსკრ.: „მაშინ იოგას მიღწევა...“ — ამ სტროფში „იოგა“ „თვით-რეალიზაციად“ ან „ღმერთთან შეერთებადა“ გაგებული.

2.54. „სიბრძნე“ — პრაჯნა: შეგნება, განსჯა, გაგების უნარი, შეხედულება; კეშავა, იხ. 1.31.

2.55. „ვინც სულში ჰპოვა სულითვე შეება“ — ატმანი: (სუნთქვა, სული, პიროვნება, „მე“, „საკუთარი თავი“, ჭკუა), ინდივიდუალური მე, ინდივიდუალური სული (სამყაროს სულის მნიშვნელობაც აქვს). ინგლ.: Self. ინგლისურად ამ ადგილს ასე თარგმნიან: satisfied in the Self by the Self. ასეც ესმით: „ვინც თავის თავში შეჰხარის ატმანს (ან სულს)“.

2.58. „ბრძენი მაშინ ზარ“ — სანსკრ.: „მისი შეგნება (იხ. პრაჯნა, 2.54.) მტკიცეა“. ინდური ფსიქოლოგიის თანახმად, გრძნობის ორგანოებს (ინდრიებს) და გრძნობის ობიექტებს შორის მყარი მატერიალური კავშირი მყარდება, რომლის გაწყვეტაც მხოლოდ იოგას მეშვეობით შეიძლება.

2.59. „თუკი მარხულობ“ — სანსკრ.: „თუკი მარხულობ და გრძნობის ობიექტებს ზურგს აქცევ“. „რასა“ გემოს, სურვილს და საეთოდ ყველაფერ იმას ნიშნავს, რაც ალაგზნებს. მაჰადევა შასტრი ამ სტროფს ასე განმარტავს: „არ არის მანკიერი წრე ის, რომ ცოდნა სურვილების მოსპობით ჩნდება, სურვილები კი მაშინ ქრება, როცა ცოდნა ჩნდება, რადგან სურვილები თავისი უხეში ფორმით მაშინ ქრება, როცა ცოდნა ჩნდება, ხოლო ცოდნა მაშინ ხდება სრულყოფილი, როცა სურვილები სულ მთლად სუსტდება“.

2.60. „გრძნობები“ — ინდრიანი: ხუთი გრძნობა: მხედველობა, სმენა, შეხება, ყნოსვა და გემოს შეგრძნება. გრძნობის ორგანოებსაც ნიშნავს. არსებობს ხუთი „აღქმითი“ (ჯანენდრია — სმენა, ყნოსვა, მხედველობა, შეხება და გემოს შეგრძნება) და ხუთიც „ქმედითი“ ორგანო (კარმენდრია — ხელები, ფეხები, მეტყველების, გამრავლების და დაცლის ორგანოები). მათ აერთიანებთ მეთერთმეტე — მანასი: გარემოს აღქმისა და გააზრების ორგანო, რომელიც „გრძნობის ორგანოთა“ მუშაობის სინთეზირებას ახდენს და გარეგან სამყაროზე რეაგირებს. მანასის ზუსტად თარგმნა შეუძლებელია. თარგმნიან „გულად“ ან „ჭკუად“. „გიტაში“ ის მკვეთრადაა გამოიჯნული გონებისგან (ბუდჰი).

2.62. „მრისხანებას წადილი ბადებს“ — 62-ე და 63-ე სტროფებში ბოროტების გაჩენის ტრადიციული ჰინდური სქემა მოცემული: სურვილებს გარდაუვალად მივყავართ იმედგაცრუებამდე. დაუკმაყოფილებელი სურვილი განრისხებას იწვევს. მრისხანება „სამშობას“, ანუ უმცირებას, სულიერ სიბრძავეს ბადებს, რაც ცნობიერებას მაია ბორკილებისგან განთავისუფლებისთვის (მოკშა) აუცლებელი თვისებების გარჩევის უნარს აცლის. უმცირება (პე, კელტყებ, მოჰა, 2.52.) წარმოშობს „სმრიტი ვიბრაჰმას“, ანუ „მასსოვრობის რყევას“. სმრიტი „წმინდა კანონსაც“ ნიშნავს, ასე რომ ეს გამოთქმა შეიძლება ასეთ დატვირთვასაც ატარებდეს: „კანონის დავიწყება ცნობიერების (ბუდჰი, რაც სინდისსაც გულისხმობს) განადგურებას იწვევს“. ინდური ფსიქოლოგიის მიხედვით ბუდჰის მორალური აქტის შეგნებულად არჩევის უნარი აქვს, მანასზე, გრძნობის ორგანოთა მასინთეზირებელ ორგანოზე მაღლა ღვას და მას

აჰამკარასთან (ეგო) აკავშირებს (იხ. სქემა). ამიტომაცაა აქ საუბარი ამ ჯაჭვის რღვევის შეთვავებაში ინდივიდის, „მე“-ს დაღუპვაზე. 2.64. „თავიც და გრძობაც“ – აქ „გრძობების მომთოკველს და თავის მფლობლსაც“ იგებენ და „გრძობების (ან თავის) მომთოკველს და ატმანს დამორჩილებულს, მინდობილსაც“; „საგნებში“ (ვი-შაია) „გრძობის საგნები,“ ანუ გრძობითი ტკბობის საშუალებანი იგულისხმება.

2.66. „წვდომა“ – ბჰავანა: 1. წარმოსახვა, 2. განხორციელება; წარმოსდგება „ბჰუ“-სგან (ყოფნა, წარმოქმნა). თარგმნიან როგორც „მედიტაციას,“ ან „ღმერთზე ფიქრს“. იოგას ამ ტექნიკურ ტერმინს ევროპულ ენებზე შესატყვისი არ მოეძებნება. ოლტ-მარი აღნიშნავს, რომ მოწაფე სულიერ სწავლებას სამი გზით ეზიარება: ის მას ისმენს (შრუტი), ფიქრობს მასზე (ჩინტა) და ახორციელებს (ბჰავანა). ამასთან, „ბჰავანა“ იგეგვა, რაც „ვიკაჟა“ (მხედველი). შეცნობის ამ, უკანასკნელ ეტაპზე კონცენტრირებული გონება ჭეშმარიტებას სწვდება.

2.67. სანსკრ.: „რადგან მანასი, მოხეტიალე გრძობებს რომ მისდევს, [არსებას] ართმევს შეგნებას და მიაქროლებს, როგორც ქარი მიაქროლებს გემს წყალზე“. „ფიქრი“ – მანას, იხ. 2.60. სმირნოვი თარგმნის, როგორც გულს. „გიტამი“ მკვეთრად არის გამოჯნული ორი ცნება – ჭკუა (მანას) და გონება (ბუდჰი). ჭკუა ის არის, რაც ეგოს ემორჩილება და ეგოისტური მისწრაფებებისა და გრძობებით ტკბობის გამართლების მიზნით ახროვნებს. მხოლოდ გონებას (ბუდჰი) აქვს მიუკერძოებელი განსჯის, „საკუთარი თავის საწინააღმდეგო.“ ეგოსთვის უსიამოვნო დასკვნების გამოტანის და ამ გზით ჭეშმარიტების შეცნობის უნარი.

2.68. „გრძობის საგანი,“ ანუ „გრძობების მიზანი“ – ის, რისი მეშვეობითაც გრძობად სიამოვნებას ვიღებთ; ცნობიერება – იხ. პრაჯნა, 2.54.

2.69. „მისთვის, ვინც ხედავს“ – სანსკრ.: „მუნისთვის, რომელიც ხედავს“. მუნი – ასკეტი (განსაკუთრებით მღვდარების აღთქმის დამდები), ბრძენი, ნათელმზილველი. ბრძენის აღსანიშნავად „გიტამი“ კიდევ რამოდენიმე ტერმინია გამოყენებული: ბუდჰა – გაღვიძებული, ფხიზელი, გასხივოსნებული, [კარმისგან] განთავისუფლებული (ეს ტერმინი ახლოს დგას ჯვიანმუკტასთან – „სიცოცხლეშივე განთავისუფლებული“. ბუდიზმში ეს სიტყვა შაკია მუნის საკუთარ სახელად იქცა, თუმცა მანამდე ბრაჰმანულ ლიტერატურაშიც იყო ცნობილი); გურუ – სულიერთან მოძღვარი, „შას-ტრების“ მასწავლებელი; რიში – მომღერალი, პოეტი, ჰიმნების შემქმნელი; პანდიტი – სწავლული (ქართ.: პანდუხტი); ბუდჰიმანტი – გონიერი, გაგების უნარის მქონე; კავი – ასევე გამგები, მოაზროვნე, ბრძენი, პოეტი; და ვიჩაკაშანა – „თვალგახელილი“.

2.70. ეს შლოკა სხვადასხვანაირად ესმით, რადგან სიტყვა კამა სურვილს და ვნებასაც აღნიშნავს და „სურვილის ობიექტსაც“. ტელანგი, მაგალითად ასე თარგმნის: „ის, ვისშიც სურვილის ობიექტები შედიან, ისევე, როგორც წყლები ოკეანეში...“. სმირნოვი განმარტავს, რომ ინდური ფსიქოლოგიის მიხედვით ჩინტა, ფიქრის მატერია, პლასტიურია და მისი ტალღები (ვრიტი) ფიქრის ობიექტის ფორმას იღებენ. ტელანგისეული გაგების შემთხვევაში ვაირაგია (უსურვილობა, იხ. 6.35.) ფსიქიკის ასეთი პლასტიური ტალღების არქონა კი არ არის, როგორც ეს პატანჯალის „იოგა-სუტრაშია“ განმარტებული, არამედ მხოლოდ ამ ტალღებთან საკუთარი თავის არგაივიება, რაც მნიშვნელოვანი განსხვავებაა. ამ შლოკის ასეთი გაგება „იოგას“ და „ბჰოგას“ (იხ. 3.12.) ურთიერთშეთავსებადს ხდის. ამგვარი შეთავსებადობა ინდოეთის მრავალი ფილოსოფიური სკოლის კამათის საგანს შეადგენდა. ასეთი

მიდგომა „გიტას“ იოგას გაგებისთვის ამ შლოკას მეტად მნიშვნელოვანს ხდის. ბრძენი სურვილის ობიექტს, საამოვნებას არ დასდევს. ის და მისი სურვილის ობიექტები ერთად ინთქმებიან მის კოსმიურ სულში, რომელიც მათ თავის თავში იღებს და იმ ოკეანის მსგავსად, რომელშიც მდინარენი ედინებიან, ისეთივე მშვიდი რჩება, როგორც იყო. ტომსონი ამ შლოკას ასე თარგმნის: „ის, ვისშიც სურვილები ინთქმებიან...“ მისი თარგმანი იმ შეფერილობას ატარებს, რომ ბრძენისთვის ვნებები იმდენად პატარა და უმნიშვნელო ხდება, როგორც მდინარეებია პატარა და უმნიშვნელო იმისათვის, რომ ოკეანის სიმშვიდე დაარღვიოს.

2.71. „მე“ – აჰამკარა: საკუთარი „მე“-ს შეგნება. „ეგო“. საკუთარი თავის სიყვარული, რუს.: *Яйность*; გერმ. *Ichmacher, Ichheit*; „ჩემი“ – „ნირამაძას“ ლექსიკონები განმარტავენ, როგორც „გულგრილს, უზრუნველს, უშფოთველს და ყოველგვარი დამოკიდებულებისაგან თავისუფალს“, თუმცა „გიტას“ კომენტატორებს ესმით, როგორც „საკუთრების გრძნობისგან, „ჩემი“-სგან (ინგლ.: *my-ness*) თავისუფალი“.

2.72. „ღვთაებრივი“ – ბრაჰმი: ბრაჰმული, ბრაჰმასმეერი, იხ. ბრაჰმანი, 2.46; „...ღვთის სასუფველს შეუერთდები“ – ბრაჰმონირვანა: ბრაჰმაში დანთქმა, მასთან გაერთიანება, ბრაჰმაში შესვლა. იხ. ნირვანა, 6.15.

თავი მესამე – „კარმა-იოგა“

მოქმედების იოგა

კარმა – მოქმედება, შრომა, საქმე; იოგა – იხ. თავი მეორე

3.1 ჯანარდანა – იხ. 1.36; კეშავა – იხ. 1.31.

3.2 „რად გსურს ამ გულში ეჭვები თესო...“ – სანსკრ.: „თითქოს გონებას (ბუდძი) მირევ“; აქ არჯუნა, რომელიც კრიშნას, როგორც მასწავლებელს, პატივს სცემს, ვერ ჰკადრებს მას, რომ ის მას გონებას ურევს და შერბილებულ ფორმას („თითქოს“) მიმართავს; „...თქვი, რა გზა არის საუკეთესო“ – შრეია: „უკეთესი“, „საუკეთესო“; ამ შლოკას ასეც იგებენ: „ერთი გზა მაჩვენე, რომლითაც უმაღლესს (ან უმაღლეს სიკეთეს) მივალწვევ“.

3.3 „ადრეც მითქვია“ – აქ კრიშნა მეორე თავში მის მიერ სანქჰიასა და იოგას განმარტებაზე მიუთითებს. ბევრი მთარგმნელი ფიქრობს, რომ აქ ფილოსოფიური სკოლები არ იგულისხმება და ასე თარგმნის: „სამყაროს დასაწყისში ორგვარი გზა დავაწვევ: ჯანა-იოგა (ცოდნის გზა) მოაზროვნეთათვის და კარმა-იოგა (მოქმედების გზა) იოგებისთვის.“

3.4. „ვერც ამ სოფლისგან განდგომით მხოლოდ...“ – ეს სტროფი „გიტას“ გაგებითვის ძალზე მნიშვნელოვანია. შანკარა „მოქმედებისგან განდგომას“ ბრაჰმასთან თავის გაიგივებად განიხილავს და შენიშნავს, რომ ამგვარი გაიგივების გარეშე განდგომა მექანიკურია, მიზნის განცდით გასხივოსნებული არ არის და სრულქმნილებაც, ანუ განთავისუფლება არ მოაქვს.

3.5. „...ზნე ბუნებისა და მის ბრძანებებს“ – სანსკრ.: „პრაკრიტის გუნები“. პრაკრი-

ტი: ბუნება; მატერია, უზენაესის ქმნადობის ნება, ქალური საწყისი, აგრეთვე შაქტი – ნებისმიერი ღვთაების მდებრობითი ენერგია. გამოიხატება გუნების სახით. იხ. 2.4.5. მისი თანდაყოლილი, ორგანული ნაწილია სულიერთა „მე“. მასსა და პურუშას (უზენაეს, უპიროვნო „მე“-ს) შორის წონასწორობის დარღვევა იწვევს სამყაროს ევოლუციას.

3.6. „ვინც სხეულს მართავს“ – კარმენდრია (იხ. ინდრია, 2.60), იოგას ტერმინია და ბუდჰენდრიასგან (აქქმის ორგანოები) განსხვავებით აქტიურ ორგანოებს (ხელები, ფეხები და სხვ.) აღნიშნავს, თუმცა სმირნოვი შენიშნავს, რომ იოგური წრთენა გრძნობის ყველა ორგანოს დამორჩილებას ისახავს მიზნად, ეს სტროფი კი მხოლოდ იოგურ პრაქტიკას არ გულისხმობს და უფრო ფართო, ფილოსოფიური მნიშვნელობა აქვს; „თვალთმაქცი“ – „მათჰიაჩარას“ ასეც თარგმნიან: „არასწორ გზაზე მდგარი“. აქ კრიშნა მიუთითებს, რომ არ შეიძლება მხოლოდ გრძნობების მოთოკვის პირველი ეტაპით, მათი მოქმედების შეკავებით დაკმაყოფილება. ამ ეტაპს მეორე, ბევრად უფრო რთული საფეხური მოსდევს – სურვილის შინაგანი მოქმედების აღკვეთა, რაზეც არჯუნა ამ თავის 36-ე სტროფში და 4.34.-ში საუბრობს.

3.7. „ჭკუა“ – მანასი (იხ. 2.60, 2.67.); სანსკრ.: „გრძნობით მოქმედი ორგანოები კარმა-იოგაში დაასაქმე“ (კარმენდრია – იხ. 2.60.).

3.8. „...რაც შენი ვალია“ – ნიატ: დადგენილი წესრიგი, ბედი, მოვალეობა. ნიატ კარმა: აუცილებელი, სავალდებულო საქმე. „...თავსაც ვერ გადაირჩენ“ – სანსკრ.: „სხეულსაც ვერ შეინარჩუნებ.“ შარირაიაატრა სიტყვა-სიტყვით „სხეულის მოძრაობას“ ნიშნავს. ეს შლოკა შეიცავს პოლემიკას იმ სკოლებთან, რომლებიც უკიდურეს უმოქმედობას ქადაგებენ. კრიშნა ნათელს ხდის, რომ ასეთი უკიდურესობა ფიზიკურადაც კი შეუძლებელია და აბსურდია, რადგან „სხეულის მოძრაობა“ თავისთავად მოქმედებაა.

3.9. იაჯნა – მსხვერპლშეწირვა, ანუ ღმერთის თავყვანისცემა ფართო გაგებით: ღვთისმსახურებით, სიტყვებით (ლოცვით, დიდებით), ფიქრით და განსაკუთრებით მსხვერპლის შეწირვით. ჰინდური ორთოდოქსული ტრადიციისათვის მიუღებელია სულიერი არსების მსხვერპლად შეწირვა, ამიტომ იაჯნაში ყველგან უსისხლო წირვა იგულისხმება.

3.10. პრაჯაპატი – „არსთა მეუფე“, „შემოქმედი“. ქმნადობის გენია და ყოველივე ცოცხალის დამცველი. ძველი ჰინდური ღვთაება. მოგვიანებით ბრაჰმასთან გაიგივდა, როგორც მისი ერთ-ერთი (აქტიური, შემოქმედებითი) ჰი პოსტასი; ასე იხსენიებენ აგრეთვე „ბრაჰმას ფიქრით შობილ“ ათ ბრძენს, რომელთაგანაც იშვა კაცობრიობა. ორიენალშია „პრაჯაპატიმ კაცობრიობა იაჯნასთან ერთად შექმნა და თქვა: ეს იყოს თქვენი კამადუქჰ („სურვილების ძროხა“, ანუ ის, რაც ნანატრს ასრულებს).

3.11. „უწყალობებდეთ“ – ბჰავაი: ხელის შეწყობა, გამძლიერება. დაპურებადაც ესმით; „ღმერთები“ – ჰინდუიზმში ღმერთები ფსიქოლოგიური განვითარების საფეხურს, სულიერ მდგომარეობას აღნიშნავენ და უფრო განყენებულ ცნებებს წარმოადგენენ, ვიდრე კონკრეტულ პიროვნებებს. შეიძლება ვისაუბროთ ინდრაზე ან ბრაჰმაზე, როგორც რაღაც თვისებაზე. ევოლუციის გზაზე ნებისმიერი შეიძლება იქცეს „ინდრად“ ან „აგნიდ“...

3.12. „ბჰოვა“ საკვებაცაა, სარგებელიც და სიამოვნებაც, ამიტომ ვთარგმნეთ „სიკეთედ“; „...ბოძებულით“ – სანსკრ.: „მათ მიერ ბოძებულით“; ღვეა – (ღვი: ნათება)

- ღვთაება, ღმერთი. ჰინდურ პანთეონში ოცდაცამეტი ღმერთია. ისინი სამ ნაწილად იყოფიან. ყოველი თერთმეტი სამი სამყაროდან (იხ. 1.35.) ერთ-ერთის მკვიდრია.
- 3.13. სანსკრ.: „მართალნი, რომლებიც მსხვერპლშეწირვის ნარჩენებით იკვებებიან, ყოველგვარი ცოდვისგან თავისუფლდებიან, ხოლო ცოდვილნი, მხოლოდ თავიანთთვის რომ ამზადებენ საჭმელს, ცოდვას მოიწვევენ.“
- 3.14. „ანა“ მარცვლიცაა და საჭმელიც. ორიენარი თარგმანი გვხვდება; „წვიმას წირვა შობს...“ სვამი რანგანათჰანანდა მიუთითებს, რომ ამ სიტყვების აზრის გაგება მხოლოდ იაჯნას ჯეროვანი გააზრებითაა შესაძლებელი, რადგან იაჯნა პირველ რიგში სწორი, ეგოისტურ მოტივს მოკლებული, უფლისთვის და „სამყაროს სიმრთელისთვის“ გაწეული, „მსხვერპლად აღვლენილი“ უანგარო შრომაა. ასეთი შრომა, რა თქმა უნდა, გარემოსადმი სწორ დამოკიდებულებასაც გულისხმობს და „თუ ადამიანი გარემოსთან მიმართებაში იაჯნას სულს არ უღალატებს, წვიმაც ყოველთვის დროზე მოვა. სხვანაირად გარემო დაბინძურდება და წვიმებიც აირევა“. თუმცა ამ სტროფს მისტიკური ახსნაც აქვს. მანუს კანონებში (III, 76) ნათქვამია: „ცეცხლში ამგვარად დანთქმული მსხვერპლი მზემდე აღწევს. მზე წვიმას იწვევს, წვიმა – საზრდოს სულდგმულთათვის“; „თავად კარმისგან წარმოშობილი“ – აქ კარმის ნაცვლად საქმესაც თარგმნიან, თუმცა სმირნოვი განმარტავს, რომ „სამყარო, როგორც შემოქმედებითი პროცესი, არის „ერთიანი საქმე“ – კარმა.“
- 3.15. „ბრაჰმანი“ „ვედებსაც“ ნიშნავს. ამ სტროფში ბრაჰმასაც (ამ შემთხვევაში პერსონიფიცირებულ ღმერთს და არა აბსოლუტს) იგებენ და „ვედებსაც“.
- 3.16. „ხელთ უპყრია ცოდვის სასმისი“ – აგჰაიურ: ცოდვა, დანაშაული, ცოდვილი ცხოვრება. „ცუდად (ცოდვილად) მცხოვრებად“ თარგმნიან.
- 3.17. ასეც შეიძლება ითარგმნოს: „მაგრამ ვინც სულში ჰპოვებს სისავსეს, სიხარულსვე სულში მპოველი,“ რადგან „ატმანი“ აქ ბევრს სწორედ ასე ესმის; „...ვინც თავის თავში ჰპოვა ყოველი“ – სანსკრ.: „ვინც თავის თავშივეა (ან სულში, იხ. ატმანი, 2.55) კმაყოფილი“; „არა აქვს საქმე“ – „არა აქვს მოვალეობა (კარია: საქმე, სამუშაო, მოვალეობა, მიზანი).
- 3.18. ასეც ესმით: „ვისაც აღარ აქვს ინტერესი არც საქმის და არც უქმობის და ამ მიზნით არც ერთ სულიერში მფარველს არ ეძებს...“ სმირნოვი შენიშნავს: „ასეთი ადამიანის ერთადერთი მიზანია ატმანია, ამ მიზნისთვის კი, რომელიც ყოველივე გამოვლენილის მიღმიერია, არავის მფარველობა არ სჭირდება“.
- 3.19. „ვალი“ – სანსკრ.: კარიამ კარმა: გასაკეთებელი საქმე; „უფალს იხილავ“ – სანსკრ.: „უზენაეს პურუშას (იხ. 8.4.) მიაღწევ“. 3.20. ჯანაკა – (გამჩენი, მამა). უძველესი დროის ვიდეჰას სამეფოს დიდი ცოდნით, ქველი საქმეებით და სიწმინდით გამოჩენილი მეფე. ასკეტური ცხოვრებით ცხოვრობდა, რის გამოც რაჯა-რიშების (მეფე-ბრძენთა) რიცხვს მიაკუთვნეს. მისი ცხოვრება იმის მაგალითად ითვლება, რომ სრულყოფილების მიღწევა საერო ცხოვრებაშიც შეიძლება; „რჩეული“ – შრეშთა (საუკეთესო, წარჩინებული); „სოფლის სიმრთელი“ – ლოკასამგრაჰა: რუს.: НЕЛОКУШНОСТЬ ვპჰფ. „სამყაროს (ან კაცობრიობის) სასიკეთოდ შრომაც“ ესმით. ორიგინალის ფართო მნიშვნელობა ამ შეფერილობასაც იტევს.
- 3.21. სიტყვა „რჩეული“ იმერებს „შრიმანტის“ ყველა შეფერილობას: შესანიშნავი, მშვენიერი, გამოჩენილი, საუკეთესო.
- 3.23. აღრევა – სამკარა. „ქაოსადაც“ ესმით და „კასტების აღრევადაც“ (იხ. ვარნა

- 4.13.), თუმცა ამისთვის სპეციალური ტერმინი არსებობს: ვარნასამკარა.
- 3.26. ის, ვინც უზენაესისთვის შრომობს, ამ ცოდნას უმეცართ არ უმხელს. ამით ის მათ საშუალებას აძლევს იმ საქმეებით დატკბნენ, რომლებიც მათი განვითარების საფეხურზე აუცილებელია და ჭეშმარიტების შეცნობისთვის თანდათან ამზადებს მათ. ეს იდეა „უპანიშადლებშიც“ გვხვდება.
- 3.27. „ბუნების ძალით“ – სანსკრ.: „პრაკრიტიისმიერი გუნების მეშვეობით“. იხ. პრაკრიტი, 3.5 და გუნა, 2.45; „თავმომწონებით“ – აჰამკარა, იხ. 2.70.
- 3.28. სანსკრ.: „მაგრამ ჭეშმარიტების [სინამდვილის] მცოდნე, ვინც იცის გუნებისა და საქმის განაწილების (ვიბჰაგაიო – გაყოფა, დანაწილება, განაწილება) შესახებ, „გუნები გუნებში ტრიალებენო“, ფიქრობს და არ ეჯავჭება. „გუნების გუნებში ტრიალს“ ასეც განმარტავენ: „თვისებები“ მიზეზ-შედეგობრივ ჯაჭვს წარმოქმნიან“ და ასეც: გუნა (როგორც გრძნობის ორგანო) გუნაში (როგორც გრძნობის ობიექტში) მოქმედებს. იხ. გუნა, 2.45.
- 3.29. „ბუნების ძალით“ – სანსკრ.: პრაკრიტის გუნებით; იხ. პრაკრიტი, 3.5; გუნა, 2.45; „ბორკავს საქმენი ამქვეყნიური“ – სანსკრ.: „ბოჭავს გუნების საქმეები“; „იონს ნუ აუძღვრევს“ – ვიჩალაიტი: „ნუ შეარყევს“, ანუ ნუ შეაცბუნებს, ნუ დააბნევს, კალაპოტიდან ნუ ამოაგდებს, ნუ შეაშფოთებს.
- 3.30. „მამ სულს მიენდე...“ – ადჰიატმა ჩეტასა: „უზენაესი სულისკენ ფიქრმიჭრობილი“; „...შენი „მე“ დასთმე“ – ნირამამას ორი მნიშვნელობა აქვს: „უდარდელი“ და „საკუთრების არმქონე“, „ის, ვისაც „მე“ არა აქვს“; „უურვა განავადე“ – ჯვარა: ალგზნება, ტანჯვა, დარდი, სიცხე, ციებცხელება. უმეტესად ციებცხელებად, [გონებრივ] ალგზნებად თარგმნიან; „უანგარო“ – ნირაშირ: უსურვილო, იმედების არმქონე.
- 3.31. „ჩამოგმორდება საქმის ზუნდები“ – ასეც ესმით: „საქმეებით განთავისუფლდება“. 3.33. სანსკრ.: „...რას მოვიტანს მისი ჩახშობა?“ ნივრაჰა – შეკავება, შეჩერება, დათრგუნვა.
- 3.34. სანსკრ.: „გრძნობის საგანთა სურვილი და ზიზლი თვითონ გრძნობებშია“. ასეც ესმით: „გრძნობათა სურვილი და ზიზლი გრძნობის საგნებშია“, თუმცა ასეთი ინტერპრეტაცია არაადამაჯერებელია; „ნუ ემონები“ – სანსკრ.: დაე არავინ მოექცეს მათი ძალაუფლების (ვაშა: ნება, სურვილი, ბატონობა, გაგულენა) ქვეშ.
- 3.35. სქოლიასტი შენიშნავს: „არ უნდა უარყო საკუთარი მოვალეობა, თუნდაც ის უმეცრებასთან (მოჰა, 2.52.) იყოს დაკავშირებული, რადგან ადამიანის ყველა წამოწყება ისევეა უმეცრებასთან წილნაყარი, როგორც კვამლი ცეცხლთან.“ ტელანგის განმარტებით, „თანდაყოლილი კარმა წარსულ ცხოვრებათა დამსახურებისა და შეცდომების შედეგია, ამიტომ მისი უარყოფა არ შეიძლება.“
- 3.36. ვარშნეია – „ვრიშნის ხალხის შვილი“, კრიშნას სახელია.
- 3.37. რაჯასი – იხ. გუნა, 2.45; „მისგან აქვს ტანჯვა დაუშრობელი“ – მაჰაბაჰან: უდიდესი უბედურების, ზიანის, ტანჯვის მომტანი. „ძლიერ ცოდვილადაც“ თარგმნიან.
- 3.38. „ცოდნა სურვილით მიიჩქმალება“ – სანსკრ.: „ის დაფარულია ამით“. ჩინმაიანანდა მიუთითებს, რომ ეს ნაცვალსახელები მომდევნო სტროფებშია განმარტებული და ერთი სიბრძნეს ნიშნავს, მეორე კი სურვალს. ასეც ესმით: „მისით დაფარულია ეს სამყარო“, თუმცა აზრი მაინც იგივეა: „სამყარო დაფარულია სურვილით (ან რაჯასით) და ამიტომ არა აქვს ცოდნა. ეს აზრი „გიტაში“ სხვაგანაც

არაერთხელა გამოთქმული.

3.39. „ვენება-წადილი“ – კამარუპენა: „კამას ფორმის მქონე [მტერი]“. სმირნოვი განმარტავს, რომ ამ სტროფში, 37-ე შლოკისგან განსხვავებით, ვნების პერსონი-ფიცირებული ღმერთი, კამა იგულისხმება. კამა ისრების მსტყორცნელ კუპიდონს წააგავს (კამას ხუთი ისარი აქვს). ეს სახე ბუდიზმშიც გვხვდება. გასხვიოსნების ღამეს ბუდა მარას, ანუ კამას შეებრძოლა და მისი ნასროლი ისრები მოიგვრია. იგივე შინაარსის თქმულება არსებობს შივაზეც. სიტყვა კამა სურვილსაც ნიშნავს და ხორციელ ვნებასაც.

3.40. „ჭკუა და თვით გონება...“ – მანასი და ბუდჰი, იხ. 2.60 და 2.67; კაცი – აქ: ღეჰინ, იხ. 2.28; ჰინდურ ფსიქოლოგიაში გონება (ბუდჰი), ისევე, როგორც ინდრიები და მანასი, მატერიალურ სამყაროს განეკუთვნება. ამიტომაცაა მათ გვერდით მოხსენიებული, როგორც „ვენებისა და რისხვის ადგილსამყოფელი“.

3.41. „ცოდნის და სრულყოფილების მტერი“ – ჯნანა ცოდნას, განსაკუთრებით კი რელიგიასა და ფილოსოფიაში უმაღლესი ჭეშმარიტების შეცნობას ნიშნავს, ხოლო ვიჯნანა მისი, თეორიული ცოდნის საპირისპიროდ „განხორციელებული ცოდნის“ აღმნიშვნელია; ესეც იმ ტერმინთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა შესატყვისიც სხვა არც ერთ ენაში არ არსებობს. სვამი ჩინმაიანანდა მას განმარტავს, როგორც რელიზაციას, ანუ „გამოცდილების გზით ატმანის უშუალო შეცნობას“. თარგმნიან ასევე „გამოცდილებად“, „განხორციელებად“, „სრულყოფილებად“, „სიბრძნით მოქმედებად“ ან „გასხვიოსნებად“; გრძნობა – ინდრია, იხ. 2.60. ბჰარატარიშაბჰა – (7.11,16; 8.23; 13.26; 14.12; 18.36) – „ბჰარატათა შორის ხარი“, საუკეთესო.

3.42. „გონი ჭკუაზე მალლა მდგომია...“ – იხ. 2.67; „იგი“ – უმაღლესი რეალობა, ატმანი.

3.43. კამარუპენა, იხ. 3.39; „...გქონდეს ზღუდე სულისა მკვიდრად ნაშენი“ – სანსკრ.: „ატმანის მეშვეობით შეიკავე (შემოიზღუდე, გაიძლიერე) თავი.

თავი მეოთხე – „ჯნანა-იოგა“

ცოდნის იოგა

ამ თავის სათაურის სხვადასხვა ვარიანტები არსებობს: 1. ჯნანა-კარმასანასა-იოგა, ანუ საქმისგან ცოდნით განდგომის იოგა; 2. კარმა-ბრაჰმა-რჰანაიოგა, ანუ ბრაჰმისთვის მსხვერჯლოქმულების იოგა (მიხალსკი-ივენსკი).

4.1. ვიგასვანი – („ნათელი“, „ბრწყინვალე“) მზე, ანუ მზის ღმერთი, იგივე სურია. იხ. „ვედები“, 2.45; „სიტყვა უკვდავი“ – სანსკრ.: „უკვდავი იოგა“. იხ. თავი მეორე; მანუ – („ადამიანი“, „კაცობრიობა“) ადამიანი განსაკუთრებული მნიშვნელობით (შდრ. ადამი.) მზის, სურიას ვაჟი. კაცთა მოღვმის მამათავარი. არსებობს მოძღვრება თოთხმეტ მანუზე – სამყაროს სხვადასხვა პერიოდების მბრძანებლებზე. ყოველ პერიოდში მანუ კაცობრიობის მშობელად და მისი ცხოვრების მომწყობად გვევლინება. ეს პერიოდები მანუ-ანტარად (მანუს ეპოქად) იწოდება და 4 320 000

წელს გრძელდება. აქ ნახსენები მანუ (მანუ ვაივასვატა – „მზისგან შობილი“) რიგით მეშვიდე მანუა. უამრავი ლეგენდა მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ გადაარჩინა ის ვიშნუმ (ზოგან ბრაჰმამ) დიდ წარღვნას. პირველი მანუს სახელია სვიაამბჰუვა, რომელიც შვა სვიაამბჰუმ („თავისთავად არსებული“), ანუ ბრაჰმამ, რომელმაც თავისი თავი ორად – მამრად და მდედრად გაჰყო. მათ შვეს მამრი ვირაჯ, მისგან კი მანუ სვიაამბჰუვა გაჩნდა. სხვა ვერსიით, ბრაჰმამ ის „ზუსტად თავის მსგავსად“ შექმნა. იშვაკუ – მანუ ვაივასვატას ძე. ვივასვანი მხვა, მანუ მისი ძე, იშვაკუ – მანუს ვაჟი, „მზის დინასტიის“ პირველი რაჯა. ტომსონი აღნიშნავს, რომ აქ საინტერესო ისაა, რომ წმინდა მოძღვრება მეფე რიშებისგან, ანუ კშატრიები-სგან მოდის და არა ბრაჰმანებისგან. თავად კრიშნაც კშატრიათა კასტის შვილია. უკვე მხოლოდ ამით „გიტას“ ტრადიცია ვედანტას ტრადიციისაგან განსხვავდება. ვივასვანს უუწყა წინა თავებში გადმოცემული იოგა; კრიშნას თქმით, ეს იოგა მოუსპობელია, რადგან მოუსპობელია მისი შედეგი – განთავისუფლება. საინტერესოა, რომ მოჰენჯო-დაროს გათხრებისას იოგური მედიტაციის პოზის ამსახველი ფიგურები აღმოაჩინეს, რაც იოგას არიელთა ცივილიზაციამდელ წარმოშობაზე მიუთითებს; „საიდუმლო“ – სანსკრ.: „უდიდესი საიდუმლო.“

4.6. სანსკრ.: „თუმც იშვარა („ბატონი“, „მბრძანებელი“, „მფლობელი“ – ღმერთი, უზენაესი, მეუფე (იხ. გვ. 97) ვარ, ჩემს საკუთარ პრაკრიტის (ბუნება, მატერია) ჩემივე მაიას ძალით ვმართავ“. მაია: „ის, რაც გეჩვენება“, ილუზია. მატერიალური სამყაროს ილუზორულობა. ჰინდუიზმის ერთ-ერთი მთავარი ცნებაა. მის გარეშე ძველ ინდურ ფილოსოფიაში გარკვევა შეუძლებელია. ვივეკანანდას აზრით მაია „არყოფნას კი არა, მატერიალური სამყაროს დროებით არსებობას, მის ფარდობითობას, აბსოლუტურ არსებობასა და არყოფნას შორის შუალედურ მდგომარეობას ნიშნავს“.

4.7. „როცა“ – იადა-იადა: ყოველთვის, როცა (განმეორებად მოქმედებას გულისხმობს); „სიწმინდე... უკეთურობა...“ – დჰარმას (იხ. 1.40.), ამ რთულ და სრულიად უთარგმნელ ტერმინს აქ „სიმართლედაც“ თარგმნიან (რუს.: ПРАВЕДИНОСТЬ, ინგლ.: righteousness). „ემართავ“ – აღპითჰაია. ვალე პუსენი მიუთითებს, რომ ბუდიზმში ეს სიტყვა „ვინმეზე ან რაიმეზე ნებით ზემოქმედებას“ ნიშნავს. ამგვარი ზემოქმედებით წმინდანი საკუთარ ძვლებს რელიქვიის სახით საუკუნობით შენახვის უნარს სძენს. „სადჰარმა-პუნდარიკაში“ (XV, 3) ნათქვამია, რომ ბუდა, საკუთარ თავსა და სხვებზე ზემოქმედებით (აღპითჰაია), მის მიერ ნირვანაში შესვლას ააშკარავებს. ასე რომ „პრაკრიტი სვამ აღპითჰაია“ შეიძლება „საკუთარ ბუნებაზე ზემოქმედებას“ ნიშნავდეს. ლამოტი აღნიშნავს, რომ ამგვარად პურუშა, რომელიც ბუნებით უძრავია, საკუთარ თავზე ზემოქმედების გზით თავისი ძალის (მაია) მეშვეობით საკუთარ თავს ავლენს, ანუ თავის მიღმიერ, უძრავ ბუნებას ზღუდავს და სამყაროს შექმნის უნარს ანიჭებს. ამგვარი ცვლილებით ტრანსცენდენტული არსი პრაკრიტის იმანენტური (მინაგანი) ხდება, პურუშა კი საკუთარი პრაკრიტის მოქმედების უპოქმედო მოწმედ რჩება. ასე გვეკვლინება ის „შემოქმედადაც“ და „არაშემოქმედადაც“. ამიტომ, ლამოტის აზრით „გიტაში“ შეუძლებელია მკვერი ზღვარის გავლება პურუშასა და პრაკრიტის შორის, რომელსაც შრი ბჰაგავანი გამუდმებით „ჩემსას“ უწოდებს (მდრ.: 7.4; 9.7.8.) და რომელიც პურუშასგან განსხვავებულად მხოლოდ ილუზორულად, მაიას ჯადოსნური ზემოქმედების წყალობით წარმოგვიდგება. დას-

გუბტა ამბობს, რომ სარეკონსტრუქციულ მუშაობას (შანკარას მოწაფის მოწაფე) „ადპარასა“ და „ადპიშოპანას“ შორის სხვაობას ასე ხსნის: წმინდა ბრაჰმა არის „ადპიშოპანა“ (სუბსტრატული, საერთო საფუძველი) მთელი გამოვლენილი სამყაროსი, მაგრამ ბრაჰმა, თითქოსდა არცოდნით სახეცვლილი, არის „ადპარა“ – ილუზორული შექმნების ილუზორული საყრდენი; „ჩემივე ნებით გამოხმობილი“ – სანსკრ.: „მე ჩემს თავს ვქმნი (ან ვავლენ)“.

4.8. „ჟამიდან ჟამად“ – იუგა: სამყაროს ციკლი. თითოეულ ციკლს წინ უძღვის პერიოდი, სახელად „სანდჰია“, ანუ „აისი“ და მოსდევს სანდჰიანსა („დაისი“). ორივე მათგანი იუგას ერთი მეთაურის ხანგრძლივობისაა. სულ ოთხი იუგაა. მათი ხანგრძლივობა „ღმერთების წელიწადებით“ გამოითვლება:

1. კრიტა იუგა – 4 000 (სანდჰია – 400; სანდჰიანსა – 400; სულ 4 800 „ღმერთების წელი“)

2. ტრეტა იუგა – 3 000 (300; 300; სულ 3 600)

3. დვაპარა იუგა – 2 000 (200; 200; სულ 2 400)

4. კალი იუგა – 1 000 (100; 100; სულ 1 200).

ოთხი იუგასგან შემდგარი ერთი კოსმიური ციკლი სულ 12 000 „ღმერთების წელს“ შეადგენს. ერთი „ღმერთების წელი“ 360 ადამიანის წელს უდრის, ასე რომ „ადამიანური“ წლებით კრიტა იუგა – 1 728 000 წელია;

ტრეტა იუგა – 1 296 000;

დვაპარა იუგა – 864 000;

კალი იუგა – 432 000;

სულ – 4, 320 000 წელი.

ეს შეადგენს „მაჰაიუგას“ („დიდ იუგას“)“. ორი ათასი მაჰაიუგა, ანუ 8 640 000 000 წელი ერთი „კალპა“, ანუ ბრაჰმას დღეა. ბრაჰმას დღეს ბრაჰმას დამე მოსდევს. 30 კალპა ბრაჰმას თავს შეადგენს, 12 თვე – ბრაჰმას წელიწადს, 100 ბრაჰმას წელი – ბრაჰმას საუკუნეს. ქრონოლოგიის ამ სისტემას „მაჰაბჰარატა“ ასე აღწერს: კრიტა სიმართლის (დჰარმა) გაფუჩქენის ხანაა. ამ დროს მოვალეობის აღსრულება არ სუსტდებოდა და ადამიანები სულიერად არ მახუნდებოდნენ. ადამიანს თავის გამოსაკვებად ძალისხმევა არ სჭირდებოდა. მიწა მის ყველა სურვილს აკმაყოფილებდა. არ იყო ბოღმა, ტირილი, სიამაყე და ტყუილი, არც უთანხმოება, სიძულვილი, შიში, უბედურება, ეჭვი ან შური. ვარნები (იხ. 4.13.) თავის ვალს აღასრულებდნენ. ყველანი ერთი ღვთაების ერთგულნი იყვნენ, ერთ ღოგმას მისდევდნენ, ერთ წესს ემორჩილებოდნენ და ერთ რიტუალს ასრულებდნენ, ერთი „ვედა“ ჰქონდათ და ერთი ვალი ეკისრათ. ტრეტა იუგაში დჰარმა ერთი მეოთხედით შემცირდა. ჭეშმარიტება რომ არ დაეკარგა, ხალხმა მსხვერპლის აღვლენა დაიწყეს და მასზე გახდა დამოკიდებული. ადამიანს მიზნები და წირვის წილ სამაგვიროს მიღების მოლოდინი გაუჩნდა. ხალხი ასკეზასა და სიკეთის კეთებას უბრალოდ მოვალეობის შეგრძნების გამო აღარ მისდევდა. დვაპარა იუგას დროს დჰარმა ნახევრამდე შემცირდა, „ვედები“ კი ოთხი გახდა. რიტუალები კიდევ უფრო გართულდა. ჭეშმარიტების ერთგული ადამიანიც იშვიათი გახდა. სიკეთისგან დაშორებამ მრავალი სურვილი, სწეულება და უბედურება წარმოშვა. ადამიანები შეწყუდნენ და ასკეზებს მიმართეს. ასე დაეცა ადამიანი. კალი იუგაში ზნეობა (დჰარმა) მხოლოდ ერთი მეოთხედით შენარჩუნდა. „ვედებში“ აღწერილი საქმიანობა, „მართალი საქმეები“, რიტუალები

და მსხვერპლშეწირვები შეწყდა. ქვეყნად ათასი ჭირი, დაავადება, უძღურება და ნაკლი (სიხარბე, რისხვა და ა.შ.), ტანჯვა, შიმშილი და შიში გაბატონდა. რაც დრო გადის, დაპრმაც მცირდება. ადამიანები სულ უფრო ღვერადირდებიან. საყოველთაო ამოება მთლიანად იპყრობს მათ და მათ ცხოვრებას აზრს უკარგავს. კრიტა იუგაში ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა ოთხი ათასი წელი იყო, ტრეტაში – სამი ათასი, დვაპარაში – ორი, კალი იუგაში კი, რომელშიც კურუქშეტერას ბრძოლის შემდეგ დაიწყო და დღესაც გრძელდება, დადგენილი დრო არ არსებობს.

4.9. „არ უწერია კვლავ ხილვა მიწის“ – სანსკრ.: „სხეულის დატოვების შემდეგ ისევე აღარ იბადება“.

4.10. „ჩემით აღვსილმა“ – მანმაიას („ჩემგან მომდინარე“) თარგმნიან ასევე, როგორც „ჩემში დანთქმულს“.

4.11. „როგორაც მოვლენ... [როგორც] მხვდებიან...“ – პად: მისვლა, მიღწევა, მიახლოება, მიღება, პოვნა. ამ სტროფში ესმით მიმართვა, შებიჯება, სტუმრობა, თავის შეფარება; „მივიღებ... ვწყალობ“ – ბჰაჯ: გაყოფა, განაწილება, მოტანა, მონაწილეობა, თანაზიარობა, კუთვნილება, სიყვარული; უფრო ხშირად ასე ესმით: „როგორც მოდიან, ისევე ვიღებ“; ასეთი წაკითხვაცაა: „ისე ვაჯილდოვებ“. თარგმნიან აგრეთვე: „როგორც მომეახლებიან, ისე ვაჯილდოვებ“; „როგორც მეძებენ, ისე ვუახლოვდები“; „როგორც შემეფარებიან, ისევე ვუძღვნი თავს“ და ა.შ.

4.12. „...მალე მიაღწევს კაცი საწყადელს,“ – სანსკრ.: „...რადგან ადამიანთა სამყაროში მოქმედებით ნაშობი წარმატება სწრაფად მოდის“. კომენტატორთა ვარაუდით აქ „მოქმედებაში“ შეიძლება „მსხვერპლმოქმედება“ იგულისხმებოდეს. შანკარა განმარტავს, რომ წარმატებას ის აღწევს, ვინც ღმერთებს სწირავს მსხვერპლს.

4.13. ვარნა – კასტა ანუ საზოგადოებაში განსაზღვრული როლის და ადგილის მქონე ფენა. ყოველი ვარნის წევრები გარკვეულ ტრადიციულ პროფესიას მისდევენ და მხოლოდ თავისი ვარნის წევრებზე ქორწინდებიან. ადამიანის ამა თუ იმ ვარნისადმი კუთვნილება დაბადებიდანვე განსაზღვრულია და თაობიდან თაობას მემკვიდრეობით გადაეცემა. ვარნის შეცვლა შეუძლებელია. ინდოეთში ოთხი ძირითადი ვარნა არსებობს: ბრაჰმანები (სწავლულები და ღვთისმსახურები), კშატრიები (მეომრები, სახელმწიფოს მმართველები), ვაიშები (მიწათმოქმედი და ვაჭრები) და შუღრები (მოსამსახურეები). უმაღლეს ფენად ბრაჰმანების კასტა ითვლება. მისი წევრების უმთავრესი (თუმცა არა აუცილებელი) მოვალეობა „ვედების“ შესწავლა, მათი სწავლება და ღვთისმსახურებაა. ბრაჰმანები „სულიერთა შორის უმაღლესებად,“ მეტიც, ადამიან-ღმერთებად ითვლებიან და უდიდესი პატივით, უამრავი უფლებით და პრივილეგიით სარგებლობენ. მანუს კანონებში წერია, რომ ბრაჰმანის ცხოვრება ოთხ საფეხურად იყოფა:

1. ბრაჰმაჩარი – სტუდენტი, რომელიც დროს სულიერი მოძღვრის მორჩილებაში და „ვედების“ შესწავლაში ატარებს;

2. გრიჰსთჰა – „სახლის პატრონი,“ დაოჯახებული კაცი, რომელიც ჩვეულებრივ ოჯახურ ცხოვრებას ეწევა და თან ბრაჰმანისთვის აუცილებელ ყველა რიტუალსა და მოვალეობას ასრულებს.

3. ვანაპრიშთჰა – განდევილი, „ტყუთა ბინადარი,“ მიწიერი მოვალეობანი რომ მიუტოვებია, საჭმელსა და სამოსზე აღარ ზრუნავს, ათასგვარ თვითაკრძალვას მიმართავს და მედიტაციების, ცერემონიების და მოვალეობათა მკაცრ შესრულებას


მისცემია;

4. სანიასი – მოხეტიალე ბერი, რომელიც მოწყალეობით ცხოვრობს, ყოველგვარი რიტუალისგან თავისუფალია და ცდილობს ცნობიერების იმ მდგომარეობას მი-
აღწიოს, როცა არავითარი მიწიერი საზრუნავი, ტკივილი ან სიამოვნება აღარ
გაღელვებს და მხოლოდ ღმერთში საბოლოო დანთქმაზე ხარ კონცენტრირებული.
ბრაჰმანთა კასტის დანაყოფებისა და ქვედანაყოფების ჩამოთვლა შეუძლებელია
მათი სიმრავლის გამო. „ყველა მათსვე ზნის კვალად მოქმედი“ – სანსკრ.: „მათი
გუნასა (იხ. 2.45.) და კარმას მიხედვით განაწილებული“. „კარმა“ (საქმე, შრომა,
მოვალეობა, საქმიანობა) ერთ-ერთი ყველაზე სპეციფიური და სრულიად უთარგმ-
ნელი ტერმინია. კარმა ადამიანის ამქვეყნიური ვალიც არის და ისიც, რაც ამ ვალის
მასზე დაკისრებას იწვევს. კარმა ყველაფერი, რასაც ვაკეთებთ და ყველაფერი, რაც
ჩვენს საქმეებს მოსდევს. კარმა ბედია, რომელსაც ყველა თვითონ ქმნის. ადამიანის
მიზანი კარმისგან განთავისუფლებაა, რაც კარმული ვალის უანგაროდ მოხდით
შეიძლება. სულიერის ყველანაირი მდგომარეობა, ყველა მისი ბედნიერება თუ უბე-
დურება წარსულ და ახლანდელ სიცოცხლეებში გადადგმულ ნაბიჯებთან, ანუ მისი
კარმის შედეგია. ადამიანი ყოველი ნაბიჯით და ფიქრითაც კი ყოველ წამს კიდევ
უფრო იხლართება საკუთარ კარმაში ან თავისუფლდება მისგან.

4.14. „საქმენი ტყვეობას არ უქადაიან“ – სანსკრ.: „მას საქმეები ვერ ბორაკვენ“. 4.15.
„ამგვარი ცოდნით“ – კომენტატორები შენიშნავენ, რომ ეს წინა ორი სტროფის
მთელ შინაარს შეეხება;

4.16. „ბრძენიც კი დაუბნევი“ – კავი: პოეტი, ბრძენი, განსაკუთრებით ველური
ჰიმნების ავტორი. ამ სტროფში „უპანიშადების“ სულისკვეთებას, ანუ „ვედების“
კრიტიკას ხედავენ.

4.17. სანსკრ.: „ახლა ვეტყვი, რა არის საქმე, რისი ცოდნითაც უბედურებისგან გან-
თავისუფლდები...“; „საძრახს საქმე“ – ვიკარმა: შეუფერებელი, აკრძალული ქმედება.
ჩინმაიანანდა განმარტავს: „სიცოცხლე ნიშნავს მოქმედებას... გაუძინარი ტბის
წყალი მალე ყროლდება... სიცოცხლე დინამიურია და ერთი წამითაც კი ვერ შეწ-
ყვეტს მოქმედებას... მოქმედება სიცოცხლის ქვაკუთხედი, ამიტომ წარსულის დიადი
ბრძენები მას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და მოქმედების რამოდენიმე ფორმას
არჩევდნენ:



სიცოცხლე მოქმედებისგან და უმოქმედობისგან შედგება. უმოქმედობის დროს არც
პროგრესია შესაძლებელი და არც რეგრესია. ღრმა ძილი ან არსებობის სრული

შეწყვეტა ის ინტერვალა, რომლის დროსაც ინდივიდი არც ვითარდება და არც ჩამორჩება. მოქმედება ქმნის ადამიანს და ეს პროცესი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა სახის საქმიანობით ვართ დაკავებული. ძველი ბრძენები გვასწავლიან, რომ საქმე ორი სახის შეიძლება იყოს – კონსტრუქციული და დესტრუქციული. კონსტრუქციული საქმე ინდივიდის ევოლუციას უწყობს ხელს და კარმა ეწოდება. დესტრუქციული საქმე, ვიკარმა, „მასტრებში“ დაგმობილია, რადგან დევრადირებას იწვევს. კარმა სამი სახის არსებობს: ნიტია – მუდმივი მოვალეობანი, ნაიმიტიკა – განსაკუთრებულ შემთხვევებში წარმოქმნილი განსაკუთრებული მოვალეობანი და კამია – სასურველი შედეგის ან ჯილდოს მიზნით შრომა. „ველებში“ კარმა ღმერთთა ღმერთისთვის მიძღვნილ საქმეებს, რიტუალს ნიშნავს. აქ კრიშნა არჯუნას ვეღური ტექნიკის ყველაზე ფართო შინაარსს, კერძოდ იმას უმხელს, რომ კარმა მხოლოდ რიტუალებს კი არა, „უფლისთვის შესრულებულ ყოველგვარ საქმეს“ ნიშნავს. სიცოცხლისა და თვითსრულყოფის ტექნიკის ამგვარი მრავლისმეტყველი ხედავ არსად ისე მშვენივრად არაა გადმოცემული, როგორც „ვიტას“ ამ ნაწილში. სწორედ ამიტომ ითვლება ის „მსოფლიოს წმინდა წერილად“ მისი შექმნიდან ამდენი ხნის გავლის შემდეგაც კი... ამ მკაფიო და მრავლისმომცველი განმარტების შემდეგაც კი კრიშნა აღიარებს, რომ ჩვეულებრივი ადამიანისთვის სხვადასხვა სახის საქმის ერთმანეთისგან გარჩევა ადვილი საქმე არაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი სწორად შეფასება მხოლოდ იმ მოტივთა გარჩევით შეიძლება, მათ უკან რომ მათი იმლება. თუ განზრახვა წმინდაა, საქმეც კეთილშობილური და სასარგებლოა, ოღონდ მხოლოდ მისი ჩამდენისთვის. და რადგან ინდივიდუალური ფაქტორი ასეთ დიდ როლს თამაშობს, შეუძლებელია არ დაეთანხმო კრიშნას, რომ „იღუმალია საქმის გზები“. „მათი გზა-კვალის ცნობა ძნელია“ – სანსკრ.: იღუმალია მოქმედების გზები“.

4.18. სანსკრ.: „ვინც მოქმედებაში უმოქმედობას ხედავს, უმოქმედობაში კი მოქმედებას, ის ბრძენია (იხ. ბუღკშიმანტ, 2.69) კაცთა შორის, ის არის იოგი და ყველა საქმის მკეთებელი.“ აქ იუკტა („იოგი“) სხვადასხვანაირად ესმით. იუჯ კონცენტრირებას, მოკრებას, ჩაფლობას, შეერთებას ნიშნავს, იუკტა კი გონმოკრებილს, ყურადღებინანს, საქმეში ჩაფლულს (რუს.: СОБРАНИЙ). უფრო ხშირად ასე თარგმნიან: „ის არის [ნამდვილი] იოგი,“ თუმცა „კონცენტრირებულად“ „გონმოკრებილად,“ „მტკიცედ,“ „ერთგულად,“ „საკუთარ სულში განმტკიცებულად“ (ან „დანთქმულად“) ან „[უზენაეს სულთან] შეერთებულად“ ესმით; „გულისყურით შრომა სჩვევია“ – ეს ადგილი ორნაირად ესმით: „ყველელა საქმეს ასრულებს“ და „მან ყველა საქმე გააკეთა“ (ანუ კეთება დაასრულა). ტომსონი, სმირნოვი და სენარი თარგმნიან: „ის ერთგულია და დასრულებული აქვს ყველა საქმე“; ტელანგი – „ის ერთგული დარჩა, თუმცა ყველა საქმე გააკეთა“; გარბე – „ყველა საქმეს ერთგულებით სავსე აკეთებს“. „გიტას“ ფილოსოფიას არც ერთი ეს წაკითხვა არ ეწინააღმდეგება.

4.19. „ბრძენად გიხმობენ“ – სანსკრ.: „პანდიტები ბუღჰას გიწოდებენ,“ იხ. 2.69; „არას მოელი“ – სანსკრ.: „დაცლილი ხარ სურვილისგან (კამა, იხ. 2.43.) და ზრახვებისგან“ (ანგურიმისგან, გათვლებისგან, იხ. სამკალპა, 6.2.), აქ ნაყოფის სურვილადაც თარგმნიან.

4.20. „ვინც ესხნა ნაყოფს“ – სანსკრ.: „ვინც ესხნა საქმის ნაყოფზე მიჯაჭვულობას“; „თავისი თავის არის უფალი“ – სანსკრ.: „არაფერზეა დამოკიდებული“; „უქმეა მაინც და საქმისგან თავისუფალი“ – სანსკრ.: „არაფერს აკეთებს“, ანუ „მართალია

- მოქმედებს, მაგრამ მისი მოქმედება კარმიულ შედეგებს აღარ იწვევს“ (სმირნოვი).
- 4.21. „...თავსა და ფიქრებს“ – ატმას (საკუთარი თავი) აქ იგებენ, როგორც სხეულს. ტომსონი მას თარგმნის, როგორც the Self-ს და განმარტავს, რომ ამ სიტყვაში გრძნობები უნდა ვიგულისხმოთ. მანკარას განმარტებით, აქ გარეგანი მიზეზ-შედეგობრივი აგრეგატი იგულისხმება; „არას მოელის...“ – აქ „უსურვილოსაც“ თარგმნიან, თუმცა სმირნოვი მიუთითებს, რომ ასეთი გაგება აზრის ერთფეროვნებას ქმნის, მაშინ როცა აქ სწორედ ის იგულისხმება, რომ „არა მხოლოდ მოქმედებათა ნაყოფის სურვილის მიტოვებაა საჭირო, არამედ სამაგიეროს მიღების ყოველგვარი იმედისაც“; „არც რის სურს ფლობა“ – სანსკრ.: „ვინც ყოველგვარი საკუთრება მიატოვა“. პარიგრაჰა ჩაბლუჯვას, შეჯამებას, პატივს ნიშნავს. ზოგჯერ აქ ასე იგებენ: „ვინც გარედან შევლას არ ელის“. „სხეულს ასაქმებს...“ – მანკარას აქ „მხოლოდ სხეულისთვის შრომობს“ ესმის, თუმცა ასეთი გაგება იშვიათია;
- 4.22 „...რას ბედი მისცემს, მას დასჯერდება“ – სანსკრ.: „კმაყოფილი იმით, რაც შემთხვევით მოდის.“ ითვალისწინებენ რა, რომ სანიასინმა, შიმშილითაც რომ კვდებოდეს, არ შეიძლება ითხოვოს და მხოლოდ ის უნდა მიიღოს, რასაც შესთავაზებენ, ამ ადგილს ასეც თარგმნიან: „რაც ყოველგვარი მცდელობის თუ ძიების გარეშე,“ („მოულოდნელად,“ „სპონტანურად“) მოდის“; გაორება – იხ. დვანდვა – 2.45.
- 4.23. „ქარად იქცევა იმისი კარმა“ – ასეც ესმით: „მისი ყველა საქმე ქრება“. იხ. კარმა, 4.13.
- 4.24. ამ შლოკაში „ღმერთის“ ადგილას ორიგინალში ყველგან ბრაჰმანია. იხ. 2.46; „ეწევა“ – გრამატიკული ანალიზის საფუძველზე სმირნოვი ასე თარგმნის: „[ბრაჰმას საქმეში ჩაღრმავებული] ბრაჰმანს უნდა მიუახლოვდეს“ (და არა „მიწვდეს,“ როგორც ეს სხვებს ესმით). ჩინმაიანანდა ასე თარგმნის: „ჭეშმარიტად, ბრაჰმანს ის მიადრწევს, ვინც ჩაძირულია (სამადპი, იხ. 2.44.) საქმეში, რომელიც არის ბრაჰმანი.“ და იქვე ასეთ ინტერპრეტაციას იძლევა: „ანუ ვინც ყველა საქმეში ბრაჰმანს ხედავს“. ოთოლოქსული ტრადიცია ამ შლოკას „გიტას“ ყველაზე წმინდა შლოკად მიიჩნევს, რადგან „არაფერი, რაც ბრაჰმას ეძღვნება, არ იბიწვება“. ითვლება, რომ ეს სტროფი ყოველგვარი რიტუალისა და შეზღუდვისგან განთავისუფლების ფორმულას წარმოადგენს.
- 4.25. ღმერთები – დევა იხ. 3.12; უფალი – ბრაჰმანი. იხ. 2.46; ტომსონისა და შლეგელის ვარაუდით ამ შლოკაში ის უნდა იგულისხმებოდეს, რომ ზოგი იოგი ღმერთებს სწირავს მსხვერპლს და წირვის ნაყოფის მიღების იმედი აქვს (შდრ. 4.12.), სხვები კი თვით მსხვერპლს სწირავენ მსხვერპლს, ანუ უარს ამბობენ წმინდა წერილების მიერ აღთქმულ მის ნაყოფზე და მსხვერპლს ბრაჰმანს ცეცხლში სწირავენ, ანუ ისე იქცევიან, როგორც ეს ამ თავის 19-ე შლოკაშია აღწერილი.
- 4.26. ამ შლოკის აზრს ასე განმარტავენ: ზოგი გრძნობის ორგანოთა მოქმედებას აკავებს, ზოგი კი გრძნობის საგნებს სწირავს მსხვერპლად, ანუ გრძნობებს თავისი კანონებით განვითარების საშუალებას აძლევს, მაგრამ ობიექტს ფსიქიკის დამონების უფლებას არ აძლევს (შდრ. 11.70.).
- 4.27. „სუნთქვის მოქმედება“ – პრანაკარმანი; პრანა – სუნთქვა; ფართო მნიშვნელობით – „სიცოცხლის სუნთქვა,“ „სიცოცხლის სული,“ სასიცოცხლო ძალა, ენერჯია. პრანა უნივერსალური ნატიფი ენერჯიაა – ყოველნაირი ძალის წყარო. „ის (პრანა) ადამიანის სხეულში დაბადების დროს შედის და გონების სურვილებს

ემორჩილება“ („პრანა-უპანიშადა“). სხეულში პრანა სუნთქვის სახით გამოიხატება, მაგრამ სუნთქვა მხოლოდ მისი ერთ-ერთი გამოხატულებაა. „ბრძენებს ესმით, რომ ლაპარაკის, ხედვის, სმენის და მედიტირების უნარი მხოლოდ პრანის სხვადასხვა გამოვლინებანია“ („ჩარაკა სამპიტა“). აქედან გამომდინარე, „პრანების მოქმედების შეწირვას“ სხეულის ყოველგვარი მოქმედების მსხვერპლად მიტანად იგებენ. ყველა ცოცხალი ორგანიზმი მატერიისა და პრანას ურთიერთქმედების მეშვეობით ცოცხლობს. კიდევ ოთხი სახის პრანა, ანუ ნატიფი ენერგია არსებობს: აპანა, სამანა, უდანა და ვიანა. მათი მანი პულირების მეშვეობით იოგები განთავისუფლებას აღწევენ. „მაიტრიაიანა უპანიშადაში“ ნათქვამია: „ადამიანი პრანას და მზეს იღებს, როგორც საკუთარ „მეს“. ვინც ეს იცის, ის საკუთარ „მე“-ზე კონცენტრირებაში ვარჯიშობს“. „პრანანგა უპანიშადაში“ პრანებისადმი მსხვერპლის აღვლენის რიტუალი დაწვრილებითაა აღწერილი, შემდეგ კი თვითონ ადამიანი განიხილება, როგორც მსხვერპლი. აღწერა ამ სიტყვებით მთავრდება: „ყველა ღვთაება ადამიანის სხეულშია მოქცეული“. პრანა „სასიცოცხლო ნაკადს“ ანუ „სიცოცხლეს“ ნიშნავს, ამიტომ „პრანის მოქმედებათა მსხვერპლად მიტანას“ მთელი სხეულის, ყველა მისი მოქმედების მსხვერპლად მიტანად იგებენ. „გრძნობების კრებულს“ – ინდრიაკარმანი გრძნობების მოქმედებებს. „დათმენის სამსხვერპლოს“ – სანსკრ.: „თავის მოთოკვის იოგას ცეცხლს“.

4.28. „თავს იწრობს“ – იოგა-იაჯნა: იოგას მსხვერპლშეწირვა; „ტანჯვას და თმენას“ – ტაპას: უბედურება, ტანჯვა, თვითგვემა, ასკეზა და მასთან შერწყმული თვითწარმავება; „ვინ განმდგარა“ – იატი: განმდგარი, ასკეტი, მოღვაწე; „წივიანი“ – ტრადიციულად აქ „ვედების“ შესწავლას იგებენ. სანსკრ.: „სწავლით და ცოდნით სწირავს.“

4.29. პრანა – აქ: შესუნთქვა (ვიწრო მნიშვნელობით) და აღმავალი სასიცოცხლო ნაკადი; აპანა – გამოსუნთქვა და დაღმავალი სასიცოცხლო ნაკადი. იხ. პრანა 4.27. „სასიცოცხლო ნაკადებს მართავს“ – პრანაიამა: „სუნთქვის კონტროლი“ („სუნთქვის მოწესრიგებადაც“ შეიძლება გაგება), სუნთქვით ვაჯიშების სისტემის მეშვეობით სასიცოცხლო ენერჯის (პრანას) კონტროლის იოგური დისციპლინა; „ჩასუნთქვის ამოსუნთქვისთვის შეწირვას“ პრანაიამას ტექნიკაში „პურაკა“ ეწოდება, „ამოსუნთქვის ჩასუნთქვისთვის შეწირვას“ კი – „რუჩაკა“. ამ ორ პროცესს „დროებით სუნთქვის სრული შეკავება“ ენაცვლება. პრანაიამა სუნთქვის ადგილის, ხანგრძლივობის, სიჩქარის, სიღრმის და რიტმის მართვას გულისხმობს. „სუნთქვის სიზშირის შემცირებით სასიცოცხლო ენერგია იზრდება, მისი გაზრდით კი მცირდება“ („გჰკრანდა-სამპიტა“). „პრანაიამათი დაკავებული ადებტის სხეული ჰარმონიულად ვითარდება, სასიამოვნო სურნელს გამოსცემს, ძლიერდება და ლამაზი ხდება. პრანაიამას მეშვეობით ბრძენი იოგი ამ და სხვა ცხოვრებებში შეძენილ მთელ თავის კარმას ანადგურებს“ („შვიგა-სამპიტა“). იოგები პრანაიამას სხვა იოგურ დისციპლინებს უთავსებენ. მათი აზრით იოგი პირველ რიგში სუნთქვის ხელოვნებას უნდა დაუფულოს სრულყოფილად. პრანაიამას შესახებ სწავლება დაწვრილებითაა დამუშავებული „პათჩაიოგაპრაღი პიკაში“ და „პატანჯალის „იოგა-სუტრაში“, სადაც ის აღწერილია, როგორც „კლასიკურად“ ქცეული რვასაფეხურიანი იოგას მეოთხე საფეხური.

4.30. „ჩასუნთქვასვე სწირავს ჩასუნთქვას“ – სანსკრ.: „პრანას სწირავს პრანას“.

სმირნოვი თარგმნის: „სხვები, ზომიერად მჭამელნი, თავის სიცოცხლეს [ერთიან] სიცოცხლეს სწირავენ“; „მარხვა“ – აპარა: საკვები. ნიაძ: შეკაევა, დათრგუნვა, შეზღუდვა, შესუსტება, განსაზღვრა. როგორც არსებითი სახელი, მარხვას ნიშნავს; „ცოდვას განემორება“ – სანსკრ.: „მსხვერპლშეწირვით ანადგურებენ ცოდვებს“.

4.31. „ის, ვინც სვამს წირვის ნაყოფთა ნექტარს“ – სანსკრ.: „ვინც მსხვერპლშეწირვითა ნარჩენების ნექტარით (ამრიტა) იკვებება“, ანუ „ის, ვინც საკუთარი თავისთვის კი არ ცხოვრობს, არამედ თავის ვალს ასრულებს და ცხოვრება ესმის, როგორც მსხვერპლშეწირვა, „გიტას“ მიერ „ამრიტად“ წოდებული „სამსხვერპლო ნარჩენით“, ანუ „უკვდავების საკვებით“ ცხოვრობს და მარადიულ ბრაჰმში მიდის“ (სმირნოვი); „ღვთის სასუფეველის შეაღებს კარებს“ – სანსკრ.: „მარადიულ ბრაჰმანს მიადევებს“; „აქაც ვერ ხარობ თუკი უმსხვერპლოდ...“: სწორედ ასე ესმის ჯაიადაიად გოიანდკას, თუმცა სიტყვასიტყვით ასე თარგმნიან: „ეს სამყაროც კი არ არსებობს მსხვერპლშეწირვის არშემსრულებლისთვის. როგორღა იარსებებს სხვა სამყარო?“ კურუსტამა – „კაურავთავან საუკეთესო“.

4.32. „მუქჰა“ პირია, „ბრაჰმანი“ კი „ველებსაც“ ნიშნავს, ამიტომ ასეც იგებენ: „ველებში“ (ველების პირით) უამრავი წირვაა აღწერილი.“ და ასეც: „...წირვები ბრაჰმანის პირის (სახის) წინაშეა გადაშლილი“.

4.34. სანსკრ.: „შეიტან ეს მიძღვრის (ფერხთა) თავყანისცემით...“ რანგანათჰანანდა აქ ნაცვალსახელს „ბრაჰმანანდა“ თარგმნის.

4.35. პანდავა – პანდაველი. იხ. ბჰაგავადგიტა და მაჰაბჰარატა.

4.38. „თვითონ იპოვის...“ – სანსკრ.: „დამოუკიდებლად ი პოვის დროთა განმავლობაში...“ (ან „თავის დროზე“, ორივენიარად ესმით); „თავის თავში“ – „სულშიც“ ესმით.

4.40. ეს მტკიცება თითქოს წინააღმდეგობაში მოდის 6.40. შლოკასთან, მაგრამ აქ დაეჭვებისა და ურწმუნობის მდგომარეობაში მყოფ ადამიანზეა საუბარი, 6.40.-ში კი ეჭვებისგან თავის დაღწევასა და განთავისუფლების გზაზე გასვლის შესაძლებლობაზე. თანაც მხედველობიდან არ უნდა გამოვერჩეს, რომ ძველ ინდურ ფილოსოფიაში „ის ქვეყანა“ ისევე ღრობითი და წარმავალია, როგორც „ეს ქვეყანა“. მარადიულია მხოლოდ აბსოლუტი, რომელში განზავებაც (ნირვანა) მხოლოდ ყოველივე წარმავლის და ფარდობითის (რაც არ უნდა ნატიფი იყოს მისი ფორმა) დაძლევით მიიღწევა.

4.41. „თავის მომდრეკი...“ – სხვებისგან განსხვავებით სმირნოვს აქ „ატმანის ერთგული“ ესმის.

4.42. „...ეჭვი, სიბეცით გულში შობილი“ – სანსკრ.: „ატმანში [სულის არსებობაში] დაეჭვება, დასადგურებული შენს გულში“.



თავი მეხუთე – „კარმა-სანიასა-იოგა“

საქმისგან განდგომის იოგა

5.1. „განდგეილობა“ – „სანიასა“ განდგომის განსაკუთრებული სახეობაა და ყოველივე „გამოვლენილის“ ამქვეყნიურის დათმობას გულისხმობს. აქ „საქმეებისგან განდგომაც“ ესმით; „გიტას“ სწორად გაგებისთვის აუცილებელია იმის ცოდნა, რომ მასში სულიერი განვითარების სხვადასხვა საფეხურებია აღწერილი და შესაბამისად, ამა თუ იმ სულიერი მდგომარეობის გათვალისწინებით, სხვადასხვა გამოსავალია მითითებული.

5.2. ნიჰშრეია – საუკეთესო, ნეტარება, განთავისუფლება. „უმაღლეს ნეტარებადაც“ ესმით. ეს ადგილი არ უნდა მივიჩნიოთ 2.49. შლოკის აზრის გამოძრვიცხავად, სადაც საუბარია ზოგადი მოქმედებაზე და არა მოქმედებაზე იოგას გაგებით. შემდგომ კრიშნა კვლავ უსსნის მოწაფეს კარმა-იოგას არსს, რომლის მიხედვითაც მიჯაჭვულობას იწვევს არა მოქმედება, არამედ მისი ნაყოფის სურვილი, რომელიც სამყაროს ენერგიას პირადი ნაკადით (ვრიტი) ზღუდავს, რითაც თითქოს კარმის განცალკევებულ ძაფს ქმნის. ნაყოფზე ამგვარი მიჯაჭვულობის გარეშე ენერგია სამყაროს ენერგიის საერთო საცაგში ბრუნდება, განცალკევებული ნაკადი კი ქრება.

5.3. სანსკრ.: ნიტია-სამნიასი (მუდამ განმდგარი; ნირღვანდვა: იხ. ღვანდვა, 2.45).

5.4. „გზიანად“ – სამიაკ – სწორად, სანდოდ, ზუსტად, ალაღად.

5.5. „რასაც კი სწვდები“ – სანსკრ.: „რა ადგილამდეც (სოჰანა) მიადწევ“. „მარადილ კითხვებზე“ ფიქრს და კარმა-იოგას ერთსა და იმავე შედეგამდე მივყავართ – წარმატებულ სიხარულთა და ყოველგვარი განცალკევებულობის ამოუბისა და ილო-ზორულობის შეგნებაზე. მხოლოდ ის, ვინც სიამოვნებისკენ ლტოლვისგან განგნობა მოახერხა, მიიღებს უმაღლეს სიხარულს – ასეთია იოგას პარადოქსი, განსაკუთრებულად განვითარებული ბუდიზმსა და ჯაინიზმში. ეს აზრი „გიტამიც“ იკვეთება.

5.6. „უსაქმოდ“ – სანსკრ.: „იოგას გარეშე“. აქ იოგას „მოქმედებად, მოღვაწეობადაც“ თარგმნიან და საკუთრივ „იოგადაც“ (იხ. თავი მეორე); კრიშნას მოძღვრების მიხედვით, იოგას პრაქტიკის გარეშე განდგომა ფსიქიკის რეალური გადამუშავებისთვის საკმარისი არაა, რადგან სწორედ გადამუშავების ეს პროცესია იოგა.

5.7. „ვინც განსპეტაკდა იოგას ღვაწლით“ – „იოგაიუკტო“-ში აქ „კარმა-იოგაც“ ესმით და უბრალოდ „მოქმედების გზაც“, „ვიშუდჰატმას“ კი („თავს მოერია“) აქ „ჭკუის (ან გულის) განწმენდაც“ თარგმნიან; „მოდრიკა ვენბა“ – ინდრიები. იხ. 2.60; „ვინაც შეერთო ყოველ სულთა სულს“ – სანსკრ.: „სარვაბჰუტატმაბჰუტატმა“. ბჰუტატმა ნიშნავს „არსებათა სულს“, როგორც ბრაჰმას ეპითეტს და როგორც ინდივიდუალურ სულს, ამიტომ ასეც შეიძლება თარგმნოს: „ის, ვისი სულიც გაბრწყინებულია ყოველი არსების სულთან ერთიანობით“. ჩინმაიანანდა თარგმნის: „ვინც აცნობიერებს სულს, როგორც ყოველ არსებაში მყოფს.“

5.8-9. სრული და თანმიმდევრული ჩამონათვალია: „...ვხედავ, ვისმენ, ვეხები, ვყნოსავ, ვჭამ, დავდივარ, მძინავს, ვსუნთქავ, ვლაპარაკობ, ვუშვებ, ვიჭერ, თვალებს ვახელ თუ ვხუჭავ.“ „გაშვებას და მიღებას“ უფრო ზშირად „გაცემად და მიღებად“ იგებენ, თუმცა აიშვრული და პრაბჰავანანდა „ამოფრქვევად და ხელით მოჭიდებად“ თარგმნიან, ჯაიადაილ გონდკა კი „გაშვებას“ „ბუნების ძახილის პასუხად“ იგებს –

ვისარგ: გასროლა, გამოშვება, განთავისუფლება, თესლის ამოფრქვევა.

5.10. „შეწირავს“ – აღბაის აქ მიძღვნად, მიწოდებად, დანებებადაც (დათმობა) თარგმნიან. რამანუჯა აქ იმ მნიშვნელობას ხედავს, რომ ყოველგვარი ინდივიდუალური მოქმედება ილუზორულია, რადგან „რეალური მხოლოდ სამყაროს ერთიანი შემოქმედა“; „უანგაროდ“ – აქ და ყველგან ორიგინალშია „მიუჯაჭვევლად“. „მიჯაჭვევლობა“ და „მიუჯაჭვევლობა“ „გიტას“ უმნიშვნელოვანესი ცნებებია (იხ. 18.6.).

5.12. სანსკრ.: „გონმოკრებილი (იუკტა), საქმის ნაყოფი რომ მიუტოვებია...“ იხ. 4.18; „ციური“ – ნაიშთჰიკა: უმაღლესი, საბოლოო; „ვინც მონაგარით ტკობისთვის შრომობს“ – სანსკრ.: „გაუწონასწორებელი (აიუკტა), სურვილებისთვის მშრომელი, ნაყოფს მიჯაჭვეული, ბორკილებში იხლართება.“

5.13. „სული ხორცსმული“ – იხ. დეჰინ, 2.28; „ჭკუით“ – იხ. მანასი, 2.60. სმირნოვი „გულს“ თარგმნის; „არც სხვას ასაქმებს“ – სანსკრ.: „არც ამოქმედებს“ (ან „არც მოქმედებას იწვევს“). სმირნოვი თარგმნის; „არც მოქმედებას აიძულებს“. აქ ადამიანის მიერ საკუთარი სხეულისა და გრძნობების დასაქმებასაც იგებენ; „ცხრა კარიანი ქალაქი“ – სხეული; „უშფოთველი“ – სუქჰა: ბედნიერი. შანკარა განმარტავს, რომ მხოლოდ იმაზე შეიძლება ითქვას, რომ „ქალაქში იმყოფება“, ისე, როგორც ვთქვათ, სახლში იმყოფებიან, ვინც საკუთარ თავს სხეულისგან განცალკევებულად აღიქვამს და აიგივებს ატმანთან, რომელიც უძრავია და არც მოქმედებს და არც ამოქმედებს.

5.14. „ბუნება“ – სვაჰპაჰა: საკუთარი ბუნება, არსი, ყოფიერების მოღუსი.

5.15. „ზეცა“ – ვიბჰუ: „შორს მიმღწევი“, „გაგრცელებული“, ყველგანმოყოფი, მძლავრი, მეუფე, მთავარი, ყოვლისშემძლე (ვიშნუ-კრიშნას ეპითეტია). ამ შლოკას ბეგრნაირად იგებენ: 1. „ღმერთი არავის სათნობას ან ცოდვას არ იღებს“; 2. „ღმერთი ადამიანის სიკეთესა და ბოროტებაში არ მონაწილეობს“ („და“ – მიცემა, ჩუქება, აღება, მიღება, ნების დართვა, დაშვება, მართვა, წარმართვა); 3. „უფალი არც ერთი კაცის ცული ან კარგი საქმის სახეს არ იღებს“ (სერ სდვინ არნოლდი). ლეისენი ასე განმარტავს: „კარგი და ცული კარმა ადამიანს უკან უბრუნდება ან ბუნების საერთო კარმაში რჩება. იშვარა (იხ. 4.6.) მასთან კავშირში არ არის, ისევე როგორც ის, ვინც ბრაჰმანს შეერწყა.“

5.17. ატმანში „საკუთარი თავი“ ესმის, ზოგს კი „სული“; „და ნავსაყუდელს მასში აიჩენს...“ – სანსკრ.: მას შეეფარება, მისი უზენაესად დამსახავი; „და სამუდამოდ თავს გადაირჩენს“ – სანსკრ.: წავა სამუდამოდ და უკან მოუბრუნებლად“.

5.18. „მღვდელი“ – სანსკრ.: ბრაჰმანი (ღვთისმსახური, იხ. ვარნა, 4.13.); „ძალის მჭამელი“ – შვაჰაჰ (სანსკრ.: შვან – ძალი, პაკ – ხარშვა), „ძალის მხარშველები“ ინდოეთის ყველაზე დაბალი, უკასტოთა კლასის სახელწოდებაა. ამ კლასის წევრი იმ დედის უკანონო შვილი ხდება, რომელიც თვითონაც მამა შუღრასა და დედა კშატრიას უკანონო (ანუ კასტის კანონთა დარღვევით გაჩენილი) შვილია. „შვაჰაჰები“ იძულებულნი არიან სოფლის გარეთ იცხოვრონ, თავის ქალიდან ჭამონ და მიცვალებულისთვის გახდილი სამოსი ატარონ. საკუთრების უფლება არ აქვთ, მხოლოდ ძალი და ვირი შეუძლიათ იყოლონ. აკრძალული აქვთ ურთიერთობა ყველასთან, გარდა სხვა უკასტოების, „ჩანდალებისა“. „გიტას“ ავტორის გამბედაობა და ჰუმანიზმის ხარისხი რომ შევიგრძნოთ და გავიაზროთ, რა რთული ფსიქოლოგიური პრობლემის წინაშე აყენებს იგი იმას, ვისი ცნობიერებაც კასტობრივი წყობის

ტყვეობაში იმყოფება, კასტობრივი კანონების მთელი სისასტიკე და ურყევობა უნდა გაეაცნობიეროთ.

5.19. „აქვე დასძლია წუთისოფელი“ – სანსკრ.: „აქვე, ამქვეყნადაც კი სძლევს ბუნებას“; „არგანმრჩევი“ – საძა: ერთნაირი, თანაბარი, გაწონასწორებული.

5.20. სანსკრ.: პრიია – სასიამოვნო; აპრიია – უსიამოვნო; სანსკრ.: „გონებამტკიცე და [მაიას მიერ] მოუტყუებელი, თავ-გზა აუზნეველი“.

5.21. „თავისთავში“ – ან „[საკუთარ] სულში“ (იხ. ატმანი, 2.55.); „ტყვევდება“ – ასაკატატმა: ჭკუამიუჯჯაჭველი (იხ. 5.10.); „გარეგან გრძნობით“ – ბაჰია-სპარშა: გარეგანი შეხება; „წრთობით“ – ბრაჰმა-იოგა-იუკტატმა – „ბრაჰმანზე მედიტაციით დაკავებული“ ან „იოგას გზით სულით ბრაჰმანთან შეერთებული“.

5.22. „არ მიენდობა...“ – სანსკრ.: რამ: შეყოვნება, ყოფნა, დაყრდნობა, გახარება, სიამოვნება. ასეც იგებენ: „ბრძენები ამით არ ხარობენ“.

5.23. „ხორციან გაყრამდე“ – სანსკრ.: „ხორცისგან განთავისუფლებამდე“; „თავის მფლობი“ – იხ. იუკტა, 4.18.

5.24. „ურთოსულდება ის უზენაესს, მასში შესული და შეღწეული.“ – სანსკრ.: ის იოგი ბრაჰმაში შედის, ქცეული ბრაჰმად.“ ბრაჰმონირვანა: ბრაჰმაში შესვლა, ბრაჰმამში დანთქმა; ბრაჰმაბჰუტა: ბრაჰმად ქცეული, ბრაჰმასთან შერწყმული;

5.25. „ნახავს ღმერთს ბრძენი...“ – ბრაჰმონირვანა, იხ. 5.24; დვაიდჰა: გაორება, ეჭვი; იატატმანა: თავის კონტროლის შემძლე.

5.26. „დაიმორჩილა ვინც ფიქრთა ზვაეი“ – სანსკრ.: „ფიქრის მომთოკველი ასკეტები“. იხ. იატი, 4.28; „მისთვის იხსნება ბჭენი ზეცისა“ – იხ. ბრაჰმონირვანა, 5.24; „...შეიცნო თავი“ – იხ. ატმანი, 2.55.

5.27. „გრძნობას გარეგანს ვინც ჩამოსცილდა...“ – სანსკრ.: სპარშა – შეხება. ჩინ-მაიანანდა თარგმნის: „ვინც წინ აღუდგა გარეგან კონტაქტს...“; „სუნთქვის ნაკადი“ – იხ. პრანა, 4.27.

5.28. „განდეგილი“ – მუნი, იხ. 2.69; „ხსნა“ – მოკშა: თავისუფლება; ყველა ამქვეყნიური (სამსარის, ანუ სიკვდილ-სიცოცხლის წრებრუნვის) ბორკილისგან საბოლოო განთავისუფლება; „თავისუფლებას მარადისს ნახავს“ – სანსკრ.: „სამარადისოდ თავისუფალი“.

5.29. „მესაიდუმლე“ – სანსკრ.: შუპრიდ: მეგობარი, მოკავშირე, მოწყალე (შემბრალე-ბელი, ლმობიერი, შივას ეპითეტია). ეს შლოკა თითქოს ეწინააღმდეგება 5.15 შლოკას, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ „გიტას“ მთელი მოძღვრება ანტითეოზაზეა აგებული: „შემოქმედი და უმოქმედო“ და ა.შ. თანაც თანმიმდევრულად ვითარდება ხან თეზა, ხან კი ანტითეზა. შემდეგ თავებში ამ ტექსტის ანტითეოტიკა კიდევ უფრო ღრმავდება; „ომენა“ – სანსკრ.: ტაპას – ასკეზა. იხ. 4.28.



თავი მეექვსე – „ატმასანიამაიოგა“

თავის დაოკების იოგა

6.1. „მის საკეთებელს“ – კარია: აქ: მოვალეობა; „არც სარგებელს ეპოტინება“ – სანსკრ.: „შრომის ნაყოფზე მიჯაჭვული არ არის“. „...ვინც შრომაცა და წირვაც ინება“ – სანსკრ.: „...და არა ის, ვინც [უბრალოდ] შრომაზე და ცეცხლზე (ანუ წირვაზე) თქვა უარი“. „იოგა“ – ამ თავში ყველგან იოგზეა საუბარი, მაგრამ პოეტური ტექსტი რომ არ გადატვირთულიყო, უმეტეს შემთხვევაში ეს სიტყვა გამოტოვებულია. სმირნოვის განმარტებით, ამ სტროფში გაცხადებულია „ვიტასა“ და „უპანიშადების“ ეთიკის ერთ-ერთი მთავარი დებულება: შესაბამისი შინაგანი მიზანსწრაფვის გარეშე ადამიანი ვერც ფსიქიკურად განვითარდება სწორად და ვერც სიცოცხლის საბოლოო მიზანს, განთავისუფლებას მიაღწევს. ეს აზრი მთელს ძველ ინდურ ფილოსოფიას გაბუდმებით და დაჟინებით გასდევს. „ჩჰანდოგია უპანიშადში“ ნათქვამია: „ჭეშმარიტად, ადამიანს მისწრაფება აყალიბებს: როგორცაა მისი მისწრაფება ამ სამყაროში, ისეთივე ხდება ადამიანიც. ამიტომ უნდა დაეუფიქრდეთ მისწრაფებას.“ ამ შლოკში მინიშნებასაც ხედავენ „ასაკობრივ პერიოდებზე“ (აშრამებზე). აშრამის პირველადი მნიშვნელობა „სამყოფელია,“ თუმცა შემდეგ ამ სიტყვამ „სიცოცხლის პერიოდის“ მნიშვნელობაც შეიძინა, რომლის მიხედვითაც ადამიანი თავის სამყოფელს ირჩევს. მანუ ადამიანის სიცოცხლის 4 პერიოდს ანსხვავებს: 1. ბრაჰმჩარია – სიმეაწილე, ანუ მოწაფეობის დრო. ამ დროს უმაღლესი კასტების წარმომადგენელი ახალგაზრდა (ბრაჰმანი ან კმატრია) ტრადიციული ცოდნის (ძირითადად „ვედეების“) მასწავლებელ ბრაჰმანთან, გურუსთან იმყოფება. ამ პერიოდში, რომელიც 12 წელს გრძელდება, მოწაფეს მოეთხოვება სქესობრივი თავშეკავება, რის გამოც სიტყვა „ბრაჰმჩარიაში“ უბიწოების მნიშვნელობაც შეიძინა. მოწაფე გურუს სახლში ცხოვრობს და მას და მის ოჯახს ემსახურება.

2. მეორე პერიოდი – გრიჰასთჰა. ეს ის დროა, როცა, მოწაფეობის დასრულების შემდეგ, ადამიანი ცოლს ირთავს, ოჯახის თავი ხდება და თავისი ხალხის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობს. ეს პერიოდი 40-45 წლის ასაკამდე გრძელდება.

3. ვანაპრასთჰა – სხვა და სხვა სიმკაცრის გენდევლობის, ტყეში ყოფნის პერიოდი. მანუ ტყედ გაჭრილ ოჯახის თავს კერიის წმინდა ცეცხლის უფროსი ვაისთვის გადაცემას ავალბებს. შვილი მამას სოფლის ბოლომდე აცილებს. მამა მას წმინდა ცეცხლს უწილადებს, შემდეგ კი ისინი უკანმოუხედავად შორდებიან ერთმანეთს. შვილი წმინდა ცეცხლით სახლში ბრუნდება და ოჯახის უფროსი ხდება, მამა კი უკაცურ ადგილას მიდის და ვანაპრასთჰა ხდება. უფრო მკაცრი ასკეზის დროს ის „ნიარაგნის,“ ანუ ცეცხლის (და შესაბამისად რიტუალების) გარეშე რჩება (რიტუალები წმინდა ცეცხლის ანთებასთან და შენახვასთანაა დაკავშირებული). სწორედ ამაზე მიანიშნებს „გიტას“ ეს სტროფი. მკაცრი ასკეზით დაკავებული ვანაპრასთჰა ტყეში მარტო, თავისნაირ განდევნილებთან ან ცოლთან ერთად ცხოვრობს.

4. მეოთხე და უკანასკნელი პერიოდი – პრივრაჯა – ხეტიალი და მათხოვრობა (ბჰიკშუ). ასეთი ადამიანი მუდამ მარტო უნდა იყოს. უმეტეს შემთხვევაში ასეთები მღუმარების აღქმას დებენ და ერთ ადგილას 3 დღეზე უფრო დიდხანს გაჩერების

უფლება არ აქვთ. მათი ცხოვრების ზუსტი რეგლამენტი „მანავადპარმა-შასტრაშია“ მოცემული. „ტანტრებში“ (ტანტრა: „წესი“, „რიტუალი“. მრავალი სახის რელიგიური და მაგიური შინაარსის ნაწარმოებთა სახელწოდება) ნათქვამია, რომ კალი-იუ-გას დროს, რომელიც ბპარატთა დიადი ომიდან იღებს სათავეს და დღესაც გრძელდება, „აშრამას კანონის“ ზუსტად დაცვას ვერავენ შესძლებს. მანუ განდევნილებს ასეთ წესებს უწესებს: „გადიანს რა წმინდა ცეცხლს საკუთარ თავში, ცეცხლისა და ჭერის გარეშე [დარჩენილი] დაე ნაყოფითა და ფესვებით იკვებებოდეს მუნი,“ ანუ „დაე მუნიმ წმინდა ცეცხლი, რომლითაც მსხვერპლი აღველინება, საკუთარი სხეულით შეცვალოს...“

6.2. „ის ვერ გახდება“ – ასეც შეიძლება გავიგოთ: „ის ვერ გახდება“, „გულისწადილი“ – სამკალა: „გულიდან მომდინარე გადაწყვეტილება“, სურვილი, მისწრაფება, განზრახვა;

6.3. „თუ შედგა ფეხი მწვერვალზე“ – სანსკრ.: „თუ იოგას (შეერთებას, შერწყმას) მიადწია“; „საკეთებელი“ – კარანა: სამუშაო, აქ: საშუალება, ზერხი.

6.4. ინდრიართა – გრძნობის საგანი, მიზანი; „უთხრა უარი“ – სანსკრ.: „აღარაა მიჯაჭვული“; „ჟინის მოკვლისთვის“ – იხ. სანკალა, 6.2.

6.5. სიტყვა-სიტყვით: „დე, ადამიანმა თავისი თავით აიძალოს თავი და არ დაიკინოს თავი. [მისი საკუთარი] თავი ადამიანის მეგობარიცაა და მტერიც“. ზოგჯერ ესმით „სულიის მეშვეობით“, მაგრამ ამ შემთხვევაში უცნაური ხდება მეორე ტაჰვის და მომდევნო სტროფის შინაარსი. სმირნოვი ამ შლოკას ნორმანდიულ რუნებს ადარებს: „ისმინე პირველი შეგონება... თვით ისხენი ძლიერმა თავი“. შანკარას თქმით, მხოლოდ შენმა საკუთარმა თავმა შეიძლება გაგიწიოს ნამდვილი მეგობრობა და სამსარისგან გისხნას. მასვე შეუძლია მხოლოდ გიმტროს და კიდევ უფრო ჩაგძიროს მაიაში.

6.6. ასეც ესმით: „სული (ტპე შელფ) მეგობარია იმისთვის, ვინც სულის მეშვეობით საკუთარი თავი დაამარცხა, მაგრამ ვინც ეს ვერ შესძლო, მისთვის სული მტერი (ზოგან: „მტერივით“) ხდება.“ „მაიტრაიანა უპანიშადში“, სადაც ღპარანას (ყურადღების მოკრების) ტექნიკაა მოცემული, ნათქვამია: „თავისი თავის, როგორც უნატიფესზე უნატიფისის, საკუთარივე თავის მეშვეობით ჭვრეტით ხდება ის თავისუფალი საკუთარი თავისგან და ამ გზით აღიქვამს თავს, როგორც უსაზღვროს და უძიროს. ეს განთავისუფლება – უდიდესი საიდუმლო.“

6.7. „ზენარ სულში“ – პარამატმანი: უზენაესი სული, სამყაროს სული; „განმტკიცებული“ – სამაპიტა: მინდობა, დაყრდნობა, ჩაძირვა; „მშვიდობა“ – შანტი: მშვიდობა, სულის სიმშვიდე; სანსკრ.: „...სიცივესა და სიცხეში, ბედნიერებასა და უბედურებაში, პატივსა და უპატიობაში“.

6.8. „ზესულს შეერთო“ – იუკტა, იხ. 4.18; „ის, ვინც...“ – სანსკრ.: „ის იოგი, ვინც...“; „მტკიცე“ – კუტასიჰა: „მწვერვალზე მდგარი“ (აქ ასეც ესმით), უძრავი, უცვლელი. ეს ტერმინი ზოგს ესმის, როგორც „მიწიერ ინტერესებზე მაღლა მდგომი, ანუ იოგი“, ზოგს კი როგორც „გასაჭირის დროს მტკიცე“. „ატპარვაედაში“ ეს სიტყვა ასეა განმარტებული: „ყველა არსების ცნობიერებაში მყოფი“. იოგას სისტემაში „კუტასიჰა“ ცნობიერების განვითარების გარკვეულ საფეხურს აღნიშნავს; „ბრძენია და სიბრძნით მოქმედი“ – ჯნანით (ცოდნა, სიბრძნე) და ვიჯნანით (თვითრეალ-იზაცია, იხ. 3.41.) დაკმაყოფილებული (ტრპტა: რუს.: насыщенный).

- 6.9. სანსკრ.: „...მეგობარი, კეთილისმსურველი, მტერი, ნეიტრალური ადამიანი, შუამავალი, მოძულე და ნათესავი...“; „წმინდა“ – სადჰუ: „პირდაპირ მიზნისკენ წამყვანი, მართალი, ერთგული, წმინდანი, ასკეტი; „...ის არის ქველი და კაცთმოყვარე“ – სანსკრ.: „ის უფრო ამაღლებულია“.
- 6.10. „სურვილმოსრული“ – ნირამის: იმედების, სურვილების არმქონე.
- 6.11. სანსკრ.: „...არც ძალიან ამაღლებულ, არც ძალიან დაბალ ადვილას, ბალახზე ირმის ტყავი გაშალოს და [ზემოდან დააფინოს] ნაჭერი“. კუშა: ბალახი, განსაკუთრებით წმინდა ბალახი, რომელიც სხვადასხვა რიტუალში გამოიყენება. კუშას წირვის დროს ცეცხლში ისვრიან, ამიტომ მასზე ჯდომა სიმბოლურად საკუთარი თავის მსხვერპლად მიტანას ნიშნავს.
- 6.13. „სხვაგან“ – სანსკრ.: გვერდზე; შანკარა შენიშნავს, რომ აქ თვალების კონტროლზე კი არა, გონებრივი მზერის მიმართვაზეა საუბარი.
- 6.12. „გაფანტულობა ფიქრის აღკვეთოს“ – სანსკრ.: „ერთზე კონცენტრირებული მანასით.“ იხ. 2.60.
- 6.14. „გონმოკრებილმა“ – აქ ორი ტერმინია: მანაჰ სამიამა (ჭკუის დამამშვილები) და იუკტა, იხ. 4.18;
- 6.15. „სულში დანთქმული“ – იუჯ: კონცენტრირება. „საკუთარ თავში დანთქმულადაც“ თარგმნიან. იხ. 4.18; „ფიქრებადამებული“ – ნიატ: მთოოკვა, შეკავება; „ნეტარება“ – ნირვანა პარამა: უმაღლესი ნირვანა (ნეტარება, უზენაესთან შერწყმა, სამსარიგან (სიკვდილ-სიცოცხლის წრებრუნვისგან) განთავისუფლება). სმირნოვი ასე თარგმნის: „უმაღლესი ნირვანას სიმშვიდეს აღწევს“.
- 6.18. „ითქმის რომ ნახა კაცმა უფალი“ – იუკტა: [დმერთთან] შეერთებული.
- 6.19. „თავის სულშივე დანთქმულის“ – იუჯ: კონცენტრირება. თარმნიან აგრეთვე, როგორც „თავის თავში იოგათი დაკავებულ იოგს“ ან „დმერთზე მომედტირე იოგს“.
- 6.20. „ფიქრი“ – ჩიტა: ჭკუა, გონება, ცნობიერება, გრძობა, შვეგრძნება, ნება, სურვილი, გული. სმირნოვი შენიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამ სიტყვას „ფიქრად“ თარგმნიან, მას ბევრად უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს; „იოგას წროთობას მონებებული“ – სანსკრ.: „იოგური წროთობით დამორჩილებული“; „ჩადგება“ – დამშვიდდება; „თვით სული იცნობს სულს უზენაესს, მისითვე სავსე, მოსვენებული...“ – იმის გამო, რომ ატმანი, ტრანსცენდენტული ინდივიდუალური „მე,“ ანუ სული „საკუთარ თავსაც“ ნიშნავს, ამ სტროფს ორნაირად იგებენ: 1. „ატმანის მეშვეობით ატმანის მჭვრეტი, ადამიანი ნეტარებს ატმანში“ და 2. „სადაც ატმანის საკუთარ თავში შემყურე, [ადამიანი] შეჰხარის ატმანს“ (სმირნოვი). „...when, seeing the Self by the self, he is satisfied in his own Self“ (ჩინმაიანანდა).
- 6.21. „გონით საწვდომი“ – ეს ერთადერთი სტროფია „გიტამი“, სადაც ნათქვამია, რომ შესაძლებელია ჭეშმარიტების გონებით მიწვდომა (გრამაჰ – ჩაბლუჯვა), მაგრამ აქაც მხოლოდ გონებაჭვრეტი იგონით ჭეშმარიტების უშუალო შეცნობის ზღვრამდე მისვლა უნდა იგულისხმებოდეს და არა გონების, რომელიც „გიტამი“ და მთელს ჰინდურ ლიტერატურაში მატერიის ნაწილად ითვლება, მიერ დმერთის ხილვა; სანსკრ.: „...მასში დამკვიდრებული იოგი აღარასოდეს მოშორდება ჭეშმარიტებას (სინამდვილეს)“.
- 6.23. „ხუნდთა წყვეტა“ – „ტკივილთან (იხ. დუჰჰჰა, 3.19.) კავშირის გაწყვეტა“;

„უსურვილო“ – ნირვინა: [ყველაფრის] მოყირჭება, ყელში ამოსვლა, ხელის კვრა, თავიდან მოშორება, იგნორირება; სანსკრ.: „...ამ იოგაში ვარჯიში საჭიროა მტკიცედ, ყველაფერს მოწყვეტილი ფიქრით“ (ჩეტას, იხ. 7.30.); „კაცი“ – აქ საუბარია იოგზე.

6.24. გულისთქმა – იხ. სამკალაბა, 6.2; „მოსრას“ – სანსკრ.: „ყოველი მხრიდან შეაკავოს (შეზღუდოს)“; „ჭკუით“ – იხ. მანასი, 2.60.

6.25. „სულში დანთქმული“ – „საკუთარ თავში დანთქმულიც“ ესმით. იხ. ატმანი, 2.55. სმირნოვი „ასე მუდამ ატმანთან ზიარებულს“ თარგმნის; „მთელი არსებით...“ – იხ. მანასი, 2.60; „არ გაიკაროს სხვა ფიქრი ახლოს“ – უმეტესად ასე თარგმნიან: „არაფერზე იფიქროს,“ რაც მთლიანად ცვლის ფრაზის შინაარსს.

6.26. „საითაც...“ – ასეც თარგმნიან: „როგორც არ უნდა გაექცეს...“ და ასეც: „რა მიზეზითაც არ უნდა გაექცეს...“; „დაუდოს ზღვარი“ – სანსკრ.: „სულის ნებას დაუმორჩილოს“.

6.27. სანსკრ.: „რადგან ასეთ იოგს, გულდამშვიდებულს, რაჯასის დამცხრობს, ბრაჰმასთან შერწყმულს (ბრაჰმად ქცეულს, სმირნოვი „ბრაჰმას დამსგავსებულს“ თარგმნის) და უცოდველს, უმაღლესი ნეტარება ი პერობს“; გული – მანასი, 2.60.

6.28. იუჯნან აქ „სულში (ან თავში) დანთქმულადაც“ ესმით და „იოგას პრაქტიკით დაკავებულადაც“. „ღმერთთან შეყრით“ – სამპარშა: შეხება.

6.29. სანსკრ.: „ვინც ყოველ სულდგმულს ატმანში მყოფს, ატმანს კი ყოველ სულდგმულში მყოფს ხედავს...“; „წრთობით“ – იოგას წრთობით; „ყოველივეში ჰპოვებს მსგავსებას“ – სანსკრ.: „ყველგან (ყველაფერში) ერთსა და იგივეს ხედავს“. ასეც თარგმნიან: „ყველა არსებაში თავის თავს ხედავს“. ტელანგი განმარტავს: „ანუ ყოველ სულდგმულთან ერთობას ახორციელებს“. აზრი ასეც იგივე რჩება.

6.31. სანსკრ.: „ვინც ერთობაში (ეკატვა) დამკვიდრდა და მე ვუყვარვარ – ყველა სულიერში მცხოვრები, ჩემშია, სადაც არ უნდა იყოს.“ ასეც ესმით: „ყოფიერების რა მოდუსშიც არ უნდა იყოს,“ ან „როგორც არ უნდა იარსებოს,“ ან „რასაც არ უნდა აკეთებდეს“; „ვუყვარვარ“ – იხ. ბჰაჯ, 4.11.

6.32. სანსკრ.: „ვინც ერთნაირად უცქერს ბედნიერებასა და უბედურებას... რადგან ატმანის მსგავსება (იგივეობა) სცნო...“; „ქებული“ – პარამ: საუკეთესო;

6.33. მადჰუსუდანა – „მადჰუს მკვლელი,“ კრიშნას ეპითეტია.

6.34. „დაუდრგომელის და ბობოქარის...“ – ჩანჩალა: არამყარი, მერყევი; პრამათჰინ: მშფოთვარე, მოუსვენარი; დრძა: მტკიცე, მოუდრეკელი; ბალავანტ: ძლიერი.

6.35. „უნდოლობა“ – ვაირაგია: გულგრილობა, გაუფერულება, გაფერმკრთალება, რუს.: равнодушие к миру, пресыщение жизнью.

6.36. აქ „თავის კონტროლსაც“ იგებენ, თუმცა არჯუნას შეკითხვიდან გამომდინარე უფრო „ჭკუა“ უფრო ჭკუასთან ახლოსაა. „სწორი გზებით...“ – აქ „ჯეროვან საშუალებებსაც“ თარგმნიან. შაკია „განხორციელებადსაც“ ნიშნავს. „უცდია“ – იატ: მისწრაფება, მონღომება, ძალისხმევა, მცდელობა.

6.37. „ვერ განდგა“ – აიუკტა. იხ. იუკტა, 4.18; „სრულქმნილება“ – სანსკრ.: იოგას სრულყოფილება.

6.38. „ამცდარი ორივე ბილიკს“ – ტომსონი განმარტავს, რომ აქ კითხვა შემდეგში მდგომარეობს: ვინც წერილების მიერ დაწესებული მსხვერპლის აღვლენა მიატოვავ, რათა იოგას გზას შედგომოდა, მათ წილ აღთქმულ ინდრას ზეცის წარმავალ ბედ-

ნიერებას ვეღარ ჰპოვებს, მაგრამ თუ იოგაშიც ვერ გამოიჩინა სიმტკიცე, მათ სანაცვლოდ მისაღებ ჯილდოსაც ვეღარ მიიღებს?

6.40. აქ კრიშნა არჯუნას ასე მიმართავს: „ჩემო შვილო“. შანკარა განმარტავს, რომ სანსკრიტზე „ტატა“ მამას ნიშნავს, რადგან მამა თავის თავს შვილში „ავრცელებს“ („ტან“ – გადაჭიმვა, გავრცელება), რაც იმის მინიშნებაა, რომ შვილი თვითონ მამა, რის გამოც მასაც „ტატა“ ეწოდება. მოწაფეს „ტატას“ უწოდებენ, რადგან მოძღვრისათვის ის შვილივითაა.

6.41. სანსკრ.: „ვინც იოგას გზიდან გადავარდა, მაღლისმქმნელთა ზეცას იმკვიდრებს უთვალავი წლით, შემდეგ კი კვლავ მიწაზე ბრუნდება ბელსვიან, სიწმინდის მქონე ხალხის სახლში...“

6.43. სანსკრ.: „იქ ის წინა სხეულის გონებასთან ერთიანობას (ბუდჰი-სამიოგა) იძენს („ლაბჰ“ გახსენებასაც ნიშნავს) და ისევ (ან – კიდევ უფრო მეტად) მიიწევს სრულქმნილებისკენ“; კურუნანდანა: „კაურავთა სიხარული“, არჯუნა.

6.44. „წერილთა სიტყვა“ – შაბდაბრაჰმას (შაბდა – ბგერა, სიტყვა, გამონათქვამი) სმირნოცი „ბრაჰმას სიტყვად“ თარგმნის, შანკარას აზრით კი აქ „ვედების სიტყვები“ ანუ დაპირება, ვედური რიტუალების სანაცვლოდ დაპირებული კეთილი ნაყოფი იგულისხმება. სვამი ჩინმაიანანდა ასეთ განმარტებას იძლევა: „უჰანიშადების“ ტრადიციამი „შაბდაბრაჰმანი“ წმინდა „მანტრას“, „აოუმს“ ეწოდება. ამიტომ კრიშნა, რომელსაც აქ მოქმედებისა და თაყვანისცემის გზასთან შედარებით მედიტაციის გზის უპირატესობის ჩვენება სურს, ამბობს: „მედიტაციის გზის მხოლოდ მსურველიც კი „შაბდაბრაჰმანის“, ანუ „აოუმ“-ის თაყვანისმცემლის მიერ მოწვეულ წარმავალ ნაყოფზე შორს მიდის.“

6.45. „მრავალჯერ მოსვლით“ – სანსკრ.: „არაერთი დაბადებით“.

6.46. „მოქმედი“ – ამ სიტყვას აქ, როგორც წესი, „რიტუალურ ქმედებათა აღმსრულებლად“ იგებენ; „ტანჯვის მთმენი“ – სანსკრ.: ასკეტი; „ამ გზით მავალი“ – იოგი.

6.47. „ვეუყარვარ“ – იხ. ბჰაჯ. 4.11.

თავი მეშვიდე – „ჯნანა-ვიჯნანა-იოგა“

ცოდნისა და გასხივოსნების იოგა

ჯნანა: ცოდნა; ვიჯნანა: ცოდნის განხორციელება, იხ. 3.41.

7.1. „ჩემი კალთის ქვეშ ბინის მნახველი“ – სანსკრ.: „მოლიანად ჩემს [კალთას] შეფარებული“.

7.2. „ცოდნა და გასხივოსნება“ – ჯნანა და ვიჯნანა – იხ. 3.41.

7.4. „მეობა“ – იხ. აჰამკარა, 2.70; ბუნება – იხ. პრაკრიტი, 3.5; „ეთერ“ – აკაშა: სინათლე, თავისუფალი (საკაერო) სივრცე ანუ მატერიის მეხუთე ელემენტი – ბგერის გამტარი (ა+კაშა – ხედვადობა). თარგმნიან, როგორც „ეთერს“, თუმცა

ბერძენთა ეთერისგან განსხვავებით ძველ ინდურ ფილოსოფიაში აკაშა მარადიული კი არ არის, არამედ მატერიის სუთ „უხეშ ელემენტო“ რიცხვს მიეკუთვნება. მათზე მაღლა დგას ნატიფი ფსიქიკური ელემენტები. ყველაფერი ეს, აპაჰკარას ჩათვლით, პრაკრიტის, ანუ წარმავალი სამყაროს ნაწილია.

7.5. „არსი“ – ბუნება; „სხვა“ – „ამისგან განსხვავებული“; „სული ცხოველი“ – პარამ ვივებჰუტამ: ცოცხალი სული, უმაღლესი ცოცხალი არსი, სიცოცხლის უმაღლესი ელემენტი; „მთელი ციშქეშეთი“ – სმირნოვი შენიშნავს, რომ აქ გამოყენებულია სიტყვა „ჯაგატ“, რომელიც ზმნა „გამ“-იდან (სვლა) მომდინარეობს და აღნიშნავს სამყაროს, როგორც პროცესს, მდინარებას (მდრ. ბერძნული „რეა“).

7.8. „წმინდა სიტყვა ვარ“ – სანსკრ.: „ვედებში“ „აოუმ“ ვარ. „აოუმ“ (დასტური, კურთხევა, თანხმობა): წმინდა სიტყვა. ჰინდუთათვის ის იმდენად წმინდაა, რომ წარმოთქმისას არ უნდა ესმოდეს. წარმოთქვამენ ლოცვისა და რელიგიური ცერემონიების დაწყებამდე. მისით იწყებენ წიგნებს. შეგება სამი ასო-ბგერისგან (ა, უ, მ). თითოეული თითო „ვედას“ სიმბოლოა. „უჰანიშადებში,“ სადაც „აოუმ“ პირველად ჩნდება, ნათქვამია, რომ ის მისტიური ძალის მატარებელია და ყველაზე ღრმა მედიტაციის მიძღვანას იმსახურებს. მოგვიანებით ამ სიტყვით ჰინდუთა ტრიადაც (ბრაჰმა, ვიშნუ, შივა) აღინიშნებოდა; „კაცში კი გულის სიმთ ხმოვანება“ – სანსკრ.: „ადამიანში ადამიანურთა ვარ“ („სიმამაცესაც“ თარგმნიან). „მე ვარ ინდივუდში ის, რაც მას ადამიანად აქცევს“ (შანკარა).

7.9. „მადლიანი“ – პუნია: წმინდა, სათნო, სასიკეთო, ბედნიერი, მოწყალე; „განდევილთა თობის სურვილი“ – სანსკრ.: „ასკეთთა ასკეზა ვარ“.

7.10. „მარცვალი“ – ბიჯა: თესლი.

7.11. „ძლიერთა ძალა“ – ტომსონი შენიშნავს, რომ აქ საუბარია „ვიბჰუტიზე“, ანუ სულიერ ძოღვაწეთა იმ ძალებზე, რომელთაც ისინი სურვილებზე უარის თქმით იღებენ. პატანჯალის „იოგა-სუტრაში“ რამოდენიმე ასეთი ძალაა ჩამოთვლილი; „ბუნებრივ წესთან მორიგებული“ – სანსკრ.: „რომელიც დჰარმას არ უპირისპირდება“ (იხ. დჰარმა, 1.40); „სურვილი“ – კამას აქ „ხორციელ ვნებადაც“ იგებენ. შანკარას განმარტებით, „კამა არის წადილი, ვნება, მისწრაფება, რომელიც უშუალოდ გრძნობებს არ უკავშირდება, რაგა კი ვნება, ანუ საგნებზე გრძნობებზე მიჯაჭვულობა.

7.12. ამ სტროფს ორნაირად თარგმნიან: 1. „როგორიც არ უნდა იყოს მდგომარეობა, სატიკური, რაჯასული თუ ტამასული, იცოდე, რომ ჩემგან [წარმოიქმნება], რამეთუ მე კი არ ვარ მათში, არამედ ისინი არიან ჩემში.“ 2. „როგორი ბუნებისაც არ უნდა იყოს არსება (ან საგანი) – სატიკური, რაჯასული თუ ტამასური...“ იხ. გუნა, 2.45.

7.13. ბჰავა – ყოფა, ყოფიერება, არსებობა, სულის მდგომარეობა, არსება.

7.14. „ზმანება“ – აქ და ყველგან: მათა, იხ. 4.6;

7.15. „არ მეძებენ“ – პრაჰად: შესვლა, მონახულება, მფარველობის ძებნა, მიახლოება, მიღწევა, დათანხმება. ასეც ესმით: „არ მომმართავენ,“ ან „არ მენდობიან“.

7.16. „ტანჯული“ – არტა: უბედური, ნატანჯვი, დევნილი, მწუხარე, მგლოვიარე. სმირნოვის განმარტებით აქ უბედურებაში ჩავარდნილნი იგულისხმებიან; „მოწყალეების მსურველი“ – ართჰარპათას „სარგებლის, სიმდიდრის მოსურნედაც“ იგებენ, რაც სმირნოვს არადამაჯერებლად მიაჩნია, რადგან აქ სულიერების მაძიებელნი ჩამოთვლილი. ართჰა ჯერ მიზანს ნიშნავს და მხოლოდ შემდეგ სიმდიდრეს, სარგებელს, ამასთან აზრის, საშუალების და ცოდნის მნიშვნელობებიც აქვს. სმირნოვი „ფლობის

- მოსურნედ“ თარგმნის. ედგერტონს „საკუთარი მიზნების მაძიებელი“ ესმის, რამანუჯას კი „მბრძანებლობის მსურველი“.
- 7.17. „განუშორები“ – ნიტაიიუკტა. იხ. იუჯ, 4.18.
- 7.18. „ღირსეული“ – უდარა: ამაღლებული, კეთილშობილი, შესანიშნავი...; „ჩემი სადარი“ – სანსკრ.: „ის თვით მე ვარ“; „გონმოკრებილი“ – იუკტატმა (იხ. 4.18.): *преданный ДУХОМ* (სმირნოვი) და ასთპიტა: [ჩემში] დამკვიდრებული.
- 7.19. „ღმერთი“ – ვასუდევა (10.37; 11.50; 18.74.): კრიშნას მამის და თვით კრიშნას სახელია. რიი „არსთა (ვასუ) ბრწყინვალე (დევა) სამყოფელად“ თარგმნის.
- 7.20. სხვა ღმერთები – იხ. დევა, 3.12; „ზღუდავს“ – ბორაკას, მართავს.
- 7.22. იმის გამო, რომ ორიგინალში მხოლოდ ნაცვალსახელია, აქ ზოგს „ღვთაება“ ესმის, ზოგს კი „ხატება“ (ფორმა, ვ.ჰვპ). ფილოლოგიური ანალიზის საფუძველზე შლეგელი და სმირნოვი ასეთ ვარიანტამდე მიდიან: „ვინც რა ხატების მეშვეობით უნდა ეთაყვანებოდეს იშვარას (იხ. 4.6.), ის გააძლიერებს თითოეული მათგანის რწმენას და ნანატრს იმ [მათ მიერ ნათაყვანები] ხატების მეშვეობით აუსრულებს“.
- 7.23. „შემაკობელი“ – მადბაკტა: ჩემი ერთგული. იხ. ბჰაჯ, 4.11.
- 7.24. „საჩინო“ – ვიაკტა: გამოვლენილი, ხილული; ავიაკტა: გამოუვლენელი.
- 7.25. „ზმანვეა მაქვს შემოქარგული“ – სანსკრ.: „იოგამაიათი ვარ შემოსილი (შებურული)“. იოგამაია: ჯადო, მომხიბლველობა, მომავლადოებლობა, „ბუნების ილუზია“ (სმირნოვი, შანკარა). იხ. მაია, 4.6; „კვალდაკარგული“ – გზაბნეული, მოპა, 2.52.
- 7.26. სანსკრ.: „მე ვიცნობ წარსულის, აწმყოს და მომავლის არსებებს...“
- 7.27. სანსკრ.: „სურვილისა და ზიზღის მიერ ნაშობი გაორებით (იხ. დვანდვა, 2.45.) მოტყუებული (იხ. მოპა, 2.52.), დაბრმავებული დადის ყველა დაბადებიდან.“ სმირნოვი ასე იგებს: „...სიბრმავისკენ მიდის ამქვეყნად ყველა სულიერი“.
- 7.28. „ბრძობა და გაორება“ – იხ. დვანდვა, 2.45. და მოპა, 2.52; „ნებამტკიცე“ – „ალტჰმის ერთგულად“ იგებს.
- 7.29. „შველა“ – მოკმა (განთავისუფლება); სანსკრ.: „შეიცნობს ბრაჰმანს, ადჰიატმას (სამყაროს უზენაეს სულს) და მთელს კარმას“. აქ „კარმას“ „საქმეებად“ თარგმნიან და კარმადაც. სმირნოვს „მთელი კარმა“ ესმის. იხ. კარმა, 4.13.
- 7.30. „ვინც მიცნობს ადჰიბჰუტად (უმაღლეს არსებად, არსად), ადჰიდაივად (უზენაეს ღვთაებად, იხ. დევა, 3.12.), ადჰიავჯნად (უზენაეს მსხვერპლად), ცნობამოკრებილი (ჩეტას: ცნობიერება, გული, ჭკუა, აზრი, შეგნება, ნება, ფანტაზია; იუჯ – მოკრება) სიკვდილის ჟამსაც კი მიცნობს.“ „ადჰი“ უმაღლესსაც ნიშნავს და „[რაიმეში] მყოფსაც,“ ამიტომ ასეც ესმით: „მატერიალური არსებობა“ (ადჰიბჰუტა), „ღვთაებრივი არსებობა“ (ადჰიდაივა) და „მსხვერპლში მყოფი“ (ადჰიავჯნა). სმირნოვი შენიშნავს: „ორივე ვარიანტი შესაძლებელია და საბოლოოდ მანც ერთ აზრს გამოხატავს: უზენაესი არსი ყველაფერში სუვევს. ვინც ეს იცის, უმაღლეს არსებობას უერთდება“.



თავი მერვე – „აკმარა-ბრაჰმან-იოგა“

წარუვალი ბრაჰმანის იოგა

8.1. „სული დიადო“ – პურუშოტამა: უმაღლესი პურუშა, ანუ „სუკეთესო ადამიანი“, „უდიდესი პიროვნება“, უზენაესი სული (კრიშნას ეპითეტია), იხ. 15.18; კარმა (საქმე), იხ. 4.13; „ღმერთი“ – ბრაჰმანი, იხ. 2.46; „ღვთაება ზენა“ – იხ. აღჰიდაივა, 7.30; „სული უზენაესი“ – აღჰიატმა, იხ. 7.30; „არსთა არსი“ – აღჰიბჰუტა, იხ. 7.30.

8.2. მაღჰუსუდანა – იხ. 1.35.

8.3. „თვითარსი“ – სვაბჰავა, იხ. 5.14; „სული ზენარი“ – აღჰიატმა: უმაღლესი ატმანი. „ინდივიდუალურ სულად“ ესმით. ზოგჯერ „სვაბჰავას“ ატმანის ნაცვლად ბრაჰმანის ეპითეტად იღებენ და ასე თარგმნიან: „აღჰიატმა ბრაჰმანის ბუნებაა“. შანკარა განმარტავს: „აღჰიატმა არის ბრაჰმანი მოკვდავში, ადამიანის სული, მისი შინაგანი არსი“; „უზენაესი წარუვალი“ – სანსკრ.: „ბრაჰმანი წარუვალი და უზენაესია“; „გამფანტველი“ – ვისარგა: შეწყვეტა, განთავისუფლება, ამოფრქვევა (თესლის), შექმნა, ხსნა. სმირნოვი „შექმნად“ თარგმნის, თუმცა ასე ტავტოლოგია გამოდის.

8.4. „არსთა ბუნება წარმავალია“ – სანსკრ: აღჰიბჰუტამ კშარო ბჰავაჰ – „აღჰიბჰუტა წარმავალი ბუნებისა“ (ან ბუნებაა). აღჰიბჰუტა: უმაღლესი არსება, უმაღლესი არსი. სმირნოვი შენიშნავს, რომ ეს „გიტას“ ერთ-ერთი ყველაზე ბუნდოვანი დღეოლია და ასე თარგმნის: „უმაღლესი ყოფიერება წარმავალ ყოფაშია“. ტომსონს ასე ესმის: „აღჰიბჰუტა [ჩემი] განუყოფელი ბუნებაა“. ასეც თარგმნიან: „აღჰიბჰუტა ისაა, რაც იღუპება“. შანკარა განმარტავს: „აღჰიბჰუტა ის, რითაც ყველა ინდივიდუალური არსება გარშემორტყმული, რაც ყოველი ინდივიდუალური, წარმავალი არსებობით წარმოიქმნება, ანუ ყველაფერი, რაც დაბადებულია“. სვამი ჩინმაიანანანდას განმარტებით „აღჰიბჰუტა სამყაროს წარმავალი, ფენომენალური ნაწილია, გრძნობათა ორგანოების მუშაობის უკან მდგარი საიდუმლო – პრაკრიტი, რომლის მეშვეობითაც უსასრულო სულის მთელი ძალა და დიდება, მისი პოტენციური დინამიზმი ვლინდება. „წარმავალსა“ და „წარუვალს“ შორის იმდენივე სხვაობაა, რამდენიც ორთქლის ძრავასა და ორთქლს, ან რადიოში აუღერებულ სიმღერასა და ელექტრო ღენს შორის“.

„ზენა ღვთაება ზენა სული“ – სანსკრ.: „პურუშა აღჰიდაივატა“ (პურუშა – ადამიანი, მამაკაცი; სული; უზენაესი არსება, სამყაროს სული; ასევე მამაკაცური საწყისის მატარებელი ღვთაება). კუმარასვამი მიუთითებს, რომ „ტრადიციულად „პურუშა“ ასე განიმარტება: „პური სეტიტი პურუშო“ – „ქალაქში იმყოფება, ამიტომაც მოქალაქეა,“ რადგან ის ისევე ავსებს სხეულს, როგორც მოქალაქენი ქალაქს.“ ჩინმაიანანდას განმარტებით, „აღჰიდაივატითი“ აქ გრძნობათა ორგანოების განმგებელი ღვთაებები, ანუ ის პერსონიფიცირებული ძალები იგულისხმება, ინტელექტის მუშაობას, ხედვის, სმენის, ყნოსვის და ა.შ. უნარს რომ უზრუნველყოფენ, აღჰიდაიჯნა კი „აღჰიბჰუტის, შეგრძნებისა და ფიქრის აქტის“ მეტაფორაა და „გრძნობათა ობიექტების, როგორც მსხვერპლის, გრძნობათა ორგანოებისთვის შეწირვას“ ნიშნავს. აღჰიდაიჯნა კი იმითომ არის თვით ღმერთი, რომ ყოველგვარ მოქმედების უზრუნველყოფი ენერგია „ერთი მაცოცხლებელი ძალიდან“ იღებს სათავეს; დეჰაბჰარტა ვარა – „სუკეთესო ძეხორციელთა შორის“, არჯუნა.

8.5. „სიცოცხლე“ – იხ. ბჰავა, 7.13.

8.6. „არსი“ – იხ. ბჰავა, 7.13. აქ „საგნად“, „ბუნებად“ და „არსებობადაც“ თარგმნიან. „ახსოვს“ – სმარ: სსოვნა, ფიქრი. სვამი ჩინმაიანანდა განმარტავს: „გამუღმებით მასში მყოფი (მასზე ფიქრით დაკავებული)“ აქ წინა სტროფის აუცილებელი განმარტებაა, რადგან არჯუნასათვის, თავისი ეპოქის განათლებული შვილისთვის მიუღებელი უნდა ყოფილიყო ის აზრი, რომ „ვინც რაზე იფიქრებს სიკვდილის მომენტში, იქ წავა“. „რასაც ფიქრობ, ის ხდება“ – ეს ნებისმიერი ჭკვიანი კაცისთვის ყოველგვარი ფილოსოფიური ახსნის გარეშეც აშკარაა. ფიქრი წარმართავს ქმედებას, ფიქრთა ნაკადი კი იმ არხებში მიედინება, ადამიანს წარსულში შეგნებულად ნაფიქრით ან ჩადენილით რომ გაუკვალავს. ამიტომ ბუნებრივია, რომ ადამიანის მცდლობა, საკუთარ ხორცთან თავის გაიგივებისგან განთავისუფლდეს და ყურადღება „რეალურისკენ“, მარადიულისკენ მიმართოს, მასში სულიერ სწრაფვათა ახალ არხებს ხსნის. გარდაცვალების მომენტი კი ახალი მოგზაურობის დასაგეგმად ყველაზე ცუდი დროა. ასეთ დროს ფიქრები უკვე გაჭრილ არხებში თავიანთ ჩვეულ დინებას გაჰყვებიან ინსტიტუტურად და ეს წამი მომავალი მოგზაურობის მიმართულებას გადაწყვეტს.“

8.8. „გონება“ – ჩეტას, იხ. 7.30. სმირნოვი „ცნობიერებად“ (СОЗНАНИЕ) თარგმნის და განმარტავს, რომ გონების (ინგლ.: mind) ევროპული გაგება უფრო „ბუღპის“ ან „მანასს“ შეესაბამება, ვიდრე „ჩეტასს“. მისი აზრით, ამ შემთხვევაში „ფსიქიკურ ორგანოებზე“ ნებისყოფით ზემოქმედებაზე, ანუ ტექნიკურ მომენტზეა საუბარი. „მიწვივ“ – აბჰიას: განმეორება; „წრთობა“ – იოგა, იხ. თავი მეორე; „არაფერი იტაცებს“ – სანსკრ.: ფიქრი სხვაგან არ გაუბნის.

8.9. სანსკრ.: „ბრძენი, უძველესი, მბრძანებელი, ატომზეც მცირე, ყოვლის მასულდემულელები, შეუცნობელი სახების (ფორმის) მქონე, მზესავით ბრწყინვალე, სიბნელის (უმეცრების) მიღმა მყოფი.“ „ყოვლის გამგე“ – ანუშაშითარა: (მასწავლებელი, ხელმძღვანელი, აღმზრდელი) [სამყაროს] მბრძანებელი, მმართველი; „ყოვლის გამგე“ – კავი: ყოვლისმცოდნე, ბრძენი. იხ. 2.69.

8.10. „სიცოცხლის ძალთა“ – პრანა, იხ. 4.27. ჯერ კიდევ ადრეულ „უპანიშადებში“ გვხვდება სწავლება „ნადის“ და საკვანძო წერტილების, „ლოტოსების“, ანუ „ჩაკრების“ შესახებ. ეს ფსიქოფიზიოლოგიური მოძღვრება შემდეგ „ტანტრებმა“ განავითარა. შანკარა ამ შლოკის კომენტარში წერს, რომ „ჩიტა“ მიემართება ჯერ „გულის ლოტოსში“, შემდეგ კი აღმავალი არხის („ნადის“) გავლით – სუშუმნაში. ამგვარად, მიწისა და სხვა ელემენტების (ტანმატრების) მუდმივი კონტროლით პრანა წარბთა შუა ადგილისკენ მიემართება. ასე აღწევს იოგი უზუნაეს სულს, ასკენის შანკარა. „ტანტრებში“ ამ ადგილს „ნებისყოფის ჩაკრა“ ეწოდება. სმირნოვი მიუთითებს, რომ „ჩაკრების“ განლაგება ცენტრალური ნერვული სისტემის საკვანძო წერტილების განლაგებას ემთხვევა. მაგალითად „ათასფურცლოვანი ჩაკრა“ ემთხვევა დიდ ნახევარსფეროებს თავისი „ფურცლებით“ – ფუნქციებით, იდა და პინგალა აღმავალ და დაღმავალ გზებს, სუშუმნა კი – ზურგის ტვინის ცენტრალურ ნაწილს; „სული ზენა“ – იხ. პურუშა, 8.4.

8.11. „მცოდნე“ – სანსკრ.: „ეუბნების“ მცოდნე; „წმინდა სახელი“ – აკშარა, ანუ „აოუ“, იხ. 7.8. აკშარას უბრალოდ „წარუვალის“ მნიშვნელობაც აქვს; „განდეგილი“ – იატ: ასკეტი, განდეგილი (იატ: სწრაფვა, ძალისხმევა, ძალების ერთი

მიზნისკენ მიმართვა); „წადილი“ – აქ მიჯაჭვულობადაც იგებენ; „ყოფნა წმინდა, შეუღასხველი...“ – ბრაჰმჩარია: უბიწოების აღთქმა.

8.12.-13. „იოუმ“ იხ. 7.8; „ბჭენი“ – სხეულის კარები; „ფიქრებს გული დაუღო ზღვარად“ – სანსკრ.: „მანასი (იხ. 2.60) გულში (პრიდ) მოაქცია (მოკრიბა)“. მანასი, როგორც გრძნობათა თავმოყრის ადგილი, ზშირად ითარგმნება, როგორც „გული“, თუმცა ამ სიტყვის წმინდა ანატომიურ მნიშვნელობას გამოხატავს სიტყვა „პრიდ“, რომელიც ამ შლოკაში გვხვდება; „გულისყურს უხმობს“ – სანსკრ.: ასთპიტო იოგადჰარანამ: „განმტკიცებული იოგურ კონცენტრირებაში“. სმირნოვი თარგმნის: „იოგაში სიმტკიცეს მიღწეული“. დჰარანა: ტარება, შენახვა (ხსოვნაში). იოგურ ვარჯიშებში: სუნთქვის შეკავებით ცნობიერების ერთი კონკრეტული საგნისკენ მიმართვა. „უბანიშადებში“ ნათქვამია: „ეს არის იოგა, გრძნობების მტკიცე შეკავება (დჰარანა)“. პატანჯალის სისტემაში დჰარანა იოგას მეექვსე საფეხურს ეწოდება. მისი განმარტებით, ამ დროს „თრგუნავენ მეტყველებას, მანასს, პრანას და ამგვარად ჭვრეტენ ბრაჰმანს“.

8.14. ანანიანეტას – ერთისკენ მიმართული, სხვა საგნით დაუკავებელი ფიქრი.

8.16. სანსკრ.: „სამყაროები, ბრაჰმის სამყაროს ჩათვლით, დაბრუნებას ექვემდებარებიან...“ აქ დევისი „დაბრუნების“ ნაცვლად „ბრუნებას“ თარგმნის და განმარტავს, რომ სამყაროები არსებობას და არარსებობაში „ბრუნავენ“, ანუ ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადადიან დაუსრულებლად. მისი და შანკარას განმარტებით, აქ სულზე კი არ არის საუბარი, არამედ სამყაროებზე, თუმცა ამით აზრი დიდად არ იცვლება, რადგან სადაც სამყაროა, მისი ბინადარიც იქ უნდა იყოს.

8.17. სმირნოვი შენიშნავს, რომ აქ კრიშნა მიუთითებს, რომ იუგებიც (იხ. 4.7.) – ეს „ასტრონომიული“ პერიოდებიც კი სასრულია; ბრაჰმა, იხ. 2.46.

8.18. „უხილავი“ – ავიაკტა: „გამოუვლენელი“; „გადამალავს“ – პარალაია: გაქრობა.

8.19. „არსი ნრავალი“ – სანსკრ.: „არსთა მიეღი სიმრავლე“.

8.20: სანსკრ.: „...მაგრამ ამ გამოუვლენელს მიღმა კიდევ ერთი გამოუვლენელი, მზადიული არსებობაა – რომელიც არ ილუპება, როცა ყველა სულიერი ილუპება.“ სმირნოვის განმარტებით აქ საუბარია გამოვლენილ და გამოუვლენელ მდგომარეობაში მყოფ პრაკრიტიზე და გამოუვლენელ სულზე, რომელიც ყოველგვარი გამოვლინების საფუძველია.

8.22. „სული“ – პურუშამ პარამ: უმაღლესი პურუშა, იხ. 8.4.

8.24. ამ შლოკაში იოგზეა საუბარი; „სრულ მთვარეს“ – შუკლა: თვის ნათელი ნახევარი; „მზის მიქცევა“ – მზის ჩრდილოეთისკენ მოძრაობის ექვსთვიანი პერიოდი. მიუხედავად იმისა, რომ სწავლება „დმერთების გზის“ და „წინაპართა გზის“ შესახებ აღრეული „უბანიშადებიდან“ გვხვდება, 23-27-ე შლოკებმა ბევრ მკვლევარს გაუჩინა თავსატეხი. მიხალსკი-ივენსკი მათ ინტერპოლაციადაც კი თვლიდა.

8.25. „მზის შემოქცევა“ – დაკშინაიანა: მზის სამხრეთისკენ მოძრაობის ექვსთვიანი პერიოდი; „მიმქრალი მთვარე“ – კრშნა: თვის ბნელი ნახევარი.

8.28. „სწავლა“ – სანსკრ.: „ვედების“ შესწავლა; „ხესთა ზეცა“ – უზენაესი სამყოფელი.



თავი მეცხრე – „რაჯა-ვიდია-რაჯა-გუჰია-იოგა“

მეფური ცოდნისა და მეფური საიდუმლოს იოგა

- 9.1. „უწყინარს“ – სანსკრ.: „ვინც შარს არ სდებს“; „ცოდნითა და გამოცდილებით“ – ჯნანა-ვიჯნანა, იხ. 3.41; „...ყოფას ჟამს, გაუცინარს“ – აშუპკა: ულამაზო, საშინელი, ცუდი, არასასაიამოვნო. ОТ НЕБ. ЛАГОГО ОСВОДИЛИШЬСЯ (სმირნოვი).
- 9.2. „გვირგვინი ცოდნის...“ – სანსკრ.: „ეს მეფური ცოდნა და მეფური საიდუმლო სულის უდიდესი განმწმენდელია...“; „სჯულისმძიერი“ – იხ. დჰარმა, 1.40; „გასაგები“ – პრატიკაჰ: აშკარა, ცხადი, ნათელი, ადვილად აღსაქმელი. ასევე ესმით, როგორც „ის, რაც ინტუიციით შეიცნობა“.
- 9.3. „სჯული“ – იხ. დჰარმა, 1.40.
- 9.4. „სხეული“ – მურტი: [მყარი] სხეული, ფორმა, მატერიალური სახე, ზატება.
- 9.5. „შეძლება“ – სანსკრ.: ღვთაებრივი იოგა. იხ. იოგა, თავი მეორე.
- 9.6. „ვერ გადასცდება ცისციდურს...“ – სანსკრ.: „მუდამ სივრცეში რჩება“. იხ. აკაშა, 7.4.
- 9.7. „დღე“ – კალპა. იხ. იუგა, 4.7; „არსს“ – იხ. პრაკრიტი, 3.5.
- 9.8. სანსკრ.: „ვეფლობ რა ჩემს ბუნებას (პრაკრიტი), მე წარმოვქმნი კვლავ და კვლავ არსებათა მთელ სიმრავლეს მათი ნების გარეშე, პრაკრიტის ნებით“; „ვითქვი“ – სტაპკ: დაყენება, დადგენა, მომართვა, წარმართვა; ასეც თარგმნიან: „შევიღვარ რა ჩემს ბუნებაში...“ და ასეც: „ვაცოცხლებ რა ჩემს ბუნებას“. სმირნოვი თარგმნის: „ჩემი ბუნების გარეთ მყოფი...“; „აღმოცენება“ – ტომსონი შენიშნავს, რომ შექმნის აღსანიშნავად სანსკრიტში ერთადერთი სიტყვაა – „სარჯ“, რომელიც არაფრისგან შექმნას კი არ გულისხმობს, არამედ გათავისუფლებას, გაშვებას, დინებას, ამოფრქვევას, გადმოღვრას, გავრცელებას, წარმოქმნას.
- 9.9. „თავისუფალს“ – ასაკტა: მიუჯაჭველი.
- 9.10. „მიჭირავს თვალი“ – სანსკრ.: ადჰიაკაჰ: მოწმი, მმართველი, განმგებელი.
- 9.12. „ავსულებს“ – სანსკრ.: „რაკმასებს (ბოროტ დემონებს) და ასურებს (ღმერთების მტერ სულებს)“. „ასურას“ ჩვეულებრივ „დემონად“ თარგმნიან, თუმცა კედურ ლიტერატურაში ცნებები „სურა“ და „ასურა“ ერთმანეთის საპირისპიროს არ აღნიშნავს და ურთიერთს ენაცვლება. „ასურა“ ნიშნავს „ცოცხალს“. „რიგვედამი“ ასე ცალკეული ღვთაებანი და ზოგადად ღმერთები იწოდებიან, ზოგჯერ კი ეს ტერმინი უზენაესი სულის მიმართაც კი გამოიყენება („რიგვედამი“ მისი პერსონიფიკაცია ვარუნა). დროთა განმავლობაში ცნება „ასურა“ სულ უფრო უარყოფით შეფერილობას იღებს, თუმცა შედარებით გვიანდელ ტექსტებშიც კი, მაგალითად ბუდისტურ სუტებში, ეს ცნებები ერთმანეთშია აღრეული („ღმერთებს და ინდრას, წინაპრებს და ასურებს აღმოხდათ – ეს უსამართლობა!“ („სუტა ნი პატა“, ძროხის მსხვერპლად შეწირვის შესახებ)). აღრეული ვედიზმი მოგვიანებით ორ ძირითად შტოდ გაიყო – ბრაჰმანიზმად და მაზდეიზმად. მაზდეიზმმა უკიდურესი დუალიზმის სისტემა ჩამოაყალიბა: აჰურა მაზდა (ასურა) და არიმანი (სურა). ეს ორი საწყისი მხოლოდ ეზოთიერულად სინთეზირდება ზერვან აკერენეში. სმირნოვის ვარაუდით, „ყოფიერების საპირისპირო“, მის გარეთ მყოფი, გარეგანი წყვედიანის იდეა ქრისტიანობამ იუდაიზმისგან ან ბერძნულ-რომაული კონცეფციებისგან

კი არ მიიღო მეძველდროებით, არამედ სწორედ მაზღეიზმისგან, რომლის იდეებიც დასავლეთში მიტრიაიზმთან ერთად გავრცელდა და ადრეულ ქრისტიანობაზე ძლიერი გავლენა მოახდინა. მაზღეიზმის საპირისპიროდ, ბრაჰმანიზმმა მონიზმის იდეა განავითარა. კლასიკური სანქჰაიაც კი, ძველ ინდურ სისტემათა შორის ყველაზე დუალისტური, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ატმანის განცალკევებულობას აღიარებს, გამოკვეთილ მონისტურ საფუძველს ინარჩუნებს. ყველა დანარჩენ ტრადიციულ სისტემაში დუალიზმს ატრიალებული ელფერი დაჰკრავს და არა სუბსტანციონალური. ტრადიციული ჰინდური ფილოსოფია ღრმად მონისტურია. მისი ეთიკა დიალექტიკურია და არა დუალისტური, რისი ნათელი მაგალითიც „ბჰაგავადგიტაა“. აქ სამყაროს ერთიანი საწყისი, ერთი პრაკრიტი უდევს საფუძველად (იხ. 10.8.). ბრაჰმანიზმულმა მითოლოგიამ არ იცის, რა არის უპირობო დუალიზმი. ყველა მისი ხატი ფარდობითია: რამას მიერ მოკლული რაკშასის სხეულიდან ნათელი განდჰარვა ამოფრინდება, რომელიც სიკვდილს, როგორც განთავისუფლებას, ისე ელოდება. პატალას ქვეყანაში მშვენივრად თანაცხოვრობენ ვარუნა, ნაგები და ასურები. ამდენად ტერმინი „ასურა“ დემონის არც ბერძნულ, არც ქრისტიანულ გაგებას არ შეესაბამება.

- 9.13. „ფიქროსუწვეტი“ – სანსკრ.: „სხვა არაფრით დაკავებული ფიქრი“.
- 9.14. „ჩემთან მყოფნი“ – ნიტაიაუკტა: მუდამ შეერთებული [სულთან]. ასეც იგებენ: რუს.: ВСЕГДА СОБРАННЫЙ. სმირნოვი „მუდამ ერთგულს“ თარგმნის; „მაქებენ და მაღიდებენ“ – კარტაიანტო: მაღიდებენ. უპასატე: მეთაფვანებიან.
- 9.15. „მთელი“ – ეკატვა: ერთობა, გამოლიანება. ესმით „ერთიანი“, ასევე „იგივე, რაც თვით არის“; „მრავალსახე“ – ვიშვატომუქჰა: „ყოვლისმომცველი სახის მქონე“, ანუ „სახით ყველაფრისკენ მიმართული“;
- 9.17. სანსკრ.: „...მე ვარ „აოუმ“ (იხ. 7.8.), აგრეთვე სამა, იაჯურ და რიგ ვედა და ის, რაც უნდა შეიცნო (ცოდნი საგანი)“.
- 9.18. „მოძმე“ – სუჰრტ: მეგობარი, მოკავშირე; „სახლი“ – თავმესაფარი; „შემქმნელი, მკვლელი“ – სანსკრ.: საწყისი და სასრული („წარმოქმნა და გაქრობა“ (სმირნოვი)).
- 9.19. სანსკრ.: „მე ვაკავებ და ვგზავნი წვიმას... არსებობა ვარ და არარსებობა“.
- 9.20. სანსკრ.: „ვედათა“ მცოდნე, სომას მსმელი (იხ. 45.), მსხვერპლით ჩემი მოთაფვანე...“
- 9.21. „ღვაწლი“ – პუნია: სიკეთე, კეთილი საქმე, სათნოება. უმეტესად „დამსახურებად“ თარგმნიან; „მოკვდავი სოფელი“ – გატაგატამ: „წასვლა და მოსვლა“ – სიკვდილ-სიცოცხლის წრებრუნვა.
- 9.22. „მუდამ ერთგული“ – აქ იუკტას (იხ. 4.18.) „თავის მფლობელად“ იგებენ; „სხვა ფიქრს...“ – ანანი ჩეტასა: „სხვა არაფერზე მოფიქრალი“, „მხოლოდ ერთი რამით დაკავებული ფიქრით...“ ანუ; „მე დავიფარავ იოვას გზაზე“ – იოვაკშემა: მოპოვებულის შენარჩუნება, ფლობა, კეთილდღეობა. ჩინმაიანანდა ასე თარგმნის: „მე მივცემ იმას, რაც ჯერ არ მოუპოვებია (იოვა) და უკვე მოპოვებულსაც (კშემა) შევანარჩუნებინებ“, სმირნოვის ვარიანტი კი ასეთია: „მე შევიყვან იოვას სიმშვიდეში“.
- 9.24. „...მას კვლავ ამქვეყნად მოსვლა მოეღის“ – სანსკრ.: „...ისინი ეცემიან“ (ანუ მოკვდავ სამყაროში ბრუნდებიან).

- 9.26. სანსკრ.: „სუფთა გულის (ფიქრის) მქონე ერთგულთა მიერ სიყვარულით მორთმეულს...“ იხ. ბჰაჯ, 4.11; „გულმართალთა“ – სანსკრ.: პრაიატატმანა (პრაიატანა: [სულით] წმინდა. ატმანი, იხ. 2.55.). „უცოდველი გონების მქონედ“ თარგმნიან. სმირნოვის ვარიანტია *смиренные духом*.
- 9.27. „მარხულობ“ – იხ. ტაპას, 4.28.
- 9.28. სანსკრ.: „ასე განთავისუფლდები კეთილი და ბოროტი (ან კარგი და ცუდი, ბედნიერი და უბედური) ნაყოფისგან და კარმის ბორკილებიდან და განდგომის იოგაში განმტკიცებული ჭკუის (ატმა, იხ. 2.55.) მქონე, განთავისუფლებული, ჩემთან მოხვალ.“
- 9.29. სანსკრ.: „ერთნაირად ვარსებობ ყველა სულიერში... მაგრამ ვინც ერთგულად მემსახურება, ის ჩემშია და მეც მასში ვარ.“
- 9.30. სანსკრ.: „ყველაზე ცოდვილიც რომ მეთაყვანებოდეს (ბჰაჯ, 4.11.) და მხოლოდ ჩემი ერთგული იყოს, ისიც მართლად (ინგლ.: *righteous*, რუს.: *праведный*) ჩათვლება, რადგან მართლად გადაუწყვეტია“. ჯაიადაიალ ვიანდკა განმარტავს: „...რადგან მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, რომ ღმერთის ერთგული თავიანთსცემა ყველაფერს სჯობს.“
- 9.31. დჰარმატმა: სამართლიანი, მართალი (რუს.: *праведный*, ინგლ.: *righteous*.)
- 9.32. „უხეიროდ ნაშობი“ – პაპაიონი: „ცუდი (ცოდვილი) საშოს შვილი,“ ანუ „ცუდად დაბადებული“. პაპა (ზმნიზ.): ცუდად. „ცოდვაში შობილსაც“ თარგმნიან, თუმცა სმირნოვი შენიშნავს, რომ ამას სრულიად ზედმეტი ქრისტიანული დატვირთვა შემოაქვს; „ვაჭარი, მოსამსახურე“ – ვაიშია, შუდრა, იხ. ვარნა, 4.11; „ზესთ სამყოფელი“ – პარამამ გატმი. „გატი“ ადგილსაც ნიშნავს, მიზანსაც და გზასაც, ამიტომ აქ ასეც ესმით: „უმაღლესი გზით მიდის,“ და ასეც: „უმაღლეს მიზანს აღწევს“. „გატის“ ერთ-ერთი მნიშვნელობაა აგრეთვე (სულიერი) მდგომარეობა.
- 9.33. „მით უფრო მისწვდეს...“ – „გიტა“ აღიარებს, რომ კასტობრივი დაყოფა ადამიანის „შინაგანი ბუნების“ მიხედვით ხდება, ხოლო რახან „საკუთარი ბუნების შესაბამისად შრომა“ შრომის ერთადერთი სწორი ფორმაა, ასეთ დაყოფას კანონზომიერად მიიჩნევს, თუმცა მისთვის სრულიად უცხოა ადამიანთა ერთი ჯგუფის მერორზე გაბატონება ან თუნდაც საკუთარი თავის უფრო მაღლა დაყენება (რაც ორთოდოქსული ბრაჰმანიზმისთვისაა დამახასიათებელი). მეტიც, შრი კრიშნა ყველა ადამიანში (და არა მხოლოდ ადამიანში, არამედ ყოველ სულიერში) უზენაეს სულს ხედავს და ინდივიდის შინაგან თავისუფლებას ყოველგვარ, მათ შორის სოციალურ იერარქიაზე მაღლა აყენებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იქ სადაც მხოლოდ კანონი იყო, მას ჭეშმარიტება მოაქვს და ისევე, როგორც ქრისტი, კი არ აუქმებს, არამედ „ამოწმებს,“ ანუ ახალი შინაარსით ავსებს ძველს; „ღვთისმსახური“ – სანსკრ.: წმინდა ბრაჰმანი. იხ. ვარნა, 4.13; რაჯარიში – მეფური წარმოშობის რიში (ბრძენი, წმინდანი); „შემომიდექ“ – ბჰაჯ, იხ. 4.11.
- 9.34. „...და მოხვალ ჩემთან ასე ატმანით (2.55.) ჩემთან გაერთიანებული (იუჯ, 4.18.), ჩემი მიხნად მსახავი“. სმირნოვს „ჩემზე მონღობილი და მიხნად მსახავი“ ესმის.



თავი მეათე – „ვიბჰუტი იოგა“

ძალთგამოვლინების იოგა

ვიბჰუტი – იხ. 10.16.

10.1. სანსკრ.: „ისმინე ჩემი უმაღლესი სიტყვა... ძვირფასი (საყვარელი) ხარ ჩემთვის, შენტვის სიკეთე მინდა და ამიტომ გეუბნები.“

10.3. სანსკრ.: „...ვინც იცის, რომ ვარ ყველა სამყაროს უზენაესი მეუფე... ყველა ცოდვისგან თავისუფლდება.“

10.4. სანსკრ.: „გონება, სიბრძნე, რუს.: НЕЗАПЛУЖЕНИЕ (ასამოპა), მოთმინება (პატიება, თვინიერება), სიმართლე (რუს.: ПРАВДИВОСТЬ), თავის მოთოკვა, სიმშვიდე, ბედნიერება (სიხარული) და უბედურება (ტანჯვა), არსებობა (გაჩენა) და არარსებობა (სიკვდილი), შიში და უშიშრობა“.

10.5. „ზომიერება“ – სამატა: აღუშვოთველობა, გულგრილობა (ამჟვეყნიურ სიამეთა მიმართ გულგრილობის მნიშვნელობით და არა გულცივობის უარყოფითი გაგებით), აქ: გაწონასწორებულობა. რუს.: УРАВНОВЕШЕННОСТЬ, ინგლ.: equanimity; „ლხენა“ – ტუშტი: კმაყოფილება, მოსვენება; „ხორცთა ხშობა“ – ტაპას: ასკეტიზმი; „ღირსეუბას და უღირსობას“ აქ „კეთილშობილებად და სიმდაბლედ,“ ასევე „დიდებდ და თავსლაფდასმად“ თარგმნიან; „...არსებათა ყველა თვისება ([ყოფიერების] მდგომარეობა, იხ. ბჰავა, 7.13.) ჩემგან წარმოიქმნება“.

10.6. სანსკრ.: „შვიდი უდიდესი რიში (მაჰარიში), ძველი, აგრეთვე ოთხი, მანუ, ჩემი ბუნებისგან (ან არსისგან – ბჰავა) და მანასისგან (იხ. 2.60) იშვინენ; მათგან არიან ამ სამყაროს ქმნილებანი“. სმირნოვი თარგმნის: „მათი სამყარო ეს არსებანია“ და განმარტავს, რომ ამით ის იგულისხმება, რომ ამ სამყაროს მფლობელი მანუა (იხ. 4.1.); რიში – განსაკუთრებულ არსებათა (ღმერთები, ადამიანები, ასურები, პრაჯაპატები, რიშები) ერთ-ერთი კლასის წარმომადგენელი. რიშები ბრაჰმას მიერ გაჩენილი ის მომდერალი ბრძენები არიან, რომელთათვისაც „ვედები“ გაცხადდა.

10.7. „სიდიადე“ – ვიბჰუტი: სიდიადე, სიძლიერე, გამოვლინება. ვიბჰუტით სხვადასხვა საგანსა და სულიერში უზენაესი არსების გამოვლინება აღინიშნება. პატანჯალის სკოლაში ამ სიტყვამ ფსიქიკურ და ფსიქოფიზიკურ ძალთა აღმნიშვნელი ტექნიკური ტერმინის მნიშვნელობა შეიძინა. იოგურ სკოლებში ასეთი ძალები უმეტესად შივას (ასევე ვიშნუს) მიეწერება, თუმცა მათი (მაგალითად ყოველი არსების ენის გაგების უნარის) შექმნა იოგსაც შეუძლია. პატანჯალის „იოგა-სუტრაში“ 19 ასეთი ვიბჰუტია ნახსენები. მათი გამომუშავება იოგისთვის აუცილებელია. აქ „გამოვლინებად“ თარგმნიან; „ძალი“ – იოგა, იხ. თავი მეორე.

10.8. „გამოვლინებულთ“ – ბუდჰა: გამოვლინებული, გასხივოსნებული, სწავლული, ბრძენი (ბუდიზმში – ის, ვინც შეიცნო ჭეშმარიტება, განთავისუფლდა ყოველივე მიწიერისგან და ნირვანას მიაღწია). როგორც წესი, აქ „ბრძენად“ თარგმნიან. სმირნოვი „გასხივოსნებულად“ თარგმნის, რაც ჩემი აზრით სწორი არ არის, რადგან „გასხივოსნებულ“ ჰინდურ ტრადიციაში იმას ეწოდება, ვინც სამადჰვიში ღმერთთან ერთიანობას – აბსოლუტურ ცოდნას მიაღწია, მომდევნო სტრატეგიებიდან (10.10; 10.11.) კი ჩანს, რომ ამ შლოკაში სულიერი განვითარების აღწერილ საფეხურზე მყოფი ადამიანისთვის ეს ჯერ კიდევ მიუღწეველია; „გულმოდინებით“ – აქ

„მთელი გულით,“ „სიყვარულითაც“ ესმით.

10.9. „სულსაც მიძღვნიან...“ – „სიცოცხლეს მიძღვნიან, მითმობენ“; „სიფხიზლეს“ – ბუდკ: გაღვიძება, სიფხიზლე, გასხივოსნება. ასეც თარგმნიან: „ერთოუროს ასხივოსნებენ“. სმირნოვი თარგმნის: „ერთმანეთს ასწავლიან“; „იშვებენ და იხარებენ“ – ტუშტი: სიამოვნება, კმაყოფილება, დამშვიდება. რამ: გახარება, დასვენება.

10.11. „მათსაც გულებში...“ – სანსკრიტულ სიტყვა ბჰავას (ბუნება, არსი) აქ უმეტესად თარგმნიან, როგორც „გულს“. სმირნოვი მიუთითებს, რომ ამ შლოკის ორნარიი წაკითხვა არსებობს: „მათსაცე არსში მყოფი“ და „ჩემს საკუთარ არსში (ანუ მის დაურთვევლად) მყოფი“.

10.12. „უზენაესი ღმერთი“ – სანსკრ.: „შენ ხარ უზენაესი ბრაჰმანი (იხ. 2.46.)... და უზენაესი პურუშა“ (იხ. 8.4.);

10.13. „ბრძენები“ – იხ. რიში, 10.6; „ღმერთის ტოლი“ – დევა-რიში: ღმერთებთან ერთად მცხოვრები, ზეციური ვჯუფის წმინდანები. ბრძენები, რომელთაც მიწაზევე მიაღწიეს ზეციურ სრულქმნილებას და რომელთაც თავყანს სცემენ, როგორც ნახევარღმერთებს. მათ შვიდეულში შედის ნარადა, ბრაჰმას ძე, რომელსაც ეძღვნება „რიგვედას“ რამდენიმე ჰიმნი. ის ასევე ერთ-ერთი პრაჯაპატი (კაცობრიობის მამა), ვინას (ლუტნას) გამოძგონებელი და განდჰარვათა (ზეციურა მოძღერალთა) წინამძღობია. ადარებენ ორფისს. ნარადასეე ეკუთვნის კანონთა კრებული „ნარადიადჰარმა-შასტრა“; ასიტა და დევალა – რიშები. ასიტა ვედური ჰიმნების შემქმნელია, დევალას კი რამდენიმე ჰიმნი ეძღვნება. ვიასა, იხ. 10.37.

10.14. „გაჩენა“ – ვიაკტი: გამოჩენა, გამოვლინება, პიროვნება; „ავსულთ კრებულს“ – დანავები: ქალური საწყისის მატარებელი უარყოფითი მითიური არსების, დანას შვიდი შთამომავალი. ებრძოდნენ ღმერთებს; კეშავა, იხ. 1.31.

10.15. პურუშოტამა: უზენაესი პურუშა. იხ. 8.4.

10.16. „დიდება... ძალი ძლიერი“ – ვიბჰუტი: განვითარება, ძლიერება, ძალა, ბრწყინვალეობა. ხან „ძალთგამოვლინებად“ თარგმნიან, ხან კი დიდებად.

10.17. „...ფიქრისას თვალწინ თუ დაგისახე“ – სანსკრ.: „როგორ შეგიცნო მუდამ შენზე მოფიქრალმა“. ჩინმაიანანდა „მომედითირეს“ თარგმნის. ტომსონი აქ ასეთ აზრობრივ ნიუანსს ზედავს: „როგორ აღმოგაჩინო სამყაროს ყოველ ნაწილაკში“; „დიდო იოგა“ – სმირნოვი განმარტავს, რომ „იოგი“ ან „მაჰაიოგი“ უმეტესად შივას, უფრო იშვიათად კი ვიშნუ-კრიშნას ეპითეტია და რომ ამ კონტექსტში „იოგა“ ყოველივე არსებულის ერთობას აღნიშნავს. „ბუნება... სახე“ – ბჰავა: ბუნება, მდგომარეობა, ფორმა (სმირნოვი). იხ. 7.13; ბჰავაგან, იხ. 2.2.

10.18. „შედება“ – იხ. იოგა, თავი მორე; „ძლიერება“ – იხ. ვიბჰუტი, 10.7; ამ შლოკაში გამოყენებულია ტერმინი ჯანარდანა, რომელიც სიტყვა-სიტყვით ადამიანთა წამაქეზებელს, შემავიწროვებელს ნიშნავს. შანკარას განმარტებით ვიშნუ-კრიშნა ასურებს ავიწროვებს, ადამიანებს კი მთავარი მიზნის – განთავისუფლების მიღწევისკენ აქეზებს.

10.19. კურუშრეშტჰა – „კაურავთავან საუკეთესო“.

10.20. „გულში“ – ააია: საცავი. აქ „გულს“ თარგმნიან; სანსკრ.: „...მე ვარ სულდგმულთა საწყისი, შუაგული და დასასრული“.

10.21. „ზეციურ ღმერთთა დასში...“ – ადიტიებს: (ადიტი: თავისუფალი, შუეზლუდავი „უსასრულობა.“) უწოდებენ ზოგადად ღმერთებს. ადიტის ვაჟები, ღვთიური ნათლის

7 ღმერთი. მოგვიანებით („ბჰარძანებში“) მათი რიცხვი 12 თორმეტი გახდა. მათ ბერძნულ-ლათინური პანთეონის 12 მთავარ ღმერთს ადარებენ. შეესაბამებიან წელიწადის 12 თვეს. ყველაზე მთავარი მათ შორის უმრწემესია – ვიშნუ. ვიშნუ (ვიშნუ: გაულენთვა, განმსკვალვა) ჰინდური ტრადიის მესამე წევრია – სამყაროს შემქმნელი, მისი ენერჯის გამოვლინება; მარტულები: ჭეკა-ქუხილის და ქარის პერსონიფიკაციები, „ვედების“ ერთ-ერთი მთავარი ღვთაებები. ჭეკა-ქუხილითა და ელვით შეიარაღებულნი ქარიშხალზე ამხედრებულნი დაქრიან; მარიჩი: მარტულების წინამძღოლი.

10.22. „სამავლა“ – იხ. „ვედები“, 2.45; ინდრა – ცის თაღის მბრძანებელი, პერსონიფიცირებული ატმოსფერო. ის წვიმასა და ცვარს – მიწათმოქმედი ხალხისთვის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებს განაგებს. „ვედებში“ უმაღლესი რანგის ღმერთადაა მიჩნეული, თუმცა „დაუბადებლად“ არ ითვლება. აღწერენ, როგორც მოწითალოს ან ოქროსფერს და უზარმაზარი ხელების პატრონს. თუმცა „მას უსასრულოდ ბევრი ფორმა აქვს და სურვილისამებრ ნებისმიერ სახეს იღებს“. მეწამული რაშები ინდრას ოქროსფერი ეტლით დააქროლებენ. მისი იარაღია ელვა. გამუდმებულ ომის მდგომარეობაშია ვრიტრასთან და აპისთან – გვალვისა და მკაცრი ამინდის წარმოშობაზე ღმერთებთან. სტრაბონი იუპიტერს უწოდებს; „გული“ – იხ. მანასი, 2.60; „ცნობიერება“, იხ. ჩეტას, 7.30.

10.23. რუდრა – „მოღრიალი“, „საშინელი“. „ვედებში“ რუდრა (მხ. და მრ. რიცხვში) ერთის მხრივ დამანგრეველი, სხეულებათა თავს დამტეხი ღვთაებაა, მეორეს მხრივ კი მოწყალე და მკურნალი. ეს თვისებები შემდგომში გადაეცა შივას, რომელთანაც მას აიგივებენ.

შამკარა – „კეთილისმყოფელი“, შივას ეპითეტია. შივა ჰინდური სამების მესამე წევრია (ბრაჰმა – სამყაროს შემოქმედი, ვიშნუ – შემანარჩუნებელი, შივა – დამანგრეველი). რაკშასები – ბოროტი, მავნე სულები; იაკშასები – უვნებელი ზებუნებრივი არსებანი. ზოგან ბოროტ სულებადაც გვევლინებიან. კუბერა – „ვედებში“ პლუტონის მსგავს ბოროტ სულთა წინამძღოლი. წყვილადის ორი სიღრმის მთავარი. განძეულისა და სიმდიდრის ღმერთი და იაკშასთა ბატონი;

„ღვთაებანი“ – ვასუ (კეთილი, მოწყალე): ღმერთთა ჯგუფი, რომლის სათავეშიც ინდრა დგას. ზოგადად ღმერთები. „ცეცხლი“ – აგნი, ცეცხლის ღმერთი, განმწმენდი. ერთ-ერთი ყველაზე ძველი და უმთავრესი ღვთაება. სამი გამოხატულება აქვს: ზეცაში მზეა, სივრცეში ელვა, მიწაზე კი ცეცხლი. „ვედებში“ მას ყველაზე მეტი ჰიმნი ეძღვნება. მოკვდავთა და ღმერთთა შორის შუამავალი, ადამიანის, კერის დამცველი. მერუ – დედამიწის ჭიჭე, ანუ ცენტრში მდგომი მითიური მთა, რომელზეც სვარგა, ანუ ინდრას ცაა. ამ ცაშია ღმერთების ქალაქები და ზეციურ სულთა საცხოვრებელი. „ჰინდუთა ოლიმპი“, რომლის გარშემოც მნათობები ბრუნავენ. გავრცელებული რწმენის თანახმად, მერუს მთა ჰიმალაების ჩრდილოეთით მდებარეობს. ასევე „ოქროს მთას“, „მთა-ლოტოსს“ და „ღმერთების მთას“ უწოდებენ.

10.24. ბრიჰასპატი – ვედური ღვთაება, პერსონიფიცირებული მსხვერპლმოქმედა. მავედრებელი, მწირველი, ღვთისმსახური, ადამიანის ღმერთებთან შუამავალი და კაცთა მოდგმის ბოროტისგან დამცველი. ასევე ღვთიმსახურთა პროტოტიპი. სკანდა – („მიხტომა“, „მოსპობა“) შივას მარად ყმაწვილი ვაჟი, ღმერთთა მხედართმთავარი, საყმაწვილო ეპიდემიების ბოროტ სულთა მთავარი.

10.25. ბჰრიგუ – ერთ-ერთი პრაჯაპატი (იხ. ბრაჰმა, 2.46.) და რიში (10.6.); „ომ“,

ან „აოუმ“, იხ. 7.8; „ლოცვა“ — ჯაპა: ჩურჩული, ლოცვა. სვამი ჩინმაინანდას აზრით „ჯაპა, ანუ ჩუმი გამეორება, ღვთაებრივი აზრის გონებაში შენარჩუნების ტექნიკა“ და ერთ-ერთი თავისთავადი გზაა. 10.26. ბანიანის ხე, ანუ აშვთაჰა (ფიცუს რელიგიოსა) — იხ. 15.1. ინდური ლეღვის ხე. ინდოეთში ყველაზე სათაყვანებელი მცენარე, განსაკუთრებით ბუდისტთათვის. გადმოცემით, ბუდამ მის ქვეშ მიადწია ნირვანას. ეს ხე ფესვებით სხვა ხეების, კედლების თუ კლდეების ნაპრალებში აღწევს და ასე ანგრევს მათ. ნარადა, იხ. 10.13; ჩიტრაროჰა — „საუცხოო ეტლის პატრონი“, განდჰარვათა მეფე. განდჰარვები ზეციური მომღერლები არიან. მათი მუსიკა განსაკუთრებულ ზემოქმედებას ახდენს ქალებზე, რომლებზეც მათ მისტიური ზემოქმედების უნარი აქვთ. ატმოსფეროში ცხოვრობენ, კარგად ესმით მედიცინა და მნათობთა მოძრაობას არეგულირებენ. ასევე ღმერთებისთვის სომას მომზადება ევალებათ. „ათჰარვავედაში“ 6333 განდჰარვაა ნახსენები; კაპილა — ბრძენი, სანქჰიას ფილოსოფიური სისტემის ფუძემდებელი (იხ. თავი მეორე). მას ხან ვიშნუსთან აიგივებენ, ხან აგნისთან. ლეგენდის მიხედვით, ერთი მხერით მან მეფე საგარას ასი ათასი შვილი დახოცა.

10.27. უჩჰაიშრავა — ინდრას ცხენი, რომელიც ამრიტას ოკეანის დღეებისას დაიბადა. ამბროზით იკვებება და რაშთა მეფედ ითვლება. „ნექტრის ზღვა“ — ამრიტა: „უკვდავი“. „ვედებში“ ბევრ რამეს აღნიშნავს, უმთავრესად კი სომას წვენს. ღმერთების მიერ ადღებული ოკეანის მაცოცხლებელი სითხე. მითის მიხედვით, წმინდა ბრძენის მიერ ანათემას გადაცემულმა, დასუსტებულმა და დემონებს მიერ დამარცხებულმა ღმერთებმა ვიშნუს ძალისა და უკვდავების ნიჭის აღდგენა თხოვეს. ვიშნუმ მათ ამრიტასთვის ოკეანის აღდგება დაავალა. ღმერთები დემონებს შეეკრენ, ქვეყნის ოთხივე კუთხეში საჭირო მცენარეები მოაგროვეს და რძის ზღვაში ჩაყარეს. სადღეობად მანდარას მთა იხმარეს, თოკად კი გველი ვასუკი. დღეებისას ოკეანიდან პირველი წმინდა ძროხა სუკრაბი ამოიზარდა, შემდეგ ვარუნი, ღვინის ღმერთი. ამის მერე მორევში სამოთხის ხე პარიჯატა გამოჩნდა და ზეციურ ყვავილთა სურნელი მთელს სამყაროს მიმოაფრქვია. მას გრაციითა და სილამაზით შეუდარებელი ზეციური ნიძვები მოჰყვნენ. ნიძვებს მთვარე ამოჰყვა. ის მაჰა-ღვეამ დაიჭირა. შემდეგ ზღვიდან სამინელი საწამლავი ამოიფრქვა, რომელიც გველ-ღმერთებმა დაიჩიქეს. ამის შემდეგ ტალღებზე მშვენიერების ბრწყინვალე ქალღმერთი, ლოტოსზე ფეხმორთხმული შრი დაირწა. მასთან ერთად გამოჩნდა თეთრი სამოსით მოსილი დჰანვანტარი, ღმერთების ექიმი. აღმართულ ხელში ნექტრით სავსე თასი ეჭირა. დემონებმა მისი ძალით დაუფლება მოინდომეს, მაგრამ საქმეში ვიშნუ ჩაერია და თასი ღმერთებს მისცა. გაცეცხლებული დემონები ზეცის მბრძანებელს მივარდნენ, მაგრამ უკვდავების წყლით ძალამოცემულმა ღმერთებმა ისინი დაამარცხეს და ჯოჯოხეთის უძაბლეს სფეროებში უკრეს თავი. აირავატა — ასევე ამრიტას დღეებისას გაჩენილი „მშვენიერი სპილო“. კომპასის იმშხარის მცველი, რომელსაც ინდრა მფარველობს.

10.28. „მეხთატეხა“ — ვავრა: მეხი. ინდრას მომრგვალებული ფორმის იარაღი, ლეგენდის მიხედვით ერთ-ერთი ბრძენის, დადჰინის ძვლებისგან დამზადებული. „სურენილების ძროხა“, კამადუქ, იხ. 3.10. „სიყვარული“ — კანდარპა: კამა, სიყვარულის ღმერთი, სიყვარული. ჰინდუთა ეროსი, კუპიდონი. ვასუკი — პატალაში, მიწისქვეშა სფეროში მცხოვრებ, ადამიანის სახის, კობრას კის-

რისა და გველის კუდის მქონე ნახევრად ღვთიურ გველთა, ნაგათა მეფე.
10.29. ნაგა – იხ. 10.28; ანანტა – „უსასრულო“, ათასთავიან გველ სეშას სახელია. სამყაროს გაქრობიდან შექმნამდე ინტერვალებში ძილის დროს ვიშნუს ტახტის როლს ასრულებს. ზოგჯერ მსოფლიოს შემწედ წარმოგვიდგება, ზოგჯერ კი – შვიდი პატალას, ანუ ჯოჯოხეთის. მისი მიქნარება მიწისძვრას იწვევს, ყოველი „კალპას“ დასასრულს კი ცეცხლს აფრქევს და სამყაროს წვაეს. ვარუნა – „ყოვლის მომცველი“. ერთ-ერთი უძველესი ველური ღვთაება, ცის პერსონიფიკაცია, ცისა და მიწის შემოქმედი, სამყაროს – ღმერთებისა და ადამიანთა მეფე, უსაზღვრო ცოდნის მქონე უზენაესი ღვთაება. მოგვიანებით დაბალი სფეროს ზეციურ ღვთაებათა (ადიტიების) წინამძღოლად იქცა, უფრო გვიან კი ნეტუნის მსგავს ზღვათა და მდინარეთა ღმერთად. მისი ნიშანია თევზი. „სიკვდილი“ – იამა („მომთოკველი“): გარდაცვლილთა სულების მზრძანებელი და მოსამართლე. ვივასვანის (მზის) ძე და „პირველი კაცი, ვინც მოკვდა და ზეცის გზას გაუღდა“. მას ორი ოთხთავიანი და ფართონესტოებანი, გაუმაძღარი ძაღლი ჰყავს, რომლებსაც მიცვალებულთა სულებმა გვერდი რაც შეიძლება სწრაფად უნდა აუარონ. ისინი ქვეყნად დაწვთალობენ და თავისი პატრონისთვის ადამიანებს აგროვებენ. გარდაცვლილის სული პირველად მისი სამფლობელოს ქვედა სფეროში ხვდება. იქ იამას არქივარიუსი, ჩიტრა-გუპტა უზარმაზარი წიგნიდან მისი ცხოვრების ანგარიშს წაიკითხავს და განაჩენს გამოიტანს – მაღლა, ღირსეულ წინაპრებთან გააგზავნის, დანაშაულის მასაბამისად 22 ჯოჯოხეთიდან ერთ-ერთში წაიგდებს ან სხვა ფორმით ხელახლა დასაბადებლად გაუშვებს. იამა მწვანე ფერისაა და წითელი სამოსი აცვია, ხარზუა ამხედრებული, საშინელი კვერთხი უყვრია და მსხერპლთა მოსახვეტად ბადე უჭირავს. არიამა – პიტრების, გარდაცვლილი წინაპრების მთავარი.

10.30. დაიტიები – ინდოელი ტიტანები. ღმერთებთან მეომარი და წირვებისთვის ხელისშემშლელი დემონებისა და გოლიათების მოდგმა. პრაჰლადა – დაიტიათაგან ერთ-ერთი. „დრო“ – კალა: იამას სახელია (10.29.). ზოგი ველური წიგნი დროს ბრაჰმას ნაწილად, სამყაროს ერთ-ერთ პირველმიზეზად მიიჩნევს, ზოგი კი არა. გარუდა – მითიური ფრინველი: ფასკუნჯი – ნახევრად ადამიანი, ნახევრად ჩიტი, რომლითაც ვიშნუ დაქრის. ფრინველთა მეფე და გველების მტერი. რომ დაიბადა, ისეთი ბრწყინვალე იყო, რომ ღმერთებს ავნი ეგონათ და თავყანი სცეს. თავი, ფრთები, ბრწყინვალე და ნისკარტი არწივის აქვს, ტანი და კიდურები კი კაცის. სახე თეთრი აქვს, ფრთები წითელი, სხეული კი ოქროსფერი. დედამისის დასახსნელად გარუდამ ღმერთებს ნექტარის ოკეანე მოჰპარა. ინდრა შეებრძოლა მას და ოკეანე წაართვა, თუმცა გარუდამ მას მისი იარაღი, მეხი დაუღწა. ერთხელ ბრძენ ნარადასგან ფრთებით დაიფარა მერუს მთა. განგა – „წმინდა მდინარე“. „პურანები“ მოგვითხრობენ, რომ განგა ვიშნუს ფეხის თითიდან გადმოიღინდა და წმინდან ბჰაგირათჰას ლოცვის შედეგად კაპილას მიერ მზერით დაზოცილი მეფე საგარას ექვსი ათასი ვაჟის ფერფლის გასაპატიონებლად ზეციდან მიწაზე დაეშვა. დედამიწა რომ წალეკვისგან ეხსნა, შვიამ განრისხებული განგა თავის წარბზე შეაჩერა და კულულებით მცირე ნაკადებად გაუშვა. მისმა მიწაზე გადმოღვრამ ბრძენი ჯანუ წირვას მოსწყვიტა და გააბრუნა. მან განგა მთლიანად შესვა, მაგრამ მეფე შეიცოდა და ყურებიდან გამოუშვა. განგა მდინარის პერსონიფიკირებული ქალღმერთიცაა. რამა – პოეტ ვალმიკის უძველესი ეპოსის „რამაიანას“ გმირი – აიოდჰას სამეფოს „მზის

დინასტიის“ სელმწიფე, ინდოეთის პირველი პოეტი, მეტრული ზომის შემომტანი და „ყოველმხრივ სრულყოფილი ადამიანი.“ ღმერთ ვიშნუს მეშვიდე ინკარნაცია, დაბადებული ტრეტა იუგას (4.7.) დასასრულს.

10.32. ადპიატმაიდა – უზენაესი სულის ცოდნა; ვადას (სიტყვა... ახსნა) აქ „სწორ მსჯელობადაც“ იგებენ, ზოგჯერ კი „ლოგიკადაც“.

10.33. „ანი,“ ანუ სანსკრიტული „აკარა,“ ანბანის პირველი ასო-ბგერა; დვანდვა („ორი და ორი“) – სანსკრიტულ რთულ სიტყვათა ფორმა. ერთმანეთის ელემენტებს შორის კოპულატიური კავშირის მქონე რთული სიტყვა. აქ: ერთმანეთს დაპირისპირებულ ცნებათა (ნაწილთა) სრული კოორდინაცია; „მხედი ყოვლისა“ – იხ. ვიშვატომუქჰა,

9.15; სრული ჩამონათვალია: „ქალში დიდება (ან იქნებ დიდებისმოყვარეობა (კირიტ – გვირგვინი)), მომხიბლველობა, ლამაზი მეტყველება, მეხსიერება, გამჭრიახობა, სიმტკიცე, მოთმინება (კშამა: თვინიერება, სმირნოვი მორცხვობად თარგმნის).

10.35. გაიატრი – 24 მარცვლიანი ლექსი. ასეთ ლექსზე შექმნილი სიმღერა; „საგალობლებში – ბრიჰას კრებული“ – სანსკრ.: „სამა-ვედას“ ჰიმნებს შორის „ბრიჰატ-სამა“ ვარ“; მარგაშირმა – თვე (ნოემბერდეკემბერი, მოსავლის დრო).

10.37. ვრიშნი – კრიშნას და მისი მშობელი ზალხის წინაპარი. ვიასა (ას+ვი: განაწილება, კლასიფიკაცია, საფუძვლიანი გადმოცემა, ტექსტების შეკრება. აქედან: გამანაწილებელი, რედაქტორი) – ლეგენდარული ბრძენი, რომელსაც უამრავი ტექსტის („ვედები,“ „ვედანტა,“ „მაჰაბჰარატა,“ „რამაიანა,“ „პურანები“ და სხვ.) ავტორობა და რედაქტირება მიეწერება. „პურანებში“ 28 სხვადასხვა ვიასა ნახსენები. სვამი ჩინმაიანანდას აზრით აქ ვიასას ფსევდონიმით ცნობილი კრიშნა დვაი პაიანა – ფილოსოფიურ-რელიგიური პოეტური სტილის განმაახლებელი იგულისხმება და არა „გიტას“ ავტორი; პანდაველები, იხ. ბჰაგავადგიტა და მაჰაბჰარატა; უშანა – პოეტი, ვედურ ჰიმნთა ერთ-ერთი ავტორი. ეპოსში პლანეტა ვენერასთან იგიველება.

10.38. „მეფეთ კვერთხი ვარ“ – დამაიანტ: მბრძანებელი. დანდა: კვერთხი, ძალაუფლების სიმბოლო და სასჯელის დაწესების უფლება; „ჭკუა“ – ნიტი: სახელმწიფოებრიობა, პოლიტიკა, სწორი ქცევა, ცხოვრებისეული სიბრძნე;

10.40. „გამოვლინება“ – იხ. ვიბჰუტი, 10.7.

10.41. აქ „სატვა“ არსებად, ქმნილებად ესმით, თუმცა სმირნოვი „ჭეშმარიტად“ იგებს და ასე თარგმნის: „ყველაფერი, რაც მძლავრი, ჭეშმარიტი, მშვენიერი და საღია...“; „ჩემი შვენების...“ – ტეჯას აქ „სიღიადღ“ ან „ძლიერებადაც“ ესმით.

10.42. „ნაპერწყლისაგან“ – ეკა აშმა: ერთი ნაწილი, ნაწილაკი; „შვენება“ – ტეჯასს აქ „დიდებად“ და „ბრწყინვალებადაც“ თარგმნიან. იხ. 18.43.



თავი მეთერთმეტე – „ვიშვარუპა დარშანა იოგა“

სამყაროსეული ფორმის ხილვის იოგა

ვიშვარუპა – „ყველანაირი ფორმის მქონე,“ ყოვლისმომცველი.

- 11.2. „გარდაიცვლება“ – ვიაი: დახარჯვა, დაღუპვა. აქ „[ცაჩენას და] გაქრობას“ თარგმნიან; „ლოტოსისთვალა“ – კრიშნა.
- 11.3. „უზენაესო...“ – აქ ორიგინალში პარამეშვარაცაა (უზენაესი მბრძანებელი) და პურუშოტამაც (უზენაესი სული).
- 11.4. „ყველაფრისშემძლევ“ – იოგეშვარა: იოგას მეუფე, იხ. თავი მეორე.
- 11.5. სანსკრ.: „...მრავალფეროვანი, მრავალი ფერისა და აგებულების (ფორმის) მქონე“.
- 11.6. აღტიები, იხ. 10.21; ვასუ, იხ. 10.23; რუდრები, იხ. 10.23; აშვინები – „მზის ტყუპი ძენი,“ მუდამ ახალგაზრდანი და მშვენიერნი, განთიადის მაუწყებელნი და ოქროს ეტლით მიმომქროლნი; მარუტები, იხ. 10.21;
- 11.7. სანსკრ.: მთელი სამყარო ერთშია, ჩემს სხეულში...“.
- 11.8. „შემძლება“ – „მეუფებრივი იოგა,“ იხ. თავი მეორე; „თვალებს ღვთიურს“ – „ღვთიურ თვალად იწოდება დროისა და სივრცის მიღმა მყოფი ყოვლის მხედი თვალი, ანუ შზე, მთვარე. შდრ. ეგვიპტური „გორას თვალი“. იოგურ ფსიქოფიზიოლოგიაში შივას თვალი ბოლოს წინა ჩაკრას, „აჯნას“ ეწოდება. იგი წარბებს შუა მდებარეობს.
- 11.9. ჰარი – „ნათელი“, „ღია ყვითელი“, „ნაირფერი“. ვიშნუსა და კრიშნას ეპითეტი და ვიშნუს ერთ-ერთი ფორმა. „მოკშადჰარმაში“ ნათქვამია: „რამეთუ მსხვერპლის წირვაში ემონაწილეობ (ჰარი) და მშვენიერი მოყვითალო-მომწვანო ფერისა ვარი (ჰარი), ამიტომაც მიწოდებენ ჰარის.“
- 11.11. „სახე ყოვლისკენ მიექცეოდა“ – ვიშვატომუქჰა (ან სარვატომუქჰა): „ყოვლისმომცველი სახის მქონე“ ანუ „ის, ვისი სახეც ყველაფრისკენა მიმართული“. შანკარა განმარტავს, რომ ეს ტერმინი „ყოვლისგამჭოლს“ ნიშნავს. „ჰრისინჰა პურვატაპანია“ მას ასე ხსნის: „რატომაა ნათქვამი „სარვატომუქჰა“ – იმიტომ, რომ გრძნობის ორგანოები არა აქვს და მაინც ყველა მხარეს ხედავს, ყველაფერი ესმის, ყველაფერს იღებს, ყოველივეში აღწევს და ყოველგან სუფევს“.
- 11.13. „ღმერთის“ – სანსკრ.: ღმერთთა ღმერთის; ჰანდაველი – აქ: არჯუნა.
- 11.15. ბრაჰმა, იხ. 2.46; რიში, იხ. 10.6; „გველნი“ – ურაგა: ადამიანის სახისა და გველის ტანის მქონე მითიური არსება. მის სიღამაზეს ხოტფრას ასხამენ.
- 11.16. სანსკრ.: „ვერც დასაწყისს ვხედავ, ვერც შუაგულს და ვერც დასასრულს“.
- 11.17. დისკო, გვირგვინი და კვერთხი ვიშნუ-კრიშნას ტრადიციული ატრიბუტებია, რომლებთან ერთადაც მას ხშირად გამოსახავენ.
- 11.18. „ღირსსაცნობელი“ – ვადიტავიამ: „შეცნობის ღირსი“ ანუ „ის, რაც უნდა შეიცნო“; დჰარმა, იხ. 1.40; „საცავი“ – გოპტა: საცავი, მცველი; „დაუსაბამო სული“ – მარადიული (სანატანა) პურუშა. იხ. 8.4.
- 11.19. სანსკრ.: „გხედავ დასაწყისის, შუაგულისა და დასასრულის არმქონეს...“; „უღვემკლავიანს...“ – ჰინდურ იკონოგრაფიაში ფართოდ გავრცელებული ძლევა-მოსილების სიმბოლო.

- 11.21. „შეგერთვიან“ – ძირითადად ასე თარგმნიან: „შენში შემოდინა;“ თუმცა ასეთი ვარიანტიც არსებობს: „შენ შეგეფარვიან“ (როგორც თავშესაფარს); „დიდება“ – სვასტი: ბედნიერება, იღბალი, მადლი; წმინდანები: რიში (იხ. 10.6.) და სიღვა: „სრულქმნილებას მიღწეული;“ „განხორციელებული“. ასევე სრულყოფილ ნახევარღმერთთა ჯგუფი. მათ მიეკუთვნებიან კაპილა, ვიასა და სხვ. აქვთ მეტაფიზიკური ძალები და ფრენის უნარი.
- 11.22. რუდრა, იხ. 10.23; აღიგია, იხ. 10.21; ვასუ, იხ. 10.23; საღვა: „მიღწევადი“ (ღმერთთა ჯგუფია); ვიშვა: ასევე ღმერთთა ჯგუფია; აშვინი, იხ. 11.6; მარუტი, იხ. 10.21; უშმაპა: გარდაცვლილთა განსაკუთრებული ჯგუფი; განდჰარვა, იხ. 10.26; იაკშას, იხ. 10.23; ასურა: „სულიერი, უხორცო.“ უძველეს „ვედებში“ უხუნავი სულია, იგივე, რაც ზოროასტრელთა აპურა; ამ მნიშვნელობით მთავარ ღვთაებებს – ინდრას, აგნის და ვარუნასაც მიმართავდნენ. უფრო გვიან ღმერთების, ავი სულების, „უწმინდურების“, ღმერთების მტრების აღმნიშვნელი გახდა; სიღვა, იხ. 11.21.
- 11.23. ამ ჩამონათვალში „მრავალი მუცელიც“ არის; სამყარო – სანკრ.: სამყაროები.
- 11.25. „ვერ ვცნობ ქვეყანას“ – სანსკრ.: „ოთხ მხარეს ვერ ვპოულობ“; „მსგავსო ცეცხლის“ – კალანალა: კალა (დრო, სიკვდილი), ანალა (ცეცხლი, როგორც ყოვლის-შთანთქმელი დროის სიმბოლო). მითოლოგიაში, კერძოდ კი ჰინდურ მითოლოგიაში ხშირად გვხვდება. შივას სახელებია კალა (დრო) და ნიკალანტა ანუ „უღლურჯევი“. ეს ეპითეტი მან მაშინ მიიღო, როცა ამრიტას ოკეანის დღეებისას ამოფრქვეული სამყაროს შხამი შესვა, შხამი ყელში გაეჭვდა და ყელი გაუშვა.
- 11.26. ღირითარაშთრა, იხ. 1.1; ბჰიშმა, კარნა, იხ. 1.8; დრონა, იხ. 2.2;
- 11.30. ვიშნუ, იხ. 10.21.
- 11.31. „საქმენი“ – პრავრტი: წარმოქმნა, წინსვლა, განვითარება, საქმიანობა. აქ „გამოვლინება“ და „მიზანიც“ ესმით.
- 11.32. „ძველთაძველი“ – პრავრტა: ძველი, ძლიერი, მზარდი; „რომც იუარო...“ – სანსკრ.: „უშენოდაც ვერ გადარჩება ამ ერთუთის პირისპირ გამწკრივებულ ჯართა ვერც ერთი მეომარი.“
- 11.33. „ამიტომ აღექ“ – სანსკრ.: „ადექი და მოიხვეჭე დიდება!;“ „შენ მხოლოდ ჩემი ნების იყავ აღმსრულებელი“ – სანსკრ.: „შენ მხოლოდ იარაღი იყავ, მარცხენა ხელით მებრძოლო!“ (სავიასაინი: „მარცხენა (ან ორივე) ხელით მსროლელი“). სმირნოვი ასე თარგმნის: „შენ მხოლოდ იარაღი იყავ, როგორც მარცხნივ მდგარი მეომარი“. მისი აზრით, „შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ არჯუნას ეს ეპითეტი „გიტამი“ ერთადერთხელა გამოყენებული. საფიქრებელია, რომ ამ შლოკის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ შრი-კრიშნა არჯუნას მოუწოდებს, საკუთარი თავი ეტლში მარჯვენე მდგარი და აქტიურად მებრძოლი მეომრის მსგავსად მოქმედად კი არ წარმოიდგინოს, არამედ მარცხნივ მდგარ მეომარს ემსგავსოს, რომელიც არ იბრძვის და მხოლოდ დარტყმებს იგერიებს“.
- 11.34. დრონა, იხ. 2.2; ბჰიშმა, კარნა, იხ. 1.8; ჯიდრა (ჯაიადრაატჰა) – კაურავთა მომხრე მეფე.
- 11.35. კეშავა, იხ. 1.31; კირიტი: „გვირგვინოსანი“, არჯუნა.
- 11.36. ჰრიშიკეშა, იხ. 1.15; რაკშას, იხ. 10.23; სიღვა, იხ. 11.21.
- 11.37. „შენგან არს ბარაჰმაც! რას არ სჭარბობს შენი დიდება!“ – სანსკრ.: [სხვა

ყველაფერზე უფრო დიადი ხარ, ბრაჰმას პირველმიზეზი (შემოქმედი) ხარ, ღმერთთა მეუფე: სმირნოვი ასე თარგმნის: „ბრაჰმაზე უფრო დიადი ხარ, პირველო შემოქმედო, ღმერთთა მეუფევე“; „სამყართა საყუდარი“ – ძირითადად ასე ესმით, თუმცა სმირნოვი „ჯვავანისას“ თარგმნის, როგორც „სამყაროს მყრობელს“ (რუს.: МИРОПЕРЖЕШ); „ყოფნა, არყოფნა და რაც იმათ ზღვარსაც სცილდება“ – სანსკრ.: არსებობა (საჭ), არარსებობა (ასაჭ) და ის, რაც უზენაესია (ამათ მიღმა). სმირნოვი ასე თარგმნის: „მარადიული არსებობა და არარსებობა ხარ, რომელიც არის მიღმიერი „ის“.

11.38. „საბოლოო“ – პარამ: უმაღლესი; „ნავსაყუდელი“ – ნიდჰანას „თავშესაფრად“ თარგმნიან, თუმცა ამ სიტყვის ლექსიკონური მნიშვნელობაა განძი, საუნჯე.

11.39. „ემორჩილება შენს ხელს მთავარე...“ – სანსკრ.: „შენ ხარ ვაიუ (ქარი, ქარის

ღმერთი. ინდრასთან აიგივებენ. ათასცხენშებმული ეტლით დაქრის), იამა (იხ. 10.29.), აგნი (10.23.) ვარუნა (10.29.) და პრაჯაპატი („არსებთა მბრძანებელი“ – ბრაჰმას „ფიქრისგან შობილი“ ათი რიში (მომღეული ბრძენი) – კაცობრიობის ათი შემოქმედი, წინაპარი და მბრძანებელი. ბრაჰმას, აგნის, სომას და სხვა ღმერთების ეპითეტიცაა)...“

11.40. „ყოველი მხრიდან“ – სანსკრ.: „წინიდან და უკნიდან“ (ანუ „აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან“. აღმოსავლეთის ხალხები ლოცვისას პირს აღმოსავლეთისკენ იქცევენ, ამიტომ ეს ცნებები მათთვის სინონიმურია); „დაულაღავი“ – ვიკრამას (მსვლელობა, ნაბიჯი, სიმძლავრე, ძალა) სმირნოვი ასე თარგმნის: „[გან]უსაზღვრელია შენი“ მოძრაობა“; „ყველაფერში ხარ, ამიტომაც ხარ ყველაფერი“ – სანსკრ.: ო, ყველაფერი! ...ყველაფერში აღწევ, რადგან თვითონ ხარ ყველაფერი.“

11.43. „ხარ საფიცი...“ – სანსკრ.: „ეს სამყარო შენ უნდა გაღმერთებდე, უდიადესო მოძღვარო!“ ასეც თარგმნიან: „შენ [სამყაროს] მოძღვარზე მეტად სათაყვანებელი ხარ.“ ტომსონი შენიშნავს, რომ ამ შემთხვევაში „სამყაროს მოძღვარში“ აქ ბრაჰმა უნდა ვიგულისხმობთ, რომელმაც მას „ველები“ ასწავლა. სულიერი მოძღვარი (გურუ) ინდოეთში მშობლებზე მეტადაც კი პატივსაცემ, სათაყვანებელ ადამიანად ითვლება; „დიადი“ – პრაბჰავა: ძლიერი, ღიბებული.

11.44. „უფალო“ – იშამ იდიამ: „უფალო სათაყვანებელი“!

11.46. „ოთხი ხელით“ – ოთხი ხელით და ამ შლოკაში ჩამოთვლილი ატრიბუტებით ვიშნუ გამოისახება. კრიშნას სმირად ფეხაუდგმელ ჩვილად ან მწყემს გოგონებთან, გოპებთან ერთად სალამურით ხელში გამოსახავენ. ასეთ შემთხვევაში მას ორი ხელი აქვს, მაგრამ „ვიტას“ ილუსტრაციებში, როგორც წესი, იგი ოთხი ხელით წარმოგვიდგება, დახურული ეტლის კოფოზე მჯდარი. ეტლის თავზე ჰანუ-მანია (მაიმონი). არჯუნა ეტლში ზის ან კრიშნას წინ მლოცველის პოზაში დგას.

11.47. „ძალა“ – იოვა; „სრული“ – ვიშვა: ყველანაირი, მთელი, ყველგანმყოფი.

11.48. „ცოდნით“ – ველა: აქ შემეცნება, გააზრება, „ვედათა“ ღვთისმეტყველების ცოდნა; „ველები“ (სმირნოვი); „თმენით“ – ტაპას: ასკეზა, ასეც ესმით: „ვერც „ველების“ და მსხვერპლშეწირვის შესწავლით და ვერც ასკეზით...“; „ვისი ძალაც სხვაზე მეტია“ – კურუპრაივია: „კაურავთა უდიდესო გმირი“ (პრაივია: უდიდესი ძალის მქონე, რაინდი).

11.51. „ამ უწყინარი სახის...“ – სანსკრ.: „შენი უწყინარი (საუმი: წყნარი, უწყინარი, ძვირფასი, საყვარელი, მეგობრული.), ადამიანური სახის...“;

11.55. „ჩემსკენ ისწრაფვის“ – მატჰარამო: უზენაეს [მიზნად] მსახავს.

თავი მეორემეტე – ბჰაკტი-იოგა

ერთგულების იოგა

12.1. „ვის მეტი ესმის“ – სანსკრ.: „ვინ უკეთ იცის იოგა“; „შენთან მყოფს“ – იუჯ., 4.18; „უხილავს“ – ავიაკტა, იხ. 7.24.

12.2. „გონიერებილი“ – იუკტა, იხ. 4.18; „ჩემთვის გულანთებული“ – „ჩემკენ გონ-მოპყრობილსაც“. თარგმნინ და „გულმოპყრობილსაც“ იხ. მანას, 2.60; „ზეციურ“ – პარამა: უმაღლესი; „შეერთებული“ – იუკტატამა აქ „საუკეთესო იოგადაც“ ესმით და „ყველაზე ერთგულადაც“, თუმცა შესაძლოა „თავში დანთქმულიც“ იყოს. იხ. იუკტა, 4.18.

12.3.-4. „გამოუთქმელს“ – ანდრეშია: განუსაზღვრელი; „ურყევს“ – ანალა: უძრავი; „ურღვეველს“ – დპრუვა: მუდმივი, მტკიცე, მყარი; „უცვლელს“ – აქ უმეტესად ასე ესმით, თუმცა სმირნოვი „კუტასთჰას“ სიტყვა-სიტყვით თარგმნის: „მწვერვალზე მდგომი“, რაც ნიშნავს „იმას, ვინც მაიაში იმყოფება, როგორც მისი მბრძანებელი“. შანკარას განმარტებით, „კუტა“ გარეგნულად კარგ, სინამდვილეში კი ცუდ სა-განს, ანუ სამსარას, მაიას ნიშნავს. „ვისთვის ერთია ქვეყნად ყოველი“ – სანსკრ.: „ყველაფერში ერთნაირი გონების მქონე“. სმირნოვი „გაწონასწორებულ გონებას“ თარგმნის და შენიშნავს, რომ ამ სტროფის, ისევე, როგორც 2.48. და 6.9. შლოკების სწორად გაგება მნიშვნელოვანია მთელი ნაწარმოების სულისკვეთების გასაგებად, რადგან „გიტა“ გულგრილობას და სამყაროსგან მოწყვეტას კი არ ქადაგებს, არამედ წონასწორობას (შდრ. 2.18.), ყველას მიმართ მიუკერძოებელ დამოკიდებულებას, რაც მხოლოდ ეგოს (აჰამკარა) გაუქმებითაა შესაძლებელი; „ვინც მოკეთა ყველა სულდგმულის...“ – სანსკრ.: „...ყველა სულიერის სიკეთე რომ უხარია.“

12.5. „განჭვრიტოს“ – სანსკრ.: „ვინც ფიქრს (მანასი, იხ. 2.60.) გამოუვლენელს მიაპყრობს“.

12.6.-7. „უღალატოდ“ – ანანია: ერთის ერთგული, ერთით (სხვა არაფრით) და-კავებული; სამსარა: მატერიალურ სამყაროში კვდომისა და გაჩენის წრებრუნვა, რომელშიც ყველა ცოცხალი არსებაა ჩათრეული. სამსარას, რომელშიც არ არსებობს სიკვდილი და არსებობს მხოლოდ გარდასახვა, ანუ სხეულიდან სხეულში გადასვლა, იდეას ყველაზე უკეთ ქართული სიტყვა „გარდაცვალება“ გამოხატავს. ჰინდუთა წარმოდგენით, სხეულის დატოვების შემდეგ ნებისმიერი სულდგმული ექვსიდან ერთ-ერთ ყოფიერებაში (ღმერთთა დასის წევრად, ზეცის მკვიდრ ასურად, ადამიანად, ცხოველად, მოხეტიალე ღემონად ან ჯოჯოხეთის მოსახლედ) თავიდან იბადება. ის, თუ სად გაჩნდება, წინა ცხოვრებებში ჩადენილ საქციელთა ჯაჭვზე, კარმაზეა დამოკიდებული. ყველა საფეხურზე ცხოვრება ცოტად თუ ბევრად ტან-ჯვასთანაა დაკავშირებული. რაც უფრო დაბალია იგი, ტანჯვაც უფრო მეტია. სამსარაში ყოფნა მაიაში ყოფნას ნიშნავს – ილუზიაში, რომელიც უმაღლეს და ერთადერთ სინამდვილეს გვიმაღავს. რელიგიის მიზანიც სამსარას დაძლევა, მისგან განთავისუფლებაა.

12.8. სანსკრ.: „მე მომპყარი მანასი, ჩემში ჩადირე შენი ბუდჰი და შემდეგ, ეჭვი არაა, იცხოვრებ ჩემში მხოლოდ. „გულს, გონებასაც...“ – შანკარა შენიშნავს, რომ მანასის („გული“, იხ. 2.60.) იშვარასკენ (იხ. 4.6.) მი პყრობა საკუთარი მისწრაფებებისა და ფიქრების მისკენ მიმართვას ნიშნავს, ბუდჰის („გონება“) მი პყრობა კი –

განსაზღვრისა და შეცნობის უნარის მიმართვას; „შენად გადაიქცევა“ – ორიგინალში აქ გვხვდება სიტყვა „შემდეგ“, რაც ესმით, როგორც „ამ ცხოვრების (ანუ სამსარას წრებრუნვის დატოვების) შემდეგ“.

12.9. „წრობა“ – აბჰიასა იოგა: გულმოდგინე, განმეორებადი, მუდმივი შესწავლისა და ვარჯიშის, პრაქტიკის იოგა.

12.10. „ჩემთვის“ – სმირნოვი განმარტავს: „ანუ დაე ჩემი შეცნობა იყოს ყოველი შენი ქმედების მიზანი“. შანკარა შენიშნავს, რომ იშვარას (იხ. 4.6.) შეცნობის მიზნით მოქმედებას თავისთავად მიჰყავხარ მის შეცნობამდე და ამგვარად იოგას პრაქტიკა აღარ არის აუცილებელი.

12.11. „მე შემეფარე“ – სანსკრ.: „ჩემს იოგას შეეფარე“; „თავი მოთოკე“ – იატ: მოწესრიგება. აქ:

დამორჩილება; „უარი“ – იხ. ტიაგა, იხ. 18.1.

12.12. „წრობა“ – აბჰიასა, იხ. 12.9. სმირნოვი ვარჯიშს თარგმნის, ჯაიადაიად გოიანდაკა კი – „შემეცნების გარეშე ვარჯიშს“; „ჭვრეტა“ – დჰიანა: ჭვრეტა, ფიქრში ჩადირვა, მედიტაცია, РАЗМЫШЛЕНИЕ (სმირნოვი); „უარი“ – ტიაგა, იხ. 18.1.

12.13.-14. „სულიერს“ – სანსკრ.: „ყველა სულდგმულს“; „გონიმოპრობილი“ – „მანასით (იხ. 2.60.) და ბუდღპით (იხ. 2.67.) ჩემზე კონცენტრირებული“; „მე“-სა და „ჩემის“ მარად მთმობელი – ნირაჰამკარა და ნირმამა, იხ. 2.70.

12.15. „არ აწუხებს“ – უდვეგა: ათრთოლება, აღვზნება, აღელვება, გაღიზიანება, წვალება, შიში. ბუერი (მათ შორის სმირნოვიც) ასეთ წაკითხვას ემხრობა: „ვინც ზურგს არ აქცევს ქვეყნიერებას და ვისაც ქვეყნიერებაც არ აქცევს ზურგს.“ ასეთი წაკითხვებიც არსებობს: „ვინც არ დრკება (უკან არ იხევს) სოფლის წინაშე...“; „ვინც არ გაურბის ქვეყნიერებას და ქვეყნიერებაც არ გაურბის მას“; „ვინც არ შეურაცხყოფს მოყვასს და არც სხვისგანაა იმედგაცრუებული“; „ვინც არც ემალება ტანჯვას და არც იტანჯება“.

12.16. „აღარ სდევს საქმეს...“ – სანსკრ.: „ვინც განუდგა ყოველგვარ წამოწყებას...“

12.18.-19. „ბორკილს დასხნილი“ – სანგა: მიჯაჭვულობა, მიდრეკილება, შეხება, გატაცება, წადილი; „უტეხი“ – სთჰირამატ: ურყევი შეხედულებების მქონე.

12.20. დჰარმა – იხ. 1.40; „ვით შეუფეს...“ – ჩემი უმაღლეს მიზნად დამსახენი („უზენაესადაც“ ესმით); „ზიარებულნი“ – უპასანა: ზრუნვა, მსახურება, თაყვანისცემა, ერთგულება.



თავი მეცამეტე – „კშეტრა-კშეტრაჯნა-ვიბჰაგაიოგა“

ველისა და მისი მცოდნის გარჩევის იოგა

სმირნოვი განმარტავს, რომ მეთორმეტე თავის მეცამეტე შლოკიდან ჭეშმარიტების მცოდნე სანასინია აღწერილი. მეცამეტე თავში ახსნილია, კერძოდ რა ჭეშმარიტება ზღის ადამიანს იშვარასათვის (მეუფისთვის) ძვირფასს. აქ მატერია „ველად“ იწოდება, რადგან საქმეთა ნაყოფი მასში ისე შწიფდება, როგორც თესლი მიწაში. „ველად“ იწოდება სხეულიც. ის, ვინც მას იცნობს, როგორც საკუთარი თავისგან (ატმანისგან, სულისგან) სრულიად განცალკევებულს, არის „ველის მცოდნე“.

13.2. კაუნტეა – იხ. 1.25.

13.3. ასეც ესმით: „იცოდე, ყველა ველში მე ვარ ველის მცოდნე“.

13.4. ასეც ესმით: „...ან ველის მცოდნე ვინ არის და რაშია მისი ძალა.“

13.5. „ბრაჰმა-სუტრა“ – ვედანტას ფილოსოფიის საკითხებისადმი მიძღვნილი ტრაქტატი. მკვლევართა დიდი ნაწილი (გარბე, მიხალსკი-ივენსკი, ედგერტონი, დას-გუპტა...) დარწმუნებულია, რომ ეს შლოკა „გიტაში“ მოგვიანებითაა შეტანილი, რადგან ტრადიციულად „გიტა“ უფრო ადრინდელ ნაწარმოებად ითვლება, ვიდრე ბოდარაიანას

„ბრაჰმა-სუტრა“, თუმცა ამ წიგნის შექმნის მეტ-ნაკლებად ზუსტი თარიღიც არ არის ცნობილი. სმირნოვი ვარაუდობს, რომ ეს შლოკა გადამწერის შენიშვნას წარმოადგენს და ტექსტში შეცდომითაა შეტანილი, მოგვიანებით კი, შლოკათა რაოდენობა რომ არ დარღვეულიყო, ზოგ გამოცემაში მის ნაცვლად თავის დასაწყისში აზღუნას შეკითხვა ამოგდეს, თუმცა „გიტას“ კონტექსტს და საერთო სტილს ბევრად უფრო შეესაბამებოდა. შანკარა აქ „ვედურ ჰიმნებს“ თარგმნის.

13.6. „ბუნების ძალნი“ – მაჰაბჰუტა: ძირითადი ელემენტი, სტიქია (ეთერი, ჰაერი, ცეცხლი, წყალი და მიწა); „მეობის გრძნობა“ – აჰამკარა, იხ. 2.70; „უვლენელი“ – აჯიაკტას აქ იგებენ, როგორც პირველად მატერიას, რომელიც ჯერ არ გამოვლენილა, მატერიალური სამყაროს პირველმიზეზს. შანკარა გონებასაც „გამოუვლენელ მატერიას“ მიაკუთვნებს. სვამი ჩინმაიანანდა განმარტავს, რომ ეს არის „ნატიფ სხეულში დალექილი გონებრივი მუშაობის ნარჩენები, გარეგან სამყაროში ცნობიერად აღქმულის, მიღებული სიამოვნებების შთაბეჭდილებები, რომლებიც ჩვენი ყველა მომდევნო აღქმისა და გრძნობის მიმართულებას და ხასითს განსაზღვრავს“. არსებობს „ასეთ შთაბეჭდილებათა ერთობლიობა, საიდანაც ცოცხალი არსებები და მათი ქცევა წარმოიქმნება. სანქჰიას ენაზე მას მულა-პრაკრიტი (პირველადი მატერია, მატერიული სამყაროს პირველმიზეზი) ეწოდება, ვედანტას ენაზე კი მაია (იხ. 4.6.)“. მისი უმაღლესი ფუნქციის ამოქმედება სამყაროს შექმნას იწვევს, ინდივიდუალურ დონეზე კი ის „ვეოს“ შემოქმედი, მაცოცხლებელი და გამანადგურებელია. „თერთმეტი გრძნობა“, იხ. ინდრანი, 2.60; „სამძოვრი მათი“ – გრძნობის ორგანოები, იხ. 2.60.

13.7. „შეგრძნება“ – სამგჰატას: „შეხამებანი“, ასოციაციები (როგორც გრძნობის ორგანოთა გრძნობის საგნებთან დამაკავშირებელი). ასეთ წაკითხვას ემხრობიან

ელგერტონი და სმირნოვი, რომლებსაც, საყოველთაოდ მიღებული წაკითხვის წინააღმდეგ („აგრეგატი“ ანუ „სხეული“, როგორც „ელემენტთა ერთობლიობა“) ის არგუმენტი მოჰყავთ, რომ ამ შლოკაში ფიზიკური ელემენტები კი არა, თვისებებია ჩამოთვლილი; „ფიქრი“ – ჩეტანა; „აღმქმელი“, ცნობიერება, ჭკუა; „სულის მხნეობა“ – დპრიტი: სიმტკიცე, შეუპოვრობა, რუს.: СИЛА ДУХА, ინგლ.: fortitude; „სახეობა“ – სახეცვლილება.

13.8. „ნება“ – სთჰაირია: სიმტკიცე, გაუტეხელობა, გამძლეობა; „უნებლობა“ – აჰიმსა: ზიანის, ტკივილის არმიყენება.

13.9. „ტანჯვა“ – დუჰჰჰა: ტანჯვა, ტკივილი, უბედურება, მწუხარება, ნალველი, წყენა, ბოროტება, უსიამოვნება; „სნება“ – ვიადჰი: ავადმყოფობა; „ავი“ – დოშა: ნაკლი, შეცდომა, დანაშაული, ზიანი, ავადმყოფული მდგომარეობა, ბოროტება.

13.8.-12. ამ ადგილს „ცოლშვილისა და სხვათა მიმართ მიუჯაჭველობას და საკუთრების გრძნობის არქონადაც“ იგებენ და „ცოლთან და ა.შ. მიუჯაჭველობად და თავის არგაივივებადაც“; „ნუგემს არ გცემს“ – არატი: არ გახარებს, სიამოვნებას არ განიჭებს, არ გამოიძებს. „ჭეშმარიტების წვდომის სურვილი“ – სანსკრ.: „ჭეშმარიტების (სინამდვილის) ცოდნის მიზნად ხედვა“. სმირნოვი თარგმნის: „ჭეშმარიტი ცოდნის მიზნის შეცნობა“; „თვითშემეცნებით მუდამ ნაფერი“ – სანსკრ.: „ადჰიატმას შეცნობისას მუდმივობა“ (ურყევობა) – ასე თარგმნის მთარგმნელთა უმრავლესობა, თუმცა ასეთი ვარიანტიცაა: „უზენაესი სულის შეცნობისას მუდმივობა“. „ადჰიატმას“ ორი მნიშვნელობა აქვს: 1. [სამყაროს] უზენაესი სული და 2. ის, რაც „მე“-ს ეკუთვნის.

13.13. „ზენარ უფალზე...“ – ჰარამ ბრაჰმა: უზენაესი ბრაჰმანი; „არ ითქმის „არი“ და არც „არ არი“ – ბრაჰმანს ჰინდურ ტრადიციაში ასე განმარტავენ: „ნეტი, ნეტი“ („არც ეს, არც ის“). „შეიძლება ვთქვათ,“ ამბობს შანკარა, „რომ ის, რაზეც არაფრის თქმა შეიძლება, არც არსებობს, მაგრამ ბრაჰმაზე ამასაც ვერ ვიფიქრებთ, რადგან გამოთქმა „არსებობს“ უკვე ობიექტივიზაციაა, ბრაჰმა კი წმინდა სუბიექტია. ამგვარად, შეცნობის საგანი, რომელზეც ამ შლოკაშია საუბარი, გრძნობათა მიღმა და მხოლოდ იმით შეიცნობა, რასაც „შაბდა“ („სიტყვა“) ეწოდება, ანუ გამოცხადების მეშვეობით. იგი არ შეიძლება გავდეს საგნებს (ვთქვათ ქოთანს), შესაბამისად ვერც „სატ“ (არსებული) იქნება და ვერც „ასატ“ (არარსებული). ის შეცნობადის და შეუცნობადის მიღმა... და ვერ იქნება არსებული, რადგან არავითარი თვისება არ გააჩნია, მაგრამ ამავე დროს არც არარსებულია, რადგან ყოველივე ცოცხალში ვლინდება“. სვაში ჩინმაიანანდა ასე განმარტავს: „უზენაეს ცნობიერებას, რომელიც შუქს ჰყვებს ყოველგვარ განცდას და გამოცდილების ყველა სფეროს მიღმა არსებობს, ჩვენი აღქმის ქსელში ვერ გავაბამთ, რადგან თვითონაა ყველაფრის აღმქმელი. მის გარდა ყველაფერი ობიექტია, ის კი ერთადერთი სუბიექტია, ამიტომ მას ვერ აღვიქვამთ და ვერ ვიგრძნობთ, მასზე ვერ ვიფიქრებთ და ვერ ვიტყვივით, რომ ის „არის“. მაგრამ ჭეშმარიტებას, ცაში ამოსული ყვავილის ან ადამიანის კუდის მსგავსად „არარსებულსაც“ ვერ დავარქმევთ, რადგან ის თავს სამყაროს სახით ავლენს... სინამდვილეში „არსებული“ და „არარსებული“ ადამიანური გონების ნაყოფია. სული კი ისაა, რაც თვით ვონებას ანათებს. ნათლის მომფენი და ის, რასაც ნათელი ვფენება ერთი და იგივე ვერ იქნება. „სატ“ და „ასატ“ ფიქრის ორი სხვადასხვა ტიპის ტალღებია, სული კი ორივეს ანათებს. ბრაჰმანი „არც არსებობა და არც არარსე-

- ბობა“ – წმინდა წერილი მეტს ვერაფერს გვეტყვის.“
- 13.14. „თავები“ – იხ. ბრაჰმა, 2.46; „მხედველით და მსმენით...“ – სანსკრ.: „ყველგან აქვს ...თვლები, ყურები“; „მისით... სავსეა მიწა და ცისკიელები“ – სანსკრ.: „მოიცავს რა ყოველს, იმყოფება [სამყაროში].
- 13.15. „თვისება და გრძობა“ – იხ. გუნა, 2.45 და ინდრიანი, 2.60; სანსკრ.: „...არაფერს მიჯაჭვული და ყოვლის შემწე, გუნათა არმქონე და [მინც] მათი შემტკობი“.
- 13.18. „ცოდნის მიზანი“ – ანუ განთავისუფლება, განმარტავს შანკარა; „შესაცნობელი“ – „ის, რაც უნდა შეიცნო“, ცოდნის საგანი.
- 13.19. „ჩემი მარადი სიცოცხლე ელის“ – სანსკრ.: ჩემს სიცოცხლეში (ან მდგომარეობაში, იხ. ბჰავა, 7.13.) შედის. ასეც ესმით: „ჩემი ყოფის ღირსია.“
- 13.20. სული – იხ. პურუშა, 8.4; ბუნება – პრაკრიტი, იხ. 3.5; სმირნოვი შენიშნავს, რომ თუკი აქ პრაკრიტიში შაქტის, ანუ პურუშას ქალურ ჰი პოსტასს არ ვიგულისხმებთ, ამ სტროფის ახსნა რთული იქნება. შანკარა განმარტავს, რომ აქ ლაპარაკია ორ პრაკრიტიზე და რომ რომ პრაკრიტი არის ყოველი არსების გამჩენი (შდრ. 7.6.). შანკარას აქ პურუშა და პრაკრიტი ესმის, როგორც იშვარას (მეუფის) ორი „ბუნება“, რომლებიც უსაწყისონი არიან, ისევე, როგორც თვით იშვარა. იშვარას მეუფება იმაში მდგომარეობს, რომ ამ ორი ბუნების მფლობელი, მათი მეშვეობით ის სამყაროს წარმოქმნის, ასულდგმულებს და ანადგურებს. მისი ეს ბუნებანი უსაწყისონი არიან და სამსარის მიზეზს წარმოადგენენ.
- 13.21. სანსკრ.: „პრაკრიტი იწოდება მიზეზის და შედეგის მიზეზად; პურუშა იწოდება სასიამოვნოს და უსიამოვნოს გემოსხილვის მიზეზად“. სმირნოვი თარგმნის: „პრაკრიტი იწოდება მიზნის, საფუძვლის და საქმიანობის მიზეზად“.
- 13.22. სანსკრ.: „პურუშა პრაკრიტიშია და პრაკრიტის მიერ ნაშობი გუნებით ტკეება. გუნებზე მიჯაჭვულობა არის მიზეზი მისი კარგ ან ცუდ საშობი დაბადების“.
- 13.23. „მეუფე ზენა“ – სანსკრ.: მაჰეშვარა (უზენაესი მეუფე, მბრძანებელი, ღმერთი) და პურუშა პარამა (უმაღლესი პიროვნება, არსება, იხ. 8.4.); „ზესთა სული“ – პარამატმა: უზენაესი სული, იხ. 2.55; „ნებას მიმშვები“ – ანუშან: დათანხმება, მოწონება, გამართლება, ნების დართვა.
- 13.24. „ზესთ არსება“ – პურუშა, 8.4; „ბუნების გზები“ – პრაკრიტი (3.5.) და მისი თვისებები (გუნები, 2.45.); „რაც გინდა მოხდეს“ – სარვათჰა (ყოველნაირად, ყველა გაგებით, სრულიად, ყველა საშუალებით, ყველა შემთხვევაში) ვარტმანო (ვარტ: ტრიალი, არსებობა, მოხდენა, ბინადრობა, ადგილის დაკავება). ეს ადგილი სხვადასხვანაირად ესმით: „რა მდგომარეობაშიც არ უნდა იყოს“, „მიუხედავად იმისა, რომ თავის ვალს ადასრულებს“, „მიუხედავად იმისა, თუ როგორი სახით არსებობს“, „თუმცა არსებობას განაგრძობს“ და ა.შ.
- 13.25. „ჭვრეტს“ – მედიტაცია (დჰიანა, იხ. 12.12); „ფიქრია გზა...“ – სანქჰია იოგა, იხ. თავი მეორე; „ქმელება“ – კარმაიოგა, იხ. თავი მეორე.
- 13.26. „გაცხადებულს გულს იმარხავენ“ – სმირნოვი თარგმნის: „სწავლების (შრუტი, იხ. „ვედები“, 2.45.) ერთგულნი“. ასეც ესმით: „მოსმენილს უზენაეს თავშესაფარად (ან მიზნად) სახავენ“. აქ „შრუტი“ ზოგს ვიწრო, კანონიკური მნიშვნელობით ესმის („ვედები“, ვედანტა), ზოგს კი უფრო ფართო (და ამავე დროს პირდაპირი) გაგებით – „მოსმენილი“. ედგერტონი „გამოცხადებას“ თარგმნის.
- 13.29. ასეც ესმით: „აღარასა ვნებს იგი თავის სულს“ (იხ. ატმანი, 2.55.), თუმცა

ეს ეწინააღმდეგება „გიტას“ და ჰინდური ფილოსოფიის საერთო კონცეფციას, რომლის თანახმადაც სული უცვლელია და მისთვის ზიანის მიყენება შეუძლებელია. ელგერტონი შენიშნავს, რომ ვინც ყოველივეში ერთიან „მე“-ს ხედავს, ველარაფერს ავნებს სხვას, რადგან ესმის, რომ ამით საკუთარ თავს ენებს. შანკარა განმარტავს, რომ საკუთარი თავის განადგურება ამგვარად შეიძლება: უმეცარი თავის ფიზიკურ სხეულს აღიქვამს ნამდვილ „მე“-დ, სხვა სხეულში გადასახლების შემდეგ ახალ სხეულს აღიქვამს „მე“-დ და ა.შ. ის კი, ვინც შეიცნო ჭეშმარიტი „მე“, ანუ ატმანი, თავს საკუთარი თავის მეშვეობითვე აღარ იკლავს.

13.34. კმეტრინ: „ველის პატრონი,“ სული.

თავი მეთოთხმეტე – „გუნატრაია-ვიბჰაგაიოგა“

სამი გუნას გარჩევის იოგა

ასეთი ინერპრეტაციაც არსებობს: სამი გუნასაგან განთავისუფლების იოგა. იხ. გუნა, 2.45.

14.1. „აქვე, მიწაზე“ – ეს შლოკა ორნაირად ესმით: „ამქვეყნადვე“ და „ამქვეყნად წასვლის შემდეგ,“ თუმცა სიტყვა „იტასს“ ერთი მნიშვნელობა აქვს: „აქ, აქედან, ამქვეყნიდან“. ზოგი მთარგმნელი ამ სიტყვას ტოვებს და ასე თარგმნის: „რომელი ცოდნითაც ყველა მუნიმ სრულყოფილებას მიაღწია“.

14.2. „გაჩენის დღეს“ – „სარგა“ სამყაროს გამოვლინებას (ემანაცია) ნიშნავს, პრაღაია კი მის უკუპროცესს; „ილუპებიან“ – ვიათჰ (ღელვა, შიში, თრთოლვა, დამწუხრება) აქ ასე ესმით: „არ ილუპებიან,“ „არ ეცემათ,“ „არ ნადგურდებიან“.

14.3. „ბრაჰმა წიაღი იგი...“ – სანსკრ.: „ჩემი საშოა დიდი ბრაჰმა. მასში ვდებ მე თესლს. იქიდან წარმოიქმნება ყოველი არსება, ბჰარატაგ.“ ეს შლოკა მთარგმნელთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ტომსონი და ლორინზური აღნიშნავენ, რომ სიტყვა „ბრაჰმა“ აქ საშუალო სქესისაა, რის გამოც არ შეიძლება გაევივთ, როგორც მითოლოგიური პერსონაჟი. ტელანგს, დეისენს და შრიდჰარას „ბრაჰმაში“ აქ პრაკრიტი ესმით. ასევე ესმის შანკარასაც, რომლის განმარტებითაც „იონი“ (საშო) აქ „მაიას“ ნიშნავს, რომელიც სამი გუნასაგან შედგება და რომელიც არის ბრაჰმა. დევისს ეს შეხედულება მცდარად მიაჩნია და მის წინააღმდეგ მოჰყავს ციტატა „ვიშნუ პურანადან“ (4,1,4): „სამყაროსეულ კვერცხამდე არსებობდა წმინდა ბრაჰმა (პირანიაგარაჰა – ოქროს თესლი), რომელიც წმინდა ვიშნუს ადგილსამყოფელია.“ ჰუმბოლტი შენიშნავს, რომ კრიშნა ბრაჰმას ერთარსია, მაგრამ ბრაჰმა მარადისობაში მსუვევი პირველადი ძალაა, კრიშნა კი გამოვლენილი, პიროვნული ღმერთი. ოტო შრადერს მოჰყავს ციტატა „მუნდაკა უპანიშადდან“: „მბრძანებელი პურუშა ბრაჰმას საშოს ანაყოფიერებს“. იგი ხაზს უსვამს „მუნდაკა უპანიშადას“ მიერ ბრაჰმას იდეის მატერიალისტურ გაეებას და ამბობს, რომ ამ ციტატის ფონზე გასაგები ხდება ბევრისთვის ასეთი ამოუცნობი „გიტას“ ეს შლოკაც. დასგუბტა შენიშნავს, რომ პრაკრიტი ქალური საწყისია, პურუშა კი მამაკაცური – მისი გამანაყოფიერე-

ბილი. ჩინმაიანანდას აზრით აქ პრაკრიტი „დიად ბრაჰმად“ იმიტომ იწოდება, რომ ბრაჰმა

არის სამყაროს გაჩენის მიზეზი – მისგან, როგორც „საერთო პოტენციური ფაქტორისგან“ წარმოიქმნება ყოველივე.

14.5. „სატვა, რაჯასი და ტამასი“ – იხ. გუნა, 2.45.

14.7. „ტყვეობა“ – მიჯაჭვულობა. ასეც ემით: „ის წადილისგან და მიჯაჭვულობისგან იშვის“.

14.8. „ბანგავს“ – პრამადა, იხ. 14.13.

14.9. აქ „უმეტერების“ ნაცვლად „დაუდევრობაც“ ესმით.

14.12. სანსკრ.: „სინარბე, საქმიანობა (პრაკრიტი: გამოვლინება... მოღვაწეობა), ფხიანობა საქმეებში (არამბჰა: წამოწყება, აღება, ჩაბლუჯვა, ნების გამოვლინება (რუს.: волеизъявление), предприимчивость (სმირნოვი), საქმეების წამოწყება (ჩინმაიანანდა), მოუსვენრობა და ჟინი (სბრჰა: სურვილი, რუს.: вожеление) – ეს ყველაფერი მაშინ ჩნდება, როცა რაჯასი სჭარბობს.“

14.13. „უგულისყურო“ – პრამადა: თრობა, გაბრუება, აღტაცება, უყურადღებობა, უგულისყურობა, დაუდევრობა, უდარდელობა, განუსჯელობა; „გზა-კვალი თუ აგრევა“ – იხ. მოჰა, 2.52; „მცონარება“ – აპრაკრიტი: ინერტულობა, უქნარობა.

14.14. „ზენარის“ – უტამა: უმაღლესი, უზენაესი, (გადატ.) საუკეთესო. ტომსონი შენიშნავს, რომ სიტყვა „ლოკა“ (სამყარო) აქ მრავლობით რიცხვში დგას, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ აქ „შედარებით მაღალზეა“ საუბარი, რადგან „უმალღესის“ მისაღწევად მხოლოდ „სატკიურობა“ არ კმარა, ამისთვის ყველა გუნას გადალახვა საჭირო.

14.17. „სინარბე“ – „ლობჰას“ სურვულადაც თარგმნიან; „სიბრმავე“ – იხ. მოჰა, 2.52; „დაუდევრობა“ – პრამადა, იხ. 14.13.

14.18. „ცად მალღლებიან“ – სანსკრ.: „მალღა ადიან“; „რაჯასეულნი“ – რაჯასი ევროპული გაგებით „ავხორცობას“ კი არ ნიშნავს, არამედ ენებას, როგორც ზოგადად სწრაფვას, მოძრაობას; „იქვე“ – სანსკრ.: შუაში; „დაცემას ვერსაით გადურჩებიან“ – სანსკრ.: ქვემოთ ეშვებიან. „მალღა“ და „ქვემოთ“ აქ გარდასახვათა იერარქიული საფეხურების მნიშვნელობით ესმით. იშვარაკრიშნას „სანქჰიაკარიკაში“ 14 ასეთი საფეხური და გუნათა შესაბამისი 3 კლასია ჩამოთვლილი. პირველ კლასში 8 საფეხური შედის:

1. ბრაჰმა, როგორც უზენაესი ღმერთი,
2. პრაჯაპატი, როგორც კაცობრიობის წინაპარი,
3. საუმი, ანუ მთვარის სხეული,
4. ინდრა და დაბალი საფეხურის ღმერთები,
5. განდჰარვები – მსახურები, „ანგელოზები“, 6. რაკშასები,
7. იაკშასები, 8. პიშაჩები. მეორე კლასში მხოლოდ ერთი საფეხურია: 9. ადამიანები. მესამე კლასს ადამიანზე დაბალი საფეხურის არსებები მიეკუთვნება:
10. შინაური ცხოველები,
11. ფრინველები,
13. ქვეწარმავლები, თევზები და მწერები,
14. მცენარეები და არაორგანული სხეულები.

აქ და სხვაგან მოყვანილი ჰინდური წარმოდგენები საჭიროა ჰინდურ სამყაროში უკეთ გასარკვევად, თუმცა აუცილებელი არ არის ყოველთვის „გიტას“ კოსმილოგიის

ნაწილად აღვეკათ, რადგან ეს ნაწარმოები ხშირად ორთოდოქსული ჰინდუიზმისთვისაც კი მიუწვდომელი, ბევრად უფრო ფართო თვალსაწიერით გამოირჩევა.

14.19. „ეს სამი...“ – სანსკრ.: „როცა მხედველი (დრაშტან: რუს.: созерцающий, ინგლ.: seer) სხვა მოქმედს ველარ ხედავს, გარდა გუნებისა...“

14.20. სანსკრ.: „როცა ხორცილ მოსილი [სულიერი] ამაღლდება სამ გუნაზე, რომლისგანაც წარმოიქმნა სხეული, თავს დააღწევს დაბადებას, სიკვდილს, სიბერეს და ტკივილს და უკვდავებას მიაღწევს“.

14.21. „ბუნებისაგან“ – სანსკრ.: სამი გუნისგან (იხ. 2.45.).

14.22. შანკარა და რამანუჯა მიუთითებენ, რომ ეს სამი გუნის ნიშან-თვისებებია: „სინათლე“ სატვას ახასიათებს, „საქმიანობა“ რაჯასს, მოჰა (იხ. 2.52.) კი ტამასს; „არ მოიძულა“ – „გუნები მიმოდიან და როგორც ტალღები ოკეანეზე, პრაკრიტიში ჩნდებიან და მასშივე ქრებიან, მისგან განუყოფელი. ადამიანი მასთან მოსულ გუნებს ზურგს არ აქცევს და არ აკრთობს ის აზრი, რომ რომელიმე მათგანის ზემოქმედების ქვეშ იმყოფება“ (სმირნოვი).

14.23. სანსკრ.: „ვისაც, „ჩაურევლად“ (უნასინ: რუს.: безучастный) მჯდომს გუნები ველარ არყევენ, ამბობს, გუნები მოქმედებენ (იხ. ვარტ, 13.24.), განზე რჩება (ავატიშოჰა: მყოფი, მდგარი) და არ კრთება (ინგ: შერხევა, ძვრა).“ ავატიშოჰას ასეც თარგმნიან: „საკუთარ თავში კონცენტრირებული რჩება“.

14.24. აქ გამოტოვებულია „სვასთჰა“, რომელსაც ქართულში შესატყვისი არ აქვს. ესა „თავის თავში მყოფი (ან განმტკიცებული).“ „სულში მყოფად“ იგებენ.

14.25. ასეც ესმით: „ვინც ყველა წამოწყების დროს „კეთების განცდასა“ მოკლებული“.

14.26. „ეზიარება“ – სანსკრ.: „ბრაჰმას ყოფიერების შესაფერისი გახდება“.

14.27. „დჰარმა“ – იხ. 1.40; „სიხარული“ – სუქჰა: ბედნიერება, სიხარული, სიმსუბუქე, სიმშვიდე, ნეტარება.

თავი მეთხუთმეტე – „პურუშოტამა-იოგა“

უზენაესი სულის იოგა

პურუშოტამა: საუკეთესო ადამიანი, პიროვნება, უზენაესი სული (ვიშნუსა და კრიშნას ეპითეტი)

15.1. აშვათჰა – შანკარას აზრით აქ სამსარა (სიკვდილ-სიცოცხლის წრებრუნვა) იგულისხმება. ედგერტონს მოჰყავს ციტატა „კათჰა უპანიშადიდან“: „მაღლა ფესვებით, ქვემოთ კი ტოტებით დგას მარადისი ხე აშვათჰა. იგი წმინდაა, იგია ბრაჰმა, მას ეწოდება „უკვდავი“, მასშია ყველა სამყარო და არავის ძალუქს მისი ძლევა.“ შემდეგი სტროფებიდან ჩანს, რომ „გიტა“ მის ძლევას აუცილებლად თვლის, რაც თანხმობაშია შანკარას მოსაზრებასთან; „გალობა“ – ვედური ჰიმნები; „წერილები“ – „ვედეები“.

15.3. „ძირი“ – სამპრატიშოჰა: საყრდენი, საფუძველი. სიგრძელად იგებენ.

15.4. სმირნოვი ასე თარგმნის: „უნდა ესწრაფოდე იმ გზას, (ჰადა: ნაბიჯი, ადგილი, მდგომარეობა) რომელზე შემდგარნიც [უკან] აღარ ბრუნდებიან; მე მიმყავს [სუ-

ლიერი] იმ დაუსაბამო სულთან, რომლისგანაც წარმოიქმნა უძველესი [სამყაროს] გამოვლინება.“

15.5. „ნდომა“ – მიჯაჭვულობა; „სული“ – ადჰიატმა: უზენაესი სული; „ბრძობა“ – მოპა, იხ. 2.52; „გაორება“ – ღვანდვა, იხ. 2.45; „დაევანება“ – სანსკრ.: „...ის – შეუმცდარი (ამუღლა: „თავგზაუბნეველი, რუს.: НЕЗЛУЖДАЮЩИЕСЯ), მარადიულ ადვილს (ან მდგომარეობას (პადა)) აღწევს.“ სმიონოვი „პადას“ აქაც „გზად“ თარგმნის.

15.7. სანსკრ.: „ჩემი ნაწილი ცოცხალთა სამყაროში მარადიულ სულად იქცევა და პრაკრიტიში მყოფ გრძნობებს, რომელთაგან მეექვსე მანასია (იხ. 2.60.), თავის ირგვლივ იკრებს“. „სული“ – ჯივა: ცოცხალი, სული; „გრძნობები“ – ინდრიები. სმიონოვი შენიშნავს, რომ აქ მხოლოდ აღქმის ორგანოებზეა საუბარი. შანკარა სვამს კითხვას, როგორ შეიძლება არსებობდეს განუყოფელი ბუნების მქონე ატმანის ნაწილი და თავადვე პასუხობს, რომ „ნაწილაკი“ მხოლოდ უმეცრების გამო გვეჩვენება ასეთად.

15.8. სანსკრ.: „როცა სხეულს იძენს და როცა ტოვებს [მას], იშვარა (იხ. 4.6.) მათ იღებს და მიაქვს, როგორც სურნელებანი [მიაქვს] ქარს თავიანთი ადგილებიდან“; „ფიქრს და გრძნობებს“ – იგულისხმება მანასი და ინდრიები (იხ. 2.60.).

15.9. „ცნობა და გული“ – იხ. მანასი, 2.60.

15.10. სანსკრ.: „წასული თუ აქ მყოფი, გუნებით გარშემორტყმული და დამტკბარი...“

15.11. „[სრულქმნისათვის] გადუღევს თავი... რა გინდ ეცადოს“ – ორივე შემთხვევაში იატ: თავის რაიმესთვის მიძღვნა, მცდელობა (იატი – განდევილი, ასკეტი).

15.12. „ჩემგან მოედინება“ – სანსკრ.: „ჩემი ნათელია“.

15.13. „მიწაშიც მე ვარ...“ – სანსკრ.: შეველივარ რა მიწაში...“; „ნამს რომ ჰყვნს... მთვარე“ – სანსკრ.: „ვხდები რა ნამისმომფენი მთვარე, მე ვასაზრდობ მცენარეებს“ (რასატმაკა: ცვრიანი, წყლიანი, გემრიელი რასა: წვენი; არსი; ნაყოფის გემო; სიცოცხლის ელექსირი; სომა: აქ: მთვარე. იხ. 2.45.).

15.14. „ცეცხლი“ – ვაიშვარანა: „ის, რაც ყველა ადამიანს აქვს“. ცეცხლის მრავალრიცხოვან სახელთაგან ერთ-ერთი. სანქჰიას მოძღვრების თანახმად ის იმ მესამე სასიცოცხლო ცენტრში (ჩაკრა) მდებარეობს, რომელიც მზის წნულს შეესაბამება და საჭმლის მომხელეებელ ცეცხლს წარმოადგენს; „სუნთქვასთან“ – სანსკრ.: პრანასთან და აპანასთან (იხ. 4.27). ეს ტერმინები აქ ფართო მნიშვნელობით, „სასიცოცხლო ძალად“ უფრო ესმით; „შეჭამანი“ – სანსკრ.: „ოთხი სახის საკვები“. ინდოელები საკვებს ასე ახარისხებენ: 1. საღეჭი, 2. გადასაყლაპი, 3. საწუწნი, 4. გასალოკი.

15.16. სანსკრ.: „ორგვარია პურუშა (იხ. 8.4.) – წარმავალი და წარუვალი, კუტასთჰას („მწვერვალზე მყოფი“, იხ. 6.8.) კი წარუვალი ეწოდება.“ სმიონოვი ასე თარგმნის: „...წარუვალს, რომელიც ყველა არსებაში წარმავალია, მწვერვალზე მყოფი ეწოდება.“

15.17. სანსკრ.: „...მაგრამ უზენაესი პურუშა (იხ. 8.4.) სხვა...“; ატმანი, იხ. 2.55.

15.18. „ზესთა სული“ – პურუშოტამა („უზენაესი სული“). სმიონოვი შენიშნავს, რომ ეს ტერმინი ჰინდურ ლიტერატურაში პირველად „გიტას“ შემოაქვს. „უპანიშადებში“ იგი არ გვხვდება, თუმცა ზოგიერთ „უპანიშადში“ სამ, ხუთ, რვა და თხუთმეტ პურუშაზეც კია ლაპარაკი. „გიტას“ ამ თავის 16-18 სტროფებში სამი სახის პურუშაა ნახსენები (კშარა („წარმავალი“), აკშარა („წარუვალი“) და „ამ

ორზე მაღლა მდგომი“), რაშიც, სრულიად საფუძვლიანად, წინააღმდეგობას ხედავენ, რადგან „წარუვალ პურუშაში“ უკვე იგულისხმება უკიდურესი სრულყოფილება. უზენაეს სრულყოფილებაზე მაღლა მდგომი პიროვნების იდეაში სმირნოვი საკუთარი ღვთაების ყველაფერზე მაღლა დაყენების ვიწმუიტთა სექტანტურ სურვილს ხედავს. ამის გამო ამ შლოკებს ზოგი მკვლევარი სექტანტურ ინტერპოლაციადაც კი მიიჩნევს, თუმცა კუმარ დევი განმარტავს, რომ არსებობს სხვა შესნედულებაც, რომლის მიხედვითაც სწავლება „პურუშოტამას“ შესახებ უძველესი, თუმცა დამახინჯებული სწავლებაა, რადგან ცნება „აკშარამ“ თავისი პირვანდელი მნიშვნელობა, „უმაღლესი ბრაჰმანი,“ დაკარგა. შანკარას „აკშარას“ ცნებაში ესმის პურუშა, როგორც კოსმოსის წარმომქმნელი პირველმიზეზი („კშარა პურუშა“). ეს შემოქმედებითი საწყისია, რომელსაც მეორენაირად „თვისებიანი ბრაჰმა“ ეწოდება. ასეთ შემთხვევაში პურუშოტამა არის „უთვისებო ბრაჰმა“. შრიდჰარა წერს: „კუტასთჰა ცნობიერების შემგრძნობია და ბრძენნი მას „აკშარა პურუშას“ უწოდებენ“. კუმარ დევის შანკარას და შრიდჰარას კომენტარები იმის საბუთად მიანჩნია, რომ სწავლება სამი პურუშას შესახებ უძველესია. მისი აზრით, აქ ინტერპოლაციაზე საუბარიც კი ზედმეტია, რადგან ეს მთლიანი და გააზრებული მოძღვრებაა, აზრის სიცხადე კი მხოლოდ მაშინ იკარგება, თუკი პურუშოტამაში, ვიწმუიტების მსგავსად, კრიშნას ვიგულისხმებთ, რაც სულაც არ არის აუცილებელი. ბევრი კომენტატორის აზრით, კრიშნა შეიძლება გავივით, როგორც სიმბოლო, როგორც უზენაესის ხმა ადამიანში. კუმარ დევის განსაზღვრებით, პურუშოტამა სუბიექტურ რეალობაზე მაღლა მდგომი, ერთადერთი, აბსოლუტური და მიდმიერი სინამდვილეა. მიუხედავად ამისა, ის თავის თავს იდეალური სამყაროსეული ადამიანის სახით ავლენს, რომელიც გუნებთან წილნაყარია, თუმცა მათით არ ამოიწურება. ის კლინდება და მაინც გამოუვლენელი რჩება. აურობინდო გჰოშის განმარტებით, არსებობს პურუშას ორი განსხვავებული მდგომარეობა: კოსმიური და ზეკოსმიური. აქედან პირველი ერთდროულად „წარმავალი და წარუვალა“ („კშარა“ და „აკშარა“), მეორე მდგომარეობა კი ამით მიღმა და ამიტომ უპიროვნოა; „წერილი“ – „ველები,“ იხ. 2.45.

15.20. ამ შლოკში გვხვდება ეპითეტი ანაგჰა („უცოდველი“). ასე კრიშნა მიმართავს არჯუნას; „ვალი“ – საკეთებელი. სმირნოვი ასე თარგმნის: „მისი შემცნობი ხდება ბრძენი, რომელსაც ყველა გასაკეთებელი საქმე გაკეთებული აქვს“. იშვიათად ასეც ესმით: „და საქმესაც უკეთ უძღვება“.



თავი მეთექვსმეტე – „ღაივასურასამპატვიბჰაგა-იოგა“ ღვთაებრივისა და ეშმაკეულის გარჩევის იოგა

ასეთი ვარიანტიც არსებობს: ღვთაებრივი და ეშმაკური ხვედრის გარჩევის იოგა.

- 16.1.-3. „წმინდად ცხოვრება“ – „სატვა-სამშუდჰირ“ (სამშუდჰი: სიწმინდე, უმანკობა, უმწიკვლობა უცოდველობა. სატვა: არსებობა, ხასიათ, ბუნება, ცნობიერება). სმირნოვი „სულიერ სიწმინდე“ თარგმნის, ჩინმაიანანდა კი „გულის სიწმინდე“; „სიბრძნის მიყოლა...“ – სანსკრ.: „ჯენანა-იოგას მტკიცედ მიყოლა.“ სმირნოვი ასე თარგმნის: „შეუპოვებლობა იოგას შეცნობაში“; „ტანჯვათა თქენა“ – ასკეზა; „სიხარბის ძლევა“ – ალოლუპტვა: სიხარბისგან, ასევე ვნებებით აღგზნებისგან და სიმცდარისგან (მოჰა) თავისუფლება; „რიდი“ – ჰრი: მორცხვობა, მოკრძალება; ერთგან „წმინდა წერილთა კანონების დარღვევის რიდადაც“ იგებენ; სიღინჯე – აჩაპლა: „არაქარაფ-შუტობა,“ რუს.: несут.ливость; „ამპარტავნება“ – ატიმანიტა: საკუთარ თავზე მტისმეტად დიდი წარმოდგენის ქონა, ქედმაღლობა; „ბოლმა და შური“ – ადროჰა: რუს.: не враждиность, отсутствию зависти, კეთილისმოსურნობა;
- 16.4. დამბჰა: ბირმოთნობა, ცბიერება; „კადნიერება“ – დარჰა: თავხედობა, ქედმაღლობა. სიამაყე, თავშეუკავებლობა, თავაშეგებულება, უსირცხვილობა; „უკადრისობა“ – აბჰიმან: საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა, გოროზობა (სიამაყედაც თარგმნიან).
- 16.8. სანსკრ.: „ისინი ამბობენ – სამყარო ჭეშმარიტების, [მორალური] საფუძვლის, ღმერთის (იშვარას) გარეშეა და მიზეზ-შედეგობრიობისგან არ წარმოქმნილა. ვნების გარდა რა უნდა ყოფილიყო მისი მიზეზი?“
- 16.9. „ამკლები“ – კშაია: დაცემის გამოწვევი, დამანგრეველი.
- 16.10. „მისდევს, მიჰყვება უწმინდურ მიზნებს და სიბნელეში ბნელს ეჭიდება“ – „სიბრძნით (მოჰა, იხ. 2.52.) გამოწვეულ საშინელ (უნამდვილო, ბოროტ (ასატ)) იდეებს (ან წამოწყებებს) ეჭიდება და უწმინდურ გადაწყვეტილებებს მისდევს.“ ასეთ ვარიანტს ემხრობა ჩინმაიანანდა. სმირნოვი თარგმნის: „...უწმინდურ წეს-ჩვეულებებს მიჰყვება.“ ვრატა: ნება, ბრძანება, კანონი, დავალება, ცხოვრების წესი, ჩვევა, რიტუალი, აღქმა (ასეც თარგმნიან), წესრიგი, განაწესი, მოვალეობა (განს. რელიგიური).
- 16.11. სანსკრ.: „ეძლევა რა უამრავ საზრუნავს (ჩინტა – ფიქრებს (სმირნოვი), ორივე შესაძლებელია), რომლთა ბოლოც მხოლოდ სიკვდილია, ვნების დაკმაყოფილებას უმაღლეს [მიზნად] საზავს და ფიქრობს: ესაა [ცხოვრება, ყველაფერი].“
- 16.13. სანსკრ.: „ეს ხომ მიველი (ლაბჰ: მიღება, შოვნა, მოპოვება, მიღწევა) დღეს, ამ სურვილს ავისრულებ, ეს ჩემია და მომავალში ის სიმდიდრეც ჩემი იქნება.“
- 16.14. „ვწირავ“ – სანსკრ.: „მსხვერპლშეწირვებს აღვაკლენ...“
- 16.16. „სიმცდარე“ – იხ. მოჰა, 2.52; „ქვესკნელი“ – ნარაკა: ჯოჯოხეთი.
- 16.19. „...მე მათ, კაცთა შორის უმდაბლესთ... გამუდმებით (ავასრამ: განუწყვეტლივ) სამსარაში (იხ. 12.6.-7.), დემონურ (იხ. ასურა, 11.22.) საშოებში ვისვრი.“ სვამი ჩინმაიანანდა განმარტავს: „არასწორი ქმედება არასწორ მიდრეკილებებს ტოვებს, რომელთა გავლენის ქვეშ მყოფი „სხეულის სტუმარი“ სიკვდილის შემდეგ შესაბამის საარსებო ველს საჭიროებს...“
- 16.20. „დაბლებიდან დაბლებამდე სულ უფრო ბრძალებიან“ (იხ. მოჰა. 2.52).
- 16.22. „სიკეთე“ – სანსკრიტულ „შრეიას“ სხვა ენებზე შესატყვისი არ მოეძებნება. ის არა მხოლოდ „კარგს“ ნიშნავს, არამედ იმას, რასაც არა მხოლოდ ადამიანისთვის მოაქვს ბედნიერება, არამედ მის ირგვლივ მყოფათათვისაც.
- 16.23. „წერილი“ – „მასტრა“: რჩევა, წესი, სწავლება (განსაკუთრებით „ველებისა“ და ვედანტის).

თავი მეჩვიდმეტე – „შრადჰატრაია-ვიბჰა-გაიოგა“

სამგვარი რწმენის გარჩევის იოგა

17.1. „წერილი“ – „შასტრა“, იხ. 16.23. ღვთაებრივი წარმოშობის ან დიდი ავტორიტეტის მქონე წიგნი, განს. კანონთა წიგნები; „არ სდევს“ – უსტრჯია: ზურგს აქცევს, უარყოფს; „რწმენა“ – ნიშთჰა: მდგომარეობა, პოზიცია, აზრი, ერთგულება, ცოდნა, გადაწყვეტილება.

17.2. „მისსავ ბუნების დარი“ – სვაბჰავა-ჯა: „მისივე ბუნების მიერ ნაშობი“. შანკარას აზრით „სვაბჰავაში“ „ინდივიდუალური ბუნება“, ანუ განვლილი სიცოცხლეების მანძილზე გამოუმუშავებული მიდრეკილებები, სხვადასხვა უნარი და ა.შ. იგულისხმება.

17.3. „აკაც რწმენა აქცევს იმად, რაც არი...“ – შრადჰამაია: „რწმენისგან შედგარი, წარმოდგარი“; სმირნოვი თარგმნის: „აღამიანი რწმენით არის სავსე“, უმეტესად კი ასე თარგმნიან: აღამიანი [თავისივე] რწმენისგან შედგება“. ასეთი ვარიანტიც არსებობს: „აღამიანის ბუნებას რწმენა შეადგენს“ (რწმენისგანაა შექმნილი).

17.4. „ავსულეზს“ – იაკშასები და რაკსშასები, იხ. 10.23; „აჩრდილებს... წასულთა სულეზს“ – პრეტა და ბჰუტა. ამ ორი სახის სულეზი, როგორც წესი, ერთად მოიხსენება. „პრეტა“ ზოგადად მიცვალებულის სულს, აჩრდილს ნიშნავს (და არა წინაპარს – პიტა), „ბჰუტა“ კი სტიქიათა (ცეცხლის, წყლის, ჰაერის და ა.შ.) სულეზს.

17.5.-6. „წერილში“ – „შასტრა“, იხ. 16.23; „ძლიერ ევნება“ – სანსკრ.: „საშინელ ასკეზას გადის“; „თაღლითს“ – დამჰჰა: ცბიერება, პირმოთხეობა, თვალთმაქცობა, ფარისეულობა; „ძალაუფლება“ – ბალა: ძალაუფლება, ძალა, ძალადობა. სამივე ვარიანტი გვხვდება; „სურვილი, ვნება“ – იხ. კამა და რაგა, 7.11. სმირნოვს აქ „ვნება და ავხორცობა“ ესმის.

17.7. „თმენა“ – ტაპას: ასკეზა.

17.8. სანსკრ.: „რასაც დღევრძელობა, სატვა (სიწმინდე, სიმშვიდე (სმირნოვი აქ „სიმტკიცედ“ თარგმნის)), ძალა, ჯანმრთელობა, ბედნიერება და მხიარულება მოაქვს, რაც გემრიელია, მსუბუქი (სნივდჰა: მსუბუქი, ნაზი, ზეთოვანი, ცხიმოვანი (ასეც თარგმნიან)), მარგებელი და სასიამოვნო...“

17.9. „ვნებიანს“ – რაჯასეულს; „ვნების მომტანი“ – ამია: ზიანი, ავადმყოფობა.

17.10. „უგუნურს“ – ტამასეულს; „ნარჩენი“ – რადგან დღე და ღამე ოთხ სამ საათიან ნაწილად, ანუ „იამებად“ იყოფოდა, „გატაიამა“ „სამი საათის წინ მომზადებულს“ ნიშნავს; „ბინძური“ – უწმინდური, „წირვისთვის უვარგისი“.

17.13. „ულოცველი“ – სანსკრ.: „მანტრების“ გარეშე“. „მანტრა“: კვლეური წმინდა ჰიმნები. 17.14. „მოძღვის“ – ან მშობლების, „გურუ“ ორივეს ნიშნავს; „ხორცის მწვრთნელობა“ – „შარირა ტაპა“ – სხეულისმიერი, ხორციელი ასკეზა.

17.16. „აუმღვრეველობა“ – მანოპრასადა: ფიქრის, გულის (იხ. მანას, 2.60.) სიმშვიდე, უმფოთველობა; „ფიქრის მთოკავი“ – „ფიქრის ასკეზა (ტაპას)“, იხ. მანას, 2.60.

17.17. „ურყევად“ – იხ. ოუკტა, 4.18. აქ „ერთგულადაც“ ესმით. ასეთი წაკითხვაც არის: „თუ იოგის მიერ სრულდება“, „რწმენით“ – სანსკრ.: „უმაღლესი რწმენით“.

17.18. „თუ დაფასებას, პატივს დაიქმნის...“ – სუტკარა: პატივისცემა (დიდება (სმირნოვი)). მანა: სახელი, პატივი, პატივისცემა, სიამაყე. პუჯა: თაყვანისცემა, პატივი;

- „მიუნდობელი“ – ჩალა: მერყევი, არამტკიცე.
- 17.19. „ბრიყული“ – მუღჰა: სულელური, გზაბნეული (რუს.: зѣн.пудшій), გამოუცდელი, შეშლილი.
- 17.21. სანსკრ.: „თუ საზღაურის მიღების ან ნაყოფის მომკის მიზნით გაცემდი...“.
- 17.22. „აგდებულად“ – ასატკრტამ: პატივისცემის გარეშე; „ზიზლით“ – ავაჯნატა: არად ჩაგდება, შეურაცხჰყოფა, გაკიცხვა, ზიზლი.
- 17.23. „მოდღარი“ – ბრაჰმანი, იხ. ვარნა, 4.13. შეიძლება ვედური ლიტერატურის წიგნები, „ბრაჰმანებიც“ იგულისხმებოდეს.
- 17.24. სანსკრ.: „ვედების“ მითითებისამებრ, საქმის დაწყებამდე „აომ“-ს წარმოთქვამენ უფლის მცოდნენი“. აქ „ბრაჰმას მცოდნენიც“ ესმით და „ბრაჰმანების“, ან „ვედების“ მცოდნენი ან შემსწავლელნიც“; „წროთბა“ – აქ და მომდევნო სტროფში: ტაპას, ასკეზა.
- 17.27. „თავის წროთბა“ – ტაპას: ასკეზა; „ქველმოქმედება“ – დანა: გაცემა, ჩუქება, გულუხვობა.
- 17.28. „ტყუილი“ – საინტერესოა სიტყვა „ასატის“ სემანტიკა, რომელიც ჰინდურ მსოფლგანცდაში ბოროტების არასუბსტანციურობაზე მიგვითითებს: არარსებული, არარეალური, უსამართლო, ცუდი არსის არ მქონე, არარსებობა, ტყუილი, ბოროტება. იხ. სატ, 2.16.

თავი მეთვრამეტე – „მოკშა-სანიასა-იოგა“

განდგომით განთავისუფლების იოგა

ასეთი ვარიანტიც არის: განდგომის იოგა

- 18.1. „განდევლობა“ – სანიასა: [ამსოფლიური ცხოვრებისგან] განდგომა, განდევლობა; „განდგომა“ – ტიაგა: დატოვება, მიტოვება, მოცილება, უარის თქმა [საკუთარ თავზე, ამსოფლიურ ცხოვრებაზე]. ზოგან ნათარგმნია, როგორც „უარი“. სმირნოვი აღნიშნავს, რომ ამ ორი ტერმინის თარგმნა ძალზე ძნელია, რადგან ევროპულ ენებზე მათი შესატყვისი სიტყვები არ არსებობს, თუმცა მათი მნიშვნელობები იმდენად მსგავსია, რომ ხშირად სანსკრიტულ ტექსტებშიც ერთმანეთში ერევათ. შანკარა შენიშნავს, რომ ამ ორ სიტყვას თითქმის ერთნაირი შინაარსი აქვს; „გულთა მჰყრობელი“ – იხ. ჰრიშიკეშა, 1.15; „დემონის მკვლელო“ – კემინისუდანა: „ბოროტი სულის, კემინის მკვლელო“.
- 18.2. „სურვილებისთვის შრომის უარყოფის“ ნაცვლად სმირნოვი აქ „სასურველი საქმეებისგან განდგომას“ თარგმნის; კამა, იხ. 2.43; „ბრძენი“ – აქ: კავი და ვიჩაჰ-შანა, იხ. 2.69.
- 18.3. სანსკრ.: „ზოგი მოაზროვნე (მანუშინ) ამბობს...“; „თავის წროთბა“ – აქ: ტაპას, ასკეზა.
- 18.6. სანსკრ.: „...ესაა ჩემი საბოლოო (გადაწყვეტილი) და უმაღლესი აზრი (სწავლება)“.

18.7. „დაკისრებული“ – ნიათა: დაწესებული, განსაზღვრული, სწორი. „რელიგიური მოვალეობის“ ვიწრო მნიშვნელობითაც ესმით და „სავალდებულოდაც“ თარგმნიან; „ვალი“ – კარმა; საქმე, მოვალეობა; „უგნურებაა“ – ტამასისეულია, იხ. გუნა, 2.45; „უშეცრება“ – იხ. მოკა, 2.52.

18.8. სანსკრ.: „ვიც საქმე მიატოვა, რადგან ფიზიკური ტანჯვის ეშინია...“

18.10. „წყნარს“ – იხ. სატვა, 2.45; „...არც სასიამოვნო საქმეს ეგვჯვება, არც უსიამოვნო სძულს“.

18.11. „მოკვდავს“ – დეჰა-ბჰრტ: „სხეულის მატარებელი“, არსება, ადამიანი.

18.12. „ამოს, უაშურს, ანდა ტკბილ-მწარეს“ – იშტა: სასიამოვნო, სასურველი, სასიკეთო. ანიშტა: უსიამოვნო, საზიანო. მიშტა: შერეული.

18.13. სანქჰია: იხ. თავი მეორე. ეს ადგილი ორნაირად ესმით: 1. ისინი (საქმის მიზეზები) განსჯით (სანქჰია) აშკარავდება; 2. „როგორც სანქჰიას [სისტემაში] გაცხადებული“. ზოგი ტრადიციული კომენტატორი „სანქჰიამ“ აქ სანქჰიას ფილოსოფიურ სკოლას გულისხმობს, ზოგიც – ვედანტას („უპანიშადებს“). მიუხედავად უამრავი თანხვედრისა, „სანქჰიას“ და „გიტას“ მოძღვრებებს შორის მსოფლმხედველობრივი სხვაობაც არის. გარდა სხვა მნიშვნელობით წაკითხვის შესაძლებლობას ნაკლებად იძლევა.

18.14. „მოქმედი“ – კარტარ: შემოქმედი, შემოქმედი, ავტორი, შემდგენელი. შანკარა ამ ტერმინს განმარტავს, როგორც „განმცხრომელს“, ანუ სულს, რომელიც „უპადჰის“ (ტყუილი, ზმანება) ზემოქმედების შედეგად საკუთარ თავს ნებისმიერი გარეგანი სიამოვნების ინტელექტუალურ და მენტალურ მოთხოვნასთან აიგივებს. ჩინმაიანანდა მას თარგმნის, როგორც „ეგოს“ და განმარტავს, რომ „ეგოს გარეშე სხეული ვერც აღიქვამს სამყაროს და ვერც რეაგირებას მოახდენს მასზე. [ეგო-ისტურ] სურვილთა ასასრულებლად საჭიროა მოაზროვნე პიროვნება, რომელიც მათ ასრულებას ისურვებს და ამ მიზნით სხეულს გარეგან საგანთა სამყაროში გაშუღებით დაასაქმებს, ამისათვის კი მას „აღქმის ინსტრუმენტები“ (კარანა, „სხეულის ასო სხვადასხვაგვარი“) სჭირდება. ამის გარეშე შინაგანი პიროვნება მის გარშემო გადაშლილ „სიამოვნების ველთან“ კავშირს ვერ დაამყარებს.“ „განგების ნება“ – „დაივას“ სმირნოვი „განგების ნებად“ თარგმნის. ზოგ კომენტატორს „ხუთ ელემენტალურ ძალად“ ანუ სხეულის ფუნქციათა (მაგ.: ხედვის, ან სმენის) აღმასრულებელ ღვთაებად ესმის. ჩინმაიანანდას განმარტებით „აქ „ღვთაებები“ მხოლოდ ტექნიკური სახელწოდებაა. აღქმის ორგანოებს ხუთი დიდი ელემენტი წარმართავს.: თვალს – ცეცხლი, ყურს – ეთერი (აკაშა, იხ. 7.4.), ენას – წყალი, კანს – ჰაერი, ცხვირს კი – მიწა; „სხეული მისი“ – ადჰიშოჰანა: ადგილი, ადგილსამყოფელი, ძალა, ფილოს.: სუბსტრატი (მოვლენათა საერთო საფუძველი), პოზიცია, მდგომარეობა, გადატ.: სფერო, ელემენტი. როგორც წესი, „სხეულს“ თარგმნიან. შანკარას განმარტებით, ადჰიშოჰანა (ანუ „საგანი“, „ადგილი“) სხეულია, როგორც სურვილთა სამყოფელი. იხ. 4.6; „ზრახვა“ – ჩეშოჰა: მოძრაობა და განზრახვა; ПОБУЖДЕНИЯ (სმირნოვი). ჩინმაიანანდა „მოქმედების ორგანოებად“ თარგმნის. „ძალისხმევად“ და „სხეულში ნიცოცხლის მოძრაობადაც“ ესმით.

18.17. შანკარას განმარტებით აქ საუბარია იმ ადამიანზე, რომელმაც უმაღლეს სიბრძნეს მიაღწია, ანუ ძალუქს ყველაფერში ატმანს ხედავდეს და მას წარმატებულსთან არ აიგივებდეს. ასეთი ცნობიერება საკუთარ თავს ქმედებასთან არ აიგივებს და

არ შეუძლია ჩაიდინოს უკანონობა (აღპარმა), არ შეუძლია მოინანიოს ან იფიქროს, რომ მკვლელობისთვის ნარაკაში (ვოჯოხეთში) მოხვდება. წარმოსახული თონენ-ტის არგუმენტს იმის შესახებ, რომ „გიტას“ მტკიცება – „გინდაც კლავდეს, არ არის მკვლელი“ წინააღმდეგობრივია, შანკარა პასუხობს, რომ ცნება „მკვლელია“ მხოლოდ ჩვეულებრივი ცნობიერებისთვის არსებობს, იმ ცნობიერებისთვის, რომელიც საკუთარ თავს იმ საქმეებთან აიგივებს, რომლებსაც სინამდვილეში გუნები სჩადიან, ხოლო მტკიცებას იმის შესახებ, რომ ატმანი არ კლავს, ატმანისვე აბსოლუტური ცოდნა უდევს საფუძვლად, რომელიც, როგორც ამას „გიტა“ არაერთხელ ადასტურებს, არ მოქმედებს, რადგან უძრავია.

18.18. „ცოდნის საგანი“ – ჯნეია: „ის, რაც შეცნობას ექვემდებარება“; „აერთებს“ – სამგრაპა: შეკრება, მთლიანობა; „...და რამ სხეულის ასოთაგანი“ – კარანა: მოქმედება, საშუალება, გრძნობის ორგანო, სხეული, ინსტრუმენტი, მიზეზი, მდგომარეობა. სმირნოვი „მიზეზს“ თარგმნის.

18.19. „იხსენიება“ – სანსკრ.: „გაცხადებულია გუნების ჩამონათვალში“.

18.20. სანსკრ.: „ყველა სულიერში რომ ერთ არსს (ბჰავა, იხ. 7.13.) ხედავს...“

18.21. „თავისთავადი“ – ნანა-ბჰავა: „სხვადასხვა, განცალკევებული არსის მქონე“, იხ. ბჰავა, 7.13.

18.22. აქ „კარიას“ (მოქმედი, არსი, მოვალეობა, საქმე, საქმიანობა, მიზანი, მიზეზი, მოტივი, საფუძველი) „მიზნადაც“ თარგმნიან, „მოქმედებადაც“, „საგნადაც“ და „კინმედაც“, თუმცა წინა სტროფების აზრის გათვალისწინებით „სულდგმული“, ანუ „არსი“ ყველაზე უფრო ლოგიკური უნდა იყოს.

18.23. „სწორი“ – ნიიატა: განსაზღვრული, სწორი; [„ვევების“ მიერ] დაწესებულადაც ესმით, თუმცა „სწორი“ ამ შლოკას „გიტასთვის“ უფრო შესაფერ, ფართო აზრს სძენს.

18.24. „ნატურის ახდენა“ – სურვილების დაკმაყოფილება. „თავის თავით ტკებ-ბოდეს“ – იხ. აპამკარა, 2.70.

18.26. „გულმოდგინე“ – უტსაპა: გულმოდგინება, ძალისხმევა, მიზანსწრაფულობა.

18.27. „მოშურნე“ – „ჰინს“: შეიძლება მავნედ, მოძალადეც გავიგოთ.

18.30. „ხსნა“ – განთავისუფლება, იხ. მოკშა, 5.28; „სწორი და მრუდე“ – კარია-კარია: რა არის საკეთებელი, რა კი – არა.

18.31. „თუკი ვერ არჩევს მრუდეს და მართალს“ – სანსკრ.: „თუ არასწორად ესმის ღპარმა და აღპარმა“, იხ. 1.40.

18.32. სანსკრ.: „თუ აღპარმას ღპარმად მიიჩნევს...“

18.33. „სუნთქვა“ – პრანა, იხ. 4.27; „ჭკუა და გრძნობა“ – ინდრიები და მანასი, იხ. 2.60.

18.34. სანსკრ.: „ის სიმტკიცე კი, არჯუნა, რომლითაც [ადამიანი] მიჯაჭვულობის და ნაყოფის სურვილის გამო ეჭიდება ღპარმას (იხ. 1.40.), სურვილებს და სიმდიდრეს, რაჯასულია.“

18.35. „ძილქუშს“ – სვანა: ძილი, სიზმარი, ოცნება; СОНЛИВОСТЬ (სმირნოვი); „უიძელოს არა აქვს შვება“ – ვიშადა: ეჭვი, გულგატეხილობა, დათრგუნულობა, სულით დაცემა, სულმდაბლობა; „ბრიყვი“ – დურმედჰა: სულელი, უჭკუო (რუს.: МАЛОУМНЫЙ); „ამაოება“ – მადა: თრობა, მზიარულება, აღტაცება, გატაცება, სიგიჟე, ენება, სიამაყე, ყოყონობა. სმირნოვს აქ ЗАНЛУЖДЕНИЕ ესმის, სხვებს კი ამაოება

(ინგლ.: vanity), ქედმაღლობა, ალტაცება (გატაცება, რუს.: УПОЕНИЕ), საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა, ა.შ.

18.36. „წაფვა“ – აბიასია: შესწავლა, განმეორება, ვარჯიში, მიმატება (დამატება, დართვა), ჩვევა; სანსკრ.: „...რომელსაც ვარჯიშის მშვეობით სიხარული მოაქვს და ბოლოს უღებს მწუნარებას.“ სმირნოვი თარგმნის: „ის განმეორება, რომელიც გახარებს და ტანჯვას ასუსტებს“.

18.37. „რაც ვერ მწარეა...“ – სანსკრ.: „რაც დასაწყისში შხამია“ (ვიმა: საწამლაეი); „შენსავ გონების უშფოთველობით შობილი“ – ატმა-ბუღაძი-პრასადა-ჯამ. სმირნოვი თარგმნის: „ატმანის შეცნობით სიცხადით (ზცყვცნმ) შობილი“.

18.39. „სიმთვრალე“ – „სიჩლუნგედ“ (სმირნოვი) და უდარდებობადაც თარგმნიან. იხ. პრამადა, 14.13; „სიზარმაცე“ – ალასია: მცონარე, მოდუნებული, ინერტული; „ძილი“ – ნიდრა: ძილი, ძილისგულობა; „მოტყუება თავის...“ – იხ. მოჰა, 2.52;

18.40. „ღმერთი“ – იხ. დევა, 3.12.

18.42. „წრთობა“ – დამა (თავის მოთოკვა, თავის ფლობა) და ტაპას (ასკეტიზმი); „სობრძე“ – ვიჯანა, იხ. 3.41; „მოძღვარი“ – ბჰაჰმანი, იხ. 4.13.

18.43. სრული ჩამონათვალა: სიმამაცე, ღირსება (ტეჯას: ძალა, ღირსება, დიდებულება, ძლიერება, სილამაზე), სიმტკიცე (ან შეუპოვრობა (დჰრტი), სიმარჯვე (დაკმა: ნიჭიერება, უნარიანობა, სიმარჯვე, ოსტატობა, გამჭრიახობა), ომში უკან არდახევა, გულუხვობა და კეთილშობილება; „მეომარი“ – კშატრია, იხ. 4.23.

18.46. „კაცი“ – მანავა: ადამიანი (სიტყვა-სიტყვით „მანუს შთამომავალი“), სმირნოვი „გონიერად“ თარგმნის; „სრულყოფილება“ – ნიკალანტას აზრით აქ ამ ტერმინში ილუზიისთვის წინააღმდეგობის გაწევის ძალა უნდა ვიგულისხმობთ; სანსკრ.: „...ვისგანაც წარმოიშვა ყველა სულიერი და ვინც ყოველივეს განმსჭვალავს“ (ან „...და ვისგანაც მოედინება ყოველივე“ ორიენტირად ესმით).

18.49. „უმოქმედობის“ – ნაიშკარმია: უქმობა, მოქმედებაზე უარის თქმა, მისგან განთავისუფლება; „უმაღლესი“ – პარამა: უშორესი, უმაღლესი, საბოლოო, საუკეთესო. სმირნოვი „მიღიერს“ თარგმნის. პაუერი შენიშნავს, რომ „ბუღაძის“ („გონი“) უძველესი მნიშვნელობაა „გავლიძება“, „სიფხიზლე“. ფსიქიკური ელემენტები: ინდრიები, მანასი და კამა ცნობიერების ამღვრეულ, ქაუტურ მდგომარეობას ქმნიან, რაც ნათელი აქმის, სიფხიზლის მიღწევას უშლის ხელს. იოგა ამა თუ იმ საშუალებით აღვზნებულ ფსიქიკურ ელემენტებს ამშვიდებს და ამგვარად სიცხადეს ანუ სიფხიზლეს – „ბუღაძის“ ავლენს. ამგვარად „გიტას“ მოძღვრების მიხედვით „ბუღაძი-იოგა“ ცნობიერების წესრიგში მოყვანა ანუ „საკუთარ თავთან დაბრუნება“.

18.51. „განმწმენდი გონის“ – სანსკრ.: „წმინდა (უმწიკვლო) გონების მქონე“.

18.52. „ფიქრი, ჭვრეტა“ – (დჰიანა-იოგა). დჰიანა: [რელიგიურ] ფიქრში ჩაძირვა, ჭვრეტა; იოგა, იხ. თავი მეორე; „დამაცხრომელი“ – იამ: დამორჩილება, დამშვიდება.

18.53. „ხვეჭა“: პარიგრაჰა (ჩაბბლუჯვა, დაუფლება): „მოპოვების სურვილი“, მომხვეჭველობა; „მე, ჩემი“ – იხ. აპამკარა და ნირმაჰა, 2.70; „ღირსია“ – უმეტესად ასე თარგმნიან; „...ბრაჰმას (იხ. 2.46); ყოფიერების ღირსია (ან შესაუფერისია)“. ტომსონი თარგმნის: „უმაღლესი ყოფიერებისთვის მომწიფდა“.

18.54. „მასთან ერთსულს...“ – ბრაჰმა-ბჰუტა: ბრაჰმად ქცეული. სმირნოვი ასე განმარტავს: „ანუ ბრაჰმასთან ერთიანობის შემცნობი“; „გულნათელი, გულმშვიდი“

– ატმა-პრასანა (პრასანა: ნათელი (მშვიდი, წმინდა; რუს.: ЯСНЫЙ, ინგლ.: serene). ПРОСВЕТЛЕННЫЙ ДУХОМ (სმირნოვი). ესმით აგრეთვე, როგორც „გონებაშმშვიდი“ და „თავის თავში სიმშვიდის მპონელო“,“ იხ. ატმანი, 2.55; „სიყვარული“ – ბჰაკტი (4.11.) აქ და მომდევნო შლოკაში „ერთგულებად“ და „ერთგულ მსახურებადაც“ ესმით.

18.55. სანსკრ.: „...სიყვარული (ერთგულებით) შეიცნობს ვინ ვარ და რა ვარ სინამდვილეში და რა შეიცნობს ჩემს არსს (ტატვა: ჭეშმარიტი ბუნება, არსი), შვეა მასში.“

18.57. „მე დამანებე“ – სანსკრ.: „ფიქრით (ჩეტას, იხ. 7.30.) მე დამითმე“ (სანას); „მიჰყვე“ – უპაშრიტა: შეეფარე, მიენდე; „ფიქრით ჩემთან იყავი“ – სანსკრ.: „მულამ ჩემზე იფიქრე“.

18.61. სანსკრ.: „არჯუნა, მეუფე (იშვარა) ყოველი არსების გულში სუფევს და ატრაილებს ყოველ არსებას, ბორბალზე მყოფს, მაიას მეშვეობით.“ „ეტლი“ – იანტრა: მანქანა, თვალი, სამეთუნეო ბორბალი.

18.56. ასეც ესმით: „...და თუმცა ყოველთვის ყველა საქმეს აკეთებს, ჩემს [კალთას] შეფარებული, ჩემი მოწყალეობით სამარადისო, წარუვალ (უცვლელ) მღვდომარეობას (ჰადა: ადგილი, მღვდომარეობა) აღწევს.“ რამანუჯას განმარტებით აქ არა მხოლოდ წეს-ჩვეულებებზეა საუბარი, არამედ სასურველ (ან სასაიძოვნო, „კამია“) საქმეებზეც.

18.57. „მე დამანებე“ – სანსკრ.: „ფიქრით (ჩეტას, 730.) მე დამითმე“ (სანას). „მიჰყვე“ – უპაშრიტა: შეეფარე, მიენდე; „...ფიქრით ჩემთან იყავი“ – „მულამ ჩემზე იფიქრე“.

18.61. „ზმანება“ – იხ. მაია, 4.6.

18.66. „ვალი“ – დჰარმა, იხ. 1.40.

18.67. „წრთვნა“ – ტაპას, იხ. 2.28; „ვინც მტრობს...“ – აბჰიასუია: შური, არაკეთილმოსურნეობა. ასეც თარგმნიან: „ვინც კრიჭაში მიღვას“ (რუს.: ПРИЛИРАТЬСЯ).

18.68. აქ ზოგჯერ ერთგულების ნაცვლად სიყვარული ესმით. იხ. ბჰაჯ, 4.11.

18.70. „წმინდას, სჯულიერს“ – სანსკრ.: „დჰარმიული“,“ იხ. დჰარმა, 1.40; „სიბრძნის ზვარაკი“ – შანკარას განმარტებით 5 სახის მსხვერპლი არსებობს: „ვიდჰი“ – რიტუალი, „ჯაპა“ – წარმოთქმული „მანტრა“ (ანუ ლოცვა. იხ. „ვედები“, 2.45.), „მანასა“ – გულში ლოცვა“ და „ჯნანა იაჯნა“ – სიბრძნის მსხვერპლი – მსხვერპლშეწირვის უმაღლესი ფორმა.

18.73. „სიბრძნე“ – იხ. მოჰა, 2.52; „აღმიდგა ხსოვნა“ – „ლაბჰ“ აღებას, მიღებასაც ნიშნავს და გახსენებასაც. შესაბამისად, ამ ადგილს ორნაირად თარგმნიან: „დამიბრუნდა (აღმიდგა) ხსოვნა“ და „მივიღე სიბრძნე“, თუმცა სიტყვა „სმრიტი“ სიბრძნის მნიშვნელობით ლექსიკონებში არ გვხვდება. სმირნოვი ასე თარგმნის: „მივიღე სწავლება (სმრიტი)“. სმრიტი: ხსოვნა, ტრადიცია, სწავლება, [წმინდა] გადმოცემა (წმინდა წერილების, ანუ „შრუტის“ პარალელურად არსებული ჰინდუთა რელიგიური, ფილოსოფიური, მორალურ-ეთიკური და ოურიდიული თხზულებანი. „ვედები“ და „უპანიშადები“ „შრუტიდ“ ითვლება (იხ. „ვედები“, 2.45.), „მანუს კანონები“, „პურანები“, „მაჰაბჰარატა“, „რამაიანა“, „დჰარმაშასტრა“, „ნიტიამასტრა“ და „ბჰაგავადგიტა“ კი – „სმრიტიდ“). შანკარა განმარტავს, რომ „სმრიტი“

- აქ [ატმანის ჭეშმარიტი ბუნების] „ხსოვნას“ ნიშნავს და არა „წმინდა გადმოცემას“ და რომ მისთვის, ვინც ამგვარ ხსოვნას იბრუნებს, ყველა ეჭვი და შეკითხვა ქრება. შესაბამისად, არჯუნას მტკიცებაც იმას ნიშნავს, რომ იგი საქმეებისგან განთავისუფლდა და არსებობის მიზანს მიაღწია; „...რომ სიტყვა შენი მე ავასრულო“ – სანსკრ.: „...შეეცასრულებ შენს სიტყვას“ (შენი სიტყვის შესაბამისად ვიმოქმედებ).
- 18.74. „საკვირველი“ – აღბჰუტა: შეუმჩნეველი, უხილავი, იდუმალი, საოცარი.
- 18.75. „ვიასას ძალით“ – სანსკრ.: ვიასას წყალობით, მოწყალებით; „დიდი იოგა“ – სანსკრ.: უმაღლესი იოგა.
- 18.77. ჰარი, იხ. 11.9.



გამოყენებული ლიტერატურა

- Swami Ranganathananda. Universal Message of the Bhagavad Gita. Calcutta, 2000.
- Swami Chinmayananda. The Bhagavad Geeta. Madras. III Edition, 1978 – 2000 Copies.
- The Bhagavad-Gita, Krishna's Counsel in Time of War, translated and with an introduction and an afterword by Barbara Stoler Miller. NY, 1986.
- The Song of God: Bhagavad-Gita, translated by Swami Prabhavananda and Christopher Isherwood. NY, 1972.
- Jayadayal Goyandka. Srimad Bhagavadgita, With English Translation and Transliteration. Seventh Edition. Gorakhpur, 1996.
- Bhagavadgita, Unabridged, Translated by Sir Edwin Arnold. NY, 1993. Originally published in 1885.
- The Bhagavad Gita, Translated and with preface by Eknath Easwaran. NY, 2000.
- Sri Aurobindo. Essays on the Gita. Sri Aurobindo Ashram, Pondicherry. Third impression, 2000.
- The Complete Works of Swami Vivekananda. Sixth Reprint of Subsidized Edition. Calcutta, 1994.
- Hindu Classical Dictionary. Eighth edition. New Delhi, 1987.
- Санскритско-русский словарь. В. А. Кочергина. Москва, 1996.
- Бхагавад – Гита (Песнь Господня), Под редакцией к.б.н. В.В. Антонова. Издание Второе. Москва, 1991.
- Энциклопедия тантры. Сост. В. Нугатов. Москва, 1997.
- Бхагавадгита. Буквальный и литературный перевод, введение и примечания академика Б.Л. Смирнова. Второе переработанное издание. Ашхабад, 1960 г.
- Махабхарата. II. Бхагавадгита. Буквальный и литературный перевод, введение и примечания академика Б.Л. Смирнова. Второе переработанное издание. Ашхабад. 1960 г.
- Б.Л. Смирнов. Санскритский текст. Симф. Словарь. Академия Туркменской ССР. Ашхабад. 1962.

